ფართოდ ცნობილია, რომ ღია მონაცემები ხელს უწყობს სამოქალაქო მონიტორინგის მექანიზმების განვითარებას, ამცირებს კორუფციის რისკს, ზრდის მოქალაქეების ნდობას ხელისუფლების მიმართ, აუმჯობესებს საზოგადოებრივ კეთილდღეობას და სახელმწიფო რესურსების ეფექტურ გამოყენებას. გამჭვირვალობა კი თავის მხრივ, ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, საჯარო რესურსების ეფექტურ გამოყენებას, მოსახლეობის ჩართულობასა და ინკლუზიურ განვითარებას. შესაბამისი მონაცემების ხელმისაწვდომობამ და მათმა სათანადო გამოყენებამ შეიძლება საფუძველი დაუდოს საჯარო ფინანსების პასუხისმგებლიან განკარგვას, გაუმჯობესებულ საჯარო სექტორებს, ეკონომიკის სხვადასხვა დარგების განვითარებას და ა.შ.

და ეს ყველაფერი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მისი შესაბამისი ჰარმონიული საკანონმდებლო უზრუნველყოფა მოხდება პანდემიის პირობებში და მართვის (ყველა დონეზე) განსაკუთრებული მოდელები შეიქმნება. ერთ-ერთი ასეთი მოდელის ჩვენეული ხედვით შევეცადეთ კონფერენციაზე წარმოგვედგინა სიახლეები. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი მიდგომები და გაბედული ნაბიჯები არ გასცილებია მოქმედ კანონმდებლობასა და სხვა თვითმმართველობის ნორმატიულ აქტებს (იხ. ლიტერატურა). თუმცა, სამომავლოდ მათში სათანადო ცვლილებების აუცილებლობაც დავინახეთ და ამის გადაწყვეტა სამართლამცოდნეებთან ერთად მხოლოდ საკანონმდებლო ხელისუფლების მხარდაჭერის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ორგანული კანონი- „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, 2014;
2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი“,2017;
3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს განხორციელების წესი“,2019;
4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების 2019-2022 წლების სტრატეგია“;
5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების 2019-2022 წლების სტრატეგიის ფარგლებში, 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მიზნით მონიტორინგის ჩარჩო და თვითშეფასების მეთოდოლოგია“;
6. საია-საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია - 2006; „მონაწილეობითი ბიუჯეტირება - საქართველოსა და პოლონეთის კანონმდებლობის, საუკეთესო პრაქტიკის მიმოხილვა“ ;
7. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო: „ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა“
8. ღია მმართველობის პარტნიორობა საქართველო - 27 ნოემბერი, 2017. „ 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში“.
9. „2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს განხორციელების წესი, 2020;

სხვა წყაროები

10. Portland - ის (აშშ) CHARETTE – ის ინსტიტუტი <https://www.canr.msu.edu/nci/>

ინსტიტუციური ეკონომიკის საზრისისათვის

დავით იაკობიძე
სტუ პროფესორი

ელენე მენაბდე-ჯობაძე
სტუ ასოცირებული პროფესორი

RESUME

Article's "Senses for Institutional Economy" written by Davit Iakobidze and Elene Menabde-Jobadze aim is to introduce readers trends of institutional economy and find out perspectives related to reality of economic. The issue is important, as institutional economy is not popular even between academics. Despite of the fact that this theory can help us determine internal nature of current economic processes, institutional economy is rarely used clarify issues. When Georgian economy develops on basis of market principles and on academic circle classical economic theory dominates and lays down theoretical foundations of economic politics, it is important to study other economic theories. Those will help us understand better current processes in economic. Also lets us to help responsible persons develop political directions and mechanisms.

Key Words: Institutional economy, Theory of economic, New institutionalism, Economic politics.

საკვანძო სიტყვები: ინსტიტუციური ეკონომიკა, ეკონომიკური თეორია, ახალი ინსტიტუციონალიზმი, ეკონომიკური პოლიტიკა.

* * * *

მიმდინარე, 2020 წელს, 100 წელი შესრულდა სიტყვაშეთანხმების „ინსტიტუციური ეკონომიკა“ წარმოშობიდან. 1920 წელს, ამერიკის ეკონომისტთა ასოციაციის შეკრებაზე, ვოლტონ ჰამილტონმა ერთიანი, ყოვლისმომცველი ეკონომიკური თეორიის დაფუძნების მიზნით, გამოიყენა ეს ტერმინი და მას შემდეგ იგი აღნიშნავს ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთ მძლავრ მიმართულებას, რომელიც ისტორიის გარკვეულ მონაკვეთებში განსაზღვრავდა მაკროეკონომიკური განვითარების ტენდენციებს აშშ-ში და სხვა ქვეყნებში.

ინსტიტუციური ეკონომიკა, განსაკუთრებით აქტუალური ხდება ეკონომიკური რეცესიებისა და დიდი სოციალური კატასტროფების დროს, როდესაც ადამიანების დიდი ჯგუფების ქცევის მოტივებისა და ქვეყნების შესაძლებლობების ანალიზის საფუძველზე, იგი ხელს უწყობს შემუშავდეს ეკონომიკური პოლიტიკის სწორი პარადიგმა და ასეთი საბაზრო „ჩავრდნისდან“ გამოსვლისათვის საჭირო მექანიზმები. ამჯერად, როდესაც მსოფლიო მოიცვა COVID-19 პანდემიამ, როდესაც დეფორმირებულია სოციალურ ურთიერთობათა მთელი სისტემა, კარგადაა მოსაფიქრებელი კატასტროფით გამოწვე-

ული დეფორმაციების დაძლევის მექანიზმები და ორგანიზაციული ფორმები. ამ თვალსაზრისით, მიგვაჩნია, რომ ინსტიტუციურმა ეკონომიკურმა თეორიამ შესაძლებელია გაგვინოს დიდი დახმარება. ამიტომ წინამდებარე სტატია ისახავს ორ მიზანს:

1) მივაქციოთ ყურადღება ინსტიტუციური ეკონომიკური თეორიის შესაძლებლობებს იმისთვის, რომ შევძლოთ შემუშავდეს ეკონომიკური პოლიტიკის ახალი, პოსტპანდემიური პერიოდისთვის მისაღები ეკონომიკური პარადიგმა;

2) ახალ სიტუაციაში გავიაზროთ ინსტიტუციური ეკონომიკური თეორიის საფუძვლისეული ფუნდამენტალური მნიშვნელობის მახასიათებლები.

1. რა არის ინსტიტუციური ეკონომიკა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც ისე მარტივია. ინსტიტუციონალ ეკონომისტებს არასდროს არ გამოუკვეთავთ თავიანთი კვლევის საგანი, როგორც განსაკუთრებული ფენომენი. მას შემდეგ, რაც ადამ სმიტმა ადამიანების სიმდიდრის შესახებ მოძღვრება შექმნა, ეკონომიკური მეცნიერების შესწავლის ობიექტი გახდა „ადამიანების სიმდიდრე“ და მკვლევარების ძალისხმევა უპირატესად კვლევის მეთოდების სრულყოფის მიმართულებით წარიმართა. ინსტიტუციური ეკონომიკური თეორიის მიმდევრები, სხვა თეორიული მიმართულებების წარმომადგენლებისგან იმით განსხვავდებოდნენ, რომ შეუძლებლად მიაჩნდათ ეკონომიკური შინაარსის მქონე რეალური მოვლენების სრულყოფილად განხილვა სხვა საზოგადოებრივ ურთიერთობებთან მათი კავშირების შესწავლის გარეშე.

ეკონომიკური შინაარსის მატარებელი მოვლენები საერთო საზოგადოებრივ გარსში არსებობენ და შესაბამისად მათზე დიდ გავლენას ახდენს ყოფიერების, როგორც ტექნოლოგიური, ასევე სოციალური, იურიდიული, პოლიტიკური და მორალური ასპექტები. ამიტომ, ეკონომიკურ კონტრაგენტებს შორის დამოკიდებულებების შესწავლა უნდა ხორციელდებოდეს იმ კონკრეტულობაში (მრავალმხრივობაში), როგორადაც მათ არსებული საზოგადოებრივი პრაქტიკა წარმოგვიდგენს და დაუშვებელია აბსტრაგირება ადამიანების ქცევის არსებული წესებიდან. მათი ეს ამოსავალი დებულება საყოველთაოდ მისაღები ხდება ბიოლოგიებისა და ფსიქოლოგებისთვის. კერძოდ, ცნობილი ეტოლოგი **კონრად ლორენცი** ამბობს: „ადამიანის ქცევა არის მთელი საზოგადოებრივი სისტემის ფუნქცია, რომელიც თავისი არსითა და გამოვლენის განსაკუთრებული ფორმებით ისტორიული განვითარების

შედეგად აღმოცენდება“. (Konrad Lorenz 10. 5). ხოლო „მთელი საზოგადოებრივი სისტემა“ თავის განვითარების ციკლების (ჰომეოსტაზის) ისტორიულ გზაზე იძენს ცვლად და მოქნილ სტრუქტურას, რომლის ცალკეული ელემენტებიც სხვადასხვა ინსტიტუტების ფორმებით გამოვლინდებიან.

ამგვარად, დაწყებული ტორსტენ ვებლენიდან, გაგრძელებული ჯონ გელბრიჯით და თანამედროვე ინსტიტუციონალისტების ჩათვლით, გამოქვეყნებულ ნაშრომებს გასდევს მთავარი, ამ მეცნიერული მიმართულების განმსაზღვრელი ფილოსოფია. კერძოდ, „იძულებითი შერჩევის საფუძველზე, ადამიანების ჩვეულებრივ შეხედულებებზე და საგნებზე ზემოქმედების გზით, დღევანდელი აყალიბებს სვალინდელ ინსტიტუტებს და ამგვარად ცვლის ან ანმტიკიცებს თვალსაზრისებს ან სულიერ პოზიციებს, რომელიც წარსულიდან მოგყვება მემკვიდრეობით.“ (Torsten Veblen 8. 202). იგივე მოსაზრებას მტკიცედ ეყრდნობა თანამედროვე, ახალი ინსტიტუციონალიზმიც. ამიტომ, ამ მიმართულების სხვა ეკონომიკურ თეორიებთან ერთგვარ წყალგამყოფად შეიძლება ჩაითვალოს, იმის მტკიცება, რომ ინსტიტუტები ადამიანებზე ახდენენ ფუნდამენტურ გავლენას, მათზე (ადამიანებზე) მოქმედებს ინდივიდუალური და კულტურული სიტუაციები, ამიტომ, მათი აზრით, ეკონომიკაში რაციონალურობის, წონასწორობის, სარგებლობის მაქსიმიზაციის თეორია არის მცდარი და არაადექვატური. ე.ი. ადამიანის ეკონომიკური აქტივობა არ არის მთლიანად მის შესაძლებლობებზე დამოკიდებული, ხშირად მისი საქმიანობა რაციონალურობას მოკლებულია და ბაზარზე კონკურენტული წონასწორობა კი აბსტრაქტული განზომილებაა, რეალურად ის არ არსებობს და ეკონომიკური კონტრაგენტების საქმიანობაც არაა მიმართული შედეგების მაქსიმიზაციისაკენ.

ეკონომიკის განვითარების შესახებ ინსტიტუციონალისტური ხედვები გულისხმობს სისტემურობას, და ცალკე აღებულ ეკონომიკურ ურთიერთობებს განიხილავს მის ზოგად სოციალურ გარსში, პოლიტიკის, მორალის და სამართლებრივ ურთიერთობისაგან აბსტრაგირების გარეშე. ანუ, იმ მრავალმხრიობით, იმ კონკრეტულობაში, რომელითაც ისინი არიან წარმოდგენილი. ამიტომ შეიძლება ვთქვათ, რომ ინსტიტუციურ ეკონომიკას ვუნოდებთ ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის ისეთ მიმართულებას, რომელიც დაფუძნებულია:

1. საზოგადოებაში არსებულ ტრადიციულ ქცევებსა და ნორმებზე;
 2. ამ ნორმებისა და ქცევების საფუძველზე წარმოქმნილი კანონების, ორგანიზაციების და დაწესებულებების მოქმედების კვლევაზე.
- ეს ზოგადი პრინციპები აერთიანებს ეკონომისტების დიდ ჯგუფს, რომლებიც თავიანთ თავს ინსტიტუციონალური ეკონომიკის მიმართულებას მიაკუთნებენ.

გასული საუკუნის ბოლო პერიოდში ინსტიტუციონალისტებს შორის გაჩნდა ერთი ჯგუფი, რომლებმაც საკუთარ მეცნიერულ ხედვებს ახალი ინსტიტუციონალიზმი უწოდეს. მათ შორის მნიშვნელოვანი ფიგურები, ოლივერ ულიამსონი, რომელმაც პირველმა გამოიყენა ტერმინი „ახალი ეკონომიკური ინსტიტუციონალიზმი“, რონალდ კოუსი, დონალდ ნორტი, ეველინა ოსტრომი ნობელის პრემიის ლაურიატები გახდნენ.

ახალ ინსტიტუციონალისტებს მიაჩნიათ, რომ სხვადასხვა ეკონომიკური თეორიის განვითარების პროცესში, მიმდინარე ერთგვარი კონვერგენციის საფუძველზე, ინსტიტუციონალიზმის რიგი პრინციპული დებულებები თავსებადი გახდა ნეოკლასიკური ეკონომიკური სკოლისთვის. შესაბამისად, აუცილებელი გახდა ინსტიტუციონალური ეკონომიკის ახლებური გააზრება.

ამიტომ, ამ სტატიის მიზანია, მკითხველებს გააცნოს ეკონომიკური თეორიის ინსტიტუციონალური მიმართულების დღევანდელი ტენდენციები და ჩვენს ეკონომიკურ რეალობასთან დაკავშირებით, გაარკვიოს მისი პერსპექტივები. ამ საკითხის აქტუალობას ისიც ზრდის, რომ ჩვენს აკადემიურ წრეებში, ინსტიტუციური ეკონომიკა არაა პოპულარული. მიუხედავად იმისა, რომ ამ თეორიას შეუძლია დაგვეხმაროს ჩვენთან მიმდინარე ეკონომიკური პროცესების შინაგანი ბუნების დადგენაში, მას ნაკლებად იყენებენ ეკონომიკური პოლიტიკის საკითხების გარკვევისას. და უბრალოდ, როდესაც საქართველოს ეკონომიკა ვითარდება საბაზრო პრინციპების საფუძველზე, ხოლო კლასიკური ეკონომიკური თეორია უალტერნატივოდ ბატონდება ჩვენს აკადემიურ წრეებში და ძირითადად აყალიბებს ქვეყანაში ეკონომიკური პოლიტიკის თეორიულ საფუძველს, მნიშვნელოვანი ხდება სხვა ეკონომიკური თეორიების გაცნობაც, რომლებიც საშუალებას მოგვცემს უკეთესად გავიაზროთ ჩვენს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები და დავვეხმაროთ ეკონომიკაზე პასუხისმგებელ პირებს პოლიტიკური მიმართულებებისა და მექანიზმების შემუშავებაში.

ასეთია, პირველი მიახლოებით, ინსტიტუციური ეკონომიკური თეორიის ზოგადი დახასიათება, ახლა შევეცდებით უფრო დეტალურად გავარკვიოთ მისი მთავარი ფუნდამენტური ხასიათის მახასიათებლები.

2. ინსტიტუციური ეკონომიკა კლასიკური ეკონომიკური თეორიის ალტერნატივა. ინსტიტუციური ეკონომიკას ხშირად, მათ შორის საქართველოშიც, კლასიკური ეკონომიკური თეორიის ალტერნატივადაც სახავენ (გ. მალაშხია. 3., ე. მენაბდე-ჯობაძე 4.). ამის მიზეზია ის, რომ ინსტიტუციური ეკონომიკა კლასიკური ეკონომიკური მოძღვრებისგან განსხვავებით მიიჩნევენ, რომ:

1. ეკონომიკა არაა საზოგადოების განვითარების განმსაზღვრელი, მთავარი ფაქტორი, არამედ იგი სხვა, პოლიტიკურ, იურიდიულ, მორალურ და ა.შ.

ფაქტორებთან კომპლექსში უნდა განიხილებოდეს;

2. ეკონომიკა წმინდა სახით აბსტრაქტულ ცნებათა ერთობლიობას წარმოდგენს, რომელსაც შეუძლია ახსნას რომელიმე მოვლენა, მაგრამ რეალურად რას წარმოადგენს ეს მოვლენა, ამის განსაზღვრა არ ძალუძს, ამიტომ ყოველი რეალური ეკონომიკური პროცესი, მოვლენა, საჭიროა განიხილებოდეს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჭრილში, იურიდიულ, პოლიტიკურ, მორალურ ასპექტთა ურთიერთკავშირში;

3. ინსტიტუციური ეკონომიკური თეორიისათვის კლასიკურ და ნეოკლასიკურ ეკონომიკაში გაბატონებული აზრის საპირისპიროდ, ადამიანი არ არის რაციონალურად მოქმედი სუბიექტი, იგი საკუთარ შესაძლებლობებს ავლენს საზოგადოებაში არსებულ ინსტიტუტებში და მისი ქცევა განპირობებულია არსებული ტრადიციებით და ჩვეულებებით.

მართლაც, ძირეული საკითხების ასეთი, ფუნდამენტალურად განხვავებული წარმოდგენა, ინსტიტუციურ ეკონომიკას ანიჭებს იმ მნიშვნელობას, რის გამოც, იგი კლასიკური ეკონომიკური სკოლის ერთგვარ ალტერნატივად წარმოდგება.

ამავე დროს, ინსტიტუციური ეკონომიკური თეორიისადმი ასეთი მიდგომა, საკამათოა, რადგან ეს თეორია ეკონომიკის კვლევის სხვა მიმართულებებთან (ნეოკლასიკური, ნეოკეინსური, ლიბერტიანული, ბიჰევიორული და ა.შ.) ერთად იძლევა შესაძლებლობას უფრო სრულად, სიღრმისეულად შევისწავლოთ მიმდინარე ეკონომიკური პროცესები. გარდა ამისა, ინსტიტუციური ეკონომიკური თეორიის შესწავლა სრულიადაც არ გულისხმობს უარი ვთქვათ ეკონომიკური კვლევის ნეოკლასიკურ ან ბიჰევიორულ მეთოდებზე. პირიქით, როგორც გასული საუკუნის დასაწყისში მიიჩნევდნენ, ინსტიტუციონალური თეორია არის, ის სამეცნიერო მიმდინარეობა, რომელსაც შეუძლია გააერთიანოს ეკონომიკის კვლევის სხვადასხვა მიმართულებები და საფუძველი შეუქმნას ერთიან ეკონომიკურ თეორიას. ანუ შეუძლია გააერთიანოს სხვადასხვა მეთოდოლოგიურ საფუძველზე მდგარი ეკონომისტები და შექმნას ერთიანი მეცნიერული გარემო.

მიუხედავად ამისა, ინსტიტუციური თეორიის სხვა ეკონომიკური მოძღვრებების მიმართ ალტერნატიულ ფორმატში წარმოდგენას, საქართველოს დღევანდელი დონაში აზრი აქვს და რამდენადმე აქტუალურიცაა. საქმე ისაა, რომ ჩვენს ქვეყანაში მოქმედ პოლიტიკურ პარტიებს და სხვა საზოგადოებრივ ინსტიტუტებს, გარდა კლასიკური ეკონომიკური თეორიისა, სხვა მიმართულებების მიღება უჭირთ. ამას ამყარებს ის რეალობაც, რომ ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში ეკონომიკური თეორია ისწავლება, უმეტეს შემთხვევაში, ნეოკლასიკური სკოლის წარმომადგენელთა თარგმნილი სახელმძღვანელოებით. დღეისათვის საქართველოში, მას შემდეგ რაც მარქსისტულ მოძღვრებაზე ხელაღებით ითქვა უარი და „ნაბან წყალს ბავშვიც

გადავაყოლით“, როგორც სამეურნეო ცხოვრებაში, ასევე აკადემიურ გარემოში ბატონობს ავსტრიული სკოლის მიმდევართა შეხედულებების საფუძველზე შექმნილი წარმოდგენები და შეინიშნება სხვა ეკონომიკური სკოლების ერთგვარი მიუღებლობა. შესაბამისად, ინსტიტუციური ეკონომიკური თეორია აღიქმება, როგორც არსებული გაბატონებული მიმართულების ერთგვარი ალტერნატივა. მაგრამ თუ ინსტიტუციური ეკონომიკური თეორია გახდება ქვეყანაში ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების მეცნიერული საფუძველი, იგი თავისი მეთოდოლოგიური პრინციპებიდან გამომდინარე, არ გააუქმებს სხვა ეკონომიკური თეორიების გამოყენების საჭიროებას. პირიქით, მათ როგორც მნიშვნელოვან სამეცნიერო მიმართულებებს, თავის ადგილს მიუჩენს ქვეყნის სამეურნეო აღმშენებლობის პროცესში.

ჩვენს ქვეყანაში ამის მაგალითი არსებობს. როდესაც საქართველოში ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი პასუხისმგებელი პირი ინსტიტუციონალისტი კახა ბენდუქიძე (საქართველოს ეკონომიკის მინისტრი 2005-2006 წწ.) იყო, მასთან სრულიად მშვიდად თანამშრომლობდნენ კლასიკური ეკონომიკური სკოლის მიმდევრებიც და ლიბერტიანული ლადო გურგენიძეც (საქართველოს პრემიერ მინისტრი). ჩვენ კარგად გვესმის, რომ განსხვავებული მსოფლმხედველური მიმართულების თეორიების გაერთიანება შეუძლებელია, მაგრამ მათი წარმომადგენლების ერთმანეთისადმი დამოკიდებულების შეცვლა და ურთიერთმიუღებლობის დისკუსიიდან თანამშრომლობის არეალში გადასვლა შესაძლებელია. ამის კარგი მაგალითია, **ეველინ ოსტრომის (Елинор Остром 13.)** მცდელობა ეპოვნა ადამ სმიტისა და თომას ჰობსის თეორიებს შორის შეხების წერტილები და ემპირიული კვლევების ბაზაზე, ეჩვენებინა „რაციონალურ ადამიანსა“ და „სახელმწიფო ლევიათანს“ შორის არსებული მტკიცე შინაგანი კავშირი.

ინსტიტუციონალისტებს კარგად ესმით, რომ ახალი ფაქტების გამოვლენისა და გაანალიზების საშუალებით, მეცნიერების განვითარება ერთი მეცნიერების მეორით შეცვლის გზით კი არ ხდება, არამედ იცვლება მეცნიერული პარადიგმა, მეცნიერული თეორიის აგების ეტალონი. შესაბამისად ეკონომიკურ თეორიას როდესაც იყენებენ ეკონომიკური პოლიტიკის მეცნიერულ საფუძველად, მისი ძირითადი სტრატეგიების გააზრების საშუალებად, კონკრეტულ ისტორიულ პირობებში ახლებური მიდგომების აუცილებლობა იჩენს თავს და შესაძლებელია სხვადასხვა ეკონომიკური თეორიების ურთიერთჩანაცვლება.

ამიტომ დღეს, როდესაც ჩვენ ეკონომიკაში ვხედავთ მოვლენებს, რომელიც კორონა ვირუსის პანდემიის შედეგად გამოწვეული საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელი სისტემის დეფორმაციის შედეგად მოგვევლინა, დღის წესრიგში დგება ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელი სამეცნიერ-

რო პარადიგმის ცვლილება, რაშიც ინსტიტუციური ეკონომიკური თეორიის დიდი სამსხურის განევა შეუძლია.

საქართველო რთული რელიეფური და კლიმატური პირობების ქვეყანაა. აქ განსახლებული მოსახლეობა რესურსებისადმი განსაკუთრებული, სპეციფიკური დამოკიდებულებით და ტრადიციულად არსებული სამეურნეო სტრუქტურების ორგანიზაციული თავისებურებებით ხასიათდება. მაგალითად, თუშების მომთაბარე მეცხვარეობა გამოირჩევა ამ სამეურნეო სივრცისთვის დამახასიათებელი ურთიერთობათა სისტემით, რომელიც იმდენად უნივერსალურია, ორგანულადაა მორგებული ტექნოლოგიურ პროცესს (მომთაბარე მეცხვარეობის პროდუქციის წარმოებას და რეალიზაციას), რომ მასზე არსებითი ზემოქმედება ვერ მოახდინა ვერც კაპიტალისტურმა და ვერც სოციალისტურმა სამეურნეო სისტემებმა. იგი დღესაც ერთ-ერთ აქტიურ, სოციალურ-ეკონომიკურ ინსტიტუტად რჩება, რომელსაც აქვს შინაგანი უნარი ორგანულად ჩაერთოს ქვეყნის ერთიან მაკროეკონომიკურ სისტემაში.

ასეთივე თავისებურებებით ხასიათდება ზემო სვანეთისა და ხევსურეთის სამეურნეო სივრცეებიც. სამეწარმეო საქმიანობის ასეთი თავისებურება ბუნებრივ რესურსების გამოყენების, მასზე საკუთრების უფლებების თავისებურებებით გამოიხატება და აქედან გამომდინარე ურთიერთობათა სისტემის მდგრადობით. შესაბამისად, როდესაც საუბარს ვინყებთ საქართველოს მაკროეკონომიკური სისტემის ინკლუზიურ ორგანიზაციაზე, არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ, აქ საუკუნეობით არსებულ ტრადიციულ სამეურნეო ურთიერთობებს.

დღეისათვის შეინიშნება ერთგვარი დუალიზმი. ამ სამეურნეო სივრცეში შევდივართ კლასიკური ეკონომიკური თეორიის საფუძველზე, მაგრამ იძულებული ვხდებით ანგარიში გავუწიოთ საუკუნეობით არსებულ ტრადიციებს და კლასიკური ეკონომიკური თეორიისგან აღარაფერი რჩება. საკმარისია გავიხსენოთ კოდორის ხეობაში, მოსახლეობის ძალისხმევით, ჰესის მშენებლობის შეჩერება. ანდა მოსახლეობის მიერ, სვანეთსა და რაჭაში ანალოგიური მშენებლობების ბლოკირება. ამდენად ცხადაა, როდესაც სივრცეში შევდივართ ამ რეგიონისთვის ახალი ტექნოლოგიური სიახლეებით (ტურიზმი, ენერჯეტიკა, საშენი მასალების წარმოება და ა.შ.), აქ არსებული საუკუნეობრივი ტრადიციები არა მარტო გასათვალისწინებელია, არამედ შესაძლებელია ახალი ნამონყებების ამოსავალ მომენტადაც იქცეს.

3. ინსტიტუციური ეკონომიკის დაფუძნება. ინსტიტუციური ეკონომიკის ფუძემდებელია ამერიკელი მეცნიერი **ტორსტენ ვებლენი**, რომლის ნაშრომებმაც სათავე დაუდო ეკონომიკური პროცესების კვლევის ამ საინტერესო მიმართულებას. ვებლენის მიერ 1889 წელს გამოცემულმა ნაშრომმა, „უმაქნისთა კლასის თეორია: ინსტიტუციების ეკონომიკური გამოკვლევა“ (**Торстен Веблен. 8**), ერთი მხრივ, ეპოქალური მნიშვნელობა შეიძინა და მრავალი ეკონომისტის, სოციოლოგისა და ანთროპოლოგის მეცნიერული კვლევის მაპროვოცირებელი აღმოჩნდა. მეორე მხრივ, სტილისტური სირთული-სა და ანალიზის ახალი მეთოდის გამო, აქ გაცხადებული იდეები ნელა იკვლევდნენ გზას და რთულად მკვიდრდებოდნენ ამერიკის აკადემიურ წრეებში. ტორსტენ ვებლენის მიმდევარი ეკონომისტებისა და მათთან შემოქმედებითად დაკავშირებული მეცნიერების, იურისტების, სოციოლოგების, ფსიქოლოგების, ანთროპოლოგების, ისტორიკოსების და სხვ. მკვლევარების ძალისხმევით, ინსტიტუციური ეკონომიკის პრინციპული მნიშვნელობის დებულებებმა თანდათანობით დიდი პოპულარულობა შეიძინა და საყოველთაო აღიარება მოიპოვა.

გარდა ამისა, მეოცე საუკუნის დასაწყისის ეკონომიკურმა კრიზისებმა, გართულებულმა სამეურნეო სიტუაციებმა, საზოგადოებას თვალნათლივ დაანახა ამ თეორიის ცხოველყოფილობა. ინსტიტუციური ეკონომიკური თეორიის მიმდევარი ეკონომისტები თეთრი სახლის კონსულტანტები გახდნენ. მათ ეს პოზიცია თითქმის მეოცე საუკუნის სამოციან წლებამდე ეჭირათ.

შესაბამისად, ამ პერიოდში გამოიკვეთა ინსტიტუციური ეკონომიკური თეორიის კვლევის საგანი და მეთოდი, განისაზღვრა მისი ისტორიული მნიშვნელობა.

1918 წელს, ამერიკის ეკონომისტთა ასოციაციის კრებაზე, **ვოლტონ ჰამილტონმა (Volton Hamilton 5.)** თავის მოხსენებაში პირველად გამოიყენა სიტყვაშეთანხმება „ინსტიტუციური ეკონომიკა“. მანვე ჩამოაყალიბა ამ ახალი ეკონომიკური თეორიის მნიშვნელობა. მისი აზრით:

1. ინსტიტუციური ეკონომიკა ერთადერთია, რომელსაც ძალუძს გააერთიანოს ყველა ეკონომიკური თეორია;

2. მხოლოდ ინსტიტუციურ ეკონომიკას შეუძლია გვიჩვენოს, თუ როგორ ჩნდება ცალკეული ელემენტებისაგან ერთიანი სისტემა.

იგი შეეცადა დაესაბუთებინა, რომ:

1. ეკონომიკური თეორიის საგანი არის ინსტიტუტები;

2. ეკონომიკური თეორიის მოვალეობაა იკვლევდეს პროცესების შინაარსს;

3. იგი უნდა ეყრდნობოდეს ადამიანის ქცევის მისაღებ თეორიას.

ცხადია ჰამილტონის ამ ცნობილი გამოსვლის შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ მის მიერ ჩამოყალიბებულმა აზრებმა გაუძლეს დროის მსვლელობას და ცოტაოდენო კორექტირების შემდეგ, ინგლისელმა პროფესორმა **ჯეფრი ჰოგსონმა (Geoffrey Hodgson 6.)** 2000 წელს გამოაქვეყნა ინსტიტუციური ეკონომიკის ხუთი მახასიათებელი, რომლებიც ნიშანდობლივია ამ მიმართულების კვლევებისათვის:

1. ინსტიტუციონალისტების თვალსაზრისით ეკონომიკა არის თავისი შინაარსით პოზიტიური მეცნიერება და მიუხედავად იმისა, რომ იგი შეიმუშავებს პრაქტიკული მნიშვნელობის თეორიას, მას არა აქვს პოლიტიკური წინადადების სახე. მისთვის განმსაზღვრელია არა ის, თუ როგორი უნდა იყოს ეკონომიკა, არამედ ის, თუ რას წარმოადგენს ეკონომიკა დღეს და რატომაა ისეთი, როგორიც არის;

2. ინსტიტუციური ეკონომიკა ფართოდ იყენებს სხვა მეცნიერებებში, განსაკუთრებით, სოციოლოგიაში, ფსიქოლოგიაში და ანთროპოლოგიაში შემუშავებულ იდეებს და წინადადებებს კვლევის მეთოდების გაძლიერებისა და ადამიანის ქცევის უფრო ღრმა შესწავლის მიზნით. ამასთან, ახალ ინსტიტუციონალისტებს მიაჩნიათ, რომ კვლევის ეკონომიკური მეთოდებიც ფართოდ გამოიყენება სხვა მეცნიერებების მიერ;

3. ინსტიტუტები არის ნებისმიერი ეკონომიკის ძირეული ელემენტები, ამიტომ ინსტიტუციური ეკონომიკის უმთავრესი ამოცანაა შევისწავლოს ისინი, მათი განვითარების და ახლების წარმოქმნის პირობები და შინაგანი მახასიათებლები. გარკვევის ადამიანების ეკონომიკური აქტივობის შინაარსობრივი ატრიბუტები ინსტიტუტების ფუნქციონირების პირობებში და ასახოს ინსტიტუტების ზეგავლენა მოცემულ საზოგადოებაზე;

4. ეკონომიკა არის ღია ევოლუციური სისტემა, ვითარდება ბუნებრივ გარემოში და განიცდის ტექნოლოგიის ზემოქმედებას. ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედების (ტექნოლოგიის) პროცესი ევოლუციურია და ამ პროცესში ადამიანებს შორის წარმოქმნილი ურთიერთობებიც იცვლებიან, შესაბამისად ეკონომიკა შეისწავლის როგორც ბუნებაზე ზემოქმედების პროცესში წარმოქმნილ ეკონომიკურ კავშირურთიერთობებს, ასევე იკვლევს საკუთრივ მოქმედ სუბიექტთა შორის ჩამოყალიბებული კავშირების ეკონომიკურ შინაარსსაც. ამიტომ ეკონომიკური მოვლენები განიხილება სოციალური, კულტურული, პოლიტიკური და ხელისუფლებითი ურთიერთობების ფართო კომპლექსში;

5. ინსტიტუტები ადამიანებზე ახდენენ ფუნდამენტალურ გავლენებს, მათზე (ადამიანებზე) მოქმედებს ინდივიდუალური და კულტურული სიტუაციები. ამიტომ ადამიანის ქცევები იმ საზოგადოებრივ გარემოში, რომელთანაც იგი ურთიერთობს ინსტიტუტების მეშვეობით ყოველთვის რაციონალური არ არის, რადგანაც ექვემდებარება ინსტიტუტების მიერ განსაზღვრულ პირობებს და ნორმებს.

ჯეფრი ჰოგსონის მიერ ჩამოყალიბებული ინსტიტუციური ეკონომიკის ეს ხუთი მახასიათებელი, მიუხედავად იმისა, რომ ახალი ინსტიტუციონალიზმის წარმომადგენლები შეეცადნენ გარკვეული კორექტირება შეეტანათ ამ დებულებებში, დღესაც განასხვავებს ინსტიტუციონური ეკონომიკის წარმომადგენლებს დანარჩენი მკვლევარებისგან.

ამგვარად, ინსტიტუციური ეკონომიკის მნიშვნე-

ლოვანი წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ სწორედი ამ ხუთი პრინციპული მნიშვნელობის მახასიათებლით განისაზღვრება ინსტიტუციური ეკონომიკის სტრუქტურული თავისებურება და ანიჭებს მას ერთიან სისტემურ ხასიათს. მართალია შესაძლებელია, რომელიმე მათგანი ჩამოყალიბდეს სხვა რექციით, კერძოდ, ინსტიტუციონალური ეკონომიკის თეორიის რომელიმე ავტორიტეტულმა წარმომადგენელმა შეიტანოს მასში კორექტივები, რაც საკმაოდ ხშირად ხდება, მაგრამ უმთავრესი მახასიათებელი, კერძოდ ის, რომ ადამიანების ყოველგვარ, მათ შორის ეკონომიკურ აქტივობაზე უდიდეს ზეგავლენას ახდენენ ინსტიტუტები და ეკონომიკური კონტრაგენტები განიცდიან ინდივიდუალური და კულტურული გარემოებების ფუნდამენტალურ ზეგავლენას, ყველა ინსტიტუციონალისტისათვის უდავოა. ეს პრინციპი ერთნაირად მისაღებია, როგორც ძველი, ასევე ახალი ინსტიტუციონალიზმისათვის.

4. პოზიტიურია თუ ნორმატული ინსტიტუციური ეკონომიკური თეორია? ჯეფრი ჰოგსონის მიხედვით ვხედავთ, რომ პირველი პრობლემა, რომლის გადაწყვეტასაც ინსტიტუციური ეკონომიკური თეორია ცდილობს, არის მისი **პოზიტიური** ხასიათის დასაბუთება. ამავე დროს, ინსტიტუციონალისტებს კარგად ესმით, რომ ნორმატულისა და პოზიტიური ანალიზის სრული გაცალკეება ერთმანეთისგან შეუძლებელია.

მართლაც, პოზიტიური ანალიზის წარმოებისას, ნებისმიერი მკვლევარი გარკვეულ ფაქტებს ეყრდნობა და ემპირიულ მასალას იყენებს. ამ თვალსაზრისით ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის წარმომადგენლები, რომელთათვისაც ამოსავალია ღირებულებათა სისტემა, რომელიც **რაციონალურობას, მაქსიმალიზმსა და წონასწორობას** ემყარება, თავიანთ კვლევებში, ცალკეული პრობლემების ანალიზისას, ფაქტიურ მასალას იყენებენ და ხშირად მათი გამოცალკეება ინსტიტუციონალისტებისგან გართულებულია. ასევე ინსტიტუციონალისტები, თავიანთ მსჯელობაში ეყრდნობიან ღირებულებებს, უფრო სწორად, გულისხმობენ მათ და საკუთარი მსოფლმხედველობიდან გამომდინარე ცდილობენ ახსნან მიმდინარე ეკონომიკური პროცესების შინაარსობრივი მხარე.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ პოზიტიური და ნორმატული ანალიზი ერთმანეთს გულისხმობს, ნებისმიერ ეკონომიკურ კვლევაში, ინსტიტუციონალისტური თეორიის ამოსავალია მისი უპირატესად პოზიტიური ხასიათი.

ინსტიტუციონალისტური თეორიის მიმდევრებს აინტერესებთ, როგორია ეკონომიკა დღეს, შინაარსობრივად რას წარმოადგენს მიმდინარე ეკონომიკური პროცესები. მაგრამ ამავე დროს კარგად ესმით, რომ არსებული მდგომარეობის დადგენა შეუძლებელია, თუ გარკვეულ ფასეულობათა სისტემას არ ეყრდნობი. მაგალითად, თუ დაადგინე, რომ

არსებობს სიღარიბე, ეს არ ნიშნავს იმას, რომ კარგია რომ სიღარიბე არსებობს და კვლავაც უნდა გააგრძელოს არსებობა, მაგრამ ისინი ერიდებიან იმის განსაზღვრას, თუ როგორი უნდა იყოს ის ეკონომიკა, სადაც სიღარიბე არ იქნება. ნორმატიული და პოზიტიური ანალიზის ასეთი ურთიერთდამოკიდებულება (ურთიერთშეღწევადობა) სრულიად არ ნიშნავს, რომ ეპისტომოლოგიური თვალსაზრისით ისინი განუყოფელია.

მას შემდეგ რაც **დავით ჰიუმმა** შენიშნა, რომ შეუძლებელია არსებულის ანალიზით დადგინდეს მორალური ნორმები, ლოგიკოსები შეთანხმდნენ, რომ განსჯიდან, რომელიც გამომდინარეობს მაკავშირებელიდან „არის“, გადასვლა განსჯაზე, რომელიც გამომდინარეობს მაკავშირებელიდან „უნდა“ - შეუძლებელია. ამ პრინციპს ჰიუმის გილიოტინასაც უწოდებენ და მას ფართოდ იყენებენ როდესაც ახდენენ ეკონომიკურ შეხედულებათა კლასიფიკაციას. ეკონომიკური ისტორიის ცნობილი მკვლევარი **მარკ ბლაუგი** შეეცადა, ამ პრინციპის გამოყენებით, პოზიტიური და ნორმატიული ეკონომიკური თეორიის მიმდევრების მიხედვით, ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებული მიმართულებების კლასიფიკაცია მოეხდინა.

ჰიუმის გილიოტინას ფართოდ იყენებდა ფილოსოფოსი **კარლ პოპერი** („ღია საზოგადოების“ თეორიის ავტორი და ჩვენთვის კარგად ცნობილი ჯორჯ სოროსის მასწავლებელი. ავტ.) და ბევრი სხვა მეცნიერი.

აგრეთვე მხედველობაშია მისაღები ის რომ:

1. ჰიუმის გილიოტინა ეპისტემოლოგიური მნიშვნელობის ფუნდამენტალური პრინციპია, რომელიც ეკონომიკური პროცესების ონტოგენეზის დადგენისას თავის მნიშვნელობას კარგავს, რადგან პროცესის ისტორიული ანალიზი არ საჭიროებს რაიმე წინასწარ განსაზღვრულ ფასეულობების სისტემის არსებობას;

2. ეკონომიკური თეორიის მხოლოდ პოზიტიურ მეცნიერებად წარმოდგენა ანიჭებს მას იდეოლოგიის შინაარსს, რადგან ეკონომიკური კვლევა ვერ იქნება თავისუფალი იმ ღირებულებათა სისტემისგან, რომელთა მატარებელიცაა მკვლევარი.

ამ მეთოდოლოგიური წანამძღვრებიდან გამომდინარე, ეკონომიკური ანალიზის დროს მუდმივად უნდა გვახსოვდეს ჰიუმის გილიოტინა და შევეცადოთ თავი დავალწიოთ საკითხისადმი დოქტრინარულ მიდგომას.

შესაბამისად, როდესაც დღეისათვის საქართველოში ავსტრიული სკოლის შეხედულებათა სისტემა ბატონობს, აკდემიურ წრეებში და ეკონომიკურ პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პირები ამ თეორიის საფუძველზე მოქმედებენ. მისი დებულებების უკრიტიკოდ დროისა და ადგილის მიმართებიდან გამომდინარე კორექტივების გარეშე, იგი პრაქტიკულად იდეოლოგიურ დოქტრინად იქცა და უდიდეს ზეგავლენას ახდენს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე.

ამის მაგალითია 2011 წელს მიღებული „კანონი მენარმეობის თავისუფლების შესახებ“, რომელმაც ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკის ფუნდამენტალური საკითხები მიმდინარე პოლიტიკის სფეროს ფორმალურად ჩამოაშორა. ასეთი ინდოქტრინალური მიდგომა, შეუძლებელს ხდის ეკონომიკურ-პოლიტიკური პროცესი ჯანსაღ პოზიტიურ ანალიზს დაექვემდებაროს და ობიექტურად მიმდინარე ცვლილებების მისადაგება ყავლგასული ნორმებისა და ნორმატივების მიმართ ხდება. ის ფაქტი, რომ აღნიშნული კანონი საგადასახადო ნორმატივების ცვლილებას კრძალავს, განაპირობებს ამ აკრძალვით გამოწვეული შეზღუდვების სხვა ეკონომიკური მექანიზმებისა და ბერკეტების მეშვეობით კომპენსირებას, რაც მაკროეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების დეფორმაციას იწვევს.

აქედან გამომდინარე, ჩვენთვის მნიშვნელოვანია პოლიტიკური „დოქტრინარობისგან“ განთავისუფლება და მიმდინარე პროცესების პოზიტიური ანალიზის საფუძველზე, ჩვენთან მიმდინარე ეკონომიკური პროცესების შინაარსობრივი მახასიათებლების გარკვევა. ამგვარად გამოდის, რომ ეპისტემოლოგიურ საკითხს, პოზიტიურია თუ ნორმატიული ეკონომიკური თეორია, ეკონომიკურ პოლიტიკაში რეალური, ონტოლოგიური მნიშვნელობა ენიჭება და ამიტომ უდიდეს პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს.

ეკონომიკური მეცნიერების პოლიტიკაზე ზემოქმედების საკითხმა წარმოშვა ის საერთო პოზიცია, როდესაც ეკონომისტები (არა მარტო ინსტიტუციონალისტები) ცდილობენ გაემიჯნონ ღირებულებით ანალიზს და მაკავშირებელი „უნდას“ ნაცვლად გამოიყენონ მაკავშირებელი „არის“. საქმე ისაა, რომ როდესაც ავსტრიული სკოლის წარმომადგენლებმა (**ადოლფ ვენგერი**) კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს ეკონომიკის ისტორიული სკოლის (**გუსტავ ფონ შმოლერი**) მიდგომები, გაემიჯნენ კონკრეტულ ისტორიულ პირობების შესწავლას და ამით შეეცადნენ დაეფუძნებინათ ეკონომიკური თეორია, როგორც მეცნიერება, როგორც კატეგორიათა ისეთი სისტემა, რომელიც ზოგადი იქნებოდა ნებისმიერი ეკონომიკური პრაქტიკისათვის, მიუხედავად მოცემული ეროვნული ეკონომიკური სინამდვილის, ისტორიული წანამძღვრებისა და სოციალურ-კულტურული თავისებურებებისა.

გერმანულმა ისტორიულმა სკოლამ ვერ გაუძლო ისტორიულ გამოცდილებას, იგი ჯერ გარდაიქმნა ახალ ისტორიულ სკოლად (**ვერნერ ზომბარტი**), ნაციისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო მიმართულება გაქრა და არსებობას განარძნობს მხოლოდ ცალკეული ეკონომისტების ნაშრომებში.

ამ საკითხზე ყურადღებას ვამახვილებთ იმის გამო, რომ:

1. დღეისათვის არიან ეკონომისტები, რომლებიც ინსტიტუციონალურ და ისტორიულ სკოლებს ერთ-

მანეთს უკავშირებენ და მიაჩნიათ, რომ მათ შორის საერთო საფუძველი არსებობს

2. ისტორიულმა სკოლამ, როგორც ნორმატიულმა მიმართულებამ მიგვიყვანა ნაციზმთან და ამიტომ მასთან დაკავშირებული სხვა მიმართულებებიც თავის თავში გარკვეულ საშიშროებებს შეიცავენ.

მიგვაჩნია, რომ ინსტიტუციონალურ და ისტორიულ სკოლებს ის საერთო აქვთ, რომ ეკონომიკურ კონტრაგენტებს ისტორიულ, მოცემულ სოციალურ-კულტურულ გარემოებათა არეალში განიხილავენ, ხოლო კვლევის ობიექტის თვალსაზრისით პრინციპულად განსხვავებულ პოზიციებზე დგანან. რადგან ისტორიული სკოლისათვის შესწავლის საგანია ეროვნული ეკონომიკა, როგორც მთლიანი და მისი ანალიზის არეალი შემოიფარგლება მოცემული ქვეყნის პოლიტიკური საზღვრებით. ხოლო ინსტიტუციონალისტებისთვის კვლევის ობიექტი ინსტიტუტებია, მიუხედავად მათი პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობისა.

განსხვავებით ლიბერტარიანული ეკონომიკური თეორიებისაგან, რომლებიც ასაბუთებენ, რომ ეკონომიკა არის პრაქსიოლოგიური სამეცნიერო დისციპლინა, ინსტიტუციონალისტები მიიჩნევენ, რომ ისინი არ იძლევიან პოლიტიკურ რეკომენდაციებს, მხოლოდ ცდილობენ, ობიექტური ლოგიკის საფუძველზე, დაადგინონ საზოგადოების განვითარების აუცილებელი ნორმები და გაარკვიონ ინსტიტუტების ევოლუციური განვითარების მიმართულებები. ამასთან აღნიშნავენ, რომ ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში უაღრესად დიდია ამ თეორიის მნიშვნელობა. ეს ერთი შეხედვით უწყინარი მსჯელობა ხშირად დიდი ვნებათაღელვის საფუძველი ხდება. ამის მიზეზი კი ისაა, რომ უაღრესად რთულია იმის დაგენა, თუ რა ხდება ჩვენს გარშემო დროის მოცემულ მონაკვეთში.

5. ინსტიტუციური ეკონომიკური თეორიის მრავალდისციპლინარული ხასიათი. როდესაც ეკონომიკური თეორიის მრავალდისციპლინარულ ხასიათზე საუბრობენ, მხედველობაში, ეკონომიკური პროცესების კვლევაში, სხვა მეცნიერებების მიღწევების გამოყენება აქვთ. ნათელია რომ მეცნიერებებს შორის შინაგანი მდგრადი კავშირები არსებობს და ხშირად ისინი ერთმანეთის კვლევის საგნებში იჭრებიან. შესაბამისად ჩნდება ახალი სამეცნიერო მიმართულებები, რომლებიც ორი, ან რამოდენიმე სამეცნიერო დისციპლინის ნაწილთა გაერთიანებით ყალიბდება.

მაგალითად, დღეისათვის საკმაოდ პოპულარულია ეკონომიკური თეორიისა და ფსიქოლოგიის სინთეზის შედეგად ჩამოყალიბებული ბიჰევიორული (ქცევითი) ეკონომიკა. მის ორ წარმომადგენელს **დანიელ კანემანს** და **რობერტ ტალერს** ნობელის პრემიებიც მიენიჭათ. ასევე ეკონომიკის ფუნქციონირების მექანიზმის ახალი სტრუქტურული ინსტიტუციური წარმონაქმნების მკვლევარს **ვერნონ სმიტს** მიენიჭა ნობელის პრემია. ამ მეცნიერულ

ავტორიტეტებს იმიტომ მოვიხსენიებთ, რომ ისინი არ არიან ინსტიტუციური ეკონომიკური თეორიის წარმომადგენლები, მაგრამ ფსიქოლოგიური კვლევებით **დანიელ კანემანი ამოსტვერსკისთან** ერთად მივიდა ბიჰევიორული თეორიის საფუძველთან. ასევე **რობერტ ტალერი** თავის კვლევებში ეყრდნობა ადამიანების ქცევის იმ თავისებურებებს, რომლის საფუძველზეც ჩნდება რომელიმე ეკონომიკური ინსტიტუტისადმი ნდობა, ან ხდება მისი უარყოფა. ხოლო **ვერნონ სმიტმა**, სოციოლოგიური ექსპერიმენტების საფუძველზე, შეიმუშავა აუქციონების ჩატარების ახალი ფორმები და კონკურენციის თეორია იმით გაამდიდრა, რომ უჩვენა, ცალკეულ შემთხვევებში, კონკურენტულ პროცესებზე გეგმაზომიერი, წინასწარგანსაზღვრული მეთოდებით დადებითი ზემოქმედების შესაძლებლობები.

ეს ყველა ძალისხმევა ადასტურებს ინსტიტუციური თეორიის სწორ, შინაარსობრივ წარმოდგენას ეკონომიკის კვლევის საგანზე და მეთოდზე. ადასტურებს, რომ ეკონომიკური მოვლენები საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთიან გარსში არსებობენ და მათი კვლევა მხოლოდ აბსტრაქციების მეთოდით, კონკრეტულობიდან (მრავალმხრიობიდან) წმინდა ეკონომიკური შინაარსის მქონე მოვლენის გამოცალკევებით - კონტრპროდუქტიულია. აბსტრაქციების მეთოდი მაშინაა შედეგიანი და კვლევის უნივერსალური საშუალება, თუ იგი მიმართულია კონკრეტულისაკენ და წარმოდგენს აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ აღმავლობას.

აბსტრაქტულის, ნაწილის, მახასიათებლის გამოყოფა მთელიდან, კონკრეტულიდან, მრავალმხრივიდან, თვითმიზანი კი არ არის, არამედ ამ კონკრეტულის სრულყოფილად შეცნობის აუცილებლობიდან მომდინარეობს.

ამ თვალსაზრისით, როდესაც კლასიკურ ეკონომიკურ კვლევებს ვაკვირდებით ვხედავთ, რომ თეორიები თვითკმარ ხასიათს იღებს. ასეთი აბსტრაქტიზმებით შექმნილი მოდელები, იმდენად აბსტრაქტულები არიან, რომ რეალობასთან საერთო აღარაფერი აქვთ.

მაგალითად, როდესაც ბაზრის წონასწორობას იხილავენ, შექმნილი მათემატიკური მოდელები მთლიანად განყენებულები არიან იმ რეალური საბაზრო ძალებისაგან, რომლებიც საბოლოო ჯამში განაპირობებენ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების რეალურ შედეგებს. მაგალითად **ლეონ ვალრასის** საბაზრო წონასწორობის მოდელი, მიწოდება-მოთხოვნას შორის, დროში მიმდინარე ისეთ დამოკიდებულებას გულისხმობს, როდესაც სასურველი საქონლის ბაზარზე მოპოვება სრულეობით არაა დაკავშირებული დამატებით ხარჯებთან. იმდენია რამდენიც საჭიროა და აუცილებლად იყიდება. ანუ, რაც ინარმოება ის იყიდება და არავითარი სხვა პრობლემები ბაზარზე არ ჩნდება. ეს მაშინ, როდესაც ყველასათვის ნათელია, რა დრო და ენერგიაა საჭირო იმისთვის, რომ ჩამოყალიბებული

მოთხოვნების რეალიზაცია მოახდინო. იმის გამო, რომ მყიდველსა და გამყიდველს შორის ინფორმაცია ასინქრონული ხასიათისაა და სასურველი საგნის მოპოვებისთვის უამრავი დრო და სახსრები ეხარჯება მყიდველს, კლასიკური ეკონომიკური მოდელები ყოველივე ამისაგან აბსტრაჰირებას ახდენენ. შესაბამისად პრობლემის შესწავლის არეალი ვინროვდება და ეკონომიკურ აგენტებს შორის შექმნილი ურთიერთობები დაიყვანება ყიდვა-გაყიდვის ფორმალურ აქტამდე. ეს მაშინ, როდესაც ნებისმიერი ეკონომიკური აქტი ისეთი საზოგადოებრივი კონკრეტულობაა (მრავალმხრიობაა), რომელიც გულისხმობს ადამიანთა შორის მეტოქეობას, რასაც კონკურენციას უწოდებენ და მხოლოდ ეკონომიკურ ასპექტში განიხილავენ, მაშინ როდესაც იგი გულისხმობს გამოვლენის ზნეობრივ, ფსიქოლოგიურ, სოციალურ და იურიდიულ მახასიათებლებსაც. ხოლო, თუ ამ მოვლენას შედარებითი დინამიკის (ევოლუციის) ასპექტში განვიხილავთ, ცხადად შევნიშნავთ, რომ ეს პროცესი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული ისტორიული ტრადიციებით ხორციელდება და ანთროპოლოგიურადაც საზოგადოების განვითარების ტენდენციებზე ახდენს მძლავრ ზეგავლენას.

ინსტიტუციური ეკონომიკური თეორიის მიმდევრები ფართოდ იყენებენ თვითნებ კვლევებში მათემატიკურ აპარატს, რაც იმას მოწმობს, რომ კლასიკური ეკონომიკური თეორიის აბსტრაქტური მოდელები მათემატიკის გამოყენების შესაძლებლობებით კი არ არის განსაზღვრული, არამედ თვით ამ თეორიის შინაარსიდან გამომდინარეობს. ინსტიტუციონალისტები ცდილობენ ეკონომიკური პროცესი აღწერონ თავის კონკრეტულობაში, გარდა ეკონომიკურისა სხვა იმ ურთიერთობათა ზეგავლენების გათვალისწინებით, რომლებიც გამომდინარეობს მოქმედი კონტრაგენტების თანამშრომლობიდან და აქტიურად ზემოქმედებენ მათ ქცევაზე.

ამიტომ ინსტიტუციური ეკონომიკური თეორია კვლევის პროცესში ფართოდ იყენებს სხვა მეცნიერებების მიღწევებს და ამით ამდიდრებს საკვლევით თემის შინაარსს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ინსტიტუციონალიზმის წარმომადგენლები თვლიან, რომ ეკონომიკური თეორია იმდენად არ საჭიროებს სხვა მეცნიერებების მიღწევების შესწავლას, რამდენადაც სხვა სოციალური და ჰუმანიტერული მეცნიერებები საჭიროებენ ეკონომიკური თეორიის შესწავლას. მიგვაჩნია, რომ საკითხის ამგვარი დაყენება არ აუქმებს ინსტიტუციონალური კვლევების მრავალდისციპლინარულ ხასიათს, პირიქით ხაზს უსვამს ინსტიტუტების განვითარებაში ეკონომიკური შემადგენლის მნიშვნელობას. ეს შინაარსობრივად განსხვავებული საკითხია, რომელიც გამომდინარეობს ეკონომიკური თეორიის ღია სისტემური ხასიათიდან და ჩვენ შევეცდებით მასზე პასუხი ამ სტატიის მე-7-ე უბნეტში გავცეთ.

6. ინსტიტუტები - ეკონომიკური თეორიის კვლ-

ევის ძირითადი საგანი ტერმინის „ინსტიტუტი“ მრავალი განმარტება არსებობს. სემანტიკურად, ლათინური წარმოშობის სიტყვა *institutum* ითარგმნება, როგორც დადგენილი წეს-ჩვეულება, ადათი, აგრეთვე დანესებულება ან რაიმე მოვლენის საფუძველი. ამ ტერმინის მრავალგვარი გამოყენება არსებობს. ანსხვავებენ იურიდიულ და სოციალურ ინსტიტუტებს. სასწავლო და სამეცნიერო დანესებულებებსაც აღნიშნავენ ამ ტერმინით. ასე, რომ თვით ტერმინი **ინსტიტუტი** და მისი სემანტიკური შინაარსი ვერ დაგვეხმარება გავარკვიოთ, თუ რას გულისხმობენ ეკონომიკური თეორიის წარმომადგენლები, როდესაც მეცნიერებას უწოდებენ ინსტიტუციონალურ ეკონომიკას. უფრო სწორად, როდესაც ტორსტენ ვებლენის მონოგრაფია „უსაქმურთა კლასის თეორია: ინსტიტუტების ეკონომიკური ანალიზი“ გამოვიდა, დასაბამი მიეცა ინსტიტუტების ეკონომიკურ შესწავლას.

ერთი რამ იმთავითვე ცხადი გახდა, ვებლენი და მისი მიმდევრები ინსტიტუტებს, რომელსაც ისინი მიიჩნევენ ამ მეცნიერული მიმართულების კვლევის მთავარ საგნად, განიხილავდნენ, როგორც სოციალური ინსტიტუტების რიგის მოვლენებს და მათი მხოლოდ ეკონომიკური კვლევის ობიექტად გააზრება თითქმის შეუძლებელად მიაჩნდათ. თუმცა გამონაკლისს წარმოადგენს ფორმა, როგორც კორპორაციული კაპიტალის ფუნქციონირების ფორმა, რომელიც ინსტიტუციური ეკონომიკის შესწავლის მთავარ ობიექტს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ისტორიულ რეალობაში, ტორსტენ ვებლენის აზრით, ადამიანთა შორის მყარდება ურთიერთობები, რომლებიც თავისი არსით, ადამიანების მიერ ბუნების რესურსების მოპოვების, გადამუშავების და მითვისების პროცესი მრავალმხრივ ურთიერთობათა არსებობის სოციალური ფორმებია, რომლებიც წარმოგვიდგებიან, როგორც ინსტიტუტები. თავის მხრივ, ინსტიტუტები განიცდიან გარემოს, ტექნოლოგიების (ადამიანების ბუნებაზე ზემოქმედების) პროცესში მიმდინარე შრომის დანაწილების, საქმიანობის სპეციალიზაციის ზეგავლენას. შესაბამისად მათი ფუნქციონირების ხასიათიც იცვლება, რთულდება, იზრდება მათი მრავალგვარობა. გარდა ამის, როგორც **არმენ ალჩიანი** ამბობდა თავის დროზე, „ყველგანშედნევადი კონკურენცია სპობს შედარებით სუსტ ინსტიტუტებს და ზრდის იმ ინსტიტუტების სიცოცხლისუნარიანობას, რომლებიც უკეთესად წყვეტენ ადამიანების წინაშე არსებულ პრობლემებს“. (**Армен Алчиан**, ციტირებულია დუგლას ნორტის ნაშრომიდან, „ინსტიტუტები, ინსტიტუციური ცვლილებები და ეკონომიკის ფუნქციონირება“ **Дуглас Норт 11. 15**).

ეკონომიკური ურთიერთობები მყარდება ერთმანეთისაგან გამოცალკევებულ სამეურნეო სუბიექტებს შორის, რომლებიც იღებენ ინსტიტუციურ ფორმებს. ადამიანები მუდმივ წინააღმდეგობაში არიან ამ ინსტიტუტებთან, რომლის შემადგენლო-

ბაშიც ისინი ეკონომიკური განვითარების ობიექტური პროცესის ძალით შედიან და ეს წინააღმდეგობა არის ინსტიტუტების შინაგანი არსებითი კავშირის გამოვლენა, რომელიც ხდება მისი განვითარების დიალექტიკის საფუძველი. ინსტიტუტები აღმოცენდებიან როგორც სავალდებულო შეზღუდვები გამოცალკევებულ დამოუკიდებელ სუბიექტებისათვის. ადამიანები იღებენ ამ ინსტიტუტებს, როგორც ობიექტურობას, მათგან დამოუკიდებლად განვითარებად სოციალურ წარმონაქმნებს, რომლებიც განაპირობებენ მათი ეკონომიკური აქტივობის პირობებს.

დუგლას ნორტი ეკონომიკური ზრდის ისტორიული თავისებურებისადმი მიძღვნილ სტატიაში წერდა: რომ „ინსტიტუტები ეს არის წესები, მათი განხორციელების უზრუნველმყოფი მექანიზმები და ქცევის ნორმები, რომლებიც ადამიანებს შორის განმეორებად ურთიერთობებს სტრუქტურულ ფორმაში აყალიბებს. ამგვარად, ინსტიტუტები ეკონომიკური აგენტებისათვის განსაზღვრავენ და შემოფარგლავენ მოქმედების ალტერნატივათა სპექტრს.“ (**დუგლას ნორტი 11**).

სხვა მონოგრაფიაში, რომელიც ეძღვნება ინსტიტუტების როლს ეკონომიკის ფუნქციონირებაში, იგი წერს: რომ „ინსტიტუტები არის საზოგადოებაში არსებული „თამაშის წესები“, ანუ უფრო ფორმალურად რომ გამოვთქვათ, ადამიანის მიერ შექმნილი შემზღუდავი ჩარჩოები, რომლებიც განაპირობებენ ადამიანებს შორის თანამშრომლობას.“ (**დუგლას ნორტი 11**). ინსტიტუტების ასეთი წარმოდგენა გამოდინარეობს იმ დამოკიდებულებიდან, რომლებიც უჩნდებათ ადამიანებს, როდესაც ისინი ერთიანდებიან ინსტიტუტებში. ამასთან ეს შეზღუდვა ადამიანის თავისუფლებიდან და მისი მოქმედების არეალის სტრუქტურირების აუცილებლობიდან გამომდინარეობს.

ე.ი. ადამიანი ინსტიტუტების მიერ შეზღუდულია იმიტომ, რომ თავისუფალია და არა იმიტომ, რომ იგი შეზღუდულია და ინსტიტუტები უქმნიან მოქმედების რეგლამენტს. ხოლო თავისუფლება, მისი შენარჩუნება მოითხოვს ძალას, რომლის მატარებლებიც ეს ინსტიტუტებია. არ გამოვრიცხავთ, რომ შესაძლებელია და ასეთი ფაქტების მონმე ვხდებით ხოლმე, როდესაც ძალა ენაცვლება თავისუფლებას და როგორც თავის დროზე **ბლეზ პასკალმა** სწორად შენიშნა, მთლიანად მოიცავს მას. ასეთი მოვლენებისაგან არასოდეს არა ვართ დაზღვეული და სწორედ ამიტომ ადამიანისა და ინსტიტუტების შინაგანი წინააღმდეგობები ხდებიან განვითარების საფუძველი. ადამიანი - ინსტიტუტის დიალექტიკური ერთიანობა განაპირობებს იმ ცვლილებებს, რომელიც საბოლოო ჯამში საზოგადოების დინამიზმის ევოლუციის მახასიათებლად გვევლინებიან.

ინსტიტუტები მოიცავენ ყველა შეზღუდვებს, რომლებსაც ადამიანები თავის თავს უწესებენ. მნიშვნელობა არა აქვს ინსტიტუტები ფორმალურია თუ,

არაფორმალური. ანუ, როგორ ფუნქციონირებენ დანერილი და საზოგადოების მიერ აღიარებული წესების საუძველზე, თუ კონვენციურად, როგორც საზოგადოებრივი შეთანხმებები ქცევის წესების შესახებ. ასევე მნიშვნელობა არა აქვს, როგორ აღმოცენდნენ ისინი, ადამიანებმა გამოიგონს, თუ ისტორიული მსვლელობის საფუძველზე ჩამოყალიბდნენ. ამიტომ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინსტიტუტები, როგორც საზოგადოებრივი პირობითობები, რომლებიც თავისი შინაარსით **კონვენციურია**, ვითარდება დაუნერელი „კანონების“ საფუძველზე, მაგრამ მკაფიოდ განსაზღვრავს საზოგადოებაში ადამიანის ქცევის წესებს, ისევე ზღუდავენ ადამიანის საქმიანობას, როგორც ის ინსტიტუტები, რომლებიც ადამიანებმა შექმნეს, მიანიჭეს მათ იურიდიული ძალა. მაგალითად: კონსტიტუცია, კანონები, სხვადასხვა საზოგადოებრივი და რელიგიური დანესებულებები, ან ისტორიული განვითარების შედეგად ჩამოყალიბდნენ, როგორც სათემო სამართალი.

საზოგადოების სტრუქტურირება ინსტიტუტების მეშვეობით, საზოგადოებაში ადამიანის აქტიური შემოქმედებითი საქმიანობის მოსანერსივებლად ჩნდება. ერთმანეთისგან გამოცალკევებული თავისუფალი მენარმეების გაჩენისთანავე, როდესაც მათ შორის აუცილებლობით მყარდება ზნეობრივ პრინციპებზე აგებული საქმიანი ურთიერთობები, იქმნება მესამე პირის მონანილეობის აუცილებლობა. ეს მესამე პირი პასუხისმგებელია დაიცვას საკუთრებითი უფლებები, ყურადღება მიექციოს ურთიერთობებში მონანილე აგენტებს შორის წინასწარ დადებული შეთანხმებების დროულ შესრულებას.

თუ დავაკვირდებით ადათის სამართალი თანამედროვე სამართლისაგან, რომელიც ეყრდნობა სახელმწიფოს უფლებამოსილებებს, იმით განსხვავდება, რომ ყოველთვის გულისხმობს უზენაეს ძალას. აქ მესამე ძალა არ არსებობს, მაგრამ იგულისხმება. ამიტომ, იგი განიხილავს არა მხოლოდ ერთი აგენტის პრეტენზიას მეორეს მიმართ, არამედ ავლენს დამნაშავეს უფლისა და კაცის წინაშე. ამგვარად, მაშინაც კი, როდესაც სტრუქტურულად არ არსებობს, მესამე ძალა მონანილეობს ადამიანთა შორის წარმოქმნილ ურთიერთობებში. შემდეგ, როდესაც იგი რეალურად ჩნდება, მონანილეობას იღებს ინსტიტუტების სახით საზოგადოების სტრუქტურირებაში და აყალიბებს თავისუფალი ადამიანებისათვის ქცევის დიაპაზონის განმსაზღვრელ მოთხოვნებს.

საზოგადოების ასეთი სტრუქტურირება ბევრი ფაქტორით არის განპირობებული. მთავარი ისაა, რომ ადამიანის ქცევა, ნებისმიერი აქტივობა სისტემის ფუნქციაა, რომელიც თავისი არსებობით და გამოვლენის განსაკუთრებული ფორმით, ისტორიულ პროცესში ინდივიდის და კულტურის განვითარების შედეგად ყალიბდება. იმ აქტივობებისადმი, რომლებსაც ავლენს ინდივიდი, ან ადამიანთა ჯგუფ-

ფები საზოგადოებაში, არ დაისმის კითხვა „რატომ“, რადგან ამ აქტივობის ატრიბუტია მოქმედი სუბიექტის მიზანი და მისადმი ისმება კითხვა „რისთვის“. შესაბამისად, თუ გვაინტერესებს ადამიანების აქტივობები ეკონომიკის სფეროში, უნდა ვიცოდეთ ის რეალური მოტივები რაც ანაპირობებს ასეთ და არა სხვაგვარ ქცევებს. ამიტომ დაშვება, რომ ადამიანები ეკონომიკის სფეროში რაციონალურები არიან და მუდმივად ისწრაფვიან შედეგების მაქსიმიზაციისკენ, საკითხის ეპისტემოლოგიური (შემეცნებითი) შეზღუდვაა, შესაბამისად შეზღუდულად წარმოაჩენს ამ ურთიერთობათა სისტემას რეალობაში, საგანთა ონტოგენეზისის თვალსაზრისით.

ეკონომიკური პროცესების ანალიზის დროს, როგორც წესი, მკვლევარები ცდილობენ თავი აარიდონ საზოგადოებაში წარმოქმნილ ისეთ მოვლენებს, რომლებიც არ გამომდინარეობენ რაციონალიზაციის პრინციპიდან. მაგალითად, ფარული მითვისების (ქურდობა, კორუფცია), პროდუქციის ფალსიფიკაციის, არაეკონომიკური ძალდატანებების და სხვ. საკითხებს არ განიხილავენ, როდესაც ცდილობენ ააგონ მეცნიერების კატეგორიათა სისტემა. მიიჩნევა, რომ ეს მოვლენები წარმოადგენს ერთგვარ პათოლოგიებს ეკონომიკის ჯანსაღ სხეულზე და ამიტომ მეცნიერების დიდი ყურადღების ღირსი არ არიან. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ სწორედ ეს პათოლოგიებია ის მოვლენები, რომელთა ანალიზითაც შეგვიძლია დავინახოთ განვითარების რეალური გზა. რადგანაც ეს ეგრეთ წოდებული „პათოლოგიები“, რეალურად ადამიანთა აქტივობის შედეგებია და ამ აქტივობათა მოტივაციის საფუძვლებს გვიჩვენებენ.

როდესაც გვინდა ეკონომიკური მოვლენები და პროცესები დავინახოთ მთლიანობაში, მათთვის დამახასიათებელი პათოლოგიების ზემოქმედების გათვალისწინებით, საჭიროა ერთდროულად დავსვათ ორი კითხვა:

1) როგორი იქნებოდა ნორმალური მდგომარეობა, რომელიც სისტემის განვითარებას შეუწყობდა ხელს;

2) თვით ეს პათოლოგია რა მოვლენაა, რა მიზეზ-შედეგობრივი კავშირებითაა განპირობებული მისი აღმოცენება.

საკითხისადმი ასეთი მიგომით ვრჩებით პოზიტიური ანალიზის სივრცეში და პასუხს ვცემთ საჭირობოროტო საკითხს, რომელიც სრულიად უპასუხისმგებლოდ არის გადამისამართებული სისხლის სამართლის სფეროში.

სისტემები სადაც ადამიანების აქტივობები ხორციელდება განვითარების ციკლების თანმდევრობით განიცდიან ევოლუციას. ჰომეოსტაზი, განვითარების ციკლი, სისტემების ურთიერთზემოქმედების საფუძვლზე მიმდინარეობს. ასეთი მდგომარეობა განაპირობებს დადებით უკუკავშირს, რომლის გავლენითაც სისტემების დივერგენტული

განვითარება ხდება თავსებადი და ურთიერთ ხელშემწყობი. მაგრამ იგი შედარებით სუსტ და დაბალი განვითარების სისტემებს არ უტოვებს დამოუკიდებლად ევოლუციონირების საფუძველს.

ასეთი საშიშროებების თავიდან აცილების მიზნით სისტემები შეიმუშავებენ დამცავ მექანიზმს, რომელიც უარყოფითი უკუკავშირის ფორმას იძენს და ორგანულად ერთვება სისტემის ჰომეოსტაზში და განაპირობებს მის მდგრადობას გარემოსადმი. ასეთი უარყოფითი უკუკავშირის ფუნქციას ასრულებენ ინსტიტუტები, რომლებიც შეგნებულად, მიზანდასახულად ჩამოყალიბებული „თამამის ნესები“-ა, სისტემას უნარჩუნებენ საკუთარი განვითარების პირობებით გამოიმუშაოს გარემოსთან შეგუების (ადაპტაციის) უნარი. ამიტომ ინსტიტუციონალისტი მეცნიერების უამრავი შეხსენებები იმის თაობაზე, რომ საზოგადოების განვითარების საფუძვლებს ქმნიან ის ინსტიტუტები, რომლებიც წარმოადგენენ ამ საზოგადოებრივი სისტემის სტრუქტურულ ერთეულებს, სრულიად სამართლიანია და მრავალი მეცნიერების კვლევის ერთიან შედეგს წარმოადგენს.

როდესაც განვიხილეთ ინსტიტუტები და მათი მნიშვნელობა საზოგადოების განვითარებაში, შევნიშნეთ, რომ განვითარების ციკლს, ჰომეოსტაზს, ინსტიტუტები ანიჭებენ მდგრადობას და ამავე დროს თავადვე არიან გარემოსთან სისტემური ადაპტაციის საშუალებებიც. ევოლუციური დინამიკის პროცესში ინსტიტუტები, როგორც განვითარების უმთავრესი სუბიექტები ხდებიან, ადამიანების ზემოქმედების ობიექტებიც. ეს კი ნიშნავს, რომ პიროვნებისა და მისი აქტივობის გამოვლენის არეალის, ინსტიტუტების ერთიანობა არის ის დიალექტიკური ერთობა, რომელიც შინაგანად წინააღმდეგობრივია და ქმნის განვითარების საფუძველს, ამავე დროს გვევლინება ამ განვითარების საწყის მიზეზად. ამიტომ სამართლიანად მიგვაჩნია შენიშვნა, რომ საბოლოო ჯამში, ნებისმიერი საზოგადოება ისეთია, როგორ ინსტიტუტთა ერთიანობასაც წარმოადგენს იგი. ამიტომ ცალკეული საზოგადოებების განვითარების ისტორიული ტრაექტორიები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სწორედ ინსტიტუტების არსებობისა და მათ შორის ჩამოყალიბებული იერარქიული დამოკიდებულებების თავისებურებებით.

7. ეკონომიკის, ღია სისტემური ხასიათი. ეკონომიკა მოიცავს სამართლებრივ, პოლიტიკურ, სოციალურ და სხვა ხასიათის მოვლენებსაც, ამიტომ ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემა ვერ იქნება დახურული. ახალი ინსტიტუციონალისტები თვლიან, რომ ეს თეზისი რამდენადმე შესაცვლელია. დღეისათვის ეკონომიკური პროცესები საერთო სისტემური განვითარების განმსაზღვრელი მახასიათებლები ხდებიან. ასეთმა დამოკიდებულებამ ზოგიერთი მკვლევარი, მაგალითად **ჯონ ბეიკერი**, „ეკონომიკური იმპერიალიზმის“ თეორიის შექმნა-

მდეც კი მიიყვანა. ეს თეორია გულისხმობს, რომ ეკონომიკური მომენტები ყველა სოციალურ მოვლენაშია შესამჩნევი და ხშირად მათ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ საკუთრივ ამ მოვლენების განვითარებაში.

მან შექმნა ქორწინების ეკონომიკური თეორია, სადაც ერთგვარი აბსტრაქციის მეთოდით დაასაბუთა, რომ ნებისმიერი ქორწინების წინაპირობაა მომავალი ოჯახის არსებობა-განვითარების ეკონომიკური პარამეტრების დადგენა. მისი ეს თეორია გვასწავლის, რომ მუსულმანურ ქვეყნებში არებულ მრავალცოლიანობასა და ქრისტიანულ ქორწინებას შორის განსხვავება განპირობებულია საკმარისობის პრინციპიდან გამომდინარე. მუსულმანი მეორე და მესამე ცოლით ავსებს იმ დანაკლისს, რომელიც მას ექნებოდა ერთი ცოლის ყოლის შემთხვევაში. ხოლო ევროპელისათვის ერთი ცოლი სრულიად საკმარისია. ამიტომ ოჯახის ეს ორივე ფორმა ეკონომიკური პროცესებით არის დეტერმინირებული. მისი აზრით, ასევე, ეკონომიკური მაქსიმუმის მეთოდი უნდა დაედოს საფუძვლად ადამიანებისათვის თავისუფლების აღკვეთას. ეს იმიტომ, რომ არიან ადამიანები რომლებსაც ძალიან ეშინია ციხის და თანახმა არიან დიდი საზღაური გადაიხადონ, ოღონდ არ მოხვდნენ საპატიმროს საკანში. ჯონ ბეიკერის ეს თეორიული მოსაზრება კარგად იქნა გამოყენებული 2005 - 2011 წლების საქართველოს სისხლის სამართლის პრაქტიკაში, როდესაც გამამართლებელი განაჩენის რაოდენობა მხოლოდ 0.5%-ს შეადგენდა და გასამართლებულთა უმრავლესს პატიმრობის ნაცვლად პირობითი სასჯელი ეფარდებოდა. ამიტომ ეკონომიკური თეორია, **ჯეიმს ბეიკერის (Джеймс Беккер 7. 3)** მიხედვით, სხვა სოციალურ მეცნიერებათათვის კვლევის მეთოდია.

ეკონომიკური იმპერიალიზმის წინააღმდეგ პირველებმა ინსტიტუციური თეორიის წარმომადგენლებმა გაილაშქრეს. კერძოდ **რონალდ კოუზმა** შენიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში ეკონომიკური მეცნიერება უარს ამბობს საკუთარი კვლევის ობიექტის შესწავლაზე. ის უსაგნოდ რჩება (**Рональд Коуз 9.2**), აქედან გამომდინარე შედეგებით. მაშინ, როდესაც ისეთ სოციალურ ინსტიტუტს, როგორცაა ფირმა, ვერცერთი სხვა მეცნიერება ვერ შეისწავლის. ასევე, საბაზრო მექანიზმების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ინსტიტუტები ვერ იქნებიან, გარდა ეკონომიკური მეცნიერებისა, სხვა დისციპლინათა კვლევის საგანი.

კლასიკური ეკონომიკური თეორია მიიჩნევს, რომ ადამიანები საქმიანობენ მათთვის ჩვეულ გარემოში და ეკონომიკური პროცესის შესწავლისას არა აქვს მნიშვნელობა, რა ქცევის განსაკუთრებული ფორმები ახასიათებთ მათ. მართალია კლასიკური სკოლაც უშვებს ეკონომიკის სფეროში მოქმედების ერთგვარ შეზღუდვებს, მაგრამ ისინი იმდენად უმნიშვნელოა, რომ მათ გარეშე შესაძლებელია ნებისმიერი საკითხის განხილვა. ყველაზე ფართოდ

და სრულყოფილად კლასიკური ეკონომიკური თეორიის შეზღუდვები ჩამოაყალიბა **სიდნი უინტერმა**, რომლის შეხედულებებსაც გავეცანით დუგლას ნორტის მონოგრაფიის რუსულენოვანი თარგმანის საშუალებით. (**Дуглас Норт 11.37**). სიდნი უინტერის აზრით კლასიკური ეკონომიკური თეორიის მიხედვით:

1. ეკონომიკური სამყარო განიხილება მუდმივად წონასწორობაში მყოფ დოვლათის შექმნისა და განანილების პროცესად;

2. ეკონომიკურ სფეროში მოქმედი „აქტორები“ (ამ შემთხვევაში მოქმედი პირები. ავტ.) მუდმივად ერთგვაროვან, მსგავს სიტუაციაში იმყოფებიან;

3. ინდივიდებს აქვთ მყარი პრიორიტეტები, მათ იციან რა არის მათთვის უმჯობესი და ამიტომ მათი არჩევანი გამომდინარეობს ამ უმჯობესობის კრიტერიუმიდან;

4. ნაცნობ სიტუაციაში, ნებისმიერ ინდივიდს აქვს უნარი შენიშნოს (აღმოაჩინოს) მისთვის მაქსიმალურად სასარგებლო. ასევე ხდება ფირმების კონკურენციის დროს;

5. ვერ დამყარდება ისეთი წონასწორობა, როდესაც ინდივიდები ვერ შეძლებენ მიიღონ თავიანთთვის უმჯობესი;

6. რადგანაც ეკონომიკური სამყარო წონასწორობაშია, ან ახლოა წონასწორობასთან, იგი ზემოქმედებს მაქსიმალურად ყველა ინდივიდზე;

7. მარტივად ხდება, წონასწორობის ზოგადი კანონზომიერებების მეშვეობით, თვითოეული ინდივიდის ადაპტაცია საბაზრო გარემოში, მისი დეტალების გათვალისწინებით.

როგორც ვხედავთ, ასეთი მიდგომა ეყრდნობა რამოდენიმე დაშვებას, რომელთა შორის უმთვრესია ის, რომ, ბაზარი მუდმივად წონასწორულ მდგომარეობაშია და მოვლენები „აქ“ და „ახლა“ არ განიხილება. ეს ნიშნავს, რომ, რაც ინარმოება ის იყიდება. მიწოდება მოთხოვნა მუდმივად დაბალანსებულია. ამასთან სქონლის და მომსახურების რეალიზაციაზე ხარჯები არ გაიწევა. ინსტიტუციონალისტიები კი ამ შემთხვევაში ეყრდნობიან **რონალდ კოუზის** ნაშრომებს და მიიჩნევენ, რომ საბაზრო წონასწორობის განხილვა ტრანსაქციური დანახარჯების გარეშე, არა სამართლიანია, რადგან მოწყვეტილია რეალობას. შეუძლებელია განხორციელდეს საქონლის ან მომსახურების რეალიზაცია ტრანსაქციული დანახარჯების გარეშე. ასევე, უახლოეს პერსპექტივაშიც კი შეუძლებელია ეკონომიკურმა აგენტებმა გაითვალისწინონ უცაბედად მომხდარი ცვლილებები მიწოდება მოთხოვნის სფეროში.

ტრანსაქციური დანახარჯების შესახებ **რონალდ კოუზის** მიერ ჩამოყალიბებული თეორია, რომელიც ცნობილია **კოუზის თეორემის** სახელით, ასაბუთებს, რომ **თუ საკუთრების უფლებები სამართლიანად და მკაფიოდაა განსზღვრული, ხოლო ტრანსაქციური დანახარჯები უდრის ნულს, მაშინ მოქმედი ეკონომიკური ერთეულის გასხვისების შემთხვევაში**

ეკონომიკური ეფექტიანობა არ იცვლება.

ბოლო 20-30 წელია, რაც კოუზის ეს თეორემა და საერთოდ ტრანსაქციული დანახარჯების შესახებ თეორია უაღრესად პოპულარული გახდა. ტრანსაქციული დანახარჯები უდრიდეს წულს, ინსტიტუციონალისტებს დაუშვებლად მიაჩნიათ. გარდა ამისა შესამჩნევია, რომ პროდუქციის დამზადებასა და რეალიზაციაზე საჭირო ტექნოლოგიურ დანახარჯებს ხშირად, თანამედროვე პირობებში, ტრანსაქციური დანახარჯები აჭარბებს, რომელიც სრულებით არ გულისხმობს მხოლოდ ეკონომიკური პროცესის უზრუნველყოფას.

გარდა ამისა, კლასიკური ეკონომიკა ვერ პასუხობს, ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში წამოჭრილ, „ბაზრის ჩავარდნის“ პრობლემას. სწორედ ასეთმა ბაზრის ტოტალურმა ჩავარდნებმა დეპრესიის პერიოდში წარმოქმნა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობის საკითხი, რომლის შედეგადაც კლასიკურ თეორიას გამოეყო კეინსიანელობა, დამოუკიდებელი მიმართულებების სახით. კლასიკური ეკონომიკური თეორიისათვის უცხოა ასეთი „ჩავარდნიდან“ გაამოსვლის მექანიზმების შესწავლა, რადგან დაკავშირებულია ეკონომიკაში არასაბაზრო ჩარევებთან, რაც სრულიად ზედმეტია, რადგან ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ბაზარი კვლავ დაუბრუნდება წონასწორულ მდგომარეობას.

ინსტიტუციონალისტები კი, ისე როგორც კეინსიანელები თვლიან, რომ ადამიანი მოკვდავია და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გაუჭირდება ელოდოს ამ წონასწორობის აღდგენას. როგორც ამჟამად კორონა ვირუსის პანდემიის შედეგებიდან ვხედავთ, ეკონომიკური სუბიექტები არა თუ მომხრე არიან სახელმწიფოს ჩარევისა ეკონომიკაში, არამედ მიითხოვენ ასეთ ჩარევებს ბიზნესის გადასარჩენად. გარდა ამისა, ამჟამად მეტად აქტუალური სოციალური დანახარჯების პრობლემა, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება მთელ მსოფლიოში სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლას, ადგილს ვერ პოულობს კლასიკურ ეკონომიკურ თეორიაში. ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია, ექსტერნალიების საკითხიც, რომელთა გარეშეც ვერ მიიღწევა ის საერთო საზოგადოებრივი ეკონომიკური ეფექტიანობა, რომელიც ნებისმიერი საზოგადოების მიზნობრივი ნიშნულია.

ამგვარად ინსტიტუციური ეკონომიკური თეორიის წარმომადგენლებს მტკიცედ სჯერათ, რომ „ბაზრის ჩავარდნის“, სოციალური კაპიტალის ფორმირებისა და ჰუმანური კაპიტალის განვითარებისთვის საჭირო ექსტერნალიებისათვის განეული დანახარჯების შესწავლის გარეშე, ეკონომიკური თეორია, სულ მცირე, სრულყოფილი ვერ იქნება. ამიტომ აუცილებელია რეალური ეკონომიკური პროცესების ანალიზი, მჭიდროდ იყოს დაკავშირებული სხვა საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემებთან. ასეთი ძლიერი კავშირურთიერთობე-

ბის გარეშე შეუძლებელია სრულყოფილად შევისწავლოთ საზოგადოების განვითარების ეკონომიკური საფუძვლები.

8. ინსტიტუტების ზემოქმედება ადამიანის ქცევაზე. ტორსტენ ვებლენის აზრით, „ადამიანის მოთხოვნები და სურვილები, მიზნები და ამოცანები, გზები და საშუალებები, ინდივიდის ქცევის მასშტაბი და საზრისი ინსტიტუციური ცვლადის ფუნქციაა და ამიტომ უაღრესად რთული და არა სტაბილურია.“ (**Торстен Веблен 8.167**). მივაქციოთ ყურადღება ფრაზას, „ინდივიდის ქცევის მასშტაბი და საზრისი ინსტიტუციური ცვლადის ფუნქციაა“, გასაგებად ამბობს ვებლენი, რომ ადამიანის ქცევა თავისი მასშტაბით (მოქმედების დიაპაზონით) და საზრისით (როგორ განიმარტება, გამოითქმება), ინსტიტუტის მიერ განისაზღვრებიან. მისი ეს ხედვა სრულ თანხვედრაშია უდიდესი ეტოლოგის კონრად ლორენცის სტატიის დასაწყისში მოყვანილ დებულებასთან, რომ ადამიანის ქცევა არის მთელი საზოგადოებრივი სისტემის ფუნქცია. ასევე „ინსტიტუტები და ადამიანების ქცევები ერთმანეთს ავსებენ, ამავე დროს წინააღმდეგობაში არიან, სოციალურ პროცესში ისინი მუდმივად იმარჯვებენ ერთმანეთზე.“ (**Volton Hamilton 5**) ადამიანისა და ინსტიტუტების დიალექტიკური ერთიანობა ქმნის მათი დაპირისპირების წინააღმდეგობრივ ხასიათსაც, რომელიც მთლიანად საზოგადოებრივი განვითარების საფუძველი ხდება.

ჩვენ ადრეულ ნაშრომში ვწერდით, რომ „ეკონომიკური სისტემის ცალკეული ელემენტები, ისინი, რომლებსაც გვინდა მნიშვნელობა მივანიჭოთ, სახელი დავარქვათ, გვეძლევიან მხოლოდ **ინტროსპექციულად**, რადგან ისინი, გარდა იმისა, რომ არსებობენ როგორც მუდმივად განმეორებადი, და ამავე დროს ცვალებადი ფაქტები, ფსიქიკაზე მოქმედ რეალობებსაც წარმოადგენენ და შესაბამისად დამკვირვებლის რეფლექსიისაგან არ არიან თავისუფალი.“ (**დ.აკობიძე, 1.9**). ამავე დროს ინტროსპექციული, რაიმე ეტალონებისა და ინსტრუმენტების გარეშე დაკვირვება, ერთი და იგივე საკვლევ ობიექტს, დამკვირვებლის პოზიციონირებიდან გამომდინარე, სხვადასხვაგვარად წარმოგვიდგენს. შესაბამისად ერთიდაიგივე საგანი, მოვლენა დამკვირვებლის მსოფლმხედველობიდან და სოციალური სტატუსიდან გამომდინარე სხვადასხვა ზნეობრივი არგუმენტის სახით გვეძლევა. კლასიკური ეკონომიკური თეორია, მარტივად გვანთავისუფლებს ამ სირთულიდან და ყოველივეს აქცევს ერთ გაანზომილებაში, ადამიანის რაციონალური ქცევის სტანდარტში. ჩვენ კი მრავალფეროვანი ყოველდღიურობა გვარწმუნებს, რომ ასე სრულებითაც არაა და ჩვენი ქცევა განპირობებულია იმ მიზეზ შედეგობრიობის ჯაჭვით, რომელსაც ქმნის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების რთული პროცესი. მაგრამ, საზოგადოებრივ ურთიერთობათა სტრუქტურირების შემთხვევაში, როდესაც ადამიანის აქტივობის პირველად გარემოს

ინსტიტუტები ქმნიან, ადამიანების ქცევა ექვემდებარება იმ შეზღუდვებს, რომლებიც ინსტიტუტების ფარგლებში მოქმედების დადგენილი წესებითაა განსაზღვრული და ამიტომ იგი ვეღარ იქნება სრულად ინტროსპექტიული. არსებული სტანდარტები (ეტელონები) და ის ინსტრუმენტები, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება ძალისხმევები მატერიალური დოვლათის შექმნისა და განაწილების პროცესში, იძლევა საშუალებას განსჯის არეალი გაფართოვდეს, ამ სტანდარტებისა და ინსტრუმენტების ანალიზით.

ეკონომიკური სიტუმა მთლიანად და მისი ცალკეული სტრუქტურული ელემენტები სპონტანურად არ ჩნდება, იგი ხანგრძლივი ისტორიული პროცესის შედეგია, ამიტომ ადამიანი მისთვის ჩვეულ და ნაცნობ კულტურულ გარემოში იჩენს აქტივობას. ამგვარად, ეკონომიკური სისტემის, ისე როგორც მისი რომელიმე სტრუქტურული ელემენტის ფორმირება და განვითარება მიმდინარეობს საზოგადოების ევოლუციურ პროცესში. ეს კი განაპირობებს მასში მონაწილე სუბიექტების განწყობის მომზადებას, **პრაიმინგს**.

ე.ი. არსებობს ინსტიტუტი, არსებობს სუბიექტი, რომელიც მზადაა ამ ინსტიტუტში მონაწილეობისათვის და არსებობს გარემოება, რომელიც ქმნის მათი შეერთების სიტუაციას. მართლაც ადამიანები მუდმივად მიისწრაფვიან ასეთი ინსტიტუტებისადმი და გარკვეული პოცედურების გავლის შემდეგ ერთვებიან მათ საქმიანობაში. ისინი ამისათვის წინასწარ ემზადებიან. მეტიც, მუდმივად ჩნდება სიტუაციები, როდესაც მოითხოვენ დასაქმებას, ამ მოტივიდან გამომდინარე არსებული ინსტიტუტების გაფართოებას ან ახლების გახსნას. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ადამიანები განწყობილნი არიან იმ ტიპის შეზღუდვებისადმი, რომელიც დამახასიათებელია ინსტიტუტებისათვის.

ამგვარად, ადამიანის ქცევა არის მთელი საზოგადოებრივი სისტემის ფუნქცია, რომელიც თავისი არსითა და გამოვლენის განსაკუთრებული ფორმებით ისტორიული განვითარების შედეგად აღმოცენდება (**Конрад Лоренц 10.65.**) და ხორციელდება უშუალოდ ამ ადამიანის ძალისხმევით, მოცემულ კულტურულ-ისტორიულ გარემოში. ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საზოგადოება ადამიანების სისტემური ერთობაა, რომელიც ინსტიტუტების საშუალებით არის სტრუქტურირებული და ამიტომ პიროვნების ხანგრძლივი, მრავალჯერადი ურთიერთობა სხვა პირებთან შესაძლებელია მხოლოდ ინსტიტუტების მეშვეობით. მართალია, პიროვნების არსებითი მონაწილობის გარეშე ვერცერთი ქცევა ვერ განხორციელდება, რადგან, „ქცევა აქტივობაა და სუბიექტის არსებითი მნიშვნელობის გათვა-

ლისწინების გარეშე მისი წვდომა სრულიად შეუძლებელია“. (**დიმიტრი უზნაძე 2. 35**). ამიტომ ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების შესწავლა პიროვნების ქცევის განმსაზღვრელი მოტივების გარეშე, ვერ მიგვიყვანს საკითხის არსის წვდომასთან.

სტატიის დასასრულს გვინდა შევნიშნოთ, რომ აქ წარმოდენილი საკითხების პოლემიკური ხასიათისა და დასმული პრობლემების სირთულის გამო, მოცემულ ფორმატში შეუძლებელი იყო ამომწურავად გვესაუბრა და მოგვეყვანა დამატებითი არგუმენტები, რათა მკითხველს უფრო სრული წარმოდგენა შექმნოდა ინსტიტუციური ეკონომიკური თეორიის შესახებ, მაგრამ ვაცნობიერებთ იმასაც, რომ სტატიის შესავალში გამოკვეთილი მიზნები მიღწეულია და დაინტერესებული ადამიანები შეძლებენ COVID 19-ის მიერ დეფორმირებულ ურთიერთობათა გაჯანსაღებისათვის საჭირო რეკომენდაციები ამოიკითხონ.

ციტირებული ლიტერატურა:

1. იაკობიძე დავით. ფარული მითვისება და ქუდული სუბკულტურა (ეკონომიკურ-ანთროპოლოგიური ნარკვევი). თბილისი: 2018, გვ. 9;
2. უზნაძე დიმიტრი. ადამიანის ქცევის ფორმები. თბილისი, 2007, გვ. 35.
3. მალაშხია გიორგი. უქმი ეკონომიკა. კაცობრიობის ცხოვრების უკეთურობა. ეკონომიკური თეორიის კრიტიკიდან. თბ.: „უნივერსალი“, 2014;
4. მენაბდე-ჯობაძე ელენე. „ინსტიტუციური ეკონომიკა“. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი). 2020 წ.
5. Hamilton Walton. The Institutional Approach to Economic Theory. 1919;
6. Hodgson Geoffrey M. What is the Essence of Institutional Economics? Economic Issues. 2000, vol. 34. P.317-338;
7. Беккер Джеймс. Экономический анализ и человеческая поведения. М., 1993, гв. 12;
8. Веблен Торстен. Теория праздного класса: экономическое исследование институции. М: Мысль, 1984. гв.65;
9. Коуз Рональд. Природа фирмы. М., 2007, гв. 2;
10. Лоренц Конрад. Восемь смертных грехов цивилизованного Человечество. М.1994;
11. Норт Дуглас. Институты, институциональные изменения и функционирование экономики. М., 1996, гв.18;
12. Норт Дуглас. Институты и экономический рост: историческое ведение. М., 1989, гв. 5;
13. Остром Елиноრ, „Постановка задачи исследования институтов“. М: „Экономическая политика“, 2006, N6, ст. 38;

სექცია 1. ეკონომიკის მდგრადი ბანკითარების პრობლემები

საინჟინრო ეკონომიკის დამოუკიდებელ სახნად სწავლების მნიშვნელობა

ალექსანდრე სიჭინავა
სტუ-ს პროფესორი

ტარიელ კიკვაძე
სტუ-ს პროფესორი

დავით გეგია
უფროსი მასწავლებელი

რეზიუმე

სტატიაში მიმოხილულია საინჟინრო ეკონომიკის საგანი და მნიშვნელობა საინჟინრო სპეციალობის სტუდენტებისათვის. საინჟინრო ეკონომიკის სასწავლო საგნად შემოღება დაკავშირებულია საინჟინრო პრაქტიკის წიაღიდან წამოსულ პრობლემათიკასთან. საინჟინრო ეკონომიკის სწავლებას საინჟინრო სპეციალობის სტუდენტებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მათი მომავალი პრაქტიკულ-ეკონომიკური საქმიანობის სრულყოფისათვის.

საკვანძო სიტყვები: ინჟინერია, ეკონომიკური და საინჟინრო საქმიანობა, საინჟინრო ეკონომიკა, მიკრო-ეკონომიკური ანალიზი, ეკონომიკური პროცესების მოდელირება, სასწავლო პროგრამა

ON THE IMPORTANCE OF TEACHING ENGINEERING ECONOMICS AS AN INDEPENDENT SUBJECT

Alexander Sichinava
Professor of GTU
Tariel Kikvadze
Professor of GTU
Davit Gegia
Senior lecturer of GTU

RESUME

The article deals with the subject matter of engineering economics and its importance for engineering students. The introduction of engineering economics as an academic subject is related to the problems arising from the depths of engineering practice. Teaching engineering economics is of great importance for engineering students and will be very helpful improving their future practical-economic activities.

Keywords: Engineering Economics, Micro-Economics, Engineering and Economic Activity, Economic Process Modeling, Engineering Economics Curriculum

* * * *

ინჟინერია მათემატიკურ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ცოდნასა და პრაქტიკული გამოცდილებაზე დამყარებული პროფესიაა, რომელიც ქმნის ბუნებრივი და ადამიანური რესურსების, მასალებისა და საწარმოო ძალების რაციონალურად გამოყენების შესაძლებლობებს კაცობრიობის საკეთილდღეოდ. საინჟინრო ეკონომიკა სასიცოცხლო მნიშვნელობის საგანია ინჟინერებისთვის. იგი მათ ეხმარება ეკონომიკური ცოდნის აუცილებლობის გაცნობიერებაში, ასევე, ეფექტურ მენეჯერებად და გადაწყვეტილების მიმღებებად ჩამოყალიბების საქმეში[1].

ეკონომიკური ინჟინერია გამოიყენება სოციალურ-ტექნიკურ სისტემებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში. მას შემდეგ, რაც პროექტირება-დიზაინისა და წარმოების პროცესები თანდათან რთულდებოდა, ინჟინრები იღებდნენ გადაწყვეტილებებს, რომლებიც სულ უფრო მეტი ფულადი ნაკადების მოძრაობასთან იყო დაკავშირებული. თანამედროვე კომპეტენტურ და წარმატებულ ინჟინერს უნდა ჰქონდეს ეკონომიკის პრინციპების ბევრად უფრო ღრმა ცოდნა. საინჟინრო ეკონომიკა ეხება პროექტების სარგებელისა და ხარჯების სისტემურ შეფასებას, რომელიც მოიცავს საინჟინრო დიზაინსა და ანალიზს.

წარმოების ნებისმიერი პროცესის დაგეგმვისა და აგება-კონსტრუირების პროცესში ორგანულად არიან ჩართული სხვადასხვა დარგის ინჟინრები. ისინი ერთდროულად „პრობლემ-სოლვერებიც“ არიან, მენეჯერებიც და გადაწყვეტილების მიმღები პირებიც. გასული საუკუნის დასაწყისში ინჟინრები ძირითადად დაკავებულნი იყვნენ სხვადასხვა საწარმოო პროცესების და მანქანა-დანადგარების სტრუქტურულ პროექტირება-კონსტრუირებით. ისინი ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ საბოლოო პროდუქტის წარმოების უზრუნველყოფაში ჩართული ადამიანური და ბუნებრივი რესურსების

შეზღუდულობის პრობლემებსა და მათი ეფექტური განაწილების ამოცანებს, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობენ საბოლოო პროდუქტის შექმნა-ფორმირებაში.

დროთა განმავლობაში მრავალმა ფაქტორმა შეუწყო ხელი ინჟინერთა პასუხისმგებლობაში შემავალ პრობლემათა წრის მკვეთრ გაფართოებას. ტრადიციული სამუშაოს გარდა, ახლა ინჟინრებს არა მხოლოდ ახალი ტექნოლოგიური გადამწყვეტილებების ფორმირება, არამედ მათი დანერგვის ეფექტის ყოვლისმომცველი ფინანსური ანალიზის შესრულებაც მოეთხოვებათ.

საინჟინრო ეკონომიკა მოიცავს საინჟინრო პრობლემების შემოთავაზებულ გადამწყვეტების სისტემურ შეფასებას ეკონომიკური სარგებლის კუთხით, ასევე, ტექნიკურ ანალიზს (ეკონომიკური ასპექტების ხაზგასმით) და მიზნად ისახავს გადამწყვეტილების მიღების პროცესის მხარდაჭერას.

საინჟინრო ეკონომიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული ტრადიციულ მიკროეკონომიკისთან. იგი დაკავშირებულია „პრობლემ-სოლვინგის“ (პრობლემების მოგვარების) და ოპერაციულ დონეზე გადამწყვეტილებების მიღების პროცესებთან.

ამრიგად, საინჟინრო ეკონომიკა ეხება ეკონომიკის იმ ასპექტებს და ანალიზს იმ ინსტრუმენტებს, რომლებიც ყველაზე აქტუალურია ინჟინრის მიერ გადამწყვეტილებების მიღების პროცესში.

რა არის საინჟინრო ეკონომიკა? კლასიკური გაგებით ინჟინერი პასუხისმგებელია ტექნოლოგიური და ანალიტიკური ცოდნისა და უნარ-ჩვევების საფუძველზე მენეჯერისთვის რეკომენდაციების გაენვაზე. მათ შორის საინჟინრო ეკონომიკის ცოდნაზე, რის შემდეგაც მენეჯერმა უნდა გადამწყვიტოს, თუ რა უნდა გაკეთდეს. მენეჯერის გადამწყვეტილება ხშირად განსხვავდება ინჟინრის რეკომენდაციისგან, რადგან მენეჯერი ითვალისწინებს ინჟინრის გამოცდილების ფარგლებს გარეთ არსებულ საკითხებსაც. ამასთან, ბოლო პერიოდში თავი იჩინა ტენდენციამ, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მენეჯერები უფრო მეტად, ღრმად და ფართოდ ეყრდნობიან ინჟინრების ტექნიკურ უნარებს, ან სულ უფრო და უფრო ხშირად თავად ინჟინრები ხდებიან მენეჯერები. წარმოებული პროდუქცია ხშირად ტექნოლოგიურად ძალიან რთულია, წარმოების პროცესები კი წარმოადგენს პროდუქტიულობის ოპტიმიზაციის მიზნით მაღალორგანიზებულ, უკიდურესად დახვეწილ სისტემებს. თვით თანამედროვე საქონლის ბაზრების სტრუქტურაში გარკვევაც კი ზოგჯერ მოითხოვს ინჟინრულ-ანალიტიკურ უნარ-ჩვევებს. შედეგად, ხშირად მხოლოდ ინჟინერს აქვს ცოდნის საკმარისი სიღრმე კომპეტენტური გადამწყვეტილების მისაღებად. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ცოდნა, თუ როგორ უნდა შევადართო დანახარჯები და სარგებელი ერთმანეთს კვლავ სასიცოცხლო მნიშვნელობის უნარ-ჩვევად რჩება ინჟინრისთვის, იგი უკვე აშკარად არ არის

ერთადერთი და საკმარისი უნარი, რომელიც საჭიროა შესაბამისი საინჟინრო გადამწყვეტილებების მისაღებად. ინჟინერს, ისევე როგორც მენეჯერს, უნდა შეეძლოს გაითვალისწინოს ყველა სხვა მოსაზრება, ფაქტორი, მოვლენა, რომელიც გავლენას ახდენს გადამწყვეტილებაზე და ამის გაკეთება უნდა მოახერხოს რაციონალური და საიმედო ალგორითმებით.

ხარჯების მინიმიზაცია და სარგებლის მაქსიმიზაცია ძალზე მნიშვნელოვანია და სწორედ ამან მისცა ბიძგი საინჟინრო ეკონომიკის ცალკე მიმართულებად ჩამოყალიბებას. აღნიშნული ანალიზი გულისხმობს მათემატიკური ალგორითმების მწყობრ სისტემას, რაც ძალიან კარგად არის განვითარებული და დღესაც საინჟინრო ეკონომიკური ინსტრუმენტარის ბირთვის წარმოადგენს. ამასთან ერთად, თანამედროვე ინჟინრს უნდა შეეძლოს ეკონომიკური გათვლების გაკეთება, გამოყენება და გათვალისწინება.

თანამედროვე პირობებში ინჟინრის თვალსაწიერი გეოგრაფიულად ძალიან გაფართოვდა. წარსულში ზოგადად ინჟინრი ითვალისწინებდა თავისი ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას, რათა მიეღო რაციონალური ტექნიკური-ეკონომიკური გადამწყვეტილებები. თანამედროვე ეტაპზე კომპანიები გლობალურია, წარმოებულ საქონელს აქვს კომპონენტები, რომლებიც დამზადებულია სხვადასხვა ქვეყნებში, ინჟინერიის გადამწყვეტილებების ეკოლოგიური შედეგები ვრცელდება ქვეყნებსა და კონტინენტებზე და ინჟინრები შეიძლება მუშაობდნენ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. შესაბამისად, საინჟინრო ეკონომიკის თანამედროვე პრაქტიკა უნდა შეიცავდეს სხვადასხვა ვალუტაში მუშაობის შესაძლებლობას ინფლაციის სხვადასხვა ტემპითა და საგადასახადო რეჟიმების სხვადასხვა პირობებით [1].

საინჟინრო გადამწყვეტილების მიღების პროცესში შემდეგი შვიდეტაპიანი პროცედურა გამოიყენება: პრობლემის აღმოჩენა, იდენტიფიცირება და შეფასება; პოტენციური და შესაძლო ალტერნატივების მოძებნა; საბაზისო ფულადი ნაკადების მიდგომის დანერგვა; ორგანიზაციის გრძელვადიანი ინტერესების მხარდაჭერა და მომსახურება გადამწყვეტილების მიღებისას; საინჟინრო პრობლემის ეკონომიკური ასპექტების ანალიზი; სხვა თანამდევ სოციალურ-ეკონომიკურ პროექტებში განხორციელებული ძალისხმევის გათვალისწინება საინჟინრო-ტექნოლოგიური გადამწყვეტილებების ალტერნატივების ფორმირებისას; უკუკავშირების აღმოჩენა სოციალურ-ტექნიკურ სისტემებში და მათი ჩაბმა სანარმოების ოპერირების გაუმჯობესების სამსახურში.

საინჟინრო ეკონომიკის საგნის არსში გასარკვევად აუცილებელია მისი შემდეგი განსაკუთრებული მახასიათებლების ცოდნა: საინჟინრო ეკონომიკა აღმოცენდა და დღესაც როგორც კლასიკური, ისე

თანამედროვე მიკროეკონომიკის მიღწევებით საზღვრობს; საინჟინრო ეკონომიკა დაკავშირებულია სპეციფიკური (მიკროეკონომიკასთან შედარებით) პრობლემების გადაჭრასთან და ოპერაციულ დონეზე გადანყვეტილებების მიღებასთან; საინჟინრო ეკონომიკა ხშირად იძლევა სუბოპტიმალური გადანყვეტილებების მიღების საშუალებას, თუ შედეგი უზრუნველყოფს ტაქტიკური მიზნების მიღწევას სტრატეგიული ეფექტურობის ხარჯზე; საინჟინრო ეკონომიკა სასარგებლოა შეზღუდული რესურსების ალტერნატიული გამოყენების შესასწავლად, ასევე, მოქმედების სასურველი კურსის ასარჩევად კონკრეტულ სოციალურ-ტექნიკურ გარემოში; საინჟინრო ეკონომიკა პრაგმატული ხასიათისაა. იგი ეკონომიკური თეორიის რთული აბსტრაქციების სპეციალიზაციის საშუალებით წყვეტს საინჟინრო-პრაქტიკულ პრობლემებს; საინჟინრო ეკონომიკა ძირითადად იყენებს ეკონომიკურ ცნებებსა და პრინციპებს.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, საინჟინრო ეკონომიკა აერთიანებს ეკონომიკურ თეორიას საინჟინრო პრაქტიკასთან.

საინჟინრო ეკონომიკის ტოტალურმა იგნორირებამ გამოიწვია ის, რომ დღეს ჩვენს ირგვლივ დახვავებულია ნახევრად გაყინული, დაუსრულებელი და სრულიად გამოუყენებელი მშენებლობების შემთავრებულად დიდი რაოდენობა.

ოცდამეერთე საუკუნეში სამშენებლო ინჟინერია ხასიათდება ახალი გამოწვევებით, მკვეთრად გაზრდილი ვარიანტურობით და დეველოპერებისა და კლიენტების მხრიდან სრულიად ახალი მოლოდინებით. გლობალიზაციის ახალ ეპოქაზე გადასვლამ, მდგრადობისა და რესურსების სიმცირის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობამ ხელი შეუწყო პროექტების ფორმირებისა და წარდგენის ახალი მოდელების შემუშავებას, აქტიურ ექსპერიმენტებს და ამ მიმართულებით. ისეთი კონცეფციები, როგორცაა მაგალითად „საზოგადოებრივი-კერძო პარტნიორობა“ (PPP) სხვადასხვა დონეზე აღიქმება როგორც მეტად პერსპექტიული. იგი პოპულარობას იხვეჭს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებსა თუ რეგიონებში [5].

თანამედროვე პირობებში ხაზგასმულია საინჟინრო ეკონომიკის სწავლების მნიშვნელობა ზოგადად ყველა საინჟინრო სპეციალობაზე. იგი ჩართული უნდა იყოს ყველა საინჟინრო სასწავლო პროგრამაში, რათა მომავალ მშენებელ-პროფესიონალებს უნდა ჰქონდეთ ფართო და ღრმა წარმოდგენები ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების შესახებ. ამ პროცესების ანალიზს ისინი ეკონომიკის და უფრო ფუნდამენტური პოლიტიკონომიური პრინციპებისა და კონცეფციების საფუძველზე უნდა ახორციელებდნენ. გარდა ამისა, მათ უნდა ჰქონდეთ სპეციფიკური უნარ-ჩვევების მთელი ნაკრები, რომ შეძლონ ამ ცოდნის სპეციალიზაცია და გამოიყენონ ეს კონცეფციები საინჟინრო პროექტების დაგეგმვი-

სა და იმპლემენტირების ეტაპებზე, რათა შეამცირონ შესაძლო შეფერხებები და მიიღონ ინვესტიციებზე მაქსიმალური უკუგება. მოსალოდნელია, რომ საინჟინრო ეკონომიკური ცოდნა მყარი საფუძველი იქნება იმ უმნიშვნელოვანესი კომპეტენციების ჩამოყალიბებისთვის, რომლებიც გადამწყვეტ როლს ითამაშებენ პროექტების განხორციელების პროცესში დაგვიანების კონტროლისა და აღმოფხვრის მართვაში.

საინჟინრო ეკონომიკის სფერო ისეთივე მრავალფეროვანი და დინამიურია, როგორც გარემო, რომელშიც გამოიყენება ეს მეცნიერება. სინამდვილეში ეს არის განვითარების ძირითადი კურსი, რომელიც აუცილებელია ნებისმიერი ტექნიკური დარგის სტუდენტთა სრულყოფილი და საფუძვლიანი სწავლებისთვის მათი პროფესიული საქმიანობისთვის მომზადების მეტად საპასუხისმგებლო გზაზე. საინჟინრო დისციპლინის მიუხედავად, თითოეულ ტექნიკურ გადანყვეტილებას აქვს ეკონომიკური შედეგები ხარჯებისა და სარგებელის სახით. მშენებლობის მენეჯმენტის კურსდამთავრებულები მუშაობენ სამშენებლო პროექტებზე, რომლებიც ინტენსიური კაპიტალდაბანდებით ხასიათდებიან და დიდ გავლენას ახდენენ საზოგადოებაზე. ისინი მონოდეტულნი არიან მიიღონ საკუთრივ საინჟინრო-ტექნოლოგიურთან მჭიდროდ ინტეგრირებული სხვადასხვა ეკონომიკური გადანყვეტილებები, დაწყებული შესაძლო ალტერნატივებიდან საუკეთესო პროექტის არჩევით და დამთავრებული პროექტის დაგეგმვით, განხორციელებით და დასრულება-ჩაბარებით. სწორედ ასეთი გადანყვეტილებებს უნდადებენ დღეს საინჟინრო ეკონომიკურ გადანყვეტილებებს.

მშენებლობის მენეჯმენტმა, როგორც ბევრმა სხვა პროფესიამ, გაიარა ზრდისა და ადაპტაციის სხვადასხვა ეტაპი. სამშენებლო ინდუსტრია და შესაბამისად სამშენებლო ინჟინერია თავისი ბუნებით რთული ფენომენია, რადგან იგი ეხება ცვლადების დიდ რაოდენობას და შეიცავს ბევრ უცნობ ელემენტებს. პროექტის დაგეგმვა- იმპლემენტირების და მთელი ამ პროცესის კონტროლი იშვიათად თუ ეკისრება ერთსა და იმავე სუბიექტს. აქ, დღეს უკვე, მთელი დრამა თამაშდება და ვითარდება ცხარე დავის სახით პროექტით დაინტერესებულ სუბიექტებს შორის, რომელიც დაკავშირებულია ათასგვარ პრეტენზიებთან, შეკვეთებში ცვლილებებთან, ვადების დარღვევა-დაგვიანებასთან, გადახარჯვებთან და სხვა. ამ და სხვა ეკონომიკურმა გამოწვევებმა აიძულა ახლებურად აზროვნების საჭიროება, რაც ზოგადად საზოგადოებისა და კერძოდ ინფრასტრუქტურული საჭიროებების გადასაჭრელად საჯარო და კერძო სექტორებს შორის უფრო მეტ თანამშრომლობას ითხოვს. ამან წარმოშვა დაფინანსების ახალი მოდალობები და შემოთავაზებული ალტერნატივების ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის შეფასების საჭიროება.

ახალი კონცეფციებისა და პრაქტიკების ფონზე, როგორცაა მაგალითად „საზოგადოებრივ-კერძო პარტნიორობა“ (PPP) [5], ითვლება, რომ მშენებლობის მენეჯმენტის პროფესიონალები სავარაუდოდ გამოავლენენ ეკონომიკური ანალიზის კომპეტენციებში განაფულობას. ეს კომპეტენცია არამარტო ავალდებულებს მათ, რომ ეფექტურად შეასრულონ თავიანთი როლი, მაგალითად, „საზოგადოებრივ-კერძო პარტნიორობის“ ახალ სარბიელზე, არამედ მაგალითად, დაეხმარება გააკონტროლონ და აღმოფხვრან პროექტის შეფერხების მიზეზები, რადგან ისინი უფრო ღრმად განსწავლულნი იქნებიან ფულის დროითი ღირებულების და საინჟინრო ეკონომიკის სხვა კონცეფციებში. ჩვენი მიზანი არის ყურადღების მიპყრობა საინჟინრო ეკონომიკის, როგორც სასწავლო საგნის სწავლების სასურველ დონემდე ამალღების აუცილებლობაზე უნივერსიტეტებში და საინჟინრო სპეციალობების კურსდამთავრებულების აკადემიურ მომზადებაში მის განსაკუთრებულ როლზე. ჩვენი აზრით იმისათვის, რომ მივაღწიოთ სასურველ შედეგებს საჭიროა საუნივერსიტეტო საბაკალავრო სასწავლო პროგრამაში საინჟინრო ეკონომიკის, როგორც დამოუკიდებელი საგნის ჩართვა. ამასთან ერთად სასწავლო გეგმა უნდა იყოს შემუშავებული ისე, რომ მასში გათვალისწინებული იყოს პროფესიის მუდმივად გაფართოებადი მოთხოვნები, ახალი სამეცნიერო-პრაქტიკული მიღწევები და მასთან (ჩვენი განხილვის საგანთან) დაკავშირებული დისციპლინების ევოლუცია.

საინჟინრო ეკონომიკის სწავლების უპირატესობები მიიღწევა საინჟინრო ეკონომიკის დარგში შემუშავებული შემდეგი საკვანძო კომპეტენციების ხარჯზე: ფულის დროითი ღირებულების კონცეფცია; ობლიგაციების, კაპიტალის, ინვესტიციების, კაპიტალის აღდგენისა და ინვესტიციის დაბრუნების კონცეფცია; დანახარჯები-სარგებელის თანაფარდობის ანალიზი; გადაწყვეტილების მიღება ალტერნატიული პროექტების ღირებულების შეფასების საფუძველზე; მგრძობელობისა და უზარალობის (ნერტილის) ანალიზი; ოპტიმიზაცია; მათემატიკური მოდელირება.

სამშენებლო პროექტებს ახასიათებთ შინაგანი განუსზღვრელობა, მკვეთრად მეტი ცვალებადობა (რამდენადაც ჩართულია მრავალი მხარე), ხარჯების ესკალაცია და მოსალოდნელი შედეგების დიდი მრავალფეროვნება. ყველაზე ხშირად სწორედ ეს ხდება შეფერხებების მიზეზი. ამ საკითხების გასაგებად და გადასაჭრელად, მშენებლობის მენეჯმენტის კურსდამთავრებულებმა იმაზე ბევრად მეტი

უნდა იცოდნენ, ვიდრე უბრალოდ ხარჯების შეფასება. სწორედ საინჟინრო ეკონომიკის პროგრამის ფარგლებში ათვისებული, ზემოთ ჩამოთვლილი კომპეტენციები, გვთავაზობენ უნარ-ჩვევების სწორ კომპლექსს ქრონიკული დაგვიანებისა და ხარჯების გადაჭარბების პრობლემების მოსაგვარებლად.

მკაცრი გეოეკონომიკური კლიმატი, რომელიც ოცდამეერთე საუკუნის პირველ ათწლეულში შეიქმნა, თავდაპირველად 1930-იანი წლების დიდი დეპრესიის შემდეგ იყო აღქმული უპრეცედენტო ეკონომიკური გამონვევების სახით. ამ გამონვევებმა ინჟინერია და ინდუსტრია მიიყვანეს მზარდი მოსახლეობის ინფრასტრუქტურული საჭიროებებისათვის ინოვაციური და ეკონომიურად ეფექტური გადანყვეტილებების მიღების გარდაუვალ აუცილებლობამდე. მზარდი საჭიროებების წარმატებით დასაკმაყოფილებლად სულ უფრო და უფრო აუცილებელი ხდებოდა გადაწყვეტილების მიღების დახვეწილი და ბევრად რთული ინსტრუმენტების გამოყენება. რადგანაც უნივერსიტეტები და საზოგადოდ აკადემიური სფერო წარმოადგენს მომავალი თაობის პროფესიონალების კულტივირების სივრცეს, უპირველეს ყოვლისა, უნდა განხორციელდეს სასწავლო პროგრამების სერიოზული განახლება, რომელიც ხაზს გაუსვამს საინჟინრო ეკონომიკის კომპონენტს. ამის მოგვარება უბრალოდ საზოგადოების მოთხოვნაზე საპასუხო რეაგირება და საზოგადოების მოლოდინის დროული დაკმაყოფილება იქნება და ორგანულად ერწყმის საინჟინრო სპეციალობებისთვის დაწესებული აკრედიტაციის მაღალი სტანდარტების მანდატს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სიჭინავა ა., გახოკიძე ჯ., სეხნიაშვილი დ., ეკონომიკური ინჟინერინგი/ინჟინერია ეკონომიკაში (მისი სამართლებრივი უზრუნველყოფა), ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, 2020, №1-2, თბილისი, გვ.5-8.
2. Whitman D. L., Ronald E. T., Fundamentals of Engineering Economics and Decision Analysis, Morgan & Claypool Publishers, 2012, pp.221
3. Park C. S., Contemporary Engineering Economics, Pearson, 2015, pp.985
4. Fraser H. M. at all, Global Engineering Economics. Financial Decision Making for Engineers, Pearson, Canada, 2009, pp.608
5. Public Governance of Public-Private Partnerships, OECD Publishing, May, 2012, pp.28

CRITERIA OF CLASSIFICATION OF THE EU MEMBER STATES FOR ASSESSMENT OF THE SHADOW ECONOMY

Ligita Gasparėnienė, Rita Remeikienė
Vilnius University

Romualdas Ginevičius
Vilnius Gediminas Technical University

ABSTRACT

The shadow economy has become a serious impediment for economic development of different countries and regions. Classification of the EU member states by purposefully selected shadow economy assessment criteria would shed more light on the causes and consequences of this phenomenon in particular country groups and would allow developing policy measures appropriate to the situation in each country group.

The main purpose is to propose the criteria of classification of the EU member states for assessment of the shadow economy. The following objectives were raised: 1) to review the criteria of country classification observed in previous research in the area of the shadow economy in Europe; 2) to select and substantiate the methodology of the research; 3) to present the findings of the empirical research.

Key words: Shadow Economy; EU member states, Criteria of Shadow Economy; Classification; Tax evasion.

INTRODUCTION

The phenomenon of the shadow economy exists in any country and, in accordance with its size, more or less affects a country's social welfare and policies. The shadow economy distorts a country's GDP as due to evasion of taxes and/or circumvention of laws, a certain part of economic transactions are hidden. Despite the fact that in some cases the shadow economy is treated as a force stimulating institutional change and boosting the overall production (Enste, 2018), unregulated economic activities evidently lead to reduced tax revenue in a state's budget, lower tax morale and higher costs of control. They also negatively affect a country's tax system, pervert competition and disturb allocation of resources because resources are not used in the most efficient way. Such economy is simply irrational.

During the last decades, the shadow economy has become a serious impediment for economic development of different countries and regions. For the EU member states, it is seen as an obstacle threatening the objectives of cohesion and growth defined in the Europe 2020 strategy (Tudose, Clipa, 2016). Although economists provide valuable indicators and characteristics of the shadow economy that help better perceive, control and prevent this phenomenon, the problem still confronted is that it is difficult to explain why some countries are facing the structural conditions more favourable to the shadow economy than other countries. As it was noted

by Enste (2002), the main determinants of the shadow economy in advanced countries (e.g. Western Europe) include the burden of taxes and social security contributions, density of regulations (especially on labour markets), the early retirement, increasing unemployment rates and the long-term decline of civic virtue, while the determinants of the shadow economy in less developed countries (e.g. Eastern Europe) additionally cover lack of competence and trust in public institutions, inadequate enforcement of laws and regulations, high costs and administrative burdens for entrepreneurs and poor public infrastructures. The differences in the structural conditions within the EU determine different levels of the shadow economy in the EU member states. Hence, classification of the EU member states by purposefully selected shadow economy assessment criteria would shed more light on the causes and consequences of this phenomenon in particular country groups and would allow developing policy measures appropriate to the situation in each country group.

Thus far, scientific literature has mostly focused on the determinants (Remeikienė et al., 2014 and others), measurement (Edwards, Flaim, 2008; Schneider, Buehn, 2016 and others) and prevention (Vainionpää, 2016; Remeikienė, Gasparėnienė, 2016 and others) of the shadow economy, but the criteria of classification of the EU member states for assessment of the situation with the shadow economy in these states have hardly been considered.

The main purpose of this article is to propose the criteria of classification of the EU member states for assessment of the shadow economy. For fulfilment of the defined purpose, the following **objectives** were raised: 1) to review the criteria of country classification observed in previous research in the area of the shadow economy in Europe; 2) to select and substantiate the methodology of the research; 3) to present the findings of the empirical research.

The methods of the research include comparative and systematic literature analysis.

CLASSIFICATION OF COUNTRIES FOR THE RESEARCH IN THE SHADOW ECONOMY IN EUROPE: LITERATURE REVIEW

Although the phenomenon of the shadow economy is defined and interpreted as having multiple meanings, in the most common sense it refers to "economic activities (goods produced and services rendered) conducted

in non-compliance with applicable laws for the purpose of avoiding taxes or/and regulations” (Lithuanian Free Market Institute, 2015, p. 5). Hence, the shadow economy comprises all unregistered economic activities that have a negative economic impact in terms of damaging an economy and reducing GDP, and a negative social impact in terms of violating the principles of social equity.

As it was noted by Enste (2018), the implications of the shadow economy extend beyond the economy to the political order, and the fight against this phenomenon should be based on improvement of the legal and business environment. In order not to misunderstand or misassess the shadow economy in a certain country or region, it is necessary to develop rigorous and internationally comparable methodologies (Zaman, Goschin, 2016). The dynamics of the shadow economy can be researched retroactively only if the specific manifestations of this phenomenon (e.g. tax evasion, undeclared work, corruption, money laundering, etc.) are considered (Tudose, Clipa, 2016). The differences in the structural environment in different countries determine the variance in the level of the shadow economy in these countries. Thus, reliability of the assessment of the shadow economy in particular countries to a large extent depends on which assessment criteria are considered. Classification (grouping) of countries by purposefully selected criteria would contribute to a more accurate assessment of the situation with the shadow economy in the groups under consideration, which, in its turn, would allow developing policy measures appropriate to the situation in each country group. Previous studies in the area of the shadow economy in Europe researched different countries by considering their accession to the EU date, regional distribution, level of development and various economic features (size of the informal sector, tax burden, population’s income, level of financial development and quality of life indicators). Enste (2002), Schneider (2015), Tudose and Clipa (2016) and some others employed an accession to the EU approach. Tudose and Clipa’s (2016) study showed that 15 original EU countries have lower shares of the shadow economy in comparison to EU accession countries. The differences were found to be determined by lower fiscal and moral pressure, advanced economic, social and cultural systems, higher quality of public institutions and legislation, and advanced international trade in the former, rather than in the latter countries.

Other authors analysed the issues of the shadow economy in Europe by employing regional/national approach. Glovackas’s (2004) research in the issues of the shadow economy in Central and Eastern Europe revealed that the shadow economy in this region existed even before the communist regime had collapsed. Thus, the present level and features of this phenomenon to a particular degree are linked to the former communist practices and a relatively recent transfer to the system of a free market economy (corruption, bureaucracy, poor protection of property rights, disadvantaged business

environment, etc.), while the main causes of the shadow economy in more advanced countries of Western Europe (Sweden, Germany, Holland and others) are high direct taxation of earned income (Schneider, 2008), business overregulation (Schneider, 2015; Williams, Horodnic, 2015b; Tudose, Clipa, 2016, etc.) and high prices of goods, services, materials (e.g., materials are normally bought in the formal market and later included as raw materials for work/service that is not declared) (Pedersen, 1998).

The level of a country’s development is another criterion considered while assessing the shadow economy in Europe. Having researched the shadow economy in industrial countries (Portugal, Spain, Italy, Greece, Poland, etc.), Enste (2018) found that economic agents in these countries get involved in underground activities mainly due to strict regulation of the labour market (people work underground or employ other people illegally). Transition economies, as it was previously mentioned, suffer from underground activities due to “the numerous structural imbalances inherited from central-planning period” (Fedajev, Arsič, 2002, p. 20), while high value-added taxes on labour-intensive products are recognized to be the main cause of the shadow economy in highly-developed economies (Norway, Switzerland, Turkey) (Schneider, 2016).

The research carried out by Stankevičius and Vasiliauskaitė (2014) disclosed that there exists a strong causal relationship between a country’s tax rate and the size of its shadow economy, i.e. the countries with a heavy burden of taxation and social insurance contributions have high levels of the shadow economy. According to Schneider et al.’s (2010) estimations, the weighted average size of the shadow economy (as a percentage of GDP) is more than two times lower in high-income than in low-income countries. Blackburn et al.’s (2012) empirical observations established that the countries in a lower stage of financial development have greater sizes of the shadow economy due to a higher incidence of tax evasion. Finally, Kireenko and Nevzorova’s (2015) study revealed that the countries with lower qualities of life have higher rates of the shadow economy, but it positively affects the level of life in the future as shadow income increases total revenues. Nevertheless, high levels of the shadow economy lead to reduction in such life quality indicators as a long and healthy life and access to knowledge.

Summarising, although it is presumed that population’s involvement in underground activities may promote institutional change and boost the overall production, the shadow economy is treated as a negative phenomenon since it reduces tax revenue and lowers economic growth rates. The differences in the structural conditions within the EU determine different sizes and characteristics of the shadow economy across the Union. The results of previous studies indicate that consideration of different assessment criteria provides different research results. Hence, classification of the

EU member states by purposefully selected criteria would provide an advantage to more accurately compare the extent and causes of the shadow economy across country groups.

REFERENCES

1. Blackburn, K.; Bose, N.; Capasso, S. (2012). Tax evasion, the underground economy and financial development. *Journal of Economic Behavior & Organization*, 83(2), p. 243-253. <https://doi.org/10.1016/j.jebo.2012.05.019>
2. Edwards, B. K.; Flaim, S. J. (2008). Measuring and integrating the shadow economy: a sector-specific approach. Retrieved from: <https://www.defcon.org/images/defcon-16/dc16-presentations/defcon-16-edwards.pdf>
3. Enste, D. H. (2002). The shadow economy and institutional change in EU accession countries. A two pillar strategy for the challenges ahead. Retrieved from: www.csd.bg/fileSrc.php?id=10415
4. Enste, D. H. (2018). The shadow economy in industrial countries. Retrieved from: <https://wol.iza.org/uploads/articles/457/pdfs/shadow-economy-in-industrial-countries.pdf?v=1>
5. Fedajev, A.; Arsič, M. (2002). Drivers of shadow economy in transition countries during the post-crisis period: the results of structural model. Retrieved from: <http://kgk.uni-obuda.hu/sites/default/files/02-Fedajev-Arsic.pdf>
6. Glovackas, S. (2004). The informal economy in central and eastern Europe. Retrieved from: <http://www.wiego.org/sites/default/files/publications/files/Glovackas-Central-Eastern-Europe.pdf>
7. Horodnic, I.; Williams, C. C. (2016). An evaluation of the shadow economy in Baltic States: a tax morale perspective. *International Journal of Entrepreneurship and Small Business*, 28(2-3), p. 1-36. Retrieved from: http://eprints.whiterose.ac.uk/88083/5/WRRO_88083.pdf
8. Hudson, J.; Williams, C. C.; Orviska, M.; Nadin, S. (2012). Evaluating the impact of the informal economy on businesses in South East Europe: some lessons from the 2009 World Bank Enterprise Survey. *The South-East European Journal of Economics and Business*, 7, p. 99-110.
9. Kireenko, A.; Nevzorova, E. (2015). Impact of shadow economy on quality of life: indicators and model selection. *Procedia Economics and Finance*, 25, p. 559-568.
10. Kyle et al. (2001). The shadow economy in Bulgaria. Retrieved from: <http://unpan1.un.org/intradoc/groups/public/documents/nispacee/unpan004708.pdf>
11. Lithuanian Free Market Institute. (2015). Shadow economies in the Baltic Sea Region 2015. Retrieved from: <https://www.llri.lt/wp-content/uploads/2015/11/Shadow-Economies-in-a-Baltic-Sea-Region.pdf>
12. Pedersen, S. (1998). The shadow economy in Western Europe. Retrieved from: https://www.rockwoolfonden.dk/app/uploads/2015/12/The-Shadow-Economy-in-Western-Europe.-Measure-ment-and-Results-for-Selected-Countries.study_5-1.pdf
13. Remeikienė, R.; Gasparėnienė, L. (2016). Evaluation of digital shadow economy prevention measures. *Economics & Culture*, 13(1) p. 31-40. <https://doi.org/10.1515/jec-2016-0004>
14. Remeikienė, R.; Gasparėnienė; Kartašova, J. (2014). Country-level determinants of the shadow economy during 2005-2013: the case of Greece. *Mediterranean Journal of Social Sciences*, 5, p. 454-460.
15. Schneider, F. (2002). The size and development of the shadow economies of 22 transition and 21 OECD countries. Retrieved from: <http://ftp.iza.org/dp514.pdf>
16. Schneider, F. (2008). The shadow economies in Western Europe. *Economic Affairs*, 19(3), p. 42-48
17. Schneider, F. (2015). Size and development of the shadow economy of 31 European and 5 other OECD countries from 2003 to 2015: different developments? *Journal of Self-Governance & Management Economics*, 3(4), p. 7-29.
18. Schneider, F. (2016). Estimating the size of the shadow economies in highly-developed countries: selected new results. Retrieved from: <http://www.cesifo-group.info/DocDL/dice-report-2016-4-schneider-december.pdf>
19. Schneider, F.; Buehn, A. (2016). Estimating the size of the shadow economy: methods, problems and open questions. Retrieved from: <http://ftp.iza.org/dp9820.pdf>
20. Schneider, F.; Buehn, A.; Montenegro, C. E. (2010). Shadow economies all over the world: new estimates for 162 countries from 1999 to 2007. Retrieved from: <https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/3928/WPS5356.pdf?sequence=1&isAllowed=y>
21. Stankevičius, E.; Vasiliauskaitė, A. (2014). Tax burden level leverage on size of the shadow economy, cases of EU countries 2003-2013. *Procedia – Social and Behavioural Sciences*, 156, p. 548-552.
22. Tudose, B. M.; Clipa, R. I. (2016). An analysis of the shadow economy in EU countries. Retrieved from: http://www.ceswp.uaic.ro/articles/CESWP2016_VIII2_TUD.pdf
23. Vainionpaa, J. (2016). The grey economy and the effects of its prevention. Retrieved from: https://www.theseus.fi/bitstream/handle/10024/109442/Vainionpaa_Jonna.pdf?sequence=1
24. Williams, C. C.; Horodnic, I. A. (2015b). Tackling the informal economy in Southeast Europe: an institutional approach. *Southeast European and Black Sea Studies*, 15(4), p. 519-539. <https://doi.org/10.1080/14683857.2015.1056980> Retrieved from: http://eprints.whiterose.ac.uk/86622/12/2_PDFsam_WRRO_86622%5B1%5D.pdf
25. Williams, C. C.; Horodnic, I. A. (2015a). Explaining and tackling the shadow economy in Estonia, Latvia and Lithuania: a tax morale approach. *Baltic Journal of Economics*, 15(2), p. 81-98.

კომერციული ბანკების მდგრადობის ბიზნეს-მოდელის შეფასების მიზნების და მექანიზმები

გიორგი ცაავა
სტუ-ს პროფესორი, ემდ.

ანოტაცია

საბანკო სისტემის სტაბილურობა ეროვნულ ეკონომიკაში გადანაწილების ფუნქციის რეალიზაციის ეფექტიანობას და აქედან გამომდინარე, მთლიანობაში ეკონომიკური განვითარების ეფექტიანობასაც განსაზღვრავს. ეკონომიკის დაჩქარებული ციკლურობა და ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისებისადმი მაღალი მიდრეკილება კომერციული ბანკებისაგან ბიზნეს-დაგეგმვისადმი და მიზანსაჭიროებისადმი უფრო პასუხისმგებელ მიდგომას საჭიროებს. განვითარების სტრატეგიისა და ბიზნეს-მოდელის დამუშავებადობისა და ადეკვატურობის ხარისხზე, რომელიც მისი რეალიზაციის მექანიზმს ემსახურება, საკრედიტო ორგანიზაციის მდგრადობა დამოკიდებულია. უკანასკნელ პერიოდში ნათელი გახდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ მარეგულირებლის პრუდენციული ნორმატივების დაცვა საბანკო ბიზნესის ეფექტიანი არსებობისა და განვითარებისათვის საკმარის პირობას არ წარმოადგენს, და ისეთი მოდელის ფორმირება საჭირო, რომელიც შემოსავლიანობასა და მიღებად რისკს შორის ოპტიმალური თანაფარდობის მოძიების შემძლე იქნება. ამასთან ბიზნეს-პროფილი სწრაფად ცვალებადი რეაქციისადმი მაღალი მოქნილობითა და ადაპტიურობით უნდა განსხვავდებოდეს. ის კომერციული ბანკები, რომლებიც ბიზნესის გაძლოის ოპტიმალურ სტრუქტურას ფლობენ ან მის მოძიებას შეძლებენ დარჩებიან საბანკო ბაზარზე, დანარჩენები კი იძულებულნი იქნებიან შეაჩერონ საქმიანობა.

მოცემულ სტატიაში საბანკო ბიზნეს-მოდელის სიცოცხლისუნარიანობის შეფასების სხვადასხვა კრიტერიუმებია განხილული, რომლებიც როგორც მარეგულირებლების, ასევე კერძო პროფესიონალური თანამეგობრობის მიერაც გამოიყენებიან. მოცემული მეთოდის ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ფინანსური კოეფიციენტების შეფასებაზე, როგორცაა: აქტივების ხარისხი, ლიკვიდობა, საკუთარი სახსრების საკმარისობა, ფინანსური შდევია, ამასთან მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა: საკრედიტო, სავალუტო, საფონდო და ა.შ. საბანკო რისკების შეფასებას. მიუხედავად ამისა, ჩვენი მოსაზრებით, განხილვადი მიდგომები ხარისხობრივი მაჩვენებლების შეფასებას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, რომლებიც ნებისმიერი საკრედიტო ორგანიზაციის ბიზნეს-მოდელის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. შეთავაზებულია არსებული მეთოდები შესრულებული იქნას არაფინანსური მაჩვენებლების შეფასებით, ისეთებით როგორცაა: საქმიანი რეპუტაციის, კორპორატიული მართვის ხარისხის, ინფორმაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის ხარისხის და ა.შ. შეფასება.

საკვანძო სიტყვები: ბიზნეს-მოდელი; კომერციული ბანკი; შეფასების კრიტერიები; სტრატეგია; მარეგულირებელი; ანალიზი; რეიტინგი; ფინანსური მაჩვენებლები; კორპორატიული მართვა.

APPROACHES AND MECHANISMS TO ASSESSING THE BUSINESS MODELS OF COMMERCIAL BANKS

G. Tsaava
professor of GTU

ABSTRACT

The stability of the banking system determines the effectiveness of the redistribution function in the national economy, and, consequently, the effectiveness of economic development in general. The stability of the credit organization depends on the degree of elaboration and adequacy of the development strategy and the business model that serves as a mechanism for its implementation.

The main emphasis of these methods is made on the evaluation of financial indicator: asset quality, liquidity, capital adequacy, financial result, aslo much attention is paid to assessing banking risks: credit, currency, stock, etc. Nevertheless, in the authors opinion, the approaches considered pay little attention to the evaluation of qualitative indicators that are an integral part of the business model of any credit institution.

It is proposed to supplement existing methods with the evaluation of non-financial indicators, such as: assessment of business reputation, quality of corporate governance, quality of information and technical support, etc.

Key words: business model; commercial bank; evaluation criteria; stratrgy; regulator; analysis; rating; financial indicators; corporate governance.

* * * *


საბანკო სისტემის მდგრადობა პირდაპირ არის დამოკიდებული იმაზე, თუ საკრედიტო ორგანიზაციის ბიზნეს-მოდელი რამდენად იქნება ეფექტური და სიცოცხლისუნარიანები. კომერციული ბანკების ბიზნეს-მოდელის შეფასება განხორციელებული უნდა იქნეს, უპირველეს ყოვლისა, მათი მდგრადობის თვალსაზრისიდან როგორც ფინანსური მდგომარეობის ეფექტიანობისა და სტაბილურობის საკვანძო დახასიათებიდან, ანუ ფინანსური რესურსების ისეთი მდგომარეობიდან გამომდინა-

რე, რომლის დროსაც ბანკი თავისუფალი ფულადი რესურსების ეფექტურად გამოყენების გზით, საკუთარი საქმიანობის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მეჩვენებლების გაუმჯობესებით, თავისი ფუნქციონირების უწყვეტი პროცესის უზრუნველყოფას შეძლებს (2). აღნიშნულთან დაკავშირებით საბანკო საქმიანობის მოდელის შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა მეტად მნიშვნელოვანია, რომლებიც ბიზნეს-მოდელის ნაკლოვანებების გამოვლენისა და აღმოფხვრის შესაძლებლობას და ამით კომერციული ბანკების ფინანსური მდგრადობის დანაკარგების რისკის მინიმიზირების შესაძლებლობას იძლევა.

რაც შეეხება საბანკო ბიზნეს-მოდელის შეფასების კრიტერიუმებს უნდა აღინიშნოს, რომ ბაზელის კომიტეტმა საბანკო ზედამხედველობასთან მიმართებაში 2015 წლის ივლისში გამოუშვა განახლებული დოკუმენტი სახელწოდებით „სახელმძღვანელო პრინციპები სუსტი ბანკების გამოსავლენად და მათთან მუშაობის შესახებ“. საკვანძო ცვლილებები (აღნიშნული დოკუმენტის 2002 წლის საწყისი ვერსიასთან შედარებით) საბანკო ზედამხედველობის სრულყოფის საკითხებს, კერძოდ ბიზნეს-მოდელის შეფასებას ეხებოდა. დოკუმენტში ჩამოყალიბებულია ძირითადი კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით შეიძლება ბანკების არასიცოცხლისუნარიანი ბიზნეს-მოდელები იქნას გამოვლენილი, ასევე მითითებულია, რომ სწორედ მაღალრისკიან და/ან არაეფექტურ ბიზნეს-მოდელებს ბანკების ფინან-

სური მდგრადობის დაკარგვამდე და ლიცენზიების გამოთხოვამდე მივყავართ. ასე, მაგალითად, ბანკის ბიზნეს-მოდელი შეიძლება არაეფექტური იყოს, თუ იგი ხასიათდება (1):

- ამაღლებული დამოკიდებულებით ბიზნესის დაფინანსების სტრუქტურის შეუსაბამო მიზნებისა და ამოცანებისაგან;
 - ზეზომიერი კონცენტრაციით დაფინანსების, შემოსავლისა და/ან რისკის განსაზღვრულ წყაროზე;
 - შემოსავლების ასიმეტრიულობით და ვალატიულობით, რომლებიც მოკლე ვადის განმავლობაში მათ სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებებით არის განპირობებული;
 - არარეექსიტიური სტრატეგიული ორიენტირებით (მაგალითად, ზრდის შესაძლებლობების, საკვანძო ეკონომიკური მაჩვენებლების და ბაზრის ტენდენციების ცვლილებების ზედმეტი ოპტიმიზმით), რასაც ხშირად საკვანძო გადაწყვეტილებებში შეცდომებისაკენ მივყავართ;
 - რთულ ტექნოლოგიებში მასშტაბური ინვესტიციებით კონტროლის, ზედამხედველობის ან აღნიშნული ბაზრის ბუნების გაგების გარეშე (Basel Committee on Banking Supervision Guidelines for identifying and dealing with weak banks, 2015, pp. 12-24).
- ევროპულმა საბანკო ორგანიზაციამ (European Banking Authority) დოკუმენტში „სახელმძღვანელო პრინციპები კომერციული ბანკების ზედამხედ-



ნახაზი 1. კომერციული ბანკის ბიზნეს-მოდელის შეფასების ალგორითმი (შედგენილია ავტორის მიერ)

ველობისა და შეფასების საერთო პროცედურებისა და მეთოდოლოგიის შესახებ“ (2014) აქცენტი გააკეთა ბიზნეს-მოდელის სიცოცხლისუნარიანობაზე და მდგრადობაზე, ასევე მარეგულირებლებს რეკომენდაცია მისცა უპირატესობა არ მიანიჭონ ბიზნესის გაძლოლის რაიმე სახის კონკრეტულ მოდელებს (მაგალითად, უნოვერსალურ ბანკს საცალოების წინაშე). გარდა ამისა, მოცემულ დოკუმენტში საბანკო ბიზნეს-მოდელის ანალიზის დეტალური ალგორითმია აღწერილი (იხ. ნახაზი 1), რომლის თანახმად მარეგულირებელმა ორგანოებმა გონივრული მიდგომებით უნდა იხელმძღვანელონ, რომლებიც ბაზრის სეგმენტების ანალიზის შედეგებს ითვალისწინებენ, რომლებზეც სპეციალიზირდებიან ბანკები (Guidelines on common procedures and methodologies for the supervisory review and evaluation process (SREP))// European Banking Authority, 2014, pp. 34-41).

დროითი ჰორიზონტების სახით, რომლებზეც ბიზნეს-მოდელის სიცოცხლისუნარიანობა და სტრატეგიის ადეკვატურობა ფასდება, გამოიყენება 12 თვე და 3 წლის პერიოდები. ზემოთგანხილული ალგორითმის მიხედვით გაანგარიშებული შედეგების საფუძველზე საკრედიტო ორგანიზაციის ბიზნეს-მოდელი და სტრატეგია ოთხდონიან შკალაზეა დაფუძნებული, რომელიც ბანკის სიცოცხლისუნარიანობისათვის რისკის ხარისხს განსაზღვრავს.

ფინანსური სტაბილურობის საბჭო (Financial Stability Board) გეთავაზობს კომერციული ბანკების ბიზნეს-მოდელის შეფასების მოცემული მეთოდის სახით უკუ სტრეს-ტესტირების გამოყენებას. მოცემული მიდგომა დეტალურადაა აღწერილი დოკუმენტში „ფინანსური მდგრადობის აღდგენა სისტემურად-მნიშვნელოვანი ფინანსური ინსტიტუტების: სახელმძღვანელო აღდგენის კრიტერიუმებისა და სტრესის სცენარიების მიხედვით“(2013). უკუ სტრეს-ტესტის ძირითად განსხვავებას წარმოადგენს გარემოებებისა და რისკების განსაზღვრის შესაძლებლობა, რომელთა რეალიზაციამ შეიძლება ბანკის ბიზნეს-მოდელის სიცოცხლისუნარიანობისა და მდგრადობის დაკარგვამდე მიგვიყვანოს, მაშინ როდესაც ტრადიციული მეთოდი ამა თუ იმ გარემოებების წარმოქმნისას სხვადასხვა ალბათობებთან შესაძლო შედეგებს სწავლობს (Recovery and Resolution Planning for Systemically Important Financial Institutions: Guidance on Recovery Triggers and Stress Scenarios // Financial Stability Board, 2013, pp. 7-9).

კომერციული ბანკების ბიზნეს-მოდელის შეფასების ყველაზე უფრო პოპულარულ და ეფექტურ უცხოურ სხვა მეთოდებს შორის შეიძლება აღინიშნოს **ამერიკული სისტემა CAMELS**, რომლის რეიტინგული სისტემა თავისთავად წარმოადგენს მოდელს, რომელიც საკრედიტო ინსტიტუტების ფინანსური მდგრადობის შეფასებისათვის აშშ-ის სამი უწყების (ფედერალური სარეზერვო სისტემის - აშშ-ის ცენ-

ტრალური ბანკის, ფინანსთა სამინისტროსი და დეპოზიტების დაზღვევის კორპორაციის) მიერ გამოიყენება. დღეისათვის მისი აგებულების ძირითადი პრინციპები გამოიყენება მრავალ საზედამხედველო ორგანოების სისტემებში, ევროპიული და საქართველოს საზედამხედველო ორგანოების სისტემის ჩათვლით. მოცემული მეთოდიკა თავისთავად ანალიზირებადი კომპონენტების სანყისი ასოების შეხამებას წარმოადგენს (5):

1. C – capital adequacy (კაპიტალის საკმარისობა) -

კაპიტალის საკმარისობის შეფასების პროცესი CAMELS სისტემაში კაპიტალის რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრების გაანგარიშებაში და შეფასებაში მდგომარეობს.

2. A – asset quality (აქტივების ხარისხი) -

ხარისხის ანალიზისას არა მარტო ბანკის აქტივების, არამედ გარესაბაღანსო ანგარიშებზე ასახული გარიგებებისაც შეფასება ხორციელდება. აქცენტი ანალოზსას აქტივების გაუფასურების რისკებზე და ცალკეულ ობიექტებზე საკრედიტო რისკის კონცენტრაციის ხარისხზე კეთდება.

3. M – management (მართვის ხარისხი) -

ბანკის მენეჯმენტი ფასდება ბიზნეს-მოდელის მდგრადობის სხვა შემადგენელების შემდეგ, რამდენადაც ბანკის მართვის ხარისხის შესახებ შეიძლება - ბანკის ლიკვიდურობისა და შემოსავლიანობის, მისი აქტივების მდგომარეობის, კაპიტალის საკმარისობის მიხედვით ვიმსჯელოთ. ასე, მაგალითად, მენეჯმენტის წინასწარი რეიტინგული შეფასების გაანგარიშებისათვის ყველა ზემოთჩამოთვლილი კომპონენტების საშუალოშეწონილ რეიტინგულ შეფასებას განსაზღვრავენ.

4. E – earnings (მოგებიანობა) -

იმისათვის რომ ბანკის მოგებიანობის დონე იქნას შეფასებული გამოიყენება რიგი მაჩვენებლები, ასევე დინამიკაში ბანკის შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურის ანალიზი ხორციელდება.

5. L – liquidity (ლიკვიდურობა) -

საბანკო ბიზნეს-მოდელის მდგრადობის სხვა აუცილებელ პირობას წარმოადგენს ლიკვიდურობა, რომელიც ბანკის მიერ კრედიტორების წინაშე თავისი ვალდებულებების თავისდროულად და სრულად დაფარვისადმი შესაძლებლობაში გამოიხატება.

6. S – sensitivity to risk (მგრძობიარობა რისკისადმი) -

დასასრულს, CAMELS სისტემის შეფასებას დაქვემდებარებული ბოლო ელემენტი - მგრძობიარობა რისკებისადმი - გაანალიზების შესაძლებლობას იძლევა, თუ როგორ ზემოქმედებენ საბაზრო რისკები ბანკის მოგებიანობაზე და კაპიტალზე. ამასთან არა მარტო საბაზრო რისკების (პროცენტულების, სავალუტოების, ფასობრივების და სხვა) დონე, არამედ მათ მიერ მართვის სისტემაზეც ფასდება.

საბანკო ბიზნეს-მოდელის შეფასების კიდევ

ერთ ხერხს წარმოადგენს ინგლისური სისტემა RATE, რომლის განმასხვავებელ ნიშანთვისებას საბანკო საქმიანობას თანმხლები რისკების ანალიზზე და შესაბამის პირობებში საზედამხედველო ქმედებების ეფექტიანობაზე ორიენტაცია წარმოადგენს. სტრუქტურულად მოცემული მოდელი შედგება სამი ურთიერთდაკავშირებული ბლოკებისაგან:

1. რისკის შეფასება ხორციელდება ცხრა ძირითადი მიმართულებების მიხედვით: კაპიტალი; აქტივების ხარისხი; საბაზრო რისკი; შემოსავლიანობა/რენტაბელობა; ლიკვიდობა; ბიზნესი; შიდა კონტროლი; ორგანიზაციული სტრუქტურა; მართვა (3).

რისკების შეფასების თითოეული მითითებული მიმართულებებისაში გამოყენებით ჩამოყალიბებულია კრიტერიუმები და მაჩვენებლები, რომლებიც ზემოთაა აღწერილი. რისკების შეფასების თვით პროცედურაკომოციავსრამდენიმეეტაპს:

- საკვანძო ქვედანაყოფების განსაზღვრა, რომლებიც შენონვასთან და შესაბამისი რისკების მართვასთან არის დაკავშირებული;
- ბანკზე ზემოქმედების ქვეშ არებული რისკების შესახებ წინასწარი ინფორმაციების მიღება;
- რისკების პროფილის წინასწარი ანალიზის განხორციელება;
- ინსპექციის განხორციელება ადგილზე;
- რისკების პორტფელის საბოლოო ანალიზის განხორციელება.

ბოლო ეტაპზე, ინგლისის ბანკის სპეციალისტის პროფესიული მსჯელობის გათვალისწინებით საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე, თითოეული ფაქტორის მიხედვით რიცხობრივი რეიტინგის მინიჭება და ჯამური რეიტინგის გამოყვანა ხორციელდება.

2. ზედამხედველობის ინსტრუმენტები, პროგრამები და მიდგომები, რომლებიც საზედამხედველო პერიოდის განმავლობაში საზედამხედველო ფუნქციების ყველაზე ეფექტიანად რეალიზაციის, ასევე მათ განხორციელებაზე კონტროლის მიზნებით, თითოეული საკრედიტო ორგანიზაციისათვის შემუშავდება.

3. ზედამხედველობის ინსტრუმენტების გამოყენების ეფექტიანობის შეფასება თავისთავში მოიცავს დასკვნის მომზადებას - მთლიანად საზედამხედველო პერიოდში ბანკის მუშაობის შესახებ, ძვრების შესახებ, რომლებიც საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობაში აღნიშნულ პერიოდში განხორციელდა (4).

ასეთი სახით, რისკ-ორიენტირების მოდელი RATE კომერციული ბანკების ბიზნეს-მოდელების შეფასების ჩარჩოებში რისკის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორების ყოველმხრივი ანალიზის განხორციელების შესაძლებლობას იძლევა.

საქართველოს მარეგულირებელმა ეროვნული (ცენტრალური) ბანკის სახით პრევენტიული ზედამხედველობის რეალიზაციის ჩარჩოებში კომერციული ბანკების საქმიანობის შეფასებისას ბიზ-

ნეს-მოდელების მდგრადობაზე განსაკუთრებული დაჟინებული ყურადღების გამახვილება დაინყო. აღნიშნული მოდელი ნაწილობრივ არის დაფუძნებული CAMELS სისტემაზე და იგი თავისთავში მოიცავს ანალიზს და შეფასებას ყოველკვარტალურ საფუძველზე შემდეგი მაჩვენებლების: კაპიტალის; აქტივების; შემოსავლიანობის; ლიკვიდურობის; საპროცენტო რისკის; კონცენტრაციის რისკის; მართვის ხარისხის.

ამასთან მაჩვენებლებიდან თითოეული მრავალი კრიტერიუმების მიხედვით ფასდება. პარამეტრების ერთობლიობის ანალიზის შემდეგ ხორციელდება ჯამური მაჩვენებლის შეფასება, რომელიც განაგარიშებაში ჩართული თითოეული პარამეტრის ბალურ და წონით შეფასებას ითვალისწინებს.

მიუხედავად საქართველოს ეროვნული (ცენტრალური) ბანკის მიერ გამოყენებადი მიდგომის ყველა ღირსებებისა, ჩვენი მოსაზრებით, საბანკო ბიზნეს-მოდელების შეფასების მოცემული მოდელი შეიძლება ხარისხობრივი მაჩვენებლებისადმი უფრო დაჟინებული ყურადღების ნაწილში იქნას გაფართოებული. უპირველეს ყოვლისა, ცალკე შეფასებას იმსახურებს საქმიანი რეპუტაცია როგორც თვით ბანკის, ასევე მისი აქციონერებისაც, მენეჯმენტისაც.

გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა იქნას დათმობილი ბანკის ინფორმაციული ტექნოლოგიების (იტ) შეფასებაზე, რომელიც ბიზნეს-მოდელების მდგრადობასთან არის დაკავშირებული.

ასევე ბანკების ბიზნეს-მოდელების შეფასებისას რისკების მართვის შეფასების გაღრმავებაა საჭირო, რომელიც შესაძლებლობას იძლევა განსაზღვრული იქნას თუ რისკ-მენეჯმენტის მიმდინარე ინფრასტრუქტურა რამდენად შეესაბამება ბანკის მიერ გამოყენებადი რისკების პროფილს. კერძოდ, შეფასება უნდა იქნას განხორციელებული რისკის ცალკეული სახეობების მიხედვით, როგორცაა: საკრედიტო, საბაზრო (სავალუტო, საფონდო, საპროცენტო), საოპერაციო და ლიკვიდურობის რისკები.

საკრედიტო რისკის შეფასების ჩარჩოებში გათვალისწინებული უნდა იქნეს საკრედიტო პორტფელის მიმდინარე ხარისხი, რომელიც რისკ-მენეჯმენტის მუშაობის შედეგიანობის და რისკების მართვის პოლიტიკის სიმკაცრის ხარისხის შესახებ მოწმობს (5). ასევე ღირს კრედიტის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ყურადღება იქნას გამახვილებული რისკ-მენეჯმენტის რეგლამენტაციის დონეზე, საკრედიტო ისტორიის ბიუროსთან თანამშრომლობაზე, საკრედიტო კომიტეტების შემადგენლობაზე, საგირავნო პოლიტიკაზე (მათ შორის მათი დაზღვევის ნაწილში).

საბაზრო რისკებისა და ლიკვიდობის რისკის მართვის შეფასებისათვის რეკომენდირებულია შეფასებული იქნას ამა თუ იმ სახეობის რისკის მართვასთან მიმართებაში გამოყენებადი ინსტრუმენტარი-

ების სიფართოვე (gap-ანალიზი, რისკის ღირებულებითი ზომიერება (var), დიურაცია, სტრეს-ტესტირება და ა.შ.), ასევე რისკ-მენეჯმენტის შესაბამისობა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკებთან.

საოპერაციო რისკების შეფასების ნაწილში ყურადღება უნდა იქნას გამახვილებული საოპერაციო რისკების მიხედვით მონაცემთა ბაზის გაძლოლაზე (რეგლამენტაცია, მისი გაძლოლის ვადა, პასუხისმგებლობის განაწილება), კადრების დენადობის დონეზე (ტოპ-მენეჯმენტის დონეზე შეიძლება გუნდის შიგნით კონფლიქტის შესახებ მოწმობდეს), ლეგალიზაციის საპირისპიროდ გამოყენებად მეთოდებზე (ინტერნეტ-ბანკის გათიშვა, შემაკავებელი ტარიფების გამოყენება, მომსახურე კომპანიების ფაქტიური ადგილმდებარეობის სემონება), ძირითადი საშუალებებისა და სხვა მატერიალური აქტივების დაკარგვის რისკებზე (მონეობილობის, სალაროსი და სხვების დაზღვევა), მონეობილობისა და სისტემების მწყობრიდან გამოსვლის რისკებზე (ინფორმაციების ყოველდღიური სარეზერვო კოპირების, სარეზერვო სერვერების, ელექტროენერჯის უწყვეტი წყაროს არსებობა).

კომერციული ბანკების ბიზნეს-მოდელების შეფასების ზემოთ განხილული მეთოდების გათვალისწინებით შემდეგი სახის მოკლე დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი:

1. შეთავაზებულია კომერციული ბანკების ბიზნეს-მოდელების შეფასებისადმი მიდგომებისა და მექანიზმების სახით გამოყენებული იქნას როგორც რაოდენობრივი ინდიკატორები (ბალანსის, მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშგების მონაცემები, საკვანძო ფინანსური მაჩვენებლები), ასევე ხარისხობრივი პარამეტრები (სტრატეგიისა და კონკურენტული გარემოს ანალიზი, ბანკის სიცოცხლისუნარიანობისა და საიმედოობის საფუძველში

ჩადებული შედარებითი უპირატესობებისა და საკვანძო დამოკიდებულებების მდგრადობის გამოკვლევა).

2. მითითებულია, რომ საბანკო ბიზნესის ასეთი ყოველმხრივი შეფასება სტრატეგიული გეგმების არარეალობის, ბიზნესის ზრდისა და რენტაბელობის ტემპების შესახებ მოლოდინის გაზრდილი ოპტიმალურობის, თვითგაჯანსაღების გეგმების ეფექტიანი რეალიზაციისათვის წინააღმდეგობების და ბიზნეს-მოდელის ცვლილების აუცილებლობის შესახებ დამადასტურებელი სხვა ფაქტორების ოპტიმალურად გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Зинина М.М. – Подходы к оценке бизнес-моделей коммерческих банков // Вестник Европейской науки, 2018, №5. – с. 1 – 8.
2. Бобрик М.А. – Совершенствование системы индикаторов финансовой устойчивости коммерческих банков // Диссертация на соискание ученой степени кандидата экономических наук. – Москва, 2011, с. 16.
3. Лаврушин О.И., Мамонова И.Д. – Оценка финансовой устойчивости кредитной организации. – Москва: КНОРУС, 2011, с. 92 – 107.
4. Тимофеева З.А. – Оценка финансовой устойчивости коммерческих банков // Диссертация на соискание ученой степени кандидата экономических наук. – Москва, 2002, с. 56 – 57.
5. Хольнова Е.Г. – Концепция финансовой устойчивости в системе финансового менеджмента банка // Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора экономических наук. – Санкт-Петербург, 2010, с. 20.

პანდემია 2019 - გაკვეთილები და გამოწვევები

გივი თალაკვაძე

სტუ, ი. ჟორდანიას სახ. საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის მინის, წყლის და ტყის რესურსების განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

ПАНДЕМИЯ COVID-19 – УРОКИ И ВЫЗОВЫ

გივი თალაკვაძე

РЕЗЮМЕ

Пандемия Covid-19, сопутствующие экономические и социальные процессы, продемонстрировали неспособность большинства профильных международных организаций, общественных структур, а также правительств подавляющего большинства стран, оперативного и эффективного противодействия, возведенного в ранг глобальной катастрофы Пандемии Covid-19. Более того, несмотря на не вызывающего каких-либо сомнений начале второго этапа Пандемии, наблюдается необоснованное спокойствие, граничающее с безразличием в отношении этого, не полностью изученного феномена. В то же время, Пандемия вызвала ослабление внимания к ряду негативных глобальных процессов – изменению климата, постоянно растущей нехватке интегральных ресурсов и проблеме их рационального распределения, рост теневой экономики, засилие контрабандной, фальсифицированной и контрафактной продукции. Вызывает серьезные опасения и участвовавшее оперирование несоответствующими реальному положению дел статистическими показателями. Особенно чувствительны эти проблемы для небольших стран, степень экономического и политического влияния которых на глобальные процессы невысок, но воздействие последних на экономику и социальные процессы в этих странах - значителен. Предлагается ряд мер, осуществление которых будет способствовать повышению качества управления приоритетными для государства и общества процессами.

საკვანძო სიტყვები - პანდემია Covid-19, პოსტკრიზისული პარადიგმა, მართვის ოპტიმიზაცია, მსოფლალქმის ინერციული სისტემები, გლობალური განვითარების ტენდენციები, საქართველოს ინტეგრალური რესურსები.

* * * *

თითქმის ექვსი თვეა, რაც მთელი მსოფლიო სრულიად ახალ, უმწვავეს და უპრეცედენტო რეალობაში აღმოჩნდა. კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულმა ძვრებმა, იმის მიუხედავად, რომ მსგავს მოვლენებს კაცობრიობის ისტორიის ახლო და შო-

რეულ წარსულშიც ჰქონდა ადგილი, შოკურ მდგომარეობაში ჩააგდო ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა.

უნდა ვაღიაროთ, რომ თანამედროვე საზოგადოება, ნამყვანი ქვეყნების მთავრობები, სრულიად მოუმზადებლები და უსუსურები აღმოჩნდნენ - ყოველ შემთხვევაში, 2019 წლის ზამთრისა და 2020 წლის გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში ასეთი სახის გლობალური გამოწვევის წინაშე.

პანდემიამ გამოაშკარავა როგორც პროფილური, ასევე ძირითადი საერთაშორისო და რეგიონული სტრუქტურების უუნარობა და კვალიფიკაციის მოულოდნელად დაბალი ხარისხი, რაც მათ გამოამჟღავნეს რეალურ და ფართომასშტაბიან საფრთხესთან შეზღოვების საქმეში.

მეორე პლანზე გადაინაცვლა გლობალური დათბობის, კლიმატის ცვლილების, ეკონომიკური მდგრადობის, პოლიტიკური და სამხედრო კონფლიქტების და უამრავმა სხვა საკითხმა, რომლებიც რამდენიმე თვის წინ გლობალური დღის წესრიგის საკვანძო პრობლემებს წარმოადგენდნენ.

საქართველოს, როგორც პანდემიისგან ერთ-ერთ დაზარალებულ, მაგრამ ამავე დროს საკმაოდ ორგანიზებულად და შედეგიანად მოქმედ ქვეყანას, განსაკუთრებით მის პირველ ეტაპზე, შეუძლია ასეთივე შედეგიანი და ეფექტიანი აღმოჩნდეს მრავალი ახალი ადგილობრივი, რეგიონული და საერთაშორისო ინიციატივის შემუშავებასა და რეალიზაციის მოდელების შექმნაში.

მიმდინარე ეტაპზე, მხედველობაშია 2020 წლის იანვარი-აგვისტო, ანუ Covid 19-ის პირველი ეტაპის დაფიქსირებისა და განვითარების პერიოდი, გაჩნდა უამრავი მოსაზრება, კვლევა, პროგნოზი იმის შესახებ თუ როგორ შეიცვლება მსოფლიო, როგორ გადაფორმირდება გლობალური ეკონომიკა, რა ტრანსფორმაციას განიცდის ადამიანის ყოფისა და აქტივობების პრიორიტეტები.

ძირითადი ლეიტმოტივი ამ ზვავისებურად მზარდი ინფორმაციის - ნეგატიური ხასიათისაა. ახალი პოსტკრიზისული პარადიგმა იხატება, როგორც წესი, მუქ ფერებში, გამაფრთხილებელი აქცენტი კეთდება იმაზე, რომ ადამიანებს მკვეთრად შეეზღუდება დასვენების, გართობის, მოგზაურობის, სხვადასხვა სახის მომსახურების ნაწილიც კი.

რა არის ამ გაფრთხილების ქვეყნარბიტი მოტივები? მხოლოდ ზრუნვა იმაზე, რომ მსოფლიო მო-

სახლეობის ადაპტაცია პოსტკრიზისული ცხოვრებისადმი უფრო მშვიდობიანი და ნაკლებად მტკივნეული იყოს, ხოლო მატერიალური და სულიერი დისკომფორტის ხარისხი, რომელიც ყოველთვის თან ახლავს კრიზისულ და პოსტკრიზისულ პერიოდებს, მინიმუმირებული გახდეს? თუ არსებობს ასეთი პროგრნოზების სხვა, ნაკლებად „გამოსაჩენი“ მოტივები?

ჩავატაროთ სექმატური გამოკვლევა პანდემიის მიერ უკვე შექმნილი და ფორმირების პროცესში მყოფი ე.წ. „ახალი რეალობის“:

1. ვინ არის დაზარალებული?

I. პანდემიის შედეგად გარდაცვლილები, დაინფიცირებულები, მათი ოჯახის და საახლობლოს წევრები.

II. ადამიანები, რომლებმაც პანდემიური პროცესების გამო დაკარგეს სამუშაო, შემოსავლის წყაროები.

III. გლობალური ეკონომიკის წლების განმავლობაში ეფექტიანი და რენტაბელური დარგები (ტრანსპორტი, ტურიზმი, კვების და დასვენების ობიექტები, სპორტი, შოუ-ბიზნესი და ა.შ.). დაზარალებულთა შორის აღმოჩნდნენ მსოფლიო ინდუსტრიის ისეთი გიგანტებიც კი, როგორცაა ავიაკომპანიები, კომპანიები „ბოინგი“ და „ეარბასი“.

IV. ხანდაზმული ადამიანები, რომლებიც ცხოვრების ჩვეული რეჟიმიდან გადაყვანილ იქნენ შინაპატიმრობასთან მიახლოებულ, გადაადგილებისა და კონტაქტების შეზღუდვის, ფაქტიურად „სიცოცხლის დასრულების“ მოლოდინის რეჟიმში, რამაც რიგი უარყოფითი შედეგებისა ამ კატეგორიაში უკვე გამოიწვია (პანიკა, სტრესი, ნეგატიური მოლოდინების სიჭარბე და თავისი მასშტაბით გერონტოციდის სახე მიიღო).

2. ვინ შეინარჩუნა მდგრადი მდგომარეობა?

საბანკო-საფინანსო სისტემამ, სადაზღვევო კომპანიებმა, რიგმა საერთაშორისო სტრუქტურებმა.

3. ვინ განიმტკიცა არსებული მდგომარეობა?

ძალოვანმა სტრუქტურებმა (უამრავი ახალი შეზღუდვები და აკრძალვები ზრდის მათი საჭიროების ხარისხსა და გამართლებულ აქტიურობას და მათ უშუალო ინტერესებშია), სამედიცინო მომსახურების ობიექტებმა, ფარმინდუსტრიამ, ონლაინ მომსახურების ქსელებმა, რომელთა ბრუნვების ზრდის პიკი ჯერ კიდევ წინ არის, მაკონტროლებელმა და სხვადასხვა ტიპის მონიტორინგის განმხორციელებელმა სტრუქტურებმა, მთელმა რიგმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ანალიტიკურმა და პროგნოსტიკურმა ორგანიზაციებმა, სოციალური ქსელების ძირითადმა აქტორებმა, ავტორიტარულმა და დიქტატორულმა რეჟიმებმა, პრაგმატულმა რელიგიურმა სტრუქტურებმა.

ვინ არის ინიციატორი და ავტორი მიმდინარე მოვლენებისა? ის, ვინც „მოვებული“ დარჩა, თუ ის, ვინც წარმატებით „მოერგო“ ახლად შექმნილ რეალობას? პასუხის გაცემა ამჟამად რთულია. საჭიროა მოვლენათა განვითარებაზე დაკვირვება, ანალიზი, მიმდინარე და ახლად წარმოქმნილი პროცესების ობიექტური შეფასება.

თუმცა, ზოგიერთმა ტენდენციამ უკვე აშკარად იჩინა თავი. ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო (უფრო სწორად კი-გამაჟღავნდა) მწვავე საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი, რომლის ძირითადი მახასიათებლებია:

1. გლობალური მთლიანი შიდა პროდუქტისა (გმშპ) და გლობალური დერივატივების (გდ) სრულიად ალოგიკური და საშიში თანაფარდობა: გდ უტლდება 7-8 გმშპ-ს.

2. ანგარიშსწორებათა ძირითადი მსოფლიო ვალუტების (დოლარი და ევრო) კრიტიკულ ფაზაში შესვლა (2019 წლის ე.წ. „ბაზელის შეხვედრის“ დეტალები ამის დასტურია).

3. რესურსების შესახებ მონაცემთა გაყალბება, მათი განაწილებისა და დანაკარგების კრიტიკული ფაზებში გადასვლა.

4. ტექნოლოგიური პროგრესის ნაკლებად კონტროლირებადი ეტაპის მოახლოება (ციფრული ტექნოლოგიები, ხელოვნური ინტელექტი, ნეირონული ქსელები, ხელოვნური ინტუიციის სისტემები, ფუნდამენტურ მეცნიერებათა განვითარების ტემპების ჩამორჩენა გამოყენებით დარგებთან და მონინავე ტექნოლოგიურ კვლევებთან შედარებით).

5. მოვლენებისა და პროცესების მთელი სიმრავლე, რომელთა მკაფიო აღქმა, გაანალიზება და ახსნა მიმდინარე ეტაპზე ვერ ხერხდება.

უპრეცედენტო ცვლილებების სივრცეში მსოფლიოს გადანაცვლება „ნახტომისებურად“ მოხდა. ახალი ბუნებრივი, ცნობიერებითი, მსოფლალქმადი და მსოფლხედვითი პროცესები უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე კაცობრიობის და ცალკეული ადამიანების საუკუნეების განმავლობაში ფორმირებადი „ფარი“ - აზროვნებისა და მოქმედებების სტერეოტიპები, მკვეთრ ცვლილებათა წინააღმდეგ ტრადიციულად ამოქმედებული დაცვის ინერციული სისტემები.

საგულისხმოა, რომ უკვე აღარ მიდის საყოველთაო კრიტიკული დამოკიდებულებების ფორმირება ისეთი პრობლემებისადმი, როგორცაა პირველადი მოხმარების საგნებისა და პროდუქციის უვნებლობა, გენმოდინფიცირებული პროდუქტების წარმოების მასშტაბების მკვეთრი ზრდა, ბრძოლა ჩრდილოვან ეკონომიკასთან. პირველადი მოხმარების მიზეზები, ერთი შეხედვით, გასაგებია და ნაწილობრივ, მისაღებიც: იგივე ჩრდილოვანმა ეკონომიკამ თავისი პრაქტიკული შედეგებით, ერთგვარად ხე-

ლიც კი შეუწყო გლობალური და რიგი, მათ შორის მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეკონომიკების ზოგიერთი სექტორის განვითარებას, სამუშაო ადგილების შექმნას, უმუშევრობითა და დაბალი შემოსავლებით განპირობებული სოციალური უკმაყოფილების გამომხატვის სულ უფრო და უფრო გახშირებულ ფაქტებს. მართალია, მისი არსებობის გამო ბიუჯეტებში არ შედის გადასახადების საკმაოდ სოლიდური ნაწილი, მაგრამ არსებობის უფლებას ინარჩუნებს კითხვაც: საბოლოო ჯამში რა არის მოსახლეობის ფართო ფენებისთვის უფრო სასურველი? მწარმოებლური ეკონომიკის განვითარებაში შეტანილი წვლილი თუ ბიუჯეტში შენატანები, რომელთა მიზნობრივი გამოყენების შესახებ ინფორმაციის მოპოვებაც კი საკმაოდ რთულია. (დღეს ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი მთლიან შიდა პროდუქტში მსოფლიოში საშუალოდ 22-24 %-ია, ხოლო ამ მხრივ 'წამყვანი' ქვეყნების ჯგუფი ასე გამოიყურება: აზერბაიჯანი - 67%, ნიგერია - 48%, უკრაინა - 47%, რუსეთი - 39%, შრი-ლანკა 38%, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებლებია ამერიკის შეერთებულ შტატებში - 7,8%, იაპონიასა - 10% და ჩინეთში - 10,2%).

რა თქმა უნდა, ვერ ვიქნებით ჩრდილოვანი ეკონომიკის აპოლოგეტები, რადგან ეს არის კანონგარეშე საქმიანობა ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესის კონსტიტუციებიდან გამომდინარე, მაგრამ არის და გაგრძელდება ტყეების უკანონო ჭრები, ულიცენზიო ნიაღისეულის მოპოვება, ნადირობა და თევზაობა, იატაკქვეშა და თუნდაც „იატაკზედა“, კარგად შენიღბული და ლეგალური ბიზნესის ატრიბუტებით გამოჩენილი საქმიანობა, რისი შეჩერებაც ან თუნდაც შემცირებაც ერთბაშად ვერ მოხდება.

გაცილებით უფრო საშიშია ისეთი მოვლენები, როგორც არის კონტრაბანდა, ფალსიფიკატის და კონტრაფაქტების წარმოება, გავრცელება და მოხმარება. აქ მასშტაბები მართლაც რომ კოლოსალურია და მზარდი.

ხშირად ამ ტერმინების მნიშვნელობათა აღრევას აქვს ადგილი, თუმცა ისინი სრულიად განსხვავებული შინაარსისაა:

კონტრაბანდა არის საქონლისა და ნივთების ფარულად გადატანა სახელმწიფო საზღვარზე და თვით გადატანილი საქონელი და ნივთებია,

კონტრაფაქტი არის ახალი პროდუქტი, შექმნილი ორიგინალის ბაზაზე ინტელექტუალური უფლების დარღვევით (ძირითადად გვხვდება ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, საათების, წვრილი ელექტროტექნიკისა და ელექტრონიკის, საყოფაცხოვრებო ქიმიის, კოსმეტიკისა და პარფიუმერიის და ა.შ. წარმოებაში).

ფალსიფიკატი არის დაბალი, ზოგჯერ საშიში ხარისხის ყალბი პროდუქცია, რომელსაც მწარმოებელი ასაღებს როგორც ნამდვილს.

როგორ უნდა დაიცვას თავი ამ საშიშროებისგან საქართველოს მასშტაბისა და განვითარების დონის ქვეყანამ? ერთადერთი გზაა - უმკაცრესი კონტროლი და მკაფიო კანონმდებლობაზე დამყარებული სასჯელები, შემოტანილ და ქვეყნის შიდა წარმოებულ ყველა სახის პროდუქციაზე განსაკუთრებით კი პირველადი მოხმარების საგნებზე (სურსათი, სასმელები, საყოფაცხოვრებო დანიშნულების პროდუქცია, სასუქები, სათესლე მასალა და ა.შ.).

რა თქმა უნდა, ეს სამუშაოები დიდ წინააღმდეგობას გამოიწვევს და უმტიკინეულოდ არ ჩაივლის.

თუმცა, მიმდინარე ეტაპზე მაინც უმთავრეს საკითხად რჩება ჩვენს ქვეყანაში სადღეისოდ შექმნილი ვითარება, განვითარების ზოგადი იდეოლოგიისა და კონკრეტულ მოქმედებათა პროგრამების ჩამოყალიბება.

გასულ წელს, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა ერთმა ჯგუფმა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელმა ცენტრმა წინადადებით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, მმართველი პარტიის ლიდერსა და საქართველოს პარლამენტის ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს ქვეყნის ინტეგრალური რესურსების სრულყოფილი აღრიცხვისა და მათი გამოყენების მართვის სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობის თაობაზე.

რა თქმა უნდა, ვერც ერთი მათგანი იმ დროს ვერ წარმოიდგენდა, რომ პროცესები იმ ფორმითა და იმ მასშტაბით განვითარდებოდა, რისი მოწმენიც მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გავხდით, თუმცა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქვეყნის პრიორიტეტების განსაზღვრასა და მათი რეალიზაციისათვის ადგილობრივი ინტეგრალური რესურსების როლის კარდინალურ ამალებაზე გადაუდებელი ზრუნვაა საჭირო - იმთავითვე იყო ხაზგასმული.

პანდემიამ და თანმხლებმა მოვლენებმა და პროცესებმა მკაფიოდ წარმოაჩინა ჩვენი ქვეყნის მონყვლადობა საკუთარი ინტეგრალური რესურსებით ქვეყნის მოსახლეობისთვის თვისობრივად და რაოდენობრივად გააცილებით უფრო სრულად და მრავალმხრივად უზრუნველყოფის მხრივ.

გამომდინარე აქედან, მიგვაჩნია, რომ გადაუდებლად უნდა განხორციელდეს ღონისძიებათა კომპლექსი, რომლის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია:

- ანალიტიკურ-პროგნოსტიკული სტრუქტურის შექმნა, რომელიც მოახდენს ქვეყნის მიმდინარე და პერსპექტიული გამოწვევების მკაფიო ჩამოყალიბებასა და შესთავაზებს ხელისუფლებას მათი გადაწყვეტის ეფექტიან სქემებსა და მოდელებს;

- ქვეყნის ინტეგრალური რესურსების საყოველთაო და ზუსტი ინვენტარიზაცია;

- მწარმოებლური ეკონომიკის საკვანძო დარგების საგნობრივი და სისტემური ხასიათის რეალური განვითარება.

- უმუშევრობის, **საცხოვრებელი** (და არა „საარსებო“) მინიმუმის, „სამომხმარებლო კალათის“, საშუალო ხელფასის, გარემოს დაცვის, სამედიცინო მომსახურების, ბუნებრივი რესურსების და სხვა ძირითადი ეკონომიკური კატეგორიების **ჭეშმარიტი მაჩვენებლების** დადგენა და მათზე ორიენტირებული სამოქმედო პროგრამების შემუშავება, რომლებსაც მიენიჭოს **ეროვნული, დარგობრივი, რეგიონული და მუნიციპალური პროექტების სტატუსი** და განხორციელდეს მათი ეტაპობრივი რეალიზაცია;

- კომერციული ბანკების, სამედიცინო მომსახურების, ფარმაცევტული და მოსახლეობის სხვა უმთავრეს პრობლემებთან დაკავშირებული ორგანიზაციებისა და კომპანიების საქმიანობის ობიექტურად შეფასება და კონსტიტუციისა და კანონმდებლობის სრული დაცვით კორექტირება.

- სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მასალების ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების რეალურად არსებულ სოციალურ-ეკონომიკური ვითარებასთან შესაბამისობაში მოყვანა;

- ანტიმონოპოლური, ფასების რეგულირებისა და ყველა სახის პროდუქციის ხარისხის დამდგენი სახელმწიფო სტრუქტურების მუშაობის ხასიათის არსებითად დახვეწა;

კარგად უნდა გვესმოდეს, რომ მიუხედავად საერთაშორისო, ზოგადსაკაცობრიო პროცესებზე გავლენის ერთობ მოკრძალებული მასშტაბებისა, საქართველო, ისევე როგორც სხვა მცირე ქვეყნები, ნებით თუ უნებლიეთ, მსოფლიოში მიმდინარე ყველა პროცესის უშუალო მონაწილეა და მისი, როგორც სუვერენული სახელმწიფოს მომავალი, ბევრად არის დამოკიდებული მის მიერვე შემუშავებულ საკუთარი განვითარების სქემებსა და მოდელებზე.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. E.Reinert. How rich countries got rich and Why poor countries stay poor. Consiable, London, 2017/
2. ნ.ჭითანავა. განსაცდელმა გააზრებული ნაბიჯების გადადგმა უნდა შეგვაძლებინოს. iverioni.com.ge. 27.03,2020.
3. ი.არჩვაძე. კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული გლობალური ცვლილებები. „მნიგნობარი“, თბილისი, 2020.
4. გ.თალაკვაძე. „ქართველი ხალხი უკეთეს ანმყოს და მომავალს იმსახურებს“ „ინტერპრესნიუსი“. თვალსაზრისი. 2012.
5. გ.თალაკვაძე. მთავრობას უნდა შეეძლოს თამამად თქმა - ჩვენ ვიცით არა მხოლოდ ის, თუ რა უნდა გაკეთდეს საქართველოში, არამედ ისიც, თუ როგორ უნდა გაკეთდეს. „ინტერპრესნიუსი“. თვალსაზრისი. 2020.

კრიპტოვალუტა ბიტკოინის კურსის სვლილებისა და მისი მიმოქცევის სრულყოფის პრობლემები

მურთაზ მაღრაძე

პროფესორი, ემერიტუსი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დემურ სიჭინავა

პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატია ეძღვნება კრიპტოვალუტა ბიტკოინის კურსის ფორმირებისა და მისი მიმოქცევის პროცესის გაუმჯობესების პრობლემებს. მასში დახასიათებულია ბიტკოინის ფასზე მოქმედი ფაქტორები: მოთხოვნა-მიწოდება, ემისია, წამოების ღირებულება, საკანონმდებლო რეგულირება, ინფორმაციული ფონი, კრიპტოვალუტის ბაზარზე ალტკოინებს შორის კონკურენცია, მონეტების „დანვა“ და ადამინთა ჯგუფი ე. წ. „ვეშაპები“. დახასიათებულია ამ ფაქტორების ზემოქმედების სპეციფიკა ბიტკოინის კურსზე და შესაბამისი პრობლემები, მოცემულია წინადადებები, რომელთა განხორციელება სტაბილურს გახდის ბიტკოინის კურსს და ხელს შეუწყობს ქვეყანაში კრიპტოვალუტის საყოველთაო საგადასხდელო საშუალებად აღიარებას.

საკვანძო სიტყვები: ბიტკოინის ფასი, ბიტკოინზე მოთხოვნა-მიწოდება, კრიპტოვალუტის ემისია, ბიტკოინის წარმოების ღირებულება, ბიტკოინის დეფიციტი, ბიტკოინის რეგულირება, მიმოქცევის ქსელის სირთულე, მონეტების „დანვა“, ინფორმაციული ფონი, ე. წ. „ვეშაპები“.

CRYPTOCURRENCY BITCOIN EXCHANGE RATE CHANGE AND PROBLEMS OF ITS CIRCULATION PERFECTION

Murtaz Maghradze,

Professor, Emeritus, Ivane Javkhishvili Tbilisi State University

Demur Sichinava,

Professor, Ivane Javkhishvili Tbilisi State University

ABSTRACT

The article is dedicated to the problems of cryptocurrency bitcoin exchange rate formation and improvement of its circulation process. It characterizes the factors affecting the price: demand and supply, issue, cost of production, legislative regulation, information background, competition between altcoins in the cryptocur-

rency market, “burning” of coins and a group of people, so called “Whales”. The specifics of the impact of these factors on the Bitcoin exchange rate and the corresponding problems are described, and suggestions are made on the implementation of which will stabilize the Bitcoin exchange rate and facilitate the recognition of cryptocurrency as a universal means of payment in the country.

* * *

კრიპტოვალუტა ბიტკოინი, როგორც ელექტრონუკრიპტოვალუტა ბიტკოინი, როგორც ელექტრონული ფულის ნაირსახეობა, აღმოცენდა ფიატნური ფულის ისეთ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, როგორცაა: ფულადი საშუალებების ცენტრალიზებული მართვისა და ტრანზაქციაში მესამე პირის მონაწილეობის აუცილებლობა, ნაკლებად დაცულობა, ემისიის მაღალი ღირებულობა, გაყალბებისგან ნაკლებად დაცულობა, მიმოქცევასთან დაკავშირებული დიდი დანახარჯები, ტრანზაქციის დიდი დრო, ეკოლოგიურ მდგომარეობაზე უარყოფითი ზემოქმედება და სხვ.

სატოში ნაკამოტოს მიერ ბიტკოინის პირველი მონეტის მიმოქცევის ქსელში ჩაშვებიდან (2009 წლის 3 იანვარი) 11 წელზე მეტი დრო გავიდა. ბიტკოინის შექმნის მომენტისთვის კრიპტოვალუტის შესახებ ინფორმაცია გააჩნდათ მხოლოდ ერთეულ პიროვნებებს და მისი მფლობელების რიცხვიც უმნიშვნელო იყო. მაგრამ დროთა განმავლობაში იზრდებოდა მის მიმართ ნდობა, რის გამოც 2020 წლის 30 იანვრისთვის ბიტკოინის მფლობელთა რაოდენობამ შეადგინა 23 მილიონი ადამიანი. კომპანია **Glassnode**-ის კვლევების მიხედვით, ბიტკოინის მომხმარებელთა რაოდენობა იზრდება წრფივად და მონოტონურად [1].

მიუხედავად ამისა, ბიტკოინის კურსის ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორებისა და მისი მიმოქცევის სრულყოფის საკითხი კვლავაც შეადგენს ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას, რომლის გადაჭრა ბიტკოინის მფლობელებს და ინვესტორებს საშუალებას მისცემდა გააკეთონ სწორი პროგნოზი და დაგეგმონ ბიტკოინთან დაკავშირებული საქმიანობა: ჩადონ

მასში ინვესტიციები; აქტიურად მიიღონ მონაწილეობა კრიპტოვალუტის ყიდვა-გაყიდვაში და სხვ.

ბიტკოინის ფასის ფორმირებაზე სხვადასხვა ფაქტორი სხვადასხვაგვარად მოქმედებს. მათ შორის ძირითადია: ბიტკოინზე მოთხოვნა-მიწოდება, ბიტკოინის წარმოების ღირებულება, ბიტკოინის მიმოქცევის საკანონმდებლო რეგულირება, „ალტკოინებს“ შორის კონკურენცია, ბირჟებზე ბიტკოინის დეფიციტი, ინფორმაციული ფონი, ბიტკოინის მიმოქცევის ქსელის სირთულე, მონეტების „დანვა“, ე.წ. „ვეშაპები“¹ და სხვ. [2].

განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი უფრო დანერგვით.

ბიტკოინზე მოთხოვნა-მიწოდება

საერთოდ, მოთხოვნა და მიწოდება არის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ნებისმერი აქტივის ფასს. ბიტკოინიც არაა გამონაკლისი. იგი საქონელია. ამიტომ მისი ფასის ფორმირება ძირითადად წარმოებს ნებისმერი საქონლის ფასის ფორმირების მსგავსად. მაგ., ოქროს ფასი იმიტომ მაღალია, რომ მისი მარაგები შეზღუდულია და მოპოვება რთულია. თუ ბაზარზე უეცრად გამოჩნდება ოქროს დიდი რაოდენობა, მისი ფასიც შესაბამისად დაეცემა. ოქროს მსგავსად ბიტკოინის მარაგებიც შეზღუდულია 21 მლნ მონეტის რაოდენობით.

მიუხედავად აღნიშნულისა ბიტკოინის კურსი მაინც ხასიათდება მაღალი ვალანტილობით და მისი ფასიც შეიძლება შეიცვალოს წამიერად. ერთ-ერთი ცნობის მიხედვით, მაგ., 2010 წლის 2 მაისს ერთ-ერთმა პროგრამისტმა ლაზლო ჰანეშმა ორ პიცაში, რომლის ფასი იყო 25 დოლარი, გადაიხადა 10000 ბიტკოინი. ბიტკოინის მაშინდელი საბაზრო ფასი ტოლი იყო 0,25 დოლარის [3]. მოყოლებული აქედან, ბიტკოინის კურსი 2017 წლის ბოლოსთვის გაიზარდა და მიაღწია - 20000 დოლარს. ჯერჯერობით მოპოვებულია 18.2 მილიონი მონეტა [2]. ყოველ 10 წუთში ხდება ერთი ახალი ბლოკის გენერაცია, რისთვისაც მაინერები (მომპოვებლები) გასამრჯელოს სახით ღებულობენ 6,25 ბიტკოინს. მათი რაოდენობა ავსებს მსოფლიოში არსებული ბიტკოინების მარაგს. ბიტკოინებზე მოთხოვნა მეტია, ვიდრე მიწოდება, ამიტომ ბიტკოინის ფასი მატულობს. როგორც ცნობილია 2020 წლის მაისში მოხდა მაინერების ჯილდოს ჰალვინგი². მაინერების მიერ ბიტკოინის

ბლოკის მოპოვებისთვის ჯილდოს განახევრება წარმოებს ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ, რაც ხელს უწყობს მარაგების ზრდის შეჩერებას, შესაბამისად, მასზე ფასის ზრდას. 2020 წლის მაისიდან ბლოკის ფორმირებისთვის ჯილდო ტოლი გახდა 6,25 ბიტკოინის. ჰალვინგი იმოქმედებს მანამდე, სანამ მოთხოვნა იქნება მეტი, ვიდრე მარაგების შევსება. ეს უკანასკნელი გამოიწვევს ბიტკოინის ფასის ზრდას. როგორც ცნობილი გახდა, თუ ადრე ბლოკის გამოშვების ინტერვალი შეადგენდა 10 წუთს, ახლა ეს მაჩვენებელი გახდა 14 წუთი, რაც აუცილებლად გამოიწვევს სატოში ნაკამოტოს მიერ 21 მილიონი ბიტკოინის საბოლოო ემისიის დროის კორექტირებას, მისი გაზრდის მიმართულებით [4].

ბიტკოინის წარმოების ღირებულება

2019 წელს, სპეციალისტების გაანგარიშებით ბიტკოინის ერთი მონეტის მოპოვებაზე დანახარჯი გაიზარდა 3000-დან 4000 დოლარამდე [5]. ბიტკოინის მოსაპოვებლად იხარჯება დიდი რაოდენობით ელექტროენერგია. 2019 წელს მსოფლიოში ბიტკოინის მოსაპოვებლად დაახლოებით დაიხარჯა 61 ტერაკილოვატ საათი ელექტროენერგია [6]. ერთი ბიტკოინის მოსაპოვებლად საჭირო ელექტროენერგიის ღირებულება სხვადასხვაა იმისდა მიხედვით, თუ სად წარმოებს მისი მოპოვება. იმ რეგიონში, სადაც ელექტროენერგიის ღირებულება ნაკლებია, მოპოვებული ბიტკოინის ღირებულებაში ელექტროენერგიის ღირებულებაც დაბალია [7] ამიტომ მაინერები ცდილობენ ბიტკოინის მონაცემთა ცენტრები განათავსონ ელექტროენერგიის დაბალი ღირებულების მქონე განახლებადი ელექტროენერგიის მწარმოებელ ობიექტებთან.

მკვლევარებს შორის მიმდინარეობს დავა ბიტკოინის ღირებულებასთან დაკავშირებით. ერთნი ამტკიცებენ, რომ შრომითი ღირებულების მარქსისტული თეორიის მიხედვით ბიტკოინის ფასი დაკავშირებულია მისი მოპოვების ხარჯებთან. მეორენი ამტკიცებენ, რომ საქონლისა და მომსახურების ფასი განისაზღვრება არა მასზე განეული დანახარჯებით, არამედ იმ თანხით, რასაც გადაიხდის მყიდველი მოცემულ მომენტში, მიუხედავად მასზე განეული დანახარჯებისა. ბიტკოინის შემქნელი, სატოში ნაკამოტო მხარს უჭერდა შრომითი ღირებულების მარქსისტულ თეორიას და აღნიშნავდა, რომ „ნებისმერი საქონლის ფასი მიისწრაფის მის საწარმოებლად საჭირო დანახარჯების ღირებულებისა“ [7].

ბიტკოინის ჰალვინგი, იწვევს ბიტკოინის მონეტის მოპოვების ღირებულების ზრდას. თუ ბიტკოინის ფასი დაეცემა მის თვითღირებულებაზე დაბლა, მაშინ მისი მოპოვება არამომგებიანი გახდება და, ალბათ, მაინერებიც, შესაბამისად, შეწყვეტენ მის მოპოვებას.

1 „ვეშაპები“ არიან ადამიანები, რომლებიც ფლობენ დიდი ოდენობით ფინანსურ რესურსებს.

2 ჰალვინგი (Halving) არის ბიტკოინის ბლოკის მოპოვებისთვის ანაზღაურების საფასურის ორჯერ შემცირება. ყოველ 4 წელიწადში ერთხელ მაინერების მიერ ბიტკოინის გამომუშავების შესაძლებლობა ნახევრდება. ეს ბიტკოინის შემქმნელმა, სატოში ნაკამოტომ დაადგინა ბიტკოინის ინფლაციის დონის შესანარჩუნებლად. იმის გამო, რომ ჰალვინგი ახალი ბიტკოინების მიწოდებას ანახევრებს, არსებობს ვარაუდი, რომ ამ ფაქტს ბიტკოინის ფასზე დრამატული გავლენა ექნება.

კრიპტოვალუტის ემისია

კრიპტოვალუტის შემქმნელები სხვადასხვაგვარად უდგებიან კრიპტოვალუტის ემისიის საკითხს. უმეტეს შემთხვევაში წინასწარაა განსაზღვრული კრიპტოვალუტების ემისიის რაოდენობა და დრო. მაგ., ბიტკოინის მონეტების რაოდენობა მისმა შემქმნელმა სატოში ნაკამოტომ წინასწარ განსაზღვრა 21 მლნ მონეტით. პროექტის მიხედვით Litecoin-ის რაოდენობა განსაზღვრულია 84 მილიონით, Ripple-ს - 100 მლრდ-ით, Stellar-ის 100 მლრდ-ით, EOS-ის - ერთი მლრდ-ით, TRON-ის - 99.281.283.283754 ერთეული მონეტით, Cardano-ს - 45 მლრდ-ით, ხოლო რაც შეეხება EthReum-ს, Bitcoin Cash-ს და Monero-ს მათი ემისიის საბოლოო რაოდენობა წინასწარ არ არის განსაზღვრული [8].

ისმის კითხვა: რა უფრო მომგებიანია კრიპტოვალუტის დამფუძნებლებისთვის, ის, რომ მათ მიერ გამოშვებული ვირტუალური მონეტების რაოდენობა წინასწარ იყოს განსაზღვრული, თუ პირიქით? თუ კრიპტოვალუტის ემისიის რაოდენობა და დრო წინასწარაა განსაზღვრული და კრიპტოვალუტის ბაზარზე მოიმატებს მასზე მოთხოვნა, მაშინ შეიძლება შეიქმნას მისი დეფიციტი და მისმა ფასმა მოიმატოს. ასევე შეზღუდული და წინასწარ ცნობილი ემისიის რაოდენობა ხელსაყრელია მისი შემქმნელებისთვის, ვინაიდან ამით მათ ეძლევათ შესაძლებლობა მოახდინონ მისი რეგულირება. მაგ., განახორციელონ მონეტების დანვა.

საერთოდ, კრიპტოვალუტის ფასი ეცემა იმ შემთხვევაში, თუ მისი ემისია წინასწარ არაა განსაზღვრული, გამოშვებულია დიდი რაოდენობით და ბაზარზე მასზე არაა მოთხოვნა.

ბიტკოინის ქსელში ჩაშვების მომენტისთვის ბლოკის მოპოვებისთვის პრემია შეადგენდა 50 ბიტკოინს. აქედან დაწყებული ყოველი ოთხი წლის ინტერვალით ბლოკის მოპოვების ღირებულება 2-ჯერ მცირდებოდა და 2020 წლის მაისისთვის შეადგინა 6,25 მონეტა. 2032 წლისთვის მოპოვებული იქნება 20,671 მილიონი მონეტა [9].

ბიტკოინის ემისიის დამამთავრებელ ეტაპზე ბიტკოინის ბოლო ბლოკის მოპოვებისთვის პრემია გახდება ერთი მეასათასედი, ანუ ერთი სატოშის ტოლი. ასეთი დაბალი პრემიის გამო მაინერები იძულებული გახდებიან უარი თქვან ბლოკის მოპოვებაზე [9].

ბირჟებზე ბიტკოინის - დეფიციტი

როგორც წესი, ბიტკოინის ყიდვა-გაყიდვა ძირითადად შესაძლებელია ბირჟებზე და გადამცვლელ პუნქტებში. თუ ბირჟებზე და გადამცვლელ პუნქტებში ბიტკოინების მონეტების რაოდენობა შემცირდება, მაშინ მისი შექმნა გართულდება, რამაც საბოლოოდ შეიძლება გამოიწვიოს კრიპტოვალუტის კურსის გაზრდა.

კონკურენცია ალტკოინებს შორის

დღეისათვის კრიპტოვალუტებს შორის, მსოფლიო მასშტაბით დომინირებს ბიტკოინი და ალტკოინებზე ფასის ცვლილება წარმოებს ძირითადად მასთან მიმართებაში.

ამის მაგალითია კრიპტოვალუტის ბაზარზე კრიპტოვალუტების Libra-სა და Gram-ის გამოჩენა, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოხდინა ბიტკოინის ეკოსისტემაზე და გამოიწვია მისი ფასის დაცემა. მათი უპირატესობა ბიტკოინის მიმართ განპირობებულია მომხმარებელთა დიდ აუდიტორიით. ლიბრისათვის ეს რაოდენობა შეიძლება გახდეს ორ მილიარდამდე, გრამისთვის კი ასმილიონამდე მომხმარებელი, რომლებსაც შეეძლება ფულის გადასაგზავნად გამოიყენონ მარტივი და მოხერხებული საფულეები. ასევე გაიზრდება იმ მალაზიების რიცხვი, რომლებიც საქონლისა და მომსახურების ღირებულების ასანაზღაურებლად გამოიყენებენ აღნიშნულ ვირტუალურ ციფრულ ვალუტებს [10].

ბიტკოინის საკანონმდებლო რეგულირება

ბიტკოინს არ ჰყავს კონკრეტული ემიტენტი, განსხვავებით ეროვნული ვალუტებისგან. არავის შეუძლია „დაბეჭდოს“ ბიტკოინის ახალი მონეტები, ან „დანვას“ იგი, მისი მფლობელის თანხმობის გარეშე [11] და ამით მოახდინოს ზეგავლენა სხვა ვალუტის კურსზე. ადამიანთა გარკვეული ნაწილი ბიტკოინს ამ დადებითი თვისებების გამო უცხადებს ნდობას და იყენებს მას უპირატესად დანაზოგის შესანახად, რაც დადებითად მოქმედებს მის ფასზე. მიუხედავად ამისა მსოფლიოს ბევრი ქვეყანა ცდილობს მოახდინოს ბიტკოინის ბაზრის რეგულირება. რიგ ქვეყანაში იგი აღიარებულია საგადაამხდელი საშუალებად, ზოგიერთ ქვეყანაში კი მისი გამოყენება აკრძალულია და მის გამოყენებელი ისჯება კანონით. არიან ქვეყნები სადაც კრიპტოვალუტის გამოყენება არც აკრძალულია და არც დაშვებული. მაგ., აშშ-მა მსოფლიოში პირველმა აღიარა ბიტკოინი. აქ მას განიხილავენ როგორც ფასიან ქონებას. იგი აღიარებულია კანონიერ საგადაამხდელი საშუალებად. რაც შეეხება ქვეყნებს: კანადას, გერმანიას, უკრაინას, ბელორუსს, ავსტრალიას, ნორვეგიას, შვეიცარიას, ბულგარეთს და სხვ., აქ მისი რეგულირება ხდება საკანონმდებლო დონეზე. ისეთ ქვეყნებში კი როგორცაა: რუმინეთი, ისლანდია, ყირგიზეთი, ჩინეთი, ციფრული ვალუტის გამოყენება ითვლება კანონგარეშედ [12]. ქვეყანაში ბიტკოინის მიმოქცევის რეგულირება, კონკრეტულად მისი აღიარება საგადაამხდელი საშუალებად, გაზრდის მისადმი ნდობას, რაც გამოიწვევს მასზე მოთხოვნის ზრდას.

ინფორმაციული ფონი

ბიტკოინის გარშემო ინფორმაციული ფონი - ინტერნეტ პორტალებზე მისი რეკლამა, მისადმი

მიძღვნილი სხვადასხვა კონფერენციები, ცნობილ ადამიანთა მისი შეფასებები და სხვ. გარკვეულ ზეგავლენას ახდენს ტრეიდერებზე და აიძულებს მათ შეიძინონ ბიტკოინის მონეტები, რითაც იზრდება მათზე მოთხოვნა. ბიტკოინზე მოთხოვნა იზრდება მარაგის შევსების დაბალი ტემპის გამოც. შესაბამისად იზრდება მისი ფასიც.

საერთოდ, მოსაზრებები ბიტკოინის მიმართ არაერთგვაროვანია. ბიზნესმენებისა და პოლიტიკოსების პროგნოზი ბიტკოინის ფასის შესახებ უმეტეს შემთხვევაში არ მართლდება. მაგ., არ გამართლდა 2017 წლის გაზაფხულზე ჯონ მაკაფის მიერ გამოთქმული ვარაუდი, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში ბიტკოინის ერთი მონეტის ფასი მიაღწევდა 500 000 დოლარს [13]. არ გამართლდა BitPay-ის სტარტაპის მეთაურის სონი სინგის (Sonny Singh) პროგნოზიც, რომ 2019 წლის ბოლოსათვის ერთი ბიტკოინის ფასი გახდებოდა 20 000 დოლარი [14].

არ გამართლდა აგრეთვე ანალიტიკოს რონი მოასის (Ronnie Maos) პროგნოზი, რომ 2019 წლისთვის ბიტკოინის ფასი გაიზრდებოდა \$28000-მდე და სხვ. [14]. ბიტკოინის მიმოქცევის პროცესზე გავლენას ახდენენ ისეთი ფაქტორები, როგორცაა: ქსელის სირთულე, მონეტების დანვა, მდიდარ ადამიანთა გარკვეული ჯგუფის ანუ ე. წ. ვეშაპების მიერ განხორციელებული სხვადასხვაგვარი მანიპულაციები ბიტკოინის კურსის ცვლილების მიზნით და სხვ.

მსოფლიოში არსებობენ ისეთი ადამიანები რომლებიც ფლობენ დიდი რაოდენობით ბიტკოინის მონეტებს. მათ შეუძლიათ ხელოვნურად მოახდინონ ბიტკოინის (BTC) მონეტის ფასის ცვლილება მათი გაყიდვით, ან შეძენით. 2018 წლის ივლისისთვის ასეთ ადამიანთა ჯგუფს წარმოადგენდნენ: სატოში ნაკამოტო, სავარაუდოდ, ბიტკოინის შემქმნელი - 1,1 მლნ BTC-ის მფლობელია, როდჯერ ვერი - 100000-ს, ბარი ზილბერტი - 48000-ს, ჩარლ შრემი - რამდენიმე ათასის. დიდი რაოდენობით ბ) იტკოინს ფლობენ ძმები ტაილერ და კემერონ უინკლოვოსები, ტონი გალპინი და სხვ. [15]. ყველაზე მეტი ბიტკოინის მონეტები 2019 წლის 15 იანვრისთვის განთავსებული იყო შემდეგ ბირჟებზე: BitFinex-138661, bittrex-130005, Bitstamp-108848, Huobi-108138, Binance-59517 ბიტკოინ-მონეტა [16]. დღეისთვის, ინვესტორების გარკვეულ ჯგუფს, შეძენილი აქვს დიდი ოდენობით ბიტკოინის მონეტები, არ ხარჯავენ მათი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ხელოვნურად ქმნიან დეფიციტს, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს ბიტკოინის ფასის ზრდა. [17].

კრიპტოვალუტის კურსის დაცემა შეიძლება გამოიწვიოს ცნობილ ბირჟებზე ჰაკერულმა თავდასხმებმა, მიტაცებულმა კრიპტოვალუტის დიდმა რაოდენობამ და, შესაბამისად, მომხმარებლის

უნდობლობის გაზრდამ კრიპტოვალუტის მიმართ.

მაგ., 2013 წელს (ძნ) აშშ გამოძიების ფედერალურმა ბიურომ მოახდინა ნარკოტიკებითა და კონტრაბანდით მოვაჭრე ონლაინ არალეგალური ბირჟის Silk Road-ის ლიკვიდაცია, რომელზეც ვაჭრობა წარმოებდა ბიტკოინებით. 2014 წელს ჰაკერებმა მოიპარეს 4506 მილიონი დოლარის კრიპტოვალუტა იაპონურ კრიპტობირჟა Mt Gox-დან. რამაც გამოიწვია ბიტკოინის ფასის დაცემა 20%-ით 400-დოლარამდე [18]. 2019 წლის 12 ივლისს ჰაკერებმა იაპონიის ბირჟა Bitpoint-დან მოიპარეს 32 მილიონი აშშ ლირებულების კრიპტოვალუტა, რის გამოც ბირჟამ შეწყვიტა ვაჭრობა. მოიპარეს კრიპტოვალუტა XRP. მათ შორის 2,5 მილიარდი კლიენტების ანგარიშებიდან. დანარჩენი - 2,5 მლრდ კი ბირჟის ანაგარიშიდან. მოპარვა განხორციელდა ცხელი საფულებებიდან, რომელზედაც განთავსებული იყო 5 სხვადასხვა კრიპტოვალუტა, მათ შორის Bitcoin და Bitcoin Cash [19]. კრიპტოვალუტის მნიშვნელობა ციფრული ეკონომიკის პირობებში შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს. შესაბამისად აუცილებელი გახდება ციფრული ეკონომიკის დროს წარმოებული საქონლისა და მომსახურების შესაფასებისა და რეალიზაციისთვის ციფრული ვალუტის გამოყენება. ამაზე მეტყველებს ადამიანის საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში ბლოკჩეინტექნოლოგიის დაწერვის სწრაფი ტემპები.

პერსპექტივაში, კრიპტოვალუტის მიმოქცევის პროცესის სრულყოფისათვის აუცილებელია სახელმწიფოს მიერ კრიპტოვალუტის გამოშვებისა და ემისიის რეგულირება და კონტროლი და ასევე უზრუნველყოფა ოქროთი. ეს საშუალებას მისცემს კრიპტოვალუტას შეასრულოს ფიატური ფულის ყველა ფუნქცია.

სახელმწიფოს მიერ კრიპტოვალუტის მიმოქცევის რეგულირება მნიშვნელოვნად შეამცირებს კრიპტოვალუტის ღირებულებასა და ვალანტილობას, აამაღლებს მოსახლეობის ნდობას მის მიმართ, რაც სახელმწიფოს საშუალებას მისცემს გამოაცხადოს კრიპტოვალუტა სავალდებულო საგადასხდელი საშუალებად. ასეთ პირობებში კრიპტოვალუტის მოპოვება უნდა განხორციელდეს სახელმწიფო დაკვეთების საფუძველზე, ვინაიდან მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გაირკვევა, თუ რა რაოდენობის კრიპტოვალუტა იქნება საჭირო ისეთი საერთო-სახელმწიფოებრივი საქმიანობის განსახორციელებლად, როგორცაა: ძალოვანი სტრუქტურებისა და სახელმწიფო აპარატის შენახვა, მეცნიერებისა და განათლების სფეროების განვითარება, პენსიების უზრუნველყოფა, რეზერვების შექმნა და სხვ.

ამრიგად, როგორც ჩანს აღნიშნულ სფეროში პრობლემები საკმაოდ ბევრია და მათი საფუძვლიანი გამოკვლევა და გადაწყვეტა საჭირო.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. <https://www.rbc.ru/crypto/news/5e329bd29a794729ab63b19f>
2. <https://coinspot.io/beginners/iz-chego-skladyvaetsya-cena-bitcoina-i-kakie-factory-na-neyo-vliyayut/>
3. <https://www.forbes.ru/finansy-i-investicii/390645-put-k-gospodstvu-bitkoina-13-sobytyi-opredelivshih-budushchee-deneg>
4. <https://bits.media/razmer-ocheredi-nepodtverzhdennykh-tranzaktsiy-btc-dostig-dvukhletnego-maksimuma/>
5. <https://www.if24.ru/eksperty-rasskazali-skolko-stoit-dobyt-bitkoin/>
6. <https://hightech.fm/2019/07/10/bit-2019>
7. <https://coinspot.io/beginners/iz-chego-skladyvaetsya-cena-bitcoina-i-kakie-factory-na-neyo-vliyayut/>
8. <https://blockchainwiki.ru/skolko-vsego-ripple-est-segodnya-skolko-budet-zavtra/>
9. <https://tehnobzor.com/cryptolife/bitcoin/2532-kolichestvo-bitkoinov-ogranicheno-ili-net-kogda-zakonchitsya-vypusk.html>
10. <https://1prime.ru/finance/20191111/830531265.html>
11. <https://delo.ua/business/ot-chego-zavisit-kurs-btcusd-371927/>
12. <https://howtobuycoin.com/articles/cryptocurrency-future/>
13. <https://delo.ua/business/ot-chego-zavisit-kurs-btcusd-371927/>
14. <https://bit.Ly/2ET9dXc>
15. <https://novostigood.top/2018-07-20-16-56-bitkoin-i-budushhee-stanut-li-kriptovalyuty-cherez-10-let-osnovnym-platezhnym-sred>
16. <https://mining-cryptocurrency.ru/10-samyh-krupnyh-bitcoin-koshelkov-komu-prinadlezhat/>
17. <https://www.rbc.ru/crypto/news/5e329bd29a794729ab63b19f>
18. <https://www.forbes.ru/finansy-i-investicii/390645-put-k-gospodstvu-bitkoina-13-sobytyi-opredelivshih-budushchee-deneg>
19. <https://happycoin.club/s-yaponskoj-birzhi-bitpoint-ukradeno-32-mln/>

ზოგიერი ინფლაცია - ეკონომიკური ზრდის აუცილებელი პირობა

დემნა კვარაცხელია

სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

MODERATE INFLATION- NECESSARY CONDITION OF THE ECONOMIC GROWTH

Demna Kvaratskhelia,
Associate Professor,
Georgian Technical University

ABSTRACT

Goal of inflation rate regulation is achievement of price level variation mode ensuring compensation of average costs per unit production at a time of output growth without decreasing average rate of return. Hence, in case of inflation rate regulation in Georgia, in addition to the monetary factors, so called price factors affecting gross supply should be taken into consideration as well.

This offer is supported by the fact that in Georgia, the overall output (GDP) is much lower than natural level thereof, and this is confirmed by high unemployment rate.

საკვანძო სიტყვები: ინფლაცია, ეკონომიკური ზრდა, უმუშევრობის ბუნებრივი დონე.

შესავალი

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, მ. შ. საქართველოში, ფასების დონეზე მოქმედ ფაქტორებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ეგრეთწოდებული „ფასწარმოქმნელი“ ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ პროდუქციის გამოშვების ზრდის პარალელურად პროდუქციის წარმოებაზე განეული ზღვრული და საშუალო დანახარჯების ამალღებას. აღნიშნული დანახარჯების ზრდა გამონვეულია ეკონომიკაში თავისუფალი რესურსების, კერძოდ შედარებით კონკურენტუნარიანი ადამიანური რესურსების ამონურვით, ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებებითა და სხვადასხვა სახის მომსახურებაზე დანახარჯების ამალღებით, აგრეთვე მოძველებული მანქანამონყობილობების ექსპლუატაციის ხარჯების გადიღებითა და ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებული ხარჯების განხორციელების აუცილებლობით.

ამრიგად, ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის მისაღწევად და გრძელვადიან პერიოდში მისი შენარჩუნებისათვის აუცილებელია ინფლაციის ოპტიმალური ტემპის უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს ფასების დონის მოძრაობის ისეთი ტრაექტორიის მიღწევას, რომელიც პროდუქციის გამოშვების ზრდისას უზრუნველყოფს პროდუქციის

ერთეულის წარმოებაზე განეული საშუალო დანახარჯების ამალღების ანაზღაურებას - მოგების საშუალო ნორმის შემცირების გარეშე. შესაბამისად, ინფლაციის ტემპის რეგულირებისას, გარდა ფულადი ფაქტორებისა, აგრეთვე გათვალისწინებული უნდა იყოს ერთობლივ მინოდებაზე ზემომქმედი ეგრეთწოდებული „ფასწარმოქმნელი“ ფაქტორებიც.

ინფლაციის ოპტიმალური დონის განსაზღვრის მეთოდოლოგია

საქართველოში, მიმდინარე ეტაპზე, ინფლაციის ოპტიმალური დონის დასადგენად, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია პროდუქციის გამოშვების მოცულობის (მშპ-ს) თანაფარდობის დადგენა მის ბუნებრივ დონესთან მიმართებაში.

საქართველოში, პროდუქციის გამოშვების მოცულობის მის ბუნებრივ დონესთან შედარებით არსებით ჩამორჩენაზე მიუთითებს:

- უმუშევრობის შედარებით მაღალი დონის არსებობა. ასე მაგალითად, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად, უმუშევრობის დონე 2019 წლისთვის შეადგენს 11,6%-ს, რაც საკმაოდ მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებთან შედარებით მისი დონე გარკვეულწილად შემცირებულია. საყურადღებოა ისიც, რომ დასაქმებულთა არანაკლებ ნახევარი მოდის თვითდასაქმებულებზე, რომელთა რიცხოვნების გაანგარიშების მეთოდოლოგია გარკვეულ უნდობლობას იწვევს, ვინაიდან მათი მნიშვნელოვანი ნაწილის დასაქმებულად მიჩნევა ლოგიკას მოკლებულია დასაქმების შემთხვევით-დროებითი ხასიათისა და შესაბამისად, მათი შემოსავლების სიმწირის გამო;

- ქვეყნის ფარგლებში დაუსაქმებელი შრომისუნარიანი მოსახლეობის ყოველწლიური მიგრაცია უცხოეთში. არასასურველი სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ფონზე, უმუშევრობის დონის მაჩვენებლის ხელოვნური შემცირება და კრიზისული სიტუაციის შერბილება, ათეულობით წლებია ძირითადად მიიღწევა სამუშაო ძალის მაღალი მობილურობის, მათი უცხოეთში ემიგრაციის და არა გონივრული მაკროეკონომიკური და ინსტიტუციური პოლიტიკის ხარჯზე. შედეგად სახეზეა: ქვეყანა იცლება აქტიური, შრომისუნარიანი, მაგრამ ადგილზე დაუსაქმებელი მოსახლეობისგან და ამ გზით მიიღწევა უმუშევრობის დონის მაჩვენებლის შედარებით ზომიერ დონეზე დაფიქსირება.

ზემოაღნიშნული ხარვეზების გათვალისწინებით უმუშევართა რაოდენობის გაანგარიშებისას,

უმუშევრობის რეალური დონე საქართველოში ბევრად აღემატება მის ოფიციალურ მაჩვენებელს. ასე მაგალითად, შესაბამისი მეთოდით (სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ხელოვნურად გაზრდილი რაოდენობის კორექტირებისა და სამუშაო ძალის რიგებიდან გასული იმედაკარგული მუშაკების გათვალისწინებით) გაანგარიშებული უმუშევრობის რეალური დონე 2008 წელს შეადგენდა დაახლოებით 26%-ს, რაც 9,5 პროცენტული პუნქტით აღემატებოდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გაანგარიშებულ მის ოფიციალურ - 16,5%-იან მაჩვენებელს [1, გვ.:32].

მიმაჩნია, რომ ანალოგიური მეთოდით გაანგარიშებისას, უმუშევრობის რეალური დონე, საქართველოში მიმდინარე ეტაპზე, ბევრად აღემატება მის ოფიციალურ დონეს და შესაბამისად, მის ბუნებრივ დონესაც. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გაანგარიშებული უმუშევრობის დონის მაჩვენებლის მიმართ ასეთი სკეპტიკური დამოკიდებულება განპირობებულია იმით, რომ მკვეთრად მაღალია სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა. 1990 წელს ამ სფეროში დასაქმებულთა რიცხოვნება შეადგენდა 697,2 ათას კაცს, 2019 წლისთვის კი შეადგენს - 644,6 ათასს კაცს. 2019 წლისთვის, წინა წლებთან შედარებით, ეს მაჩვენებელი მკვეთრადაა შემცირებული, რაც როგორც ჩანს, განპირობებულია მისი გაანგარიშების მეთოდის სრულყოფით. ასე მაგალითად, 2003 წლისთვის ამ სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენდა 994,9 ათას კაცს, 2008 წლისთვის შემცირდა დაახლოებით 800 ათას კაცამდე, 2017 წლისთვის კი შეადგინა 735,9 ათასი კაცი. მიუხედავად ამისა, მაინც ალოგიკურად მიმაჩნია სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხოვნების ასეთი მაღალი მაჩვენებლის არსებობა 2019 წლისთვის. ჩვენი სკეპტიციზმი განპირობებულია იმით, რომ 1990-2020 წლებში ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 1700 ათასი კაცით შემცირებისა და რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონების ოკუპაციის ფონზე, საეჭვოა სოფლად დასაქმებული იყოს 644,6 ათასი კაცი. 1990-2018 წლებში მნიშვნელოვნად შემცირებულია ნათესი ფართობი (701,9 ათასი ჰექტარიდან 207,1 ათას ჰექტარამდე, ანუ 3,4-ჯერ), მსხილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა, ციტრუსის, ხეხილისა და ბოსტნეულის წარმოება და ა. შ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საეჭვოა სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყოს 1990 წლისთვის დასაქმებულთა 92,5% (იხ. ცხრ.: 1). შესაბამისად, პრობლემა მათი აღრიცხვის მეთოდშია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში უმუშევრობის რეალური დონე ბევრად აღემატება მის ბუნებრივ დონეს. ასევე მიმაჩნია, რომ უმუშევრობის დონის 11,6%-იანი ოფიციალური მაჩვენებელიც 2019 წლისთვის და მითუმეტეს, მისი უფრო მაღალი დონე წინა წლებისთვის, მნიშვნე-

ლოვნად აღემატება უმუშევრობის ბუნებრივი დონის მაჩვენებელს. მსგავსი დასკვნის საფუძველად მიმაჩნია უმუშევრობის ბუნებრივი დონის განმარტება, რომლის თანახმადაც უმუშევრობის ბუნებრივი დონე, ეს ისეთი დონეა, რომლის პირობებშიაც სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობა თავისუფალი სამუშაო ადგილების რაოდენობის ტოლია [2, გვ.: 158]. 2019 საქართველოში უმუშევართა რაოდენობამ შეადგინა 221 ათასი კაცი. აღნიშნული მაჩვენებლის საფუძველზე გაანგარიშებული უმუშევრობის დონის 11,6%-იანი მაჩვენებელი უმუშევრობის ბუნებრივ დონეს რომ წარმოადგენდეს, ამისთვის აუცილებელია ქვეყანაში ამავე წლისთვის 221 ათასი თავისუფალი სამუშაო ადგილის არსებობა, რაც ძნელი წარმოსადგენია ქვეყანაში სამუშაო ადგილების მკვეთრი დეფიციტის არსებობის ფონზე.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, აშკარად ცხადია, რომ საქართველოში პროდუქციის გამოშვების ფაქტიური მოცულობა, ნებისმიერ შემთხვევაში, მკვეთრად ჩამორჩება მის ბუნებრივ დონეს. ამავე დროს საქართველოში, ბოლო 25 წლის მანძილზე მიღწეული ზრდის ხარჯზე, მეტ-ნაკლებად დაძლეულია გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ქვეყნის ეკონომიკაში განვითარებული მასშტაბური ნგრევის შედეგები. შესაბამისად, საქართველოში, მიმდინარე ეტაპზე, ერთობლივი მიწოდების დასახასიათებლად არც გრძელვადიანი ერთობლივი მიწოდების მრუდი (ერთობლივი მიწოდების კლასიკური მონაკვეთი, რომელიც აღწერს ფასების სრული მოქნილობის სიტუაციას) და არც მოკლევადიანი ერთობლივი მიწოდების მრუდის უკიდურესი ჰორიზონტალური მონაკვეთი (აღწერს ფასების აბსოლუტურის სიხისტის შემთხვევას) არ გამოგვადგება.


ეკონომიკური განვითარების მიმდინარე ეტაპს საქართველოში შეესაბამება ერთობლივი მიწოდების ეგრეთწოდებული შუალედური მონაკვეთი, ანუ ზემოაღნიშნულ ორ მრუდს შორის გარდამავალი, მარცხნიდან მარჯვნივ აღმავალი მრუდი (იხ. ნახ. 1), რომელის აღწერს სიტუაციას, როცა ერთობლივი მოთხოვნის ამაღლებისას ერთდროულად იზრდება წარმოების მოცულობაც და ფასების დონეც. აღნიშნული მრუდის საწყის ეტაპზე, რომელიც ხასიათდება თავისუფალი რესურსების შედარებითი სიუხვით, ერთობლივი მოთხოვნის ზრდა ძირითადად აისახება წარმოების მოცულობაზე და ნაკლებად ფასების დონეზე. ამავე მრუდზე ერთობლივი მოთხოვნის მრუდის მარჯვნივ გადაადგილებასთან ერთად აღნიშნული თანაფარდობა საპირისპიროდ იცვლება, რაც განპირობებულია თავისუფალი რესურსების ამონურვითა და შესაბამისად, პროდუქციის წარმოებაზე განეული საშუალო დანახარჯების ზრდით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინფლაციის ტემპის შემცირება „მცოცავი“ ინფლაციის შესაბამის დონემდე (წლიური 2-3%-ის ფარგლებში), საითკენაც ჩვე-

საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი მაჩვენებლები 1990-2019წ

წლები მაჩვენებლები	1990	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
მშპ-ს დეფლატორის საფუძველზე განგარიშ. ინფლაციის ტემპი - %		8,6	9,5	1,0	-0,8	4,2	5,8	2,6	8,5	4,4	
ეკ. ზრდის ტემპი - %		6,2	7,2	6,4	3,4	4,4	3,0	2,9	4,8	4,8	5,1
ეკ. აქტიური მოსახლეობა, ათასი კაცი		1944,9	1988,2	2004,5	1978,6	1984,6	2018,0	1996,2	1983,1	1939,9	1911,2
დასაქმებული, ათასი კაცი		1628,1	1643,5	1659,4	1643,4	1694,4	1733,4	1717,3	1706,6	1694,2	1690,2
დაქირავებით დასაქმებული, ათასი კაცი		618,6	684	716,2	693,7	743,5	798,3	801,5	824,2	860,2	849,3
თვითდასა- ქმებული, ათასი კაცი		1007	952,5	935,7	940,4	944,4	928,0	909,5	881,6	833,4	840,4
უმუშევარი, ათასი კაცი		316,9	344,8	345,1	335,2	290,2	284,2	278,9	276,4	245,7	221,0
უმუშევრობის დონე %		16,3	17,3	17,2	16,9	14,6	14,1	14,0	13,9	12,7	11,6
მოსახლეობა, ათასი კაცი	5424,4	3799,8	3773,6	3739,3	3718,4	3716,9	3721,9	3728,6	3726,4	3729,6	3723,5
სოფლის მეურნეობაში დასაქმ. რაოდენობა, ათასი კაცი	697,2								735,9	659,0	644,6
ნათესი ფართობი, ათასი ჰა	701,9				310,7	274,9	263,7	240,0	220,3	207,1	

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: „საქართველოს სტატისტიკური წელიწდეულები“, 1999წ, 2018წ, 2019 წლების გამოცემები.



ნახ. 1. ერთობლივი მიწოდების მრუდი

ნთან ბოლო წლების განმავლობაში დაჟინებული კურსია აღებული, რაზეც მეტყველებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წლიური ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის შემცირება 3%-მდე [3], არ შეესაბამება ადგილობრივი საქონელწარმოების აღორძინების ინტერესებს. ინფლაციის ასეთი დაბალი დონე ვერ უზრუნველყოფს პროდუქციის გამოშვების გადიდებისას წარმოქმნილი დამატებითი დანახარჯების ანაზღაურებას – მოგების საშუალო ნორმის არსებული დონის შემცირების გარეშე, რაც დღეს-დღეობით სამეწარმეო საქმიანობის აღმავლობის ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად გვევლინება.

როგორც წესი, პროდუქციის ერთეულის გამოშვებაზე საშუალო დანახარჯების გადიდებისას მწარმეები დამატებით პროდუქციას გამოუშვებენ ფასების შესაბამისი გადიდების შემთხვევაში, ვინაიდან ისინი ცდილობენ დანახარჯების გადიდებაზე არსებული მოგების საშუალო ნორმის მიღებას. ამგვარად, ინფლაციის ზომიერი დონე მოცემულ შემთხვევაში პროდუქციის გამოშვების რეალური მოცულობის გადიდების აუცილებელი პირობაა. ერთობლივი მოთხოვნის განსაზღვრულ დონემდე გაფართოება გამოიწვევს პროდუქციის წარმოების რეალური მოცულობის არსებით გადიდებას, ხოლო ფასების დონე შედარებით უმნიშვნელოდ გაიზრდება [4, გვ.: 376]. ერთობლივი მოთხოვნის ეფექტიანი გაფართოება შესაძლებელია განხორციელდეს იმ „კრიტიკულ დონემდე“, რომელიც მოცემულ პირობებში (შრომისა და კაპიტალის მოცემული თანაფარდობისას და ა.შ.) შეესაბამება ეკონომიკური ზრდის მაქსიმალურ შესაძლებლობებს. ე.ი. ინფლაციის ტემპი შესაძლებელია გადიდდეს იმ დონემდე, რომელიც შესაბამისი იქნება ეკონომიკური ზრდის მაქსიმალური ტემპის. ერთობლივი მოთხოვნის შემდგომი გაფართოება კი, მთლიანად აისახება ფასების დონეზე [5, გვ.: 179].

დასკვნა

მიმდინარე ეტაპზე ჩვენთან ზომიერი ინფლაციის აუცილებლობა განპირობებულია პროდუქციის ერთეულზე საშუალო დანახარჯების ზრდით - მისი გამოშვების მოცულობის გადიდებისას.

ამიტომ, ლარის მასის შეზღუდვის გზით (ფულის ხელოვნური დეფიციტი) ინფლაციის ტოტალური ჩახშობა სამამულო წარმოებისათვის საზიანოა, ვინაიდან იგი იმპორტის, საგარეო ვალისა და არგადახდების მოცულობის გადიდების პარალელურად იწვევს პროდუქციის გამოშვების მოცულობის შემცირებასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში სამამულო წარმოების ასაღორძინებლად აუცილებელია ისეთი ნამახალისებელი ეკონომიკური პოლიტიკის (ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო) გატარება, რომელიც უზრუნველყოფს ერთობლივი მოთხოვნის ეფექტიან გაფართოებას და ზომიერ ინფლაციას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კვარაცხელია დ., საქართველოში მთლიანი შიგა პროდუქტის დანაკარგები ოუკენის კანონის მიხედვით, ჟურ.: ეკონომიკა და ბიზნესი, 2010წ, გვ.: 27-36;
2. Макконнелл К. Р., Брю С. Л., Экономикс, 1992г.
3. საქართველოს ეროვნული ბანკი, ჰტტპს://66წ.ნბგ.გოვ.გე/ინდეხ.პჰჰ?მ=533
4. Кейнс Дж. М. Общая теория занятости, процента и денег. М., 1978.
5. კვარაცხელია დ., გლობალიზაცია, სუვერენული სახელმწიფო, ეროვნული ეკონომიკა, მონოგრაფია, 2003წ.

ციფრული ინსტიტუციონალიზაცია საქართველოში

ევგენი ბარათაშვილი
სტუ-ს პროფესორი

ნათია კახიძე
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში წარმოდგენილია ავტორების მოსაზრება, თუ რა გავლენას ახდენს ტექნოლოგიური პროგრესი სხვადასხვა ინდუსტრიების პროცესების მართვის მოდელზე, როგორ მოხდება ციფრული და ფიზიკური სამყაროს დაკავშირება კომუნიკაციების საუკუნეში. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ტექნოლოგიებზე დაფუძნებული გადაწყვეტების მნიშვნელოვნებაზე და ამ გადაწყვეტების ნავიგაციისთვის საჭირო უნარების ცოდნაზე. თუ როგორ გახდება შესაძლებელი პროცესების მართვა ურთიერთდაკავშირებული ციფრული მოწყობილობების ერთობლიობით, რომელიც ცნობილია როგორც „საგანთა ინტერნეტი“, რომლებიც ადამიანის ქმედებისგან დამოუკიდებლად შეძლებენ პროცესის მართვას და რომლის მთავარი ხელშემწყობი ფაქტორი ინტერნეტის განვითარება და ხელმისაწვდომობა იქნება. ტექნოლოგიური პლატფორმების განვითარება, თავის მხრივ ხელშემწყობი ფაქტორი გახდება ეგრეთ წოდებული „ინდუსტრიული საგანთა ინტერნეტისა“, რომლის კონცეფციაც გულისხმობს ინდუსტრიული პროცესების ოპტიმიზაციას სენსორების, უკაბელო ქსელების, დიდი მონაცემების და ანალიტიკური საშუალებების ერთობლივი გამოყენებით. ტრანსფორმაციას განიცდის თითქმის ყველა სფერო - განათლება, ჯანდაცვა, საავტომობილო ინდუსტრია, წარმოება, სოფლის მეურნეობა, სტუმართმოყვარეობის ინდუსტრია, სიფანანსო სექტორი, სატრანსპორტო და ლოჯისტიკური ინდუსტრია, ენერჯეტიკა და კომუნალური სექტორი, ე.წ. ჭკვიანი ქალაქები და სახლები.

ტექსტში ავტორები ყურადღებას ამახვილებენ იმ ძირითად გამოწვევებზე, რომლის წინაშეც დგანან ტექნოლოგიური ეკოსისტემის თითქმის ყველა მხარე, სახელმწიფო და კერძო კომპანიები, რომელთა სინერგიული მუშაობით მიღწევადი გახდება ციფრული ეკონომიკის პლატფორმის შექმნა და მასზე დაფუძნებით ეკონომიკის მოდერნიზაცია.

საკვანძო სიტყვები: IOT - The Internet of Things - საგანთა ინტერნეტი - გლობალური საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, რომელიც იძლევა ინოვაციური მომსახურებების უზრუნველყოფის საშუალებას მოწყობილობების ურთიერთდაკავშირების გზით. IIOT -Industrial Internet of Things-Industrial Internet of Things.- ინდუსტრიული საგანთა ინტერნეტი.

DIGITAL INSTITUTIONALIZATION OF INDUSTRIES

Evgeni Baratashvili
Professor at Georgian Technical University

Natia Kakhidze
Georgian Technical University, Doctorate Educational Program - Business Administration

RESUME

The article presents the author's views, of how technological progress will impact on the process management model of various industries, how digital and physical worlds will be connected in the century of communications. The author focuses on the importance of technology-based solutions and the knowledge of the skills needed to navigate through these solutions. How processes can be managed with a combination of interconnected digital devices, known as the "Internet of Things", which will allow process management independently without any need of human interaction, and the main contributing factor of which will be the development and availability of the internet. The development of technology platforms, in turn, will be a contributing factor to the so-called "Industrial Internet Of Things", the concept of which means the optimization of industrial processes by using sensors, wireless networks, big data and analytics. Almost all fields are undergoing transformation - education, healthcare, automotive industry, manufacturing, agriculture, hospitality industry, financial sector, transport and logistics industry, energy and utilities sector, so-called "Smart Cities" and "Smart Houses."

The author highlights the key challenges facing almost all parties of the technology ecosystem, public and private companies, whose synergistic work will achieve the creation of a digital economy platform and based on it the modernization of the economy.

Key words: IOT - The Internet of Things: IIOT -Industrial Internet of Things-Industrial Internet of Things.

* * * *

საკვანძო არ არის, რომ დღეს ჩვენ ციფრული ტექნოლოგიების სამყაროში, კომუნიკაციების საუკუნეში ვცხოვრობთ. ნებისმიერი სფერო განათლება, ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა, კულტურა, მედია, ტრანსპორტი სწორედ თანამედროვე ტექნო-

ლოგიებს ეფუძნება. შესაბამისად ადამიანებისთვის მნიშვნელოვანია ციფრულ სამყაროში სწორი ნავიგაციისთვის საჭირო უნარების ცოდნა და გამოყენება.

ციფრული სამყაროს ბაზისს, მდგრადი გლობალური საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის არსებობა წარმოადგენს, რომელიც მონყობილობების ურთიერთდაკავშირების გზით, ინოვაციური მომსახურებების უზრუნველყოფის საშუალებას იძლევა. შედეგად კი სულ უფრო აქტიუალური ხდება ტექნოლოგიებზე დაფუძნებული გადაწყვეტების არსებობა.

მნიშვნელოვანია ვიცოდეთ და გვესმოდეს სად გადის ტექნოლოგიების პოტენციალის ზღვარი და რა თანმიმდევრობით უნდა მოხდეს ურთიერთდაკავშირებული მონყობილობების, საგნების ერთობლიობის დანერგვა, რომლებიც ადამიანების ჩარევის გარეშე მოქმედებენ და რომლებიც ცნობილია როგორც IOT¹ - Internet of Things - ანუ საგანთა ინტერნეტი, რომლებსაც რეალური ეკონომიკური დოვლათის შექმნის პოტენციალი გააჩნია. თუ პოლიტიკის განმსაზღვრელები და ბიზნესი ერთობლივად ეფექტურად იმუშავებენ, ფიზიკურ და ციფრულ სამყაროს შეუძლია დააგენერიროს მნიშვნელოვანი ეკონომიკური სიკეთე. ანუ IOT ე.წ. საგნების ინტერნეტი ჩვენს ირგვლივ სამყაროს უფრო გონივრულ, ჭკვიან და სწრაფად რეაგირებადს გახდის, თავის მხრივ გააერთიანებს ციფრულ და ფიზიკურ სამყაროებს.

IOT - The Internet of Things - საგანთა ინტერნეტი - არის ურთიერთდაკავშირებული მონყობილობების - ციფრული მონყობილობების, საგნების ერთობლიობა, თითოეულ მათგანს ეძლევა უნიკალური იდენტიფიკატორი (UIDs²) და მონაცემთა გადაცემის შესაძლებლობა ერთიან ქსელში. საგნებს ადამიანის მოთხოვნილებების გარეშე შეუძლიათ ქსელში ინფორმაციის მიმოცვლა და ურთიერთქმედება.

გლობალური ინტერნეტში ჩართული IOT მონყობილობების ზრდა საბოლოოდ ქმნის გიგანტურ, ინტერნეტის ერთიანი ქსელით დაკავშირებულ გლობალურ რობოტს, ნებისმიერი ფიზიკური ობიექტი შეიძლება გარდაიქმნას IOT მონყობილობად, თუ ის შეიძლება ინტერნეტთან იყოს დაკავშირებული და თუ მას შეეძლება ინფორმაციის მიმოცვლა და კონტროლი.

ტერმინი IOT ძირითადად გამოიყენება ისეთი მონყობილობებისთვის, რომლებსაც ჩვეულებრივ უნდა ჰქონდეთ ინტერნეტ კავშირი და რომლებსაც შეუძლია ქსელთან კომუნიკაცია ადამიანის

მოქმედებისგან დამოუკიდებლად. ამ მიზეზით, PC - Personal Computer- პერსონალური კომპიუტერი საერთოდ არ განიხილება IOT მონყობილობად და არც სმარტფონი. Smartwatch- ჭკვიანი საათი ან სხვა მონყობილობა შეიძლება ჩაითვალოს IOT მონყობილობად.

რამდენად დიდია „საგნების“ ინტერნეტი? რაოდენობრივი მაჩვენებლები ყოველდღიურად იზრდება და მსოფლიოში უკვე უფრო მეტი ასეთი „საგანია“, ვიდრე ადამიანი.

ასევე შეხვდებით ტერმინს IIOT³ -Industrial Internet of Things-„ინდუსტრიული საგანთა ინტერნეტი“. რა არის „ინდუსტრიული საგანთა ინტერნეტი“ - რომელსაც მეოთხე ინდუსტრიულ რევოლუციას უწოდებენ? ეს არის ყველა საგანი რომელიც IOT ტექნოლოგიის გამოყენებით მოცემულია ბიზნეს გარემოში. კონცეფცია იგივეა, რაც სახლში სამომხმარებლო IOT მონყობილობები, მაგრამ ამ შემთხვევაში მიზანია ინდუსტრიული პროცესების გაზომვისა და ოპტიმიზაციისთვის სენსორების, უკაბელო ქსელების, დიდი მონაცემების და ანალიტიკური საშუალებების ერთობლიობის გამოყენება. თუ IIOT მთლიანი მიზნების ქსელის ყველა რგოლში გვხვდება, ვიდრე უბრალოდ ცალკეული კომპანიებში, გავლენა შეიძლება კიდევ უფრო დიდი იყოს მასალების დროულად მიწოდებით და წარმოების ეფექტური მენეჯმენტით. მუშახელის პროდუქტიულობის გაზრდა ან ხარჯების დაზოგვა ორი პოტენციური მიზანია, მაგრამ IIOT-ს დამატებით შეუძლია ასევე შექმნას ახალი შემოსავლის ნაკადები ბიზნესისათვის, ვიდრე მხოლოდ დამოუკიდებელი პროდუქტის გაყიდვა - მაგალითად, ძრავის მსგავსად - მწარმოებლებს ასევე შეუძლიათ გაყიდონ ძრავის პროგნოზირებადი მოვლა.

უსაფრთხოება და პერსონალური მონაცემების დაცვა IOT-სთან დაკავშირებული ყველაზე დიდი გამოწვევაა. „საგნები“ ხშირ შემთხვევაში აგროვებს ძალზე მგრძობიარე მონაცემებს - მაგალითად, რას ამბობთ და აკეთებთ საკუთარ სახლში. აღნიშნული მონაცემების დაცულობას/დაშიფვრა/ტრანზიტს/შენახვას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება. განვითარებული ქვეყნების მთავრობები დიდი პასუხისმგებლობითა და სიფრთხილით მუშაობენ აღნიშნულ საკითხზე. დიდი ბრიტანეთის მთავრობამ გამოაქვეყნა საკუთარი მითითებები სამომხმარებლო IOT მონყობილობების უსაფრთხოების შესახებ. ისინი მოელიან, რომ „საგნებს“ ექნებათ უნიკალური პაროლები, რომ შესაბამისი ორგანოები უზრუნველყოფენ უსაფრთხოების ნორმების მაქსიმალურად დაცვას. არანაკლებ მნიშვნელოვანია უსაფრთხოების საკითხი ბიზნესისთვის. წარმოების აპარატე-

1 IOT - Internet of Things - საგანთა ინტერნეტი
2 UID - Unique Identifier - უნიკალური იდენტიფიკაციის კოდი

3 IIOT - Industrial Internet of Things - „ინდუსტრიული საგანთა ინტერნეტი“

ბის IOT ქსელებთან დაკავშირება ზრდის ჰაკერების პოტენციურ რისკს. ინდუსტრიული ჯამუშობა ან დამანგრეველი შეტევა კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე, ორივე პოტენციური რისკია. ეს ნიშნავს, რომ ბიზნესი უნდა დარწმუნდეს, რომ ეს ქსელები იზოლირებულია და დაცულია. IOT ტექნოლოგიის ამჟამინდელი მდგომარეობას ართულებს ის რომ უზრუნველყოფილი არ არის ქვეყანაში IOT უსაფრთხოების რეგულაციები და წესები, ასევე ცოდნის და გამოცდილების ნაკლებობა ამ მიმართულებით ორგანიზაციებში. ეს ძალიან შემაშფოთებელია ჰაკერების მზადყოფნის გათვალისწინებით, ხელი შეუშალონ ინდუსტრიულ სისტემებს, რომლებიც ინტერნეტთან არიან დაკავშირებული.

ინფრასტრუქტურის არსებობა კრიტიკულად მნიშვნელოვანი ფაქტორია მთლიანი IOT ეკოსისტემის შესაქმნელად, რომელიც გარკვეული პლატფორმაა ციფრული ეკონომიკის განვითარებისთვის. არა მხოლოდ ქსელის მფლობელი ოპერატორი უნდა იყოს დაინტერესებული მოიპოვის სტრატეგიული კონკურენტული უპირატესობა და პირველმა შესთავაზოს მომხმარებელს ინოვაცია, არამედ თითოეული მონაწილე მხარე ეკოსისტემაში. აღნიშნულ პირობებში კი ადამიანი რესურსების კომპეტენტურობა ძალიან მნიშვნელოვანია.

ერთის მხრივ მდგრადი, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ინფრასტრუქტურის მშენებლობა კი მილიონობით ინვესტიციას და გარკვეულ დროს მოითხოვს. მეორეს მხრივ ჯერ კიდევ არ არის ბაზარზე IOT-ის მოთხოვნა ისეთ კრიტიკულ ზღვრამდე მისული, რომ ქსელის მფლობელმა ინვესტორებმა თავისუფალი რესურსის მილიონობით ოდენობის ინვესტიცია ტექნოლოგიებში განახორციელონ. ეკონომიკის მოდერნიზაცია კი სწორედ ამაზეა დამოკიდებული.

რომელი დარგებისთვისაა გამიზნული IOT? IOT ეფექტურად იმოქმედებს თითქმის ყველა დარგზე. მაგალითად **საავტომობილო ინდუსტრია** არის ერთ-ერთი ინდუსტრია, რომელიც უკვე ნერგავს IOT აპლიკაციებს. IOT საშუალებას აძლევს საავტომობილო კომპანიებს განახლოონ პროგრამული უზრუნველყოფა და რეაგირება მოახდინონ რეალურ დროში მექანიკურ საკითხებზე, მონაცემთა კომუნიკაციის სისტემის საშუალებით. IOT არ არის ახალი კონცეფცია **წარმოების ინდუსტრიისთვის**. მრავალი საწარმოო ქარხანა იყენებს საწარმოო პროცესში მანქანების სწავლებას და ჭკვიან სენსორებს, რათა მოხდეს მათი წარმოების პროცესის ოპტიმიზაცია და აღჭურვილობის მონიტორინგი. საწარმოო კომპანიები მუშაობენ „ჭკვიანი წარმოების“ მოდელზე, რათა გაზარდოს საწარმოო ოპერაციების პროდუქტიულობა და ეფექტურობა. **სოფლის მეურნეობის სექტორი** იყენებს მონეობილობებს,

რომლებიც დაკავშირებულია IOT-ს საშუალებით, როგორცაა ჭკვიანი წყლის კონტროლის ტუმბოები, ქიმიური დონის მონიტორები და ა.შ., ეს ჭკვიანი აპარატები გამოიყენება სოფლის მეურნეობისთვის ნიადაგის და ჰაერის ხარისხის შესამოწმებლად. ფერმერები იყენებენ IOT ტექნიკას, რათა მეტი გამოიმუშავონ და მოსახლეობის მზარდი მოთხოვნა დააკმაყოფილონ. ჭკვიანი სოფლის მეურნეობა უკვე ვრცელდება ფერმერებს შორის, იმის სურვილით, რომ გაზარდონ დამატებითი ეფექტურობა, უფრო და უფრო მაღალტექნოლოგიური მეურნეობა ზრდის სტანდარტს მთელს ინდუსტრიაში. ეს ხელს უწყობს მონეობილობების გავრცელებას, როგორცაა სოფლის მეურნეობის თვითმფრინავები და სენსორები. ყველა ცხოველისა და მცენარის ინდივიდუალურად დაკვირვების შესაძლებლობა და თითოეულისთვის პერსონალური კვების და სამედიცინო რეჟიმის მინიჭება, შესაძლოა მალე ნორმად იქცეს. IOT-მა გაზარდა სიცოცხლის გადარჩენის პოტენციური **ჯანდაცვის სექტორში**. ის ხელს უწყობს პაციენტების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, თვითმმართველობის მონიტორინგისა და ჯანმრთელობის მართვის საშუალებით. მაგალითად, საავადმყოფოს პერსონალი მიიღებს სიგნალს სამედიცინო აღჭურვილობის შეკეთებისა და შენარჩუნების შესახებ, როგორცაა MRI⁴ მანქანა, ვენტილატორული მანქანა, გულის მონიტორი და სხვა მონეობილობები, მათ ინტერნეტთან დაკავშირებით, რაც ძალიან სასარგებლო იქნება. **სტუმართმოყვარეობის ინდუსტრია** ასევე იყენებს IOT-ს მათი მომხმარებლების გამოცდილების გასაუმჯობესებლად. მათ დაიწყეს სახის ამოცნობის სისტემების გამოყენება, რაც მენეჯერებს საშუალებას აძლევს მოახდინონ იდენტიფიკაცია დროის უმოკლეს ვადაში. სენსორები და ემოციის ამოცნობის კამერები IOT-ის უდიდესი ინოვაციაა, რაც სასტუმროს თანამშრომლებს ეხმარება განსაზღვროს სტუმრების ემოციები და იცოდნენ მშვიდი არის თუ არა სტუმარი და შემდეგ შესთავაზოს მათ საკვები მათი არჩევანის და შეხედულებისამებრ. **საცალო სექტორიც** შეიცვალა IOT-ის შედეგად. ცვლილება მოხდა ფიზიკური ე.წ. შოპინგიდან ელექტრონულ საყიდლებზე. მოსახლეობის ნაწილი უპირატესობას ანიჭებს ონლაინ მაღაზიებს, ვიდრე მაღაზიებში ვიზიტს. **საფინანსო ინდუსტრია** ასევე სარგებლობს IOT-ის გამოყენების უპირატესობებით, საბანკო და საფინანსო სფეროებში. IOT-მა გაზარდა უსაფრთხოების დაცვა როგორც ბანკში, ასევე მომხმარებელზე. მან შემოიტანა მრავალი ტრანსფორმაცია საბანკო სექტორში, როგორცაა მობილური ბანკინგი, ბანკომატი, სმარტფონი და ა.შ., რამაც მომხმარებელს საშუალება მისცა ფულადი გზავნი-

4 MRI - Magnetic Resonance Imaging - მაგნიტურ-რეზონანსული გამოსახულება

ლებით, ფულადი ანაბრით და სხვა ფინანსური გარეგნობით განახორციელოს ტრანზაქცია მობილური ან სხვა ინტერნეტში ჩართული მონყობილობით. IOT ტექნოლოგია გამოიყენება **სატრანსპორტო და ლოჯისტიკური ინდუსტრიის** მიმართულებით, უკეთესი ბიზნეს გამოცდილების უზრუნველსაყოფად. GPS⁵ (Global Positioning System) ტრეკერი არის IOT გადამყვებილების ერთ-ერთი მაგალითი სატრანსპორტო ინდუსტრიაში. GPS ტრეკერის დახმარებით მომხმარებელს შეუძლია დააკვირდეს პროდუქტს, რომელიც მას უნდა მიენოდოს, მობილური ტელეფონის GPS ტრეკერის ნავიგაციის სისტემასთან დაკავშირებით. მას შეუძლია თვალყურის ადევნოს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობას. ტრანსპორტირების მანქანები დაკავშირებულია სენსორებთან, რომ აკონტროლონ ტემპერატურა, რაც კომპანიებს ეხმარება უზრუნველყონ მათი ტვირთის უსაფრთხო მდგომარეობაში ჩასვლა. IOT გადამყვებილები ასევე გამოიყენება იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად უსაფრთხოდ მართავს მანქანას მძღოლი. **ენერჯეტიკა და კომუნალური სექტორი** ასევე იყენებს IOT ტექნოლოგიას უკეთესი შედეგის მისაღწევად. IOT მონყობილობებს იყენებენ ნავთობისა და გაზის კომპანიების მიერ საბურღი ხაზების გასაზომად. ეს მონყობილობები ოპტიმიზაციას უკეთებენ პროცესს და ამცირებენ ხარჯებს საბურღი პროცედურის სიჩქარის გაზომვით. ჭკვიანი ენერჯეტიკული ქსელი პოპულარული ინოვაციაა, რომელიც ეყრდნობა IOT მონყობილობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ენერჯეტიკულ ქსელსა და მომხმარებელს შორის კომუნიკაციას ინტერნეტით. IOT ტექნოლოგიის გამოყენება ენერჯეტიკის სექტორში არა მხოლოდ დაზოგავს ფულს, არამედ დაზოგავს დროსა და ენერჯიას.

ჭკვიანი სახლები და შენობები - IOT დიდ გავლენას ახდენს საცხოვრებელი და კომერციული უძრავი ქონების ინდუსტრიაზე. ჭკვიანური შენობის დანერგვა დაკავშირებულია IOT გადამყვებილებთან. სახლის ავტომატიზაციის სისტემა, კარის ჭკვიანური საკეტები, გათბობის ჭკვიანური სისტემები, უსაფრთხოების კამერა და განათება IOT-ს რამდენიმე მაგალითია უძრავი ქონების ინდუსტრიაში.

ხშირად გვხვდება ტერმინი - Smart city - ე.წ. სმარტ სიტი - **“ჭკვიანი ქალაქი”** - ქალაქი სადაც სხვადასხვა ფუნქციები ტექნოლოგიების საშუალებით ხორციელდება. ქალაქების განვითარება სხვადასხვა პარამეტრებით იზომება, თუმცა “ჭკვიანი ქალაქად” ითვლება ქალაქი, რომელიც თავისი მაცხოვრებლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნავს და მდგრად განვითარებას გულისხმობს. ჭკვიანი ქალა-

ქის კონცეფცია გულისხმობს ქალაქის აქტივების მონიტორინგსა და პროცესების ეფექტიან მართვას ციფრული ინსტრუმენტების მეშვეობით, რაც მიიღწევა თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და საგანთა ინტერნეტის IOT ინტეგრაციის შედეგად. ჭკვიანი ქალაქის კონცეფცია არა მხოლოდ აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს და გვაზოგინებს რეუსრსებს, არამედ ეკონომიკური ზრდის ახალ პოტენციალს აჩენს. მიუხედავად იმისა რომ სხვადასხვა ქალაქებს სხვადასხვა სტრატეგია აქვთ, ადამიანები ყველასთვის ყველაზე ფასეული აქტივია და სწორედ მათზე მორგებული გადამყვებიან პრიორიტეტული თანმიმდევრობით დანერგვის მხრივ.

აუცილებელია სწორი ბალანსის დაცვა სახელმწიფოს ჩართულობასა და თავისუფალ ბაზარს შორის. მთავრობის მიერ შექმნილი გეგმები და პოლიტიკა კომბინირებული უნდა იყოს თავისუფალი ეკონომიკის სარგებელთან, მთავრობა მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდეს კერძო სექტორთან და მაქსიმალურად ხელს უწყობდეს ინვესტიციების განხორციელებაში. IOT ეკოსისტემის მნიშვნელოვან მხარეებად უნდა განისაზღვროს: ინსფრასტრუქტურა - თანამედროვე ციფრული ფართოზოლოვანი მომსახურების დანერგვა და უზრუნველყოფა საქართველოს ყველა მოქალაქისათვის; განათლება - ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებისთვის საჭირო უნარჩვევების ცოდნა და პრაქტიკული გამოყენება; ციფრული ეკონომიკა - მექანიზმების შექმნა, რომლებიც დააჩქარებს მაღალი შესაძლებლობების ციფრულ ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების განხორციელებას; ინფორმაციის უფრო მეტი ხელმისაწვდომობა თავის მხრივ ხელს შეუწოებს ეკონომიკურ აქტიურობას. ის საშუალებას მისცემს კომპანიებს აღმოაჩინონ ახალი ბიზნეს-შესაძლებლობები, ადვილად მიაღწიონ მომხმარებელამდე და ყველაფერი ეს შედეგობრივად დააგენერირებს სოციალურ სარგებელს.

შედეგების მისაღწევად მნიშვნელოვანია არსებობდეს გარკვეული პირობები ტექნიკური ორგანიზაციული და მარეგულირებელი სწორად განსაზღვრული პროცესები და პროცედურები. მათ შორის კრიტიკულია: ურთიერთობერიებადობა და თავსებადობა IOT სისტემებს შორის, მონაცემთა ბაზების სწორი არქიტექტურა და გამოყენებადობა. ხშირ შემთხვევაში მონაცემი არსებობს მაგრამ მისი გამოყენების შესაძლებლობები არ არის დანერგილი; B2B, B2 აპლიკაციების არსებობა და მათი გამოყენებადობა; ახალი ბიზნეს მოდელების დანერგვა საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ აპლიკაციები და ახალი აპარატურული გადამყვებიების გამოყენებადობა, გავრცელება.

ნაწილობრივ დღესაც ხდება ბევრი პროცესის

5 GPS - Global Positioning System - ლოკაციის გლობალური სისტემა

გაციფრულება, მაგრამ სრული პოტენციალი ბუნებრივია ათვისებული არ არის. სრული პოტენციალის ასათვისებლად საჭიროა: ინოვაციური ტექნოლოგიები და ბიზნეს მოდელები; ინვესტიციები ახალ შესაძლებლობებში და ტალანტებში; მნიშვნელოვანი რეგულაციები; უსაფრთხოების და პერსონალური მონაცემთა მკაცრი დაცვის პოლიტიკის განსაზღვრა; საკუთრების უფლების დაცვა - ანუ თამაშის წესების ცვლილების შესაძლებლობა უკეთესობისკენ; ნაკლები რესურსების ხარჯვა და მყისიერი სარგებლის მიღება.

ციფრული ეკონომიკის განვითარება გარდაუვალია ტექნოლოგიური პლატფორმების განვითარების გარეშე. ამავე დროს აუცილებელია სახელმწიფო და კერძო სექტორის სინერგია წამყვან ინდუსტრიებთან, რომლებიც სამომავლოდ IOT მომხმარებლად მოგვევლინებიან, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს ტექნოლოგიურ ევოლუციას და ინოვაციური პროდუქტების და მომსახურების დანერგვას.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. Mapped: The Dramatic Global Rise of Urbanization (1950–2020). Published August 23, 2019 By Iman Ghosh <https://www.visualcapitalist.com/map-global-rise-of-urbanization/>
2. How the Internet of Things is Building Smarter Cities. Published February 25, 2020. By Katie Jones <https://www.visualcapitalist.com/IOT-building-smarter-cities/>
3. Ranked: The Most Innovative Economies in the World. A country's ability to innovate helps it stay competitive on the global stage. Where are the most innovative economies, and how has the list changed? Published, February 28, 2020 By Iman Ghosh <https://www.newgenapps.com/blog/top-industries-leveraging-IOT/>
4. An executive's guide to the Internet of Things. By Jacques Bughin, Michael Chui, and James Manyika <https://www.mckinsey.com/business-functions/mckinsey-digital/our-insights/an-executives-guide-to-the-internet-of-things?cid=eml-web>
5. Report Enabling the Internet of Things _ 12 February 2016 10 Report Enabling the Internet of Things _ 12 February 2016
6. <https://www.mckinsey.com/industries/technology-media-and-telecommunications/our-insights/the-internet-of-things-five-critical-questions>. The Internet of Things: Five critical questions
7. The Internet of Things: How to capture the value of IOT May 2018. Taking the pulse of enterprise IOT Michael Chui, Vasanth Ganesan, and Mark Patel. Competing in a world of sectors without borders Venkat Atluri, Miklos Dietz, and Nicolaus Henke

ეროვნული ეკონომიკის განვითარების ახალი შესაძლებლობები კორონომიკური კრიზისის კონტექსტში

რევაზ შენგელია
ემდ, სტუ პროფესორი

ჟუჟუნა ნიკლაური-შენგელია
ემდ, სტუ პროფესორი

ნათია შენგელია
ედ, სტუ ასოცირებული პროფესორი

THE NEW OPPORTUNITIES FOR THE DEVELOPMENT OF THE NATIONAL ECONOMY IN THE CONTEXT OF THE CORONOMIC CRISIS

**Revaz Shengelia, PhD, GTU, Professor,
Jujuna Tsiklauri-Shengelia, PhD, GTU, Professor,
Natia Shengelia, PhD, GTU Associate Professor
RESUME**

In the conditions of globalization, it is impossible to imagine the economy of any country without constant renewal and change. Exactly, it is the crisis, especially the **coronomic crisis**, that can be regarded as the **change**. Moreover, the crisis raises not only new risks and challenges, but also the **new opportunities** in different directions. In this case those will find out the new opportunities, competitiveness, work places and etc. who has the learning, improving, creative thinking abilities.

In the conditions of the coronomic crisis, the main thing is to focus on the survival of national production, and on its rapid development after the post-economic crisis;

Key Words: Investment, Coronomy, Coronomic Crisis, National Production, Diversification.

* * * *

მსოფლიოს ყველა ქვეყანა და მათ შორის საქართველო ინტენსიურად არის ჩართული თანამედროვე გლობალურ პროცესში, რომლის გარეშე ეროვნული ეკონომიკის განვითარება წარმოუდგენელია. ყოველივე ეს მუდმივ განახლებასა და ცვლილებებს მოითხოვს. ცნობილი გამოთქმის არ იყოს, მუდმივი ჩვენს ცხოვრებაში მხოლოდ ცვლილებებია. ეკონომიკის განსავითარებლად, წარმატებული ცვლილებების განსახორციელებლად კი საჭიროა სწორი სტრატეგიის შერჩევა, ყოველგვარი რესურსების მობილიზება და, რაც მთავარია, პროცესის მართვა. სწორედ **კრიზისი**, განსაკუთრებით **კორონომიკური კრიზისი**, არის ის მოვლენა, რომელიც შეიძლება შეფასდეს როგორც **ცვლილებები**. კრიზისი ბადებს არა მხოლოდ ახალ რისკებსა და გამოწვევებს, არამედ **ახალ შესაძლებლობებსაც** (გააკეთო

უფრო მეტი, სადაც არ უნდა იყო). კრიზისის პირობებში იცვლება ძველი და მოდის ახალი. და ის, ვინც ფლობს კრეატიულობის უნარს, ახალ პირობებში იპოვის ახალ შესაძლებლობებს, კონკურენტუპირატესობას, სამუშაო ადგილს და ა.შ. **კორონომიკურმა კრიზისმა** მსოფლიო მასშტაბით რეალური პროდუქციის მწარმოებელ კომპანიებს აშკარად დაანახა, რომ არ არის აუცილებელი წარმოება განათავსო(გადაიტანო) ამა თუ იმ ქვეყანაში იაფი მუშახელის არსებობისა და ამის ხარჯზე დიდი მოგების მიღების გამო. პირიქით, დღეს ამ კუთხით ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად მთავარი გახდა **რისკის დივერსიფიცირება**.

სწრაფცვალებად, გლობალურ კონკურენტულ სამყაროში ძალიან მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ ის გარემოება, რომ: 1. ვიმყოფებით ახალი, ინოვაციური, კრეატიული ეკონომიკის საუკუნეში, როცა ეკონომიკური რესურსები სულ უფრო იზღუდება; 2. ვცხოვრობთ ისეთ ქვეყანაში (საქართველოში), რომლის **ეკონომიკური პოტენციალი არ იძლევა გლობალური, მსოფლიო ეკონომიკური პროცესების გადანყვევების შესაძლებლობებს**, თუმცა თამამად შესაძლებელია ადგილის დამკვიდრება მაღალ განვითარებულ ქვეყნებს შორის საკუთარი მაღალკონკურენტული, ხარისხიანი მატერიალური თუ ინტელექტუალური პროდუქციის შექმნით.

ყოველივე ამის მიღწევა წარმოუდგენელია, თუკი არ გვეცოდინება როგორი იქნება მეცნიერულად დასაბუთებული ოპტიმალური თანაფარდობა ქვეყნის განკარგულებაში არსებულ საკუთარ შეზღუდულ რესურსებს, შესაბამის ინოვაციურ ტექნოლოგიებსა და ადამიან კაპიტალს შორის. გადამწყვეტი ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, მაინც თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კონკურენტუნარიანი მეცნიერულ ტექნიკური **ცოდნაა**. ამ უკანასკნელის გარეშე ვერც ტექნოლოგიები განვითარდება და **ისედაც შეზღუდული რესურსები კიდევ უფრო შეიზღუდება**. ამიტომ მომავალი არა შრომატევად და კაპიტალტევად, არამედ მეცნიერებატევად, ცოდნატევად წარმოებას ეკუთვნის.

თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის მეცნიერულ ტექნიკურ **ცოდნასა** და ინო-

ვაციურ ტექნოლოგიებს ქვეყნის სწრაფი განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, **ნიდერლანდები** რეალურად პატარა ევროპული ქვეყანაა, ფართობით საქართველოზე 1.67-ჯერ ნაკლებია, მაგრამ მოსახლეობით 4.5-ჯერ მეტი, შემოსავლები 1 სულ მოსახლეზე PPP დათვლითაც კი 5-ჯერ მეტი HDI ინდექსით 63 პოზიციით გვისწრებს და მე-7 ადგილზეა. მართალია, ქვეყანას აქვს ბუნებრივი რესურსები, მე-5 ადგილზეა ბუნებრივი აირის ექსპორტის მხრივ და 17-ეზე ნავთობის ექსპორტის მხრივ, მაგრამ იგივე რესურსები უფრო დიდი ოდენობით ვენესუელასაც გააჩნია. ქვეყნის ტერიტორიის 20% ზღვის დონის ქვემოთაა მოქცეული, ზღვა გამუდმებით რეცხავდა და იტაცებდა სანაპირო ტერიტორიას. პატარა ევროპულმა სახელმწიფომ დაამარცხა ჩრდილოეთის ზღვა. რაც შეეხება **სოფლის მეურნეობას**, ამ საქმეშიც ნამდვილად უნდა მივბაძოთ ჰოლანდიელებს. ქვეყნის აგროექსპორტი საქართველოს მთლიან ექსპორტს 35-ჯერ აღემატება და 95 მილიარდ დოლარს აღწევს. ის მეორეა აშშ-ს შემდეგ, მაგრამ აქვე უნდა ითქვას მთავარი, ამ სექტორში დასაქმებულია სამუშაო ძალის მხოლოდ 4 (ოთხი) პროცენტი [1]. ყოველივე ეს დაგროვილი მაღალკვალიფიციური ცოდნის გამოყენების შედეგია;

ასეთი ცოდნის საჭიროება განსაკუთრებით იზრდება **კორონომიკური კრიზისისა და ციფრული ეკონომიკის დროს**, როცა, როგორც პროფესორი, ბატონი გურამ ჯოლია ნაშრომში “განათლება და დასაქმება ციფრულ გარემოში” აღნიშნავს, „მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად ითვლება არა ის, ვისაც წარსულში დაგროვილი ღრმა თეორიული ცოდნა და მდიდარი პროფესიული გამოცდილება აქვს, არამედ ის, ვისაც **სწავლის უნარი** გააჩნია, შეცვლილ გარემოსთან ადაპტაცია, ინოვაციების მიგნება და გამოყენება შეუძლია“.

კორონომიკური კრიზისის პირობებში ახალი შესაძლებლობები იქმნება განვითარებადი სამყაროსთვის, მათ შორის საქართველოსთვის, როცა მოსალოდნელია ბევრი მეცნიერული სიახლეებისა და აღმოჩენების ხილვა. ოღონდ მთავარია ჩვენმა ქვეყანამ შესძლოს სწორი სტრატეგიით აღნიშნული შესაძლებლობის გონივრული და წარმატებული გამოყენება. ამ მხრივ დღეს, როცა მთელი მსოფლიო გლობალური სასურსათო პრობლემის გადაწყვეტის მოლოდინშია, მისასალმებელია, მაგალითად, შპს „სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება **ვერიკას**“ მიერ ახლახანს შექმნილი მაღალტექნიკური ორგანულ-მინერალური სასუქი „**ალზურინის**“ აღიარება სათანადო ლიცენზიის მინიჭებით (**რეგისტრაციის თარიღი-31.07.2020 წ. N1248**), რომელიც ხორბლისა და სიმინდის კულტურებში 5 წელიწადია იცდებოდა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ და გასაოცარი შედეგები დაფიქსირდა. „ალზურინი“-ს მოქმედებით **-60%-მდე** იზრდება ხორბლისა და სიმინდის მოსავლიანობა, უმჯობესდება მისი

ხარისხი და **ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი მიიღება**. ბევრ ახალ საყურადღებო დადებით თვისებებთან ერთად საგულისხმოა ერთ-ერთი ის გარემოებაც, რომ მოწეული პროდუქტის **შენახვის ვადებიც ხანგრძლივდება და ყველა მაჩვენებლებით წინ უსწრებს იმპორტულ სტიმულატორებს** [2-გვ.12.]. როგორც ამ ახალი ინოვაციური პრეპარატის შექმნის შესახებ გამოხმაურებები მეტყველებენ, სწორედ ეს არის **“ცოდნის სამკუთხედის” - “განათლება-მეცნიერება-ბიზნესი” ეფექტიანი კავშირის შედეგი**. ასეთი კავშირების შექმნის აუცილებლობა ყველა დარგში და წარმატებაც არ დაიგვიანებს, რისთვისაც ყველა უნივერსიტეტში უნდა დაიგეგმოს ასეთი კავშირების ჩამოყალიბების გზები და მივიღებთ **სამეწარმეო უნივერსიტეტებს**. ვფიქრობთ, სწორედ ეს იქნება თანამედროვე უნივერსიტეტების განვითარების ახალი მოდელი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ინოვაციური პროდუქტის ავტორია ახალგაზრდა მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საპრეზიდენტო გრანტის მფლობელი, საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიანტი, 2018 წლის საუკეთესო მეცნიერი (ეს ჯილდო მიენიჭა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ სიცოცხლის შემსწავლელ, ჯანდაცვის, აგრარულ მეცნიერებების მიმართულელებით მოღვაწე წლის საუკეთესო მეცნიერთა ჯგუფის ნომინაციაში გამარჯვებისათვის)-ალექსანდრე სხირტლაძე.

კორონომიკური კრიზისის თანამედროვე ეტაპზე ზემოაღნიშნული ახალი შესაძლებლობებიდან გამომდინარე ნებისმიერი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი წარმოების პროცესის ურთულესი ამოცანების-„რა, როგორ და ვისთვის?“-რეალიზაცია, ვფიქრობთ, უპირატესად, ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს. ასეთ პირობებში ნებისმიერი ქვეყნის და, მათ შორის საქართველოს, ეკონომიკური განვითარება უნდა წარმართოს იქითკენ, რომ გადარჩეს, ხოლო პოსტკორონომიკური კრიზისის შემდეგ აღორძინდეს ეროვნული, სამამულო წარმოება, უწინარესად კი მატერიალური წარმოების დარგები, ამაღლდეს მათი კონკურენტუნარიანობა და გაუმჯობესდეს ეკონომიკური ზრდის ხარისხი. ამ მიზნის მისაღწევად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმპორტმემცველი პროდუქციის და მომსახურების ადგილზე წარმოებას. ასეთი მიდგომა გამართლებულია ყველა შემთხვევაში ქვეყნის დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით, მაგრამ იგი განსაკუთრებით გასათვალისწინებელია გლობალური **კორონომიკური კრიზისის დროს**.

ასეთ პირობებში, მართალია, მთელი ძალისხმევა უნდა წარემართოს, პირველ რიგში გარანტირებული შემოსავლის წყაროს, პირველ რიგში-სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად, მაგრამ პერსპექტივაში უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ

ტურიზმის სექტორს ვფიქრობთ, იგი უნდა იყოს მხოლოდ დამატებითი შემოსავლის მომტანი და არა გარანტირებული შემოსავლის წყარო. ტურისტული საქმიანობა მეტად რისკიან შემოსავალს, რადგან თუ იგი პოლიტიკური დაძაბულობის, ან ეგრეთ წოდებული კოროავირუსის გამო შეწყდება, მასთან დაკავშირებული ყველა საქმიანობა გაკოტრების წინაშე აღმოჩნდება, მითუმეტეს დღევანდელ საქართველოში, სადაც ტურიზმის მკვებავი საწარმოების უმეტესობა განუვითარებელია; უფრო მეტიც, ვინაიდან ტურისტულ საქმიანობაში არ იქმნება რეალურ პროდუქტი, შეიძლება ითქვას, რომ მან შეიძლება ზარალიც კი მოიტანოს, ხელი შეუწყოს ეროვნული ვალუტის გაუფასურებასაც, კერძოდ, ქვეყანაში სადაც განუვითარებელია ტურიზმის მომსახურე საწარმოები, ტურისტების მიერ მიერ შემოტანილი ვალუტა დაიხარჯება შემოტანილ საქონელზე და უკან წავა, ამით წახალისდება არა ეროვნული წარმოება, არამედ იმპორტიორი ქვეყანა.

ეროვნული ეკონომიკის განსავითარებლად საინვესტიციო რესურსებია საჭირო. ამ მხრივ შიდა ინვესტიციების მოზიდვისა და გამოცდილი მუშაკების დასაქმების თვალსაზრისით დადებითი ტენდენციაა საქართველოდან წასული ემიგრანტების დაბრუნება სამშობლოში. ამის შედეგად მოსალოდნელია აღდგეს დაცარიელებული ქართული სოფლები; ეს კი ხელს შეუწყობს დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებასაც. იმედია ემიგრანტები უკან აღარ წავლენ, თუკი მათ შეეუქმნით სასურველ საინვესტიციო გარემოს და თავიანთ სამშობლოში უფრო დაცული იქნებიან.

ზოგჯერ კომპანიების ნაწილი, რომლებიც შექმნილ ვითარებაში მუშაობას ვერ აგრძელებენ, თანამშრომლების ნაწილს უხელფასო შვებულებაში უშვებს. ამ შემთხვევაში რის გაკეთება შეუძლია ქვეყანას? ცხადია, ყველა სამუშაო ადგილის შენარჩუნება ვერ მოხერხდება, მაგრამ გვაქვს მაგალითები, როცა დასაქმებულებს სთავაზობენ საქმიანობის პროფილის შეცვლას. მართალია ბევრი სამუშაო დაიხურება, მაგრამ გაჩნდება ახალიც, **გაიზრდება დასაქმებულთა დატვირთვა ციფრული ტექნოლოგიების და სხვა მიმართულებით;**

ამრიგად, ეროვნული ეკონომიკის განვითარების პერსპექტივებზე მსჯელობისას კორონომიკური კრიზისის ფონზე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

- ინვესტიციურმა პოლიტიკამ გარკვეული თავა

ვდაცვითი ხასიათი უნდა მიიღოს. მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს შიდა ინვესტიციებზე იმ დარგებში, რომლებსაც საქართველოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ემიგრანტებისათვის სასურველი საინვესტიციო გარემოს შექმნას;

-სახელმწიფომ უნდა წახალისოს იმ დარგებში განსახორციელებელი ინვესტიციები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან იმპორტმცვლელი პროდუქციის წარმოებაზე ან ექსპორტზე;

-წავახალისოთ ისეთი საინვესტიციო პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია **ინოვაციებში, რეალური პროდუქტის წარმოებაში** ინვესტირებაზე; ქვეყნის სწრაფვას ცვლილებებისაკენ და განვითარებისაკენ, რასაც კორონომიკური კრიზისი ახალი შედეგბელობების გაჩენით აჩქარებს, განსაზღვრავს სწორედ მოსახლეობის განათლების დონე(მაგალითად, უმაღლესი განათლების მქონე ადამიანების პროცენტული მაჩვენებელი), ცოდნის საერთო ხარისხი. ასე რომ **კორონომიკური კრიზისი** არა იმდენად შემაფერხებელი, ხელის შემშლელი ფაქტორია, რამდენადაც **ახალი შესაძლებლობების გაჩენის სტიმულატორი და განვითარების კატალიზატორი**[3].

ზემოაღნიშნული ღონისძიებების გატარება საქართველოში გამოიწვევს ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას იმ დონეზე, რისი ღირსიცაა შესანიშნავი გეოგრაფიული მდებარეობისა და ბუნებრივ-ნიადაგობრივ-კლიმატური პირობების მქონე ქვეყანა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <https://www.google.ge/search?>
2. ჟურნალი „აგრარული საქართველო“, N4, 2020 წ.
3. ჟურნალი „ეკონომიკა“, N-3-5, 2020წ.
4. გ. ჯოლია. კრეატიული ეკონომიკა და განვითარება. თბ., 2015 წ.

REFERENCES :

1. <https://www.google.ge/search?>
2. Journal „Agrarian Georgia“, N4, 2020 წ.(in Georgian Language).
3. Journal „Economics“, N3-5, 2020y. (in Georgian Language).
- 4.G. Jolia. Creative Economy and Development. Tb., 2015y.(in Georgian Language).

„მწვანე ეკონომიკა„-ს ქვეყნის მდგრადი განვითარების პრობლემატიკა

ნატო ჩიკვილაძე
სტუ-ს პროფესორი

РЕЗЮМЕ

Рост социальной напряженности и экологических проблем, к которым приводит использование традиционных подходов в управлении экономическими субъектами всех уровней, обуславливает интерес к новому методическому аппарату управления развитием. Решение существующих проблем связано с ориентацией общества на концепции устойчивого и инклюзивного развития, а также зеленой экономики. В статье проанализирован понятийный аппарат концепций «устойчивое развитие» и «инклюзивное развитие», а также взаимосвязи между ними, включая отношение к использованию финансового, человеческого и природного, а также социальной, экономической и экологической компонент развития. Проведен сравнительный анализ моделей «зеленой» и «коричневой» экономики по критериям экономической, экологической и социальной составляющих. Рассмотрены негативные последствия, к которым приводит следование модели «коричневой» экономики. Рассмотрена значимость «зеленой» экономики в контексте решения глобальных вызовов, стоящих перед человечеством. Выделены факторы и причины, являющиеся причинами экологической неустойчивости грузинской экономики.

Ключевые слова: устойчивое развитие, инклюзивное развитие, зеленая экономика, коричневая экономика.

* * * *

მდგრადი განვითარება საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემაა, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას, ცხოვრების ხარისხის ზრდას და მომავალი თაობის უფლებას ისარგებლონ შექცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი.

მდგრადი განვითარების პრობლემა, მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, არსებობს ორი ძირითადი მიმართულებით: ეს არის საზოგადოების განვითარების მიზნების განსაზღვრა და მათი განხორციელების პირობების გამოვლენა. მდგრადი განვითარების მიზნების იერარქიის მიხედვით ეკონომიკური მიზნები დაქვემდებარებულია საზოგადოების განვითარების მიზნებზე, ანუ განიხილება როგორც მთლიანი მდგრადი განვითარების საშუალება. მე-

ორე მიმართულება-ეკონომიკური განვითარების მდგრადობის უზრუნველყოფი პირობებისა და ფაქტორების გამოკვლევაში მდგომარეობს. უნდა აღინიშნოს რომ მდგრადი განვითარებაში არ იგულისხმება მდგრადობა პირდაპირი გაგებით, როგორც სისტემური, რაოდენობრივი ზრდა, არამედ იგულისხმება „უკონფლიქტო“ განვითარება, ეკოლოგიური და სოციალური შემაღგენელის გათვალისწინებით. მდგრადობა უნდა გვესმოდეს არა როგორც მუდმივი, არამედ სტაბილური და გაგრძობადი პროცესი.

თანამედროვე პირობებში უცხოეთში შედარებით უფრო პოპულარულია ინკლუზიური მდგრადი ზრდის კონცეფცია (ინკლუზიური მდგრადი განვითარება). მისი ძირითადი დებულებებია, მათ შორის დასკვნა, რომ არსებობს მძლავრი კავშირი ეკონომიკური ზრდის ტემპებსა და სოციალური პრობლემების ფართო წრეს შორის, საზოგადოებაში შექმნილი შემოსავლების უფრო სამართლიანი განაწილების ჩათვლით, მოსახლეობის უღატაკესი ფენების მიმართ განსაკუთრებული ყურადღებით, თავდაპირველად მეცნიერებმა შეიმუშავეს XX საუკუნის 80-იანი წლებიდან.

„მწვანე“ ზრდის კონცეფცია წარმოადგენს მდგრადი განვითარების ქვედარგს და არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც მისი ჩანაცვლება ან „რებრენდინგი“. „მწვანე“ ეკონომიკა დღეს განიხილება როგორც მდგრადი განვითარების მამოძრავებელი ახალი ვექტორი, რომლის ძირითადი ინსტრუმენტია ინოვაციური „მწვანე“ ტექნოლოგიები. „მწვანე“ ტექნოლოგიები ეფუძნება რესურსებისა და ენერჯის დაზოგვას, ნახშირბადის გამოფრქვევების შემცირებას, სუფთა ტრანსპორტს, ენერჯის ალტერნატიულ წყაროებს, ორგანულ სოფლის მეურნეობას, ეკოდეველოპმენტს (მშენებლობის მინიმალური ზეგავლენა გარემოზე) და მონინაველოგისტიკას. ეს თავის მხრივ ეკონომიკას საშუალებას აძლევს განვითარდეს ბუნების დაზიანების გარეშე და ხელი შეუწყოს მოსახლეობის ეკოლოგიურ კეთილდღეობას. წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას ბუნებრივი კაპიტალის დაცვისა და ზრდის ხარჯზე, ნახშირბადის და ტოქსიკური გამონაბოლქვების შემცირებით, ბიომრავალფეროვნების გაფართოებით, ასევე მოსახლეობის დასაქმებას შემოსავლების გაზრდით.

„მწვანე“ ეკონომიკისათვის თანაბრად მნიშვნელოვანია, როგორც პირველადი, ასევე მეორადი რესურსების ფრთხილი და რაციონალური გამოყენება ამასთან ტრადიციული მოხმარების საზოგადოება ვითარდება პასუხისმგებლიანი მოხმარების საზო-

გადოებად. “მწვანე” ეკონომიკის მოდელი ანესრიგებს ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედებას.

„ყავისფერი“ ეკონომიკის თანამედროვე მოდელი მრავალი ასპექტით არასრულყოფილია მიუხედავად მისი დადებითი შედეგებისა საზოგადოების კეთილდღეობის საერთო დონის ამაღლებაში, თუმცა ამავე დროს გააჩნია ნეგატიური შედეგები მომავალი თაობებისათვის.

„ყავისფერი“ ეკონომიკაში ვგულისხმობთ თანამედროვე, ან XX საუკუნის ეკონომიკის ტრადიციულ მოდელს, დაფუძნებულს რესურსებზე დიდი დანახარჯებითა და ენერგოტევადი წარმოების მეთოდებზე. „ყავისფერი“ ეკონომიკის ყველაზე უფრო ნეგატიურ შედეგს წარმოადგენს ეკოლოგიური პრობლემები, ბუნებრივი კაპიტალის გამოფიტვა, მტკნარი წყლის უკმარისობა, ადამიანთა და ქვეყნების უთანასწორობა, სურსათისა და ენერჯის უკმარისობა.

XXI საუკუნის მეორე ათწლეულში “მწვანე” ეკონომიკის საკითხებთან და ინკლუზიურ განვითარებასთან დაკავშირებით ჩატარდა მრავალი საერთაშორისო ფორუმი. მაგრამ, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ ამ საკითხის მკვლევარები: “არ მომხდარა არავითარი მნიშვნელოვანი ცვლილება ამ ფორუმების მონაწილეთა ქვეყნების პოლიტიკაში, არც პრინციპის, არ ავნო ბუნებას და, რაც მთავარია, ადამიანის ბუნებას, განხორციელებაში. ეს ეხება კონცეფციის, როგორც ეკოლოგიურ, ისე სოციალურ შემადგენელს.

ჩვენს პლანეტაზე ბუნებრივი პოტენციალის ზრდას და კლიმატური ბალანსის განვითარებას მილიარდობით წლები დასჭირდა. რამდენიმე ათასწლეულში მოხდა ეკოსისტემის კვდომა, ხოლო გაცილებით დიდი დარტყმა ამ მიმართულებით ბოლო 100 წლის განმავლობაში განხორციელდა. ამ დანაკარგების აღდგენას არ ეყოფა მილიონობით წლები. ამიტომაც თანამედროვე ცივილიზაციისათვის

მთავარ პრობლემას წარმოადგენს ეკოლოგიური პრობლემა. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, კანონზომიერია მდგრადი განვითარების იდეა, “მწვანე” ეკონომიკის კონცეფციის დამატებით განვიხილოთ პარადიგმად, რომელიც უნდა განხორციელდეს ეკონომიკის ყველა დონეზე.

ეკონომიკის მდგრადი და ეკოლოგიურად პასუხისმგებლიანი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ბიზნესის მართვის მეცნიერული საფუძვლებისა და სტრატეგიის შეცვლა. ამას გარდა, თანამედროვე ცივილიზაციის წინაშე მდგომი ძირითადი მოთხოვნების თვალსაზრისით თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ადეკვატური მოდელის ძიებისას, შეიძლება ყველაზე მისაღებად ჩაითვალოს ინკლუზიური, მდგრადი, მწვანე განვითარების კონცეფცია.

რა თქმა უნდა, მსოფლიო ეკონომიკის გამწვანე-

ბის გზაზე რისკები და პრობლემები გარდაუვალია. მწვანე ეკონომიკაზე გადასვლას მსოფლიო ლიდერების, სამოქალაქო საზოგადოების და წამყვანი კომპანიების ერთობლივი ძალისხმევა დასჭირდება.

პოლიტიკოსებისა და მათი ელექტორატისგან განუწყვეტელი ძალისხმევა იქნება საჭირო სიმდიდრის და კეთილდღეობის ტრადიციული ზომების გადახედვისა და განსაზღვრისათვის. ამასთან, დღეს, ალბათ, ყველაზე დიდი რისკია სტატუს კვოს შენარჩუნების რისკი. ახლა მსოფლიოში დარჩენილი ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების პასუხისმგებლობის ძირითადი ტვირთი ეკისრებათ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს. ბუნებრივია, რომ სწორედ ამ ქვეყნებში იწყებენ სხვადასხვა პროექტებს, ტარდება ფორუმები, იქმნება პროგრამები, რომლებიც მიზნად ისახავს გარემოს მდგომარეობის სტაბილიზაციას და გაუმჯობესებას. ამ პროექტებისა და პროგრამების უმეტესობა შექმნილია ენერგეტიკის სექტორში.

2010 წელს მე -40 მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე, რომელიც დავოსში ჩატარდა ლოზუნგით “პლანეტის მდგომარეობის გაუმჯობესება: სამყაროს გადახედვა, შეცვლა, განვითარება”, გამოცხადდა ახალი გლობალური კურსი, “მწვანე” ეკონომიკა- როგორც შემდგომი განვითარების ერთადერთი გზა.

სამხრეთ კორეა პირველი ქვეყანაა, რომელმაც გამოაცხადა მწვანე ზრდა, როგორც ეროვნული სტრატეგია. შევედეთმა უარი თქვა ნავთობზე, ნახშირზე და გაზზე და განახლებადი ენერჯის წყაროებზე გადასვლას გეგმავდა 2020 წლისთვის. იაპონიამ შეიმუშავა დაბალი ნახშირბადის საზოგადოების სამოქმედო პროგრამა და დაადგინა ნახშირბადის გამონაბოლქვის დაბალი ნორმატივი, როგორც გრძელვადიანი განვითარების მიზანი. აშშ - ში მწვანე ეკონომიკა გვთავაზობს 600 მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების საქონელსა და მომსახურებას, (მშპ-ს 4.2%), 3 მილიონი ადამიანის დასაქმებას. მსოფლიო ლიდერი მშპ-ს “მწვანე” სექტორის წილის მიხედვით - 8,8% - დიდი ბრიტანეთი იყო. 2014 წლის 1 იანვარს დაიწყო ევროკავშირის სამეცნიერო, ტექნოლოგიური და ინოვაციური განვითარების ახალი პროგრამის “Horizon 2020 -ს განხორციელება”. აქ პრიორიტეტი იყო მაღალტექნოლოგიური - ეკო-, ნანო-, ბიო- და ინფორმაციული ტექნოლოგიები, რომლებიც მიზნად ისახავდა გლობალური პრობლემების მოგვარებას. BRICS ქვეყნებს აქვთ მდგრადი განვითარებაზე გადასვლის და განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენების პოტენციალი. ეს ქვეყნები უკვე აქტიურად ჩაერთვნენ მდგრადი განვითარების პროცესებში და განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარების გამო თანდათანობით გადადიან მაღალი ნახშირბადის ეკონომიკიდან დაბალი ნახშირბადის ეკონომიკაზე. ბრაზილია ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, რომელმაც დაიწყო ბიოსანვა-

ვის გამოყენება შაქრის ლერწმის გადამუშავების შედეგად მიღებული ბიოეთანოლის საფუძველზე. ბრაზილიის ეროვნული ენერგეტიკული გეგმის მიზანია 2030 წლისთვის 60 მილიარდი ლიტრი ბიოეთანოლისა და 18,5 მილიარდი ლიტრი ბიოდიზელის წარმოება.

ჩინეთი არის მსოფლიოში წამყვანი ინვესტორი RES- ში. ქვეყანას აქვს მთელი რიგი მექანიზმები და ინსტიტუტები, რომლებიც მხარს უჭერს განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარებას. 2016 წელს ჩინეთმა წარმოადგინა მე -13 ხუთწლიანი გეგმა (2016–2020), განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა ენერჯიაზე. ჩინეთი გეგმავს ქარისა და მზის ენერჯის წარმოების გაზრდას და ენერგომომარაგების სისტემების სტრუქტურის გაუმჯობესებას.

საქართველოში „მწვანე ეკონომიკის“ ფორმირებასთან დაკავშირებით საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ „საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა სამი ეროვნული პროგრამა, საქართველოს კანონი-„ნარჩენების მართვის კოდექსი“, „ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგია“ და „2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა“.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაკვეთით გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის კორპორაციის (GIZ) მიერ მომზადდა „მწვანე“ ზრდის დოკუმენტი.

2016 წელს საქართველო შეუერთდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მწვანე ზრდის დეკლარაციას, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს ქვეყნებს შორის თანამშრომლობა მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობისათვის. აღნიშნული დეკლარაციის პრინციპებზე დაყრდნობით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მუშაობს მწვანე ეკონომიკის პოლიტიკის დოკუმენტისა და მწვანე ზრდის ეროვნული სტრატეგიის შემუშავების საკითხზე, რომელთა ძირითად მიზანს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის მოდერნიზების ხელშეწყობა, მდგრადი და მწვანე განვითარების საფუძვლის შექმნა. მწვანე განვითარებისკენ გადადგმული ნაბიჯები დადებითად აისახება ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო იმიჯზე და მოგვცემს შესაძლებლობას საქართველო განვითარებული, მონინავე ქვეყნების რიგებს შეუერთდეს. საერთაშორისო თანამეგობრობა მხარს უჭერს საქართველოში მწვანე ზრდის საფუძვლების შექმნას და მზად არის, აღნიშნული დახმარება კიდევ უფრო გააძლიეროს. ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD), გაეროს ევროპის ეკონომი-

კური კომისიის (UNECE), გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამისა (UN Environment) და გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) მიერ აღმოსავლეთ პარტნიორობის მეორე პლატფორმის - „ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა“- ფარგლებში საქართველოში განხორციელდა პროგრამა, „მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“(EaP GREEN) აღმოსავლეთ პარტნიორობის ხუთ სხვა ქვეყანასთან ერთად. პროგრამის მიზანს წარმოადგენდა მწვანე ეკონომიკაზე გადასვლა, კერძოდ, ისეთი ეკონომიკური ზრდის მიღწევა, რომელიც გამორიცხავს გარემოს დეგრადაციას და ბუნებრივი რესურსების ამონღურვას. პროგრამა ასევე ითვალისწინებდა გარემოსდაცვითი პოლიტიკის ინსტრუმენტების რეფორმირებას, ახალი ანალიტიკური საშუალებების დანერგვას, დაფინანსების წყაროებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, შესაძლებლობების გაძლიერებასა და კერძო სექტორში საპილოტე პროექტების განხორციელებას. „მწვანე“ ეკონომიკაზე გადასვლის მიმართულებით განსაკუთრებით აქტიურობს თბილისის მერია, რომელმაც შეიმუშავა გარემოს დაცვითი სტრატეგია 2015-2020 და მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმა 2017-2030. ქვეყანას დიდი პრობლემები აქვს: წყლის, ჰაერის, ნიადაგის დაბინძურების, მდარე ხარისხის სანვაი საშუალებების გამოყენების შედეგად არსებული გამონაბოლქვების, ნარჩენების მართვის, საკვები პროდუქტების უვნებლობის მხრივ. გასაკეთებელი ძალიან ბევრია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქავთარაძე ი. „მწვანე ზრდა“ ეკონომიკურ განვითარებასა და გარემოს სტაბილურობას ერთდროულად გულისხმობს, 2018 <http://www.economy.ge/?page=news&nw=654&s=irma-qavtaradze-mw-vane-zrda>
2. კრიალაშვილი ქ. მწვანე ეკონომიკის მხარდაჭერა. 2017, <https://www.slideshare.net/ketikrialashvili/ss-78196550>
3. Седаш, Т.Н. Возобновляемые источники энергии: стимулирование инвестиций в России и за рубежом // Российский внешнеэкономический вестник. – 2016. № 5.
4. Фюкс Р. Зеленая революция. Экономический рост без ущерба для экологии. – М.: Альпина нон-фикшн, 2016. – 330 с.
5. Яшалова Н.Н, «Зеленая» экономика: вопросы теории и направления развития, 2013, <https://cyberleninka.ru/article/n/zelenaya-ekonomika-voprosy-teorii-i-napravleniya-razvitiya>

ლობიზმი და მისი ეკონომიკური მექანიზმი

კახაბერ ციმინტია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

ლობიზმის ინსტიტუტი, რომელიც ბიზნესისა და პოლიტიკური ხელისუფლების სხვადასხვა სტრუქტურების ურთიერთობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს, მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ლობიზმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ეკონომიკური ლობიზმი ანუ ლობისტური საქმიანობა მიმართული ეკონომიკური ინტერესების (მიზნების) მიღწევისკენ. იგი გულისხმობს ეკონომიკური სუბიექტების მიერ სახელმწიფო მმართველობის ორგანოებზე ზეგავლენის მოხდენას გარკვეული უპირატესობის მიღების მიზნით. ცხადია, რომ ეკონომიკური ლობიზმი გავლენას ახდენს საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირებაზე და შესაბამისად, ეკონომიკური რესურსების განაწილებაზე.

ეკონომიკური ლობიზმის შედეგს წარმოადგენს ცალკეული სფეროებისა თუ ფირმებისთვის ისეთი პრივილეგიების მიღება, როგორცაა: კონკურენტული უპირატესობა, რესურსებისადმი ხელმისაწვდომობის და შემოსავლების ზრდა, სახელმწიფო სახსრების მათ სასარგებლოდ გადანაწილება, ლიცენზიებისა და კვოტებისადმი ხელმისაწვდომობა, გადასახადებისგან სრული გათავისუფლება ან გარკვეული შეღავათები და ა.შ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლობიზმის ინსტიტუტი არაერთგვაროვან ზეგავლენას ახდენს საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირებაზე. რიგ შემთხვევაში იგი ზრდის რესურსების განაწილების ეფექტიანობას (მაგალითად, გადასახადებისგან გათავისუფლების მიღწევისას), აგვარებს გარე ეფექტებთან, არასრულყოფილ ინფორმაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს და ხელს უწყობს საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირებას. რიგ შემთხვევაში კი აფერხებს ამ მექანიზმის ფუნქციონირებას და კონკურენტის შეზღუდვისა და რესურსების დამახინჯებული განაწილების ეფექტი აქვს.

საკვანძო სიტყვები: ლობიზმი. გლობირება. „გავლენის ჯგუფები“. ეკონომიკური ლობიზმი

LOBBYING AND ITS ECONOMIC MECHANISM

Kakhaber Tsimintia

Associated Professor of Sokhumi State University

RESUME

The institution of lobbying, which is one of the forms of relationship between different structures of business and political power, plays an important role in political and economic life. One of the important direc-

tions of lobbying is economic lobbying, in other words, lobbying activity aimed at achieving economic interests (goals). It refers to the influence of economic entities on state governing bodies in order to gain a certain advantage. It is clear that economic lobbying affects the functioning of the market mechanism and, consequently, the distribution of economic resources.

The result of economic lobbying is to receive privileges for certain fields and firms, such as: Competitive advantage, increase in access to resources and revenues, redistribution of state funds in their favor, access to licenses and quotas, full exemption from taxes or certain benefits, etc. We can say that the institution of lobbying has a heterogeneous impact on the functioning of the market mechanism. In some cases, it increases the efficiency of resource allocation (for example, in achieving tax exemptions), solves problems with external effects and imperfect information, and facilitates the functioning of the market mechanism. In some cases, it hinders the functioning of this mechanism and has the effect of restricting competition and distorted distribution of resources.

Keywords: Lobby, Lobbying, „Influence groups“, Economic lobbying.

* * * *

ბიზნესისა და პოლიტიკური ხელისუფლების სხვადასხვა სტრუქტურების ურთიერთ-დამოკიდებულების საკითხი თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს. თავისი არსით, აღნიშნული ურთიერთქმედების მექანიზმები ძალზე მრავალფეროვანი და დინამიკურია, რომელიც განსხვავებული სამართლებრივი და ეკონომიკური ურთიერთობის ფორმებს ეყრდნობა. ამასთანავე, ბიზნესისა და სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურების ურთიერთობის ცალკეული ასპექტები ხარისხობრივად და თვისებრივად განსხვავებულ მეთოდებს ეყრდნობა — კანონით მკაფიოდ განსაზღვრულიდან, კანონით აკრძალულამდე, შედარებით კონსერვატიულიდან, მუდმივად ახალი ხერხების გამოყენებაზე დაფუძნებულამდე.

ბიზნესისა და პოლიტიკური ხელისუფლების ურთიერთობის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს ლობიზმი. ჩგანვითარების გამოცდილება მიუთითებს აღნიშნული ურთიერთობის უძველეს წარმომავლობაზე. ამასთან, ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების განვითარების შესაბამისად აღნიშნული ურთიერთობები მუდმივად ვითარდებოდა, განიცდიდა მოდიფიკაციას და კანონის ჩარჩოებში ექცეოდა. ეკონომიკური ლობიზმის ინსტიტუტი დაკავშირებულია „გავლენ-

ნის ჯგუფებისა” და სახელმწიფო სტრუქტურების, ასევე ბიზნესისა და სამთავრობო ხელისუფლების წარმომადგენელთა ურთიერთქმედებასთან. იგი პოლიტიკური საქმიანობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს და გარკვეული სოციალური გაერთიანების ინტერესებს გამოხატავს. ტერმინის „ლობი“ (კულუარები) წარმოშობას უკავშირებენ ინგლისის ლორდთა პალატაში პარლამენტის წევრთათვის განკუთვნილი დერეფნის სახელს, ხოლო პოლიტიკური დატვირთვა ტერმინმა XIX საუკუნეში შეიძინა კონგრესმენების ხმების „ყიდვის“ პრაქტიკასთან დაკავშირებით [1, 6].

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ლობიზმის ფენომენი შთამბეჭდავს მასშტაბებს ლეზულობს, რაც მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. მათ შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, ერთის მხრივ სახელმწიფოს როლის მზარდი ხასიათი და სახელმწიფო ბიუროკრატის მნიშვნელოვანი ადგილი სხვადასხვა სახის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში. მეორეს მხრივ ბიზნესის მზარდი ხასიათი, ბიზნესის „გავლენის ჯგუფების“ ინტერესთა გლობალური ხასიათი. ამ პერიოდს უკავშირდება ლობიზმის ჩრდილოვანი მხარდან აქტიური გამოსვლა და საკანონმდებლო სივრცეში ადგილის დამკვიდრება. ლობისტთა მზარდი როლის კვალობაზე, მათ საქმიანობაზე კონტროლი და რეგულირება გაძლიერდა, რიგ ქვეყნებში ჩამოყალიბდა ლობისტთა ინსტიტუტისთვის საკანონმდებლო ბაზა. მაგალითად, 1946 წელს აშშ-ში მიღებულ იქნა ფედერალური კანონი „ლობისტური საქმიანობის რეგულირების შესახებ“, 1995 წელს - „Lobbying Disclosure Act“, ხოლო ევროკავშირში 2007 წელს - „European Transparency Initiative“. ამჟამად მსოფლიოს 14 ქვეყანას გააჩნია შესაბამისი კანონები, ხოლო 26 ქვეყანაში იგი შემუშავების სტადიაშია. გლობიზმის ინსტიტუტის ფართო მასშტაბებზე მსჯელობა შესაძლებელია შემდეგი მონაცემებითაც: აშშ-ს კონგრესში რეგისტრირებულია დაახლოებით 15 000 ლობისტი და ამ ბაზრის წლიური ბრუნვა დაახლოებით 3 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო ევროკავშირში ლობისტების რაოდენობა 20 000 აღწევს.

ცხადია, სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტები და პოლიტიკური ძალები ყოველთვის შეთანხმებულად ვერ იმოქმედებენ გარკვეულწილად, ცალკეული გადაწყვეტილებების მიღებისას, ისინი შეიძლება წარმოჩინდნენ როგორც მონინალმდევნი ან კონკურენტები. თავის მხრივ, აღნიშნული პოლიტიკური ინსტიტუტებისა და პოლიტიკური ძალების წარმომადგენლები ადამიანები არიან, რომლებსაც გააჩნიათ თავიანთი შეხედულებები, აზრები და პოზიციები ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით, ხასიათდებიან სხვადასხვა ადამიანთა მიმართ განსხვავებული სიმპატიებით, ე.ი. შესაძლებელია მათზე და აქედან გამომდინარე, მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე გარკვეული ზემოქმედება. აღნიშნულმა ფაქტორებმა გააძლიერეს გარკვეულ ინტერესთა დაკმაყოფილებისთვის „გავლენის ჯგუფებს“ ორგანი-

ზებული ხასიათი. ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე მძლავრი „გავლენის ჯგუფების“ არსებობა, რომლებიც მონოდებული არიან შეიმუშაონ, შეაჯერონ, სისტემატიზება გაუკეთონ, შემდგომ კი სამთავრობო სტრუქტურებთან წარადგინონ და დაიცვან თავიანთი ინტერესები. თანამდებობის პირებზე ზემოქმედების ფორმები სულ უფრო იხვეწება და საკანონმდებლო რეგულირების სფეროში ექცევა. მაგალითად, აშშ-ში სახელმწიფო თანამდებობის პირზე ზემოქმედების ორი ფორმაა განსაზღვრული: 1. „Inside“ ანუ „პირდაპირი“ ლობირება, რომელიც ხორციელდება ლობისტთა და შესაბამის თანამდებობის პირთა შორის პირდაპირი კონტაქტების დამყარებით; 2. „Outside“ – ანუ „ირიბი“ ლობირება, როდესაც ლობისტი დასახული ამოცანების მიწვევისთვის მასობრივი ინფორმაციის, კავშირგაბმულობის ან სხვა საშუალებების გამოყენებით მიმართავს საზოგადოების წარმომადგენლებს, რათა მათ სასურველი გავლენა მოახდინონ საჯარო თანამდებობის პირებზე [1, 13].

აშშ-ში ლობისტთა შემდეგ ტიპებს განასხვავებენ; კონტრაქტი მომუშავე („დაქირავებულ“) ლობისტებს, რომლებიც მთელი ლობისტთა კორპუსის მეთაურს შეადგენენ და კონკრეტული დარგის ინტერესთა წარმომადგენელ („შიდა“) ლობისტებს. შეიძლება გამოვყოთ აგრეთვე ლობისტი მოხალისეები. მიუხედავად იმისა, თუ ინტერესთა რომელი სფეროს დამცველებად გამოდიან ისინი, ლობისტის პროფესია სულ უფრო მეტად იძენს საპატიო სტატუსს [3, 10-11].

თავიანთი არასახარბიელო წარმომავლობიდან გამომდინარე, ხშირად ლობისტებს წარმოაჩენენ, როგორც ზნეობრივად და მორალურად საეჭვო ადამიანებს, რომლებიც თავიანთი მიზნების მისაღწევად არაფერს ერიდებიან და მზად არიან დამქირავებულთა შეკვეთების შესასრულებლად დაარღვიონ კანონი. ყველაზე უარყოფითი შეფასებებით ლობიზმს „კორუფციის უმაღლეს ფორმას“, „პოლიტიკური კორუფციის მექანიზმს“ უწოდებენ. აღნიშნული მსჯელობა გასული პერიოდის სტერეოტიპთა საფუძველზეა ჩამოყალიბებული, როცა ლობიზმი საიდუმლოებრივი ბურუსით იყო მოცული. თუმცა როგორც აღვნიშნეთ, იგი სულ უფრო გამოდის ჩრდილოვანი კუთხიდან და კანონიერი საქმიანობის სახეს ლეზულობს. ლობისტთა გაურკვეველი სტატუსი იმითაა განპირობებული, რომ აღნიშნული ინსტიტუტისათვის საკანონმდებლო ბაზა ძირითადად ახლა ყალიბდება, რის გამოც მათი საქმიანობის ნორმები ბოლომდე არ არის ფორმირებული. მის გამო ლობიზმის კანონიერ და უკანონო საქმიანობას შორის საზღვარი მყიფეა და ხშირად ხდება მისი დარღვევა, რა დროსაც საქმე გვაქვს კორუფციასთან, მექრთამეობასა თუ სხვა დანაშაულებრივ ქმედებებთან. ამასთანავე ლობისტთა მზარდ როლს, მათ საქმიანობაზე მზარდი კონტროლითა და რეგულირებით პასუხობენ. რამდენადაც ლობიზმი

თავისი არსით ხშირად უკანონო საქმიანობას უკავშირდება, იგი რეალურად საფრთხეს წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციონირებისთვის, თუ მკაცრად განსაზღვრულ საკანონმდებლო რეგულირებას არ დაექვემდებარება. გლობალიზმის ნეგატიური სახე განსაკუთრებით თვალშისაცემია განვითარებად ქვეყნებში, სადაც შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა არ არსებობს და ლობიზმი კორუფციული ელემენტებითაა გაჯერებული. შესაბამისად იგი გამოდის სამთავრობო სტრუქტურებზე ზეწოლის ბერკეტად, ეკონომიკაში გადანყვეტილებათა შემაფერხებლად, სოციალურ ჯგუფებს შორის დისბალანსის გამღრმავებლად. გლობალიზმის დაკანონება წარმოგვიდგება როგორც ცივილიზებული მენარმეობის, ბიზნესისა და სამთავრობო სტრუქტურების ურთიერთობის მნიშვნელოვანი მომენტი.

მიუხედავად ყველაფრისა, ლობიზმის ინსტიტუტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, როგორც ქვეყნებს შიგნით გარკვეულ პოლიტიკური თუ ბიზნეს გარემოს ფორმირებაში, ასევე ქვეყნებს შორის ურთიერთობათა პროცესშიც. პროფესიონალი ლობისტი კი წარმოგვიდგება მაღალკვალიფიციურ, ერუდირებულ, პოლიტიკის, ეკონომიკის, ფსიქოლოგიის და ა.შ. საკითხებში განსწავლულ ადამიანად.

ლობიზმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ეკონომიკური ლობიზმი ანუ ლობისტური საქმიანობა მიმართული ეკონომიკური ინტერესების (მიზნების) მიღწევისკენ. იგი გულისხმობს ეკონომიკური სუბიექტების მიერ სახელმწიფო მმართველობის ორგანოებზე ზეგავლენის მოხდენას გარკვეული უპირატესობის მიღების მიზნით. ცხადია, რომ ეკონომიკური ლობიზმი გავლენას ახდენს საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირებაზე და შესაბამისად,

ეკონომიკური რესურსების განაწილებაზე.

ეკონომიკური ლობიზმის შედეგს წარმოადგენს ცალკეული სფეროებისა თუ ფირმებისთვის ისეთი პრივილეგიების მიღება, როგორცაა: კონკურენტული უპირატესობა, რესურსებისადმი ხელმისაწვდომობის და შემოსავლების ზრდა, სახელმწიფო სახსრების მათ სასარგებლოდ გადანაწილება, ლიცენზიებისა და კვოტებისადმი ხელმისაწვდომობა, გადასახადებისგან სრული გათავისუფლება ან გარკვეული შეღავათები და ა.შ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლობიზმის ინსტიტუტი არაერთგვაროვან ზეგავლენას ახდენს საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირებაზე. რიგ შემთხვევაში იგი ზრდის რესურსების განაწილების ეფექტიანობას (მაგალითად, გადასახადებისგან გათავისუფლების მიღწევისას), აგვარებს გარე ეფექტებთან, არასრულყოფილ ინფორმაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს და ხელს უწყობს საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირებას. რიგ შემთხვევაში კი აფერხებს ამ მექანიზმის ფუნქციონირებას და კონკურენციის შეზღუდვისა და რესურსების დამახინჯებული განაწილების ეფექტი აქვს.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. კიკნაძე გ., რობაქიძე გ., ჩიქოვანი ი., ხიდაშელი ვ. ლობიზმის სამართლებრივი რეგულირება საერთაშორისო პრაქტიკაში. თბილისი, 1998. კორუფციის კვლევის ცენტრი.
2. ციმინტია კ. ლობიზმი და კორუფცია ბიზნესისა და სახელმწიფოს სისტემაში. ჟურ. „მაკრო მიკრო ეკონომიკა“. ივლისი-აგვისტო, 1999. გვ. 12-13.
3. Государственная служба и группа интересов. Взгляд из-за границы. Четвертое издание. Москва, 1995.

კოვიდპანდემიის პირობებში გასატარებელი ღონისძიებათა შესახებ

ლამარა ბერიძე
სტუ-ს პროფესორი

ON MEASURES TO BE IN THE COVID PANDEMIC CONDITIONS

Lamara Beridze
Professor of GTU

ABSTRACT

The experience of Georgia and European countries have proved the urgency of development and implementations of complex preventive measures in the event of COVID pandemic. The government forms the joint crisis management team with the Ministry of Internal Affairs and the Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs. For example, in Germany the federal strategy of fighting against corona virus is built upon the risk analysis, informing public on a regular basis. While in Georgia the Interagency Coordination Council is formed that coordinates the preventive measures taken by central authorities and local self-governments. The Anti-Crisis Economic Plan has been launched.

The process of moving on the distant operation of the state services is underway. Mechanisms for performing overtime work and using the paid leave periods are defined. It is necessary to solve the issues related to reimbursement of additional medical services. The adequate financial environment shall be developed in order to ensure funding of public healthcare.

During the COVID Pandemic, virtually all services are provided to the population. Effective measures have been taken in European countries in terms of administrative support for citizens and businesses. Namely, such as: suspension of income tax payment for 3 months; some of the obligations regarding provision of additional VAT-related information is suspended for two months; In the field of international trade, loans with deferred interest are issued; there is a targeted employment support program; In the field of agriculture, government measures have been taken to minimize the impact of the COVID pandemic on plants and livestock.

There are risk management strategies and “pandemic plans” including the regional levels. A program for adapting to and managing the virus is being implemented in Georgia.

Key words: COVID pandemic; Prevention; Virtual meetings; distant (on-line) meetings; Anti-crisis management; Adaptation.

საკვანძო სიტყვები: კოვიდპანდემია; პრევენცია; ვირტუალური შეხვედრები; დისტანციური სხდომები; ანტიკრიზისული მართვა; ადაპტაცია.

ძირითადი ტექსტი

საქართველოსა და ევროპის ქვეყნების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ კოვიდპანდემიის პირობებში აუცილებელია პრევენციული ხასიათის კომპლექსური ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება. ამასთან, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქმიანობის კოორდინირება ცენტრალურ (ფედერალურ), რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე.

პირველ რიგში, ცენტრალურმა მთავრობამ უნდა უზრუნველყოს პოლიტიკისა და გადაწყვეტილებების მიღების კოორდინაცია ვირტუალური შეხვედრების, ონლაინ (დისტანციური) სხდომების და სხვ. მეშვეობით. მეორე, მნიშვნელოვანი, თუ როგორ ახორციელებს მთავრობა ანტიკრიზისულ მმართველობას შემუშავებული სტრატეგიის მიხედვით.

გლობალურ ინფექციასთან ბრძოლის ეფექტიანად წარმართვის მიზნით მთავრობის გადაწყვეტილებით იქმნება შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროს, აგრეთვე, დანტერესებული უწყებების ერთობლივი კრიზისული ჯგუფი. სწარმოებს ინფორმაციის გაცვლა, გადაწყვეტილების მიღება და ქმედებების შეთანხმება. საგულისხმოა, რომ ევროპის რიგ ქვეყნებში ანტიკრიზისული მართვის მნიშვნელოვან მექანიზმად მიჩნეულ იქნა სპეციალური ჯგუფების ფორმირება რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით.

ასე, მაგალითად, გერმანიაში კომონავირუსთან ბრძოლის ფედერალური სტრატეგია [1] ეფუძნება პანდემიის რისკების ანალიზს. იგი შემუშავებულ იქნა 2012 წლიდან მოყოლებული ანალიტიკური კვლევების შედეგად, სტიქიური უბედურებებისაგან მოქალაქეთა თავდაცვის შესახებ ფედერალური კანონის მოთხოვნების შესაბამისად. ცენტრალური ხელისუფლების მიერ მოქალაქეებს განემარტათ პანდემიის წინააღმდეგ მიღებული ზომებისა და მათი დაცვის შესახებ. ამასთან, მოსახლეობის ინფორმირება ხდება სისტემატიურად მთავრობის, ჯანდაცვის სამინისტროსა და სხვა პასუხისმგებელი სამინისტროებისა და უწყებების მეშვეობით. აღსანიშნავია რობერტ კოხის სახელმწიფო ცენტრალური კვლევითი ინსტიტუტი ბიომედიცინის დარგში. იგი ფლობს სიტუაციას, აფასებს რისკებს და იძლევა რეკომენდაციებს ჯანდაცვის ორგანიზაციებისა და მუშაკებისათვის.

საქართველოში შექმნილია უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომელიც კოორდინაციას უწევს ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმ-

რთველობების მიერ პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული სპეციალური დადგენილების [2] საფუძველზე. ამოქმედდა ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა [3] მოსახლეობის ფინანსური დახმარების, ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების ძირითადი სფეროების მიხედვით.

საქართველოში ხორციელდება ვირუსთან ადაპტაციისა და მისი მართვის პროგრამა [4].

მთავრობების მიერ წესებისა და სამუშაო პროცედურების მიღება სწარმოებს ჩვეულებრივ რეჟიმში. სამედიცინო განათლების ფედერალური ცენტრი უზრუნველყოფს მოსახლეობის ინფორმირებას კორონავირუსის გავრცელების მასშტაბისა და პრევენციის შესახებ, იმ განსხვავებით, რომ გააქტიურებულია საგანგებო სიტუაციებში მოქმედი რეჟიმები.

მიმდინარეობს სახელმწიფო სამსახურების დისტანციურად მუშაობაზე გადაწყობის პროცესი. მოხელეებს შეუძლიათ იმუშაონ ოფისში, თუმცა მათ ეძლევათ რეკომენდაცია იმუშაონ სახლიდან გაუსვლელად. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ჯერ კიდევ ყველა სამინისტრო და ადმინისტრაციული დაწესებულება საქმიანობაში არ მიმართავს დისტანცირებას. ცალკეულ შემთხვევებში ამან წარმოშვა პანდემიასთან სწრაფად ადაპტირების აუცილებლობა. საქმე გვაქვს სამი ტიპის მდგომარეობასთან:

1. ოფისში იმყოფებიან, ძირითადად ხელმძღვანელობა და მუშაკები აუცილებელი მომსახურებიდან, როგორცაა ინფორმაციული ტექნოლოგიები (IT), ფოსტა;

2. მუშაობა დისტანციურად, როდესაც თანამშრომელს აქვს წვდომა კომპიუტერსა და შიდა ქსელთან;

3. მუშაობა სახლში, როდესაც არ გაგვაჩნია წვდომა კომპიუტერსა და შიდა ქსელთან, მაგრამ შესაძლებელია კავშირი ტელეფონითა და პირადი ფოსტით. ამასთან, ვიმყოფებით ყოველდღიურად შემომხმების ქვეშ ხელმძღვანელობის მხრიდან.

ზოგიერთ დაწესებულებაში ორგანიზებულია სამსახურში გამოცხადება კვირაში ერთხელ. შესაძლებელია მოქნილი სამუშაო დღის შემოღება (არასრული სამუშაო დღე, სამუშაო დროის განაწილება 7 დღეზე და სხვ.). ევროპის ქვეყნებში მაღალი ხვედრითი წონა უჭირავს არასრული სამუშაო დღით დასაქმებულებს (განსაკუთრებით ქალები).

ჯერ-ჯერობით სამართლებრივად არ არის მონესრიგებული პანდემიის პირობებში ზენორმატიულ სამუშაოთა შესრულების მექანიზმი. არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ თანამშრომლებმა სამუშაო შეასრულონ დასვენების დღეებში.

აღსანიშნავია, რომ ყველა სახელმწიფო მოსამსახურე იღებს სრულ ხელფასს, მათ შორის ისინიც, რომლებსაც დისტანციურად მუშაობა არ შეუძლიათ.

კვლავ ღიად რჩება საკითხი კუთვნილი შვებუ-

ლებით სარგებლობის შესახებ. არ ჩანს განსაკუთრებული ღონისძიებები ამ მიმართულებით.

გადაუდებლად აუცილებელია გადაწყდეს დამატებითი სამედიცინო მომსახურების ანაზღაურების პრობლემა. ამჟამად, ძირითადად უპირატესობა ენიჭება შეთანხმებებს, რადგან, როგორც აღინიშნა, ზეგანაკვეთური შრომა არ ანაზღაურდება. ზოგიერთ შემთხვევებში, იგი შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას გრძელვადიანი სამუშაო დროის ანგარიშში და მუშაკს აუნაზღაურდეს დამატებითი დღეების სახით. უნდა ჩამოყალიბდეს ადეკვატური ფინანსური გარემო ჯანდაცვის დაფინანსების უზრუნველსაყოფად.

პანდემიის პირობებში ადგილი აქვს ერთგვარ თავშეკავებას დამსაქმებელთა მხრიდან სამუშაო ადგილებისა და ხელფასის შემცირების და კარიერული წინსვლის შეჩერების მხრივ. თუმცა, ცალკეულ სექტორებში (მაგ., საზოგადოებრივი ტრანსპორტი) სატარიფო კონტრაქტების მოქმედება შეჩერებულია გადასინჯვის მიზნით.

პარლამენტსა და სამართალდამცავ ორგანოებს მუშაობა უნევთ ეგრეთნოდებულ „დაჩქარებულ საკანონმდებლო პროცედურულ“ რეჟიმში. ეს წარმოშობს საჯარო დებატებს თანაბარზომიერი კავშირის დამყარების შესახებ ადამიანის უფლებებსა და მთავრობის რადიკალურ ღონისძიებებს შორის. რამდენად არის დაცული დამცავი ღონისძიებების მართვის პრინციპები: კანონიერება, თანაბარზომადობა, პროგნოზირებადობა. კოვიდპანდემიის თანმხლები კრიზისი გამოყენებული არ უნდა იქნას დემოკრატიისა და კონსტიტუციური უფლებების წინააღმდეგ. ადამიანის უფლებებს შემზღუდავი ნებისმიერი ღონისძიება უნდა იყოს გამართლებული, შეზღუდული და არაშეუქცევადი.

კოვიდპანდემიის პერიოდში მოსახლეობას მიეწოდება პრაქტიკულად ყველა სახის მომსახურება, მაგრამ შეზღუდული ფორმით და ადამიანებს შორის კონტაქტების გარეშე. წერილობითი პროცედურები სრულდება ფოსტის მეშვეობით ან ონლაინ. კონსულტაციები მიეწოდებათ მხოლოდ ტელეფონით. ევროპის ქვეყნებში მიღებულია ქმედითი ზომები მოქალაქეთა და ბიზნესის ადმინისტრაციული მხარდაჭერის კუთხით. ღონისძიებები საგადასახადო სფეროში არის შემდეგი:

- ფიზიკურ პირთა საგადასახადო დეკლარაციების საფუძველზე განხორციელებული საშემოსავლო გადასახადის გადახდის გადავადება 3 თვით (საყურადღებოა, რომ გადასახადის უდიდესი ნაწილი ექვითებათ თანამშრომლებს, რაც მოცემულ შეღავათში არ შეიტანება). საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ყველა სანქცია შემცირებულია 3 თვის განმავლობაში;

- საშემოსავლო გადასახადის გადავადება შეუზღუდავად, გადამხდელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებისა და საგადასახადო ორგანოს თანხმობის საფუძველზე;

- თვითდასაქმებულ პირებთან მიმართებით, დამატებული ღირებულების გადასახადთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციის წარდგენის ზოგიერთი ვალდებულება შეჩერებულია ორი თვით და მეტი ვადით, თუ იგი გამონკვეულია უშუალოდ კოვიდ-19-ის მიერ.

არაფისკალურ დარგობრივ და რეგიონულ ლონისძიებებს შორის გამოყოფით:

- საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში ფედერალური მთავრობა (გერმანია) 2020 წლის აპრილის თვიდან გასცემს სესხებს გადავადებული პროცენტით იმ კომპანიებზე, რომლებმაც კორონავირუსის გამო დაკარგეს კონტრაქტები ჩინეთთან და იტალიასთან;

- შრომის ბაზრის სფეროში მოქმედებს შრომითი მოწყობის მხარდაჭერის მიზნობრივი პროგრამა სახელწოდებით „ანტივირუსი“. პროგრამის მიზანია განხორციელდეს დამსაქმებელთა სახელფასო დანახარჯების კომპენსირება, რაც გამონკვეული იქნა კოვიდ-19-ის გავრცელებით წარმოშობილი კარანტინითა და სხვა შეფერხებებით;

- სოფლის მეურნეობის სფეროში მიღებულია სამთავრობო ზომები მემცენარეობასა და მეცხოველეობაში კოვიდპანდემიის ზემოქმედების მინიმიზირების მიზნით.

მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ საბიუჯეტო მომხმარებელს, ან თუნდაც სამინისტროს გააჩნდეს რისკების მართვის სტრატეგია, რომელშიც გათვალისწინებული იქნება საგანგებო ზომები უცარი კრიზისის პირობებში.

არსებობს რისკების მართვის ზოგადი სტრატეგიები, მაგრამ მოცემულ სიტუაციაში, კრიზისის დაწყებამდე, სამინისტროებმა შეიმუშავეს „პანდემიური გეგმები“. ისინი წამოადგენდნენ ერთგვარ მოსამზადებელ ლონისძიებათა გეგმას. გეგმის მიზანს შეადგენს აუცილებელი ინფორმაციისა და სახელმძღვანელო პრინციპების მომზადება სამინისტროების თანამშრომელთათვის. რეგიონული ადმინისტრაციები შეიმუშავებენ პანდემიასთან ბრძოლის თავიანთ გეგმებს.

გეგმები მოიცავენ შემდეგ მოსამზადებელ ლონისძიებებს:

ნისძიებებს:

- სიტუაციის დასარეგულირებლად მიზნობრივი ჯგუფის შექმნა სახელმწიფო მდივნის, შესაბამისი დეპარტამენტების ხელმძღვანელთა და გარე მრჩეველი სამედიცინო მუშაკის შემადგენლობით;

- „ძირითადი ფუნქციების“ განსაზღვრა;

- აუცილებელი პერსონალის დადგენა ძირითადი ფუნქციების შესასრულებლად;

- პერსონალის სასწრაფოდ გამოძახების გეგმის შედგენა;

- საკომუნიკაციო გეგმების დადგენა;

- სამედიცინო ინფორმაციის წარმოდგენა;

- გადანყვეტილების მიღება მუშაობის ადგილისა და დროის შესახებ.

გეგმებში გათვალისწინებულ იქნა პანდემიის გამოცხადების შემთხვევაში განსახორციელებელი შემდეგი ლონისძიებები:

- ოპერატიული ჯგუფის აქტივაცია;

- პერსონალის რაოდენობის თანაზომიერად, საქმიანობის შეკვეცა ძირითად ფუნქციებამდე;

- ყველა ლონისძიებისა და შეკრების გაუქმება;

- სამინისტროების (უნყებების) შენობებში ყოფნის მინიმუმამდე შეზღუდვა;

- პერსონალის საქმიანობა მხოლოდ IT - ქსელის მეშვეობით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Mapping the EU member states' public administration responses to the COVID-19 pandemic (for EU Enlargement and Neighbourhood countries). 2859_01_4. CoVID19_GERMANY_Final.

2. „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ლონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილება.

3. ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა. <https://stopcov.ge/ka/Gegma>.

4. ვირუსთან ადაპტაცია და მისი მართვა. https://StopCoV.ge/ka/Martva_

ტრანსპორტის გამოწვევები COVID-19 პირობებში

თამარ რუხაძე

სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

თამარ ქამხაძე

სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

TRANSPORT CHALLENGES IN COVID-19 CONDITIONS

Tamar Rukhadze

Associate Professor of GTU;

Tamar KhamKhadze

Associate Professor of GTU

RESUME

It is established in economic science that transport connects industrial enterprises and sources of raw materials, economy, production, market of cities in different regions of the country. Transport is the basis of the world economy and market, international economic development, a necessary condition for their development. Along with industrial and economic functions, transport plays a major role in the political, military, socio-cultural spheres, in everyday life. The restrictions imposed by Covid-19 have had a profound impact on people's lives and energy consumption in the world economy. Infrastructure investments can be crucial to building trust in public and active transport. Assisting public transport agencies in providing infrastructure and services after the blockade will be particularly important in this crisis, as several of them will experience significant revenue losses during the blockade.

Keywords: Transport, Covid-19, Crisis, Infrastructure, Economy.

* * * *

XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე და უფრო შორეულ პერსპექტივაშიც საქართველოს ტრანსპორტისა და ქვეყნის მთელი სატრანსპორტო კომპლექსის განვითარების ბედი მჭიდროდ უკავშირდება დიდი აბრაშუმის გზის აღორძინების პერსპექტივას, TRACECA როგორც ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის განვითარების მომავალს, მისი ფუნქციონირების ამოცანებს და დანიშნულებას. სწორედ ესაა მთავარი მიზეზი იმისათვის რომ მთელი სატრანსპორტო სისტემის ფუნქციონირების საკითხების გამოკვლევა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს გარდამავალ პერიოდში, კერძოდ ეკონომიკური რეფორმების, ეკონომიკის ცალკეული დარგების, მათ შორის ტრანსპორტის რესტრუქტურისაციის, ქვეყნის პოლიტიკური სუვერენიტეტისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის დამკვიდრების

სტადიაზე. საქართველოს ტრანსპორტის განვითარების საკითხების შესწავლა გაანალიზება, როგორც წარსულში, ისე თანამედროვე მდგომარეობით და პერსპექტივაში, უშუალოდ უკავშირდება კავკასიის სატრანსპორტო დერეფნის მშენებლობისა და ეფექტიანი ფუნქციონირების პრობლემებს, რაც მას განსაკუთრებულ აქტუალობას ანიჭებს.

ეკონომიკურ მეცნიერებაში დადგენილია, რომ ტრანსპორტი ერთიმეორესთან აკავშირებს სამრეწველო სანარმოებს და ნედლეულის წყაროებს, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონების ქალაქების ეკონომიკას, წარმოებას, ბაზარს. ტრანსპორტი წარმოადგენს მსოფლიო მეურნეობის და ბაზრის, საერთაშორისო ეკონომიკური განვითარების საფუძველს, მათი განვითარების აუცილებელ პირობას. სანარმოო-ეკონომიკურ ფუნქციებთან ერთად ტრანსპორტი უდიდეს როლს ასრულებს პოლიტიკურ, სამხედრო, სოციალურ-კულტურულ სფეროში, ყოფაცხოვრებაში. თანამედროვე განვითარებული სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრება, ხალხთმოსახლეობა, დემოგრაფიული დინამიზმი ინტენსიური სატრანსპორტო კავშირების შედეგია. ამრიგად, ტრანსპორტი ასრულებს როგორც სანარმოო, ისე არასანარმოო, მაგრამ სანარმოო სფეროსთვის აუცილებელ ფუნქციებს - გადააქვს ტვირთები და გადაჰყავს მგზავრები. ამის შესაბამისად ტრანსპორტის თითქმის ყველა დარგი იყოფა სამგზავრო და სატვირთო ტრანსპორტის სახეობებად. ამ მხრივ გამონაკლისია, მაგალითად, მილსადენებით თხევადი მასალების გადატანა და პნევმოტრანსპორტი.⁴

მიუხედავად ტრანსპორტის ადგილის და როლის აქტუალობისა, სამწუხაროდ გამოვკვეთავთ დღევანდელ რეალობას, კერძოდ Covid-19-ს. რომლის პირობებში დაწესებულმა შეზღუდვებმა ფართო გავლენა მოახდინა ხალხის ცხოვრებაზე და ენერჯის გამოყენების სიდიდეებზე მთელი მსოფლიოს ეკონომიკაში და სრულიად შეცვალა სიტუაცია როგორც ზოგადად, ისე ჩვენს მიერ ნახსენებ დარგში. ერთ-ერთი ყველაზე დიდი გავლენა იქონია სამგზავრო ტრანსპორტის მოთხოვნის შემცირებაზე, რაც გამოწვეულია სამთავრობო აკრძალვებით, რომელიც მიმართულია ვირუსის გავრცელების წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ სატვირთო ტრანსპორტის მოცულობაც შემცირდა, ამჟამინდელი კრიზისის დროს სატვირთო საქმიანობა მამოძრავებელია ძალაა, რაც განაპირობებულია როგორც მიწოდების, ისე მოთხოვნის მხარეს და ამ უკანასკნელთა

მიერ აუცილებელი სერვისების მუშაობის უზრუნველყოფის აუცილებლობაზე. ამის საპირისპიროდ, სამგზავრო ტრანსპორტი, (როგორც დასასვენებლად, ასევე საქმიანი მოგზაურობისთვის) ხშირად არჩევითია და ხალხის გადანაცვეტილების მიღების პროცესზე მეტ გავლენას ახდენს ვირუსის გავრცელების შიში.

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ სამგზავრო ტრანსპორტზე, კრიზისი შეეხო ტრანსპორტის ყვე-

ნერგეტიკის სექტორში ამ ტენდენციამ დიდი გავლენა იქონია ნავთობის მოხმარებაზე, რამაც გამოიწვია მოთხოვნის 5% -იანი შემცირება 2020 წლის პირველ კვარტალში. სამგზავრო ტრანსპორტი ნავთობზე მოთხოვნის თითქმის 40 პროცენტს უზრუნველყოფს.

პანდემიის გავლენას უნდა მიენეროს ნავთობის ფასის ვარდნა, რომელიც ასე გამოიყურება (იხ. გრაფიკი)¹.

BRENT BRENT \$41,31 (+2,58%)

1D 1H 1M 3M 1Г ВСЕ ВРЕМЯ



ლა ფორმას, დაწყებული კერძო და საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ავტობუსებით, მატარებლებით და თვითმფრინავებით, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. გლობალური საავტომობილო ტრანსპორტის აქტივობა თითქმის 50% -ით ჩამოუვარდებოდა 2019 წლის საშუალო მაჩვენებელს, 2020 წლის მარტის ბოლოსთვის. კომერციული ფრენის აქტივობა თითქმის 75% -ით დაბალია 2019 წლის აპრილის მონაცემებზე. საზოგადოებრივი ტრანსპორტი ასევე განიცდის კრიზისს. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში 2020 წლის მარტში დაწესებულმა მკაცრმა ჩაკეტვამ გამოიწვია ლონდონში მინისქვეშა მგზავრობის 95% -ით შემცირება. მოგზაურობები 90% -ზე მეტით შემცირდა მას შემდეგ, რაც კრიზისი დაიწყო მსოფლიოს მრავალ დიდ ქალაქში.

2020 წ-ის ივნისისათვის ბარელი ნავთობის ფასი ლონდონის ბირჟაზე შემცირდა 65 \$-დან 38 \$-მდე.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში მრავალი სხვადასხვა ხასიათის კრიზისის პირობებში ადამიანები იცვლიდნენ დამოკიდებულებას სამგზავრო ტრანსპორტის მიმართ. მაგალითად 2011 წლის 11 სექტემბრის შემდგომ ადამიანებს დიდი დრო დასჭირდათ, რომ დაებრუნებინათ უსაფრთხოების შეგრძნება და ნდობა საჰაერო ტრანსპორტის მიმართ. დღევანდელმა პანდემიამ და დაწესებულმა შეზღუდვებმა ადამიანების დამოკიდებულება კიდევ ერთხელ შეცვალა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიმართ. სხვადასხვა ქვეყნებში გამომდინარე ტრადიციებიდან და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლო-

¹ იხილეთ საიტი: <https://quote.rbc.ru/ticker/181206>. გადამოწმებულია 16.09.2020.

საქართველოში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების რაოდენობა რეგიონული დანაყოფების მიხედვით (2020 წლის II კვარტალი)			
რეგიონი	საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების რაოდენობა (სსკ-ის 276-ე მუხლის მიხედვით)	დაიღუპა	დაზარდა
თბილისი	501	13	584
აჭარა	102	6	131
სამეგრელო-ზემო სვანეთი	51	6	74
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	134	14	190
შიდა ქართლი	50	3	85
ქვემო ქართლი	67	8	111
კახეთი	53	8	85
სამცხე-ჯავახეთი	27	7	30
მცხეთა	26	2	46
გურია	23	2	36
სულ	1034	69	1372

ბის გრძნობიდან დაიწყეს ეკოლოგიურად სუფთა ალტერნატიული გზების მოძიება. ზოგიერთმა დამკვირვებელმა მიუთითა დადებით მხარეებზე, რაც ტრანსპორტის აქტივობის უპრეცედენტო ვარდნას უკავშირდება. ბევრ რეგიონში საგრძნობლად დაეცა ჰაერის დაბინძურება. ITF- ს პროგნოზების თანახმად, ტრანსპორტიდან სათბურის გაზების ემისიები, სავარაუდოდ, 2020 წელს 20% -ით დაბალია, ვიდრე ჩვეულებრივ პირობებში.

საქართველოში ავტოსაგზაო შემთხვევები შემცირებულია, მაგრამ მაინც რჩება მაღალი. შსს-ს მონაცემებით 2020 წლის II კვარტალი ასე გამოიყურებოდა (იხ. ცხრილი)².

საგზაო მოძრაობის შედეგად დაღუპულთა რიცხვი, სავარაუდოდ, დაეცემა გზებზე ნაკლები მანქანების გამო. მიუხედავად ამ დროებითი დადებითი ეფექტისა არსებობს შესაძლებლობა, რომ პანდემიის დასრულების შემდგომ ეკონომიკის სტიმულირების პროცესში ეს დადებითი ეფექტი გაქრება და გაიზრდება ჰაერის დაბინძურების მასშტაბები მთელს მსოფლიოში. მთავრობებს აქვთ არჩევანი, განსაზღვრონ პოლიტიკა ისეთი გზით, რაც ხელს შეუწყობს ტრანსპორტის ტრანსფორმაციას უფრო მდგრადი, უფრო ხელმისაწვდომი და უფრო ინკლუზიური მობილურობისკენ, რომელიც ასევე უფრო მდგრადია. მაგალითად, ინგლისში გაიზარდა ველოსიპედის, როგორც გადაადგილების ერთ ერთი საშუალების მოხმარება. მაგრამ იმ ქალაქებში სადაც ადამიანების საცხოვრებელი დიდი მანძილით არის დაშორებული სამუშაო ადგილს, რა თქმა უნდა ველოსიპედი ვერ იქნება გამოსავალი.

2 შსს-ს მონაცემები. საიტი: <https://info.police.ge/uploads/5f22da74673c1.pdf>. გადამონმებულია 16.09.2020.

რაც შეეხება ჩვენს ქალაქებში ველოსიპედის, როგორც გადაადგილების საშუალების ქსელის უზრუნველყოფა, საკმაოდ შორეული და უპერსპექტივო ჩანს.

სხვადასხვა მკვლევარები გამოთქვამენ ვარაუდს რომ კოვიდ 19-ის პანდემიის დასრულების შემდგომ გვექნება ახალი რეალობა და ტრანსპორტი იგივე დატვირთვას ვერ დაიბრუნებს, თუმცა ჩვენი სუბიექტური მოსაზრებით, პანდემიის დასრულების შემდგომ ნათლად გამოჩნდება დღევანდელი კრიზისის შედეგები ტრანსპორტოსექტორში და ამსექტორის განვითარების და მასში ინვესტირების საჭიროება.

ფაქტია ინფრასტრუქტურის ინვესტიციებს შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს საზოგადოებრივი და აქტიური ტრანსპორტისადმი ნდობის გასამყარებლად. ჩვენი აზრით მიგვაჩნია, დაბლოკვის შემდეგ საზოგადოებრივი ტრანსპორტის სააგენტოების დახმარება ინფრასტრუქტურისა და მომსახურების უზრუნველსაყოფად განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება ამ კრიზისში, რადგან დაბლოკვის პერიოდში რამდენიმე მათგანი განიცდის შემოსავლის მნიშვნელოვან დანაკარგს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <https://ge.boell.org/ka/covid-19-pandemic>
2. <https://www.iea.org/articles/changes-in-transport-behaviour-during-the-covid-19-crisis>
3. <https://www.itf-oecd.org/transport-face-pandemic>
4. <http://construction.gtu.ge/wp-content/uploads/2017>

საპენსიო რეფორმა საქართველოში

ნატო გეგენავა

სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

თამარ აბუაშვილი

სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

სოციალური პენსიის როლი საპენსიო ასაკში მყოფი მოსახლეობისთვის სიღარიბესთან ბრძოლის კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია. პენსიების ეტაპობრივი ზრდა უფრო მეტად შეუწყობს ხელს სიღარიბის მაჩვენებლის შემცირებას. პენსიაზე გასვლის შემდეგ მოქალაქეებს გაუჩნდება დამატებითი შემოსავალი, თუმცა, იგი ვერ უზრუნველყოფს ცხოვრების მაღალი სტანდარტის პირობებს.

საკვანძო სიტყვები: საპენსიო რეფორმა, შემოსავალი, სიღარიბე, პენსია, ხელფასი, საპენსიო სისტემა.

PENSION REFORM IN GEORGIA

Nato Gegenava

Associate Professor, GTU

Tamar Abuashvili

Associate Professor, GTU

RESUME

The role of the social pension is very important for the population of retirement age in terms of fighting poverty. The gradual increase of pensions will further contribute to the reduction of the poverty rate. Citizens will receive additional income after retirement, however, it will not provide a high standard of living.

Keywords: Pension Reform, Income, Poverty, Pension, Salary, Pension System.

* * * *

ახალი საპენსიო სისტემის შემოღება დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში განხორციელებული ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური რეფორმაა. ის მოქალაქეთაგან სახელმწიფოს მიმართ თვისებრივად ახალი ტიპის – გრძელვადიან ნდობას მოითხოვს. სისტემა საკმაოდ გრძელვადიან პერიოდს, არაერთ შემთხვევაში 40 წელს და მეტს ეხება. რეფორმის მთავარი პრობლემა სახელმწიფოს მიმართ გრძელვადიან პერიოდში ნდობის ნაკლებობაა. მოსახლეობას ახსოვს გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების ფინანსური კრიზისი და ჰიპერინფლაცია, რომელმაც საქართველოს ეკონომიკა უფსკრულის პირას მიიყვანა. შესაბამისად, დღეს საქართველოში არაა სათანადოდ განჭვრეტადი გარემო ისეთი გრძელვადიანი ინვესტიციისთვის, როგორცაც საპენსიო რეფორმა ითვალისწინებს.

შესაბამისად, განჭვრეტადი გარემოს არარსებობის პირობებში მოსახლეობის მიერ ფონდში გადარიცხული თანხა არის ხარჯი. ეს არის თანხა, რაც მოსახლეობის მიერ განკარგულ შემოსავლებს აკლდება. საქართველოში სოციალური ფონდი საკმაოდ მძიმეა (მსოფლიო ბანკის შეფასებით, მოსახლეობის 69% ან უკიდურესად, ან საშუალოდ ღარიბია) ეს კი ნიშნავს, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის, რომელსაც მცირე შემოსავალი აქვს, 4%-ის გადახდის დავალდებულება სოციალურ მდგომარეობაზე კიდევ უფრო მძიმედ აისახება.

ამავდროულად, იზრდება საგადასახადო ტვირთი დამსაქმებლებზეც, რაც მათ მიერ განკარგულ სახსრებს პირველივე წელს 2-4%-ით შეამცირებს. გადასახადის ზრდამ კი შესაძლოა, მათ მიერ ახალი სამუშაო ადგილების შექმნის პროცესი შეანელოს, რაც, თავის მხრივ, ისევ სიღარიბის აღმოფხვრის შენელებულ ტემპში აისახება.

იმის მიუხედავად, რომ, მთავრობის წარმომადგენელთა მტკიცებით, საპენსიო შენატანი გადასახადი არაა, საერთაშორისო პრაქტიკა განსხვავებული შედეგებს გვიჩვენებს.

OECD-ის პრაქტიკის მიხედვით, თუ სოციალური უზრუნველყოფის ფონდში განხორციელებული შენატანი სავალდებულოა, მაშინ ის განიხილება გადასახადად. მაგალითად, დანიამი ჯანმრთელობის დაზღვევის გადასახადი შემოსავლის გარკვეულ ოდენობამდე სავალდებულოა, ხოლო გარკვეული ოდენობის შემდგომ – ნებაყოფლობითი. ის გადასახდელი, რაც სავალდებულო წესით გადაიხდება, განიხილება გადასახადად, განსხვავებით ნებაყოფლობითი გადასახდელისაგან. დიდი ბრიტანეთის საპენსიო შენატანი სახელმწიფოს საპენსიო სქემის მიხედვით, მისი სავალდებულო ხასიათიდან გამომდინარე, განიხილება გადასახადად, ხოლო კერძო სქემის მიხედვით, რომელიც ნებაყოფლობითია, არ კვალიფიცირდება გადასახადად.

საქართველოში დამსაქმებლები იძულებული არიან, გადაიხადონ საპენსიო შენატანები, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ადმინისტრაციული წესით, სანქციის სახით ჯარიმას გადაიხდიან.

დამსაქმებლებისა და მოქალაქეების მიერ განკარგული შემოსავლების შემცირებასთან ერთად, საპენსიო სისტემას კიდევ ერთი – მორალური პრობლემაც ახლავს. სახელმწიფო მოქალაქეებს ართმევს არჩევანის უფლებას, საკუთარი გადანაცვლებით განკარგონ საკუთარი ფინანსები. სახელმწიფოს მხრიდან მსგავსი მიდგომა საუფიქვლეს აცლის

ეთიკური ავტონომიის პრინციპს, ვინაიდან სახელმწიფო ადამიანების ნაცვლად წყვეტს, რა არის მათთვის უკეთესი. სახელმწიფო გვინყვეტს, რომ ჩვენთვის უკეთესია დანაზოგის შექმნა და, ამასთანავე, იძულებით გვრთავს დანაზოგის შექმნის მისივე შემუშავებულ კონკრეტულ მოდელში.

აღნიშნული საპენსიო რეფორმის საჭიროება გომოდინარეობს შემდგომი გარემოებებიდან:

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა საქართველოს დემოგრაფიული შემადგენლობა. შობადობის შემცირებისა და მიგრაციის ფონზე მნიშვნელოვნად შემცირდა შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა. ამავდროულად, გაიზარდა პენსიონერთა რიცხვი და მოიმატა საპენსიო ასაკის ხანგრძლივობამ, რაც იმას ნიშნავს, რომ შემცირებადმა სამუშაო ასაკის მოსახლეობამ, რომელიც სულ უფრო მცირდება, უნდა იტვირთოს მზარდი პენსიონერთა სოციალური უზრუნველყოფა. პროგნოზის მიხედვით, მოცემული ტენდენცია მომდევნო ათწლეულების განმავლობაშიც გაგრძელდება, რაც კიდევ უფრო გააუარესებს არსებულ მდგომარეობას.¹

არსებული სოციალური საპენსიო სქემა წარმოადგენს სიღარიბესთან ბრძოლის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, თუმცა ამ მიზნის მისაღწევად გასათვალისწინებელია ქვეყანაში მიმდინარე ინფლაცია. დღეისათვის საქართველოში მოქმედი სოციალური საპენსიო სისტემა ხელმისაწვდომია ყველა მოქალაქისთვის, სამუშაო სტაჟისა და შენატანების ისტორიის მიუხედავად. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს პენსიონერთა დიდი

ნაწილის სიღარიბისგან დაცვას, რადგან -160 ლარის ოდენობის სოციალური პენსია მიახლოებულია საარსებო მინიმუმთან. საჭიროა პენსიის ინდექსაციის მექანიზმის შემუშავება, რათა მოხდეს პენსიონერთა მსყიდველუნარიანობის შენარჩუნება და რიგ შემთხვევებში, ეტაპობრივი ზრდა.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საპენსიო ხარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2006 წელს ასაკით პენსიონერთა ხარჯი შეადგენდა 268 მილიონ ლარს, ანუ მთლიანი შიდა პროდუქტის 1.95%, ხოლო 2015 წელს აღნიშნულმა ხარჯმა 1.3 მილიარდ ლარს მიაღწია, რაც მშპ-ს 4.25%-ის ტოლფასია. პროგნოზის მიხედვით, საპენსიო ხარჯების ზრდის ტენდენცია საქართველოს საპენსიო რეფორმა 4 გაგრძელდება, რადგან იზრდება პენსიონერთა რაოდენობა, რაც, შესაბამისად, დაანება სახელმწიფო ბიუჯეტს და საპენსიო ხარჯებმა შესაძლოა მშპ-ს 10%-იან ზღვარს მიაღწიოს 2060 წლისთვის.²

იმისათვის, რომ სამუშაო ასაკში მყოფმა მოსახლეობამ მიიღოს ადეკვატური საპენსიო შემოსავალი,

რომელიც პირდაპირპროპორციული იქნება მოქალაქის მიერ გამომუშავებული ხელფასისა, საჭიროა დამატებითი დანაზოგების მექანიზმების შემუშავება. კერძო საპენსიო დანაზოგების სისტემის დანერგვა აუცილებელია გრძელვადიან პერსპექტივაში უფრო მაღალი ჩანაცვლების კოეფიციენტის მისაღწევად. სისტემა აგრეთვე უზრუნველყოფს სამართლიანობის პრინციპის დანერგვას, რომლის თანახმადაც დაგროვებითი პენსია ინდივიდუალურად განისაზღვრება პიროვნების მიერ წლების განმავლობაში მიღებული შემოსავლისა და ფონდში განხორციელებული შენატანების მიხედვით.

გრძელვადიანი საპენსიო დანაზოგების დანერგვა ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას, კაპიტალის ბაზრის განვითარების მეშვეობით. ადგილობრივი კაპიტალის ბაზარზე, ინსტიტუციური მონაწილეების ნაკლებობა, მნიშვნელოვან პრობლემას უქმნის კომპანიებს, რომლებიც დაფინანსების ალტერნატიულ წყაროებს ეძებენ. წინასწარი ანალიზი გვიჩვენებს, რომ საპენსიო რეფორმა ხელს შეუწყობს ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის განვითარებას, რაც განაპირობებს კერძო საპენსიო დანაზოგის ადგილობრივ ეკონომიკაში ინვესტირებას.

საქართველოში საპენსიო სისტემის რეფორმის აუცილებლობა ბოლო წლების განმავლობაში სულ უფრო აქტუალური ხდებოდა. საქართველოს დღევანდელი საპენსიო სისტემის მიზანია ხანდაზმულებში სიღარიბის დონის შემცირება, რასაც საარსებო მინიმუმთან მისი თანაფარდობაც ადასტურებს.

რეფორმისას, პირველ რიგში, ცვლილებები უნდა შეეხოს საპენსიო უზრუნველყოფის საკანონმდებლო გარანტიებს, რომლებიც საქართველოში მინიმალურია, შეიძლება ითქვას, რომ არც არსებობს. კერძოდ, ჩვენს სინამდვილეში პენსიის გაცემის საფუძვლად რჩება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტი, ხოლო სხვა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზით პენსიონერის უფლება, პრაქტიკულად, არ არის უზრუნველყოფილი.

ამას გარდა, აღსანიშნავია საპენსიო ფონდის მუდმივად მზარდი

ზენოლა საჯარო ფინანსების სექტორზე, რაც დიდ ტვირთად აწევა სახელმწიფო ბიუჯეტს. შესაბამისად, პრობლემურ საკითხად რჩება პენსიის ადეკვატურობა და გრძელვადიანი საპენსიო ვალდებულებების მდგრადობა.

საპენსიო რეფორმამ საშუალო და გრძელვადიან პერიოდში უნდა შეამციროს ზენოლა სახელმწიფო ბიუჯეტზე. ის, რასაც ჩვენ დღეს ვეძახით პენსიას, სინამდვილეში წარმოადგენს სოციალური დახმარების ერთგვარ სახეს.

დღევანდელი დემოგრაფიული სურათის ფონზე, რომელიც ნამდვილად არ გახლავთ სახარბიელო, აუცილებელია რეფორმის დაუყოვნებლივი გატარება, რომ თავიდან ავიცილოთ გარდაუვალი საპენსიო რისკები მომდევნო 15-20 წლის განმავლობაში.

1 <https://mof.ge/News/6425>, უკანასკნელად გადათარგმნებულია - 20.05.2019.

2 <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/55/sotsialuri-uzrunvelqofa>, უკანასკნელად გადამოწმებულია - 20.05.2019.

საპენსიო რეფორმის წარმატებით გატარებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ დროულად მიიღოს შესაბამისი ნორმატიული ბაზა და დაიწყოს კომუნიკაცია საზოგადოებასთან რეფორმის აუცილებლობისა და მისი სიკეთების თაობაზე. ამ ნაწილში კარგი იქნება ჩვენი მეზობელი ქვეყნის სომხეთის გამოცდილების გაზიარება, რომელმაც მნიშვნელოვნად ადრე დაიწყო საზოგადოების ინფორმირება და რომელსაც უკვე მეორე წელია, რეალური საპენსიო სისტემა აქვს.

აღსანიშნავია, რომ დემოგრაფიული სურათი მსგავსია დანარჩენ მსოფლიოშიც. World Population Aging-ის კვლევის მიხედვით, თუ 2011 წელს 60 წლისა და უფროსი ასაკის ადამიანების რაოდენობა დედამიწის მთლიანი მოსახლეობის 11%-ს უდრიდა, 2050 წლისთვის მისი 22%-მდე ზრდა არის მოსალოდნელი. 2050 წლისთვის 60 წლისა და უფროსი ასაკის ადამიანების რაოდენობა მსოფლიოში 2 მილიარდს გადააჭარბებს. შედეგად, დედამიწის მოსახლეობის დემოგრაფიული პროფილისა და მისი ასაკობრივი ჭრილის მნიშვნელოვანი ცვლილება და სამუშაო ძალაზე დანაწილების გაძლიერება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტია საპენსიო რეფორმების დაჩქარების აუცილებლობის დასასაბუთებლად.

დღეს ასაკობრივი პენსიონერების რიცხვმა საქართველოში თითქმის 900 000 (ცხრაასი ათასი) ადამიანს მიაღწია, რაც სახელმწიფო ბიუჯეტს წელიწადში მილიარდ ლარზე მეტი უჯდება, აღნიშნულს კი აღმავალი ტრენდი გააჩნია, რასთან გამკლავებაც სახელმწიფოს გაუჭირდება.

საპენსიო რეფორმამ უნდა უზრუნველყოს ამ გამოწვევებს და უზრუნველყოს: 1. ადეკვატური პენსია სტაჟისა და მიღებული შემოსავლიდან გამომდინარე;

2. სახელმწიფოსთვის საპენსიო უზრუნველყოფის ფინანსური ვალდებულებების შემსუბუქება.

საქართველოში საპენსიო რეფორმის განხორციელების აუცილებლობა

ისევე თვალსაჩინოა, როგორც მსოფლიოს ბევრ სხვა ეკონომიკაში (განვითარების საფეხურისა და ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწეული დონის მიუხედავად).

საპენსიო რეფორმის გატარების პროცესში აუცილებელია შესწავლილ და შეფასებულ იქნეს საპენსიო სისტემის გლობალური და ადგილობრივი პერსპექტივები, გაანალიზდეს საპენსიო უზრუნველყოფის მოდელები, სხვადასხვა ქვეყანაში საპენსიო სისტემის რეფორმის წარმატებული და წარუმატებელი მაგალითები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი გახდება საპენსიო რეფორმის ოპტიმალური მოდელის შემოთავაზება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სახელმწიფოებრივი ინტერესი და ბიზნესგარემოს გაუმჯობესების პერსპექტივები.

დღეს საქართველოს საპენსიო სისტემა ორ არა-

თანაბარ ნაწილად იყოფა. ძირითადია სახელმწიფო საპენსიო სისტემა, რომელიც ეფუძნება სოლიდარული გადანაწილების პრინციპს და ემყარება ფიქსირებული პენსიების გაცემას საბიუჯეტო სახსრებიდან.

არასახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემას კი ბაზრის უმნიშვნელო წილი უკავია და, საკანონმდებლო თუ სხვა სახის აუცილებელი წინამძღვრების არარსებობის გამო, კვლავაც განვითარების დაბალ საფეხურზეა. ამ მიმართულების განვითარებაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ნეპაყოფლობითი ჩართულობის ასამაღლებლად ასევე შესაძლებელია გარკვეული სამოტივაციო ელემენტების შემოტანაც.

ბოლოდროინდელი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და მათი დინამიკა, ასევე საბიუჯეტო პოლიტიკის პრიორიტეტები და დემოგრაფიული სურათის ცვალებადობა კი მიუთითებს, რომ საქართველოს ეკონომიკასა და ბიუჯეტს ნაკლებად აქვს იმის ფუფუნება, რომ საპენსიო დანახარჯების გასტუმრება კვლავაც უპირატესად სახელმწიფოს ფუნქციად დარჩეს, და თუკი ასე გაგრძელდება მომავალშიც, ეს გაართულებს მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, ხელს შეუშლის ბიუჯეტის რაციონალურ ხარჯვას და შეანელებს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებს.³

საერთაშორისო პრაქტიკაში არსებობს საპენსიო სისტემის სამი ძირითადი კატეგორია:

• სახელმწიფოს სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა

• დაგროვებითი პენსია

• ინდივიდუალური საპენსიო ანაბრები.⁴

საპენსიო სისტემებს ძირითადად ოთხი გამაერთიანებელი მიზანი გააჩნია:

• ცხოვრების ღირსეული პირობების შექმნა რაც შეიძლება მეტი პენსიონერისთვის;

• რისკების დივერსიფიკაცია, რათა ნებისმიერი საპენსიო სქემის თანამდევრი რისკები სწორად დაიზღვეს;

• ქვეყნის საპენსიო სტანდარტებისა და მიზნების შესაბამისი, ადეკვატური სარგებლის მიღება;

მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის კვალდაკვალ გაზრდილ საბიუჯეტო ტვირთთან გამკლავების მეთოდების შემუშავება.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ საპენსიო სისტემის რეფორმის დადებითი შედეგები ქვეყანამ შეიძლება იგრძნოს არამყისიერად, მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ საპენსიო რეფორმა დაიწყოს მაქსიმალურად მოკლე ვადებში. აქედან გამომდინარე, დღის წეს-

3 <https://csogeorgia.org/storage/app/uploads/public/5cd/c9b/3a8/5cd9b3a85d5cc760935169.pdf>, უკანასკნელად გადამოწმებულია - 20.05.2019.

4 გოგიაშვილი შ., კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა და საკანონმდებლო პრაქტიკა საქართველოში, თბილისი: ინოვაცია, 2009, 53გვ.

რიგში დგას რეალური საპენსიო სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობა, რომელიც დაგროვებით სქემას უნდა დაეყრდნოს.

ამ სისტემის მიხედვით, ადამიანები დასაქმებულად ყოფნის პერიოდში ხელფასიდან ან/ და შემოსავლიდან ანარიცხებს აკეთებენ კერძო ან სახელმწიფო ფონდში. როდესაც მათ საპენსიო ასაკი დაუდგებათ, დაგროვილი თანხა, გარკვეული პროცენტული დანამატებით, პენსიის სახით უბრუნდებათ. ანარიცხებს ფონდი ათავსებს მოგებიან აქტივებში, რომელთაც გარკვეული შემოსავალი მოაქვს საინვესტიციო ფონდისთვისაც და იმ ადამიანისთვისაც, ვისაც ფონდში გარკვეული შემოსავლები შეაქვს.

საქართველოს საპენსიო სისტემის რეფორმის დაგეგმვისა და წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია ჩამოყალიბდეს რეფორმის ძირითადი მიზნები და მიმართულებები, განისაზღვროს მისი განხორციელების ვადები და შესაძლო ხარჯები, აგრეთვე რეფორმის შედეგები როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში. სისტემა უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე და იძლეოდეს საშუალებას, პროგრამაში ჩართულ ადამიანს ნებისმიერ მომენტში ჰქონდეს წვდომა მის პირად ანგარიშზე/ ბარათზე.

მნიშვნელოვანია, სიღრმისეულად გავიაზროთ ყველა ის პრობლემა, რაც საპენსიო სისტემის რეფორმის განხორციელებისას წარმოიქმნება (განხორციელების ვადა და ხარჯები, გარდამავალი პერიოდის რისკების მინიმიზება, საპენსიო ფონდებში აკუმულირებული სახსრების ინვესტირების ინსტრუმენტები, ფონდებში დაგროვილი კაპიტალის მოძრაობის სქემები, ზედამხედველობა და ა.შ.)⁵

ამავე დროს, აუცილებელია ყველა იმ პოზიტიური შედეგის გამოკვეთა და საზოგადოებისთვის შეტყობინება, რაც არასახელმწიფო საპენსიო სისტემის განვითარებას ექნება არა მხოლოდ საქართველოს საპენსიო სისტემისთვის, არამედ მთელი ეკონომიკისთვის. საუბარია ახალი ფინანსური და საინვესტიციო რესურსების გაჩენაზე, ასევე მათ ზრდაზე, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის საქართველოს ფინანსური სისტემის სტაბილურობასა და ლიკვიდურობას.

რა არის საპენსიო რეფორმის ჩატარების სამი ფუნდამენტური მიზეზი არსებობს:

I. გაიზარდა მოსახლეობის საშუალო სიცო-

5 http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/sapensio/Government_Report_on_pensions_Final_GEO.pdf f, უკანასკნელად გადამოწმებულია - 20.05.2019.

ცხლის ხანგრძლივობა, რამაც

შეცვალა დემოგრაფიული სტრუქტურა თითქმის ყველა ქვეყანაში, მათ შორის - საქართველოშიც. კერძოდ, საპენსიო ასაკის მოქალაქეების წილი გაიზარდა მთლიან მოსახლეობაში. ანუ შემცირდა პროპორცია დასაქმებულსა და პენსიონერს შორის (საქართველოში ეს ფარდობა უკვე დიდი ხანია, 1-ზე ნაკლებია).

II. ისედაც მუდმივად დეფიციტური ბიუჯეტის ზრდა ვერ დაენია საპენსიო მოთხოვნებს - სახელმწიფო ბიუჯეტი უკვე აღარ ყოფნის პენსიონერების მინიმალურ პენსიასაც კი, არათუ “ღირსეული სიბერისთვის” საკმარის პენსიას. თავის მხრივ ეს გამოიწვია ცხოვრების დონის ზრდამ და ამავდროულად “ჩანაცვლების კოეფიციენტის” შემცირებამ (პენსიის მოსალოდნელი დონე საშუალო ხელფასთან).

III. სახელმწიფოს მიერ საპენსიო განაწილების არაეფექტიანმა მართვამ კიდევ უფრო დაამძიმა მდგომარეობა და შედეგად “პენსია” რეალურად სოციალური შემწეობა გახდა, ანუ მოსახლეობის დიდი ნაწილი

პოლიტიკური გადაწყვეტილების მძევლად იქცა - ვინც მეტ პენსიას დაპირდება, ამომრჩეველთა დიდი ნაწილი მას აძლევს ხმას.

ეს მიზეზები საქართველოშიც იქცა საპენსიო რეფორმის აუცილებლობის წინაპირობად. დღევანდელი საპენსიო რეფორმა არის გარდაუვალი აუცილებლობა, რომელმაც მხოლოდ გრძელ ვადაში (8-10 წლის შემდეგ) უნდა მოგვცეს რეალურად სასარგებლო შედეგები, რა თქმა უნდა, რეფორმის სწორად განხორციელების პირობებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <https://mof.ge/News/6425>, უკანასკნელად გადამოწმებულია - 20.05.2019.
2. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/55/sotsialuri-uzrunvelqofa>, უკანასკნელად გადამოწმებულია - 20.05.2019.
3. <https://csogeorgia.org/storage/app/uploads/public/5cd/c9b/3a8/5cdc9b3a85dcc760935169.pdf>, უკანასკნელად გადამოწმებულია - 20.05.2019.
4. გოგიაშვილი შ., კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა და საკანონმდებლო პრაქტიკა საქართველოში, თბილისი: ინოვაცია, 2009, 53გვ.
5. http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/sapensio/Government_Report_on_pensions_Final_GEO.pdf, უკანასკნელად გადამოწმებულია - 20.05.2019.

ეკონომიკური თეორია და საზუნებისმეტყველო მეცნიერებები- შესაძლებლობები და გამოწვევები

ნელი სესაძე
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

ვალიდა სესაძე
სტუ-ს პროფესორი

რეზიუმე

მსოფლიო ეკონომიკის შეცვლილი რეალობის გასაცნობიერებლად ახალი მიდგომებია საჭირო. დღეისათვის მეცნიერული კვლევები მიმდინარეობს ინტეგრალური თვალთახედვით. აქტუალური ხდება ეკონომიკური პრობლემების ანალიზში სხვადასხვა დისციპლინათა გამოყენება.

სტატიაში გაანალიზებულია ეკონომიკური თეორიაში მათემატიკური მეთოდების გამოყენების პრაქტიკის ევოლუცია, ასევე სინერგეტიკის თეორიის გამოყენების მიმართულებები ეკონომიკურ მოვლენათა ანალიზში. გაანალიზებულია ახალი მიმდინარეობა „ეკონოფიზიკა“- ფიზიკის მეთოდებით ეკონომიკურ მოვლენათა შეფასება, პროგნოზირების მცდელობა.

სტატიაში გაკეთებულია დასკვნა, რომ დღეისათვის არ არის ჩამოყალიბებული სისტემური დიალოგი საზუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და ეკონომისტებს შორის; სერიოზული შედეგები ეკონომიკურ კვლევებში შესაძლებელია მიღწეულ იქნას ალტერნატიული მეთოდების-სინერგეტიკის, ეკონოფიზიკის, მათემატიკური ინსტრუმენტარიუმის გამოყენებით.

აუცილებელია ჩამოყალიბდეს შესაბამისი ცოდნით შეიარაღებული ახალი თაობის მეცნიერები.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური თეორია, მათემატიკური მეთოდები, სინერგეტიკა, ეკონოფიზიკა

ECONOMIC THEORY AND NATURAL SCIENCES - OPPORTUNITIES AND CHALLENGES

Neli Seadze.

Associate Professor of GTU

Valida Sesadze

Professor of GTU

ABSTRACT

New approaches are needed to understand the changing reality of the world economy. At present, scientific research is conducted from an integral point of view. It becomes relevant in the analysis of economic problems, the use of different disciplines.

The article analyzes the evolution of the practice of applying mathematical methods in economic theory,

as well as the directions of application of synergy theory in the analysis of economic events. The new trend “Econophysics” is analyzed - the assessment of economic events by the methods of physics, an attempt to predict.

The article concludes that there is currently no systematic dialogue between the natural sciences and economists; Serious results in economic research can be achieved using alternative methods - synergy, econophysics, mathematical tools.

It is necessary to form a new generation of scientists armed with relevant knowledge

Keywords: Economic Theory, Mathematical Methods, Synergy, Econophysics

* * * *

ეკონომისტები აღიარებენ ფუძემდებლური მოდელების აქსიომების არაადეკვატურობას, რისი შედეგიც ხდება პასუხგაუცემელი მნიშვნელოვანი კითხვები ეკონომიკის სფეროში. ექსპერტები უძღუნის ხდებიან ხშირ შემთხვევაში თეორიულ მაკროეკონომიკურ კანონზომიერებებზე დაყრდნობით არა მხოლოდ გადაჭრან ეკონომიკური პრობლემები, არამედ უბრალოდ იწინასწარმეტყველონ კიდევ. სწორედ ამას უკავშირდება სხვადასხვა დისციპლინათა გამოყენება ეკონომიკური პრობლემების ანალიზში.

მათემატიკის და ეკონომიკის ურთიერთობის ისტორია მეცნიერული ცოდნის დისციპლინათაშორისი პრინციპის განვითარების ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია. მათემატიკის მნიშვნელობის ზრდა ოდითგანვე ადამიანთა ყოველდღიურ მოთხოვნილებებს და სამყაროს შეცნობისაკენ მის მიდრეკილებას უკავშირდება. მათემატიკა დარგობრივი პრაქტიკული კალკულაციის მიზნებიდან თანდათანობით ჩამოყალიბდა აბსტრაქტულ მეცნიერებად, რომელიც არ კარგავს კავშირს პრაქტიკასთან.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია ფიზიოკრატიკის და უპირველეს ყოვლისა ფრანსუა კენეს ღვაწლი, რომელმაც შეადგინა და გამოაქვეყნა პირველი მაკროეკონომიკური მოდელი - ეკონომიკური ცხრილი. ეს იყო საზოგადოებრივი პროდუქტის კვლავნარმოების მთლიანი პროცესის რაოდენობრივი აღწერის პირველი მცდელობა.

ფრანსუა კენეს კვალდაკვალ მათემატიკური მეთოდები აქტიურად გამოიყენებოდა ა. სმიტის

(კლასიკური მაკროეკონომიკური მოდელი), დ. რიკარდოს (საერთაშორისო ვაჭრობის მოდელი) და სხვა ეკონომისტების) მიერ. ეკონომიკური პრობლემების ანალიზის დროს აქტიურად გამოიყენა მათემატიკური მეთოდები ო. კურნომ (სიმდიდრის თეორიის მათემატიკური საფუძველი). ნაშრომთა უმრავლესობაში მათემატიკური მეთოდები გამოიყენებოდა საილუსტრაციო მიზნებისათვის. თუმცა ცხადი ხდებოდა მათემატიკური აპარატის მნიშვნელობა ეკონომიკურ ანალიზში. აქვე შეიძლება აღინიშნოს კ. მარქსის მიერ საზოგადოებრივი პროდუქტის კვლავწარმოების კანონის მათემატიკური ფორმით წარმოდგენა. [4]

1838 წელს წარმოიშვა პოლიტიკური ეკონომიის ჩარჩოებში მათემატიკური სკოლა (ლ. ვალრასი, ვ. პარეტო, უ. ჯევონსი და სხვები). მათემატიკა გამოიყენებოდა ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმის ანალიზის დროს (საბაზრო წონასწორობის თეორია) საუკუნის ბოლოსვე გამოჩნდა ჰარვარდის ბარომეტრი-სკოლა, რომელიც დაკავებული იყო სამრეწველო ციკლების პროგნოზირების ეკონომეტრიკული მოდელების შემუშავებით.

მარჟინალიზმის სკოლის წარმომადგენელი ლ. ვალრასი აიგივებდა პოლიტიკურ ეკონომიას ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებებთან, რომელნიც აქსიომების საფუძველზე თავდაპირველად აგებენ თეორემების კონსტრუქციებს და შემდგომ ასაბუთებენ მათ, ამასთან ცდების მონაცემებს იყენებენ თავიანთი შედეგების ჭეშმარიტების დემონსტრაციის და არა ამოსავალი პოსტულატების დასაბუთების მიზნებისათვის.

პ. სამუელსონისათვის მათემატიკური მეთოდები ეკონომიკური ანალიზის უმთავრესი საშუალება გახდა, ხოლო მისი მეცნიერულობის კრიტერიუმად აღიარებულ იქნა შედეგების მკაცრი ლოგიკა. ეკონომიკური თეორიის მარში ფორმალიზაციისაკენ ძლიერდებოდა მიმდინარე პროცესებით თვით მათემატიკაში, რამაც ხელი შეუწყო იმ მდგომარეობას, რომ წონასწორობის მოდელი ეკონომიკაში წარმოდგენილ იქნა როგორც ფორმალიზებული მათემატიკური კონსტრუქცია, რომლის მნიშვნელობა არ არის დამოკიდებული ემპირიულ შემოსწმებაზე. ეს თავისებურება გავრცელდა ეკონომიკური თეორიის სხვა განყოფილებებზეც, რამაც კიდევ უფრო მეტად დააცილა ერთმანეთს „წმინდა თეორია“ და რეალობა, რითაც საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკის როგორც გამოყენებითი მათემატიკის დარგის ინტერპრეტაციის შესახებ აზრს.

ეკონომიკური პრობლემების ანალიზში მათემატიკური მეთოდების გამოყენება უფრო მეტად გააქტიურებულ იქნა 20-ე საუკუნეში. განვითარდა მაკროეკონომიკური მოდელირება (ვ. ლეონტიევი), ნ. კონდრატიევის მიერ შემუშავებულ იქნა ეკონომიკური ციკლების თეორია, 30-50 წლიან პერიოდში მნიშვნელოვანი იყო ლ. კანტოროვიჩის შრომები, გამოცემულ იქნა ბროშურა „წარმოების ორგანიზაცი-

ის და დაგეგმვის მათემატიკური მეთოდები“. ამ ნაშრომში ასახული იდეების საფუძველზე ჩამოყალიბდა წრფივი პროგრამირება, მეცნიერება თეორიული და რიცხობრივი ანალიზის შესახებ, ამოცანის გადაწყვეტის შესახებ, სადაც მოთხოვება ოპტიმალური მნიშვნელობის პოვნა“ ანუ პროცესის მაჩვენებელთა სისტემის მაქსიმუმის, ან მინიმუმის პოვნა და რომლის მდგომარეობაც აღინერება წრფივი უტოლობების სისტემის სახით. თვით ტერმინი შეთავაზებულ იქნა 1951 წელს ამერიკელი ეკონომისტის ტ. კუმპანის მიერ. შეიძლება ითქვას, რომ წრფივი პროგრამირების გამოყენებას ეკონომიკაში სიძნელეები ახასიათებს, აღსანიშნავია შესაბამისობის პრობლემა მოდელსა და რეალობას შორის, რადგან ეკონომიკური რეალობა მრავალფეროვანია და ყოველთვის ვერ ხერხდება მისი რაოდენობრივი სახით წარმოდგენა. [6]

მეოცე საუკუნის შუახანები ხასიათდებოდა მათემატიკის აქტიური გამოყენებით ეკონომიკურ კვლევებში. დაიწყო მისი გამოყენება ბიზნესის მართვაშიც. ამ დროისათვის ნობელის პრემიები ძირითადად ეკონომიკის დარგში უკავშირდება შრომების ავტორებს ეკონომიკაში მათემატიკური აპარატის გამოყენებით (დ. ჰიკსი, რ. სოლოუ, ვ. ლეონტიევი, პ. სამუელსონი, ლ. კანტოროვიჩი).

გლობალური ფინანსური კრიზისების გახშირებას ეკონომისტთა ერთი ნაწილი ეკონომიკური თეორიის კრიზისად მიიჩნევს, რომელიც თავს ვერ ართმევს მძიმე ეკონომიკურ პრობლემებს. [8],

ახალი მიდგომა ეკონომიკურ და სოციალური პრობლემების კვლევაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებიდან შემოვიდა. [2]

სულ რაღაც სამ ათეულ წელს ითვლის სინერგეტიკა- დისციპლინათაშორის მიმართულება.. სინერგეტიკა შეისწავლის თვითორგანიზების საერთო კანონზომიერებებს, სტრუქტურის ჩამოყალიბებას, რომლებიც წარმოიშვება რთულ, ღია სისტემებში ნივთიერებების პერმანენტული ნაკადების გაცვლის პროცესში. სინერგეტიკის შესწავლის ობიექტად გვევლინებიან სრულიად განსხვავებული სისტემები. სინერგეტიკის ზოგადსასისტემო კანონზომიერებათა დადგენამ ნათელყო ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების სისტემათა მონეობის ერთიანი საყოველთაო სურათი. საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერების ისტორიაში სინერგეტიკის ბაზაზე დაიწყო სამყაროს მთლიანობის ხედვის ერთიანი მეთოდოლოგიის ჩამოყალიბება. დღესდღეობით სინერგეტიკას მიმართავს სოციალურ-ეკონომიკური სფეროს ბევრი დარგი, მათ შორის ეკონომიკური თეორია. ამ თეორიის ჩამოყალიბება შესაძლებელი გახდა შესაბამისი მათემატიკური აპარატის, მხედველობაში გვაქვს ჯგუფების თეორიის, ბიფურკაციის თეორიის, არანრფივი დინამიკის, კატასტროფების თეორიის, სისტემური ანალიზის განვითარების საფუძველზე. [1]

ეკონომიკის წარმოშობის თარიღად ითვლება 20-21 საუკუნეების მიჯნა, კერძოდ 90-იან წლებში

ლიტერატურაში უკვე დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბდა ეკონოფიზიკა. [3]

ეკონოფიზიკის დარგში პირველ ნაშრომად ითვლება რ. მანტენას და ჰ. სტენლის ნაშრომი „შესავალი ეკონოფიზიკაში: კორელაცია და სირთულეები ფინანსებში“. [4]

ეკონოფიზიკის კვლევის პრობლემებია:

- ფინანსური ბაზრების ანალიზის ახალი მეთოდები დროითი მწკრივის საფუძველზე;
- ფინანსური აქტივების შემოსავლიანობის დინამიკის შესწავლა;
- საზოგადოებაში შემოსავლების განაწილების უთანაბრობის ანალიზი;
- ფირმის შემოსავლების განაწილება და მათი სწრაფი ზრდის სტატისტიკური თვისებები;
- ეკონომიკურ აგენტთა ურთიერთქმედების შესწავლა ელემენტარული ნაწილაკების ურთიერთქმედების ანალოგიის მიხედვით;
- ეკონომიკური აქტიურობის რყევების და ეკონომიკური ზრდის ტემპების შესწავლა;
- ეკონომიკურ კრიზისთა პროგნოზირება;
- ეკონომიკური განვითარების, საბანკო სისტემის ფუნქციონირების და სწრაფადმზარდი კომპანიების ევოლუციის მოდელირება და სხვ. [5]

როგორც ჩანს საკითხები, რომლებმაც მიიპყრო ფიზიკოსთა ყურადღება უკავშირდება ეკონომიკური პროცესების და მოვლენების რაოდენობრივი პროგნოზირებას და მოდელირებას, რომელთა ანალიზისათვის არასაკმარისი აღმოჩნდა ეკონომიკური თეორიები და მეთოდები.

20-ე საუკუნეში კვანტური ფიზიკის წარმოშობასთან ერთად აღმოჩენილ იქნა შემეცნების ახალი მეთოდები (დამატებითობა, ფარდობითობა, მსგავსება, ზღვარი, განუსაზღვრელობის თანაფარდობა), რომელთაც შეავსეს კლასიკური მექანიკის შემეცნების მეთოდები (მიზეზობრიობა, დეტერმინირებულობა, ალბათურობა, შემთხვევითობა და სხვ.), რომელთა ერთიანობაც ქმნის ეკონოფიზიკის შემეცნების მეთოდოლოგიას.

ეკონომიკის მსგავსი პრობლემების გადანყვეტისას ფიზიკოსები ძირითადად ემყარებიან ანალოგიების მეთოდს. კონკრეტული ეკონომიკური პროცესის განხილვის დროს ძებნიან მის შესაბამის ანალოგიურ ფიზიკურ მოვლენას და მის საფუძველზე ადგენენ შესაბამის ფიზიკურ მოდელს, რომელიც აღინერება შესაბამისი მათემატიკური აპარატით. მაგალითად, საფონდო ბირჟაზე აქციების ფასების რხევების ანალიზისათვის იყენებენ ბროუნის მოძრაობის მოდელს. შემოსავლების მიხედვით მოსახლეობის განაწილება განიხილება აირში ნაწილაკების სიჩქარის მიხედვით განაწილების მსგავსად. სიმდიდრის ზომების განაწილების ანალიზისათვის იყენებენ პოლიმერების ფიზიკური თეორიის მოდელს. კომპანიის განვითარების ტრაექტორიის ნახტომისებური ცვლილება განიხილება ფაზური გადასვლების ანალოგიით.

ეკონომიკური და უპირველეს ყოვლისა ფინანსური სისტემების ანალიზისათვის ფიზიკოსები იყენებენ თანამედროვე სტატისტიკური მექანიკის და თეორიული ფიზიკის მათემატიკურ აპარატს. კერძოდ, ფინანსური ბაზრების კვლევაში გამოიყენება ისეთი მათემატიკური კონცეფცია, როგორცაა განაწილების ხარისხობრივი კანონები, კორელაცია, არაპროგნოზირებადი დროითი მწკრივები, ინვარიანტულობა, შემთხვევითი პროცესები, თვითორგანიზებულობადობა, ფრაქტალური სისტემები, ფაზური გადასვლები და სხვა. [5]

თანამედროვე პერიოდში არ არის ჩამოყალიბებული სისტემური დიალოგი ფიზიკოსებსა და ეკონომისტებს შორის თანამედროვე ეკონომიკური ფიზიკის ჩარჩოებში; ასევე კვლევები ეკონოფიზიკის დარგში ჯერ კიდევ შორსაა იმისგან, რომ „ეკონოფიზიკის“ როგორც დამოუკიდებელი თეორიის პრეტენზია არსებობდეს.

მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ მიზანშეწონილია შემდგომი თანამშრომლობა ფიზიკოსებსა და ეკონომისტებს შორის, აუცილებელია ჩამოყალიბდეს ახალი თაობის მეცნიერები „ეკონოფიზიკის“ მიმართულებით.

მეოცე საუკუნე ისტორიაში შემორჩა როგორც ფარდობითობის თეორიის, კვანტური ფიზიკის და ქაოსის თეორიის შექმნის საუკუნე. მათი ხელშეწყობით მეცნიერებმა მსოფლიო განიხილეს არა როგორც ნიუტონის მექანიკური მოდელი. დღეს მეცნიერება მოითხოვს სამყარო განიხილებოდეს ინტეგრალური თვალთახედვით.

მათემატიკის და კომპიუტერიზაციის უახლესმა მიღწევებმა მოდელის რეალობასთან დაახლოების შესაძლებლობა შექმნეს. მათემატიკური მეთოდების და ალგორითმების სრულყოფამ შესაძლებელი გახადა ისეთი შედეგების მიღწევა, რაც წარმოუდგენელი იყო უახლეს წარსულშიც კი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სერიოზული შედეგები ეკონომიკურ კვლევებში შესაძლებელია მიღწეულ იქნას ალტერნატიული მეთოდების-სინერგეტიკის, ეკონოფიზიკის, მათემატიკური ინსტრუმენტარიუმის გამოყენებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Хакен Г Синергетика М.: Мир, 1985.
2. Mantenga R.N., Stanley H.E. Introduction to Econophysics: Correlations and Complexity in Finance. Cambridge University Press, 2017. 192 p.
3. ხარიტონაშვილი ჯ. ეკონომიკური აზრის ისტორია, თბ. 2019 წელი
4. სესაძე ვ. სესაძე ნ. სინერგეტიკა, ეკონომიკური პროცესების კვლევა. სტუ. თბილისი. 2013.- გვ.161.
5. ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია სახელმძღვანელო https://www.gumer.info/bibliotek_Buks/Econom/history_econom_science2/index.php (შემოწმებულია 21.09. 2020)

საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები COVID-19-ის ფონზე

ლია ჭყონია

სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

Covid-19-ის პანდემიამ მოულოდნელი სტრესის ქვეშ დააყენა როგორც გლობალური ჯანდაცვა, ისე მსოფლიო სოციალური და ეკონომიკური სისტემები. პროგნოზი არასახარბიელოა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის განცხადებით მსოფლიო ეკონომიკა 3%-ით შემცირდება.

საქართველოს ეკონომიკა ბოლო წლებში 5%-ის ფარგლებში სტაბილურად იზრდებოდა. მაგრამ ახალმა კორონავირუსმა მნიშვნელოვნად გააუარესა საქართველოს ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა. პანდემიასთან ბრძოლის, ვირუსის მართვის, შეზღუდვების, მოქალაქეებსა და ბიზნესსზე ზრუნვის მიმართულებით საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ქვეყნის განვითარების ანტიკრიზისული გეგმა.

კორონავირუსის ფონზე გამოიკვეთა ქვეყანაში ადგილობრივი წარმოების განვითარების აუცილებლობა. პირველი შოკის შემდეგ ქართული ბიზნესის ნაწილმა შეძლო ადაპტირება არსებულ მდგომარეობასთან. მოახერხა თვითორგანიზება და ახალი ტიპის მომსახურებებისა და პროდუქტების შემუშავება. მათ დისტანციური მუშაობის პირობებშიც კი მოახერხეს თანამშრომელთა შენარჩუნება და არსებულ გამოწვევებთან გამკლავება.

ანტიკრიზისული გეგმის პროგრამა „ბიზნესის ხელშეწყობის,“ ფარგლებში, ხელისუფლების მხარდახერხებით გაიხსნა და გაფართოვდა ათეულობით ახალი ადგილობრივი მცირე საწარმო.: ვირუსისაგან დამცავი (პირბადეები, დამცავი საშუალებები, კომბინიზონები) საშუალებების საწარმო; ბიოდეგრადირებადი პარკების, ადგილობრივი ქათმის ხორცის მწარმოებელი, დაფასოებული ხორცისა და ნახევარფაბრიკატების, ჩირების,

თხილის საშრობი, ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი, ხილის სამაცივრე შემნახავი, კომბინირებული საკვების, ავეჯის, კარ-ფანჯრების, ალუმინის პროფილების და ა.შ. ინვესტირებულია და მალე აშენდება პლასტმასის გადამამუშავებელი, ლითონის ნაწარმის, პოლიესტერის სინთეზური ბოჭკოსა და სილიკომანგანუმის, სამკერვალო და სხვ. შესაძლებელია კორონავირუსს დადებითი ეფექტიც გააჩნდეს და ეროვნული ეკონომიკის აღორძინების საფუძველადაც კი მოგვევლინოს

საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით 2021 წელს საქართველოს ეკონომიკა, მთავრობის მიერ გატარებული ეფექტიანი ღონისძიებების ხელშეწყობით 4%-ით გაიზრდება.

საკვანძო სიტყვები: COVID-19, პანდემია, ეკონომიკური ზრდა, ანტიკრიზისული გეგმა, ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა, „წარმოე საქართველოში“, ახალი საწარმოს გახსნა, პროექტები, პროგნოზი.

CHALLENGES OF THE GEORGIAN ECONOMY AGAINST THE BACKGROUND OF COVID-19

Lia Chkonia

Associate Professor Of GTU

RESUME

The Covid-19 pandemic has put both global health care and global social and economic systems under unexpected stress. The forecast is unfavorable. According to the International Monetary Fund, the world economy will shrink by 3%.

Georgia's economy has been growing steadily at 5% in recent years. But the new coronavirus has significantly worsened Georgia's economic growth prospects. The Government of Georgia has developed an anti-crisis plan for the development of the country in the fight against pandemics, virus management, restrictions, care for citizens and businesses.

Against the background of the coronavirus, the need to develop local production in the country was highlighted. After the first shock, part of the Georgian business was able to adapt to the current situation. Managed to self-organize and develop new types of services and products. They even managed to retain employees and deal with existing challenges even while working remotely.

Dozens of new local small enterprises have been opened and expanded with the support of the government as part of the Translation and Action Plan "Business Facilitation" program: a virus protection facility (personal protective equipment, overalls, overalls); Manufacturer of biodegradable parks, local chicken meat, packaged meat and semi-finished products, dried fruits, Nut dryer, fruit and vegetable processing, fruit refrigeration storage, combined feed, furniture, doors and windows, aluminum profiles, etc. Invested and will soon build plastic processing, metal products, polyester synthetic fibers and silicomanganese, sewing and more. It is possible that the coronavirus will have a positive effect and even serve as a basis for the revival of the national economy.

According to the International Monetary Fund, the Georgian economy will grow by 4% in 2021 with the support of effective measures taken by the government.

Keywords: COVID-19, Pandemic, Economic Growth, Anti-Crisis Plan, Business Support Program, "Produce In Georgia", Opening A New Enterprise, Projects, Forecast.

მსოფლიოში ახალი კორონავირუსის- COVID-19-ის მოსალოდნელი შედეგები გაურკვეველია. გლობალური პანდემიით გამოწვეულ ეკონომიკურ სირთულეებთან დაკავშირებით ასევე გაურკვეველია პროგნოზები. ახალმა კორონავირუსმა საფრთხე შეუქმნა ადამიანების ჯანმრთელობას და შეაფერხა ეკონომიკური საქმიანობა მთელს მსოფლიოში. დაეცა ფასები მსოფლიო ბირჟებზე, შეიზღუდა მოგზაურობები, გაუფასურდა აქციები და სხვა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის განცხადებით მსოფლიო ეკონომიკა 3%-ით შემცირდება. კრიზისი ძირითადად ევროკავშირის ქვეყნებზე აისახება.

მსოფლიოში ახალი კორონავირუსით გამოწვეული მოსალოდნელი საფრთხეები მოულოდნელი და საგანგაშო აღმოჩნდა განვითარებადი, აღმავლობის გზაზე მდგარი პატარა ქვეყნის-საქართველოს ეკონომიკისთვის. საქსტატის მონაცემების თანახმად, 2019 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) რეალური ზრდა, წინა წელთან შედარებით, 5.1% იყო. ზრდა დაფიქსირდა დარგებში: საბითუმო და საცალო ვაჭრობა. ავტომობილებისა და მოტოციკლების რემონტი. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები. ტრანსპორტი და დასაწყობება. ხელოვნება, გართობა და დასვენება. ინფორმაცია და კომუნიკაცია. განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და საკვების მიწოდების საქმიანობები. ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები და განათლება. 2019 წლის მარტში ექსპორტი, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 12.2%-ით, \$35 მლნ-ით \$335 მლნ-მდე გაიზარდა. იმავე პერიოდში იმპორტი მკვეთრად 11.3%-ით, \$96 მლნ-ით \$756 მლნ-მდე შემცირდა (უარყოფითი სავაჭრო ბალანსი \$131 მლნ-ით შემცირდა)

2019 წელს საქართველოს სულ 9.36 მლნ საერთაშორისო მოგზაური სტუმრობდა. ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა \$3.2 მლრდ-ს გადააჭარბა. გასულ წელს საქართველოში საზღვარგარეთიდან \$1.73 მლრდ შემოსავალი შევიდა. აგრეთვე, განხორციელდა \$1.27 მლრდ-ის ინვესტიცია და ა. შ

ისევე როგორც მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც ებრძვის ახალ კორონავირუსს, ეკონომიკური განვითარების გზაზე მდგარი პატარა ქვეყანა საქართველო, დადგა ჯანდაცვასა და ეკონომიკას შორის ალტერნატივის წინაშე. სოციალური დისტანცირება და გლობალური ჩაკეტვა (Global Lockdown) ერთის მხრივ ხელს უწყობს ქვეყანას შეებრძოლოს პანდემიის გავრცელებას და გადაარჩინოს მეტი სიცოცხლე, მეორეს მხრივ კი ზღუდავს ეკონომიკურ აქტივობას, აფერხებს ეკონომიკის გამოშვებას და ხელს უშლის ეკონომიკურ ზრდას.

ექსპერტთა ერთი ნაწილი (Philip Thomas) მიიჩნევს, რომ თუ კორონავირუსით გამოწვეული საყოველთაო იზოლაცია გამოიწვევს მშპ-ს 6.4%-ზე მეტით შემცირებას, მაშინ უფრო მეტ სასიცოცხლო წელს დავკარგავთ, ვიდრე ვირუსთან ბრძოლით მო-

ვიპოვებთ³⁴. ექსპერტთა მეორე ნაწილს (Jonathan Portes) კი მოჰყავს მტკიცებულება, რომ რეცესიის პერიოდში სიცოცხლის ხანგრძლივობა იზრდება და კორონავირუსით გამოწვეული საყოველთაო იზოლაცია უფრო მეტ სიცოცხლეს გადაარჩენს, ვიდრე შეინარავს.

ახალი კორონავირუსის პანდემიის შოკმა მნიშვნელოვნად გააუარესა საქართველოს ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა. საქართველოს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის შენელებამ ნეგატიური გავლენა მოახდინა ქვეყნის ექსპორტსა და ფულადი გზავნილების მაჩვენებლებზე. პანდემიასთან დაკავშირებული გლობალური გაურკვეველობის გაგრძელება კი კვლავაც შეამცირებს კაპიტალის შემოდინებასა და ეკონომიკაში დაგეგმილი ინვესტიციების განხორციელებას.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, ეკონომიკური აქტივობის შემცირების ფონზე მოსალოდნელია, რომ საქართველოს ეკონომიკა 2020 წლის განმავლობაში 4%-ით შემცირდება. ყველაზე მნიშვნელოვანი არხი, რომლითაც პანდემიის შედეგად ხდება საქართველოს ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენა არის ტურიზმი. 2020 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, საერთაშორისო ვიზიტორებისგან მიღებული შემოსავლები წინა წელთან შედარებით შემცირდა 26%-ით. ჯამში, 2020 წლის ბოლომდე მოსალოდნელია მომსახურების ექსპორტის 55%-იანი კლება, სადაც გათვალისწინებულია საერთაშორისო ვიზიტორებიდან მიღებული შემოსავლების შემცირება დაახლოებით 70%-ით. ტურიზმის შემცირება უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკის სხვა სექტორებზე, მათ შორის, მშენებლობაზე და უძრავი ქონებით ვაჭრობაზე. გლობალურად შეინიშნება საგარეო ვაჭრობის შესუსტება. და უკვე 2020 წლის პირველ კვარტალში, საქართველოს ექსპორტი შემცირდა 28%-ით, ხოლო იმპორტი შემცირდა 39%-ით. ექსპორტის შემცირება, თავის მხრივ, ზრდის ზენოლას გაცვლით კურსზე. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, 2020 წელს, მოსალოდნელია ექსპორტის შემცირება 24.2%-ით, ხოლო იმპორტი შემცირდება 21.1%-ით. გლობალური საგარეო მოთხოვნის შემცირება და ქვეყნებში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისი უარყოფითად აისახება ფულადი გზავნილების მოცულობაზეც. ფულადი გზავნილები შიდა მოთხოვნის მნიშვნელოვანი კომპონენტია და, შესაბამისად, მისი შემცირება უარყოფით გავლენას ახდენს შიდა მოხმარებაზე. 2020 წლის აპრილის მონაცემებით, ფულადი გზავნილების ჩარიცხვის მაჩვენებელი შემცირდა 42.3%-ით, მათ შორის, კლება შეინიშნება ისეთი ქვეყნებიდან, როგორცაა რუსეთი (-61.8%), იტალია (-27.5%), საბერძნეთი (-37.9%), აშშ (-33.6%), ისრაელი (-48.4%). საგარეო ფაქტორებიდან შემოსავლების კლება უარყოფითად აისახება შიდა მოთხოვნაზე. შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდა არაპირველადი მოხმარების საგნებსა

თუ მომსახურებაზე მოთხოვნა. ამავე დროს, შოკის პერიოდში მნიშვნელოვნად სუსტდება საინვესტიციო აქტივობაც. ეკონომიკის შემცირება, ასევე პანდემიის მართვასთან დაკავშირებული ხარჯების ზრდა, პირდაპირ აისახება როგორც ბიუჯეტის შემოსავლების, განსაკუთრებით კი საგადასახადო შემოსავლების, ისე ხარჯების მოცულობაზე. 2020 წელს ნაერთ ბიუჯეტში დაგეგმილი შემოსავლები, საერთაშორისო პარტნიორების მიერ გამოყოფილი გრანტებისა და კრედიტების გარეშე დაგეგმილი იყო 13.7 მლრდ. ლარის ოდენობით, რაც განახლებული პროგნოზების მიხედვით მცირდება 1.8 მლრდ. ლარით. ივლისში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა -5.5% შეადგინა. აგვისტოში წლიური ინფლაცია 4.8%-ს გაუტოლდა. აგვისტოში წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 0.3%-ით, ხოლო ევროს მიმართ 3.7%-ით გაუფასურების ტენდენციას ავლენს. 2020 წლისთვის მშპ-ის დეფლაციის პროგნოზი 3%-ია.

პანდემიის გავრცელებამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა როგორც კერძო სექტორზე, ისე მოქალაქეების მდგომარეობაზე. საქართველოს ეკონომიკას უნდა მოეხერხებინა გლობალურ და რეგიონულ შოკებთან გამკლავება, საკუთარი და საერთაშორისო პოზიტიური თუ ნეგატიური გამოცდილების გააზრებით ჯანდაცვისა და ეკონომიკური კრიზისის მართვის მიმართულებით. მნიშვნელოვანი იყო კერძო ინიციატივებიც, ანუ ის, თუ რამდენად შეძლებდა ქართული ბიზნესის ნაწილი მაინც თვითორგანიზებას, ახალი ტიპის მომსახურებებისა და პროდუქტების შემუშავებას, რომელიც არსებულ გამოწვევებს მეტად უპასუხებდა.

არსებულ გამოწვევებს საქართველოს მწირი ბიუჯეტი ვერ განვდებოდა. აუცილებელი გახდა დამატებითი რესურსების მოძიება როგორც ბიზნესის, ისე მოქალაქეების პირდაპირი დახმარებებისთვის, ასევე ეპიდემიის გავრცელების პრევენციისა და დაავადებულთა მკურნალობისთვის.

საერთაშორისო სავალუტო ფონდთან საქართველოს მთავრობის წარმატებულმა მოლაპარაკებებმა, საშუალება მისცა ქვეყანას დონორებისგან მოეზიდა მნიშვნელოვანი ფულადი რესურსები. შედეგად, ჯამში მოზიდულ იქნა, 1.5 მლრდ. აშშ დოლარი დახმარება. მათ შორის: IMF – 200.0 მლნ. აშშ დოლარი; ADB – 400.0 მლნ. აშშ დოლარი; WB – 250.0 მლნ. აშშ დოლარი; AFD - 200.0 მლნ. აშშ დოლარი; KfW – 250.0 მლნ. აშშ დოლარი; EU – 200.0 მლნ. აშშ დოლარი; AIIB – 100.0 მლნ. აშშ დოლარი

ეფექტიანი ანტიკრიზისული და პოსტკრიზისული ღონისძიებების გასატარებლად საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ქვეყნის განვითარების ანტიკრიზისული გეგმა. ასევე, USAID-ის დაფინანსებითა და “დელოიტ კონსალტინგის” ექსპერტების

ჩართულობით საქართველოს მთავრობა მუშაობს პოსტკრიზისულ ეკონომიკურ გეგმაზე.

ანტიკრიზისული გეგმა წარმოადგენს მთავრობის ანტიკრიზისულ პოლიტიკას პანდემიასთან ბრძოლის, ვირუსის მართვის, შეზღუდვების, მოქალაქეებსა და ბიზნესსზე ზრუნვის მიმართულებით. ანტიკრიზისული გეგმის ამოსავალი პრინციპია არსებული შეზღუდული რესურსებით რაც შეიძლება მეტი ადამიანის და ბიზნესის მაქსიმალური მოცვა, რათა სახელმწიფოს დახმარება შეძლებისდაგვარად მიიღოს ყველამ, ვინც პანდემიის შედეგად დაზარალდა. მთავრობის განცხადებით ანტიკრიზისულ გეგმა 3 ძირითად პრინციპს ეფუძნება. -მაქსიმალურად შევუმსუბუქოთ ჩვენს მოქალაქეებს ყოველდღიური ეკონომიკური გამოწვევები; მივებმართოთ ბიზნესს სამუშაო ადგილების შენარჩუნებაში; შევიმუშაოთ ინსტრუმენტები, რომ როდესაც ქვეყანა დაიწყებს ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლას, სწრაფად მოხდეს ეკონომიკური განვითარების აღდგენა, სწრაფად დავენიოთ იმ სასტარტო პირობებს, რითაც მიმდინარე წელი დავიწყეთ. COVID-19-თან ბრძოლის ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ბიუჯეტი 2020 წლის განმავლობაში მოიცავს: მოქალაქეებზე ზრუნვა და მათი სოციალური მხარდაჭერა - 1.04 მლრდ. ლარი. ჯანდაცვის სისტემის გაძლიერება და პანდემიასთან ბრძოლა - 350 მლნ. ლარი. ეკონომიკაზე ზრუნვა და მენარმეთა მხარდაჭერა - 1.76 მლრდ. ლარი. დაანონსდა თანხების ეკონომიკურ და სოციალურ საჭიროებებზე გადანაწილება. კერძოდ: ეკონომიკისა და მენარმეთის მხარდაჭერისთვის 2 მილიარდ 110 მილიონი ლარის გამოყოფა, რომელიც განაწილდება მოქმედი კერძო სექტორის მხარდაჭერაზე, სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის გაზრდასა და ადგილობრივი წარმოების ნახალისებაზე. მოსახლეობის სოციალურ საჭიროებებს 1 მილიარდ 35 მილიონი ლარი მოხმარდება. გეგმის სოციალური ნაწილი მოიცავს კორონავირუსის კრიზისის პირობებში დაზარალებული ადამიანების და შინამეურნეობების საჭიროებებს.

ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმის ნაწილია ბიზნესის მხარდაჭერა, რომელიც მოიცავს პროგრამის ფარგლებში ეტაპობრივად ბიზნესზე ზრუნვას. ბიზნესის მხარდაჭერის პირველი ეტაპი - მოიცავს პანდემიით გამოწვეული პირველადი ნეგატიური ეფექტების შესამსუბუქებლად გადაუდებელ ღონისძიებებს, კერძოდ:

ბიზნესსუბიექტებს 4 თვის ქონების და საშემოსავლო გადასახადი გადაუვადდათ 2020 წლის 1-ელ ნოემბრამდე - პროგრამის ბიუჯეტი 171 მლნ. ლარს შეადგენს. გადასახადი უკვე გადაუვადდა 6000-ზე მეტ ეკონომიკურ სუბიექტს.

მცირე სასტუმროებს მიეცათ შესაძლებლობა საბანკო სესხის 6 თვის პროცენტის თანადაფინანსებით ესარგებლათ - 4-დან 50 ნომრამდე სიდიდის სასტუმროები 2020 წლის 1 აპრილიდან იღებენ სა-

ბანკო სესხის 6 თვის პროცენტის თანადაფინანსებას. პროგრამის ბიუჯეტი 14 მლნ. ლარია.

ავტოიმპორტიორებს ავტომობილების განბაჟების გადასახადის 90-დღიანი ვადა მიმდინარე წლის 1- ელ სექტემბრამდე გადაუვადდათ - პროგრამის ბიუჯეტი 50 მლნ. ლარია, ხოლო სარგებელი მიიღო 38 000 იმპორტიორმა.

იურიდიულ პირებს, რომლებსაც შეექმნა საბანკო სესხის მომსახურების პრობლემა, შესაძლებლობა მიეცათ მოახდინონ სესხის გამარტივებული რესტრუქტურირაცია - შესაძლებლობით უკვე ისარგებლა 7 000 იურიდიულმა პირმა.

ბიზნესის მხარდაჭერის მეორე ეტაპი მოიცავს შეღავათებს, რომელიც ბიზნესმენებს მისცემს შესაძლებლობას პანდემიის გამომწვევების ფონზე გააგრძელონ ბიზნესსაქმიანობა:

ამოქმედება დღგ-ს ავტომატური დაბრუნების მექანიზმი და გაორმაგდება დღგ-ის ზედმეტობის დაბრუნება - წელს ბიზნესი დამატებით მიიღებს 600 მლნ. ლარს.

330 მლნ. ლარი გამოიყოფა საკრედიტო-საგარანტიო სქემის უზრუნველსაყოფად. რომლის გამოყენების მთავარი მიზანია ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესება მცირე და საშუალო ბიზნესისთვის სესხის რესტრუქტურირაციისთვის ან ახალი სესხისთვის, მათ შორის საბრუნავი საშუალებების დაფინანსებისთვის.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მიმართულებები, რომელთაც უშუალოდ შეეხო კრიზისი და ამასთან აქვთ კრიზისის შემდგომ, საშუალოვადიან პერიოდში ოპერირების შედარებით სწრაფი აღდგენის პოტენციალი.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება პირობები კერძო სექტორისთვის, რაც მოიცავს გარანტიის დაფარვის დონის ზრდას როგორც ინდივიდუალური სესხის, ასევე პორტფელის დონეზე, საკრედიტო გარანტიით სარგებლობის საკომისიოს შემცირებას, სესხის მოცულობის ზედა ზღვრის ზრდას და გარანტიის მეტად გამოყენების შესაძლებლობას საბრუნავი საშუალებების დასაფინანსებლად. 2020 წელს გამოყოფილი გარანტიის ოდენობა შეადგენს 330 მლნ. ლარს, რაც რეალურად უზრუნველყოფს დაახლოებით 2 მილიარდის ოდენობის საკრედიტო პორტფელის გარანტიას სახელმწიფოს მხრიდან.

საქართველოში 2014 წლიდან ფუნქციონირებს ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა „ანარმოე საქართველოში“. პროგრამა საკმაოდ წარმატებით ხორციელდება. ამ პროგრამის ფარგლებში პანდემიის პირობებში განხორციელდა ცვლილება. შემუშავდა „ანარმოე საქართველოში“ პროგრამების განახლებული ფორმატი, რომელიც გულისხმობს ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, როგორცაა: შენარჩუნებულ სამუშაო ადგილებზე საგადასახადო შეღავათის დაწესება; ქონებისა და საშემოსავლო გადასახადის გადავადება ტურიზმთან დაკავშირებული ბიზნეს სუბიექტებისთვის; საოჯახო, მცირე და სა-

შუალო სასტუმროებისთვის სესხის სუბსიდირება; ყველა იურიდიული პირისთვის სესხის რესტრუქტურირების შესაძლებლობა; ძირითად სასურსათო პროდუქტებზე ფასების ზრდის დაზღვევა; სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამების განახლებული ფორმატით განხორციელება; დღგ-ს ავტომატური დაბრუნების მექანიზმის ამოქმედება და სხვ.

ცვლილება „ანარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში გულისხმობს:

სესხის/(ლიზინგის) თანადაფინანსების პერიოდის 24-დან 36 თვემდე გაზრდას;

საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების მექანიზმის ცვლილებას; საქმიანობის სახეობათა ზრდას; სესხის/(ლიზინგის) მინიმალური ზღვრის დაწევას; საბრუნავი საშუალებების დაფინანსებას (80%-მდე);

ცვლილებები შედის მცირე მენარმეობის განვითარების საგრანტო კომპონენტში - გრანტის მოცულობის მაქსიმალური ზღვარი იზრდება 20 000-ლარიდან 30 000-ლარამდე, ხოლო ბენეფიციარის მხრიდან თანადაფინანსების მოთხოვნა მცირდება 20%-დან 10%-მდე;

კომერციულ ბანკებს მიენოდებათ 600 მლნ. ლარის გრძელვადიანი რესურსი - ლიკვიდურობის პრობლემის გადასაჭრელად, მიზანს წარმოადგენს გრძელვადიანი ლარის რესურსის გაჩენა საბანკო სექტორში. ამისათვის, ფინანსთა სამინისტრო გამოუშვებს დამატებით 600 მლნ. ლარის ღირებულების ფასიან ქალაქებს და მიღებულ თანხას კომერციულ ბანკებში განათავსებს გრძელვადიანი დეპოზიტების სახით.

პროგრამის „ანარმოე საქართველოში“ ფარგლებში მხარდაჭერილია 363 პროექტი, რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 796,1 მლნ ლარს, საიდანაც კომერციული ბანკების მიერ დამტკიცებული სესხების მოცულობა 508 მლნ ლარს აღწევს, ჯამში იქმნება 16 050-ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი.

პირველი შოკის შემდეგ ქართული ბიზნესის ნაწილმა შეძლო ადაპტირება არსებულ მდგომარეობასთან. მოახერხა თვითორგანიზება და ახალი ტიპის მომსახურებებისა და პროდუქტების შემუშავება. მათ დისტანციური მუშაობის პირობებშიც კი მოახერხეს თანამშრომელთა შენარჩუნება და არსებულ გამოწვევებთან გამკლავება.

2020 წლის მაისიდან ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ხელშეწყობით CaucasPack-მა წარმოების რეორგანიზება მოახდინა და გადამუშავებული პლასტიკური ბოთლებისგან მრავალჯერადი გამოყენების ვირუსისგან დამცავი საშუალებების წარმოება დაიწყო. კომპანიამ ამ რეორგანიზაციით გააგრძელა ეკონომიკური საქმიანობა, ბაზრის ახალ მოთხოვნებსაც უპასუხა და სრულად შეინარჩუნა 99 სამუშაო ადგილი. პანდემიის დაწყებამდე რუსთავეში მდებარე შესაფუთი მასალების ადგილობრივი საწარმო კომპანია

CaucasPack- ერთჯერად ჭიქებსა და სურსათის კონტეინერებს აწარმოებდა.

პანდემიის პერიოდში „საპარტნიორო ფონდის“ მხარდაჭერით, საქართველოში უმაღლესი ხარისხის სპეციალური დამცავი საშუალებების დანიშნულების პირბადეების საწარმო „ნიუ ტექნოლოჯი იმპექსის“ პროდუქციის -Faceguard-ის საწარმო გაიხსნა. საწარმოს წარმადობა სრული დატვირთვისას თვეში 12 მლნ პირბადეს შეადგენს. პროდუქცია Faceguard-ი განკუთვნილია, როგორც ადგილობრივი, ასევე - საექსპორტო ბაზრებისთვის.

2020 ის დასაწყისში წინა წელს გახსნილმა კომპანიამ „დოქტორ გუდი“ სტარტაპ საქართველოსა და საპარტნიორო ფონდის კონტრიბუციით წარმოება გააფართოვა და დღე-ღამეში 10 ათ. ხალათსა და 2 ათ.მდე კომბინიზონს აწარმოებს.

„აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის (EBRD) თანადაფინანსებით, გაიხსნა კომპანია „ჩირინას“ ახალი საწარმო, მეფრინველეობის კომპლექსი „სართიჭალა-3“. თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი კომპლექსი „ჩირინა“ ყოველთვიურად დამატებით 600 ტონა ხორცის წარმოებას მოახდენს, რითაც ანაცვლებს იმპორტირებულ გაყინულ ქათმის ხორცს ხარისხიანი ადგილობრივად წარმოებული პროდუქტით. ადგილზე დასაქმდება 50 ადამიანი. პანდემიის პერიოდში გაიხსნა:

მშენებლობისთვის საჭირო მასალების მწარმოებელმა კომპანია Universe Business Group-მა საკუთარი საწარმო გახსნა, რითაც წარმოება გააორმაგა. UBG-ი მშენებლობისთვის საჭირო მასალებს აწარმოებს, როგორცაა ხარაჩო, უსაფრთხოების მოაჯირები, ყალიბები და ა.შ.

ნახევარფაბრიკატების მწარმოებელმა ბრენდულმა კომპანია „რერა“ მ („რერა“ ხორცპროდუქტების იმპორტიორი კომპანია G&A- ს ერთ-ერთი ბრენდია, რომელიც პრემიუმ ხარისხს მიეკუთვნება). ბაზარზე არსებული დიდი მოთხოვნის გამო, გააფართოვა წარმოება და გახსნა ახალი ბრენდი „შინდა“, რომელიც გაყინული ხორცპროდუქტების დაფასოებული ვარიანტია და გათვლილია დაბალფასიან სეგმენტზე. დღეს „რერა“ 350-400 ტონამდე ნახევარფაბრიკატებს აწარმოებს

კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ, ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელში გაიხსნა ვაშლის ჩიფსის კომპანია „ენკენი“ს ახალი საწარმო. 2016 წლიდან მუშაობს. პანდემიის პერიოდში „ენკენმა“ შეძლო, პროდუქცია მარკეტებსა და ონლაინპლატფორმის (soplidan.ge) დახმარებით გაეყიდა, მათ მომხმარებლებს ადგილზე მიტანის უფასო სერვისი შესთავაზეს, რასაც შედეგად ჩიფსების პოპულარობისა და მოთხოვნის ზრდა და მოჰყვა. რამაც დამფუძნებელ ქალებს გადაწყვეტინა პანდემიის პირობებში კომპანიის ახალი საწარმოს გახსნის მიზანი იყო დახმარებოდა გაჭირვებულ მოსახლეობას, დაესაქმებინა და ეზრუნა განსაკუთრე-

ბით ადგილობრივი ქალების გაძლიერებაზე.

„ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში ყვარლის რაიონში, სოფ. ენისელში ამუშავდა თხილის გამრჩევე-საშრობ-სასაწყობო საწარმო (HDS). ახალი საწარმო ყოველწლიურად, კახეთის რეგიონის დაახლოებით 300 ფერმერს მოემსახურება. ის მწარმოებლებს საშუალებას აძლევს შეამცირონ მოსავლის აღების შემდგომი დანაკარგები და მიიღონ მაღალფასიანი პროდუქტი. საწარმოს საშრობის წარმადობა 1 000 ტონაა, ხოლო შენახვის - 500 ტონა.

თბილისში გაიხსნა სპილენძისა და ალუმინის სადენების ახალი საწარმო. საწარმო გაიხსნა პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერითა და თურქული კომპანია „Koç Kablo“ ს მიერ განხორციელებული 15 მლნ ლარის პირდაპირ უცხოური ინვესტიციით. საწარმო აღჭურვილია მსოფლიოში არსებული უახლესი ტექნოლოგიით, რაც სრულად ავტომატიზებულ წარმოებასა და დაბალ საწარმოო ფასს უზრუნველყოფს. საწარმოში 100-ზე მეტი ადამიანი დასაქმდა.

„აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, ქუთაისში ალუმინის პროფილებისა და კარ-ფანჯრების მწარმოებელი საწარმო „ალუტექ ჯორჯია“ ამოქმედდა. პროექტის ინვესტიციის ჯამური მოცულობა კი 700 000 ლარს შეადგენს.საწარმო მომხმარებელს მიანოდებს უახლესი ტექნოლოგიის დანადგარებითა და ენერჯო ეფექტური ტექნოლოგიით დამზადებული პროდუქციას.საწარმო წლიურად 2 მილიონ ლარამდე პროდუქციის წარმოებას შეძლებს.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორში კომბინირებული საკვების თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საწარმო გაიხსნა. საწარმო სახელმწიფო პროგრამის „შელავათიანი აგროკრედიტის“ ფარგლებში აშენდა და ჯამში, 900,000 ლარამდე ინვესტიცია განხორციელდა, აქედან, შელავათიანი აგროკრედიტი 600 000 ლარს შეადგენს, 300 000 ლარი კი ბენეფიციარის ინვესტიციაა.საწარმოში თვეში 80-მდე ტონა კომბინირებული საკვების წარმოებაა შესაძლებელი.

ქ. გორში ბიოდეგრადირებადი პარკების საწარმო ამოქმედდა BM.GE-ის კომპანია „ეკო ჯორჯიას“ მხარდაჭერით. საწარმო საწყის ეტაპზე 50-მდე ადამიანის დასაქმებას შეძლებს და საწარმოს საინვესტიციო ღირებულება, დაახლოებით, 3 მილიონი ლარია.

„ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში, კახეთის რეგიონში გურჯაანის მუნიციპალიტეტში სოფელ ჩუმლაყში ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი ახალი საწარმო გაიხსნა. თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ საწარმოში 4 მლნ ლარზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა, აქედან, 600,000 ლარი გრანტია, ხოლო 1,5 მლნ ლარი შელავათიანი აგროკრედიტი. საწარმოში, სადაც 15 ადამიანია დასაქმებული, 1,000 ტონა ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებაა შესაძლებელი.

ქვემო ქართლში ახალი სამაცივრე ხილის შემნა-
ხელი საწარმო გაიხსნა USAID-ის სოფლის მეურ-
ნეობის პროგრამის ფარგლებში და შპს „აგროკომ-
პლექსის“ თანაინვესტირებით. დამონტაჟდა თანა-
მედროვე ტენიაანობისა და ვენტილაციის მარეგუ-
ლირებელი სისტემა.

პროგრამის „ანარმოე საქართველოში“ მხარდა-
ჭერით კომპანია „მეგადორსმა“, სესხის თანადაფი-
ნანსების კომპონენტით ისარგებლა და ავეჯის ნა-
რმოების დაწყებასა და შოურუმის მოწყობას გეგმა-
ვს. პროგრამის „ანარმოე საქართველოში“ ბენეფი-
ციარი ამჟამად კარების ნარმოებითაა დაკავებული.

ხულოში ხულოს LAG ის ხელშეწყობით ავეჯის
ახალი საწარმო გაიხსნა. რომელიც მალალხარისხი-
ან ავეჯს ამზადებს. **საწარმოს მისიაა, დაასაქმოს
ადგილობრივი მოსახლეობა, შექმნას ისეთი ხა-
რისხის ქართული ნაწარმი, რომლის მოთხოვნა ბა-
ზარზე ყოველთვის იქნება და კონკურენცია გაუწი-
ოს იმპორტირებულ საქონელს.**

ხობში ჩინური ინვესტიციით აშენდება პლატმა-
სის გადამამუშავებელი საწარმო. პროექტი პანდე-
მიის შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან საქა-
რთველოში საწარმოს გადმოტანის ერთ-ერთი პირ-
ველი მაგალითია. პროექტი საგანგებო ვითარების
პარალელურად მზადდებოდა, უახლოეს პერიოდში
კი მშენებლობა დაიწყება. განხორციელდება 50 მლნ
ლარის ინვესტიცია და 400 ადგილობრივი მოსახლე
დასაქმდება,” - კომპანია „გლობალ რისაიკლინგმა“
ხობის მუნიციპალიტეტში 300,000 კვ.მ. მიწა „100
საინვესტიციო შეთავაზების“ პროექტის ფარგლებ-
ში პირობებიან აუქციონზე შეიძინა და სამხრეთ
- აღმოსავლეთ აზიიდან პლატმასის გადამამუშავე-
ბელი ქარხნის გადმოტანას და შემდგომ აღნიშნუ-
ლი მიწოდების ჯაჭვში ჩართული სხვა საწარმოების
საქართველოში გახსნას გეგმავს. პირველ ეტაპზე,
ინვესტორი 50 მლნ ლარის ინვესტიციას განახორ-
ციელებს, ხოლო მომავალში ხობში გეგმავს და-
მატებითი ინვესტიციის განხორციელებას.მათივე
ინფორმაციით, პროექტის ჯამური საინვესტიციო
მოცულობა 30 მლნ ლარზე მეტია. საწარმოში 500-
მდე ადამიანი დასაქმდება.

ქალაქ რუსთავში შპს „construction service“-ი
ლითონის ნაწარმის მწარმოებელი საწარმოს აშენე-
ბს. საწარმო სხვადასხვა სახის ლითონის ნაწარმსა
და კონსტრუქციის ნარმოებას შეძლებს, რომლის
წლიური მოცულობა 6 000 ტონა იქნება. საწარმოს
მოწყობისა და ფუნქციონირების დასაწყებად 2 500
000 ლარის ინვესტიცია განხორციელდება. ამასთან,
შპს „construction service“-ი გამოთქვამს მზადყოფ-
ნას საწარმოს შექმნის შემდგომ დაასაქმოს 30
ადამიანი.სახელმწიფო პროგრამა „ანარმოე საქა-
რთველოში“ ფარგლებში საქართველოს ეკონომი-
კისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ
სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ შპს
„construction service“-ს ქალაქ რუსთავში 10000 კვ.მ.
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნა-

კვეთი პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადასცა.

რუსთავში კიდევ ორი ახალი საწარმო აშენდება.
პოლიესტერის სინთეზური ბოჭკოსა და სილიკომა-
ნგანუმის საწარმოების მშენებლობის

ეკონომიკის სამინისტროს სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტოს და „ანარმოე საქართველო-
ში“ მხარდაჭერით რუსთავში სამკერვალო საწარმო
„ქართლი ტექსტილი“ 4 თვეში სრული დატვირთვით
ამუშავდება. სამკერვალო საწარმოს ასაშენებლად
კომპანიას სააგენტოსგან ქალაქ რუსთავში მდებარე
38055 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებუ-
ლი შენობა-ნაგებობები 1 ლარად გადაეცა.

საწარმოს ასაშენებლად „ქართლი ტექსტი-
ლი“ 20 მლნ ლარის ინვესტიციის განხორციელებას
და 3000 ადამიანის დასაქმებას გეგმავს. საწარმო
- „ქართლი ტექსტილი“ „აჭარა ტექსტილს“ ეკუთვ-
ნის, რომელსაც ბათუმში, ფოთსა და ქობულეთში
სამი სამკერვალო ფაბრიკა აქვს. „აჭარა ტექსტილი“
წლიურად 15 მლნ-ზე მეტი ერთეული პროდუქციის
წარმოებასა და ექსპორტს ახორციელებს. ის თანა-
მშრომლობს ისეთ ნამყვან საერთაშორისო კომპა-
ნიებთან როგორებიცაა: Nike, ADIDAS, Puma და ა.შ.
დასაქმებულია 3500 ადამიანი.

პროგრამა „ანარმოე საქართველოში,“ წარმატე-
ბით ასრულებს ფუნქციას - უკვე 600-ზე მეტი სხვა-
დასხვა საწარმო და სასტუმროა მხარდაჭერილი,
6000-ზე მეტი მიკროგრანტია ოჯახებზე გაცემუ-
ლი მიკროსამწარმოო საქმიანობისთვის და, ჯამში,
შექმნილია 34 000 ახალი სამუშაო ადგილი.

პროგრამას „ანარმოე საქართველოში“ განსა-
კუთრებით გააქტიურდა პოსტპანდემიურ პერი-
ოდში. ხელისუფლების განცხადებით ქართული
წარმოება არის ძალიან კონკურენტუნარიანი, რა-
დგან პანდემიის პერიოდშიც კი აჩვენებს პოზიტი-
ურ დინამიკას. საქართველოს რეალურად შეუძლია
ახალ შესაძლებლობად აქციოს კორონავირუსით
გამონვეული გლობალური პრობლემა, რომლის
წინაშეც დღეს მსოფლიო დგას. მსოფლიო ბანკის
შეფასებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების
მშპ-სთან შეფარდებით საქართველო მსოფლიოში
მე-10 ადგილს იკავებს. კორონავირუსით შექმნი-
ლი გლობალური ტენდენციებიდან გამომდინარე,
ტრადიციული ინდუსტრიული ჰაბები სავარაუდოდ,
შეიცვლება და ბევრი მულტინაციონალური კორპო-
რაცია ეცდება წარმოების დივერსიფიკაციას, მათ
შორის გეოგრაფიულ დივერსიფიკაციასაც. ჩვენი
გეოპოლიტიკური ლოკაცია და საპორტო პროექტე-
ბი, ინვესტორს ყველა წინაპირობასა და კომფორტს
უქმნის, რომ ბიზნესი საქართველოში გადმოიტა-
ნოს. ჩვენს ეკონომიკას საკმაოდ მიმზიდველს ხდის
საქართველოს წარმატება მსოფლიო რეიტინგებში,
მათ შორის ბიზნესის კეთების რეიტინგში, ეკონო-
მიკური თავისუფლების ინდექსში, გადასახადე-
ბის სიმცირის რეიტინგში და სხვა. ჩვენთვის უკი-
დურესად მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური
ინვესტიციების ახალმა ტალღამ მოიტანოს მეტი

დასაქმება ქვეყანაში და ის პროექტები, რომელიც გარკვეული დოზით დასაქმებას უზრუნველყოფს. ამისათვის მათ საქართველოს მთავრობა თავის მხრივ დამატებით ფინანსურ, ორგანიზაციულ და ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერას ჰპირდება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით 2021 წელს საქართველოს ეკონომიკა, მთავრობის მიერ გატარებული ეფექტიანი ღონისძიებების ხელშეწყობით 4%-ით გაიზრდება. ფაქტია, რომ პანდემიის შემდეგ ახალი სირთულეებისა და გამოწვევების წინაშე დავდგებით. ეს იქნება ეკონომიკური ზარალის ანაზღაურება, ქვეყნის ნორმალურ ფუნქციონირებაზე დაბრუნება და მოსახლეობისთვის ყოველდღიური ცხოვრების გამარტივება და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

საქართველოში ბიზნესის კეთების მიხედვით თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ხარისხი მაღალია. პროგრამა „ანარმოე საქართველოში“ უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობითა და თანადაფინანსებით ხელს უწყობს ახალ ბენეფიციარებს. მაგრამ აუცილებელია პრიორიტეტად ვაქციოთ ადგილობრივი წარმოება და მხარი დავუჭიროთ ქვეყანაში ეროვნული ეკონომიკის განვითარებას.

ახალი კორონავირუსის ფონზე სწორედ გამოი-

კვეთა ქვეყანაში ადგილობრივი წარმოების განვითარების აუცილებლობა. შესაძლებელია კორონავირუსს დადებითი ეფექტიც გააჩნდეს და ეროვნული ეკონომიკის აღორძინების საფუძველადაც კი მოგვევლინოს

მაგრამ გლობალური პანდემია გრძელდება და გაურკვეველია, როგორი იქნება მსოფლიო კორონავირუსის პანდემიის შემდეგ. მოსალოდნელია, რომ Covid-19 შედეგები, რომელიც აისახება ეკონომიკაზე, იქნება გრძელვადიანი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმა 2020 წ. ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა. ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა
2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალური მასალები: ეკონომიკური პოლიტიკა; ეკონომიკური მიმოხილვა; პროექტები.
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები 2019-2020 წწ.
4. IMF-საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზი საქართველოზე ოქტომბერი 2020

სოციალური ეკონომიკის ახალი ამოცანები, COVID 19-ით გამოწვეული კრიზისის პირობებში

ლელა ბოჭოიძე

სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

მაია ჩინჩალაძე

სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

NEW TASKS FOR THE SOCIAL ECONOMY IN THE CONTEXT OF THE CRISIS CAUSED BY COVID 19

Lela Bochoidze

Associate Professor, GTU

Maia Chinchaladze

Associate Professor, GTU

RESUME

The spread of COVID 19 has plunged the world economy into a global crisis. It should be noted that the social economy, in particular, has played a particularly important role in the recovery of the economy and society, in terms of mitigation, short-term or long-term, devastating consequences caused by the crisis.

In the short term, the development and implementation of anti-crisis plans and measures by government and state agencies through active and innovative approaches has become a major task of the socio-economy.

In the long run, social economy organizations have demonstrated the ability to reshape the post-crisis economy - by promoting inclusive and sustainable economic models.

Based on the social economy, it is possible to create new, socially innovative models. Social economics, includes, associations, cooperatives, foundations, organizations, enterprises and focuses on sustainable and inclusive economic practices. Social economy organizations, in the crisis, work in the foreground, their goal is to solve social problems, seek alternative ways and introduce innovations.

საკვანძო სიტყვები: სოციალური ეკონომიკა, კრიზისი, სოციალური პრობლემები, დასაქმება, სოციალური კეთილდღეობა, ეკონომიკური საქმიანობა, წარმოება.

ქირითადი ტექსტი

COVID 19 - ის გავრცელებამ, მსოფლიო ეკონომიკა, გლობალურ კრიზისში მოაქცია. აღსანიშნავია რომ, სოციალურმა ეკონომიკამ, განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა, ეკონომიკისა და საზოგადოების გაჯანსაღებაში, კრიზისით გამოწვეული, მოკლევადიან თუ გრძელვადიან, დამანგრეველ შედეგების, შერბილების კუთხით.

მოკლევადიან პერიოდში, სამთავრობო და სახელმწიფოებრივი უწყებების მიერ, აქტიური და ინო-

ვაციური მიდგომებით, ანტიკრიზისული გეგმების და ღონისძიებების შემუშავება და გატარება, სოციალური ეკონომიკის მთავარი ამოცანა გახდა.

გრძელვადიან პერსპექტივაში, სოციალური ეკონომიკის ორგანიზაციებმა, პოსტკრიზისული ეკონომიკის - ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური მოდელების პოპულარიზაციის გზით - ახლებურად ფორმირების უნარი გამოავლინეს.

სოციალურ ეკონომიკაზე დაყრდნობით, შესაძლებელია ახალი, სოციალურ ინოვაციური მოდელების შექმნა. სოციალური ეკონომიკა, მოიცავს, ასოციაციებს, კოოპერატივებს, ფონდებს, ორგანიზაციებს, სანარმოებს და ფოკუსირდება, მდგრად და ინკლუზიურ ეკონომიკურ პრაქტიკაზე. სოციალური ეკონომიკის ორგანიზაციები, კრიზისისას, წინა პლანზე მუშაობენ, მათი მიზანიც შესაბამისად, სოციალური პრობლემების მოგვარება, ალტერნატიული გზების ძიება და ინოვაციების დანერგვაა.

სოციალური ეკონომიკის ორგანიზაციებმა - რომელთა საქმიანობა, ხელს უწყობს პოსტკრიზისული ეკონომიკის აღდგენასა და წინსვლას, წინ ნამოსწიეს, სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების, განახლებული მოდელები და მოგების მაქსიმიზაციის ამოცანასთან შედარებით, უპირატესობა, სოციალური ეკონომიკის, ინოვაციურ ბიზნეს მოდელების შემუშავებას და დანერგვას მიანიჭეს. სოციალური ეკონომიკის, ბიზნეს მოდელები, უნიკალურია, მრავალი თვალსაზრისით:

პირველ რიგში, სოციალურ ეკონომიკურ ორგანიზაციებს, შეუძლიათ, ფინანსური და არაფინანსური რესურსების მობილიზება (ეს რესურსებია: შემოსავლები რეალიზაციიდან, საზოგადოებრივი სუბსიდიები, მოხალისეთა შემოწირულობები) სხვადასხვა წყაროებიდან: საჯარო სექტორიდან, სანარმოებიდან, ფონდებიდან, ინდივიდუალური პირებიდან. რაშიც გამოიხატება, სოციალური ეკონომიკის, ორმაგი დატვირთვა.

მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, მთავარ ამოცანას წარმოადგენს. ხოლო სოციალური პროგრესის ინდექსი, ცხოვრების - რეალურ სურათს ასახავს. ინდექსები, თითოეული ქვეყნის სოციალურ პროგრესს ასახავს, ანალიზებს რა, გლობალურ და რეგიონულ ტენდენციებს.¹ მრავალ-

1 <https://www.socialprogress.org/?tab=2&code=GEO&compare=GEO&compare=ITA&compare=JPN&prop=SPI>
2020 წლის სოციალური პროგრესის ინდექსი

ფეროვანი ინდიკატორებიც - ამავე მიზანს ემსახურება. მართვის მოდელები ხელს უწყობენ, ეკონომიკურ - სოციალურ შედეგებზე ორიენტირებული გადანყვეტილებების რეალიზაციას.

ევროკავშირში - 2,8 მლნ. სოციალური ეკონომიკის სუბიექტია, რაც, საშუალოდ, ევროკავშირის მასშტაბით, მთლიანი დასაქმების მაჩვენებლის, 6.3%-ია. საყურადღებოა, რომ, სოციალური ეკონომიკა, მდგრადი იყო, 2008 წლის ეკონომიკურ კრიზისშიც და გლობალური, ფინანსური კრიზისის შემდგომაც.

ნულგანი კორელაცია - რომლის დროსაც CSR ქმედებები არანაირ ეფექტს არ ახდენს ფირმების საფინანსო საქმიანობაზე. ჩვენი სუბიექტური აზრით ამგვარი ქმედების ემპირიული დასაბუთება რთულია.

„ს“-ს მსგავსი კორელაცია - არსებობს მოსაზრება, რომ ფირმები, რომელთაც დაბალი CSR აქვთ, აქვთ მაღალი კორპორაციული ფინანსური მაჩვენებლები და ფირმები, რომელთაც აქვთ CSR-ის ზომიერი შესრულება, აქვთ დაბალი კორპორაციული ფინანსური მაჩვენებლები, ხოლო მაღალი CSR-ს მქონე ფირმებს აქვთ ყველაზე მაღალი კორპორაციული ფინანსური მაჩვენებლები. ეს ნიშნავს, რომ საშუალო CSR უკავშირდება ყველაზე მაღალ ფინანსურ მაჩვენებლებს. რა თქმა უნდა ეს უკანასკნელი ურთიერთკავშირი ყველაზე ლოგიკურ ახსნად შეიძლება ჩაითვალოს ამ ორი კომპონენტის.

ზემოთ განხილულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ CSR-ს ნამდვილად შეუძლია დაეხმაროს ფირმას კონკურენტული პოზიციის დამყარებაში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ფირმის რეპუტაციის სწორად პროგნოზირებას და გაზრდის მომხმარებელთა კმაყოფილებას, რაც თავის მხრივ ასევე აუცილებლად გაზრდის კომპანიის ფინანსურ ღირებულებას. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია

დავასკვნათ, რომ CSR საქმიანობას მყარი კავშირი აქვს ფინანსურ ღირებულებასთან, მომგებიანობასთან, მომხმარებელთა ურთიერთობასთან, თანამშრომელთა კმაყოფილებასთან. ამავდროულად აღსანიშნავია ის დამატებითი მოგება, რომელიც საუკეთესო ინდიკატორია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფირმების საფინანსო მდგომარეობაზე პროგრამის ნარმატების დასადგენად. ამ მოსაზრების საფუძველია ის, რომ მოგება არის საერთო მაჩვენებელი, რომელიც მოიცავს ფირმის საქმიანობის ყველა კომპონენტს მათ შორის - კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Freeman, R. E. Stakeholder Theory: The State of the Art. England: Cambridge University Press. 2010.
2. Freeman, R., Edward, J., Hoerisch, and S. Schalteger. "Applying Stakeholder Theory in Sustainability Management." Organizations and Environment. 2014.
3. CSRHUB-Sustainability management tools. (n.d.). მოპოვებული: CSRHUB.COM: https://esg.csrhub.com/csrhub-data-schema?_ga=2.56156524.672497720.1593772563-1618234333.1592897264.
4. გვენეტაძე ლ., კორპორაციული ფინანსები. I ნაწილი, თბილისი 2010.

ინოვაციური განვითარების სტრატეგიისა და პრიორიტეტების ფორმირების სტრატეგიისა და პრიორიტეტების ფორმირების აქტუალური საკითხები

აკაკი გვარუციძე
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

გრიგოლ აბრალავა
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

სამეცნიერო სტატიაში განხილულია ინოვაციური განვითარების სტრატეგიისა და პრიორიტეტების ფორმირების აქტუალური საკითხები.

აღნიშნულია, რომ ინოვაციური განვითარების სტრატეგიისა და სტრუქტურის ფორმირება-სრულყოფას განაპირობებს ფაქტორთა წრე, რომელთა შორის განსაკუთრებული და არსებითი მნიშვნელობისა მეცნიერული შემეცნების შინაგანი ლოგიკა, ინოვაციური პროცესის მონაწილე სუბიექტთა პრაქტიკული მოთხოვნილებები, უკუკავშირი მეცნიერებასა და პრაქტიკას შორის და სხვა.

ოცდამეერთე საუკუნემ ნათლად დაგვანახა, რომ სწორედ ინოვაციური სფეროს განვითარებაში მიღწეული დონე და დინამიზმი ქმნის ეკონომიკური ზრდის მყარ ბაზას, ვინაიდან ინოვაციები ეროვნული და მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მამოძრავებელი ძალაა.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია, დინამიზმი, სტრატეგია, პრიორიტეტი.

FORMATION OF INNOVATIVE DEVELOPMENT STRATEGIES AND PRIORITIES

Akaki Gvarucidze
Associate Professor of GTU
Grigol Abralava
PhD Student of GTU

SUMMARY

The scientific article discusses topical issues of innovation development strategy and formation of priorities.

It is noted that the formation-improvement of the innovation development strategy and structure is conditioned by a circle of factors, among which the special logic of scientific cognition of special and essential importance, Innovative process participants practical requirements, feedback between science and practice, and more.

The twenty-first century has clearly shown that it is the level and dynamism achieved in the development of the innovative field that forms a solid basis for economic growth. Whereas innovation is the driving force behind the development of the national and world economies.

Keywords: Innovation, Dynamism, Strategy, Priority.

* * * *

წარმოების მეცნიერულ-ტექნოლოგიური განვითარება საზოგადოების განვითარების განუყოფელი ნაწილია. მისი განვითარების დონე განისაზღვრება არა ცალკეულ მიღწევათა ვიწრო ტექნიკური ეფექტით, არამედ ფართო სოციალურ-ეკონომიკური შედეგებით, რაც უშუალოდ განპირობებულია ინოვაციური პროცესების ეფექტიანობის ამაღლებითა და შემდგომი განვითარებით.

საზოგადოების პროგრესს განსაზღვრავს ორი უმთავრესი ფაქტორი: ინოვაციები და მისი გავრცელების გლობალურობა. სხვაგვარად ნებისმიერი სიასხლე დარჩებოდა ჩაკეტილ სივრცეში და იქნებოდა, ერთი რომელიმე პიროვნების ან პიროვნებათა ჯგუფის ხელში. საერთოდ მეცნიერებას საზღვრები არ გააჩნია, მსითვის უცხოა შეზღუდული გარემო, რომლის ფარგლებშიც დიდი მეცნიერული აღმოჩენები და გამოყენებითი ხასიათის მიღწევები შეუძლებელი იქნებოდა. გამომდინარე ამ ლოგიკიდან ინოვაციური განვითარების კონკრეტული სტრატეგია ერთი ქვეყნის ფარგლებში სრულებითაც არ ნიშნავს მის იზოლირებას საერთო ინოვაციური ტენდენციებიდან.

ფუნდამენტურ და გამოყენებით გამოკვლევათა და დამუშავებთა პრიორიტეტები განისაზღვრება იმისდა მიხედვით, თუ როგორაა მტკ-ის სტრატეგიული მიმართულებები, ხოლო ამ უკანასკნელს კი განსაზღვრავს, ერთის მხრივ, ძირითადი ურთიერდაკავშირებული მეცნიერულ-ტექნიკური ფაქტორები, ხოლო მეორეს მხრივ კი უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები.

ინოვაციური განვითარების სტრატეგიისა და სტრუქტურის ფორმირება სრულყოფას ფაქტორთა წრე განაპირობებს, რომელთა შორის განსაკუთრებული და არსებითი მნიშვნელობისაა: მეცნიერული შემეცნების შინაგანი ლოგიკა, ინოვაციური პროცესის მონაწილე სუბიექტთა პრაქტიკული მოთხოვნილებები, უკუკავშირი მეცნიერებასა და პრაქტიკას შორის და ა.შ.

მეცნიერული შემეცნების განვითარების შინაგანი ლოგიკა განისაზღვრება მეცნიერებაში მიმდინარე ევოლუციური და რევოლუციური პროცესებით, მათი გამოყენების შესაძლებლობებით, გავლენა მოახდინონ ეკონომიკური პროცესის სუბიექტებსა და ობიექტებს შორის ურთიერთობათა განვითარებაზე, ცვლილებები შეიტანონ ერთობლივი მოთხოვნის სტრუქტურაში.

ეკონომიკური პროცესების სუბიექტთა პრაქტი-

კული მოთხოვნები ყალიბდება მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების საზოგადოებრივ წარმოებაში გამოყენების შესაძლებლობათა და კონკურენციის პირობებით.

უკუკავშირის მეცნიერებასა და პრაქტიკას შორის განაპირობებს საზოგადოებაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების კომპლექსი, რომელიც ცხადია, ამა თუ იმ ქვეყნისათვის განსხვავებულია და, რომელთა გადაწყვეტაც საჭიროებს მეცნიერულ კვლევას. ამდენად, პრაქტიკული მოთხოვნები გადაიზრდება მეცნიერულ მოთხოვნებში. ასევეა პირიქით, როდესაც მეცნიერული მოთხოვნები „გარდაიქმნებიან“ პრაქტიკულ მოთხოვნებად.

ვინაიდან ძირითადი ეკონომიკური სტრატეგია და მეცნიერულ – ტექნიკური პოლიტიკა განისაზღვრება მართვის უმაღლეს დონეზე სახელმწიფოს მიერ, ცხადია, მისი პრეროგატივაა მეცნიერულ გამოკვლევათა და დამუშავებთა პრიორიტეტების ფორმირებაც. მანვე უნდა უზრუნველყოს აგრეთვე იმავე მართვის დონეზე სათანადო ორგანიზაციული სისტემის სრულყოფა და ეფექტიანი ფუნქციონირება. აქ აუცილებლად იქნებიან ჩართული პროფესიული და დაინტერესებული ჯგუფები, საექსპერტო კომისიები ამა თუ იმ მიმართულებით და ცალკეულ პრობლემებზე.

პრიორიტეტთა ფორმირებისათვის აუცილებელია შემუშავდეს გადაწყვეტილებათა მიღების რაციონალური მოდელი, რომელმაც უნდა მოიცვას შემდეგი ეტაპები:

1. პრობლემის დიაგნოზი;
2. შეზღუდვებისა და კრიტერიუმების ფორმულირება გადაწყვეტილებათა მისაღებად;
3. ალტერნატიული ვარიანტების გამოვლენა;
4. ალტერნატივების შეფასება;
5. ალტერნატივის არჩევა.

პრიორიტეტთა ფორმირების ორგანიზაციულ-ეკონომიკური სისტემა ამავდროულად უნდა იქცეს ქვეყნის ეკონომიკისა და მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების სტრატეგიულ-კურსის შენარჩუნებისა და განვითარების საშუალებად, მეცნიერული გამოკვლევებისა და დამუშავებისას მართვის ერთ-ერთ ინსტრუმენტად პერსპექტიული თემების შერჩევისა და პრიორიტეტების ყოველწლიურად განსაზღვრის პროცესად. მათ შესაბამისად მოხდება საბიუჯეტო სახსრების გამოყოფა კონკრეტული სამუშაოებზე და შეიქმნება მოტივები ინვესტიციური აქტივობისათვის.

მეტად მნიშვნელოვანია, თუ როგორ იქნება თანაფარდობა დანახარჯების სისტემაში ფუნდამენტურ და გამოყენებით გამოკვლევებსა და დამუშავებას შორის. როგორც მონიშნავენ ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს საშუალოდ ფუნდამენტურ გამოკვლევებზე მოდის 14%, გამოყენებით გამოკვლევებზე 25%, ხოლო დამუშავებებზე 63%. ამ თანაფარდობას განაპირობებს დადებითი შედეგის მიღების ალბათობა, რომელიც შეადგენს: ფუნდამენტურ გამოკვლევათა სტადიაზე –5–10%–ს, გამოყენებით

გამოკვლევათა სტადიაზე 85–90%–ს, დამუშავების პროცესში 95–97%–ს.

საქართველოს ესაჭიროება ფუნდამენტურ და გამოყენებით გამოკვლევებსა და დამუშავებებს შორის ისეთი ოპტიმალური თანაფარდობის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს მეცნიერების ეფექტიანობის ამაღლებას, ინოვაციური პროცესის გააქტიურებას, პირველი რიგის სოციალური პრობლემების გადაწყვეტას და ა.შ.

ამ მიზნით საჭიროა გატარდეს სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც დაეფუძნება შემდეგ არსებით პრინციპებს:

1. ფუნდამენტურ გამოკვლევებს უმთავრესად დააფინანსებს სახელმწიფო;
2. სახელმწიფო დააფინანსებს მხოლოდ იმ გამოყენებითი ხასიათის პროგრამებს, რომლებიც ემსახურებიან ისეთი განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მიმართულებებს, როგორცაა თავდაცვა, ენერგეტიკა, კავშირგაბმულობა, დასაქმება და ა.შ.

3. სახელმწიფო ხელს შეუწყობს კერძო სექტორში ინოვაციური განვითარების მოტივების შექმნას და განვითარებას ისეთი არაპირდაპირი მეთოდებით, როგორცაა: პროტექციონისტულ-ლიბერალური საგადასახადო და საკრედიტო პოლიტიკა, მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციით უზრუნველყოფის სისტემის განვითარება, სალიცენზიო, საპატენტო და ანტიმონოპოლიური სრულყოფა და ა.შ.

4. საბიუჯეტო სახსრების განაწილებისას სახელმწიფო უპირატესობას ანიჭებს იმ პროგრამებს, რომლებიც ხორციელდება ჯანმრთელობის დაცვის, მრეწველობის, ენერგეტიკისა და კავშირგაბმულობის მიმართულებით.

ფუნდამენტური და გამოყენებითი გამოკვლევებისა და დამუშავებისას პრიორიტეტების განსაზღვრა ორგანიზაციულ-ეკონომიკური სისტემის განვითარების შესაბამისად უნდა განხორციელდეს აგრეთვე მთლიანად ინოვაციური სფეროს მართვის სტრუქტურის ტრანფორმაცია.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებათა ერთობლიობა ხელს შეუწყობს ინოვაციური განვითარების სტრატეგიისა და პრიორიტეტების ფორმირება-სრულყოფას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბრალავა ა. „ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები“. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბ. 2014წ.
2. აბრალავა ა. „ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია“. „ინოვაცია“. თბ. 2015წ.
3. გვარუცია ა. „სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციის მეთოდები. ჟურ. „სოციალური ეკონომიკა“. #3. 2015წ.
4. კინმარიშვილი ქ. „ინოვაციური მენეჯენტი“. „ბექვითი სამყარო“. თბ. 2011წ.
5. Иновационный менеджмент. Под.ред. С.И.Ильенковой. М. 2014
6. <http://www.russha.ru/>

სოფლის მეურნეობის როლი სახელმწიფო ეკონომიკის განვითარებაში

დალი სილაგაძე

ბიზნესის მართვის დოქტორი,
აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში გაშუქებულია სოფლის მეურნეობის როლი სახელმწიფო ეკონომიკის განვითარებაში, რამდენადაც საქართველოსთვის სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვანია და ეკონომიკის ძირითადი სექტორია.

ჩვენს მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა სოფლის მეურნეობის როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, რისთვისაც განვიხილეთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ეკონომიკური მაჩვენებლები, მიზეზები რაც ხელს უშლის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას და ის რეკომენდაციები, რაც ხელს შეუწყობს აგრარული სფეროს განვითარებას და ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებას.

დასკვნის სახით გვინდა ვთქვათ, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება ეკონომიკაში წარმოადგენს ეკონომიკის მდგრადობის ერთ-ერთ საყრდენ ძალას, ამიტომ მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რომ სახელმწიფომ დაწეროს ახალი ტექნოლოგიები და ინოვაციები აგრარულ სექტორში, შექმნას სასურველი საინვესტიციო გარემო და გაატაროს სწორი აგრარული პოლიტიკა.

საკვანძო სიტყვები: სოფლის მეურნეობის როლი, ეკონომიკის განვითარება, ეკონომიკის მდგრადობა, აგრარული სექტორი, სწორი აგრარული პოლიტიკა.

THE ROLE OF AGRICULTURE IN THE DEVELOPMENT OF THE STATE ECONOMY

Dali Silagadze

Doctor of Business Management,
Akaki Tsereteli State University

SUMMARY

The article covers the role of agriculture in the development of the state economy, as agriculture is important for Georgia and is a key sector of the economy.

Our aim was to study the role of agriculture in the development of the country's economy, for which we discussed the economic indicators of agricultural production, the reasons that hinder the production of agricultural products and the recommendations that will help develop the agricultural sector and strengthen the country's economy.

In conclusion, we want to say that the development of agriculture in the economy is one of the cornerstones of economic sustainability, so it is advisable for the state to introduce new technologies and innovations in the agricultural sector, create the desired investment environment and pursue the right agrarian policy.

* * * *

სოფლის მეურნეობას ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში დიდი როლი აკისრია. სოფლის მეურნეობა აწარმოებს იმ სახის პროდუქციას რაც მნიშვნელოვანი და აუცილებელია ადამიანების კვებისა და არსებობისათვის. მსოფლიოში მიმდინარე ეკოლოგიური პროცესებიდან გამომდინარე, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ნატურალური საკვები პროდუქტები. ეს გამოწვეულია გლობალური ეკოლოგიური პრობლემებითა და რიგ ქვეყნებში კლიმატური და გეოგრაფიული მდგომარებით. მათ შორის სოფლის მეურნეობისათვის განვითარებისათვის საკმარისი რესურსების არ არსებობის გამო, იგულისხმება ნაყოფიერი ნიადაგი და კლიმატი. სოფლის მეურნეობა ეკონომიკის ერთ-ერთი ფუნდამენტალურად მნიშვნელოვანი დარგია, დამოკიდებულია ბუნებრივ რესურსებზე და პირობებზე.

სოფლის მეურნეობის განვითარება ეკონომიკაში წარმოადგენს ეკონომიკის მდგრადობის ერთ-ერთ საყრდენ ძალას. ეკონომისტები სოფლის მეურნეობას განიხილავენ, როგორც ინდუსტრიული სფეროს მამოძრავებელ საშუალებას. ის ასევე საჭიროებს სხვა დარგებში არსებულ პროდუქციას. გარდა ამისა, ეს დარგი არის დასაქმების ერთ-ერთი საშუალება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობა მოითხოვს მუდმივად ინოვაციების დანერგვასა და ხელშეწყობას ტექნოლოგიური თავლსაზრისით. აგრარული პოლიტიკის შემუშავება აუცილებელია იმისათვის, რომ მოხდეს სოფლის მეურნეობის განვითარება.

სოფლის მეურნეობის განვითარება მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ეკონომიკისათვის, ძალზედ დიდი მნიშვნელობა აქვს აგრარული პოლიტიკას, მისი მეშვეობის შედეგად ხდება სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამამუშავებელი და საბოლოო პროდუქციის მწარმოებელი კვების და მრეწველობის სხვა სექტორების განვითარების სტიმულირე-

ბა, რაც საბოლოო ჯამში გამოიწვევს სხვადასხვა ეკონომიკის შემადგენელი კომპონენტების განვითარებას და წარმოებას, ბაზარზე საჭირო რაოდენობით პროდუქციის შეტანას.

ეს კომპონენტებია: მოსახლეობისათვის აუცილებელი სურსათითა და საჭირო საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა, ვეტერინარიისა და აგრონომიის განვითარება, არსებულ სფეროში მედიკამენტების უზრუნველყოფა და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა. მნიშვნელოვანია ბუნებრივი კატასტროფების გათვალისწინება, წყალდიდობები, უხვი ნალექი ან გვალვა, საჭიროა სარწყავი საშუალებების დანერგვა და განვითარება.

აგრარული რეფორმების განხორციელებისას მიზანშეწონილია, გათვალისწინებული იქნეს განვითარებულ ქვეყნებში მიღებული დადებითი გამოცდილება, კერძოდ, სოფლის მეურნეობის განვითარებაში სახელმწიფოს როლის გაუმჯობესება, განსაკუთრებით ახალი ტექნოლოგიების გამოყენების სუბსიდირება, მცირე და საშუალო ზომის ფერმებში მრავალფეროვანი მხარდაჭერა და სხვა.

სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის სახელმწიფოსა და ქვეყანაში შერჩეულ ეკონომიკურ პრიორიტეტებსა და პოლიტიკას დიდი მნიშვნელობა აქვს. მსოფლიოში რიგი ქვეყნები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ სოფლის მეურნეობის განვითარებას და ამის ხარჯზე ქვეყანაში იმპორტის შემცირებას.

კოვიდ-19-ის გამო საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებში, ეკონომიკური პარამეტრები მკვეთრად გაუარესდა. შესაბამისად, ნეგატიურია როგორც ეკონომიკური, ასევე ფისკალური პროგნოზები, რაზეც აღმასრულებელი ხელისუფლებაც აცხადებს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, საქართველოს საგადასახდელო ბალანსის დანაკლისი იქნება - 1.4 მილიარდ აშშ დოლარამდე 2020 წლის განმავლობაში, ხოლო 0.4 მილიარდი აშშ დოლარი 2021 წლის განმავლობაში. საქართველოს მთავრობა მიმდინარე წლის მეოთხე კვარტლიდან მდგომარეობის გაუმჯობესებას ელოდება და 2021 წლის განმავლობაში ეკონომიკის ოთხპროცენტიან ზრდას პროგნოზირებას. ეკონომიკური ზრდის მიღწევა მხოლოდ ეროვნული მრეწველობისა და აგრარული სექტორის განვითარებით გახდება შესაძლებელი.

„სოფლად მოსახლეობის 51% ცხოვრობს და ამ დროს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მთლიანი შიგა პროდუქტის ნახევარიც კი არ მოდის. ეს კატასტროფული შედეგია. წარმოების მასშტაბებს თუ დავაკვირდებით, აღმოვაჩინთ, რომ დოვლათი ძირითადად თბილისში იწარმოება და იქმნება პროდუქცია. ეს ნიშნავს, რომ საშუალო ძალის დიდი ნაწილი დედაქალაქშია თავმოყრილი. ხელისუფლებამ პრობლემის აღმოსაფხვრელად მაქსიმალურად

უნდა გაანანილოს რესურსები ცენტრსა და რეგიონებს შორის.

საქართველოს ეკონომიკაში აგრარული წილი კრიტიკულად დაბალ დონეზეა. 2018 წლის მდგომარეობით, სოფლის მეურნეობის წილი ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტში (მშპ) ფაქტობრივად არ განსხვავდება 2013 წლის იმავე მაჩვენებლისგან, რაც 8პროცენტს შეადგენს. იმავე სტატისტიკით 2017 წლის მონაცემებით, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო 737 ათასი ადამიანი, რაც ქვეყნის მასშტაბით დასაქმებულთა დაახლოებით 43 პროცენტს შეადგენს. ამ ადამიანების საშუალო თვიური პროდუქტიულობა მხოლოდ 344 ლარია, რაც 10-ჯერ ჩამორჩება სხვა სექტორში დასაქმებულების მაჩვენებელს.

„ევროპული ქვეყნების მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილი უფრო ნაკლებიც არის, მაგრამ სანაცვლოდ ტექნიკური შეიარაღების მაღალი დონეა და სექტორში დასაქმების რაოდენობაც შედარებით ნაკლებია“, (აკადემიკოსი ა. სილაგაძე), რომლის შეფასებითაც, საქართველოს სოფლის მეურნეობაში აქვს საკმაოდ მაღალი პოტენციალი, რომ სერიოზული დოვლათი შეიქმნას და ეკონომიკა განვითარდეს.

„საქართველოში სოფლის მეურნეობის წილი დაბალია, როცა დარგში დასაქმებულთა რაოდენობა ძალიან მაღალია ანუ საერთო დასაქმებულთა ნახევარზე მეტს შეადგენს. ეს არის პარადოქსული სიტუაცია წლების განმავლობაში, რომელიც ვერ შევამცირეთ. სტატისტიკა ნამდვილად არასახარბიელოა, ეს მოულოდნელიც იყო განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მთავრობამ სოფლად დიდი ინვესტიციები განახორციელა. თუმცა არ არის გასაკვირი, რადგან აგრარული პროდუქტის იმპორტი მატულობს, ხოლო ადგილობრივი წარმოების ნახალისება არ ხდება. აქედან გამომდინარე, კონკურენციაც არ არის და ყველაფერი ეს მძიმე მდგომარეობას ქმნის. ზოგიერთ ქვეყანაში, როგორც აღვნიშნე, სოფლის მეურნეობის წილი არ არის დიდი, მაგრამ მათ მიერ შექმნილი პროდუქტი ადგილობრივ ბაზარს სრულად აკმაყოფილებს და საექსპორტოდაც იყენებენ. ჩვენ მინიმალურ დონეზეც ვერ ვაკმაყოფილებთ მოთხოვნას, სხვა შინაარსობრივი მდგომარეობა გვაქვს“.

თვითდასაქმებული მოსახლეობის უმეტესობა ძირითადად აგრარულ სექტორსა და შინამეურნეობებზეა გადანაწილებული. 2018 წლის მდგომარეობით, ოფიციალური სტატისტიკა დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას ადასტურებს. თუმცა წინა წლებში ტენდენცია საპირისპირო იყო. 2017 წელს თვითდასაქმება 51.7%-ს შეადგენდა, 2018 წელს კი ეს მაჩვენებელი შემცირდა და 49,2%-ით განისაზღვრა. აღნიშნული ადამიანების კატეგო-

რია სტატისტიკისთვის დასაქმებულად ითვლებიან, თუმცა მათი დიდი ნაწილი საკუთარ თავს უმუშევრად მიიჩნევს.

აქედან გამომდინარე, როგორც აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე განმარტავს, უმუშევართა რაოდენობა 246 ათასს ბევრად უნდა აღემატებოდეს. რაც შეეხება ქვეყანაში თვითდასაქმებულებს, მათი რიცხვი დაახლოებით 1 მილიონის ფარგლებშია.

თვითდასაქმებული მოქალაქეების დიდი ნაწილი სოფლის მეურნეობის სექტორშია. ნაწილი დასაქმებას ახერხებს საოჯახო მეურნეობებსა და ინფრასტრუქტურულ პროექტებშიც. თუმცა, მათი უმეტესობა სეზონურ სამუშაოებზეა დამოკიდებული.

სოფლის მეურნეობის სფერო ყველაზე დიდი დამსაქმებელია საქართველოში, თუმცა დარგის პროდუქტიულობა მცირეა, რის გამოც მისი წილი მშპ-ში სახარბიელო მაჩვენებლით არ გამოირჩევა. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ამ კატეგორიის დასაქმებულების ნაწილი ალურიცხავია და მათი საქმიანობა სტატისტიკის მიღმა რჩება. პრობლემაა მუდმივი შემოსავლის ქონაც, რასაც დასაქმებულების ნაწილი მოკლებულია. ამ ადამიანებისთვის დასაქმება სეზონურადაა შესაძლებელი. მათი საქმიანობა კონკრეტულ ბიზნესთან თუ არ ასოცირდება, შემოსავალი მიზერულია.

აღსანიშნავია, რომ დასაქმებულთა რაოდენობა სექტორების მიხედვით მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან, თვითდასაქმებულთა თითქმის ნახევარზე მეტი თავმოყრილია სოფლის მეურნეობის სექტორში. თუმცა მისი წილი ბიზნეს სექტორში, მხოლოდ 2%-ია. თუ შევადარებთ სხვა სექტორებს სოფლის მეურნეობის სექტორში ყველაზე დაბალია პროდუქტიულობის მაჩვენებელი. ერთ-ერთი მიზეზი წარმოებული პროდუქციის უმეტესი ნაწილის შინამეორნეობისთვის მოხმარებაა, რის გამოც სოფლის მეურნეობის წილი ეკონომიკაში დაბალია და 8%-საც კი ვერ აღწევს.

საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის მონაცემებით, ევროპისა და ცენტრალური აზიის საშუალოზე დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში თვითდასაქმებულთა წილი მთლიან დასაქმებაში 27.1%-ია, ხოლო ამავე რეგიონის საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში - 18.8%. რაც შეეხება ევროკავშირის ქვეყნებს, აქ თვითდასაქმებულთა მაჩვენებელი 15.9%-ს შეადგენს.

2012 წლის მთავრობის შეცვლის შემდეგ სოფლის მეურნეობა პრიორიტეტულ დარგად იქნა მიჩნეული, სახელმწიფო თავად აღარ ახორციელებდა წარმოებას და სათესლე მასალის შეძენას, თუმცა ეხმარება მოსახლეობას მიწის სამუშაოების შესრულებაში ტექნიკით. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლება მემკვიდრეობით მიღებულ საწარმოებს, რომელიც წინა ხელისუფლებისგან ერგო ისევე

ამუშავებენ, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს საწარმოები წაგებაზე მუშაობენ და მათ შემოსავალს არანაირი მზარდი მაჩვენებელი არ აქვს.

გადამამუშავებელ მრეწველობაში პრობლემის მოგვარება ჯერჯერობით შეუძლებელია. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, დარგის წილი მშპ-თან მიმართებაში 10%-საც ვერ აღწევს, რასაც სპეციალისტები საგანგაშოდ მიიჩნევენ და აცხადებენ, რომ წარმოების ასეთი დაბალი ტემპით ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება წარმოუდგენელია. გადამამუშავებელი მრეწველობის დაბალი წილი ცხადყოფს, რომ სექტორი დიდ კრიზისს განიცდის. ეკონომიკის განვითარების ამოსავალი წერტილი რეალური სექტორის განვითარებაა, რაშიც პრიორიტეტი აგრარულ სექტორს გააჩნია, ხოლო მრეწველობის როლი ჯერჯერობით მცირეა.

ფაქტია, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოების როლი ეკონომიკის სფეროში არის უმნიშვნელო. ის ვერ ახორციელებს მოგებას და ბიუჯეტში თანხის შეტანას. არასახარბიელო ეკონომიკური პირობების გამო და იმის გამო რომ არ არსებობს გარანტირებული ბაზარი, მოსახლეობას უწევს უპირატესობა მიანიჭოს სასურსათო პროდუქციის წარმოებას.

2018 წელს, ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვებამ 4.0 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 2017 წლის მაჩვენებელს 6.4%-ით, ხოლო 2012 წლის მაჩვენებელს 43.8%-ით აღემატება. ამავე პერიოდში, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის მთლიანმა გამოშვებამ 5.3 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 2017 წლის მაჩვენებელს 4.2%-ით, ხოლო 2012 წლის მაჩვენებელს 40.8%-ით აღემატება. რაც შეეხება აგრობიზნესის სექტორში პროდუქციის მთლიანი გამოშვების ზრდას 2017 და 2012 წლებთან მიმართებაში, შესაბამისად 5.1% და 42.1% შეადგინა.

2019 წელს ჩატარებული კვლევების შედეგებმა აჩვენა, რომ 2015-2018 წლებში წარმოებული პროდუქციის ღირებულება გაიზარდა იმერეთში 21,3 %, სამეგრელო 22.5 %, გურიაში 19 %, რაჭა-ლეჩხუმი 14,5 %, შიდა ქართლი 19,2 %, მცხეთა თიანეთი 14,2%, კახეთი 27 % . (საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური).

ანალიზით დადგინდა რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა ბოლო ხანებში იზრდება, რაც დაახლოებით 148,1%-ს შეადგენს. მიუხედავად ამისა ყოველწლიური მატება არც თუ ისე მაღალია. შეიძლება ითქვას რომ დაბალიცაა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მაღალ დონეს.

ამჟამად საქართველოში მოყვანილი სურსათის მნიშვნელოვანი ნაწილი გატანილია ქვეყნის გარეთ, მაშინ როდესაც ქვეყანას შეუძლია, გარკვეული პროდუქციით დააკმაყოფილოს როგორ შიდა ბაზ-

რის მოთხოვნები, ასევე გახდეს აგრარული ნაწარმის ექსპორტიორი.

დღეისთვის ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობას ყოველგვარი მხარდაჭერა სჭირდება. საბოლოოდ კი შეიძლება ვთქვათ, რომ აგრარულად განვითარებულ ქვეყანაში, სახელმწიფოს როლი ძალიან დიდია ეკონომიკის განვითარებაში. ეს ქმედება კი ჩვენისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ჯერ არ გვაქვს განვითარებული საბაზრო ინფრასტრუქტურა. აგრარული სექტორის სამართავად, აუცილებელია უახლოეს დროში შეიქმნას მეცნიერულად დადასტურებული რეკომენდაციები და აგრარული სფეროს განვითარების პროგრამა.

აუცილებელი მასტიმულირებელი კომპონენტებია გარემოს დაცვა და მასზე ზრუნვა, ბუნების მრავალფეროვანი სახეობების შენარჩუნება, სასოფლო-სამეურნეო სფეროში საბაზრო სექტორის გააქტიურება, რეგიონებში საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა, ფერმერების დატრენინგება და ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების გამოყენებაში სოფლის ადგილობრივების მაქსიმალურად ჩართულობა, კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნაში ხელშეწყობა და დახმარება, არსებულ ბაზარზე ადგილის დამკვიდრებასა და მიღებული მოსავლის ექსპორტზე გატანის ხელის შეწყობა, მოსავლიანობის გაზრდა და გადამამუშავებელი სა-

წარმოების ტექნოლოგიურად უზრუნველყოფა და ინოვაციების დანერგვა. ასევე მნიშვნელოვანია ხარისხის გაუმჯობესების, სახეობების გამრავალფეროვნებისა და ბაზარზე არსებული კონკურენციის გათვალისწინება.

ამდენად, ეკონომიკური ზრდის მიღწევა მხოლოდ ეროვნული მრეწველობისა და აგრარული სექტორის განვითარებით გახდება შესაძლებელი.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. აბაშიძე გ. (2008), „ სოფლის მეურნეობის საფუძვლები “ , ნათლისმცემელი თბ.
2. დათუნაშვილი ლ. (2018), „ გლობალიზაციის გავლენა სოფლის მეურნეობის განვითარებაზე“, თბილისი.
3. სოფლის მეურნეობის სახელმწიფო სანარმოები და მათი როლი დარგის განვითარებაში 2016 წ. https://idfi.ge/public/upload/pdf/Research/SOEs_article_07.05.2014.pdf
4. Report.ge-sainformacio saagento https://report.ge/search/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%92%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94/6/?fbclid=IwAR2LUTQFkMKXdp2TpiYF2j_b1KmJSlcP-jmpDwcnpr22ceyf5W5V
5. www.geostat. ge

საქართველოში სოფლის ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები

მანანა შალამბერიძე

ტექნიკის აკადემიური დოქტორი.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი

OPPORTUNITIES FOR RURAL TOURISM DEVELOPMENT IN GEORGIA

Manana Shalamberidze

Associate Professor

of Akaki Tsereteli State University

RESUME

The goal of rural tourism development in Georgia is to provide information to rural youth about their business development opportunities to further improve their financial situation which will contribute to economic growth, popularize the cultural and historical values of Georgian traditions, which will give additional income to the population and significantly reduce unemployment.

There is a great and diverse resource potential for the development of tourism in our country. It is one of the specific fields of economics. It is necessary to study this field in depth and develop a state policy taking into account everything. The economic potential and stability of the country contribute to the development of tourism business and, conversely, the development of tourism helps to further strengthen the economic potential of the country. For the development of rural tourism in Georgia, first of all, it is necessary: - Organizational structures supporting tourism should be established, private sector support associations, and the hotel chain should be regulated; - It is necessary to improve the legislation and legislative acts that regulate the functioning of the tourism sector and promote its development.

Keywords: Tourism, Rural Tourism, Tourism Product.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, სოფლის ტურიზმი, ტურისტული პროდუქტი.

* * * *

საქართველოს ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად მიიჩნევა ტურიზმი და მისი ერთ-ერთი სახე სოფლის ტურიზმი, რომელიც ხასიათდება რეგიონის დამახასიათებელი ნიშნებით/ელემენტებით და აღრმავებს ბუნების, მინის გამოყენების ტრადიციის, ტიპური მცენარეულობის, ცხოველების, ისტორიული მარშრუტების, ადგილობრივი კულტურისა და ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების მიმართ

სპეციფიკურ გამოცდილებას, ტურისტული აქტივობა სოფელში და ქალაქგარეთ. ხშირ შემთხვევაში მჭიდროდ არის დაკავშირებული ფერმებთან და აგროკულტურულ ღონისძიებებთან.

საქართველოში სოფლის ტურიზმის განვითარების მიზანია სოფლად მცხოვრებ, ახალგაზრდებს მიანოდოს ინფორმაცია საკუთარი ბიზნესის განვითარების შესაძლებლობების შესახებ, რათა შემდგომში გაიუმჯობესონ მათი ფინანსური მდგომარეობა რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკის ზრდას, ქართული ტრადიციების კულტურულ და ისტორიული ფასეულობების პოპულარიზაციას, რაც მოსახლეობას დამატებით შემოსავლებს მისცემს და უმუშევრობის დონეს საგრძნობლად შეამცირებს.

სოფლად ტურისტული საქმიანობა დაკავშირებულია ბუნების, ისტორიული მემკვიდრეობის და შესაბამისი ტერიტორიის კულტურული თვითმყოფადობის დაცვასთან. ტურისტის კმაყოფილების ხარისხი იზომება არა მარტო კარგი საკვებით, მზიანი ამინდით და სასტუმროს კომფორტული ნომრით, არამედ ის აფასებს მიღებულ შთაბეჭდილება როგორც „ტურიზმის ერთიან პროდუქტს“, რომელიც წარმოადგენს მატერიალური და არამატერიალური ფაქტორების ერთობლიობას. ტურისტი რომ ბოლომდე კმაყოფილი იყოს, ყველაფერი უნდა დაიგეგმოს ტურიზმის ინდუსტრიის ყველა სექტორის განვითარება ყველა ეტაპზე. სოფლად ტურიზმის უკეთ განვითარებისათვის საჭიროა ამ ასპექტების გათვალისწინება.

- თავისუფალი დროის გატარების ფორმები და ღირსშესანიშნაობები.

- ტურისტული ნაკადების მიღების და მომსახურების ინფრასტრუქტურა.

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და მომსახურება

- მოგზაურობების ორგანიზება.

ტურისტულ ბაზარზე სოფლად ტურიზმის პროდუქტები გარკვეული მოთხოვნებით უნდა სარგებლობდეს, რომელიც ტურისტული საქონლისა და მომსახურების განსაზღვრულ რაოდენობას ქმნის და რომელთა ადგილზე შექმნას განსაზღვრულ ფასად ტურისტი ისურვებდა. სოფლად ტურიზმის პროდუქტები ხშირად ნიშის თვისებას ატარებს, გამოირჩევა მოთხოვნის სეზონურობით და მაღალი კონკურენციის პირობებში ალტერნატიული შეთავაზებებით ხასიათდება. სოფლად ტურიზმის პროდუქტების ბაზარი არის ადგილი, საიდანაც ტუ-

რისტები მიემართებიან ქალაქგარეთ ტურისტული საქონლისა და მომსახურების შექმნის მიზნით.

სოფლად ტურიზმის განვითარება ადგილობრივ მოსახლეობაზე დადებითად აისახება, რომლებიც შემდგომ უზრუნველყოფენ:

- მოთხოვნის ზრდის ხელშეწყობას;
- ახალი სამუშაო ადგილების შექმნას;
- ადგილობრივი მოსახლეობის დამატებით შე-
მოსავალის ზრდას;
- მოსახლეობის მიგრაციის დონის შემცირებას;
- ტრადიციული სოფლის მეურნეობის წარმოე-
ბის შენარჩუნებას;
- რეგიონის ინფრასტრუქტურის განვითარებას;
- ინვესტიციების შემოდინებას.

მოპოვებული მასალიდან ჩანს, რომ კორონა-
ვირუსის პანდემიის შემდეგ სოფლის ტურიზმის
ბუმი დაიწყება და ტურიზმის ეს სახეობა ყველაზე
პოპულარული გახდება, ვინაიდან ტურისტები მო-
ერიდებიან ხალხმრავალ ადგილებს, პოპულარულ
პლაჟებს და ცნობილ საზღვაო კურორტებს.

საქართველო ტურიზმის განვითარების თვა-
ლსაზრისით მსოფლიოში ერთ-ერთი ლიდერია და
რაც მთავარია, ტურიზმის სექტორის ადგილი ქვე-
ყნის ეკონომიკაში მაღალია. 2019 წელს საქართვე-
ლომ საერთაშორისო მოგზაურების რეკორდული –
9.4 მილიონი ვიზიტორი მიიღო, რაც 3 700 000-იანი
ქვეყნისთვის რა თქმა უნდა დიდი წარმატებაა.

ჩვენს ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისთვის

საკმაოდ დიდი და მრავალფეროვანი რესურსული
პოტენციალია. ის ეკონომიკის ერთ-ერთი სპეციფი-
კური დარგია. საჭიროა ამ დარგის სიღრმისეულად
შესწავლა და ყველაფრის გათვალისწინებით სახე-
ლმნივო პოლიტიკის შემუშავება. ქვეყნის ეკონომი-
კური პოტენციალი და სტაბილურობა ტურისტული
ბიზნესის განვითარებას უწყობს ხელს დაპირიქით,
ტურიზმის განვითარება ესმარება ქვეყნის ეკონო-
მიკური პოტენციალის კიდევ უფრო გაძლიერებას.

საქართველოში სოფლად ტურიზმის განვითარები-
სათვის პირველ რიგში აუცილებელია უნდა შეიქმნას
ტურიზმის ხელშეწყობი ორგანიზაციული სტრუქ-
ტურები, კერძო სექტორის დამხმარე ასოციაციები,
მონესრიგდეს სასტუმროების ქსელი; საჭიროა კანონ-
მდებლობის და საკანონმდებლო აქტების სრულყოფა
რომელიც არეგულირებს ტურიზმის დარგის ფუნქცი-
ონირებას და ხელს უწყობს მის განვითარებას.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. თეიმურაზ აბესაძე „სოფლად კერძო საკარმი-
დამოზე ტურიზმის ბიზნესის ორგანიზება და მართ-
ვა“ ბათუმი 2019
2. რუიზან მექვაბიძე, ზაზა ცოტნიკაშვილი „ტუ-
რიზმის ბიზნესი და ტურიზმის ბიზნეს მენეჯმენტის
თავისებურებანი“. თბილისი 2009.
3. ლარისა ყორღანაშვილი „ტურიზმის ბიზნე-
სი“ 2010.

დუბლირების მეთოდის გამოყენება დიდი განზომილების სატრანსპორტო და ლოჯისტიკური ამოცანების კომპიუტერული მოდელირებისას

ვალიდა სესაძე
სტუ-ს პროფესორი

გელა ჭიკაძე
სტუ-ს პროფესორი

რეზიუმე

ეკონომიკასა და ბიზნესში რთული სატრანსპორტო და ლოჯისტიკური ამოცანების შემთხვევაში ტრადიციული მეთოდებით ამოცანების გადაწყვეტა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. სირთულეს წარმოადგენს იტერაციული პროცესის მოცულობა, ამოხსნის სიზუსტე და პროცესის დროში განწელილობა. ამ სირთულეების დაძლევისათვის, ოპერატიულობის და სიზუსტის დაცვისთვის აუცილებელია კომპიუტერული პროგრამების გამოყენება, მაგრამ ყოველი რეალური კონკრეტული ამოცანის შემთხვევაში ამოცანის მათემატიკური მოდელის შედგენის და კომპიუტერზე რეალიზების დროს მოსალოდნელია ისეთი ფარული უზუსტობები, რომელთა მოძებნაც ძალიან რთულია. ამიტომ ჩვენს შემთხვევაშიც (როგორც საფრენი აპარატების მართვის დროს) საჭიროა ამოხსნების დუბლირება. დუბლირებას ვახდენთ კომპიუტერული პროგრამა Maple და Excel-ით. ამოხსნის საიმედოობა თითქმის 100% -ია თუ ამ ორი პროგრამით შესრულებული ამოცანის ამოხსნის შედეგები ტოლია.

საკვანძო სიტყვები: მოდელირება, კომპიუტერული პროგრამები, დუბლირება, დიდი განზომილების ამოცანები, სიზუსტე, ოპერატიულობა.


ABSTRACT

In the case of complex transport and logistics tasks in economics and business, solving problems using traditional methods is associated with great difficulties. The difficulty is the volume of the iterative process, the accuracy of the solution, and the length of the process. To overcome these difficulties, it is necessary to use computer programs to maintain efficiency and accuracy, but in each real specific task, hidden inaccuracies are expected when compiling a mathematical model of the task and implementing it on the computer, which are very difficult to find. Therefore, in our case (as in the case of flying machines) it is necessary to duplicate the solution. We duplicate the computer program with **Maple** and **Excel**. The reliability of the solution is almost 100% if the results of solving the task performed by these two programs are equal.

Keywords: Modeling, computer programs, duplication, large dimensional tasks, accuracy, efficiency.

სატრანსპორტო მოდელი ძირითადად გამოიყენება ისეთი გადაზიდვების დაგეგმარებისას, როდესაც ხდება ერთგვაროვანი პროდუქციის გადაზიდვები გაგზავნის რამოდენიმე პუნქტიდან მიმღებ რამოდენიმე პუნქტამდე. სატრანსპორტო მოდელის აგებისას გამოიყენებიან: 1) სიდიდეები, რომლებიც განსაზღვრავენ გაგზავნის პუნქტებში გასაგზავნი საქონლის მოცულობას, ხოლო მიმღებ პუნქტებში მოთხოვნას ამ პროდუქციაზე; 2) გადასაზიდი პროდუქციის ერთეულის ღირებულება გაგზავნის პუნქტიდან მიმღებ პუნქტამდე. იმის გამო, რომ განიხილება ერთი სახეობის პროდუქცია, ამიტომ მიმღები პუნქტების მოთხოვნილება შეიძლება

დაკმაყოფილდეს სხვადასხვა გასაგზავნი პუნქტების პროდუქციით. სატრანსპორტო მოდელის აგების მიზანია დავადგინოთ თითოეული გასაგზავნი პუნქტიდან გაგზავნილი და თითოეულ მიმღებ პუნქტში მიღებული საქონლის მოცულობა, ისე, რომ საერთო სატრანსპორტო ხარჯები იყოს მინიმალური. გადასაზიდი პროდუქციის მოცულობის განმსაზღვრელი შეიძლება იყოს სხვადასხვა სიდიდეები, მათ შორის მანქანებიც და სამშენებლო დეტალები. ნახ.1-ზე გამოსახულია სატრანსპორტო მოდელი ქსელური სახით რომელიც შედგება გაგზავნის m და მიღების n პუნქტებით.



ნახ.1

ნახ.1-ზე საწყისი და საბოლოო პუნქტებს შეესაბამებიან წვეროები. ხოლო ისარი ამ პუნქტებს შორის მიუთითებს იმ მარშრუტს ამ პუნქტებს შორის, რომლითაც უნდა გადაიზიდოს პროდუქცია. პროდუქციის რაოდენობა რომელსაც ვაწარმოებთ i პუნქტში, აღვნიშნოთ a_i ხოლო მოსახმარი პროდუქცია j მიმღებ პუნქტში აღვნიშნოთ b_j , პროდუქციის ერთეულის გადაზიდვის ღირებულება i დან j -ში. აღვნიშნოთ c_{ij} , x_{ij} -კი აღვნიშნოთ i დან j -ში გადასაზიდი პროდუქციის მოცულობა. ამ აღნიშვნებში წრფივი პროგრამირების სატრანსპორტო ამოცანა მიიღებს შემდეგ სახეს:

მოვძებნოთ მინიმუმი ჯამისა

$$Z = \sum_{i=1}^m \sum_{j=1}^n c_{ij} x_{ij}$$

შემდეგი შეზღუდვების პირობებში:

$$\sum_{j=1}^n x_{ij} \leq a_i \quad i = 1, 2, \dots, m,$$

$$\sum_{i=1}^m x_{ij} \geq b_j \quad j = 1, 2, \dots, n.$$

$$x_{ij} \geq 0 \quad \text{ყველა } i \text{ და } j \text{ თვის}$$

პირველი შეზღუდვა მიუთითებს, რომ გადასაზიდი პროდუქციის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს პროდუქციის რაოდენობას გაგზავნის პუნქტში, ხოლო მეორე შეზღუდვა კი მიუთითებს, რომ მიმღებ პუნქტში მოსული პროდუქციის რაოდენობა არ უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას. თუ ჯამური მოთხოვნა და ჯამური მიწოდება ტოლია, მაშინ ასეთ მოდელს ეწოდება **დაბალანსებული მოდელი** ანუ ამ შემთხვევაში

$$\sum_{i=1}^m a_i = \sum_{j=1}^n b_j$$

აღნიშნული მოდელი ზედა მოდელისაგან მხოლოდ შეზღუდვებით განსხვავდება

$$\sum_{j=1}^n x_{ij} = a_i \quad i = 1, 2, \dots, m,$$

$$\sum_{i=1}^m x_{ij} = b_j \quad j = 1, 2, \dots, n.$$

$$x_{ij} \geq 0 \quad \text{ყველა } i \text{ და } j \text{ თვის}$$

ასეთი ტიპის ამოცანები დუბლირების მეთოდით იხსნება პარალელურად Maple და Excel-ში. და შედეგების იდენტობის შემთხვევაში ამოხსნათა საიმედოობა თითქმის 100%-ია. ქვემოთ სურათებზე 1 და 2 მოცემულია ერთერთი ამოცანის ამოხსნის ფრაგმენტები:

```
> with(simplex)
[basis, convexhull, cterm, define_zero, display, dual, feasible, maximize,
minimize, pivot, pivoteqn, pivotvar, ratio, setup, standardize]

minimize(10 x11 + 5.7 x12 + 6.8 x13 + 9.2 x14 + 7 x15 + 5.6 x21
+ 9.7 x22 + 8.3 x23 + 7.1 x24 + 8 x25 + 6 x31 + 11 x32
+ 5.2 x33 + 6.5 x34 + 10 x35, {x11 + x12 + x13 + x14 + x15
= 150, x21 + x22 + x23 + x24 + x25 = 200, x31 + x32 + x33
+ x34 + x35 = 250, x11 + x21 + x31 = 120, x12 + x22 + x32
= 100, x13 + x23 + x33 = 140, x14 + x24 + x34 = 160, x15 + x25
+ x35 = 80}, NONNEGATIVE, NC, VT)

{x11 = 0, x12 = 100, x13 = 0, x14 = 0, x15 = 50, x21 = 120, x22 = 0, x23
= 0, x24 = 50, x25 = 30, x31 = 0, x32 = 0, x33 = 140, x34 = 110, x35
= 0}

F(X) = 5.7·100 + 7·50 + 5.6·120 + 7.1·50 + 8·30 + 5.2·140 + 6.5
·110
F(X) = 3630.0
```

	A	B	C	D	E	F	G	H	I	J
1	ცვლადები:									
2										
3	x11	x12	x13	x14	x15					
4	0	100	0	0	50	10	5.7	6.8	9.2	7
5	x21	x22	x23	x24	x25					
6	120	0	0	50	30	5.6	9.7	8.3	7.1	8
7	x31	x32	x33	x34	x35					
8	0	0	140	110	0	6	11	5.2	6.5	10
9										
10	შეზღუდვები:									
11	150	150								
12	200	200								
13	250	250								
14	120	120								
15	100	100								
16	140	140								
17	160	160								
18	80	80								
19										
20	მიზნის ფუნქციის მინიმუმი:				3630					
21										

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გელა ჭიკაძე, ვალიდა სესაძე, ნელი სესაძე, მათემატიკური მოდელირება ეკონომიკაში, პირველი ნაწილი, ISBN 978-9941-27-1479-9, თბილისი, 2017.
2. გელა ჭიკაძე, ვალიდა სესაძე, საქმიანი კომპიუტერული თამაშები ეკონომიკაში, II ნაწილი, ISBN 99940-40-75-8, თბილისი, 2018.

მსიჩა და საშუალო სანარმოების დანახარჯების ანალიზი მმართველობითი პოლიტიკის შემუშავებისთვის

მედია ლომინაშვილი-ფრუიძე,
ნუნუ ქიქოძე,

შოთა ლომინაშვილი,

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორები

რეზიუმე

მსს-ის სანარმოს, როგორც რეცეპტისადმი სენსიტიური სანარმოების, მმართველობითი საქმიანობის სტრატეგია მიმართული უნდა იყოს სანარმოს სტაბილურობისკენ და მოგების სტიმულირებისკენ. რასაც უზრუნველყოფს სანარმოთა ხარჯების პოლიტიკის შემუშავების პროცესი. ამისათვის არსებობს ე.წ. სტრატეგიული ხარჯების მენეჯმენტი. რეალიზაციის ფასის და ხარჯალრიცხვის პოლიტიკის უკეთ გააზრებისთვის გაანალიზებულ იქნა „ზურაბ კობეშავიძე“-ს მცირე სანარმო. შეფასდა სანარმოს მართვის ეფექტიანობა, ჩამოყალიბდა გარკვეული რეკომენდაციები. გამოიკვეთა, რომ სტრატეგიული ხარჯების ანალიზი და შესწავლა არ არის მხოლოდ ხარჯთალრიცხვის პოლიტიკის შეფასება, არამედ მენეჯერი ანალიზურ ინფორმაციას უნდა იყენებს გადაწყვეტილების მიღებისათვის. მდგრადი კონკურენციის უპირატესობის მოპოვების და ბაზარზე ხანგრძლივად აპელირებისთვის, რაც განმსაზღვრავს მსს-ის გადარჩენასა და განვითარებას კონკურენტულ ბრძოლაში.

საკვანძო სიტყვები: ოპტიმალური ფასი, მოგების მაქსიმიზაცია, მარჟნალური მოგება, ნაუგებლობის წერტილი, ხართალრიცხვის მმართველობა.

SME'S EXPENDITURE ANALYSIS FOR DEVELOPMENT OF GOVERNANCE POLICY

Medea Lominashvili-Pruidze,
Nunu Kikodze,

Shota Lominashvili

Akaki Tsereteli State University
Associate Professors

SUMMARY

The strategy of management activities of small and medium enterprises as sensitive to fluctuations should be directed towards the stability of the enterprise and stimulation of profits. What is provided by the process of developing a policy on costs of enterprises. For this, there is a so-called strategic cost management.

For better understanding of the price and estimate policy of sale, “Zurab Kobeshavidze’s” small enterprise was analyzed. Efficiency of management of the enterprise was assessed, certain recommendations were

formed. It was revealed that the analysis and study of strategic costs is not only an estimate of the cost policy, but also the manager should use analytical information for decision-making. For gaining the advantage of sustainable competition and long-term application to the market, which determines the survival and development of SMEs in a competitive battle.

* * * *

მსოფლიო წამყვანი ეკონომიკის ქვეყნებმა იაპონიამ და ამერიკამ ბაზარზე ოპტიმალური ფასის დადგენისა და მოგების მაქსიმიზაციის მიღწევისათვის, ნარმოების ხარჯების გადანაწილებისა და ოპტიმიზაციის სხვადასხვა გზებს მიმართეს. ბაზრის ცვლილებებმა დახვეწა მათი ნარმოების ხარჯების მართვის გზები და კიდევ უფრო კონკურენტუნარიანი გახდნენ. ისინი ორიენტირებულნი არიან პროდუქტზე, როგორც ბრენდზე, რომელსაც ენდობა მომხმარებელი და უღირს ხარისხთან შესაბამისობაში მყოფი ფასის გადახდა. თანამედროვე ხარჯების მართვის გზები გვაჩვენებს, რომ მსოფლიოში ინერგება ნარმოების ახალი სტანდარტები, მომხმარებელი გახდა მომთხოვნი ნარმოებზე პროდუქციის ხარისხის მაღალი დონის მიმართ. მენარმემ უნდა იფიქროს მომხმარებელზე, როგორც ფასის გადამხდელზე და მყიდველზე და ნარმოებაზე, როგორც მომგებიან ბიზნესზე.

World bank-ის 2020 წლის Jobs and developments ანგარიშის მიხედვით¹: განვითარებული მსოფლიო დგას სამუშაო ადგილების კრიზისის წინაშე, ორ მილიარდზე მეტი შრომისუნარიანი მოსახლეობას სამუშაო ადგილი ფაქტობრივად არ აქვთ, ხოლო სამუშაო ადგილების 65%-ზე მეტი დაბალპროდუქტიულია. მომდევნო 15 წლის განმავლობაში კი 600 მილიონამდე სამუშაო ადგილის შექმნა საჭირო სამუშაო ძალის ბაზარზე შესვლისათვის. სამუშაო ძალის დასაქმებაში მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის მსს-მა, რომელიც მრავალი ქვეყნის პრიორიტეტული მიმართულებაა. საქართველოში მსს-ი პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა. 2016 წელს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ შეიმუშავა ეროვნული მსს-ის განვითარების სტრატეგია, რომელიც შემუშავდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანი-

1 www.worldbank.org/topics/jobsanddevelopment/;
<https://www.worldbank.org/en/topic/jobsanddevelopment/overview>; 2020 წელი

ზაცისთან (GIZ) და ეთგო-თან მჭიდრო თანამშრომლობით. საფუძვლად ქმნის მსს-ის განვითარებისთვის. 2014 წლის საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების ხელშეკრულებით², რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი არის „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA)“, მნიშვნელოვნად მარტივდება ქართული პროდუქციის ექსპორტი ევროკავშირის 500 მილიონიან ბაზარზე. ეს არის შესაძლებლობა ქართულმა მსს-მა სწორად განავითაროს საწარმოო პოლიტიკა, გახდეს კონკურენტუნარიანი და შექმნას დამატებითი სამუშაო ადგილი. ქვეყნის განვითარებაში უმთავრესი როლი ენიჭება ეკონომიკის განვითარებას. მცირე და საშუალო ბიზნესი ქმნის ქვეყანაში ძირითად სამუშაო ადგილს და დოვლათს. მისი გონივრული განვითარება საშუალებას იძლევა შეიქმნას კეთილდღეობა, 2020 წელს, COVID-19 გამონეული კრიზისი განსაკუთრებით დამაზარალებელი აღმოჩნდა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. ასეთ არასტაბილურ ეკონომიკურ გარემოში მსს-ის სტაბილურობის და კონკურენტუნარიანობის კვლევა მეტ ყურადღებას საჭიროებს. მათი დახმარების და მხარდაჭერისთვის მნიშვნელოვანია განვითარებული ქვეყნების მსს მმართველობითი პოლიტიკის ეფექტიანობის გათვალისწინებით ქართულ რეალობაში.

მსს-ის საწარმოს, როგორც რეგევიზისადმი სენსიტიური საწარმოების, მმართველობითი საქმიანობის სტრატეგია მიმართული უნდა იყოს საწარმოს სტაბილურობისკენ და მოგების სტიმულირებისკენ. რასაც უზრუნველყოფს საწარმოთა ხარჯების პოლიტიკის შემუშავების პროცესი. ამისათვის არსებობს ხარჯების მენეჯმენტის სტრატეგია, რომელიც რთულ და კრიზისულ ვითარებაში მნიშვნელოვანი დასაყრდენია მსს-ისათვის. ხარჯების მენეჯმენტის ფარგლებში ხდება მომხმარებელთა საჭიროებების და პროდუქტის კონკურენტუნარიანი ღირებულების უზრუნველყოფის კვლევა. ის ჩართულია პროდუქციის მთლიანი ღირებულების ჯაჭვის და პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის პროცესებში და მიზნად ისახავს: მოახდინოს დადებითი ზეგავლენა პროდუქციის წარმოების სამომავლო ხარჯებზე; უზრუნველყოს პროდუქციის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება მომხმარებელთა კმაყოფილების შენარჩუნებისათვის. ეს არის ღირებულებითი ჯაჭვის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც მოიცავს ყველა ასპექტს, როგორცაა ყიდვა, დიზაინი, წარმოება, გაყიდვა და მომსახურება.³

2 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“ 27.07.2014 წელი; გამოქვეყნების წყარო: ვებგვერდი; თარიღი: 11.09.2014 წელი.

3 www.brainyquote.com ; [business jargons ; accounting ; strategic cost management \(scm\) ; https://businessjargons.com/strategic-cost-management.html](http://businessjargons.com) ; 2020 წელი

შეიძლება ითქვას, რომ საწარმოს ხარჯების მართვა ეხმარება საწარმოს კრიზისული სიტუაციების დაძლევაში. საწარმოში ხარჯების მიზანმიმართულად შემცირებისათვის, აუცილებელია ხარჯების ეფექტიანობის ძირითადი ამოცანების გათვალისწინება: წარმოებული პროდუქციის ოპტიმალური ფასის განსაზღვრა; პროდუქციის წარმოებისა და მისი რეალიზაციის ეფექტურობის გათვლა; სხვადასხვა სახის პროდუქციის მომგებიანობის ანალიზის უზრუნველყოფა. რაც საწარმოს საშუალებას მისცემს ისე გადაანაწილოს ფინანსები, რომ მოიპოროს ზედმეტი ხარჯი და დაანესოს პრიორიტეტი.

საწარმოს ხარჯების მნიშვნელობის გათვალისწინებით ყველა მსს-მა უნდა შექმნას ოპტიმალური ფასი. ასევე უნდა შეიქმნას ღირებულების ჯაჭვი, რომელიც ხელს შეუწყობს ხარჯების შემცირებას. საწარმოს მიერ წარმოებული პროდუქციის ოპტიმალური ფასისა და მოგების განსაზღვრისათვის, იგეგმება სარეალიზაციო ფასნამატის საპროცენტო განაკვეთი და მარჟის %. აღსანიშნავია, რომ ამ მაჩვენებლებს პროდუქციის რენტაბელობის მაჩვენებლებს უწოდებენ. მაჩვენებლების ანალიზი საწარმოს საშუალებას მისცემს განსაზღვროს ყველაზე მეტად და ნაკლებად მომგებიანი პროდუქტები, გაზარდოს პროდუქციის მომგებიანობა და მიიღოს მაღალი მოგება.

საწარმომ პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე განეული ხარჯების მუდმივი კონტროლი უნდა მოახდინოს. როდესაც ხარჯები კონკურენტი საწარმოს ხარჯებს აღემატება, უნდა შემუშავდეს ხარჯების მართვის ეფექტური პოლიტიკა. ფასწარმოქმნის დროს საწარმოს მიერ მიღებული გადანყვებილებები უშუალოდ ზემოქმედებს პროდუქციის ჩამოყალიბებასა და ბაზარზე ადგილის დამკვიდრების სტრატეგიაზე. მყარი საბაზრო პოზიცია საწარმოს საშუალებას აძლევს თავად ჩამოყალიბოს ფასი, ხოლო როდესაც საწარმოს პოზიცია სუსტია ფასზე გავლენას ახდენს კონკურენტების ფასი. იმისათვის, რომ საწარმომ კონკურენტული ადგილი დაიკავოს ბაზარზე უნდა იზრუნოს ხარჯების მართვის ეფექტური პოლიტიკის შემუშავებით კონკურენტუნარიანი ფასის წარმოქმნაზე.

მაგალითისთვის განვიხილოთ მცირე საწარმო „ზურაბ კობეშავიძე“, რომელიც მდებარეობს ქ.ქუთაისში ფურცელაძის 51-ში. მცირე საწარმო დაარსდა 2015 წლის გაზაფხულზე. საწარმო აწარმოებს ერთი სახის პროდუქციას „თაფლაკვერი“-ს. საწარმო თავის პროდუქციას ყიდის დასავლეთ საქართველოში დისტრიბუციის საშუალებით და არის ბითუმად მოვაჭრე. საწარმოს მოგების და სარეალიზაციო პროდუქციის ფასწარმოქმნის ანალიზისთვის გამოყენებულია მენარმის მიერ მონოღებული 2019 წლის მონაცემები. მართალია ამ მონაცემებით საწარმოს ეფექტიანობის ტრენდული ანალიზის ჩატარება ვერ მოხერხდა, მაგრამ საკმაოდ

საინტერესო აღმოჩნდა მენარმის მიდგომა სარეალიზაციო ფასის და მოგების ნორმის განსაზღვრისას, იხ.ცხრილი N1.

**მცირე საწარმო „ზურაბ კობეშავიძე“-ს
2019 წლის მონაცემები ცხრილი N1.**

	ლარი
მაჩვენებლები	2019წელი
ამონაგები რეალიზაციიდან	96000
ცვალებადი ხარჯი	55080
მუდმივი ხარჯი	22800
სულ ხარჯი	77880
მოგება	18120

წყარო: მცირე საწარმო „ზურაბ კობეშავიძე“-ს ოფიციალური მონაცემები.

საკვლევი მცირე საწარმოს 2019 წლის მონაცემებით, საწარმომ წელიწადში იმუშავა 192 დღე და საშუალოდ დღეში აწარმოებდა 4800 ერთეულ თაფლაკვერს. სულ წლის მანძილზე წარმოებული იყო 921 600 ცალი თაფლაკვერი. მოცემულობის მიხედვით, მენარმე ერთეულ პროდუქციას ყიდის 0.10 ლარად, ხოლო ერთეული პროდუქციის თვითღირებულება შეადგენს 0.8 ლარს. მცირე და საშუალო საწარმოების სტაბილურობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ხარჯები და შესაბამისად სარეალიზაციო ფასი. მცირე საწარმო „ზურაბ კობეშავიძე“-ის მუდმივი ხარჯების წილი მთლიან დანახარჯებში 29%-ს შეადგენს. ჩვენი აზრით მუდმივი ხარჯების ეს მაჩვენებელი მთლიან პროდუქციაში შეიძლება არაეფექტიანად არ ჩაითვალოს, უფრო ზუსტად რომ შევაფასოთ მუდმივი ხარჯების გავლენა მოგებაზე, განვსაზღვროთ მოგების მარჟა:

მოგების მარჟა % (Margin) = ((0.10-0.59))/0.10 X100 = 43 %

43%-იანი მარჟა მეტყველებს, რომ ამონაგების ყოველ ლარს მოაქვს 43 თეთრი მოგება. მიღებული მარჟის გათვალისწინებით თუ მენარმეს ექნება მაღალი ბრუნვა, წარმოებამ მას უნდა მოუტანოს კარგი მოგება. მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ მენარმის ყოველთვიური ამონაგებიდან მოგება არ აღემატება 1510 ლარს. რეალიზაციის სტიმულირებით მცირე მენარმე „ზურაბ კობეშავიძე“ 43%-იანი მარჟის პირობებში შეძლებდა მოგების გაზრდას. ჩვენის აზრით, 2019 წლის მონაცემების გათვალისწინებით შესაძლებელია დაიგეგმოს რეალიზაციის სტიმულირების ღონისძიებების კვალობაზე მომდევნო პერიოდში მოგების გაზრდა. რასაც ასევე მოყვება საწარმოს სრული დატვირთვით ამოქმედება და მუშახელის დასაქმების საკითხის გაუმჯობესებაც.

ვთვლით, რომ მცირე საწარმოს დანახარჯების მმართველობით პოლიტიკაში უფრო კარგად გარკვევისთვის, უადგილო არ იქნება დავადგინოთ 921600 ერთეული თაფლაკვერის წარმოებისთვის განეული ხარჯების პირობებში რამდენი ერთეული ნაკეთობით შეძლებდა მენარმე ნაუგებლობის უზრუნველყოფას. განვსაზღვროთ, რამდენით აჭარბებს პროდუქციის ამ ნაუგებლობის მოცულობას პროდუქციის წარმოების 2019 წელს მაჩვენებელი.

უფრო ზუსტად, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ნაუგებლობის წერტილის გაანგარიშება⁴. ვინაიდან, ის ეხმარება მენარმეებს განსაზღვროს, თუ რისი ცვლილებაა საჭირო ფასებისა და ბიზნესის გაყიდვების სწორად დასაგეგმად, რადგან ზუსტდება ინფორმაციას წარმოების და არსებულ ხარჯებს შორის წონასწორობის შესახებ. პირველ რიგში, თვითღირებულების გათვლისა და ნაუგებლობის წერტილის განსაზღვრისათვის საწარმოო ხარჯები უნდა დაიყოს მუდმივ და ცვალებად ხარჯებად⁵. წარმოების ნაუგებლობამ მცირე საწარმოს შემთხვევაში რაოდენობრივ გამოსახულებაში შეადგინა 513 502 ერთეული:

"წარმოების წაუგებლობის წერტილი =

"მუდმივი ხარჯი" / "ერთეულის სარ. ფასს –

ერთეულის ცვალებადი ხარჯი" = 513 502 ცალი

გაანგარიშების მიხედვით, ხარჯების უზრუნველყოფისთვის მცირე მენარმე „ზურაბ კობეშავიძე“-ს სჭირდებოდა 513502 ერთეული ნაკეთობის წარმოება, რაც ღირებულებით ერთეულში დაახლოებით 53489 ლარს (513502*0,10) შეადგენს. შესაბამისად სულ რეალიზებული პროდუქციის 56% სჭირდება ხარჯების უზრუნველყოფას. 53489 ლარის ზევით რეალიზებული პროდუქციის თითოეული ლარი, მარჟინალური კოეფიციენტის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს 43 თეთრ მოგებას.

საწარმომ თავად უნდა გააკეთოს არჩევანი თუ როგორი იქნება მისი ბიზნეს სტრატეგია. თუ ხარჯების შემცირების გზით შემცირდება პროდუქციის თვითღირებულება, ამ შემთხვევაში გაიზრდება საშუალო მარჟის % და შემცირდება ნაუგებლობის წერტილის დონე, ამ დროს მენარმე უფრო მცირე მოცულობის რეალიზაციით დაფარავს ხარჯების იმ დონეს რაც უზრუნველყოფს ნაუგებლობას. ხოლო თუ გაიზრდება პროდუქციის თვითღირებულება, შემცირდება საშუალო მარჟის პროცენტი, ეს კი გამოიწვევს ნაუგებლობის უზრუნველყოფის დონის

4 www.esb.ge; ნულოვანი მოგების ანალიზი <https://esb.ge/ka/ufaso-onlain-treningebi/article/79338-be> 20.08.2020

5 ფინანსები არაფინანსისტი ტომ-მენეჯმენტისთვის; გიორგი კუჭუხიძე, ESB; გვ 24; 2019;

გაზრდას. მენარმეს მოუწევს დიდი რაოდენობით გაყიდოს თავისი პროდუქტი, რათა გავიდეს პირველ ლარ მოგებაზე.

თუმცა, რეკომენდაციის სახით ასევე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მცირე მენარმე „ზურაბ კობეშავიძე“-ს შეუძლია მარჟის %-ის დათმობის ხარჯზე გაზარდოს რეალიზაციის მოცულობა და გაზრდილი ბრუნვის პირობებში მოხდეს მოგების სტიმულირება. როგორც უკვე აღინიშნა, პროდუქციის მოცულობის გაზრდით შემცირდება ერთეული პროდუქციის მუდმივი ხარჯი და შესაბამისად მოხდება მარჟის უკუქცევა ზრდისკენ.

განვითარებულმა ქვეყნების სანარმოები მუდმივად ისწრაფვიან ხარჯების შემცირებისაკენ. მათ შექმნეს არა ერთი მოდელი და დიდი წვლილი შეიტანეს საკითხის განვითარებაში. განვითარებული ქვეყნების მაგალითების გაზიარებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ სწორი ბიზნეს გადაწყვეტილება ხარჯების ეფექტურად მართვას ეფუძნება. რაც საშუალებას მისცემს მცირე და საშუალო ნარმოებს პროდუქტის სწორი ფასის ფორმირებისთვის, ასეთი ფასი თავის მხრივ რეალიზაციის სტიმულირების და კონკურენტუნარიანობის პირობაა.

მნიშვნელოვანია ითქვას, რომ ხარჯების ანა-

ლიზი და შესწავლა არ არის მხოლოდ ხარჯთაღრიცხვის პოლიტიკის შეფასება, არამედ მენეჯერი ანალიზურ ინფორმაციას იყენებს გადაწყვეტილების მიღებისათვის. ხარჯების მმართველობითი სტრატეგიის ძირითადი მიზანი კი მდგრადი კონკურენტული უპირატესობის მოპოვების და ბაზარზე ხანგრძლივად აპელირების შესაძლებლობის წინაპირობაა და განმსაზღვრელ ადგილს იკავებს მსს-ის გადარჩენისთვის კრიზისულ გარემოში.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, „ასოციირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“ 27.07.2014 წელი;
2. ფინანსები არაფინანსისტი ტომ-მენეჯმენტისთვის; გიორგი კუჭუხიძე, ESB; გვ 24; 2019;
3. www.worldbank.org ;topics; jobs and development;
4. <https://www.worldbank.org/en/topic/jobsanddevelopment/overview> ; 2020 წელი

თერმული წყლების თბოენერგეტიკაში გამოყენების პერსპექტივები

მარინე მარდაშოვა
სტუ-ს პროფესორი

გიორგი ტლაშაძე
შპს „გეოტექსერვისის“ მთავარი გეოლოგი

თამარ მიქავა
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

საქართველოს წიაღი მდიდარია თერმული მინისქვეშა წყლებით. მათი გამოყენების სფერო ქვეყნის ეკონომიკაში ძალზე ფართოა, დაწყებული თბოენერგეტიკით, დამთავრებული სოფლის მეურნეობით და სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ქსელის მონყობით. ქართველი გეოლოგების მრავალწლიური კვლევებით დადგენილია, რომ ჩვენს ქვეყანაში თერმული წყლების დიდი მარაგი დაკავშირებულია მეზოზოური ეპოქის ქვედა ცარცული ასაკის მძლავრ კარბონატულ წყებასთან. ჭაბურღილებით გახსნილი თერმული წყლები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გვხვდება, თუმცა, ამ მხრივ განსაკუთრებით მდიდარია სამეგრელოს და აფხაზეთის რეგიონები. აქ გავრცელებული თერმული წყლებიდან, რომელთა ტემპერატურა ხშირად 100°C-ს აჭარბებს, აღსანიშნავია ქვალონის, ოხურეის, სენაკის, კინდლის საბადოები, სადაც ჭაბურღილებიდან წყალ-ორთქლის მძლავრი შადრევანი იფრქვევა.

საკვანძო სიტყვები: თერმული წყალი, ჭაბურღილი, კოლხეთის დაბლობი, მინისქვეშა წყლები, მინერალიზაცია

THE PROSPECTS TO USE THERMAL WATERS IN HEAT-AND-POWER ENGINEERING

Marine Mardashova
Professor of GTU;
Giorgi Tlashadze
Chief Geologist
of “Geotechservice” Ltd.,
Tamar Mikava
Doctoral Student of GTU

ABSTRACT

The bowels of the earth in Georgia have rich deposits of underground thermal waters, which are widely applied in the economics of the country, starting from heat-and-power engineering and agriculture and through medical-recreational complexes. The long studies accomplished by the Georgian geologists have proved that the great supplies of thermal waters in our

country come from a thick Lower Cretaceous carbonate stratum of the Mesozoic Age. Thermal waters opening in boreholes are common in almost all corners of Georgia, though particularly rich in this respect are Samegrelo and Abkhazeti Regions. Outstanding thermal water deposits in the two Regions, with their temperature often exceeding 100°C, are Kvaloni, Okhurei, Senaki and Kindghi deposits where strong water-and-vapor fountains erupt from the boreholes.

Keywords: thermal water, borehole, Kolkheti Valley, underground waters, mineralization

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მინისქვეშა თერმული წყლებით მდიდარი ქვეყნები, როგორცაა ამერიკის შეერთებული შტატები, ისლანდია, იაპონია, იტალია და სხვ. წარმატებით იყენებენ ამ ძვირფას წიაღისეულს მეურნეობის ისეთ მნიშვნელოვან დარგებში, როგორცაა თბოენერგეტიკა, მედიცინა, წყლიდან სასარგებლო კომპონენტების მოპოვება და ა.შ. ტერიტორიულად პატარა ჩვენი ქვეყანა, საბედნიეროდ, მინისქვეშა თერმული წყლებით მდიდარია. გეოგრაფიულად თერმული მინისქვეშა წყლების რესურსები ძირითადად თავმოყრილია დასავლეთ საქართველოში, თუმცა, ამ მხრივ არც აღმოსავლეთ საქართველო არის გამონაკლისი. კერძოდ, თერმული მინისქვეშა წყლების ბუნებრივი გამოსავლები მრავლადაა მცირე კავკასიონის (აჭარა-თრიალეთის ქედი) ფარგლებში. ამ წყლების გამოძახილია თბილისის ცნობილი თერმებიც, რომელთა ბაზაზე ფიზიოთერაპიის და ბალნეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი ძალზე ნაყოფიერ მუშაობას ეწევა. ასევე ეფექტურად ხდება თბილისის თერმების გამოყენება როგორც შინაგანი, ასევე ძირითადად გარეგანი დაავადებების სამკურნალოდ. თუ მცირეოდენ ისტორიულ ექსკურსს გავიხსენებთ, ისიც ხომ ფაქტია, რომ ჩვენი დედაქალაქის სახელოვანი მეფის ვახტანგ გორგასლის მიერ დაარსება სწორედ თბილისის ცხელ წყაროებთან არის დაკავშირებული. დასაბამია, რომ თბილისის გამოკლებით, საქართველოს თითქმის არც ერთ რეგიონში თერმული წყლების მიზანდასახული გამოყენება არ ხდება და მათ მოსახლეობა სტიქიურად, ყოველ-

გვარი სამედიცინო რეკომენდაციების გარეშე მოიხმარს. როდესაც საუბარია წარმოდგენილ იდეაზე, პირველ რიგში, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ჩვენი სამომავლო სამუშაოს მიზანდასახულობა საკითხის ფართო პოპულარიზაციაში მდგომარეობს, რაც იმაში უნდა გამოიხატოს, რომ სათანადო ორგანოებმა, კერძო ინვესტორებმა (მათ შორის, უცხოელებმაც) ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ ბუნების ამ საგანძურს, რათა თერმული წყლების გამოყენებას ფართო მასშტაბი და შესაძლებლობა მიეცეს.

კოლხეთის დაბლობის ჰიდროთერმული რესურსების თვალსაჩინო გამოხატულება

გეოთერმული ენერგია გამოიყენება ათასობით წლის განმავლობაში ზოგიერთ ქვეყანაში სახლების გასათბობად, ეს არის ძალა რომელიც მიიღება დედამიწის შინაგანი სითბოდან, ეს თერმული ენერგია მოთავსებულია ქანებში სითხის სახით დედამიწის ქერქის ქვეშ, ის შეიძლება მოპოვებულ იქნას მიწის ზედაპირიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით და კიდევ უფრო შორს, ცხელ მდნარ მასაში სახელად მაგმა. ორთქლისა და ცხელი წყლის ეს მიწისქვეშა რეზერვუარები შესაძლებელია მიენოდოს ელექტროენერჯის წარმოებას ან შენობებს გასათბობად. პირველად გეოთერმიდან გამომუშავებული ელექტროენერგია წარმოებულ იქნა იტალიაში 1904 წელს. გეოთერმული ენერგია წარმოებული არის მსოფლიოს 20 ქვეყანაში, ამერიკის შეერთებული შტატები კი არის მსოფლიოში უმსხვილესი მწარმოებელი ასევე ისლანდია სადაც შენობების უმრავლესობა და საცურაო აუზები თბება გეოთერმიდან მიღებული ცხელი წყლით. ისლანდიაში არის სულ მცირე 25 აქტიური ვულკანი და უამრავი ცხელი წყლები და გეიზერები. გეოთერმულ ენერჯიას აქვს ძალიან ბევრი დადებითი მხარეები, ის მოიპოვება წიაღისეული საწვავის დაწვის გარეშე, როგორცაა ნახშირი ნავთობი და გაზი. გეოთერმული ველები აწარმოებენ მხოლოდ ნახშირორჟანგის ერთ მეექვსედს, მზისა და ქარის ენერჯიისაგან განსხვავებით გეოთერმული ენერგია ხელმისაწვდომია წელიწადში 365 დღე,

შედარებით ეკონომიკურად ხელსაყრელია.

კოლხეთის დაბლობის მიწისქვეშა წყლები ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ჰიდრომინერალური ნედლეული (სამრეწველო წყლები). როგორც ცნობილია მინერალიზებული და თერმული წყლები ხშირად გამდიდრებულია ქიმიური კომპონენტებით და მარილებით, რომელთა წყლიდან მიღება, ტექნოლოგიის თანამედროვე დონეზე საკმაოდ რენტაბელურია [1].

კოლხეთის მიწისქვეშა წყლებში სამრეწველო კომპონენტების შემცველობა, გენეზისზე, ქიმიურ და გაზურ შემადგენლობაზე დამოკიდებულებით, ფართო საზღვრებში ვარიირებს. ასე მაგალითად, იურიული *Cl-Ca* შედგენილობის მაღალმინერალიზებული წყლებისთვის და ნათხებისთვის დამახასიათებელია *Cl, Ca, K, Li, Br*, და სხვათა გაზრდილი შემცველობები. ნეოგენური, პალეოგენური და ცარცული მინერალიზებული ქლორიდულ-ნატრიუმისანი (*Cl-Ca*) წყლებისთვის დამახასიათებელია *I, B, Br, Sr* და სხვათა გაზრდილი შემცველობები. ნეოკომური აზოტიანი თერმებისთვის ყველაზე მეტად დამახასიათებელია გერმანიუმის გაზრდილი კონცენტრაციები [1].

მაღალმინერალიზებული წყლები და ნათხები მდებარეობს ძირითადად საქართველოს ბელტის დასავლეთ დაძირვის ზონაში, იქ ბაიოსურ პორფირიტულ წყებაში ბევრ ადგილას დაიკვირვება *Cl-Ca* შედგენილობის მაღალმინერალიზებული წყლების და ნათხების გამოსავლები. ძირითადად გამოიყოფა ამ ზოლის დასავლეთი ნაწილი, სადაც ბაიოსის პორფირიტული წყებიდან და ზედა იურის ფერადი წყებიდან გადმოედინება მაღალმინერალიზებული (50-250 გ/ლ), ზემოთხსენებული შედგენილობის (*Cl-Ca*) ნათხები (ლუგელა, ოქუმი).

ეს ნათხები გამოირჩევა ბრომის გაზრდილი შემცველობით (300 მგ/ლ-მდე). გაზრდილია ასევე სხვა მიკროკომპონენტების შემცველობებიც, მაგალითად როგორცაა ლითიუმი, სტრონციუმი და სხვ. ქ. ოჩამჩირის რაიონში ზედა იურული მარილი-

ზღვრები

ბრომი



ანი ნალექებიდან #1 ჭაბურღილით 3290 მ სიღრმიდან მიღებულ იქნა $Cl - Ca - Na$ შედგენილობის ნათხის (330 გ/ლ) უმნიშვნელო ნაკადი (0,6 ლ/წმ). აღნიშნული ნაკადი შეიცავდა ბრომს 700 მგ/ლ-მდე და ლითიუმს 49 მგ/ლ. ოქუმი-ლუგელას ზოლის სამხრეთ-დასავლეთით, ბაიოსის წყალშემცველი კომპლექსი იმის გამო, რომ გადაფარულია კიბერიჯულ-ტიტონური წყალგაუმტარი ნალექებით, სავარაუდოა, რომ უნდა შეიცავდეს ნათხებს, რომლებშიც გაცილებით მაღალია ბრომის, ლითიუმის და სხვა, ნათხებისთვის ტიპომორფული მიკროკომპონენტების კონცენტრაცია [2].

აღნიშნული ნათხების უარყოფითი მხარე მათი წოდის სიღრმეშია, კერძოდ კოლხეთის დაბლობის ფარგლებში 4-5 კმ. მაგრამ სიღრმეში განლაგებული წყალშემცველი კომპლექსების დიდი დაწნევის გათვალისწინებით, წყალი თვითდენით შეიძლება მივიღოთ.

კოლხეთის დაბლობის მინერალიზებული ქლორ-ნატრიუმიანი წყლები სამრეწველო მიკროკომპონენტების მაღალი შემცველობებით არ გამოირჩევა. მიკროკომპონენტების შედარებით გაზრდილი შემცველობებით ხასიათდება მისი ღრმად დაძირული სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი. ფოთი-ჭალადიდის ნავთობის შემცველ ფართობზე, რომელიც უკავშირდება ჭალადიდის ანტიკლინურ სტრუქტურას, მეოტური ქვიშაქვებიდან ჭაბურღილებით 2000

- 2250 მ სიღრმიდან მიღებულია $Cl - Ca$ შედგენილობის წყლები, მინერალიზაცია 33-76 გ/ლ. იოდის შემცველობა ამ წყლებში 15 მგ/ლ, ხოლო ბრომის - 48 მგ/ლ. ყულევის და ჭალადიდის რაიონებში ჭაბურღილებით გახსნილი კოლხეთის ზედა და ქვედა ცარცული წყალშემცველი ჰორიზონტების მინისქვეშა წყლები განეკუთვნება $Cl - Ca$ შედგენილობის მინერალიზებულ წყლებს, თუმცა მიკროკომპონენტების შემცველობა მათში მცირეა (იოდი - 12 მგ/ლ, ბრომი - 48 მგ/ლ, ბორი - 20 მგ/ლ). მიკროკომპონენტების მიღების თვალსაზრისით აღნიშნული ჰორიზონტის წყლები მცირედ პერსპექტიულია. ნეოკომის მაღალთერმული წყლები მიკროკომპონენტებით ასევე მცირეა და გამდიდრებული, მაგრამ მათში მაინც დაიკვირვება იშვიათი კომპონენტების გაზრდილი აღსანიშნავია, რომ კოლხეთის დაბლობის ფარგლებში გარდა ოხურეის უბნისა, სამრეწველო წყლების დანაგროვები მრავალ სხვა უბანზეც

გვხვდება, რომელიც ლიმიტის გამო წინამდებარე ნაშრომში ვერ განვიხილავთ.

1969 წელს ქ. სამტრედიამი, N1 ჭაბურღილით 1280 - 1670 მ სიღრმის ფარგლებში გადაკვეთილ იქნა ნეოკომური ქანები და 1670 - 2840 მ ფარგლებში ზედა იურული ფერადი წყება. ამ ჰორიზონტებიდან მიღებულ იქნა 62°C ტემპერატურის თერმული წყლის თვითდენი, რომლის დებიტი 34 ლ/წმ. შერეული წყლის მინერალიზაცია 40 გ/ლ აღწევს. აღნიშნული ინტერვალების ცალკეულმა გამოკვლევამ შემდეგი შედეგი მოგვცა: ზედა ინტერვალში

წყლის ქიმიური შედგენილობა $Cl - SO_4 - Ca - Na$, მინერალიზაცია 3,1 გ/ლ; ქვედა ინტერვალში -

$Cl - Na - Mg$, მინერალიზაცია 102 გ/ლ. ამჟამად ქვედა ინტერვალის გადაკვეთილია. ზედა ინტერვალის მიხედვით წყლის დამტკიცებული მარაგი შეადგენს 34 ლ/წმ.

თერმული წყლების ფართო გავრცელების მიუხედავად, მათი მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი გამოიყენება პრაქტიკული თვალსაზრისით. თერმული წყლების მიღების შესაძლებლობის და გამოყენების თვალსაზრისით ყველაზე მეტად საინტერესოა ნეოკომური ნალექების წყალშემცველი ჰორიზონტი, სადაც ფორმირდება დაწნევითი მტკნარი, მაღალთერმული წყლები. თერმული წყლების მისაღებად ყველაზე მეტად პერსპექტიულია სამხრეთ სამეგრელოს ანტიკლინორიუმის რაიონები, სადაც მცირე სიღრმიდან (700-1000 მ) შეიძლება მიღებულ იქნას 80-90°C ტემპერატურის წყალი. ასევე საინტერესოა კოლხეთის დაბლობის ღრმად დაძირული ნაწილიც, სადაც მინისქვეშა წყლების ტემპერატურა 100°C -ს და მეტს აღწევს

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბ. ზაუტაშვილი. ზოგადი ჰიდროგეოლოგია. ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 1997
2. Зауташвили Б.З.- Геохимия микроэлементов глубоких подземных вод Грузии. - Тбилиси, Мецниереба, 1978, ст. 162;
3. ცერცვაძე ნ., ბუაჩიძე გ. და სხვ. საქართველოს თერმული წყლები. საქართველოს გეოთერმული ასოციაცია, თბილისი 2015 წ.

ადამის ფესვი (THAMUS COMMUNIS) ქართულ სამედიცინო ლიტერატურაში

ნინო ყურაშვილი
საქართველოს უნივერსიტეტის
მონვეული პროფესორი

მედია ჩიქავა
სტუ-ს პროფესორი

თამარ ცინცაძე
სტუ-ს პროფესორი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ადამის ფესვის შესახებ ქართულ სამედიცინო ლიტერატურაში მოპოვებული ინფორმაცია.

ადამის ფესვი შუა საუკუნეებში გამოიყენებოდა როგორც დამოუკიდებლად, ისე სხვა სამკურნალო მცენარეებთან ნაკრებში. დავით ბაგრატიონის „იადიგარ დაუდის“ (XVI საუკუნე), ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი - კარაბადინის“ (XV საუკუნე), ქანანელის „უსწორო კარაბადინის“ (XI საუკუნე) მიხედვით, ადამის ფესვი გამოიყენებოდა ეპილეფსიის, უშვილობის, საჭმლის მონელების პრობლემების, ღამის კოშმარების, სახსრების ტკივილის, შეშუპებისა და ანთებითი პროცესების დროს, ჰემანგიომისა და ღვიძლის სიმსივნეების სამკურნალოდ, ნაყვავილევისა და სხვა სახის ლაქების მოსაშორებლად.

მე-17 საუკუნიდან ადამის ფესვის შესახებ მონაცემები აღარ იძებნება ქართულ სამედიცინო ლიტერატურაში. მხოლოდ გასული საუკუნის 30-40-იან წლებში, ქართველმა ექიმებმა მეგრელიშვილმა და იობაშვილმა, რომლებიც თანამშრომლობდნენ ფარმაკოლოგიის ინსტიტუტთან, თავიანთი სამეცნიერო ნაშრომები მიუძღვნეს ადამის ფესვს. ისინი მცენარის ანალგეზიურ და რევმატიული დაავადებების სამკურნალო თვისებებს მიაწერდნენ *Thamus communis*-ის ფესვიდან გამოყოფილ კალციუმის ოქსალატს.

საკვანძო სიტყვები: ადამის ფესვი, კარაბადინი, ყუსტი, კალციუმის ოქსალატი.

ADAM'S ROOT (THAMUS COMMUNIS) IN THE GEORGIAN MEDICAL LITERATURE

Nino Qurashvili

Invited Professor of the University of Georgia;

Medea Chikava, Tamar Tsintsadze

Professors of GTU

RESUME

The article discusses data on Adam's Root (*Thamus communis*), collected from the Georgian Medical Literature.

Thamus communis was used as a single herb, as

well as in combination with other medicinal plants in medieval time. „Iadigar Daudi“, Georgian medical handbook by David Bagrationi (the 16th century), „Book of Medical Treatment - Karabadini“ by Zaza Panaskerteli-Tsitsishvili, (the 15th century) and medical handbook „Incomparable Karabadini“ by Kananeli (the 11th century) describe Adam's root as incomparable remedy for epileptic seizures, in acyesis treatment, for avoiding nightmares, resolving digestion problems, relieving joint pain, swelling, inflammation, removing pockmarks and other face spots, for the treatment of hemangioma and liver tumors, etc.

Since the 17th century no data were found. Only in 1930-40s, Georgian physicians, Megrelishvili and Iobashvili, who conducted joint research with scientists from the Institute of Pharmacochemistry, dedicated their scientific works to *Thamus communis*. They ascribed the plant analgesic and rheumatic diseases healing properties to calcium oxalate isolated from the roots of *Thamus communis*.

* * * *

სამკურნალო მცენარეებიდან დამზადებული წამლები ნაკლებად მავნებელია ადამიანის ორგანიზმისათვის, ვიდრე ქიმიური პრეპარატები. მათი უპირატესობა განპირობებულია თანდათანობით ზემოქმედებით, უკიდურესად დაბალი ტოქსიკურობით, მცირე გვერდითი მოვლენების არსებობით. ცხადია, არსებობს შხამიანი მცენარეებიც, რომლებიც წამლებად გამოიყენება [1].

საქართველოში სამკურნალო მცენარეების გამოყენების შესახებ ცნობებს იძლევა ძვ. ქართული სამედიცინო წერილობითი წყაროები — ქანანელის „უსწორო კარაბადინი“ (XI საუკუნე), ხოჯაყოფილის „წიგნი სააქიმოჲ“ (XIII საუკუნე), ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“ (XV საუკუნე), „იადიგარ დაუდი“ (XVI საუკუნე). დიდი მასალაა შემონახული იოანე და თეიმურაზ ბატონიშვილებისა და სხვათა სამედიცინო ხელნაწერებშიც. მე-19-ე საუკუნის შუა პერიოდამდე მხოლოდ და მხოლოდ მცენარეული და ცხოველური წარმოშობის წამლებით სარგებლობდნენ [2].

სამკურნალო მცენარეებით მდიდარი საქართველოს ფლორიდან, კვლევის ობიექტად შევარჩიეთ ადამის ფესვი, რომელიც წარმატებით გამოიყენებოდა ხალხურ მედიცინაში და მოხსენებულია ძველ კარაბადინებში. იგი ქართულ ისტორიულ წყაროებში გვხვდება ჩვენი წელთაღრიცხვის მე-11 საუკუნიდან სხვადასხვა დასახელებით. მას შემდეგ აქტიურად და წარმატებით გამოიყენებოდა სხვადასხვა დაავადების სამკურნალო მცენარეულ ნაკრებებში, კერძოდ, ეპილეფსიური შეტევების, სახსრების, წელის ტკივილების, ბუასილის, უშვილობის სამკურნალოდ. ძირითადად გამოიყენებული იყო მცენარის წყლიანი გამონაწვლილები, გამონაცემები და სპირტხსნარები ისეთი დაავადებების სამკურნალოდ, როგორცაა: ბრონქიტი, ტუბერკულოზი, შარდის ბუშტის დაავადებები, საშვილოსნოს დაავადებები, ოსტეოქონდროზი, რადიკულიტი, ართროზი, პოლიართრიტი, პოდაგრა, პოლიპები, სისხლჩაქცევები, დაჟეჟილობები, მეჭეჭები და ეგ ზემა, ნეკნთაშორისი ნევრალგია და სხვ. [3].

ადამის ფესვი (*Thamus communis*) მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა დიოსკორეასებრთა ოჯახისა. მას გამსხვილებული ფესვი, მცოცავი და ხვიარა ღერო აქვს. გავრცელებულია ყირიმსა და კავკასიაში, ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქვეყნებში, ევროპასა და წინა აზიაში. საქართველოში მთის შუა სარტყლამდე, ძირითადად ტყეში და ტყის პირას იზრდება [14]. იგი დეკორატიული მცენარეა, იყენებენ ცოცხალ ღობედ. ფესვებს იყენებენ ხალხურ მედიცინაში [4].

Thamus communis საქართველოში თითქმის ყველა კუთხეში გვხვდება, რაზეც მიუთითებს მისი განსხვავებული დასახელებები: ქართლში - მინისქონა; ფშავეში - ძალაფსელა; თუშეთში - დათვყურძენა; იმერეთში - ლეფშურა; ზემო აჭარაში - ლემშრა; ქვემო აჭარაში - ქავილა; რაჭაში, ლეჩხუმში და ზემო იმერეთში - ფუტკრიქავა, ფუთრიკავა; გურიაში - ძირინამალი; სამეგრელოში - მორთა, უნთო, უნთოში, ჯინჯი, ძარხუხუ; სვანეთში - მგთ, მუუთა [5].

შესწავლილი ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, ადამის ფესვი შეიცავს 8-10% სპიროსტანინსა და ფუროსტანინს ტიპის სტეროიდულ საპონინებს [6]. მცენარის სხვადასხვა ნაწილის შემადგენლობაში აგრეთვე შედის: ჭიანჭველმჭავა, მუაუნმჭავა, მთრიმლავი ნივთიერებები, გლიკოზიდები, ბრიონინი, ბრიონიდინი, ორგანული მჟავები და სხვ. [3].

ა. მაყაშვილის ლექსიკონის მიხედვით ადამის ფესვის ერთ-ერთი დასახელებაა მიხელტა [5]. თუმცა, სახელწოდებით მიხელტა ლადო აღნიშვილს დახასიათებული აქვს ძირმწარა (*Aristolochia clematitis*) [6]. უძველეს წყაროებში, მაგალითად, დავით ბაგრატიონის „იადიგარ დაუდსა“ [10] და ქანანელის „უსწორო კარაბადინში“ [11] ადამის ფესვი მოხსენიებულია, როგორც ყუსტი. ხალხურ მედიცინაში ადამის ფესვს „ცეცხლოვან ფესვს“ უწოდებენ და ზოგჯერ მოიხსენიებენ, როგორც „გველის ბალახს“, რადგან გველის შხამის მსგავსი მანანალგეზირებელი თვისება აქვს.

მცენარის მრავალმხრივი სამკურნალო თვისებები კარგად იყო ცნობილი ჯერ კიდევ მე-16 საუკუნის საქართველოში. დავით ბაგრატიონის „იადიგარ დაუდში“ ვკითხულობთ (ძველი ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის განმარტებები იხილეთ დანართში):

„ყუსტი (ლეფშურა) - მესამეს წილშა მხურვალი და ხმელი არი, თეძობისა და კუკუხოს ტკივილს ორსავე უშველის. კაცსა რომე ასოები და სახსრები სტკიოდეს, იმას უშველის. ფილენჯი და ფილენჯისა ქარსა კარგად უზამს, გრილსა ხაფაყანსა და გრილსა სისხასა ორსავე არგებს. ცივებასა უშველის და რაგინდარა რამე სიმსივნე იყოს, ყუელას დააცხრობს და უშველის“ [9].

გარდა ამისა, იგივე იადიგარ დაუდის მიხედვით, მცენარე წარმატებით გამოიყენებოდა ეპილეფსიის, უშვილობის, საჭმლის მონელების პრობლემების, ღამის კომარების, სახსრების ტკივილების სამკურნალოდაც.

ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის „კარაბადინის“ მიხედვით, ადამის ფესვი (ყუსტი) გამოიყენებოდა მცენარეთა ნაკრებში ზურგისა და წელის ტკივილის, შარდის ბუშტის ანთების, კუჭ-ნაწლავის მოქმედების პრობლემებისას, ჰემანგიომისა და ღვიძლის სიმსივნეების, ნაღვლის ბუშტის დაავადებების სამკურნალოდ:

„სხუა კარი და ნიშანი ზურგისა ტკივილისა და მოდრეკისა და არყანისა, რომელ არს თეძოთა ტკივილი.

რომე არყნისაგან ზურგი სტკიოდეს-დაიჭირე: საქაბინჯი, ჯავშარი, მუყლი, აშვი, ზანჯაბილი, ანძრუთი, სურინჯინი, მარილი ინდოური, ჯუნდი, ბედსტარი, ყუსტი, აზამბადი, ზირა, ფურცელი სადაფისა, ანისურის თესლი და კამის თესლი; ესე ყუელა თუითონ წონა სამისა მუტყელისა ტლედ ქნას.

შარდის ბუშტის ანთებისას მოიღე: სოდი და მწარე ნუში, ყუსტი და სუმბული, ფილფილი და სალიხა თუითონ-2-2 დრამი, ესე ყუელა დანაყე, გაცარ და ასთონი ერთი თაფლი რომე ამას მოუნდებოდეს, მოადულე, ქაფი მოხადე და ესე წამლები შიგან გაურთეთ და ყოველთა დღეთა თბილსა წყალშიგან ჩასმიდი და თბილსა წყალსა ზედაცა ასხმიდით.

წამალი სარგო ტყირბისა და ლუიძლისა და სიმსივნისა და ყუითლისა წყლისა და სტომაქის ტკივილისათვის, და თირკმელთა, და გოინსა და ხუელასა ძუელსა, და ქუემძრომელთა ძნელად ნაკბენსა“ [11].

ქანანელი თავის „უსწორო კარაბადინში“ უსწორო იძლევა გამოცდილ რეცეპტს ნაყვავილევისა და

სხვა სახის ლაქების მოსაშორებლად, სადაც სხვა მცენარეებთან ერთად გამოიყენება ადამის ფესვიც (ყუსტი): „თუ პირზედა ნაყვავილევი ჩანდეს ანუ ქვითრუში, ანუ სხვა ნითელი რამე აჩნდეს, წამალი მისი, აიღე: სოსნის ძირი, ყუსტი და მურდა სანგი (ტყვიის ჟანგი) და ირმის რქა დამწვარი, ბორა (ოქრომჭედლის ბორა) და ვაშაყი ყველა დანაყე და გოსაფრისა ყვითლისა წვენითა შეზილე და შემოსდეგ და რაც ჩნდეს ყუელა წაილოს.“

სხვა წამალი გამოცდილი, აიღე ყუსტი დარიჩინი დანაყე და გოსაფრისა ყვითლისა წვენითა შეასოვლე და შემოსდეგ, ნიშნები ყველა წაილოს“ [10].

მე-17 საუკუნიდან ადამის ფესვის შესახებ მონაცემები აღარ იძებნება ქართულ სამედიცინო ლიტერატურაში. მხოლოდ მე-20 საუკუნის 30-40-იან წლებში კვლავ გაჩნდა მის მიმართ ინტერესი. გასული საუკუნის 40-იან წლებში ქართველი მეცნიერი ნ. იობაშვილი დეტალურად აღწერს განსხვავებას ადამის ფესვისა და შავ ბრიონიას შორის: „საჭიროა აღინიშნოს, რომ *Thamus communis*-ის ფესურა გარეგნულად წააგავს *Bryonia alba*-ს და *Bryonia dioica*-ს ფესურას, რის გამოც მას მიაკუთვნეს სახელწოდება *Bryonia nigra*, რაც სწორი არ არის. *Bryonia alba* და *Bryonia dioica* ეკუთვნიან *Cucurbitaceae*-ს ოჯახს. *Thamus communis*-ის ფესურა ანატომიური შენებით განსხვავდება *Bryonia alba* და *Bryonia dioica*-სგან. ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა მიკროსკოპის ქვეშ გაგვესინჯა *Bryonia alba*-ს ფესურას განივი ანათალი. უკანასკნელში, განსხვავებით *Thamus communis*-ისგან, მოჩანს ცენტრიდან პერიფერიისაკენ მიმავალი გულგულის სხივები. *Thamus communis*-ის ფესურას განივ ანათალზე კი მოჩანს ბასრწვეტიანი, კონებად დალაგებული კრისტალები. ისე ორივე ფესურის დამახასიათებელია სახამებლით მდიდარი უჯრედები“ [12].

ადამის ფესვის (ლეფშურას) ფარმაკოლოგიურ აქტივობაზე საინტერესო დაკვნა აქვთ გამოტანილი ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის თანამშრომლებსაც: „სხვათაშორის, ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მრავალი მცენარე ჰკარგავს შხამიანობის თვისებას გამოშრობისას და ხდება სრულიად უვნებელი, რის გამოც საჭმელადაც კი იხმარება. აქედან გამომდინარე, ლეფშურას ფესვს, რომელიც საკვლევო-სამეცნიერო ფარმაკო-ქიმიური ინსტიტუტის მუზეუმში 1934 წლიდან ინახებოდა, უნდა დაეკარგა თავისი გამაღიზიანებელი თვისებები, მაგრამ ეს არ გამართლდა.“

დაფხვნილ მშრალ ფესვს მიემატა წყალი მცირე რაოდენობით. ნარევის კანზე წასმის შემდეგ ფხვნილმა კანის გაღიზიანება გამოიწვია.

მცენარის ფესვის შემადგენლობაში შედის კალციუმის ოქსალატი. ჩატარებული სამეცნიერო კვლევების შედეგად დადგინდა, რომ კანის გაღიზი-

ანება ლეფშურას მოხმარებისას გამოწვეულია ნემსისებრი კრისტალების კანში შესობით, ე.ი. მოქმედება მხოლოდ ადგილობრივია და წმინდა მექანიკური ხასიათის“ [12].

ნ. მეგრელიშვილის მიერ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის „მასალები სახსართა რევმატიული ანთების ლეფშურათი მკურნალობის საკითხისათვის“ მიხედვით, *Thamus communis* შეიცავს კალციუმის ოქსალატს, რომელიც იწვევს ადგილობრივ გაღიზიანებას და მექანიკური ზემოქმედებით კურნავს რევმატიულ დაავადებებს. მის მიერვე ჩატარებული კვლევების თანახმად, ადამის ფესვის ნაცრიანობა არ აღემატება 12,0%-ს, ხოლო სინამე - 50%-ს [13]. ქართულ სამედიცინო ლიტერატურაში მეგრელიშვილის სადისერტაციო ნაშრომის შემდეგ ადამის ფესვის სამეცნიერო შესწავლის შესახებ მონაცემები აღარ იძებნება.

როგორც ჩვენს მიერ შესწავლილი ლიტერატურიდან ჩანს, მრავალი საუკუნის განმავლობაში ადამის ფესვი წარმატებით გამოიყენებოდა სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ. თუმცა, გაურკვეველი მიზეზების გამო, იგი დავიწყებას მიეცა. ჩვენი აზრით, ამ უნიკალური მცენარის კვლევის განახლებით, შესაძლებელი იქნება საუკუნეებით გამოცდილი სამკურნალო მცენარის მედიცინაში დაბრუნება.

ქველი ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის განმარტებები:

1. ფილენჯი - დამბლა
2. ფილენჯისა ქარი - იგივე ფილენჯი
3. ხაფაყანი - ქმინვა, გულის ფეთქვა. თურქ. *Hafakan* ხაფაქან - გულის ფრიალი, ძვერა, ცემა.
4. სისხა - ფალარათობა სისხლით
5. ემთილა - არ. ეხთილა - საჭმლის მოუნელებლობა, ზომაზე მეტი გაძლომა, მუცლის ამოყორვა. ი.დ. გვ.702
6. თასანუჯი - კონვულსია, კრუნჩხვა ტვინის ავადმყოფობა - ჰემიპლეგია. (ჰემიპლეგია [ბერძ. *hēmi* ნახევარი და *plēgē* დარტყმა] - (მედიც.). სხეულის ერთი ნახევრის ნებისმიერი მოძრაობის დაკარგვა; ნახევარდამბლა). მუფალიჯიცი იგივეა.
7. ალის დანოლა - ქაბუსი, ავადმყოფობა, ძილში ბნედასივით დაემართება. იგივე არაბ. ქაბუს - კომმარი
8. თათარ ყურთი - ეპილეფსია, ბნედა, მტერთა დაცემაი
9. სუზაბის ერბო - თურქ. *Susam* - იგივე სეზამი - *Semena Sesami Orientalis* - სეზამის ზეთი
10. ნაჟვი - ნაძვი - *Pinus Silvestris* L.
11. ნაჟვის ზეთი - *Oleum Pini Silvestris* - ნაძვის ზეთი

12. საჯი - ტაფა ირან.
13. დამალი - სასა პირის ღრუს უკანა კედელი Palatum molle
14. უზანლულის თესლი - მარიამ საკმელა - Herba Rutea მცენარისაგან Ruta Graveolens
15. ყუავის ჭანგა - ყვავის ჭანგა - აქლილუ მულუქი - Cichorium Intybus L.
16. ყუავის ჭანგა - ვარდკაჭაჭა
17. მუყლი, მუტყლი - ლადანის ფისი, ფიჭვის ან სოჭის ფისი, ინდური საკმელი
18. მარამა - მალამო
19. ტყირბი - ჰემანგიომა
20. მური - მურტი, მარადმწვანე ბუჩქია, გამოიყენება დეკორატიული მიზნითაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ხიდაშელი შალვა. ფიტოთერაპია. საქართველოს ხარისხის მართვის ინსტიტუტი. გამომცემლობა „შემომქმედი“. 1996. გვ. 3-7.
2. სამკურნალო მცენარეები. მასალა ვიკიპედიაში — თავისუფალი ენციკლოპედია. https://ka.wikipedia.org/wiki/სამკურნალო_მცენარეები უკანასკნელად გადამოწმებულია 27.10.2020.
3. ადამის ფესვები ნედლი სახით <https://mwvane-aftiaqi.com/product.php?id=72> უკანასკნელად გადამოწმებულია 27.10.2020.
4. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 1, შინდი - ჰუხი, მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 1953. გვ.11.
5. ა. მაყაშვილი. ბოტანიკური ლექსიკონი. მცენარეთა სახელწოდებანი. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1961 (საქმთავარპოლიგრაფგამომც. მე-2 სტ). გვ-260-261.
6. ლ. ერისთავი. ფარმაკოგნოზია. საქართველოს მაცნე, თბილისი, 2005, გვ. 319.
7. ძალის სატაცური, მიხელტა. http://www.ice.ge/new/samkurnalo/zz/zz_text.htm უკანასკნელად გადამოწმებულია 27.10.2020.
8. პერიოდული გამოცემა „ჯეჯილი“. ოქტომბერი, 1898. გვ.52-54.
9. დ. ბაგრატიონი. იადიგარ დაუდი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი 1985. გვ. 218, 425-426, 463-464, 484.
10. ქანანელი. უსწორო კარაბადინი. საქმედგამი, თბილისი, 1940. გვ. 296, 374.
11. ზ. ფანასკერტელ-ციციშვილი. სამკურნალო ნიგნი - კარაბადინი. ტ. 2, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1988. გვ. 506-511, 525, 527, 543-545, 569, 586-587, 611, 636.
12. ნ. იობაშვილი. მასალები Thamus communis-ის ფესვების გამალიზიანებელი თვისების შემადგენელი ნაწილების შესახებ. თბილისი, 1941, გვ. 326-334.
13. ნ. მეგრელიშვილი. მასალები სახსართა რევმატიული ანთების ლეფშურათი მკურნალობის საკითხისათვის. თბილისი, 1952.
14. მ. მესხი. ბოტანიკა. გამომცემლობა „განათლება“, თბილისი 1976, გვ 314.

მინისკვეშა წყლების ძიება გეოფიზიკური მეთოდებით და წყალშემცველი ჰორიზონების ჰიდროგეოლოგიური შესწავლილობა

თამარ რაზმაძე-ბროკიშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

საქართველოს წყალმომარაგების 70%-ზე მეტი მინისკვეშა წყლების ხარჯზე ხდება. სწორედ ამიტომ, მინისკვეშა წყლების რეჟიმის, მისი ხარისხისა და მათზე მოქმედი ფაქტორების შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. გარდა ცნობილი ჰიდროგეოლოგიური კვლევებისა და კომპიუტერული მოდელირების მეთოდებისა, არსებობს კვლევის სხვა მეთოდები, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება გეოფიზიკური კვლევები, განსაკუთრებით მისი ერთ-ერთი მიმართულება ძიების ელექტრული მეთოდი. ცნობილია, რომ ამ მეთოდს დიდი პოტენციალი აქვს მინისკვეშა წყლების რესურსების კვლევაში და მენეჯმენტში. ის საშუალებას იძლევა მოვახდინოთ წყალშემცველი ფენების კარტირება, მათი სიმძლავრისა და მინისკვეშა ნაკადის მოძრაობის მიმართულების დადგენა. წინამდებარე ნაშრომში განხილულია საჩხერის ტერიტორიაზე მდ. ყვირილის პირველი და მეორე ტერასების კვლევა, რომლის დროსაც დაფიქსირებული იქნა წყალშემცველი ჰორიზონტის საზღვრები (სახურავი და საგები), რომელიც საფუძვლად დაედო ქ. ჭიათურის წყალმომარაგებას. კვლევების საფუძველზე განხორციელდა საჩხერის მუნიციპალიტეტის მინისკვეშა წყლების ძიება საყოფაცხოვრებო სასმელი წყლის დეფიციტის შევსების მიზნით.

საკვანძო სიტყვები: წყალშემცველი ჰორიზონტები, გეოფიზიკური კვლევები, წყალმომარაგება, ფიტრაცია.

EXPLORATION OF UNDERGROUND WATERS WITH GEOPHYSICAL METHODS AND DEGREE OF HYDROGEOLOGICAL STUDY OF WATER-BEARING HORIZONS

Tamar razmadze-brokishvili
PhD student of GTU

ABSTRACT

Over 70% of the water supply of Georgia is ensured by underground waters. This is why, the study of the regime and quality of the underground waters and factors influencing them is of a great importance. Besides the well-known hydrogeological studies and computer modeling methods, there are other survey methods, and geophysical studies, particularly, the electrical surveying, are among them. This method is known to have a good potential in the study and management of underground water resources. It allows mapping

water-bearing layers and identifying the directions of underground current movement. The present paper considers the study of the first and second terraces of the Kvirila River on the territory of Sachkhere, during which the boundaries (upper boundary and subgrade) of the water-bearing horizon were identified, which became a basis for the water-supply of Chiatura. Within the limits of the studies, the underground waters of Sachkhere were explored to eliminate the domestic and drinking water deficit.

Keywords: water-bearing horizons, geophysical studies, water supply, filtration


შესავალი

კვლევების ჩატარება ამ უბანზე განპირობებული იყო იმ ფაქტორით, რომ მდ. ყვირილის ჭალა, ამ ადგილას განიერია და ალუვიური ნალექები წარმოადგენილია კაჭარ-კენჭნაროვანი გრუნტით ქვიშის შემავსებლით. განხორციელდა ელექტროსაძიებო სამუშაოები, რომელთა დეტალურ ამოცანას წარმოადგენდა საკვლევ ტერიტორიაზე, მდ. ყვირილისა და მდ. ლაშურის მიმდებარე ალუვიური ნალექების მახასიათებლების (ფილტრაციული თვისებები, გრანულომეტრიული შემადგენლობა, სიმძლავრე, ლითოლოგიური შემადგენლობა, გეოფიზიკური პარამეტრები და ა.შ.) შესწავლა. **ძირითადი ტექსტი.** წყალშემცველი ფენების დასახასიათებლად გამოყენებული იქნა წინააღმდეგობის მეთოდი, კერძოდ ვერტიკალური ელექტრული ზონდირება (ვეზ) [1]. კვლევები ჩატარდა სოფ. სავანეს ჩრდილოეთით, მდ. ყვირილის მარცხენა ნაპირის მიმდებარე ტერიტორიაზე. გეოფიზიკური სამუშაოები ჩატარდა „ვეზ“-ის 26 დაკვირვების („GT“) ნერტილში. შესწავლის სიღრმე სიღრმე წარმოადგენდა 170 მ-ს [2]. სავლე მონაცემებზე დაყრდნობით, „ვერტიკალური ელექტრული წინააღმდეგობის ერთგანზომილებიანი მოდელირების“ (IPI2WIN) პროგრამის საშუალებით, მიღებული იქნა 26 „ვეზ“ მრუდი [3]. (ნახ.1.) წინააღმდეგობის თვალსაჩინოებისათვის შედგენილი იქნა ცხრილი 1.


განხორციელდა „ვეზ“-ის დაკვირვების („GT“) ნერტილების შეერთება და მიღებული იქნა 12 პროფილი, რომელთა შორის დაშორება დაახლოებით 150-200 მ-ია. ანუ საკვლევი ტერიტორიის ფართობი წარმოადგენს დაახლოებით 540000 მ²-ს (1200მ X 450მ).

თითოეული განედური პროფილისთვის შეიქმნა წინააღმდეგობის განწილების სურათი და გეოელექტ-

ნახ.1 GT 1 დაკვირვების წერტილიდან მიღებული „ვეზ“ მრუდი



ნახ.2. „ვეზ“ პროფილების განლაგების სამგანზომილებიანი მოდელი



ცხრილი 1 წინააღობის განაწილების სურათი GT1 დაკვირვების წერტილში

N	დასახ.	X	Y	აბსოლუ- ტური ნიშნული	კუთრ. წინაღ. (ომ.მ)	სიღრმე	ლითოლოგია	ფენა
1	სავანე 1 GT1	371968.38	4687777.86	461.25	9.94	0.75	თიხნარი	1
				457.26	170	4.74	ტენიანი ქვიშა	2
				450.5	398	11.5	ტენიანი ქვიშა	2
				433.9	93.6	28.1	წყლით გატენიანებული ქვიშა	2
				393	18.8	69	თიხა	3
				292	12.6	170	თიხა	3

რული ჭრილი. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით და სპეციალური მოდელირების პროგრამის „Feflow“ - ს ბაზაზე შეიქმნა საკვლევი ტერიტორიის სამგანზომილებიანი მოდელი 12-ვე პროფილის გასწვრივ (ნახ.2).

პროგრამაში საბოლოოდ გამოიკვეთა სამი ფენა (ცხრ.2). ზედაპირიდან პირველი თიხის ფენაა, 5-30 ომ.მ წინააღობით და წყლის ცუდი შეღწევადობით, სიმძლავრე - დაახლოებით 1 მ. მეორე მთავარი წყალშემცველი ფენა გაყოფილია სამ ქვეფენად: ზევიდან პირველი - „მშრალი ქვიშა“, წინააღობით

450-2500 ომ.მ. მის ქვეშ მეორე - „ტენიანი ქვიშა“, წინააღობით 150-450 ომ.მ. და ქვედა ფენა - „წყლითგაჯერებული ქვიშა“ წინააღობით 50-150 ომ.მ. მესამე ფენა ასევე შეიცავს თიხას და მისი წინააღობაა 5-30 ომ.მ. ეს ფენა ვრცელდება შესწავლილ სიღრმემდე - 170 მ.

ყველაზე დიდი ფენის სიმძლავრე დაფიქსირდა ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სიმძლავრით 12-15 მ. მისი სიმძლავრე მცირდება დასავლეთის მიმართულებით 2მ-ით, ხოლო სამხრეთის მიმართულებით 6მ-ით. ჩრდილო-აღმოსავლეთის

ცხრილი.2. წინააღობის მეთოდით კვლევის შედეგად მიღებული ფენების დახასიათება

ლითოლოგია	წინააღობა (ომ.მ)	სიღრმე (მ.)	სიმძლავრე (მ.)	წყალშემცველობა	
თიხა	5-30	1	1	უწყლო	
წყალშემცველი ფენა	„მშრალი ქვიშა“	450-2500	2-6	5	უწყლო
	ტენიანი ქვიშა	150-450	6-10	10.0-10.5	წყლიანი
	წყლით გაჯე. ქვიშა	50-150	10-16		წყლიანი
თიხა	5-30	170	160	უწყლო	

ცხრილი .3 .ცენტრალური ჭაბურღილიდან ამოღებული კერნების მიხედვით შედგენილი გეოლოგიური ჭრილი

ლითოლოგია	სიღრმე (მ)	სიმძლავრე (მ)	წყალშემცველობა
თიხნარი	1	1	უწყლო
კაჭარ-კენჭნარი, ლოდების ჩანართებით და თიხაქვიშის შემავსებლით	6	5	უწყლო
კაჭარ-კენჭნარი, ლოდების ჩანართებით და თიხაქვიშის შემავსებლით	16.5	11.5	წყლიანი
მყარი თიხები	25	8.5	უწყლო

მხარის კვება ხდება მდ. ყვირილის და მდ. ლაშურის მიერ.

ელექტროსაძიებო სამუშაოებით მიღებული მონაცემების ინტერპრეტაციის შედეგად, სადაც დაფიქსირებული იქნა წყალშემცველი ჰორიზონტის ყველაზე დიდი სიმძლავრე, პირველ ეტაპზე გაიბურღა ერთი ცენტრალური (Central), 25 მეტრიანი საექსპლუატაციო ჭაბურღილი (D = 275 მმ), კერნის სრული აღებით. რომლის ლითოლოგიური აღწერილობა მოყვანილია ცხრილში 3.

ჭაბურღილში გამოყოფილი იქნა თიხნარის ფენა 1მ სიღრმემდე, რომელსაც საგებად უდევს მშრალი კაჭარ კენჭნარი (1.0-6.0 მ). წყალშემცველი ჰორიზონტი რომელიც წარმოდგენილია კაჭარ-კენჭნარით, ლოდების ჩანართებით და თიხაქვიშის შემავსებლით, შეადგენს 6-დამ 16.5 მ-მდე სიმძლავრის წყალშემცველ ჰორიზონტს. ხოლო, ქვემოთ დაძიებულ 25 მ სიღრმემდე წარმოადგენს უწყლო მყარი თიხების ფენა.

აღნიშნული ჭრილი სრულად შეესაბამისება ტერიტორიაზე ჩატარებული ელექტრომეტრიული სამუშაოებით, კერძოდ „ვეზ“-ით მიღებულ ჭრილს.

კვლევის შემდეგ ეტაპზე, მდინარის პარალელურად, გაიბურღა ახალი 7 საექსპლუატაციო ჭაბურღილი. ჭაბურღილებს შორის დაშორება არის 50 მ. ახლად გაბურღულ ჭაბურღილებში ჩატარდა გეოფიზიკური კვლევები. მიღებული დიაგრამებით შეიძლება დავასკვნათ, რომ საკვლევი უბანი შეიცავს წყალშემცველ ფენს, რომლის სიმძლავრე დაახლოებით 17-18 მ-ია (ცხრ.4) და შედგება ნაკლებად განყოფილებული და მეტად განყოფილებული ფენებისაგან, მის ზემოთ არის დაახლოებით 1-2 მ-ის მშრალი ნიადაგის ფენა, შემდეგ 6-7 მ-მდე სიმძლავრის ნაკლებად განყოფილებული ფენი, შემდეგ 10-12 მ სიმძლავრის - წყლით კარგად გაჟღენთილი ფენი, ხოლო ქვემოთ, კვლევის სიღრმემდე (25 მ) თიხის ფენა.

როგორც ვხედავთ, საკვლევ ტერიტორიაზე ჩატარებული ელექტრომეტრიული ძიებით, კერძოდ „ვეზ“-ით მიღებული ლითოლოგიური ჭრილი, შესაბამისობაში მოდის ცენტრალური ჭაბურღილიდან ამოღებული კერნის ნიმუშების მიხედვით აგებულ ლითოლოგიურ ჭრილთან და ემთხვევა ახლად გაბურღულ 7 ჭაბურღილში ჩატარებული კაროტაჟული კვლევებით მიღებულ მონაცემებს. დეტალური ჰიდროგეოლოგიური კვლევების შედეგად, გასულ საუკუნეში ჩატარებული კვლევების მიხედვით, აღნიშნული ჰორიზონტიდან, შეიძლება მივიღოთ სამეურნეო - სასამელოდ გამოსაყენებელი გრუნტის წყალი, რაოდენობით 600 ლ/წმ [5].

საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში გავრცელებული წყალშემცველი ჰორიზონტის ჰიდროდინამიკური პარამეტრების დასადგენად, ზემოთ ნახსენებ ჭაბურღილების ინფორმაციაზე დაყრდნობით, მიმდინარეობდა მონაცემების ყოველდღიური შეგროვება და მათი კამერალური დამუშავება - იგებოდა ტემპერატურის, გამტარებლობის და ჰიდროდინამიკური პარამეტრების დროითი ვარიაციების გრაფიკები და ხდებოდა მათი ანალიზი. მიღებული მონაცემების დამუშავება მიმდინარეობდა ლიცენზირებული პროგრამების (Aquifer-TestPro 4.2, Exel, Matlab) საშუალებით. შედეგად გათვლილი იქნა

ნებისაგან, მის ზემოთ არის დაახლოებით 1-2 მ-ის მშრალი ნიადაგის ფენა, შემდეგ 6-7 მ-მდე სიმძლავრის ნაკლებად განყოფილებული ფენი, შემდეგ 10-12 მ სიმძლავრის - წყლით კარგად გაჟღენთილი ფენი, ხოლო ქვემოთ, კვლევის სიღრმემდე (25 მ) თიხის ფენა.

ცხრილი 4. ჭაბურღილებში ჩატარებული გეოფიზიკური კვლევების შედეგად მიღებული ფენების დახასიათება

ლითოლოგია	სიღრმე (მ)	სიმძლავრე (მ)	წყალშემცველობა
მშრალი ნიადაგის თიხნარი	1-2	1-2	უწყლო
წყალშემცველი ფენი	8-9	17-18	ნაკლებად განყოფილებული
	18-20		მეტად განყოფილებული
თიხა	25	-	უწყლო

ცხრილი 5. სრული ინფორმაცია საჩხერის ქაბურღილების მახასიათებლების შესახებ

	ჭაბ. N1	ჭაბ. N2	ჭაბ. N3	ჭაბ. N4	ჭაბ N5	ჭაბ. N6	ჭაბ N7
T (მ ² /დღ)	1484	1039	1621	1305	1247	975	880
K (მ/დღ)	134.9	94.5	135.1	108.8	103.9	97.5	97.8
S, (მ) სათვალთვალო ქაბურღილებში	0.24	0.04	0.16	0.15	0.17	0.29	0.33
შესაბამისი Q (მ ³ /სთ)	62	34	67	68	68	67	61
Sc (მ ² /სთ) ხვედრითი ხარჯი	23.22	24.10	15.05	27.59	20.52	35.98	8.79
Q (მ ³ /სთ) რეკომენდირებული ხარჯი	72	34	72	72	72	72	<60

წყალშემცველი ჰორიზონტის ჰიდროდინამიკური პარამეტრები [4] (ფილტრაციის კოეფიციენტი (K), წყალგამტარებლობის კოეფიციენტი (T), ხვედრითი ხარჯი (Sc) წყლის ოპტიმალური დებიტი (Q), და სხვ.) თითოეულ გაბურღულ ქაბურღილში ჩატარდა საცდელ-საფეხურიანი და ხანგრძლივი ფილტრაციული სამუშაოები, მიღებული მონაცემების საფუძველზე გამოთვლილი იქნა ჰიდროგეოლოგიური პარამეტრები, რომელთა შედეგებიც მოყვანილია ცხრილში.

დასკვნა

ქ. ჭიათურის მოსახლეობის დღევანდელი და მომავალში რაოდენობის მატების გათვალისწინებით, წყალზე მოთხოვნილების სრულად დასაკმაყოფილებლად სასმელი წყალმომარაგების მინიმალური რაოდენობა 55-60 ლ/წმ შეადგენს. დღევანდელი წყალმომარაგება მხოლოდ მცირედი ნაწილია, მაგრამ ახლად გაბურღული ქაბურღილების ფაქტობრივი მწარმოებლურობით დასახულ ზღვარზე გასვლის შესაძლებლობა რეალურია. საამისოდ სათანადო გეოლოგიურ-ჰიდროგეოლოგიური პირობები არსებობს, სადაც ქანები მაღალი წყალშემცველობით გამოირჩევა, რაც ქაბურღილების საცდელ-ფილტრაციულმა გამოცდის შედეგამაც დაადასტურა, რომელსაც გეოფიზიკური კვლევებით მიღებული სავარაუდო წყალგაუმტარი და წყალშემცველი

ჰორიზონტების სივრცობრივი განაწილება იდეალურად დაემთხვა. თითოეული ქაბურღილისთვის გაცემული იქნა რეკომენდაციები წყლის ოპტიმალური დებიტის შესახებ და დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ დამატებითი ქაბურღილების ერთობლივი ექსპლუატაციისას მიღებული ჯამური დებიტი შეადგენს 126 ლ/წმ, რაც ბევრად აღემატება დღევანდელ სასმელი წყლის მოთხოვნილებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. В.К. Хмелевской, В.И. Констинцын – «Основы Геофизических Методов» Перм 2010.
2. მელიქაძე გ. – „გეოფიზიკური კვლევების საბოლოო ანგარიში“. თბილისი 2016. მაისი. 21 გვ.
3. Хмелевски В.К, Модин А.Г.,Яковлева И.Н. - Электроразведка: пособие по электроразведочной практике для студентов геофизических специальностей.– Москва: 2005.
4. უ.ზვიადაძე, მ. მარდაშოვა, ნ. კიკნაძე - „მინის ქვეშა წყლების დინამიკა“ – „ტექნიკური უნივერსიტეტი“ თბილისი 2013.
5. Г. Мамулияидр, Отчет по гидрогеологическим изисканиям грунтовых вод аллювальных отложений р, Квирила, с подсчетом запасов для водоснабжения Чиатура! Сачхერского горнлпромишленного района, Управление геологии Грузии 1966-68.

სატვირთო გადაზიდვის დიგიტალიზაციის უპირატესობები

ანა კურტანიძე

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის პროფესორი

ნინო დარსაველიძე

სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

ADVANTAGES OF FREIGHT DIGITIZATION

Ana Kurtanidze

Professor of SSU;

Nino Darsavelidze

Associate Professor of GTU

RESUME

The term digital usually refers to the representation of information in the form of digital signals. Digitalization is a polysemic term describing the process by which all forms of representation become digital. This process is the essence of the third industrial revolution. The digital transformation of all aspects of human life, defining the essence of the fourth industrial revolution. The digital transformation of all aspects of human life, which determines the essence of the fourth industrial revolution, is another round of innovations leading to the development of technologies, which, in turn, provide an increase in labor productivity, the ability to earn more while spending less, and bring to economic development.

fundamentally new advantages that distinguish the phenomenon of digital transformation from previous rounds of innovation. These benefits can be identified from a time perspective: in the short, medium and long term.

საკვანძო სიტყვები დიგიტალიზაცია, ტვირთის გადაზიდვის დიგიტალიზაცია, ეროვნული საინფორმაციო პლატფორმები, ციფრული სატრანსპორტო დერეფნები, მსოფლიოს ციფრული ტრანსფორმაცია, ეკონომიკა. ციფრული სატრანსპორტო დერეფანი, Big Data ტექნოლოგიები.

ძირითადი ტექსტი

დიგიტალიზაცია, ძირითადად ცვლის ეკონომიკასა და საზოგადოებას. ეს ხელს უწყობს სამენარმეო ინოვაციებს, შრომის პროდუქტიულობას და რეგიონული ეკონომიკურ ზრდას. დიგიტალიზაცია ასევე მოქმედებს შრომის ბაზარზე. დიგიტალიზაციის პროცესები განახლებული ენერჯით ვითარდება ტექნოლოგიური განვითარების თანამედროვე ეტაპზე. ეკონომიკის ფართომასშტაბიან დიგიტალიზაციასთან დაკავშირებით ხდება კომპიუტერული ტექნოლოგიისა და ინტერნეტის დანერგვის პროცესი ცხოვრების ყველა სფეროში.

ეკონომიკის დიგიტალიზაცია რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მიმდინარეობდა, მაგრამ დღეს, მის აქტივებში უამრავი ციფრული ტექნოლოგია დაგროვდა და მომსახურების მინოდება

ინტერნეტით, უკვე ჩვეული მოვლენა გახდა. რომლის მეშვეობით კომპანიები ზრდიან შრომის პროდუქტიულობას, მაგრამ იგი შეიძლება გარკვეულ საფრთხეებს შეიცავდეს შრომის ბაზრისთვის.

ასე რომ ადგილი აქვს ოპტიმისტურ და პესიმისტურ ხედვას: პესიმისტებს მიაჩნიათ, რომ ციფრული ინოვაცია სამუშაო ადგილების დაკარგვას იწვევს.

მსგავსად რობოტების გამოყენებისა, რომელიც ცვლის ადამიანის შრომას. ოპტიმისტები დარწმუნებულნი არიან, რომ დიგიტალიზაცია არ იწვევს შრომის ბაზარზე დიდ შოკებს. ავტომატიზაცია, ხელოვნური ინტელექტისა და რობოტების დანერგვა, უპირველეს ყოვლისა - საფრთხეს უქმნის დაბალი კვალიფიკაციის მუშაკებს.

დიგიტალიზაცია - ხშირად გაიგივებულია კონცეფციასთან - ინდუსტრია 4.0-თან. რაც ფაქტობრივად ისეთი ფენომენია, როდესაც მანქანები, ალტურვილობა, წარმოების არეალში ფუნქციონირებს ადამიანის ჩარევის გარეშე, ინტერნეტის საშუალებით. რეალური და ვირტუალური სამყარო გაერთიანებულია წარმოების სისტემებში.

კომპანიებისათვის დიდი სარგებელის მომტანია ტრანსპორტის, ლოგისტიკის, ინფორმაციისა და ტრანსაქციის ხარჯების შემცირება, საზღვრის გადაკვეთასა და სავაჭრო პოლიტიკასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირება, რომლებიც გამოწვეულია ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით. საერთაშორისო ვაჭრობაში - ეს ეხება როგორც იმპორტს, ასევე - ექსპორტსაც.

ციფრული ტექნოლოგიის აქტუალობა ძირითადად ცვლის ბიზნესის წარმოების გზას. ეს კი გავლენას ახდენს სატრანსპორტო და ლოგისტიკურ საქმიანობაზე.

ტრანსპორტის სფეროში - დიგიტალიზაცია გულისხმობს ინტელექტუალური მართვის სისტემების გამოყენებას და ტვირთის მიკვლევას ტრანსპორტირების ყველა ეტაპზე. უპილოტო ტვირთის დამუშავების ტექნოლოგიები, დოკუმენტების ნაკადის სრული ავტომატიზაცია, ელექტრონული სატრანსპორტო დოკუმენტები ტვირთის გადაზიდვას უზრუნველყოფენ როგორც ქვეყნის შიგნით - ასევე საერთაშორისო გადაზიდვებშიც. იგივე ითქმის, საქონლის განბაჟებაზეც, და საქონლის საერთაშორისო ტრანსპორტირებაზე.

ტერმინი - ციფრული სატრანსპორტო დერეფანი - ნიშნავს, ელექტრონული ლოგისტიკის ინტეგრირებული და განაწილებული ინფორმაციული სისტემის ბაზრის განსაზღვრას და ტრანსკონტინენტური ტვირთის ეფექტური მონიტორინგს.

ციფრული დერეფნების ბირთვი არის ინფორმაციის შემცველი, ელექტრონული დოკუმენტების ერთიანი, საინფორმაციო სივრცე - ტრანსპორტირებულ საქონელზე, გამგზავნებსა და ტვირთგამგზავრებზე (Big Data ტექნოლოგიების გამოყენება). Big Data ტექნოლოგიის გამოყენების წყალობით სატრანსპორტო კომპანიებს შეუძლიათ ყოველდღიურად, უკეთ მართონ გადაადგილება და შეძლონ სატრანსპორტო ოპერაციების შესახებ ინფორმაციის ანალიზის გაკეთება.

სატრანსპორტო დერეფნების ორგანიზების პლატფორმების დიგიტალიზაცია, კომპლექსური მრავალგანზომილებიანი საკითხია, რადგან იგი გავლენას ახდენს არა მხოლოდ ლოგისტიკური მომსახურების სფეროზე არამედ ეკონომიკის სხვა სფეროებზეც - საბანკო, სანარმოო და სატელეკომუნიკაციო სფეროებზე. ასე რომ, ქსელში, უფრო რთული ოპერაციის შესასრულებლად, ინტერნეტი, ციფრული პლატფორმა, უნდა იყოს მხარდაჭერილი საბანკო ინდუსტრიის მიერ ონლაინ გადახდების ან პასუხისმგებლობის დაზღვევისთვის.

მომხმარებელს უნდა შეეძლოს გააკეთოს ჯავშანი, გადახდა და დაზღვევა.

სატრანსპორტო დერეფნების დიგიტალიზაცია მჭიდრო კავშირშია ეკონომიკასთან და ეკონომიკური მაჩვენებლების ხარისხობრივ ზრდასთან. იგი ხელს უწყობს ტრანსპორტის ფუნქციონირებას, განვითარებას და მის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

დასკვნა

სატრანსპორტო დერეფნების დიგიტალიზაციას უდავოდ მნიშვნელოვანი სარგებელი მოაქვს საერთაშორისო სატრანსპორტო და ლოგისტიკური საქმიანობის მონაწილეებისთვის.

- სატრანსპორტო დოკუმენტების, ელექტრონულ დამუშავებას და შესრულებას, მნიშვნელოვნად ნაკლები დრო სჭირდება.

- გარდა ამისა, რეგისტრება და ანგარიშები, ავტომატურად სრულდება;

- სატრანსპორტო და ლოგისტიკური სამუშაოები შესრულებულია უფრო ეფექტურად;

- ეფექტურია, საქონლის კონტროლისა და ზედამხედველობის ორგანოების საქმიანობა;

- სატრანსპორტო დერეფანში, ციფრული პროცესების შემცირება შესაძლებელია 15 წუთამდე;

- ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა შეამცირებს ტრანსპორტირების ღირებულებას და ხარჯებს 20% -დან 12-15% -მდე

- შესაძლებელი ხდება ტრანსპორტირების ყველაზე ოპტიმალური მარშრუტებისა და პირობების განსაზღვრა.

- ელექტრონული დოკუმენტების გამოყენება და ერთიანი ინფორმაციული გარემოს ფორმირება, მნიშვნელოვნად ამცირებს გადამზიდვების ადმინისტრაციულ და დროით ხარჯებს და ზრდის გადაზიდვების სიჩქარეს.

დიგიტალიზაციის პლატფორმის სამიზნე ამოცანებია:

- კონკურენტუნარიანობის გაზრდა, მომსახურების ღირებულების შემცირება.

- სავაჭრო და სატრანსპორტო დერეფნები, სატრანსპორტო და ციფრული ინფრასტრუქტურის არსებული რესურსების გამოყენების ოპტიმიზაციით, ბიზნეს პროცესების განახლება.

- ინოვაციური ციფრული ბიზნესის მოდელების და ინფორმაციული ტექნოლოგიის გამოყენება;

- დამატებითი სატრანზიტო ტვირთის ნაკადის მოზიდვა;

- სატრანსპორტო დერეფნების გამტარუნარიანობის ზრდა;

- შესაძლებლობების ოპტიმალური დატვირთვა, მიწოდებისა და მოთხოვნის ბალანსის უზრუნველყოფა;

- სავაჭრო და სატრანსპორტო დერეფნების რესურსების გამოყენების ეფექტურობის ამაღლება;

- ინფორმაციის მხარდაჭერა და რესურსების გამოყენების ანალიზი;

- სატვირთო მიმოსვლის პროგნოზირება;

- ტვირთის გავლის მონიტორინგისა და კონტროლის ტექნიკური საშუალებების შერჩევა;

- საიმედო და დროული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ლოგისტიკური ნაკადების შესახებ;

- მონაცემთა სინქრონიზაცია

- ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

მონაცემები და ინფორმაციის სწრაფი გაცვლა საშუალებას აძლევს ლოგისტიკის მენეჯერებს, გადამზიდვებს და აგენტებს, აირჩიონ თავიანთი საქონლისთვის, ყველაზე ეფექტური გზა, აგრეთვე გამოიყენონ მომსახურება ტვირთის, გემების თვალყურისდევნების, ლოგისტიკური პრობლემების გადაჭრის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Китайская национальная платформа для логистики LOGINK. URL: <http://seanews.ru/2017/11/30.html> (дата обращения: 12.11.2019).

2. Королева А. А. Экономические эффекты цифровой логистики // Журнал Белорусского государственного университета. Экономика. — 2019. — № 1. — С. 68–76.

3. «Цифра» связывает магистрали/В. Вирковский, В. Падалица, Ю. Поберий, С. Енин// Веснік сувязі. — 2018. — № 1. — С. 8–11.

4. Концепция экосистемы транспортных коридоров в ЕАЭС. URL: <http://www.pravo.by/novosti/obshchestvenno-politicheskie-i-v-oblasti-prava/2018/december/31886/> (accessed: 11.11.2019).

5. European Logistics Platform. URL: <http://www.european-logistics-platform.eu/> (accessed: 10.12.2019)

საყრდენი კედლების ტიპის შერჩევა საინჟინერო ეკონომიკის შესაბამისად

ბაშარ მ.ამეენ აბდულლაჰ ალიმამ
სტუ-ს დოქტორანტი

SELECTING THE TYPE OF RETAINING WALL ACCORDING THE ENGINEERING ECONOMY

Bashar M.Ameen Abdullah Al-Imam
PhD Student of GTU

ABSTRACT

A large number of researchers have been studied landslide risk in Georgia. Georgia is a country with a difficult geographical terrain, where the development of new lands, construction of highways, communications, construction, the purpose of industrial and residential complexes. Natural landslides and slope stability problem often occur on the slope of the soil. Therefore, Significant landslide sites are found in many regions of Georgia. Therefore, to ensure their sustainability, it is necessary to arrange different types of restraint and protective construction systems, one of them using retaining walls . A lot of types of retaining wall are available as example Gabion retaining wall, Anchor retaining wall , counterfort retaining wall and gravity retaining wall . The economic factors are significant to select the type of retaining wall .

Key words: Landslide, retaining wall, sustainability, economy factors.

* * * *

დიდი რაოდენობით კვლევა ჩატარდა მენყრული რისკის შესაფასებლად საქართველოში, საქართველო წარმოადგენს რთული გეოგრაფიული რელიეფის მქონე ქვეყანას, სადაც ახალი მიწების ათვისების, მაგისტრალური სატრანსპორტო გზების და კომუნიკაციების გაყვანას, სამრეწველო და საცხოვრებელი კომპლექსების. ხშირად ფერდობზე და კალთებზე ადგილი აქვს გრუნტის ცოცვა-დობით გამოწვეულ ბუნებრივ გადაადგილებებს და მენყრულ მოვლენებს. ამიტომ მათი მდგრადობის უზრუნველსაყოფად საჭირო ხდება სხვადასხვა ტიპის შემაკავებელი, და დამცავი კონსტრუქციული სისტემების მოწყობა. ერთი მათგანი საყრდენი კედლების გამოყენებით. ბევრი ტიპის საყრდენი კედელი არის ხელმისაწვდომი, მაგალითად, გაბიონის საყრდენი კედელი, თხელკედლიანი საყრდენი კედელი ანკერული, თხელკედლიანი კონსოლურის საყრდენი კედლები, მასიური საყრდენი კედელი და კონტრფორსული საყრდენი კედელი.

საყრდენი კედელი:

საყრდენი კედლები შედარებით ხისტი კედლე-

ბია, რომლებიც გამოიყენება გრუნტის გვერდითის მხარის გამაგრებად, ისე, რომ იგი შეიძლება შენარჩუნდეს გრუნტების სხვადასხვა დონეზე [1] , საყრდენი კედლები და მათი კლასიფიკაცია

გაბიონი საყრდენი კედელი :

სამშენებლო სექტორის სწრაფი ზრდის გამო, სხვადასხვა სამშენებლო მასალები უნივერსალურად გამოიყენება. საყრდენი კედლები გადამწყვეტ როლს თამაშობენ გეოტექნიკური ინჟინერიაში, სადაც გაბიონის საყრდენი კედლები უფრო დიდ ყურადღებას აქცევენ. გაბიონის საყრდენი კედლები ძალზე სასარგებლოა, როდესაც საქმე ეხება ეკონომიკას, სტრუქტურულ სტაბილურობას და ესთეტიკურ სახეს, ვიდრე სხვებთან შედარებით. მათ აქვთ მრავალი ფუნქცია და ძალზე ეფექტურია, როდესაც საქმე ეხება წყლის კანალიზაციის თვისებებს. (ნახ. 1). გაბიონის კედელი: ეს მსგავსია გრავიტაციის საყრდენ კედლებს, რომლებიც იყენებენ საკუთარ წონას გვერდითი წნევის წინააღმდეგობის განევა, და გაბიონების უპირატესობების, ხანგრძლივი სიცოცხლე, ეკონომიური და სწრაფი მშენებლობა. ესთეტიკური გარეგნობა შეესაბამება გარემო, ხელმისაწვდომი მასალები ახლოს საიტის გამოყენება შესაძლებელია და ა.შ. [2] .




ნახ. (1) გაბიონის საყრდენი კედლები

თხელკედლიანი საყრდენი კედელი ანკერული: გრუნტის ანკერი წარმოადგენს გრუნტში ან ძირითად ქანში მოთავსებულ კონსტრუქციულ ელემენტს, რომელიც მასზე მოდებულ ჭიმვად დატვირთვას გრუნტში გადასცემს.

ანკერული სისტემების უპირატესობანის; კედელზე მოქმედი შედარებით დიდი ჰორიზონტა-

ლური დაწნევის ატანის უნარი კედლის განივკვეთის მნიშვნელოვანი გაზრდის საჭიროების გარეშე; მშენებლობისობისათვის საჭირო დროის შემცირება; ღრმა საძირკვლების დამაგრების საჭიროების აღმოფხვრა; უკუჩაყრისათვის მასალის შერჩევის საჭიროების აღმოფხვრა; ქვაბულებისა და თხრილებისათვის დროებითი სამაგრების მოწყობის საჭიროების არქონა, რადგან დაანკერებული კედელი შეიძლება იქნას მიერთებული მუდმივ კონსტრუქციასთან [3] და ა.შ. ნახ. (2).



ნახ. (2) საყრდენი კედელი ანკერული

კონტრფორსული საყრდენი კედლები: მსგავსია კონსოლურის საყრდენი კედლები, გარდა მათ აქვთ თხელი ვერტიკალური ბეტონის (კონტრფორსული) რეგულარული ინტერვალებით კედლის უკანა მხარეს. კონტრფორსულის კავშირი ფილე და ფუძე ერთმანეთთან. და მათი მიზანია შეამციროს ძვრის ძალები და ნიადაგში კედელზე დაყენებული მომაბეზრებელი მომენტები. მეორადი ეფექტი არის კედლის წონის გაზრდა დამატებითი

ბეტონისგან. კონტრფორსულის საყრდენი კედლები უფრო ეკონომიურია ვიდრე კონსოლურის კედლები სიმაღლეებისთვის 25 ფუტზე მეტი ნახ (3) [3].


დასკვნა:

შეგვიძლია შევადაროთ სხვადასხვა ტიპის საყრდენი კედლებიდან რამდენიმე ფაქტორის მიხედვით:

1. გრუნტის ტიპი უბნის მახლობლად და შესაძლებლობა ისარგებლოს მასალებით, საყრდენი კედლის ასაშენებლად მაგალითად, ხელმისაწვდომი მასალები ახლოს საიტის გამოყენება გაბიონი საყრდენი კედელი შესაძლებელია (ქვები).
2. საყრდენი კედლის ასაშენებელი ფართი, მაგალითად, თუ ტერიტორია შეზღუდულია, შეგვიძლია გამოვიყენოთ თხელკედლიანი საყრდენი კედელი ანკერული.
3. ფერდობის სიმაღლე, მაღალი ფერდობისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ კონტრფორსულის საყრდენი კედელი.
4. ყოველთვის უნდა დავადგინოთ ბალანსი საყრდენი კედლის სიმტკიცესა და ეკონომიურს შორის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Terzaghi K. (1943), Theoretical Soil Mechanics, J. Wiley, New York
2. BARAN T., OZERS S., ILKER K., Gabion Walls and Their Use , International Journal of Advances in Mechanical and Civil Engineering, Volume (3), 2016, P 58.
3. BARAN T., OZERS S., ILKER K., Gabion Walls and Their Use, International Journal of Advances in Mechanical and Civil Engineering, Volume (3), 2016, P 58.
3. გ. ჭოხონელიძე და სხვები. გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები, ქ. თბილისი, 2005წ.



ნახ. (3) კონტრფორსულის საყრდენი კედლები

საყდრისის საბადოს ტერიტორიაზე გროვული გამოტუტვის სანარმოო უბნის მოედნების ფარგლებების მდგრადობის შეფასება წყალგაჯერებული ქანების პირობებისათვის

მარინე მარდაშოვა
სტუ-ს პროფესორი

ნიკა მონტსელიძე, ნიკო ფოფორაძე
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

მადნეულის ოქრო-სპილენძ-ბარიტ-პოლიმეტალური საბადოს კარიერის გახსნის შემდეგ დაიწყო სხვადასხვა ტიპის მადნეების დასაწყობება, მათ შორის ოქროსშემცველი კვარციტები, სადაც ოქროს შემცველობა საშუალოდ შეადგენს 1-2 გრამს ტონაზე. 1996 წელს ამ მადნეების გადამუშავების მიზნით მოეწყო გროვული გამოტუტვის მოედანი. 2012 წლისათვის დასაწყობებული კვარციტის მადნეები თითქმის მთიანად ამოიწურა და დაიწყო, როგორც მადნეულის, ისე ახლად გახსნილი საყდრისის საბადოს კარიერებიდან ოქროსშემცველი მადნის მოწოდება. პარალელურად გადაწყდა საყდრისის საბადოს ტერიტორიაზე გროვული გამოტუტვის მოედნები და სანარმოო უბნების მოწყობა. განხილულია საყდრისის საბადოს ტერიტორიაზე გროვული გამოტუტვის სანარმოო უბნის მოედნების ფერდობების მდგრადობა წყალგაჯერებული ქანების პირობებისათვის.

საკვანძო სიტყვები: გროვული მოედნები, გამოტუტვა, ფერდობების მდგრადობა, გამოფიტული ქანები

ASSESSMENT OF THE STABILITY OF SLOPES OF THE GROUNDS OF HEAP LEACHING PRODUCTION SITES ON THE TERRITORY OF SAKDRISI MINE IN TERMS OF WATER-SATURATED ROCKS

Marine Mardashova

Professor of GTU;

Nika Momtselidze, Niko Poporadze,

Doctorants of GTU

ABSTRACT

After the quarry of gold-copper-barite-polymetallic ore deposit was opened, the process to store different ores, including gold-bearing quartzites with the average gold content of 1-2 grams per ton started. In 1996, with the aim to process the ores, a heap leaching ground was provided to on-site. By 2012, the reserved quartzite ores were almost exhausted and they started to deliver both, the ore deposits and gold-bearing deposit from the newly opened Sakdrisi mine. At the same time, it was decided to provide heap leaching grounds and production areas on the territory of Sakdrisi mine. The paper studies the stability of slopes of the heap leaching production sites on the territory of Sakdrisi mine in terms of water-saturated rocks.

Keywords: heap grounds, leaching, slope stability, weathered rocks.

საყდრისის საბადოს ტერიტორიაზე გროვული გამოტუტვის სანარმოო უბნები მდებარეობს დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფ. დიდი დმანისის მიმდებარედ, მდინარე მაშავერას გასწვრივ, მისი მარცხენა მცირე შენაკადის კვირაცხოველის ლელეს მარცხენა ფერდობის ფარგლებში. გროვული გამოტუტვის მოედნის სიგანე 760-890 მეტრის ფარგლებში ცვალებადობს, სიგრძე დაახლოებით 550-820 მეტრის ფარგლებში, ხოლო ზედაპირის ნიშნულები ზღვის დონიდან 770-855 მეტრი. მდინარეთა ხეობებს შორის წყალგამყოფები, უმთავრესად ნარმოდგენილია მთისწინეთის ბორცვიანი რელიეფით, რომელიც აგებულია ზედა ცარცის და პალეოგენის ვულკანოგე-

ნურ-დანალექი ქანებით. გამოფიტვისადმი ქანების სხვადასხვა მდგრადობის გამო, რელიეფის ფორმებში ხშირია ჩამქრალი ვულკანური აქტივობის კვალი. მეოთხეული საფარის სიმძლავრე, საშუალოდ 10-15 მეტრს შეადგენს. მდინარეთა ხეობებში მეოთხეულის სიმძლავრე მკვეთრად იზრდება. მდინარეები ხრამი, მაშავერა, დებედა და მათი მრავალრიცხოვანი შენაკადები შუამთიანეთში ქმნის V-სებურ ხეობებს, რომლებიც აბსოლუტური ნიშნულების შემცირებასთან ერთად ფართოვდება და თანდათან გადადის განიერ ქალებში. მთლიანობაში რაიონი რთული რელიეფური პირობებით და გეოლოგიური აგებულებით ხასიათდება [1].

საყდრისის საბადოს კვლევები განხორციელდა საქართველოში მოქმედი სტანდარტების, ნორმატივებისა და სპეციალური დადგენილებების მოთხოვნების შესაბამისად. საველე სამუშაოები განხორციელდა საყდრისის საბადოს საწარმოო უბნის მთელ ტერიტორიაზე, წინასწარ დაგეგმილი ჭრილების შესაბამისად, 50-მდე დაკვირვების წერტილში, დაკვირვების თითოეულ წერტილში განხორციელდა ადგილების ფოტოგრაფირება, ნიმუშების აღება ლაბორატორიული კვლევებისათვის და მათი ადგილმდებარეობის კოორდინატების დაფიქსირება.

გროვული გამოტუტვის მოედნების ძირითადი მასა ლითოლოგიურად წარმოდგენილია მსგავსი ტიპისა და შედგენილობის კვარციტების, ალბიტოფირების, ვულკანური ქვიშაქვების სხვადასხვა ზომის ნატეხოვანი მასალით. საყდრისის საბადოს საწარმოო უბნის გროვული გამოტუტვის მოედნების ფორმირების პროცესში განუწყვეტლივ მიმდინარეობდა (4-5 წლის განმავლობაში) მათი ამგები ნაყარის შემცველი მინერალების გამოფიტვის პროცესი, რის შედეგადაც დაშლილი და დაქუცმაცებული წვრილდისპერსიული მასალა ბუნებრივად შეკავშირებულია მტვრისა და თიხის ფრაქციული ზომის მინერალებითა და კირის მასალით [2]. გამოფიტვის შედეგად მიღებული პირველადი და მეორადი მინერალები ნატეხოვანი შემადგენელი ქანების კარგ შემავსებელ და შემაცემენტებელ მასალად გვევლინება, რაც თავისებური დულაბის როლსაც ასრულებს.

საწარმოო პროცესი იწყება გროვული გამოტუტვის მოედნების მოწყობით. თითოეული მოედანი გაიწმინდება, მოსწორდება, დაიყრება წვრილდისპერსიული ინერტული მასალა (წვრილად დამსხვრეული ადგილობრივი გრუნტი), მოიტკეპნება და დაეფინება მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენის (HDPE) ხსნარგაუმტარი საფენი. გამოტუტვის მოედნის საძირკველს შეადგენს: ქანის წვრილფრაქციული ქვედა ფენა; მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენის საგები (HDPE), სისქით 1.5მმ; ქვიშის დამცავი ფენა, მარცვლების დიამეტრით არაუმეტეს 5 მმ.

საშხეფი - სარწყველები მოწყობილია უჯრედის სიგანით 10X10 მ გამნანილებელი მილების გასწვრივ. ყოველი საშხეფიდან ხსნარის განაწილების დიამეტრი გადაფარავს მომდევნო საშხეფიდან ხსნარის განაწილების დიამეტრს. ხსნარის დატანის სისწრაფე 10ლ/სთ/მ². მიწოდებული ხსნარის თანაბარი განაწილების უზრუნველსაყოფად საშხეფი აღჭურვილია SENNINGER-ს მარკის წნევის რეგულატორით.



საყდრისის მადნის გროვული გამოტუტვის უბანი განლაგებულია არასწორი რელიეფის მოედანზე, ამიტომ იგი თავისი კონფიგურაციით და გეომეტრიით აბსოლუტურად განსხვავდება კლასიკური გროვული გამოტუტვის მოედნებისაგან; მისი სიგანე - 700 – 980 მ ფარგლებში იცვლება, სიგრძე დაახლოებით 550 – 820 მეტრის ფარგლებში, ხოლო ზედაპირის ნიშნულები იცვლება 470-855 მ ფარგლებში.

სურ.1. „საყდრისის“ გროვული გამოტუტვის მოედნის დასხურება

გამოტუტვის თითოეული მოედნის ფორმირება განხორციელებულია ადგილობრივი გრუნტის „მოჭრა შევსების“ შედეგად და წარმოადგენენ სხვადასხვა გეომეტრიის მქონე ტერასებს. საპროექტო გადანყვეტილების მიხედვით ფუძე მოწყობილია დატკეპნილი წვრილდისპერსიული ინერტული მასალით, რომელზეც დაფენილია მაღალი სიმკვრივის მქონე პოლიეთილენის ფირი (HDPE). ყოველი მოედნის ფუძეზე მოწყობილია ციანხსნარების სადრენაჟო სისტემა შესაბამისი ზუმფებით. თითოეულ მოედანზე შტაბელებად (გროვებად) დაყრილია ტექნოლოგიური ციკლით განსაზღვრული საჭირო ზომამდე დამსხვრეული მოედანი (20 მმ), საპროექტო მონაცემების მიხედვით შტაბელები (გროვები) განლაგებული უნდა იყოს 8 მეტრიან იარუსებად, დახრის კუთხით 38°. თუმცა, მათი ზომები რიგ ადგილებში დარღვეულია და არ შეესაბამება საპ-

როექტო მონაცემებს. ამჟამად მოედნების სიმაღლე სხვადასხვა ადგილებში იცვლება და ქმნის განსხვავებული კონფიგურაციისა და გეომეტრიის მქონე მოედნებს (ბლოკებს). ექსპლუატაციაში მყოფი გროვების ზედაპირზე განლაგებულია ციანხსნარების მიწოდების და მორწყვის სისტემა.

გროვული გამოტუტვის მოედნების მდგრადობის შეფასების მიზნით, მისი არაერთგვაროვანი კონფიგურაციის და გეომეტრიის გამო დაიყო 8 შედარებით თანაბარი გეომეტრიის მქონე ბლოკად, თითოეულ ბლოკში გაკეთდა გეოლოგიური ჭრილები და დადგინდა მათი ზუსტი გეომეტრია, რამაც საშუალება მოგვცა შეგვესწავლა თითოეული ბლოკის მდგრადობა, გამოგვეყო პრობლემური მონაკვეთები და გვემსჯელა მთლიანად საციანირე მოედნის მდგრადობის შესახებ.

თითოეული ბლოკების ფერდობების მდგრადობა მიზანშეწონილად მიგვაჩნია გაანგარიშებულ იქნეს მრგვალცილინდროვანი ცოცვის ზედაპირის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს მოთხოვნათა შესაბამისად. რადგან საციანირე ველის ამგები გრუნტი წარმოადგენს ერთგვაროვან მასას, ფერდობის მდგრადობა შესაძლებელია განისაზღვროს მასში მრგვალცილინდრულ ზედაპირზე გრუნტის ნაწილის მონყვეტის შესაძლებლობით, რისთვისაც საჭიროა განისაზღვროს თითოეულ ბლოკში ცოცვის სიბრტყე, მის გასწვრივ მოქმედი შემაკავებელი და მძვრელი ძალთა ფარდობით განისაზღვროს მდგრადობის მარაგის კოეფიციენტის სახით ($K_{მღვ}$), რომელშიც მთლიანად გათვალისწინებული იქნება მასის ნაჯერი მდგომარეობა [3].

ბუნებრივ მდგომარეობაში ფერდობები განიცდიან მუდმივ და ძალიან რთულ ბუნებრივი ფაქტორების ზემოქმედებას, დამატებითი დატვირთვებით: ფილტრაციული, გათხრითი სამუშაოებით, სეისმური, აფეთქებითი და დროებითი დატვირთვებით ირღვევა ქანებში დამყარებული ბუნებრივი რეჟიმი, იცვლება დაძაბულობის ველი, მასში წარმოიშვება დეფორმაციები და წარმოიქმნება ბუნებრივი და ხელოვნური ფერდობის ჩამონგრევა-ჩამოშვებების საშიშროება [4].

თითქმის არსებული მეთოდები ფერდობის მდგრადობის შეფასებისას არ ითვალისწინებს წყლის ფილტრაციულ გავლენას, რომელც ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს ფერდობის მდგრადობის დარღვევის გამომწვევ ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორს.

საყდრისის გროვული გამოტუტვის მოედნების ფერდობის მდგრადობის საანგარიშო სქემად შერჩეულია მრგვალცილინდრული ცოცვის ზედაპირის მეთოდი, რომლის შემთხვევაში ფერდობის მდგრადობის კოეფიციენტი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$K = \frac{\sum N_i \operatorname{tg} \varphi + \sum L_i c}{\sum T_i}$$

სადაც $\sum N_i$ - შემაკავებელი ძალების ჯამია;

$\sum T_i$ - მძვრელი ძალების ჯამი; თავის მხრივ $N = P \cos \alpha$; $T = P \sin \alpha$;

სადაც P - მასის წონა, რომლის სიდიდე დამოკიდებულია მენყრული სხეულის მოცულობასა და მისი ამგები გრუნტების მოცულობით წონაზე;

α - საანგარიშო ბლოკის ჰორიზონტთან დახრისკუთხე;

ციანირების მეთოდი ცვლის ფერდობის ჰიდროგეოლოგიურ პირობებს და ამასთანავე აუარესებს გრუნტების გეოტექნიკურ საინჟინრო-გეოლოგიურ პარამეტრებს. ჰიდროგეოლოგიური პირობების ცვლილება გამოიხატება ბუნებრივად არსებული თანაფარდობის დარღვევაში ისეთ მახასიათებლებს შორის როგორცაა: ზედაპირული და მიწისქვეშა ჩამონადენი, ინფილტრაცია, ევაპოტრასპირაცია და ა.შ. აღნიშნული პროცესის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს ფერდობის სტაბილურობის დაკარგვა.

ამჯერად, გროვული გამოტუტვის მოედნის მთლიანი სისქე შევსილია ნაწილობრივ წყლით, ანუ ხდება წყლის სარკის მატება. ცხადია, წყლის მასის მატების მიზეზით ფერდობი უნდა დამძიმდეს, და შესაბამისად, ფერდობის წონაც უნდა გაიზარდოს. ამ ორ ცვლად სიდიდეს შორის მათემატიკური თანაფარდობის საკმაო სიზუსტით დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია. მაგრამ, არსებობს მარტივი გამოსავალი. კერძოდ, ის, რომ როგორც არ უნდა შეიცვალოს ფერდობის სიძიმის ძალა, თანაფარდობა მის ნორმალურ და მძვრელ მდგენელებს შორის (რომელიც ფიგურირებენ მდგრადობის საანგარიშო ფორმულაში), დარჩება უცვლელი ანუ

$$\frac{N_1}{T_1} = \frac{N_2}{T_2} = \frac{\cos \alpha}{\sin \alpha} = \operatorname{ctg} \alpha = \operatorname{const}$$

აქედან გამომდინარე, სავსებით დასაშვებია ფილტრაციული ნაკადის ზემოქმედების პირობებში ფერდობის მდგრადობის საანგარიშო ფორმულაში N -სა და T -ს რიცხვითი სიდიდეების უცვლელად დატოვება. ეს არ ეხება ფერდობზე დამატებით ჰიდროდინამიკურ დაწოლას (W), რომელიც წარმოიქმნება ხელოვნური (ციანილების წყლის შედეგად) წყლის სარკის მატების შედეგად, რომელზეც მოგვიანებით შევჩერდებით. განსახილველია აგრეთვე ორი უმნიშვნელოვანესი პარამეტრი - φ და C . სხვადასხვა მკვლევართა მიერ [ლომთაძე, მასლოვი] ექსპერიმენტულად არის განსაზღვრული დამოკიდებულება გრუნტის ტენიანობასა და ძვრის მახასიათებლებს შორის. კერძოდ, დადგენილია, რომ წყლით გაჯერების შემთხვევაში ადგილი აქვს შიგა ხახუნის კუთხისა და კუთრი შეჭიდულობის შემცირებას 1.5-2.0-ჯერ. თუმცა, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ციანილების შემთხვევაში იყენებენ კირის მასას, შესაბამისად იზრდება ფსევდო შიგა შეჭიდულობის ძალაც.

რაც შეეხება ფერდობზე დამატებით ჰიდროდინამიკურ დაწოლას, რომელიც აღიძვრება ხელოვნური წყლის სარკის მატების შედეგად და გვევლინება ფერდოს არამდგრადობის ხელშემწყობ ფაქტორად, მისი გამოთვლა ხდება ფორმულით:

$$W = \gamma_{\text{wy.}} \times V_1$$

სადაც $\gamma_{\text{wy.}}$ - წყლის მოცულობითი წონა და ტოლია 1 ტ/მ³

V_1 - ვერტიკალური ჭრილის იმ ნაწილის მოცულობაა, რომელიც შეესილია წყლით.

წყალგაჯერებული 1 მ სიგანის საანგარიშო ზოლის მოცულობა ტოლი იქნება:

$$V_1 = H_1 \times L \times 1 \text{ m}^3.$$

სადაც, H_1 - განსახილველ კონკრეტულ შემთხვევაში ჭრილის წყალგაჯერებული ნაწილის სიმაღლეა;

რამდენადაც ჰიდროდინამიკური დაწოლა მუშაობს ფერდობის დაცურებაზე, მისი სიდიდე აკლდება ძვრის შემაკავებელი ნორმალური მდგენელის (N) სიდიდეს, მაშინ ფერდობის მდგრადობის კოეფიციენტის საანგარიშო ფორმულა ღებულობს სახეს:

$$K = \frac{(N - W) \operatorname{tg} \varphi + cL}{T}$$

ციანილების მეთოდით გამოწვეული ჰიდროდინამიკური ფაქტორის ნეგატიური როლი უწინარესად იმაში გამოიხატება, რომ ფერდოს სიღრმეში წარმოიქმნება ერთიანი, გამწე წყლის ჰორიზონტი, რომელიც მანამდე პრაქტიკულად ან არ არსებობდა, ან ფუნქციონირებდა სუსტად და პერიოდულად. ბუნებრივია, რომ აღნიშნული ფაქტორის გავალისწინებით საანგარიშევი მდგრადობის კოეფიციენტი უფრო მცირე სიდიდე იქნება, ვიდრე ჰიდროდინამიკური ფაქტორის გაუთვალისწინებლად.

საყდრისის გროვული გამოტუტვის მოედნის ფერდობის მდგრადობის კოეფიციენტის შესაფასებლად შეირჩა 8 ჭრილი, რომლის მორფოლოგიური ელემენტები თითოეული ჭრილისთვის ნაჩვენებია ცხრილ 3-ში (მდგრადობის საწყისი საანგარიშო პარამეტრების ცხრილი), ხოლო ლაბორატორიით შესწავლილი მაჩვენებლები კი ცხრილ 4-ში (ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ცხრილი).

I-I ჭრილის ფარგლებში მოქცეული უბნის ძირითადი მორფოლოგიური ელემენტები შემდეგია (სურ. 13):

- ფერდოს საშუალო დახრილობის კუთხე $\alpha = 27^\circ$;
- ფერდოს სიმაღლე $H = 25$ მ;
- სიგრძე ფერდობის გასწვრივ $L = 55,9$ მ;

ფერდო აგებულია ერთგვაროვანი გრუნტით და სრიალის ზედაპირი დამაკმაყოფილებელი მიახლოებით შეიძლება მივიღოთ წრიულ-ცილინდრულად [მასლოვი].

I-I ჭრილის ფარგლებში აღებული ნიმუშების ლაბორატორიული შესწავლით დადგენილ იქნა წყალნაჯერ მდგომარეობაში შემდეგი საშუალო მაჩვენებლები:

- გრუნტის მოცულობითი წონა - $\gamma = 2,3$ ტ/მ³;

- შიგა ხახუნის კუთხე - $\varphi = 34^{\circ}$;
- კუთრი შჭიდულობა, $c = 0,2$ კგ/სმ²;

ფერდოს სქემის ასაგებად ვსარგებლობთ მასლოვ-ბერერის მეთოდით [მასლოვი], რომლის მიხედვითაც

$$\text{ფერდოს პირობითი სიმაღლე } H' = \frac{H}{H_{90}}$$

სადაც H_{90} - არის ერთგვაროვან ქანებში სრიალის პატარა მოედნის სიღრმე (მ) და თავის მხრივ ტოლია:

$$H_{90} = \frac{2c}{\gamma} \times \text{ctg}\left(45^{\circ} - \frac{\varphi}{2}\right);$$

სქემის ასაგებად საჭიროა აგრეთვე ჩამოქცევის პრიზმის პირობითი სიგანის - a' განსაზღვრა, რაც ხდება სპეციალური გრაფიკის საშუალებით [ლომთაძე] გამოყენებით, გრაფიკი ასახავს დამოკიდებულებას ფერდობის პირობით სიმაღლესა დაე.წ. ჩამოქცევის პრიზმის სიგანეს შორის.

თავდაპირველად განვსაზღვროთ სრიალის მოედნის სიღრმე H_{90} ; ფორმულაში რიცხვითი სიდიდეების

$$\text{შეტანით მივიღებთ: } H_{90} = \frac{2 \times 2,0}{2,3} \text{ctg}(45^{\circ} - 17^{\circ}) = 3,27 \text{ მ}; H' = \frac{55,9}{3,27} = 7,64$$

ვიცით რა შიგა ხახუნის კუთხე $\varphi = 34^{\circ}$ და ფერდობის პირობითი სიმაღლე $H' = 7,64$ მ., გრაფიკიდან

მოვხსნით $a' = \frac{a}{H_{90}}$ სიდიდეს, რომელიც ტოლია - 0,41 მ; აქედან $a = a' \times H_{90} = 0,41 \times 7,64 = 1,34$ m;

$a = 1,34$ m.

ჭრილის ნუმერაცია	ფერდოს დახრილობის კუთხე	შიგახახუნის კუთხე	კუთრიშჭიდულობა	H_{90}	ფერდობის პირობითი სიმაღლე	ჩამოქცევის პრიზმის სიგანე	$a = a' \times H_{90}$
	α	φ	c		H'	a'	
I	27	34	2	3,27	7,64	0,41	1,34
II	15	34	2	3,13	16,264	0,7	2,19
I II	34	34	2	3,27	19,75	0,74	2,42
I V	32	34	2	3,27	16,73	0,65	2,12
V	29	34	2	3,27	20,47	1,1	3,60
V I							
VII	28	34	2	3,27	7,33	0,62	2,02
VIII	26	34	2	3,27	9,62	0,7	2,29

ცხრილი 3 მდგრადობის საწყისი საანგარიშო პარამეტრები

ზემოთ აღნიშნული სიდიდეების მიხედვით ავაგებთ ფერდობის ჭრილს 1 : 500 მასშტაბით, ფერდოს ვეკოფ-თსამსაანგარიშობლოკად, I, II დ III (სურ 13.) და ჰიდროდინამიკური დანოლის გათვალისწინებით ფერდოს მდგრადობის კოეფიციენტი გამოითვლება ფორმულით:


$$n = \frac{(N - W)tg\phi + cL}{T},$$

სადაც $\sum N$ - სიმძიმის ნორმალური მდგენელების ალგებრული ჯამია, თავის მხრივ, $N = P \cos \alpha$;

$\sum T$ - სიმძიმის ძალის მძვრელი მდგენელების ალგებრული ჯამი, თავის მხრივ, $T = P \sin \alpha$

P - საანგარიშობლოკის წონა, ტ;

α - საანგარიშობლოკის ჰორიზონტთან დახრის კუთხე.



სურ 2. ფერდოს სრიალის ზედაპირის აგება და საანგარიშო ბლოკებად დაყოფა

ცხრილ 2-ში (მდგრადობის კოეფიციენტის შეფასების ცხრილი) მოცემული რიცხვითი სიდიდეების ჩასმით ში მივიღებ ფერდოს მდგრადობის კოეფიციენტი $K = 1.57$, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ფერდო იმყოფება წონასწორულ მდგომარეობაში და საჭიროებს დამატებით ღონისძიებას, კერძოდ, ფერდოზე არსებული ნაპრალების და დახრამული ადგილების ამოვსებას.



სურ. 3. ნაპრალთა სისტემა გროვული გამოტუტვის მოედანზე

ანალოგიურად, გამოთვლილია შვიდივე ჭრილის უბნებზე მდგრადობის კოეფიციენტი წყალნაჯერ მდგომარეობაში, გარდა VI-VI ჭრილისა, რადგან უბანი მოთავსებულია ცილინდრულ ჩაღრმავებულ მოედანზე და ბორტები წარმოდგენილია მცირე სიმაღლით (17 მ) და ფერდოს საშუალო დახრილობა შეადგენს 29° , თვალნათლივ ჩანს, რომ იგი მდგრადია.

ჭრილის დანარჩენ უბნებზე დაანგარიშებული საწყისი პარამეტრები მოცემულია ცხრილში 3. თითოეული ჭრილის საანგარიშო ბლოკები დანართის სახითაა მოცემული. მდგრადობის კოეფიციენტების შეფასების ცხრილი მოცემულია დანართ 3-ში (ცხრილი 2).

დანარჩენი ჭრილის უბნებზე დაანგარიშები სიდიდეები მოცემულია ცხრილ 2-ში. მთლიანობაში საშუალო მდგრადობის კოეფიციენტი ტოლია:

$$K = \frac{K_1 + K_2 + K_3 + K_4 + K_5 + K_6 + K_7}{7} = 1,45;$$

რაც იმაზე მიუთითებს, რომ მთლიანად გროვული გამოტუტვის მოედანი მდგრადია წყალნაჯერი ქანების შემთხვევაში, თუმცა, საჭიროებს ყურადღებას და რიგ ადგილებში საპროექტო მონაცემების დაცვას.

ლიტერატურა

1. ნ. ჯაფარიძე საყდრისის ოქრო-სპილენძიანი მინერალიზაციის ლოკალიზაციის ტექტონიკური ფაქტორები. სტუ შრომები N3(489). გვ.17-21. 2013 წ.;
2. ი. ვაშაკიძე. ბოლნისის რაიონის გეოლოგია.საქართველოს გეოლოგიური დეპარტამენტი. ანგარიში ქართულ-ავსტრალიური „Trans Georgian Resources“ ჯგუფისთვის, 2002 წ.;
3. მ. მარდაშოვა. კომპიუტერული პროგრამის გამოყენება ფერდობების მდგრადობის შეფასებისათვის. N4-6. 2004 წ.;
4. ჯაფარიძე ნ., ჯანაშვილი შ. საყდრისის ოქროს მინერალიზაციის თვისებურებანი მიწისქვეშა და მიწისზედა სამთო გამონამუშევრებში. სტუ შრომები №3(489) გვ.21-28. 2013 წ.

ენერჯის განახლებადი რესურსები და ენერგოაზოგის პერსპექტივები კახეთის რეგიონში

ნოდარ მირიანაშვილი, ქეთევან ვეზირიშვილი-ნოზაძე, ზურაბ ლომსაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ირ. ჟორდანიას სახელობის,
სანარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის თანამშრომლები

რეზიუმე

მოსხენებაში გაანალიზებულია კახეთის რეგიონში განახლებადი ენერგეტიკული რესურსების (ჰიდრო, მზის, ქარის, ბიომასის) ათვისების არსებული მდგომარეობა და ენერჯის დაზოგვის პერსპექტივები. განახლებადი ენერგეტიკული რესურსების გამოყენება საშუალებას იძლევა რეგიონში შეიქმნას დამატებითი ენერგეტიკული სიმძლავრეები, რომლებიც უზრუნველყოფენ აღნიშნული რესურსების ფართოდ მოხმარებას და ენერგეტიკული უსაფრთხოების ზრდას.

ნაშრომში ხაზგასმულია, რომ ეკოსისტემის დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების სტრატეგიის შემუშავება, მისი პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა, თანამედროვე, ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების დანერგვა, საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის ზრდის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

საკვანძო სიტყვები: გლობალური დათბობა, ენერჯის განახლებადი რესურსები, ენერგოდაზოგვა, თბოენერგეტიკული დანადგარები.

SUMMARY

*Nodar Mirianashvili,
Ketevan Vezirishvili-Nozadze,
Zurab Lomsadze
Georgian Technical University*

The report analyzes the current state of the use of renewable energy sources (hydro, solar, wind, biomass) in the Kakheti region and the prospects for energy conservation. The use of renewable energy sources allows the region to create additional energy capacities that will ensure the widespread use of these resources and increase energy security.

The work emphasizes that the development of an ecosystem protection strategy and the rational use of natural resources, prioritization, and the introduction of modern, environmentally friendly technologies is one of the necessary conditions for Georgia's economic growth.

Keywords: Energy saving, global warming, renewable energy sources, thermal power equipment.

შესავალი

ენერგორესურსების ეფექტურად გამოყენების მიზნით ქვეყნის თითოეული რეგიონისათვის მნიშვნელოვანია დამუშავდეს მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა რეგიონული ენერგოსისტემის შესაქმნელად, რომელიც ორიენტირებული იქნება ყველა სახის საკუთარი ენერგორესურსების მაქსიმალურ გამოყენებაზე და გაითვალისწინებს მოცემული რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიულ, კლიმატურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და დემოგრაფიულ თავისებურებებს.

ჰიდროენერგეტიკული რესურსი

კახეთის რეგიონი არ გამოირჩევა ჰიდროენერგორესურსების სიმდიდრით. რეგიონის უდიდესი მდინარეებია: ალაზანი და იორი, რომელთა ენერგეტიკული პოტენციალი ძალზე მცირედ არის გამოყენებული. დიდ ინტერესს იწვევს ამ მდინარეთა ჰიდროლოგიური პოტენციალის გამოყენება საირიგაციო მიზნებისათვის [1,2,3,16,19].

რეგიონის მდინარეთა სრული ჰიდროენერგეტიკული სიმძლავრე შეადგენს 1527,5-103 კვტ-ს, ხოლო ენერჯია, რომელიც შეიძლება გამოიმუშავდეს აღნიშნული მდინარეების ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის სრული ათვისების შემთხვევაში, შეადგენს 11973-106 კვტ.სთ-ს [5,7,10].

რეგიონში აგებულია და ამჟამად ფუნქციონირებს: ალაზნის ჰიდროელექტროსადგური (ალაზანჰესი), რომლის სიმძლავრეა 5 ათასი კვტ, გამოიმუშავებული ენერჯია 20 მლნ კვტ.სთ წელიწადში, დადგმული სიმძლავრის გამოყენების ხანგრძლივობაა წელიწადში - 4000 სთ; კაბალჰესი, რომელიც აგებულია მდ.კაბალზე (გურჯაანის რაიონი), მისი სიმძლავრეა 1,5 ათასი კვტ, გამოიმუშავებული ენერჯია 6,0 მლნ კვტ.სთ წელიწადში [11,12,13].

2002-2003 წლებში მდ.ილტოზე ამოქმედდა 2,4 მგვტ სიმძლავრის ხადორჰესი.

2012 წელს დაიწყო ხადორჰეს-2-ის ექსპლუატაცია, რომლის სიმძლავრეა 5,4 მგვტ და ელექტროენერჯის საშუალო წლიური საპროექტო გამოიმუშავება 30 მლნ კვტ.სთ; 2013 წელს ამოქმედდა შილდის ჰესი 4,8 მგვტ და 30 მლნ კვტ.სთ; ხოლო 2014 წელს - ახმეტის ჰესი. მისი სიმძლავრეა 9,1 მგვტ და ელექტროენერჯის საშუალო წლიური საპროექტო გამოიმუშავება 43,4 მლნ კვტ.სთ.

მდ.პირიქითა ალაზანზე და მდ.თუშეთის ალაზა-

ნზე დაპროექტებულია ჰესების კასკადი, რომელთა სიმძლავრეა 800 მგვტ, ხოლო მათ მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერგია გაუტოლდება 3,0 მლრდ. კვტ.სთ-ს წელიწადში. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან ეს მდინარეები წარმოადგენს მდ.სულაკის შენაკადებს, რომელზეც, დაღესტნის ტერიტორიაზე აგებულია და ფუნქციონირებს მძლავრი ჰესების კასკადი, ზემოხსენებული შენაკადების ჩამონადენის გამოყენება კავკასიის ქედის სამხრეთ კალთაზე ერთობ გართულდება.

რეგიონის ენერგომომარაგების პრობლემები შესაძლებელია გადაწყდეს მცირე ჰესების მშენებლობით. ჰესების მშენებლობის ღირებულების შემცირება შესაძლებელია სერიული წარმოების უნიფიცირებული ჰიდროაგრეგატების გამოყენებით.

კახეთის რეგიონის პირობებისათვის მცირე ჰესების ძირითადი ტიპი შესაძლებელია იყოს ღია დერივაციის მქონე მაღალდენიანი ჰესი, რომელიც აღჭურვილი იქნება ავტომატიზებული დანადგარებით, რაც მნიშვნელოვნად გააიფარებს ჰერსპექტიული ჰესების ექსპლუატაციას.

მზის ენერგეტიკული რესურსი

კახეთის რეგიონი, რომლის ფართობიც 10 ათას კმ²-ზე მეტია, ჰელიოენერგეტიკული დარაიონების თანახმად, განეკუთვნება მზის ენერგიის მაღალი პოტენციალის მქონე ზონას. აღნიშნული პოტენციალი უკვე უახლოეს ათწლეულში (2025 წლამდე), შესაძლებელია მნიშვნელოვნად იქნეს ათვისებული [3,5,7].

მრავალწლიანი მეტეოროლოგიური დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზიდან ჩანს, რომ კახეთის რეგიონში მზის ნათების საშუალო ხანგრძლივობა წელიწადში შეადგენს 2200 საათს. ზოგიერთ წლებში ამ სიდიდემ შეიძლება მიაღწიოს 2500 საათს, ან შემცირდეს 1850 საათამდე. მზის ნათების დღიური ხანგრძლივობა ზამთრის თვეებში შეადგენს 3,5-4,5 საათს, ხოლო მაის-სექტემბერში ეს სიდიდე 2-ჯერ იზრდება და აღწევს 7-9 საათს. დეკემბერ-თებერვალში მზის ნათების ხანგრძლივობების რეალური ჯამური სიდიდეები თვეში შეადგენს 100-120 საათს; ივნის-აგვისტოში კი ეს პარამეტრები იზრდება 2,5-ჯერ და აღწევს 270-280 საათს თვეში. წელიწადის თბილ სეზონში მზის ენერგიის მოდინება დროში უფრო მდგრადია, ვიდრე ცივ და გარდამავალ სეზონებში [9,12,13].

მთლიანად, წლის განმავლობაში მდინარე ივრის კალაპოტის მიმდებარე ტერიტორიებზე (საგარეჯოს, სიღნაღის, დედოფლისწყაროს რაიონებში) ჩანს უფრო მაღალი ჰელიოენერგეტიკული პოტენციალი, ვიდრე კახეთის სხვა დაბლობ ტერიტორიებზე. ახმეტისა და თელავის რაიონებთან შედარე-

ბით, დიდი კავკასიონის ქედის ქვედა კალთებზე მზის ენერგიის მოდინების მაქსიმუმი დაიკვირვება როგორც ზამთრის პერიოდში, ისე მთელი წლის განმავლობაში. ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონებში კი მზის ენერგიის პოტენციალი უფრო დაბალია. გარდა ამისა, აღნიშნულ რაიონებში ღრუბლიანობის დიდი ცვალებადობის გამო, აღინიშნება მზის რადიაციისა და მზის ნათების ხანგრძლივობის ასევე დიდი ცვალებადობა.

კახეთის რეგიონში ჰელიოდანადგარს სასარგებლო ენერგია შეუძლია გამოიმუშაოს წელიწადში 1900-2200 საათის განმავლობაში. წლის დანარჩენ პერიოდში კი, რომელიც 6400-6700 საათს შეადგენს, ობიექტის უწყვეტი ენერგომომარაგების მიზნით, აუცილებელია ენერგიის სარეზერვო წყაროს გამოყენება.

საქართველოში ამჟამად ეფექტურია მზის თბური კოლექტორით აღჭურვილი ჰელიოდანადგარის გამოყენება კომუნალურ-საყოფაცხოვრებო, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და ადმინისტრაციული ობიექტების ცხელი წყალმომარაგებისათვის. თბური დატვირთვის ერთი მესამედი, ტემპერატურით $t=100^{\circ}\text{C}$, შესაძლებელია დაიფაროს მზის ენერგიის გამოყენებით. თბომომარაგების ავტონომიური ჰელიოსისტემა შესაძლებელია შეიქმნას როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური მომხმარებლებისათვის. ასეთი დანადგარების გამოყენებით შესაძლებელია თბური დატვირთვის 30-50%-ის დაფარვა. თბური დატვირთვის დანარჩენი ნაწილი კი დაიფარება ენერგიის სარეზერვო წყაროს გამოყენებით. ასეთი ჰელიოსისტემების საშუალო წლიური მქკ 0,2-ია. ამასთან, მიიღწევა ორგანული სათბობის ეკონომია. 1 მ² მზის კოლექტორისაგან შესაძლებელია წელიწადში 135-160 კგ პირობითი სათბობის ეკვივალენტური თბური ენერგიის მიღება [16,19].

მზის ენერგიის უშუალოდ ელექტროენერგიად გარდაქმნის ფოტოელექტრული მეთოდი ჰელიოენერგეტიკაში განიხილება როგორც პრიორიტეტული შემდეგი ათწლეულებისათვის. ნახევარგამტარულ მზის ელემენტებზე ფასების 1 \$/კვტ-მდე შემცირების შემთხვევაში, 10-15 წლის შემდეგ მზის ენერგიის ელექტრულ ენერგიად პირდაპირი გარდაქმნისათვის აღნიშნული მოდულები ფართოდ იქნება გამოყენებული. 2025-2030 წლებისათვის ნახევარგამტარული მზის ელემენტების ბაზაზე შექმნილი ჰელიოსისტემის მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერგიის თვითღირებულება გაუტოლდება 7 ცენტი/კვტ.სთ-ს.

დიდი სიმძლავრის ჰელიოსისტემები, ე.წ. "მზის ფერმები", 80-100 მგვტ სიმძლავრით, რომლებსაც შეუძლია თბური და ელექტრული ენერგიის გენერირება, შეიძლება შეიქმნას საგარეჯოს, სიღნაღისა

და დედოფლისწყაროს რაიონების ტერიტორიებზე (ფირმა LUD-ის ტექნოლოგია).

2025-2030 წლებისთვის მზის ფოტოელექტრულ მოდულებზე ფასების 1 \$/ვტ-მდე დაკლების შემთხვევაში, კახეთში, კერძოდ კი მდ.ივრის პლატოსა და ქვემო ქართლში შესაძლებელია აიგოს 100 მგვტ და მეტი სიმძლავრის ფოტოელექტრული სადგური (ფეს).

როგორც საერთაშორისო გამოცდილებიდან ჩანს, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ამაზა პანელეები, რომელთაგან ინჟოზა ფესი, შეიძლება დაიდგას 3,5-4,0 მ სიმაღლეზე მიწიდან, ძალიან მოკლე დროში, ხოლო მიწა მათ ქვეშ გამოყენებული იქნეს ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის. ამრიგად, გადაილახება მსხვილმასშტაბიანი მზის ენერგეტიკის ერთ-ერთი ძირითადი ნაკლი – მიწის ბლოკირება, რომლის მაჩვენებელი ფესისათვის შეადგენს 40-60 მგვტ/კმ²-ს. ეს მაჩვენებელი იმ მარეგულირებელი ჰესებისათვის, რომლებიც არ მდებარეობენ მაღალმთიან ვიწრო ხეობებში, ორჯერ უფრო მაღალია.

ფესის დემონტაჟის შემდეგ, მიწა არ საჭიროებს რეკულტივაციას და მისგან მიღებული ენერგია ეკოლოგიურად სუფთა და მუდმივად განახლებადია.

ქარის ენერგეტიკული რესურსი

კახეთის მთათაშუა ვაკეზე ქარის საშუალო წლიური სიჩქარე არ აღემატება 2-2,5 მ/წმ-ს და მხოლოდ მდ.ივრის პლატოზე, უდაბნოსა და იორმულანლოში ის აღწევს 3-3,5 მ/წმ-ს [3,5,7,19].

მდ.ივრის პლატოზე ქარის მინიმალური სიჩქარე აღინიშნება შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, მდ.ალაზნის ველსა და დიდი კავკასიონის ქედის კალთებზე კი – ზაფხულ-შემოდგომის პერიოდში.

ქარის მაქსიმალური ენერგეტიკული პოტენციული აღინიშნება მდ.ივრის ზეგანზე. ქარის ხანგრძლივობა აქ V-3 მ/წმ სიჩქარის შემთხვევაში შეადგენს 2500-3000 საათს.

ქარის “მუშა” სიჩქარეების საერთო ხანგრძლივობა, V-7 მ/წმ-ის შემთხვევაში, მაქსიმალურ მნიშვნელობას აღწევს უდაბნოსა და იორმულანლოში (შესაბამისად, 1039 და 794 საათს), ხოლო V-9 მ/წმ-ის შემთხვევაში კი – შესაბამისად, 532 და 635 საათს.

ზოგადად კი შეიძლება ითქვას, რომ ივრის პლატოზე ქარი, რომლის სიჩქარე V-3 მ/წმ, ქრის მთელი წლიური ხანგრძლივობის 27-34%-ის განმავლობაში, ხოლო ქარი, რომლის სიჩქარე V-5 მ/წმ, ქრის წლიური ხანგრძლივობის 10-15%-ის განმავლობაში.

მდ.ივრის პლატოზე ქარის “მუშა” სიჩქარის საშუალო უწყვეტი ხანგრძლივობა შეადგენს 13-15 საათს, ცალკეული მაქსიმუმი კი აღწევს 130-140 საათს (ზამთრის სეზონში). ქარის “აქტიურ” და წყნარ,

“მინელების” პერიოდებს შორის წყვეტების საშუალო ხანგრძლივობა შეადგენს 30-35 საათს, ხოლო მაქსიმალური ხანგრძლივობა აღწევს 300-500 საათს [8,12,13].

ქარი, რომლის სიჩქარე V-3 მ/წმ, 100-დან 99 შემთხვევაში ქრის - 6 საათის განმავლობაში, 40-50 შემთხვევაში -12 საათის განმავლობაში და მხოლოდ 3-5 შემთხვევაში - 48 საათის განმავლობაში.

ჩატარებული ანალიზიდან ჩანს, რომ კახეთის რეგიონი არც ისე მდიდარია ქარის რესურსებით. რეგიონში ქარის ენერგეტიკული დანადგარების გამოყენება ეკონომიკური თვალსაზრისით, მიზანშეწონილია მხოლოდ ივრის ზეგანზე [16].

გეოთერმული რესურსი

კახეთის რეგიონი არც ისე მდიდარია გეოთერმული რესურსით. რეგიონში თერმული წყლების ძირითადი საბადოებია უჯარმის (ტემპერატურა - 42°C, დებიტი - 50 მ³/დღ., თბური სიმძლავრე - 0,04 მგვტ., პირობითი სათბობის შესაძლო ეკონომია - 0,06 ათასი ტონა წელიწადში), წნორის (ტემპერატურა - 37°C, დებიტი - 864 მ³/დღ., თბური სიმძლავრე - 0,5 მგვტ., პირობითი სათბობის შესაძლო ეკონომია - 0,75 ათასი ტონა წელიწადში) და ჰერეთისკარის (ტემპერატურა - 34-37°C, დებიტი - 3300 მ³/დღ., თბური სიმძლავრე - 1,65 მგვტ., პირობითი სათბობის შესაძლო ეკონომია - 2,6 ათასი ტონა წელიწადში) საბადოები [3,5,7,12,16,19].

კახეთის რეგიონში გეოთერმული წყლების სითბოს გამოყენება ეფექტური იქნება საყოფაცხოვრებო-კომუნალური მიზნებისათვის და სოფლის მეურნეობაში (სათბურების მოსაწყობად, ტექნოლოგიური პროცესების სითბოთი და სიცივით მომარაგებისათვის), რის შედეგადაც დაიზოგება იმპორტირებული სათბობ-ენერგეტიკული რესურსები, კერძოდ: კომუნალურ-საყოფაცხოვრებო სფეროში - 32-35%, მსუბუქ და კვების მრეწველობაში - 25-30%, საშენ მასალებში კი - 18-22% [13,14,15].

ბიოგაზის რესურსი

აშშ-სა და ევროპაში სამრეწველო ბიოენერგეტიკული დანადგარები შენდება დიდი დასახლებების მახლობლად. ქალაქის ჩანალვრებისა და მყარი ნარჩენების უტილიზაციის შედეგად მიღებული ენერგია უზრუნდება ისევე ქალაქს. მრავლადაა ბიოგაზის დანადგარები მსხვილ მეცხოველეობის ფერმებში. მიღებული ბიოგაზი უზრუნველყოფს ფერმის ინფრასტრუქტურის ენერგეტიკულ მოთხოვნილებებს. ასეთ სანარმოებში მიღებული ბიოგაზის რაოდენობა დღე-ღამეში შეადგენს ათიათასობით კუბ. მეტრს.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო) წვრილი კერძო მეურნეო-

ბებისათვის, სადაც ამჟამად კონცენტრირებულია მეცხოველეობის დიდი რესურსი, ყველაზე საინტერესოა ინდოეთისა და ჩინეთის გამოცდილება. აღნიშნულ ქვეყნებში მუშაობს ათეულ მილიონობით დაიჯესტერი, განკუთვნილი ცალკეული ოჯახური მეურნეობებისა და კომპაქტურად დასახლებული თემების ენერგეტიკული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. განსაკუთრებული წარმატება ამ მიმართულებით მიღწეულია ჩინეთში, სადაც უკვე 1975 წ. მუშაობდა მილიონამდე ბიოდანადგარი. 2010 წელს ბიოგაზის დანადგარების რიცხვმა ჩინეთში გადააჭარბა 100 მილიონ ერთეულს.

ორგანული სასუქის ანაერობული კონვერსიის შედეგად, იღებენ ენერგომატარებელს ბიოგაზის სახით და მაღალხარისხოვან სასუქს სოფლის მეურნეობისათვის, რომელიც 25-30%-ით ზრდის მოსავლიანობას და გამოირიცხავს გარემოს დაბინძურებას [4,5,6].

ბიოენერგეტიკული პროექტების გავრცელებამ მოითხოვა მეცხოველეობის ექსკრემენტების რესურსების შეფასება. ასეთი შეფასებები ვაკეთდა დიფერენცირებულად, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორების, ქათმების და ა.შ. რიცხოვნობის გათვალისწინებით. მაგალითად, ინდოეთში თვლიან, რომ ყოველწლიურად გამოყოფილი ძროხის ნაკვლის კონვერსიით, რომელიც შეიცავს 300 მლნ ტ მშრალ ნივთიერებას, შესაძლებელია 33 მლნ ტ ნათობის ეკვივალენტის მიღება.

ბიომასის ენერგეტიკული პოტენციალის საშუალო წლიური მნიშვნელობა (მცენარეულ კულტურათა ცალკეულ სახეობათა მიხედვით: სიმინდი, ხორბალი, მზესუმზირა, ქერი, ლობიო და ა.შ.) კახეთისათვის შეადგენს 369525 მგვტ.სთ წელიწადში [7,12,13].

ბიომასის ენერგეტიკული პოტენციალის საშუალო წლიური მნიშვნელობა (ცხოველთა ცალკეულ სახეობათა მიხედვით: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ღორი, ცხვარი, ფრინველი და სხვ.) კახეთისათვის შეადგენს 723142 მგვტ.სთ წელიწადში.

საქონლის ექსკრემენტები, მდინარეების გარდა, აბინძურებს წყალსაცავებს, გრუნტის წყლებს, ჰაერს. ეს აძლიერებს ინფექციურ და ინვაზიურ (ცხოველური პარაზიტები, ჭიები და ა.შ.) დაავადებათა გამომწვევი ორგანიზმების სიცოცხლისუნარიანობას და ამიტომ გარემოს დაბინძურების თვალსაზრისით, დიდ საშიშროებას წარმოადგენს.

ბიოგაზგენერატორის გამოყენების მრავალწლიანმა გამოცდილებამ აჩვენა რომ იქ, სადაც განვითარებულია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის კერძო ფერმერული მეურნეობები, მიზანშეწონილია მცირე ზომის ბიოგაზგენერატორების ამოქმედება. მეცხოველეობის ნარჩენების ასეთი სახით გამოყენებას აქვს არაერთი დადებითი ეფექტი [16,17]:

- ბიოგაზის გამოყენება იცავს ტყეს განადგურებისა და ნიადაგს ეროზიისაგან;
- ტრადიციული სათბობის ფასების ზრდის პირობებში, უზრუნველყოფს ადგილობრივ მოსახლეობას იაფი ენერგიით; მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ოჯახის საყოფაცხოვრებო პირობებს;
- დადებითად მოქმედებს სასმელი წყლის ხარისხზე, ამცირებს მდინარეების ბიოლოგიურ დაბინძურებას;
- განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საკურორტო ზონებში, რადგან უზრუნველყოფს სათანადო სანიტარიულ პირობებს და გამოირიცხავს არასასიამოვნო სუნს;
- ფერმენტაციის შედეგად მიღებულ გადამწვარ პროდუქტს აქვს კომერციული ღირებულება, იგი შეიძლება გაიყიდოს ან მოხმარებულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გასანოყიერებლად.

საქართველოში ამჟამად ექსპლუატაციაშია 400-ზე მეტი ბიოდანადგარი. უნდა აღვნიშნოთ, რომ საქონლის ექსკრემენტების გადამუშავებისადმი ასეთი მიდგომა სრულ შესაბამისობაშია ფერმერულ მეურნეობებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვა-გავრცელების პრიორიტეტებთან, გლობალური დათბობის საწინააღმდეგო ზეგების ძიებასთან და რეკომენდებულია გაეროს დეკლარაციებითა და კიოტოს პროტოკოლებით [18,19].

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1.არველაძე რ., კერესელიძე თ., ჰიდროენერგეტიკა საქართველოს ელექტროენერგეტიკული დამოუკიდებლობის დასაყრდენი// სტუ-ის აკადემიის მართ. სისტ. ინსტიტუტის შრ. კრებული, #18. თბილისი, 2014, გვ.83-89.
- 2.ენერჯის განახლებადი წყაროების პოტენციალი საქართველოში და მისი ათვისების ღონისძიებები. 2008. წწ.წეგ.გე.
- 3.ირ.ჟორდანი, ნ.მირიანაშვილი, ქ.ვეზირიშვილი-ნოზაძე, რ.არველაძე, დ.ჩომახიძე, თ.ჯიშკარიანი. საქართველოს ენერგეტიკული რესურსები (სამსახურებრივი სარგებლობისათვის). მონოგრაფიაში „საქართველოს ბუნებრივი რესურსები“ (ორტომეული), ტომი II, თავი VI . საქ. მეცნ. ეროვნული აკადემია, საქ. ტექნ. უნივ. საქ. საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი, თბილისი, 2015 წ. გვ. 543-792.
- 4.არაბიძე გ., არაბიძე ნ. და სხვ. ნარჩენი ბიომასის ენერგეტიკული პოტენციალი საქართველოში (კადასტრი). მონოგრაფია. თბილისი. 2013. 225 გვ.
- 5.ნ.მირიანაშვილი, ზ.ლომსაძე, ნ.გძელიშვილი, ქ.კვირიკაშვილი, ვ.ხათაშვილი. საქართველოში გა-

ნახლებადი, არატრადიციული ენერგორესურსების გამოყენების თანამედროვე მდგომარეობა და ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში მათი წართვის პერსპექტივები. ქ.თბილისი, „ენერგია“. #3(91), ტომი 2, 2019 წ. გვ.126-128.

6.ქ.ვეზირიშვილი, თ.აკობია, ე.ფანცხავა. „საქართველოს ბიოენერგეტიკული პოტენციალის შეფასება და მცენარეული ზეთისგან ბიოდიზელის წარმოების შესაძლებლობები“. ქ.თბილისი. მეცნიერება და ტექნოლოგიები. 2019წ. №1(730). გვ.27-29.

7.მირიანაშვილი ნ., ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ. არატრადიციული, განახლებადი ენერგორესურსების ათვისების პერსპექტივები ენერგოდამზოვი ტექნოლოგიების გამოყენებით საქართველოს ზღვისპირეთში //სტუ-ის დაარსებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები – “XXI საუკუნის მეცნ. და ტექნ. განვით. ძირით. პარადიგმები“. თბილისი, 19-21 სექტემბერი, 2012, გვ.157-159.

8.მირიანაშვილი ნ., ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ. ქარის ენერგორესურსების გამოყენების მასშტაბები საქართველოში //სტუ-ის დაარსებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები – “XXI საუკუნის მეცნ. და ტექნ. განვით. ძირით. პარადიგმები“. თბილისი, 19-21 სექტემბერი, 2012, გვ.308-310.

9.ჟორდანიას ი., ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ., მირიანაშვილი ნ. მზის ენერგეტიკული პოტენციალის გამოყენების პერსპექტივები კახეთის რეგიონში. ენერგია// #1(73), 2015, გვ.36-40.

10.სვანიძე გ. საქართველოს ჰიდროენერგეტიკული რესურსების გამოყენება// ენერგია, #1. თბი-

ლისი, 1998, გვ.36-45.

11.სოლომონია ო. და სხვ. საქართველოს მდინარეების მცირე ჰიდროენერგეტიკული ტექნიკური პოტენციალის კადასტრი. თბილისი, 2006. 480 გვ.

12.ფრანგიშვილი ა. (ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი). საქართველოს ენერგეტიკის განვითარების კონცეფცია. თბილისი, 2002.

13.ჩომახიძე დ. საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალის გამოყენების ეკონომიკურ-ეკოლოგიური პრობლემები. თბილისი: თერგი, 2002. -275 გვ.

14. Mirianashvili N., Vezirishvili K. Working out and investigation of energy-economical efficiency of energy-preserving heat-cold capplying systems on basis of heat pump plant and geothermal water on agroindustrial complex enterprises// Problems of Mechanics. Tbilisi. #1(39). 2010. pp.76-81.

15.Везиришвили К. Энергосберегающие системы теплохладоснабжения на базе геотермальных вод //Вестник Междунапродной Академии холода. Вып.3. Санкт-Петербург-Москва, 2003, стр.5-8.

16.Сванидзе Г.Г. и др. Возобновляемые энергетические ресурсы Грузии. Ленинград: Гидрометеиздат, 1987. -174 с.

17.ბინაძე ა. ბიოგაზის დანადგარის აშენება და ექსპლუატაცია (II გამოცემა). თბილისი, 2004. 80გვ.

18. Khantadze J., Lanchava M., Bitsadze A. On the issue of Heat xchange in a Biogas Installation // Georgian Engineering News. №2, 2005. p.65-68.

19.მ.ციციქიშვილი და სხვ. ზოგადი ეკოლოგიის საფუძვლები. (თანაავტორობით). სახელმძღვანელო. თბილისი. “ბარტონი”.2018, 264 გვ.

ენერჯეტიკის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში

ქეთევან ვეზირიშვილი-ნოზაძე, ელენე ფანცხავა, მაია ჯიხვაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ენერჯეტიკა საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალაა. იგი განმსაზღვრებელ გავლენას ახდენს ეკონომიკის განვითარებაზე, ასრულებს წამყვან როლს საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში, ეკონომიკის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებასა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გაზრდაში; ენერჯეტიკა წარმოადგენს სამეურნეო რთული ორგანიზმის მაცოცხლებელ ძარღვს და, მთლიანად, ცივილიზაციის ერთ-ერთ საფუძველს.

თანამედროვე გარდამავალ პერიოდში საქართველოს საერთო მდგომარეობა თვისობრივად შეიცვალა: მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული ენერჯეტიკული დარგის რესტრუქტურისა და ახალი ეკონომიკური ურთიერთობების საკანონმდებლო ბაზის სისტემის ჩამოყალიბების მიმართულებით. საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობამ და ენერგოსაფრთხობის გაძლიერების მიზნით ევროპულ სტრუქტურებთან დაახლოებამ, განაპირობა სწორედ ენერგოეფექტურობის მენეჯმენტი თბოენერჯეტიკაში.

ნაშრომში ენერჯეტიკული რესურსები გაანალიზებული და შეფასებულია ტექნოლოგიების განვითარების დღევანდელი დონისა და პერსპექტივების გათვალისწინებით. ენერჯეტიკაში არსებული მდგომარეობის და პერსპექტივების ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია დარგის განვითარების ამოცანები და მიზნები. შემოთავაზებულია ენერჯეტიკის მიზანდასახული და გეგმა-ზომიერი განვითარების პროგრამის კონცეფცია.

საკვანძო სიტყვები: ენერგორესურსები, ენერგოურუნველყოფა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თბოენერჯეტიკული ეფექტურობა, ალტერნატიული წყარო.

THE ROLE AND IMPORTANCE OF ENERGY IN THE PROCESS OF ECONOMIC DEVELOPMENT OF THE COUNTRY

Ketevan Vezirishvili-Nozadze, Elene Pantskhava, Maia Jixvadze
Georgian Technical University, Tbilisi, Georgia

ABSTRACT

Energetics is one of the strongest driving forces of society's development. It greatly affects economic

growth, plays an important role in creating society's material-technical base and accelerates the progress of science and technology, is crucial to the establishment of the economy's infrastructure and to the development of social productivity efficiency; Energetics is the life-force of the complicated organism of agriculture and is the basis of the whole civilization.

Situation in the country has changed qualitatively: Important steps have been done towards restructuring of branch of energetics and development of legislation of new economic relations. Compliance with international standards and closer approach to European Union in order to improve Energetic Security of Georgia caused making focus on management of energetics' effectiveness.

Taking into consideration modern level and vision of future of development of technologies, renewable energy resources are analyzed and assessed in the article. On the basis of analysis of existing situation and future of energetics there are formulated goals and tasks of the branch development. In addition, the result oriented and reasonable concept of the plan of development of renewable energetics is recommended.

Key Words: Energy Resources, Energy Maintenance, Material-Technical Base, Thermal Power, Station, Alternative Resources.

შესავალი

საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში -1989-2020 ენერჯეტიკული უსაფრთხოების პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური გახდა. ცხადია, რომ ამ პრობლემის გადაჭრის გარეშე არარეალური იქნება არათუ სრული ეკონომიკური უსაფრთხოების მიღწევა, არამედ საფრთხე შეექმნება თვით საქართველოს სახელმწიფოებრიობასაც.

ქვეყნის საიმედო და მდგრადი ენერგოურუნველყოფა თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა. უფრო მეტიც, ექსპერტთა შეფასებით, თანამედროვე გლობალიზაციის ეკონომიკურ სისტემაში "ბიოსფერო-საზოგადოება-ეკონომიკა", ენერგომოხმარების დონე და დინამიკა გაცილებით უფრო ობიექტური და ადეკვატური პარამეტრებია ეკონომიკის განვითარების დასახასიათებლად, ვიდრე ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის მაჩვენებელი.

ქვეყნის გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში „საქართველო

2020“ ენერგეტიკა საქართველოს სტრატეგიულ დარგად და პრიორიტეტად არის მითითებული. ბევრი კვლევაა ჩატარებული, რომლებიც ენერგეტიკას, ეკონომიკურ ზრდასა და სოციალურ ინდიკატორებს შორის კავშირს ადგენს.

განყენებულად ეკონომიკური ცვლადები სოციალური პროგრესის შესახებ სრულ სურათს არ გვაძლევს, ამიტომაც ზუსტადაა განსასაზღვრი და სისტემური ხედვით უნდა შეფასდეს ის, თუ რეალურად რა შესაძლებლობები აქვს სახელმწიფოს ადამიანის ბაზისური საჭიროებების, ცხოვრების ხარისხის ჩამოყალიბების და მისი განვითარების დასაკმაყოფილებლად.

რამდენადაც სასარგებლოა ელექტროენერჯის გამოყენების სფეროს გაფართოება, იმდენადვე საზიანო და დამანგრეველია მისი შემცირება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. ეს ნათლად გამოჩნდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პირველ წლებში (1991-1995წწ.). ცნობილია, რომ საქართველოში 1990 წლიდან ელექტროენერჯის წარმოება და მოხმარება მკვეთრად შემცირდა. 1994 წელს, ქვეყანაში წარმოებულ იქნა მხოლოდ 7 მლრდ. კვტ.სთ ანუ 1989 წელს მიღწეული მაქსიმალური დონის 43%. ელექტროენერჯის წარმოების 1994 წლის დონე კი საქართველოში ჯერ კიდევ 1968 წელს - 26 წლის წინ აღინიშნა, ე.ი. ამ სფეროში ქვეყანამ მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნით დაიხია უკან. უმთავრესად სწორედ ამან დაასუსტა ეკონომიკა 36 წლით, ხოლო მისი ზოგიერთი დარგი - ნახევარი საუკუნით და მეტადაც.

ძირითადი ნაწილი

ენერგორესურსების წარმოება და პოტენციალი

საქართველოში ენერგეტიკა წარმოდგენილია ელექტროენერგეტიკისა და სათბობის მრეწველობის თითქმის ყველა ძირითადი დარგით (თბოელექტროსადგურები, ჰიდროელექტროსადგურები, ელექტრული და თბოქსელები, ნავთობმომპოვებელი და ნახშირის მრეწველობა, თერმული წყლები). ბოლო წლებში მიმდინარეობს მუშაობა ქარისა და მზის ენერჯის გამოსაყენებლად. 1961-1990 წლებში საქართველოს ენერგეტიკის პროდუქცია 1,4-ჯერ გაიზარდა; ზრდა დაახლოებით თანაბარი იყო პირველსა და მეორე ათწლეულებში, მესამეში კი - მკვეთრად დაეცა.

1991-1995 წლებში საქართველოს ენერგეტიკა მწვავე კრიზისმა მოიცვა. მინიმუმამდე დაეცა ყველა ენერგორესურსის წარმოება, ელექტროენერჯის გამომუშავება 2-ჯერ და მეტად შემცირდა, ნავთობისა და ნახშირის მოპოვება - შესაბამისად 4,4-ჯერ და 22,4-ჯერ, ნავთობის გადაამუშავება - 60-ჯერ, თანამდევნი აირის მოპოვება - 18,2-ჯერ.

2016 წლის შედეგებით ენერგეტიკის სექტორში

ფუნქციონირებდა 66 საწარმო, სადაც დასაქმებული იყო 19123 ადამიანი, წარმოებული იყო 1077,6 მლნ ლარის პროდუქცია, ხოლო ძირითადი აქტივების (ფონდების) ღირებულება შეადგენდა 3052,1 მლნ ლარს.

2019 წლის მონაცემებით სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში თავმოყრილია მთელი მრეწველობის ძირითადი ფონდების ნახევარზე მეტი (52,8%), ხოლო ინარმოება პროდუქციის თითქმის 15%. პროდუქციის მიხედვით ენერგეტიკის დარგობრივ სტრუქტურაში წამყვანია ელექტროენერგეტიკა - 75,3%. ნავთობზე მოდის - 7,4%, ბუნებრივ აირზე - 13,4%, ნახშირზე - 3,9%.

საქართველოს ტერიტორიაზე მეტ-ნაკლები ოდენობით გვხვდება ენერგეტიკული რესურსების თითქმის ყველა სახეობა: ჰიდროენერგორესურსები, ქვანახშირი, მურა ნახშირი, ტორფი, ნავთობი, თანამდევნი აირი, თერმული წყლები.

საქართველოს ენერგეტიკულ რესურსებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰიდროენერგორესურსები, ნახშირი და ნავთობი. საქართველოს დიდი და საშუალო სიდიდის მდინარეთა თეორიული ჰიდროენერგორესურსები დაახლოებით 137 მლრდ. კვტ.სთ, ტექნიკური ჰიდროენერგეტიკული რესურსები - 68-80 მლრდ. კვტ.სთ, ხოლო ეკონომიური (განვითარების თანამედროვე ეტაპზე გამოყენებისათვის ეკონომიკურად მიზანშეწონილი) ჰიდრორესურსები - 32-39 მლრდ. კვტ.სთ-ია. საქართველოში აღრიცხული 319 მდინარის ტექნიკური ჰიდროენერგორესურსების 50%-ზე მეტი რვა მდინარეზე (მტკვარი, რიონი, ენგური, ცხენისწყალი, კოდორი, ბზიფი, ხრამი და არაგვი) მოდის, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის მათზე ჰიდროენერგომშენებლობისათვის.

ჰიდროენერგეტიკულ მშენებლობაში თანამედროვე მიღწევათა გამოყენებით საქართველოს მდინარეებზე შეიძლება აიგოს ათეულობით მსხვილი და საშუალო სიდიდის ჰიდროელექტროსადგური. მიუხედავად ამისა, საქართველოში ჰიდროენერგორესურსების გამოყენების დონე დაბალია. 2018 წელს ჰიდროელექტროსადგურებმა გამოიმუშავეს 8,2 მლრდ. კვტ.სთ ელექტროენერჯია, რაც ჰიდრორესურსების ტექნიკური პოტენციალის მხოლოდ 10,0-12,0%, ხოლო ეკონომიური პოტენციალის - 25,6%-ია.

დღეისათვის საქართველოში ადგილობრივ წარმოებული ელექტროენერჯის დაახლოებით 80%-ს ჰესები, დანარჩენს კი ბუნებრივ გაზზე მომუშავე თბოელექტროსადგურები (აგრეთვე უმნიშვნელო მოცულობით ქარის სადგური) გამოიმუშავენ. ამავე დროს, უკანასკნელი წლების განმავლობაში, ელექტროენერჯის მოხმარების მნიშვნელოვანი ზრდის გამო, ქვეყანა იძულებულია, მოთხოვნა

ზრდადი იმპორტირებული ენერჯით დააკმაყოფილოს. მდგომარეობას უფრო ართულებს ჰესების მიერ წარმოებული ენერჯის დამოკიდებულება კლიმატურ პირობებზე, აგრეთვე, უკანასკნელ წლებში, არაპროგნოზირებადი დატვირთვის მომხმარებლის (კრიპტოვალუტის სერვერების) წილის მნიშვნელოვანი ზრდა საერთო დატვირთვაში, რაც წარმოება-მოთხოვნის მნიშვნელოვანი დისბალანსის საფუძველი ხდება. კერძოდ, ელ.ენერჯის მოხმარება ქვეყანაში, ჩვეულებრივ, ზამთრის სეზონზე აღწევს პიკს, მაშინ როდესაც მდინარეების წყალმარჩხოების გამო ჰესების მიერ გამოშვებული ენერჯია შედარებით დაბალია. ელენერჯიაზე მოთხოვნა ამ პერიოდში ადგილობრივ თბოსადგურების წარმოებითაც ვერ კმაყოფილდება, რაც უკანასკნელ წლებში იმპორტის კრიტიკული ზრდის ტენდენციას განაპირობებს - 2016 წელს იმპორტირებული იყო 479 მლნ კვტსთ, ხოლო 2019 წელს იგი 1 630 მლნ კვტსთ-მდე გაიზარდა. გასულ წელს იმპორტირებული ელ.ენერჯის ღირებულება, დაახლოებით 90 მლნ-მდე აშშ დოლარი, მძიმე ტვირთად დაანვა ქვეყნის მაკროეკონომიკას, მათ შორის სავალუტო გაცვლის კურსს, რაც ამავე დროს მნიშვნელოვანი გამოწვევაა ქვეყნის ენერჯეტიკული უსაფრთხოებისათვის.

გასულ წელს საქართველო, ელექტროენერჯიას რუსეთიდან (524,5 მლნ. კვტ.სთ) და აზერბაიჯანიდან (1102.0 მლნ. კვტ.სთ) იღებდა.კერძოდ, 2019 წელს რუსეთიდან იმპორტის ზრდამ 153% შეადგინა, აზერბაიჯანიდან კი პირიქით, 10% - ით შემცირდა. შემცირებულია ექსპორტიც - 2018 წელთან შედარებით, გასულ წელს საქართველოდან თითქმის 59% - ით ნაკლები ელექტროენერჯია (243,4 მლნ. კვტ.სთ) გაიყიდა.

მოთხოვნის ზრდა ელ.ენერჯიაზე, განსაკუთრებით პიკური მოხმარების პერიოდში, როცა არსებული ჰიდრო- და თბოენერჯეტიკული სიმძლავრეების დღეისათვის ათვისებული პოტენციალი ვერ უზრუნველყოფს საჭირო რაოდენობის ენერჯის მიწოდებას, განაპირობებს კრიტიკულ დამოკიდებულების იმპორტზე. ასეთ პირობებში ელექტროენერჯიაზე მოთხოვნის მკვეთრი ზრდისა და სეზონური დეფიციტის აღმოფხვრის ყველაზე რაციონალურ ინსტრუმენტად შეიძლება ჩაითვალოს ბუნებრივ აირზე მომუშავე ბაზისურ თბოელექტრო- სადგურების მშენებლობა, რაც უზრუნველყოფს კლიმატისაგან დამოუკიდებელი გენერაციის განვითარებას, ენერგოსისტემის დაბალანსებასა და სტაბილურ ფუნქციონირებას საკუთარი რესურსების გამოყენებით.

ამიტომაც უახლოეს დღეებში დაგეგმილი, გარდაბნის გაზის ტურბინის კომბინირებული ციკლის (CCGT) თბოელექტროსადგურის გარდაბანი-2-ის

ექსპლუატაციაში გაშვება საეტაპო მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენს ქვეყნის ენერჯეტიკული სექტორისათვის. გარდაბანში, უკვე არსებული თბოელექტროსადგურების კომპლექსის ტერიტორიაზე განლაგებული 230 მგვტ დადგმული სიმძლავრის მქონე თბოელექტროსადგურის მშენებლობაში საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ 185 მილიონამდე აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა. თესის მშენებლობა 2018 წლის თებერვალში დაიწყო და ორ წელიწადზე ნაკლებ დროში წარმატებით არის დასრულებული.

გარდაბნის სადგური ხასიათდება მაღალი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით. იგი მუშაობს ბუნებრივი აირით და აღჭურვილია კომბინირებული ციკლის უახლესი ტექნოლოგიებით, მათ შორის “ჯენერალ ელექტრიკის” და “სკოდას” მაღალეფექტური ტურბინებით. სადგური არის ყველაზე საიმედო რეზერვი ბაზისური დატვირთვების ელექტროენერჯით უზრუნველსაყოფად. პროექტის საინვესტიციო ღირებულებაა 220 მლნ აშშ დოლარი, პოტენციური გამოშვება - 1,8 მლრდ. კვტ.სთ წელიწადში.

ნავარაუდება აგრეთვე ტყიბულში მძლავრი (150 მგვტ), ახალი, ნახშირით მომუშავე თესის მშენებლობა; ამ მიზნით მნიშვნელოვნად გაიზარდება ადგილობრივი ნახშირის მოპოვება.

საქართველო განსაკუთრებით მდიდარია შედარებით პატარა მდინარეებით, მათი წლიური ტექნიკური პოტენციალი შეადგენს დაახლოებით 12,3 მლრდ. კვტ.სთ-ს.

საქართველოს ტერიტორიაზე ნახშირის რამდენიმე საბადოა. მათგან მხოლოდ სამს - ტყიბულ-შაორის, ტყვარჩელის ქვანახშირისა და ახალციხის მურა ნახშირის საბადოებს აქვს სამრეწველო მნიშვნელობა. ნახშირის მარაგის ძირითადი ნაწილი (მისი საბალანსო მარაგის 80,2%) განლაგებულია ტყიბულ-შაორის საბადოში, ახალციხის საბადოში - 15,7%, ტყვარჩელის საბადოში - 4,1%. ამჟამად მუშავდება მხოლოდ ტყიბულის საბადო.

საქართველოში აღრიცხულია ნავთობის რამდენიმე საბადო, საიდანაც ამჟამად წლიურად დაახლოებით 40-50 ათასი ტ მოიპოვება.

ქვეყნის ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური შესწავლის თანამედროვე ეტაპზე საქართველოში თერმული წყლების საერთო პროგნოზული მარაგი 250 მლნ მ3-ს შეადგენს. მზის ენერჯის თეორიული ოდენობა წლის განმავლობაში 1014 კვტ.სთ-ს აღწევს, ქარის ენერჯის ტექნიკური პოტენციალი კი 4,5 მლრდ. კვტ.სთ-ია.

სათბობ-ენერჯეტიკული ბალანსის ანალიზი

1990 წლამდე ქვეყანაში შეიმჩნეოდა ენერჯეტიკული რესურსების მოხმარების ზრდის ტენდენცია. 1990 წლიდან 2007 წლამდე კი სათბობ-ენერჯეტი-

კული რესურსების მოხმარების დონე მკვეთრად დაეცა. ქვეყნის მოთხოვნილება ძირითადად შემოტანილი ენერგეტიკული რესურსების ხარჯზე კმაყოფილდებოდა.

დაახლოებით იგივე მდგომარეობაა ამჟამადაც. 2018 წლის მდგომარეობით, საქართველო, თავის მოთხოვნილებას, საკუთრი ენერგორესურსებით იკმაყოფილებს მხოლოდ 34,5%-ით ანუ იმპორტულ რესურსებზე 65,5%-ით არის დამოკიდებული. საკუთარი წარმოების ენერგორესურსების ფორმირებაში წამყვანია ჰიდროენერგია 711,2 ათ. ტ.პ.ს (49,85%), მეორე ადგილზეა ბიოსანვავი (შემა და დანარჩენები) – 481,1 ათ. ტ.პ.ს. (33,6%), მესამეზე - ქვანახშირი 168 ათ. ტ.პ.ს (11,8%) და ა.შ. რაც შეეხება ბალანსის ხარჯვით ნაწილს საბოლოო მოხმარების მიხედვით, აქ პირველ ადგილზეა ნავთობპროდუქტები 1077,6 ათ. ტ.პ.ს (28,9%), მეორეზე – ბუნებრივი აირი 1058,7 ათ. ტ.პ.ს (28,4%) და მესამეზე - ელექტროენერგია 780,3 ათ. ტ.პ.ს (20,9%).

მაშასადამე, საქართველოში ყველაზე მეტად მოხმარებადი ენერგორესურსი (ნავთობპროდუქტები, ბუნებრივი აირი) მთლიანად იმპორტულია და მისი ადგილობრივით ჩანაცვლება ნაწილობრივ მაინც, ქვეყნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა.

გარდაბანში 2015 წლის ზაფხულში ექსპლუატაციაში შევიდა 230 მგვტ სიმძლავრის კომბინირებული თბოელექტროსადგური.

აღსანიშნავია, რომ გასული საუკუნის 80-90-იან წლებში, საქართველოს ბაზისური თბოელექტროსადგურების ჯამური დადგმული სიმძლავრე 1500 მგვტ-ს, ხოლო წლიური გამომუშავება დაახლოებით 7 მლრდ კვტს-ს შეადგენდა, მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის ექსპლუატაციაში მყოფი ყველა ძირითად ჰიდროელექტროსადგური (მათ შორის ყველაზე მძლავრი ენგურისა და ენგურჰესების კასკადის, ჯამური სიმძლავრით 1640 მგვტ), უკვე აშენებული იყო და ფუნქციონირებდა, ხოლო საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემა კავშირის სამხრეთი რეგიონების გაერთიანებული სისტემის ნაწილს წარმოადგენდა და შეუფერხებელ მიმოცვლას აწარმოებდა მეზობელი რესპუბლიკების სისტემებთან. ამასთან ერთად, ხაზგასასმელია, რომ ენერგიის ხვედრითი მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე იმ დროისათვის საქართველოსა და ევროპის მსგავსი გეოგრაფიულ-კლიმატური გარემოს მქონე ქვეყნებში (იტალია, ესპანეთი, ავსტრია, პორტუგალია, საბერძნეთი, თურქეთი) დაახლოებით ტოლი იყო, მაშინ როდესაც დღეისათვის იგი არათუ ევროპის, არამედ მსოფლიოს გასაშუალებულ მაჩვენებელსაც ჩამორჩება.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის დომი-

ნანტად და საშუალო- და გრძელვადიანი სტრატეგიის უპირველეს პრიორიტეტად ითვლება ელექტროენერგიაზე ძირითადი მოთხოვნის დაკმაყოფილება ადგილობრივი ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიით, საერთაშორისო გამოცდილება ადასტურებს, რომ ბაზისური ელენერგიის მწარმოებელი გენერაციის საშუალებები გარდამავალი ეტაპის ენერგეტიკული სისტემების შეუცვლელ ნაწილსა და მათი მდგრადობისა და, ზოგადად, ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გარანტორს წარმოადგენენ.

დასკვნა:

მთავარი აქცენტი გადატანილია უნდა იყოს განახლებადი ენერგორესურსების გამოყენებაზე: საქართველოს მდიდარი ჰიდროენერგეტიკული რესურსების ათვისება უწყვეტი პროცესია. მომავლისათვის დაგეგმილია 36 ჰესის მშენებლობა, რომლებიც შედიან პოტენციური ალტერნატიული წყაროების ნუსხაში. სახელმწიფო პროგრამა “განახლებადი ენერგია 2020-ის” ფარგლებში განხორციელებულია ინტერესთა გამოხატვა აღნიშნული ელექტროსადგურების მშენებლობის, ოპერირებისა და ფლობის პრინციპით.

გარდა ამისა, მემორანდუმით შეთანხმებულია, რომ ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში გაშვებიდან 10-წლიან პერიოდში ყოველი წლის ზამთრის 3 თვის განმავლობაში ელექტროენერგიის რეალიზაცია მოხდება შესაბამისი პირის არჩევანით და იგი განხორციელდება საქართველოში არსებულ ნებისმიერ მყიდველზე თავისუფალი ტარიფით, ანდა ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორთან წინასწარ გაფორმებული გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით, სადაც ტარიფი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმში ნათლადაა ჩამოყალიბებული როგორც სახელმწიფო, ისე ინვესტორის ვალდებულება. იგი ფორმდება წინასწარ დამტკიცებული ფორმების მიხედვით და მკაცრად ავალდებულებს ორივე მხარეს მის შესრულებას.

პერსპექტიულ მშენებლობათა გათვალისწინებით შემუშავებულია “საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა” 2015-2025 წლებისთვის, რომელიც დამტკიცებულია მთავრობის მიერ. (ცხრილი №1).

ამ გეგმის მიხედვით, 2025 წლისათვის საქართველოში ელექტროენერგიის წარმოება მიაღწევს 28,42 მლრდ. კვტ.სთ-ს, მათ შორის ჰესებში 25,42 მლრდ. კვტ.სთ-ს. გამომუშავების ასეთი ზრდა საშუალებას მისცემს ქვეყანას ექსპორტზე გაიტანოს 10 მლრდ. კვტ.სთ-ზე მეტი ენერგია.

საქართველოს ელექტროსისტემის ენერჯის საპროგნოზო ბალანსი (მლრდ. კვტ.სთ)
ცხრილი № 1.

წელი	გენერაცია	ჰესები	თბოსადგურები	მოსმარება	ექსპორტი
2020	19,94	169,3	2,18	14,23	5,71
2021	24,52	22,34	1,37	14,94	9,58
2022	26,78	25,42	1,85	15,69	11,09
2023	27,26	25,42	2,38	16,48	10,78
2024	27,80	25,42	2,97	17,30	10,50
2025	28,42	25,42	3,00	18,16	10,36

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ., ფანცხავა ე., „საქართველოში არსებული ენერგორესურსების ათვისების პოტენციალური მიმართულებანი“, IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული, ქუთაისი, გვ. 108-110.
2. ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ., ფანცხავა ე., „არატრადიციული, განახლებადი რესურსების - ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის ალტერნატივა“, IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული, ქუთაისი, 2016 წ. გვ. 110-113.
3. მარგველაშვილი მ., „მსოფლიო გამოცდილება“ საქართველოსთვის, საქართველოს ენერგეტიკული სექტორი ევროკავშირთან ასოცირების კონტექსტში“, 2015წ. გვ. 18.
4. ჩომახიძე დ., საქართველოს ენერგეტიკა: „ეკონომიკა, რეგულირება, ტერმინოლოგია, სტატისტიკა“. გამომცემლობა „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2014 წ.
5. განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმა (NREAP).

გაქომპანიის მენეჯმენტის უწყატიანად წარმართვის მიმართულება

გურამ ამყოლაძე
სტუ-ს დოქტორი, პროფესორი

ნინო თითბერია
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

სამეცნიერო ნაშრომში დახასიათებულია გაქომპანიის საქმიანობის მნიშვნელობა და არსი საქართველოს მომხმარებლების ბუნებრივ გაზზე მოთხოვნების დროულად, გარანტირებულად და საიმედოდ მიწოდებისა და განაწილების საქმეში. აღწერილია მოქმედი მენეჯმენტი და გატარებულია ღონისძიებები, რითაც მოხდა მართვის სისტემის შეცვლა. მენეჯმენტის ეფექტიანობა გამოიხატა მართვის სტრუქტურაში მარკეტინგისა და მომხმარებლების მომსახურების სამსახურების შეტანით.

ჩვენ მიერ შეთავაზებულია ბაზარზე ცვალებადი გარემოებისა და სიტუაციების მართვის ხერხი.

შესავალი

საქართველოს მოსახლეობისა და ბიზნეს-ობიექტების საჭირო ენერჯის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს ბუნებრივი გაზი. საქართველოს მოთხოვნები ბუნებრივ გაზზე ყოველწლიურად იზრდება, ამის მიზეზია საყოფაცხოვრებო სექტორისა და ბიზნესის გაზრდილი მოთხოვნები. მოთხოვნების ცვლილებები ასევე დამოკიდებულია კლიმატურ პირობებზე, საქართველოს სოფლების მასობრივ გაზიფიცირებაზე, გაზის მომხმარებელ დანადგარებსა და მათი სწორად ექსპლუატაციის ხასიათსა და თვისებებზე.

გაზის მოხმარება მოსახლეობაში მიმდინარეობს სრული საყოფაცხოვრებო კომპლექსითა და არასაყოფაცხოვრებო მოხმარების გზით, როდესაც მომხმარებელი გაზს იყენებს მხოლოდ შენობის გათბობის მიზნით და ეს პროცესი ამ მომხმარებლებისათვის გრძელდება მხოლოდ 6 თვე, კერძოდ, ოქტომბერ-მარტის თვეების პერიოდში.

ძირითადი ნაწილი

ბუნებრივი გაზის მიწოდება ხდება როგორც საბითუმო, ასევე საცალო ბაზრის მეშვეობით. თუმცა, ისიც ცნობილია, რომ საბითუმო მიმწოდებლებიც, გარდა იმისა, რომ გაზს აწვდიან საცალო მიმწოდებლებს, ისინი კი საბოლოო მომხმარებლებს, თვით გარკვეული აუცილებლობის შემთხვევაში გამოდიან საცალო მიმწოდებლების როლში.

საქართველოს კანონმდებლობით განაწილების ლიცენზიატებს არ აქვთ აკრძალული გაზის მიწოდების განხორციელება მათი ბუნებრივი გაზის განაწილების არეალში.

ბუნებრივი გაზის მიწოდება და განაწილება ხდება 600-ზე მეტ ქალაქში, სოფელსა და დასახლებულ პუნქტში და 2018 წლისათვის მომხმარებელ-

თა საერთო რაოდენობამ 1,2 მლნ-მდე შეადგინა. მომხმარებელთა ამ რაოდენობას ყოველწლიურად მიწოდება საშუალოდ 1,4 მლრდ კუბ.მ. ბუნებრივი გაზი. ამ ვალდებულებას მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება საქართველოში აქტიურად მოქმედი SOCAR-ის აფილირებული კომპანიები, რომლებსაც მიეკუთვნება შ.პ.ს. „სოკარ ჯორჯია გაზი“, სს „სოკარ ჯორჯია გაზდისტრიბუშენი“ და „საქორგაზი“, საერთო სახელწოდებით „სოკარ გაზის ჯგუფი“.

სახელმწიფოსა და მომხმარებლების წინაშე ვალდებულებების დროულად და ეფექტიანად შესრულების მიზნით კომპანიათა ჯგუფში ხდებოდა მართვის სტრუქტურული რეორგანიზება და დიდი ყურადღება ექცეოდა მენეჯმენტსა და მართვის სხვადასხვა ამოცანების მოქნილად გადაჭრას. თუ 2010 წლამდე მოქმედებდა მართვის დეცენტრალიზებული სისტემა, რომელმაც თავის დროზე დადებითად შეასრულა თავისი ფუნქცია, შემდეგ მართვის სტრუქტურის გასაუმჯობესებლად კომპანია ცენტრალიზებულ სისტემაზე გადავიდა, რაც განპირობებული იყო რეგიონული მართვის რგოლებს შორის დაბალი კოორდინაციით. ახალი სტრუქტურის ეფექტიანად გამოყენებისა და კომპანიის ფინანსური და მარკეტინგული საქმიანობის განვითარების მიზნით ჩამოყალიბდა მარკეტინგის სამსახური და აბონენტებთან ურთიერთობის სამსახური. ის, რომ კომპანიაში მაღალ დონეზე მოქმედებს კომპანიის მენეჯმენტი, მეტყველებს წარმატების ისეთი ფაქტორი, როგორცაა ის, რომ 2010 წლიდან ფლობდა რა ხარისხის მართვის სერტიფიკატს ISO 9001.2008. კომპანიამ 2016 წელს მოახდინა რესერტიფიკაცია ახალი მოთხოვნების სტანდარტით და საქართველოს მასშტაბით ერთ-ერთი პირველი კომპანია გახდა, რომელმაც მიიღო ახალი ხარისხის მართვის ISO 9001.2015 სერტიფიკატი.

გაზის კომპანიის საქმიანობის მენეჯმენტის გასაუმჯობესებლად გაანალიზებული იქნა მართვის არეალი და ეს ანალიზი დაემყარა არსებულ სიტუაციას, გათვალისწინებული იყო ბუნებრივი გაზის მიწოდება-განაწილების ორგანიზების პრობლემები და მოხდა ბუნებრივი მოთხოვნის – საქმიანობის მართვის რეორგანიზების საკითხის დაყენება, რაც დროულად გადაწყდა კიდევაც. მართვის განვითარების ამოცანები ხშირად დაკავშირებული სხვადასხვა სახის საქმიანობათა კომპანიების მოქმედების არეალში მომხდარ გარემოს ცვლილებებთან, რაც წარმოაჩენს კიდევაც ახალი სახის მოთხოვნებს, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს მენეჯმენტში. აქ თუ განვიხილავთ მენეჯმენტის ამოცანების გადაწყვეტას მზარდი გაურკვევლობის არეალში, მაშინ პრობლემა

უფრო მეტად რთულდება და ასეთი სიტუაციის სამართავად საჭირო გახდება რეორგანიზაციის პროცესის არგუმენტირებული გადაწყვეტილებების დროული მიღება. აქვე გვსურს დავძინოთ, რომ გამოცდილებიდან ცნობილია სიტუაციათა ცვლა ბაზარზე და ეს მომხმარებლებზე ორიენტირებული კომპანიის საქმიანობის მენეჯმენტში მიღებული მოვლენაა.

გაზის კომპანიების საქმიანობა საქართველოში მუდმივად მიმდინარეობს ცვალებადი სიტუაციების პირობებში, შესაბამისად, საქმე გვაქვს საქმიანობის ისეთი გარემოებების ცვლილებასთან, რომლებიც დაკავშირებულია: მომხმარებელზე ბუნებრივი გაზის მიწოდებასა და განაწილებაზე, მოსახლეობის (განსაკუთრებით სოფლის) შემოდგომა-გაზაფხულის პერიოდში (ოქტომბერი-მარტის ჩათვლით) საიმედოდ გარანტირებულად მოთხოვნის უზრუნველყოფაზე, ბუნებრივი გაზის იმპორტის პროცესზე სხვადასხვა ფაქტორების გავლენაზე (პოლიტიკური, ეკონომიკური და ა.შ.), ასევე კომპანიის შიდა და გარემოს ცვლილებებზე. ასეთი ცვლილებების მოქნილად მართვისათვის მენეჯმენტს მოეთხოვება ჰქონდეს კვალიფიციური პერსონალი და სიღრმისეული ცოდნა გაურკვეველი მდგომარეობის დროულად ასახსნელად და ფლობდეს ეკონომიკურ, მენეჯერულ, მენარმეულ და ლიდერულ აზროვნებას. პრაქტიკიდან და გამოცდილებიდან ცნობილია, რომ მენეჯმენტის ყველა ფუნქცია: საქმიანობის დაგეგმვა, ორგანიზება, კონტროლი, ადმინისტრირება, კოორდინირება ძნელია იცოდეს ერთმა ადამიანმა, კერძოდ, გენერალურმა მენეჯერმა (კომპანიის პრეზიდენტმა, გენერალურმა დირექტორმა, ტოპ-მენეჯერებმა), მაგრამ მან ყოველ შემთხვევაში ორი ძირითადი ფუნქცია ძირფესვიანად უნდა იცოდეს, დანარჩენში კი მეტწილად ერკვეოდეს, ხოლო რაც შეეხება აზროვნებათა ჩამონათვალს, მათ შორის მენარმეულის, ეს მიგვაჩნია მნიშვნელოვანად, რადგანაც სწორად მენარმე სხვადასთან შედარებით უკეთესად გრძნობს ბაზარზე ცვლილებებს და შეუძლია დროულად მასზე რეაგირება და ლონისძიებების დამუშავება, გადაწყვეტილებების მიღება და ხელმძღვანელობა.

ბიზნეს გარემოს ცვლილებების ეფექტიანად მართვისა და რეგულირებისათვის აუცილებლობას წარმოადგენს საქმიანობის ირგვლივ არსებული ინფორმაციის დროულად შეკრება, დამუშავება და გაანალიზება. გაზის კომპანიაში შექმნილია ქოლ-ცენტრი, რომელიც 24-საათიანი გრაფიკით მუშაობისას მომხმარებლებიდან სხვადასხვა ტექნიკურ, ასევე ეკონომიკურ საკითხებზე იღებს ინფორმაციას, მისი ანალიზით ფიქსირდება წლის განმავლობაში 350 ათასამდე პრობლემა. ცენტრის მეშვეობით ხდება აბონენტთა სურვილებისა და მომსახურების დაკმაყოფილების გამოკვლევა. ყველა მასალა ეგზავნება ტოპ-მენეჯერებს.

ჩვენი აზრით, ასეთი ვითარების წარმოქმნის შემდეგ საჭიროა შემდეგი ლონისძიებების გატარება.

ცენტრის მიერ მართვის იერარქიის სხვადასხვა საფეხურზე გადაგზავნილი ინფორმაციის ანალიზის შემდეგ იკვეთება კომპანიის მიმართ ნაყენებული მოთხოვნები და პრობლემები, რაც გვიჩვენებს მოცუ-

მულ სიტუაციაში კომპანიის ძლიერ და სუსტ მხარეებს. მენეჯერებმა უნდა განჭვრიტონ მათი გამოყენების დადებითი და უარყოფითი შედეგები, სწორად უნდა მოახდინონ სიტუაციის ახსნა, გამოყონ მრავალფაქტორთა შორის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი, გამოთვალონ, მათ შორის რომელი ახდენს კომპანიის საქმიანობაზე გავლენას, შესაბამისად, ტოპ-მენეჯერმა თავისი გამოცდილებიდან გამომდინარე უნდა მოახდინოს ცნობილი მართვის მეთოდის შერჩევა, წარმართოს მენეჯერთა პოტენციალი და მოახდინოს წარმოქმნილ ცვალებად გარემოებათა მართვა კომპანიის საქმიანობაში ეფექტიანად წარმართვის მიზნით.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ გაზკომპანია „სოკარ ჯორჯია ჯგუფი“-ს მენეჯმენტის საქმიანობა ყოველთვის მიმართულია მომხმარებელთა მოთხოვნების დროულად, გამართულად, საიმედოდ და გარანტირებულად დაკმაყოფილებაზე, გარემოსა და ეკოლოგიური ფონის დაცვაზე (კომპანიის გაზიფიკაციის მეშვეობით მოხდა ხის ჭრის მნიშვნელოვნად შემცირება, კომპანიის გათვლებით გადარჩენილია დაახლოებით ერთი მილიონი ხე), ტექნოლოგიების დანერგვაზე, მომხმარებელთან კეთილგანწყობილ ურთიერთობაზე და სხვ.

დასკვნა

გაზკომპანია შ.პ.ს. „სოკარ ჯორჯია ჯგუფი“ თავისი საქმიანობით ბაზრისა და მომხმარებლების მოთხოვნების სრულყოფილად დაკმაყოფილებაზეა ორიენტირებული. განსაკუთრებულია მისი როლი საქართველოში მომხმარებლებზე ბუნებრივი გაზის მიწოდებასა და განაწილებაში.

კომპანიის საქმიანობის მენეჯმენტის ეფექტიანობის შესახებ ჩვენ მიერ გამოკვლეულია შემდეგი საკითხები, კერძოდ, ბუნებრივი გაზის მიწოდებაზე კონკურენციის პირობებში მომხმარებლების ბუნებრივ გაზზე მოთხოვნების ზრდით გამოწვეულმა ცვალებადმა გარემოებებმა და მზარდი გაურკვევლობის არეალის წარმოქმნამ, სიტუაციებმა ხელი შეუწყო მენეჯერებს შეეცვალათ მართვის სისტემის სახე, სტრუქტურულ სქემაში შეეყვანათ ახალი მარკეტინგისა და აბონენტებთან ურთიერთობების სამსახურები (ქოლ-ცენტრი, მომხმარებლების მომსახურების ცენტრები, 42 ერთეული, ვებ-პორტალი), სადისპეჩერო ცენტრი, ბილინგის სისტემა, ინტერნეტ და მობილური მომსახურება. მენეჯმენტის საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის მიზნით ჩვენ მიერ შეთავაზებულია ბაზარზე ცვლილებების წარმატებულად მართვის ხერხი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. ამყოლაძე, ი. ამყოლაძე, მ. ლომსაძე. ორგანიზაციის თეორია. მენეჯმენტის საფუძვლები. სტუ, თბილისი, 2018.
2. თ. ხომერიკი. მენეჯმენტის საფუძვლები, თბილისი, 2017.
3. Reportal.ge
4. ნ. სამსონია, დ. ჩომახიძე, მ. გურიშვილი. ეკონომიკა და მართვა ენერგეტიკაში. სტუ, თბილისი, 2017.

სატელეკომუნიკაციო მომსახურების დანახარჯების მართვა და კვლევა

ქეთევან გუნიავა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომის მიზანია, ბაზარზე მოქმედი მსხვილი კომპანიების ე.წ. “კორპორატიული კლიენტების” მიერ სატელეკომუნიკაციო მომსახურებებზე გაწეული ხარჯების მართვის ეფექტიანი მექანიზმის შემუშავება და ტელეკომის მენეჯერის აუცილებლობის დასაბუთება. ამ მიზნით, განხორციელდა საქართველოს არსებული მარეგულირებელი გარემოს და ბაზრის ანალიზი, პრობლემების გამოვლენა და რეკომენდაციების შემუშავება. რათა შეიქმნას, ტელეკომის ხარჯების მართვის “ნაბიჯ-ნაბიჯ გზამკვლევი”, რომელიც დაეხმარება ტელეკომის სპეციალისტებს გადანყვიტონ ტელეკომის ხარჯების მართვის წინაშე მდგომი გამოწვევები.

MANAGEMENT AND RESEARCH OF TELECOMMUNICATION SERVICE COSTS

Ketevan Guniava,
Georgian Technical University

The paper discusses the challenges faced by the large companies operating on the market and dealing with telecommunications services, the costs they incur and the ways of solving the problems. To this end, the Work assesses the dynamic environment of the telecommunications market and the problems it causes. Today businesses face a number of challenges related to the use of telecommunications services and the management of their costs. This is due to the great number of suppliers, the complex pricing systems on the market and the constant rate fluctuations, as well as the complexities related to the complex design, processing volumetric accounts. This process is additionally aggravated by the “billing errors” and the “hidden values” under the terms of the agreement. A potentially big problem is the inefficient use of communications equipment within the enterprise. The creation of VoIP has caused a wave of changes in the telecom world. The convergence of the telecom department with the IT department is yet another challenge since they manage completely different fields.

It is known, that the expenditure on telecommunications services is estimated to be the second largest expenditure in most of the fields of the industry among the unproductive costs of enterprises, with IT costs being the first largest. Such costs are critical in the fields

of the industry such as financial, insurance, banking and consulting services being major users of communications. No wonder that a large share of office costs in governmental organizations comes from the use of telecommunications services.

It is recognized that minimizing costs brings benefits to the bottom line of any organization. Cost management provides a company with a competitive advantage in the market, so studying it represents a topical issue.

The purpose of the work is to develop an effective management mechanism of telecom and justify the necessity of telecom manager.

Work identifies the objectives of the cost management based on the generalization of foreign literature: eliminating billing errors, withdrawal of unused services, and negotiating low prices. The following approaches are considered to address these issues: providing complete cost audit, network optimization and pricing management, as well as fraud prevention and control. How the power of the Internet can be used to conduct a comprehensive cost management process.

Work describes development of the Georgian telecommunications market trends, the accumulated problems, local telephone and wireless development history from its creation to the present day, defines basic billing errors, key trends of Georgian Corporate Market 2018.

Work describes the purpose of telecom billing, its types and the procedure for creating and issuing billing accounts; deals with the processes of billing error identification/historical audit and accounts confirmation, considering account reading, domestic fixed-line telephone services, and wireless technologies features.

Work discusses the basic approaches to contract audit, how contractual terms are converted into manageable terms. Due to the features of the technology used to provide the services, the chapter separately describes the specific terms of the VoIP agreement; in addition, the Mobile Expense Management (MEM) is described, which is similar to the Telecommunications Expense Management (TEM) but is used in wireless devices while TEM covers wireless and cable services. Work describes the detailed process of pricing management and network optimization; Work deals with the company's fraud and slamming prevention measures.

In the above-mentioned context, it is established that the telecom cost management is closely linked to other disciplines of science. In particular, a person deal-

ing with the audit of telecom expenses should be able to process market data and be familiar with the basic legal approaches in addition to telecommunications technology knowledge, as well as to have good managerial skills, which creates a kind of interdisciplinary methodology. In order for an organization to manage telecom expenses, an organization would need a manager, therefore, the role of the telecom manager is assessed and the key areas of their business are formulated.

The scientific result of the work is the identification of the ways of developing and improving the interdisciplinary methodology for the cost management of telecommunication services. As a result of the research, the theoretical approach stating that there are no “unmanageable costs” was practically approved by the example of the telecom cost management.

Keywords: Telecom, Expenses, Billing, Manager.

* * * *

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა თვისებრივი და აღწერიითი კვლევის მეთოდები. კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია, სტატისტიკური კვლევა და თეორიული ანალიზი.

ზემოაღნიშნული თემატიკის ფარგლებში, ხარჯების მართვა მჭიდროდა დაკავშირებული მეცნიერების სხვა დარგებთან. შესაბამისად, ნაშრომის ფარგლებში გამოყენებული იქნება ინტერდისციპლინური კვლევის მცდელობა ფინანსების, ტექნიკური ცოდნის და სამართლის ურთიერთკავშირისა და ლოგიკური ანალიზის საფუძველზე, მოხდება ტელეკომის ხარჯების მართვის მექანიზმის ფუნქციონირებაში მონაწილე სუბიექტებისა და ინსტრუმენტების შესაბამისი ასპექტების იდენტიფიცირება და სრულყოფილი ანალიზი.

თვისებრივი კვლევის მეთოდი

აღნიშნული მეთოდის გამოყენების მიზანი იყო, ტელეკომის ხარჯების მართვის ბაზრის სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრა, ამ მიზნით ბაზრის ბაზრის მონაწილეთა პოზიციის დადგენა; აგრეთვე, ექსპერტთა შეხედულებების და მოსაზრებების გაგება და გაანალიზება. აღნიშნული, კი, დაგვეხმარა საკვლევი თემის სიღრმისეულ შესწავლაში და ამ ეტაპზე ხარჯების მართვის მექანიზმის არასებობის მიზეზების დადგენაში, ასევე შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაში.

აღწერიითი კვლევის მეთოდი

მოცემული მეთოდი გამოყენებულია საკვლევი ობიექტის გარშემო ტენდენციების გამოვლენისა და აუდიტის სრულყოფილი პროცესის აღწერის

მიზნით. მოცემული კვლევა დაგვეხმარა გაგვეანალიზებინა არსებობს თუ არა დღეს ბაზარზე ტელეკომის ხარჯების მართვის აუცილებლობა და იარსებებს თუ არა მოთხოვნა ტელეკომის მართვის მექანიზმზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

დღეს ბიზნესი, სატელეკომუნიკაციო სერვისების გამოყენებისა და მათზე განეული ხარჯების მართვის წინაშე მდგომ მთელ რიგ პრობლემებს განიცდის. რაც, მიმნოდებელთა სიმრავლეს, ბაზარზე რთული ფასწარმოქმნის სისტემებს და განაკვეთების მუდმივ ცვალებადობას, აგრეთვე, რთული დიზაინის, მოცულობითი ანგარიშების დამუშავებისას წარმოქმნილ სიძნელეებს უკავშირდება. ამ პროცესს “ბილინგის შეცდომები” და ხელშეკრულების პირობების ქვეშ “დამალული ღირებულებები” დამატებით სირთულეს სძენს. პოტენციურად დიდი პრობლემა, საწარმოს შიგნით საკომუნიკაციო ინვენტარის არაეფექტურ გამოყენებას უკავშირდება. VoIP-ის შექმნამ გამოიწვია ცვლილებების ტალღა ტელეკომის სამყაროში. ტელეკომის დეპარტამენტის კონვერგენცია IT-დეპარტამენტთან, არის კიდევ ერთი გამოწვევა, რადგან ისინი მართავენ სრულიად განსხვავებულ სფეროებს.

დადგენილია, რომ სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე განეული ხარჯები, საწარმოთა არაპროდუცირებულ ხარჯებს შორის, სიდიდით მეორე უმსხვილესი ხარჯია ინდუსტრიის უმრავლეს დარგში, პირველი პოზიცია IT-ხარჯებს უკავიათ. ასეთი ხარჯები კრიტიკულია ინდუსტრიის ისეთ სფეროებში, როგორც ფინანსური, სადაზღვევო, საბანკო სექტორები და საკონსულტაციო მომსახურებები, რომლებიც საკომუნიკაციო საშუალებების მსხვილი მომხმარებლები არიან. გასაკვირი არ არის, რომ სამთავრობო ორგანიზაციებში ოფისის შიდა ხარჯების დიდი წილი სატელეკომუნიკაციო მომსახურებების გამოყენებაზე მოდის.

აღიარებულია, რომ ხარჯების მინიმიზებას სასარგებელი მოაქვს ნებისმიერი ორგანიზაციის ქვედა ხაზისათვის. ხარჯების მართვა კომპანიას უქმნის ბაზარზე კონკურენტულ უპირატესობას, ამდენად, მისი შესწავლა აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს.

თავდაპირველად, სატელეკომუნიკაციო ხარჯების მართვის (TEM) გადაწყვეტა ფიქსირებულ სახაზო-საკაბელო სატელეფონო ხაზებით სარგებლობასთან იყო დაკავშირებული და მათზე განეული ყოველთვიური ხარჯების კონტროლისთვის გამოიყენებოდა, პროცესი იყო მარტივი და მოითხოვდა გარკვეულ ქმედითი ნაბიჯების განხორციელებას სპეციალისტების მიერ. ტექნოლოგიების განვითარებამ ტელეკომის ხარჯების მართვას (TEM) უსაფრთხო ტექნოლოგიებიც დაუქვემდებარა. ამ მომსახურების მზარდი მოხმარების შედეგად, ურიცხვ

ანგარიშებთან გამკლავება სულ უფრო და უფრო რთული ხდება. მობილური ტექნოლოგიების განვითარების შედეგად, ტელეკომის ხარჯების მართვამ სანარმოთა მობილობის მართვის საკითხებსაც გასცა პასუხი.

მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ ტელეკომის ხარჯების მართვაში ჩართულია ორივე ელემენტი, ტელეკომის და ტექნოლოგიის ხარჯების მართვა, დღევანდელი მდგომარეობით, საყოველთაო აღიარება პოვა აზრმა, რომ ბაზრის სიღრმისეული ანალიზი და სამართლებრივი ნორმების ცოდნა, არის ფასეული ცოდნა, რომელიც დარგის სპეციალისტებს საშუალებას აძლევს გაუმკლავდნენ ბაზარზე არსებული განაკვეთების მუდმივ ცვალებადობას და ხელშეკრულების პირობების ქვეშ დამალულ ღირებულებებს.

შესწავლილი ლიტერატურის განზოგადების შედეგად, გამოიყო ხარჯების დაზოგვის ძირითადი სფეროები:

- ანგარიშების დამტკიცება. ტელეკომის ხარჯების დიდი წილი ბილინგის შეცდომებზე მოდის. თუკი, ეს შეცდომები დროულად არ იქნება აღმოჩენილი, ისინი შეიძლება შეუსწორებელი დარჩეს წლების განმავლობაში. სწორედ ამიტომ, ბევრი კომპანიისათვის თანხების დაზოგვის პირველი ნაბიჯი, ტელეკომის ანგარიშში საფასურის აღმოჩენით და იმის ზუსტად გამოთვლით იწყება, რამდენად შეესაბამება ის კომპანიის რეალურ გამოყენებას და ხელშეკრულებით შეთანხმებულ განაკვეთს. ამ პროცესის წარმატებით წარმართვაში, საჭიროა ტელეკომის ანგარიშების გაგება.

- ხელშეკრულებების მართვა. დღეს, ბაზარი „კორპორატიულ კლიენტებს“ ფართო არჩევანს სთავაზობს, თუმცა, ამ შესაძლებლობებისა და უპირატესობების მიღმა იმალება საკმაოდ მკაცრი ვალდებულებები. მიმწოდებლებს მათ მიერ „რეგულირებული“ სტატუსი აძლევთ ძლევამოსილ ბერკეტს მომხმარებლებთან მოსალაპარაკებლად. კონკურენციის პირობებში, მათ უბიძგა მომსახურების განაკვეთებისა და ფასდაკლებების ინფორმაცია, ღრმად ჩაემარხათ სატარიფო, ფასდაკლების გეგმებსა და ხელშეკრულების პირობებში. ხელშეკრულების აუდიტში, გასაღები არის ხელშეკრულების პირობების ჩაშლა მართვად პირობებად, რომელთა მიმართ შესაძლებელია მოლაპარაკების მიღწევა და განახლება. ხელშეკრულების აუდიტი იძლევა ხარჯების დაზოგვის საშუალებას, როგორც ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე აგრეთვე, ხელშეკრულების დადების შემდგომ.

- VoIP მომსახურების ხარჯების მართვა. დღევანდელ დღეს, რთულია სრულყოფილი ხედვის ჩამოყალიბება VoIP-ის სარგებლისა და არახელსაყრელობის შესახებ. ძირითადი მიზეზი, რაც ინვე-

ვს VoIP-ზე მიგრაციას, ეს არის ღირებულების დაზოგვა შორი მანძილის მომსახურებაზე. თუმცა, დადებითი ტენდენციების გვერდით, ჯერ კიდევ არსებობს მიზეზები შეშფოთებისათვის, რომელიც მოიცავს: საერთო საიმედოობას - მისაღები ხმის ხარისხის არარსებობას; E-911 – PBX ზე დაფუძნებულ სისტემების თავისებურებებს; უსაფრთხოებისა და SPAM-ის საკითხებს; დასაქმებულთა შეზღუდული გამოცდილებას.

- ფასების მართვა. ტელეკომის ფასების მართვა საკმაოდ რთული ამოცანაა ნებისმიერი კომპანიისათვის, რაც დამოკიდებულია იმ შიდა და გარე მიზეზებზე, რომელშიც კომპანიას უწევს მუშაობა: ანგარიშებში ბილინგის შეცდომების სახეებზე, გამოუყენებელი მომსახურებებზე და მონოპოლიზებზე რომლებზეც კომპანია იხდით და მასზედ, თუ როგორია მისი შესაძლებლობა მოიძიოს ბაზარზე საუკეთესო განაკვეთები.

- ქსელის ოპტიმიზაცია. ოპტიმიზაცია არის სატელეკომუნიკაციო ქსელის ანალიზის პროცესი, რომელიც მიზანია პროდუქტების და მომსახურების აღმოჩენა, რომლებიც შეესაბამება კომპანიის თვიურ დანახარჯებს და გაზრდის ქსელების ეფექტურობას. ბევრი ორგანიზაცია განიხილავს ინვოისის აუდიტს, როგორც ოპტიმიზაციის პროცესს, თუმცა, ეს არის მხოლოდ მარტივად შეცდომების გასწორება და ის არ ნიშნავს ოპტიმიზაციის საქმიანობას.

- უკაბელო მობილობის მართვა. დღეს უმრავლესი კომპანია გადადის მობილური სამუშაო ძალის გამოყენებაზე და თანამშრომლების მობილური მონოპოლიზების 30% არის კომპანიის საკუთრება, ასევე მოქმედებს “მოიტანე-შენი-მონოპოლიზა” (BYOD) პოლიტიკა. მაგრამ ეს არ ათავისუფლებს ორგანიზაციას იმ ხარჯებისაგან, რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრირებისა და აპლიკაციების შექმნასთან, რომელიც დაკავშირებულია პერსონალური მობილური მონოპოლიზების გამოყენებასთან.

- ფროდის წინააღმდეგ ბრძოლა. ჰაკერებს შეუძლიათ შეაღწიონ კომპანიის PBX-ში DESA (Direct Inward System Access) მეშვეობით, შორეული მხარდაჭერის პორტში და კომპანიის ხმოვანი მეილის სისტემის მეშვეობით. ისინი იყენებენ სხვადასხვა ხერხებს კომპანიის კონფიდენციალური ინფორმაციის მისაღებად. “სლემინგი” არის პრაქტიკა, რომელშიც მომხმარებლის ადგილობრივი ან შორი მანძილის მიმწოდებელი გადართულია მათი ნებართვის გარეშე.

ტელეკომის ხარჯების მართვის პროცესის სწორი მიმართულებით განვითარებისათვის, ეფექტიანად მიგვაჩნია ტელეკომის ხარჯების მართვაში გამოვიყენოთ სამი ძირითადი მიდგომა: ანგარიშის დამოწმება, ინფრასტრუქტურის და ხელშეკრულებების

ბების პირობების მართვა. ტელეკომის ხარჯების აუდიტის ჩატარება, ქსელის ოპტიმიზაცია და ღირებულების მართვის ინსტრუმენტები გამოიყენება სამივე ამ მიმართულებით.

ტელეკომის ანგარიშებში შეცდომებს ძირითადად განაპირობებს ტელეკომის ბაზარზე ანგარიშის ფორმების სიმრავლე და ფასის/მოხმარების გამჭვირვალობის ნაკლებობა. მიმწოდებლები ჩვეულებრივ იყენებენ მრავალ ბილინგის სისტემებს სხვადასხვა მომსახურებისთვის, იმ შემთხვევაშიც, თუ გადასახადები საბოლოოდ ერთი აბონენტისთვისაა განკუთვნილი. ეს სისტემები ხშირად ერთმანეთთან შეუთავსებელია და კლიენტს იღებს მრავალ გადასახადს მრავალ ფორმატებში. მომხმარებლებს უჭირთ ანგარიშის წარდგენისას არსებული დარიცხვის განაკვეთებისა და შეთავაზების მოკვლევა და მიმწოდებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში არსებულ პირობებთან მათი შედარება. მაშინაც, კი თუ აღნიშნული შედარებისა და შეცდომების აღმოჩენის მძიმე სავარჯიშო განხორციელდა, რთულ ამოცანად მაინც რჩება ბილინგის შეცდომების შესახებ პრეტენზიების წარდგენის, ანაზღაურების დაბრუნების და უზრუნველყოფა იმისა, რომ, რომ მსგავსი შეცდომა აღარ განმეორდება.

გამოსავალი არის ის, რომ კომპანიამ უნდა გააცნობიეროს ხარჯების მართვის აუცილებლობა და იცოდეს, თუ რა გადასახადი, როდის წარმოიშვა და რამდენად შეესაბამება ის მისი კომპანიის რეალურ მოხმარებს. ეს ეხმარება რისკის შემცირებას, რომ არ მოხდეს გადახარჯვა და ის არის ეფექტური კომპონენტი კომპანიის ტელეკომის ხარჯების მეჯემენტის სტრატეგიისათვის.

ბაზარზე მოქმედი ბიზნეს სუბიექტებისათვის სატელეკომუნიკაციო მომსახურების გამოყენების წინაშე დგას შემდეგი სახის პრობლემები. 1) ბიზნესის გეოგრაფიული გაბნევა/დისპერსია; 2) დინამიური ბაზარი, როგორც მომსახურების, ასევე ფასების შეთავაზების თვალსაზრისით; 3) გამოყენების პროგნოზირების სირთულე; 4) ახალი სერვისების ან მიმწოდებლის გაცვლის აღქმული რისკი.

საკითხის შესწავლის შედეგად გამოიყო სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების პროცესში დაფიქსირებული და ბაზარზე გავრცელებული ბილინგის შეცდომები: შემომავალი ზარები; მარტივი ადამიანის ან კომპიუტერული ანგარიშის შეცდომები; ანგარიშების დუბლირება; ტელეფონების დუბლირება; არასწორი სახელშეკრულებო განაკვეთები; ხელშეკრულების შეცვლა, რაც არ არის ასახული ანგარიშში; არასაჭირო ხარჯები; გაუთვალისწინებელი ანაზღაურება ან კრედიტი; უარყოფილი/მოხსნილი მოსაკრებელი ფაქტობრივად არ არის მოხსნილი; გამოტოვებული ტერმინაცია, წყვეტები; ბილინგის მიწოდება მომსახურების

გაუქმების თარიღის შემდეგ; არასწორი ტარიფის მითითება; იმ მომსახურებებზე დარიცხვების განხორციელება, რომლებიც ბიზნესს არ მოუთხოვია. მესამე მხარისათვის გადახდა: “ქრემინგის” და “სლემინგის” გადასახადი და „მოდემის გატაცება“. შესაბამისად, ჩვენს მიერ აღწერილია თითოეული ბილინგის შეცდომის ხასიათი და წარმოშობის წყარო, აგრეთვე როგორ არის შესაძლებელი მათი აღმოჩენა, დამტკიცება და მომსახურების მიმწოდებლისათვის წარდგენა.

იმისათვის, რომ დაგვედგინა ბილინგის შეცდომის სახეები, ასევე რამდენად დგას აღნიშნული პრობლემა ქართულ სამომხმარებლო ბაზარზე, ჩვენს მიერ განხორციელდა საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზრის ამსახველი სურათის შექმნა და ბაზარზე არსებული პრობლემების იდენტიფიცირება.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან დამოუკიდებლად მოქმედ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში 2018 წელს სულ 413 საჩივარი/განცხადება, რომელთაგან მხოლოდ, 44 ეხება საფასურის დარიცხვის სისწორეს. აღსანიშნავია, რომ ეს რიცხვი მნიშვნელოვნად ჩამორჩება, 2018 წლის იანვარში კომპანიების: მაგთიკომში, ცენტრალური კავშირგაბმულობის, სილქნეტისა და ჯეოსელის მომხმარებელთა პრეტენზიების/საჩივრების განმხილველ სამსახურში შესულ საჩივრებს, სადაც მიუღებელი მომსახურებისთვის თანხის დარიცხვასა და სააბონენტო ანგარიშიდან თანხის უსაფუძვლოდ ჩამოჭრასთან მიმართებით (კომპანიის მიზეზით): სულ 17, 925 საჩივარი, საიდანაც დაკმაყოფილდა 17,439; განუხილველი დარჩა 424; არ დაკმაყოფილდა 62 საჩივარი.

შპს “ვიონი საქართველო” 2018 წლის თებერვალში ახალ ტექნოლოგიურ სისტემაზე გადავიდა მთლიან სისტემას შეეხო. რის გამოც, მომხმარებლებს მომსახურებები შეფერხებებით მიეწოდებოდათ: სამომხმარებლო პაკეტების გააქტიურების ხელშეშლა 1507; სატელეფონო ანგარიშზე თანხის დარიცხვის და ჩამოჭრის პრობლემები 497; ცალკეულ მომსახურებათა სარგებლობასთან დაკავშირებული პრობლემები 2937. 2018 წლის თებერვლის თვეში შპს “ვიონი საქართველო” საჩივრების განმხილველ სამსახურში შევიდა სულ 9 საჩივარი; 2018 წლის დეკემბერში (1-5 რიცხვებში) მობილური სატელეფონო მომსახურების „ლაილას“ სააბონენტო ბაზისათვის ახალი საბილინგე სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით, ხარვეზები დაფიქსირდა “ჯეოსელის ქსელშიც”.

პრობლემის არსებობის მიუხედავად, მომხმარებლები საჩივრით იშვიათად მიმართავენ კომპანიებს, მათი ცნობიერების ამაღლების მიზნით, ჯერ კიდევ უნდა გადაიდგას ნაბიჯები. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული მონაცემები აღრიცხუ-

ლია მომხმარებელთა საჩივრების საფუძველზე, და უცნობია სატელეკომუნიკაციო კომპანიების ქსელებში დაფიქსირებული ხარვეზების ზუსტი ოდენობა, რომლებმაც ზედმეტად დარიცხვა გამოიწვია.

სატელეკომუნიკაციო მომსახურების დანახარჯების მართვის გზების ძიებამ და ამ მიმართულებით ჩატარებულმა კვლევამ, მთლიანობაში საშუალება მოგვცა, გამოგვეჩანა გარკვეული დასკვნები:

- დღეს, პროგრესულად მოაზროვნე ორგანიზაციები ახდენენ მათ მიერ გამოყენებული მომსახურების ღირებულებების სტრუქტურის გადახედვას, ეძებენ არასაჭირო ხარჯების აღმოფხვრის ან შემცირების ალტერნატივებს. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, თეორიული მიდგომა, რომ არ არსებობს “უმართავი ხარჯები”, პრაქტიკულად დამტკიცდა ტელეკომის ხარჯების მართვის მაგალითზე. სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების ცოდნისა და კარგი მენეჯერული უნარების გაერთიანება, ბაზრის მონაცემების დამუშავებისა და სამართლებრივი მიდგომების გამოყენებასთან ერთად, ქმნის ერთგვარ ინტერდისციპლინურ მეთოდოლოგიას. კარგად ორგანიზებული ტელეკომის ხარჯების მართვის პროცესი, კომპანიას დაუზოგავს სახსრებს და მის საქმიანობას შესძენს ეფექტურობას, რაც კომპანიას გრძელვადიან პერსპექტივაში, ბაზარზე კონკურენტულობის მიღწევასა და მდგრადობის შენარჩუნებაში დაეხმარება;

- ტელეკომის ხარჯების სამართავად, ბიზნესს ესაჭიროება გზამკვლევი, რათა დაძლიოს სატელეკომუნიკაციო ანგარიშებში არსებული შეუსაბამოებები და მოითხოვოს ანაზღაურება; მოიძიოს ბაზარზე არსებული საუკეთესო განაკვეთები და მიაღწიოს შეთანხმებას საუკეთესო პირობებზე; განახორციელოს სანარმოს ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაცია, შეუსაბამოს ბიზნესის მიმდინარე საჭიროებებს და დასახოს გზები ღირებულების ოპტიმიზაციისათვის;

- ტელეკომის ხარჯების მართვა ეხება ყველა სახის სატელეკომუნიკაციო მომსახურებას: ხმის, მონაცემთა და უკაბელო მომსახურებების მართვას. ხშირად, ტელეკომის ხარჯების მართვის პროცესს აიგივებენ ბილინგის აუდიტთან, თუმცა აღნიშნული მიდგომა არასწორია, რადგან ის მოიცავს გაცილებით მეტს: პროცესებს, პოლიტიკას და ადამიანებს. მისი მიზანია სატელეკომუნიკაციო მომსახურებებზე ღირებულების შემცირება და ორგანიზაციის პროცესების ეფექტურობის გაზრდა. ტელეკომის ხარჯების მართვის ძირითადი პროცესი მოიცავს ინვოისების აუდიტს (ბილინგის შეცდომების აღმოჩენა), ღირებულების მართვას, ხელშეკრულებების აუდიტს, ინფრასტრუქტურის ოპტიმიზაციას. უკაბელო მობილობის მართვა, გამოყენებული ტექნოლოგიის სპეციფიკის გათვალისწინებით, ცალკე

არის გამოყოფილი;

- დანახარჯების აუდიტი უნდა იყოს მარტივი და მოქნილი, მან უნდა უზრუნველყოს: ხარჯების დაზოგვის საბოლოო შედეგის წარმატებით მიღწევა, ამასთან ფირმის ეფექტიანი და კონკურენტუნარიანი მუშაობა. კომპანიის ტელეკომის ხარჯების მართვის სწორი მიმართულებით განვითარებისათვის ეფექტიანად მიგვაჩნია, გამოვიყენოთ: სამი მიდგომა: ანგარიშის დამონშება, ქსელის ოპტიმიზაცია და ხელშეკრულებების მართვა.

- იმისთვის რომ ეს პროცესი იყოს ეფექტური, სამივე მიდგომა მოითხოვს ღირებულებაში ხილვადობის შექმნას, იმ მომახურებების გაგებას თუ როგორ ავსებენ და ემსახურებიან ბიზნესის მიმდინარე საჭიროებებს, შესაბამისად არსებულ მომსახურებაზე შეთანხმებულ ფასებთან ერთად, ის მოიცავს ბაზრის მიმდინარე განაკვეთების შესახებ მონაცემებს. შესაბამისად, სრულყოფილი აუდიტის პროცესის პირველი ეტაპი, ნებისმიერი მომსახურებისათვის ანგარიშებისა და ბაზარზე არსებულ განაკვეთების ხილვადობის შექმნით იწყება (მიზანი, მათი შედარება). ბაზარზე არსებული უკეთესი განაკვეთებისა და მომსახურების პირობების გაგება რთული ამოცანაა, (საბაზრო განაკვეთები კორპორატიული კლიენტებისათვის არ ცხადდება ონლაინ, უფრო მეტიც შესაძლოა კონფიდენციალურიც იყოს) ამისათვის საჭიროა მონაცემების მიღება დამოუკიდებელი მესამე მხარისაგან, რადგან აღნიშნული ინფორმაცია მოპოვება შესაძლებელია უშუალოდ მომსახურების მიმწოდებელთან ურთიერთობით (შეაძლებელია, ბენჩმარკინგის ფირმის გამოყენება). მიღებული ინფორმაცია უნდა შეიკრიბოს უშუალოდ მომსახურების ჯაჭვის გასწვრივ, რაც მოიცავს მასში ჩართულ სუბიექტებს, კლიენტებს და ა.შ. კომპანიამ უნდა უზრუნველყოს მიღებული საინფორმაციო ნაკადების ეფექტურად მართვა, რისთვისაც საჭიროა გამართული, თანამედროვე ინფორმაციული მონაცემთა ბაზების ორგანიზება, სადაც მოხდება მიღებული ინფორმაციის შეკრება, დაჯგუფება, ანალიზი და მენეჯერებისათვის იმ ფორმით გადაცემა, რომ შეძლოს გადაწყვეტილების მიღება;

- თუ, აუდიტის რომელ ფორმას მიანიჭებენ კომპნიები უპირატესობას, ეს დამოკიდებულია თავად კომპანიის საქმიანობაზე და არჩეულ მომსახურებაზე, მასში გამოყენებულ ტექნოლოგიაზე, ბაზრის სპეციფიკაზე და ა.შ. თუმცა, ერთ კომპანიას ერთდროულად სხვადასხვა აუდიტის ფორმის გამოყენებაც შეუძლია;

- ტელეკომის მართვა შეიძლება განხორციელდეს სრულ განაკვეთზე მომუშავე სპეციალისტის მიერ, რომელიც იქნება საკმარისად კომპეტენტური, გაუმკლავდეს ტელეკომის მართვის წინაშე მდგომ ფინანსურ, სამართლებრივ და ინვენტარის მართვის საკი-

თხეხს, მას უნდა გააჩნდეს ბაზრის მდგომარეობის ანალიზის და მოლაპარაკების კარგი უნარები, შეეძლოს მიმწოდებელთან მიღწეული ცვლილებების ბოლომდე მიდევნება და შედეგების დაცვა. მას უნდა გაჩნდეს ისეთი უნარების კომპლექსი, როგორცაა: დამოუკიდებლობა, ინდუსტრიის კარგი ცოდნა, საკითხის საფუძვლიანი შესწავლა და შედეგების ნათელი ფორმით ანგარიშგების უნარები.

• ეს ნაშრომი - განკუთვნილია ბაზარზე მოქმედი მსხვილი კომპანიების, ორგანიზაციებისა და სახლმწიფო დაწესებულებებისათვის, რომლებიც სატელეკომუნიკაციო მომსახურებების კორპორატიული მომხმარებლები არიან. აგრეთვე, აუდიტორების, ტელეკომის სფეროში დასაქმებული პირებისათვის, დაინტერესებული პირების ფართო წრისათვის, დიდწილად უმაღლესი სასწავლებლებისა და კოლეჯების სტუდენტებისთვის სატელეკომუნიკაციო მომსახურებებზე განეული ხარჯების აუდიტის უფრო ღრმად შესწავლისათვის. სპეციალისტების სწავლება, მომზადება და გადამზადება ამ სფეროში წარმოადგენს პრიორიტეტულ მიმართულებას დღევანდელ სატელეკომუნიკაციო მომსახურებების გამოყენების წინაშე ამოცანებისა გადაწყვეტისათვის ტექნოლოგიების პერსპექტივების განვითარების მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა

1) Anders D. Mikkelsen "Principles of Telecom Expense Management: How Great Organizations Save 50% on Telecom and Increase Service Levels"

Independently published 2017, 255 p.;

2) M. S. Mastel, Linda D. Williams "Telecom Audit" McGraw-Hill Professional Publishing, 2003, 432 p.;

3) Roger K Yang "What Great Telecom Managers Know" Simcoe Publishing, 2005, 160 p.;

4) Rui Canossa "Enterprise Wireless Mobility Management" Create Space Independent Publishing Platform, 2011, 64 p.;

ანგარიშები:

1) „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის ანგარიში“;

2) „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან მოქმედი მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის 2018 წლის ანგარიში“

უცხოური კვლევები:

1) "Marketsandmarkets" ("Global Forecast to 2019") - The report "Telecom Expense Management Market by Solutions (Sourcing Management, Reporting & Business Management, Dispute Management, Usage Management, Invoice Management, and Ordering & Provisioning Management)- www.marketsandmarkets.com

2) Eric Edstrom (November 10, 2014) Identifying ubiquitous telecom billing errors will reduce expenses (www.profitlinktelecom.com);

სასტუმრო პროდუქტის თავისებურება და მარკეტინგის სტრატეგია

ნინო აქიმიშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია სასტუმრო ინდუსტრიის ახალი კონცეფციის („სპა“) მიმართულების ძირითადი ასპექტები და მისი დადებითი მხარეები. სასტუმრო პროდუქტის თავისებურებები და განსხვავებები სხვა სახის პროდუქტთან მიმართებაში. სასტუმრო ბაზრების ძირითადი მიზნების დამოკიდებულების თავისებურებები პოტენციურ სტუმართა ტიპებთან, მათ ქვეყანაში ყოფნის ხანგრძლივობასთან და გამტარუნარიანობასთან მიმართებაში. სასტუმროების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მარკეტინგის სტრატეგიის განსაზღვრა და ძირითადი ასპექტების გამოყოფა.

HOTEL PRODUCT FEATURES AND MARKETING STRATEGY

Nino Akimishvili
PhD Student of GTU

ABSTRACT

The article discusses the key aspects of the new hotel industry concept (“SPA”) and its pros. Features and Differences of a Hotel Product in comparison to other products. Characteristics of the attitude of the main goals of the hotel markets to the types of potential guests, the length of their stay in the country and the throughput. Determination of the marketing strategy necessary for the operation of the hotels and highlighting the key aspects.

* * * *

სასტუმრო პროდუქტი გარკვეული პერიოდის განმავლობაში მომსახურების თვალსაზრისით განიხილებოდა როგორც - განთავსების საშუალებათა და კვებითი მომსახურების ერთობლიობა. თუმცა, მსოფლიოში ახლად გაბატონებულმა „სპა“ (SPA - Sanus Per Aqua) რაც ნიშნავს „ჯანმრთელობა წყლის საშუალებით“ კონცეფციამ, გარკვეულწილად შეცვალა აქამდე არსებული სასტუმრო მომსახურების სტანდარტული ფორმა, რამაც უფრო გაამდიდრა, მრავალმხრივი და სრულყოფილი გახადა მისი პროდუქტის სახე, სადაც ჩვეულებრივ ღამისთევასა და კვებას დაემატა მრავალი სხვადასხვა ელემენტი.

კონცეფცია „სპა“ ძირითადად განვითარდა 21-ე საუკუნიდან და ზოგიერთის აზრით, იგი წარმოიშვა ბელგიური ქალაქი სპა-დან, რომელიც საკურორტო ზონაში მდებარეობს. ასეთ სასტუმროებში არის დასასვენებელი, მინერალური და თერმული წყლების საშუალებით პროცედურების ჩატარების ადგილები, ტრენაჟორები, მასაჟის სხვადასხვა ფორმები, გართობის ელემენტები, სილამაზის სალონები და სხვ. „სპა“ სასტუმროებმა უნდა უზრუნველყონ სასტუმროს თითოეული სტუმრისათვის ინდივიდუალური მიდგომა დაკავშირებული ადამიანის დასვენებისა და მოვლის პროგრამებთან და სადაც, ჩადებულია სტუმრის როგორც ფსიქოლოგიური, ისე ფიზიკური მაქსიმალური დაკმაყოფილების ხარისხი. გამომდინარე აქედან, სასტუმროს ეს პროდუქტი ძვირია და შესაძლოა ასეც აიხსნას - „ეს არის სხეულისათვის აუცილებელი სერვისი და ფუფუნების ერთგვარი ჭარბი სიხშირე“.

ამჟამად, „სპა“ სასტუმროების გამოკვეთილი კლასიფიკაცია არ არსებობს, თუმცა, შესაძლოა პირობითად დაიყოს იგი ქალაქური, საგარეუბნო, რომანტიკული და სხვა ტიპოლოგიის მიხედვით. ამჟამად, მრავალი კოსმეტიკული კომპანია აწვითარებს სპეციალურ კოსმეტიკურ საშუალებებს სპას პროცედურებისათვის და სადაც, გამოყენებულია ზღვის წყლის, მარილისა და წყალმცენარეების საფუძველზე დამზადებული პრეპარატები. მაგრამ, „სპა“ სასტუმროების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის მაინც მიზანშეწონილია ასეთი ობიექტები მდებარეობდეს ბუნებრივი, სამკურნალო რესურსების არეალში.

ზემოთ აღნიშნული დამოკიდებულებიდან გამომდინარე სასტუმროს პროდუქტი შესაძლოა შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: იგი არის ობიექტის, ღამის თევის, კვებისა და მიზნობრივი მომსახურების ერთობლიობა. სხვა განმარტებით, იგი არის ერთობლიობა ყველაფრის რაც შეიძლება შესთავაზოს ბაზარზე სასტუმრო პროდუქტის მწარმოებელმა მომხმარებელს.

სასტუმრო პროდუქტი თავისი არსით ძირითადად ეკონომიკური შინაარსის მატარებელია, მაგრამ გააჩნია რიგი თავისებურებანი. ეს მჟღავნდება პროდუქტის სასიცოცხლო ციკლში, სასტუმრო პროდუქტთან დაკავშირებით კაპიტალის წრებრუნვასა და ბრუნვის თავისებურებებში და სხვ.

სასტუმრო პროდუქტის სპეციფიკური განსხვავება სხვა დარგების პროდუქტისაგან შეიძლება გამოიხატოს შემდეგში:

1) იგი მოიცავს ფიზიკურ ობიექტებს, მომსახურებას, ადგილს, ორგანიზაციას და იდეებს;

2) მისი მიწოდება და მოხმარება დროში და სივრცეში ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა;

3) ხანდახან ხასიათდება სეზონურობით, გეოგრაფიული თავისებურებებით, რესურსების მრავალფეროვნებით და ა.შ.;

4) იგი არ არის დაკავშირებული ისეთ ცნებებთან როგორცაა: გადაზიდვა, დაგროვება, მალფუჭება და ა.შ.;

5) შეიძლება წინასწარ გაიყიდოს მხოლოდ დასახელებით;

6) შესაძლოა დამატებით გააჩნდეს ესთეტიკური, გასართობი, შემეცნებითი, რეკრეაციულ-სამკურნალო ან მათი კომბინაციური შემადგენელი კომპონენტები;

7) იგი შეიძლება აისახოს სარეკლამო მასალებში, განთავსდეს ელექტრონულ საშუალებებში წინასწარი გაყიდვის დროს;

8) სასტუმრო პროდუქტის შემადგენელი ნაწილი შესაძლოა ადრე იყოს შექმნილი, ვიდრე თავით პროდუქტი იქმნება მთლიანობაში;

9) სასტუმრო პროდუქტი განსხვავებით სხვა დარგის პროდუქტისაგან შესაძლებელია უფრო ადვილად იქნას მოდიფიცირებული მომხმარებლის მოთხოვნის თანახმად;

10) ბაზარზე გატანილმა სხვადასხვა მწარმოებლის მიერ შექმნილმა, სხვადასხვა შემადგენლობის სასტუმრო პროდუქტმა შესაძლოა მწარმოებლებს შორის კონკურენცია წარმოშვას. მაგალითად, ბაზარზე ერთდროულად შესაძლოა გატანილ იქნას სხვადასხვა შემადგენლობის (დასვენება მთაში ან ზღვაზე) სასტუმრო პროდუქტი, რომლებზედაც მოთხოვნა მაღალელასტიურია. სანამ მომხმარებელი აირჩევს რომელიმე მათგანს, მწარმოებლებს შორის კონკურენცია იარსებებს ანუ თითოეული პროდუქტი აწყდება კონკურენციას;

11) სასტუმრო პროდუქტისაგან განსხვავებით, ეკონომიკის სხვა დარგების პროდუქტს თითქმის ყველას გააჩნია ტრანსაქციური ხარჯები. ვინაიდან სასტუმრო პროდუქტის წარმოება და რეალიზაცია დროში და სივრცეში ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა, ტრანსაქციური ხარჯები იქნება მინიმალური. გამომდინარე აქედან, სასტუმრო პროდუქტის კაპიტალუკუგების ვადა იქნება მცირე და რეალურად ამცირებს სასტუმრო პროდუქტის ალტერნატიულ ღირებულებას.

ამგვარად, სასტუმრო პროდუქტი განსხვავდება სხვა დარგების პროდუქტისაგან, ხასიათდება რიგი სპეციფიკურობით, ფიზიკურად და მორალურად არ ძველდება, ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეიძლება მრავალგზის იქნას გამოყენებული, ბაზრიდან გავარდნის შემთხვევაში ფასების მანიპულირე-

ბის საშუალებით შეუძლია რამდენჯერმე კვლავ დაბრუნდეს ბაზარზე და განაგრძოს თავისი სასიცოცხლო ციკლი. გარდა ამისა, მას სხვა სახის პროდუქტისაგან განსხვავებით ბაზარზე დასაბრუნებლად არსებითად არ ესაჭიროება კაპიტალდაბანდებები ძვირადღირებული ტექნოლოგიური ხაზების გადასაიარაღებლად, რაც გარკვეულწილად ამცირებს მის თვითღირებულებას. გამომდინარე აქედან, სასტუმრო პროდუქტის წარმოების გაფართოებას ძალუძს მაღალი ეფექტიანობით ჩანაცვლოს ქვეყნის მომსახურების იმპორტი - ექსპორტით, რაც გაზრდის მულტიპლიკაციის ეფექტს მთლიანად ეკონომიკისათვის.

სასტუმრო ბაზრის დაგეგმვა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს ტურიზმის დარგის საერთო განვითარების პროცესში და აუცილებელია განხორციელდეს ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორებისათვის.

სასტუმრო ბაზართან დაკავშირებული მარკეტინგის სტრატეგია შედგება რამდენიმე ძირითადი მიმართულებისაგან - მარკეტინგის მიზნების განსაზღვრისაგან, სტრატეგიის შემუშავებისაგან, სარეკლამო-საინფორმაციო პროგრამების მომზადებისა და რეალიზაციისაგან. მარკეტინგის მიზნები პირდაპირ დაკავშირებულია ბაზრის მიზნებთან, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს მაქსიმუმ 5 წლის ვადით და მასში უნდა აისახოს შესაბამისი პოტენციურ სტუმართა ტიპების დაახლოებით რაოდენობა, ქვეყანაში მათი ყოფნის საშუალო ხანგრძლივობა, ობიექტის გამტარუნარიანობა და სხვა მახასიათებლები. სასტუმრო ობიექტების მარკეტინგის მიზნები შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ბაზრის ტიპების შეცვლასთან, მაგ. ორიენტაციის შეცვლა უფრო მაღალხარისხიან ან სპეციალიზირებულ ბაზრებზე. ასეთი მიდგომა ბუნებრივია გამოიწვევს სასტუმრო პროდუქტის შესაბამის ცვლილებებს დაკავშირებულს - მომსახურების ხარისხთან და ფასთან.

მარკეტინგის სტრატეგია მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- მარკეტინგის ბუნება - მიზანმიმართული იმ სასტუმროთა სტუმრების კატეგორიაზე რომელთაც გააჩნიათ საერთო ინტერესები ან მიზანმიმართულნი არიან ბაზრის სპეციფიკურ სახესხვაობაზე. გამომდინარე აქედან, ცნობილი ხდება ძირითადი, დამატებითი და შემთხვევითი ბაზრები;

- პრიორიტეტული სარეკლამო - საინფორმაციო ღონისძიებები მიმართული სასტუმრო ბაზრის სხვადასხვა სეგმენტზე;

- სარეკლამო - საინფორმაციო საქმიანობის ძირითადი მეთოდები რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნას სასტუმროების მიერ თავიანთი პოტენციური მომხმარებლისათვის;

- დაგეგმვა დროში ან სარეკლამო – საინფორმაციო ღონისძიებების პრიორიტეტების განსაზღვრა, განსაზღვრული ბაზრის ტიპებისათვის. დაგეგმვა დროში შესაძლებელია დამოკიდებული იყოს სასტუმრო ობიექტების ექსპლუატაციაში შესვლის ვადებზე;

- მარკეტინგის ზემოქმედების შეფასება განვითარების მსხვილ პროექტებზე, ქვეყნისათვის ან მისი რომელიმე რეგიონისათვის;

- ქვეყნის ღირსშესანიშნაობებისა და დასვენების ორგანიზაციის ფორმების, ასევე სხვა პოტენციური შესაძლებლობების ჩამონათვალი;

- სასტუმრო ობიექტების, მომსახურების, შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და პოტენციალის შეფასება;

- მოთხოვნის დონისა და გამტარუნარიანობის პოტენციალის განსაზღვრა;

- ქვეყნის ღირსშესანიშნაობების შედარება ბაზრის პოტენციურ სეგმენტებთან;

- სასტუმრო ბაზრების სპეციფიკური კატეგორიების განსაზღვრა.

საერთოდ, მარკეტინგის სტრატეგიის განსაზღვრა უნდა შეესაბამებოდეს ქვეყანაში როგორც ტურიზმის დარგის, ისე სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების მოცემულ ვადებს. იგი დროთა განმავლობაში უნდა გადაისინჯოს იმ მოტივით თუ როგორი ტემპებით ვითარდება ქვეყანაში სასტუმრო ინდუსტრია.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. John R. Walke Introduction to Hospitality (7th Edition). 2020.

2. Philip T. Kotler, John T. Bowen, James Makens Ph.D. Marketing for Hospitality and Tourism (6th Edition). 2017.

3. Andrew Wood. The Hotel and Resort Marketing Bible Paperback. 2017.

ინფორმაციული ტექნოლოგიები კომპანიის ფინანსურ მენეჯმენტში

ია გიაშვილი

სტუ-ს ასოცირებული პროფესორი,
ინჟინერიის დოქტორი

რეზიუმე

კონკურენციის პირობებში, ნებისმიერი სანარმო, ფირმის, კორპორაციის ეფექტური მართვა დამოკიდებულია მენეჯერის ცოდნასა და უნარებზე გამოიყენოს ინფორმაციული ტექნოლოგიები სანარმო და სამეურნეო პროცესების ანალიზისთვის, ფინანსური სიტუაციების მოდელირებისთვის, ყველაზე რაციონალური გადაწყვეტილებების მიღებისთვის, რათა მოხდეს კომპანიისა და მისი ფინანსური თუ სხვა პარტნიორების ეკონომიკური ინტერესების დაცვა.

სტატიაში განხილულია ინფორმაციული ტექნოლოგიების პროდუქტების გამოყენების საკითხები სანარმოს ფინანსურ მართვაში, გაანალიზებულია კორპორაციის ფინანსების მართვაში ERP- სისტემების დანერგვის პროცესის თავისებურებები.

საკვანძო სიტყვები: ფინანსების მართვა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ბიუჯეტირება, ფინანსური დაგეგმვა, ERP-სისტემები.

INFORMATION TECHNOLOGY IN THE FINANCIAL MANAGEMENT OF THE COMPANY

Ia Giashvili

Associate Professor of GTU,
Doctor of Engineering

RESUME

In a competitive environment, the effective management of any enterprise, firm, corporation depends on the knowledge and skills of the manager to use information technology to analyze industrial and economic processes, to model financial situations, to make the most rational decisions to protect the economic interests of the company and its financial partners.

The article discusses the use of information technology products in the financial management of the enterprise, analyzes the peculiarities of the process of introduction of ERP-systems in the management of corporate finances.

* * * *

თანამედროვე ეკონომიკის პირობებში თითოეული კომპანიისათვის აქტუალურია კონკურენტუნარიანობის გაზრდა და მისი შენარჩუნება. მკაცრი კონკურენციის პირობებში მკვეთრად გაიზარდა

მოთხოვნა დროულ, სანდო, ოპერატიულ ინფორმაციაზე, რაც უზრუნველყოფს დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებას. ვინაიდან მართვას პროცესი არის ინფორმაციული ხასიათის, ფინანსური მართვის პროცესში საჭიროა ინფორმაციული ნაკადების ორგანიზებისადმი ხარისხობრივად ახალი მიდგომა. ფინანსური მართვის პროცესის ძირითადი თავისებურება არის მისი შემადგენელი ელემენტების (ქვესისტემების) ერთიანობა და ურთიერთკავშირი, რისი უზრუნველყოფაც ხდება უკუკავშირის მეშვეობით.

კომპანიის მართვა გართულებულია იმით, რომ ინფორმაცია, რომელიც საჭიროა ორგანიზაციის ქვედანაყოფების საქმიანობის კონტროლისთვის, არაერთგვაროვანია, ასევე იმით, რომ ზოგჯერ შეუძლებელია სრული ინფორმაციის მიღება ყველა ქვედანაყოფების ფუნქციონირების შესახებ კონკრეტული მომენტისთვის.

ინფორმაციულ ნაკადებზე, რომელიც საჭიროა მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად, გავლენას ახდენს მოქმედი სუბიექტების არა მარტო შიდა, არამედ გარე გარემო, რომელიც შეიძლება გავლენას ახდენდეს მის სტრატეგიაზე, და აქედან გამომდინარე, განვითარების ტენდენციებზეც.

ასე მაგალითად, ქსელური სასურსათო კომპანიების ფინანსური მართვის თავისებურებებზე გავლენას ახდენს შეგდები გარე ფაქტორები:

- სავაჭრო ქსელების განვითარების დინამიზმი, რომელსაც თან სდევს მესაკუთრეების ხშირი ცვლილება შერწყმისა და შთანთქმის დროს, რაც საჭიროებს ქსელური კომპანიების ბიზნესის ღირებულების შეფასების კორექტირებას;
- საქმიანობაში როგორც მზა პროდუქციის რეალიზაციის, ასევე სანარმოო ხასიათის ოპერაციების (მაგალითად, პროდუქციის შეფუთვა) კომბინაცია, რასაც მიყვავართ გასაყიდი საქონლის ღირებულებისა და რეალიზაციის დანახარჯების ზრდასთან.
- ქსელური სასურსათო კომპანიების ერთიან ქსელურ სივრცეში ინტეგრაციის სხვადასხვა ფორმები (ჰორიზონტალური, ვერტიკალური და დივერსიფიკაცია).
- ფულადი სახსრების სწრაფი ბრუნვა;
- მყარი დიფერენცირებული უპირატესობის შექმნისა და მომხმარებელთა ლოიალურობის მოპოვების შესაძლებლობა, კომპანიების სავაჭრო ქსელების საკუთარი ბრენდების ხარისხის ხარჯზე;
- საბრუნავი აქტივების სტრუქტურაში სასაქონლო მარაგების მაღალი ხვედრითი წილი და საკუთა-

რი ძირითადი აქტივების დაბალი წილი;

- სასაქონლო მარაგებისა და მომწოდებლების სეზონური შეცვლა, ასევე სავაჭრო საქმიანობისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური კომერციული რისკები;

- საქმიანობის შედარებით დაბალი რენტაბელობა. ქსელური სასურსათო კომპანიების რენტაბელობა მიჩნეულია, რომ მერყეობს 6%-დან 15%-დე ფარგლებში;

- ნასესხები კაპიტალის მნიშვნელოვანი წილი რესურსების ფორმირების წყაროებში;

- საცალო სავაჭრო ქსელის საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სპეციფიკა, რასაც შეიძლება მივაკუთვნოთ ანტიმონოპოლიური პოლიტიკა, საქონლის გარკვეულ ჯგუფებზე ფასების რეგულირება.

ჩამოთვლილი ფაქტორები განაპირობებენ ქსელური კომპანიების ფინანსების მართვის ორგანიზების ფორმირების აუცილებლობას, სისტემური მიდგომისა და ინფორმაციული ნაკადების მრავალკონტურულობის საფუძველზე ინსტრუმენტების გამოყენებით, რომლებიც ქსელური კომპანიების ბიზნეს-პროცესების ინტეგრირების საშუალებას იძლევა.

მართვის პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის, კომპანიამ უნდა განსაზღვროს და შეათანხმოს დაქვემდებარებულ სტრუქტურებთან, საწარმოს მთლიანობაში ფუნქციონირების შესახებ ინფორმაციის ნუსხა და მოცულობა, რაც უნდა შეიცავდეს საკმარის ინფორმაციას საწარმოში არსებული სიტუაციის სრული და სანდო სურათის მისაღებად. ამ პრობლემების გადაჭრის დასახმარებლად არიან ზუსტად მოწოდებული თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები.

ბუღალტრული და ეკონომიკური გაანგარიშებების შესასრულებლად, ასევე ფინანსებისა და მთლიანად კომპანიის სამართავად, ბაზარზე წარმოდგენილია ათობით პროგრამული პაკეტები, რომლებიც განსხვავდება დარგობრივი ორიენტაციის, სერვისების, გადასაჭრელი ამოცანების მასშტაბის, შესასრულებელი ფუნქციების ნაკრების, უნივერსალურობისა და ინტეგრირებულობის დონის მიხედვით.

კორპორაციული ინფორმაციული სისტემის შექმნითა და დანერგვით, საწარმო იღებს მასთან ერთად მართვის შესაბამის ტექნოლოგიასაც. კორპორაციული მართვის თანამედროვე სისტემის აგება ხანგრძლივი, რთული და შრომატევადი პროცესია. და თუ საწარმო გადაწყვეტს კორპორაციული ინფორმაციული სისტემის დანერგვას, მაშინ მის წინაშე დგება სისტემის არჩევის პრობლემა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება მისი საქმიანობას, ისტორიულად ჩამოყალიბებული მართვის სტრუქტურასა და მეთოდებს. კორპორაციული ინფორმაციული სისტემის დანერგვის პროცესში, რომელიც უმეტესწილად წარმოადგენს კონსალტინგსა და მოქმედი ბიზნეს-პროცესების შემდგომ რეორგანი-

ზაციას, საწარმოს მართვის როგორც სტრუქტურა, ასევე სისტემა ციქნება საგრძნობლად სახემეცვლილი.

დაგეგმვა და პროგნოზირება, კონტროლი და ფინანსური ნაკადების ოპტიმიზაცია არის ფინანსური მენეჯერის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა. ფინანსების მართვის ქვესისტემა დაკავშირებულია მართვის სხვა ქვესისტემებთან (შესყიდვები, გაყიდვები, წარმოება და სხვა). მაგალითად, მათგან შეუძლია მიიღოს ინფორმაცია დაგეგმილი და ფაქტობრივი პროდუქციის წარმოების მოცულობის, ნედლეულისა და მასალების მოხმარების, საბაზრო ფასებისა და სხვა მონაცემების შესახებ. ამგვარად, სულ უფრო დიდი მოთხოვნების ნაყენება ხდება იმ მეთოდებისა და მექანიზმების მიმართ, რომლებიც უზრუნველყოფენ ფინანსური სამსახურის მუშაობას, მისი ორგანულად "ჩაშენების" გზით საწარმოს ერთიან ბიზნეს-პროცესში.

ინსტრუმენტებს შორის, რომლებსაც იყენებენ ფინანსური სამსახურები მუშაობისას, დღესდღეობით განსაკუთრებული ადგილი უკავია ინფორმაციულ ტექნოლოგიებს. განასხვავებენ ორი სახის კორპორაციულ ინფორმაციულ ტექნოლოგიებს: Business Management Systems (BMS) – ბიზნესის მართვის სიტემები და Enterprise Resource Planning (ERP) – საწარმოს რესურსების დაგეგმვის სიტემები.

მსოფლიო პრაქტიკაში დასაწერად ყველაზე მეტად მოთხოვნილი სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ საწარმოს ყველა რესურსების დაგეგმვასა და მართვას, აგებულია MRP/ERP მოდელის საფუძველზე, ანუ ERP-სისტემები. მათში შედის დიდი რაოდენობის ბიზნეს-პროცესებისა და პარამეტრების აღწერა, რომლებიც ინფორმაციულ ნაკადებთან მიმართებაში ძალიან მრავალფეროვანი მოთხოვნების რეალიზებისა და როგორც საშუალო, ასევე მსხვილი საწარმოების მოთხოვნების უმეტესობის დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა.

ნებისმიერი ERP-სისტემა გვთავაზობს ბევრ მოდულს დასაწერად: გაყიდვების დაგეგმვა, წარმოების დაგეგმვა, მარაგების მართვა, ფინანსური მუდული, საწყობის აღრიცხვა და სხვ.

ზოგადად, ფინანსების მართვა შეიძლება წარმოდგენილი იყოს ოთხი ფუნქციონალური დონის სახით:

- საწარმოს საქმიანობის ფინანსური დაგეგმვა (ფინანსური გეგმა);

- საქმიანობის ფინანსური კონტროლი (ბიუჯეტი და საბიუჯეტო კონტროლი);

- ფინანსურ პროცესებზე კონტროლი (ფინანსური ოპერაციების კონტროლი);

- ფინანსური პროცესების რეალიზაცია (ფინანსური ოპერაციების წარმართვა).

უნდა აღინიშნოს ERP სტანდარტის სისტემების ჭარბი ფუნქციონალურობა, მაღალი ფასი, გარდა ამისა პროგრამული პროდუქტების დანერგვის სირთულე, რადგან მოითხოვს დამკვეთისაგან მა-

რთვის სერიოზულ რეორგანიზაციას.

ინფორმაციული მომსახურებების, ტექნიკური და პროგრამული საშუალებების ბაზრების გაფართოვებამ, შექმნა რეალური ბაზა ფინანსურ-საკრედიტო სფეროში მმართველობითი პროცესების ინფორმატიზაციის ინტენსიური განვითარებისათვის. ცხადია, რომ ეკონომიკური საქმიანობის პრაქტიკაში ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვის გარეშე, შეუძლებელია საიმედო ინფორმაციული ურთიერთქმედების უზრუნველყოფა სამეურნეო სუბიექტებს, სანარმოებსა და სხვადასხვა დონის მმართველობით ორგანოებს შორის, სასაქონლო და საფონდო ბაზრებზე სიტუაციის რეალური დროის რეჟიმში თვალყურისდევნება, და ბოლოს, სანარმოს სამენარმეო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მიზნის – მოგების მიღების მიღწევა, რაც წარმოადგენს რეინვესტირების, სანარმოსა და მისი მფლობელების შემოსავლების ზრდის ძირითად წყაროს და წინაპირობას, ხოლო საბოლოო ჯამში კი, ამყარებს ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს.

თითოეულმა კომპანიამ უნდა შეძლოს ობიექტურად შეაფასოს თავისი ფინანსების სტრატეგიული და ოპერატიული მართვის ხარისხი. ფინანსების მართვის ინფორმაციული ტექნოლოგიების ამა თუ იმ ვარიანტის შეფასების კრიტერიუმად შეიძლება

იქნას გამოყენებული ეკონომიკური ეფექტურობის მაჩვენებელი, რომელიც წარმოადგენს სხვაობას ეკონომიკურ ეფექტსა და დანახარჯებს შორის, ინფორმაციული ტექნოლოგიის დანერგვისა და გამოყენების მთელი პერიოდისთვის.

ამგვარად, ყველა კომპანიამ ფინანსების მართვის ინტეგრირებული ინფორმაციული სისტემის დანერგვის ამოცანის გადაჭრა უნდა მოახდინოს, თავისი ფინანსების სტრატეგიული და ოპერატიული მართვის მიზნების ობიექტურად შეფასებიდან გამომდინარე.

ბამოყენებული ლიტერატურა

- 1 Ильина, О.П. Информационные системы и технологии в экономике и управлении [Текст]: учеб. для вузов/ О.П. Ильина, В.И. Кияев, А.П.Приходченко, В.В. Трофимов; под ред. В.В. Трофимова. – М.: Издательство Юрайт. – 2015. – 542 с.
2. M. M. Kirmani, F. A. Wani and S. M. Saif, "Impact of ICT on Effective Financial Management", International Journal of Information Science and System, vol. 4, no. 1, 2015, pp 1-14.
3. Конева О.В. Воздействие малого бизнеса на развитие сферы услуг: теретический аспект//Иновационное развитие экономики. – 2012.-№6.-С.34-37.

ISO სტანდარტების როლი ბიზნესის განვითარებაში პანდემიურ პერიოდში

ლევან საჩალელი

დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნინო საჩალელი

დოქტორანტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

გლობალურმა პანდემიამ მოულოდნელი ეფექტები იქონია მსოფლიოს ეკონომიკის განვითარებაზე. დიდი და მცირე ორგანიზაციები რიგი გამოწვევების წინაშე დადგნენ, მათ მოუხდათ ცვლილებებზე სწრაფი რეაგირების განხორციელება, რომ დისტანციურად მაინც გაეგრძელებინათ თავიანთი საქმიანობა. კომპანიებმა შეაფასეს არსებული სიტუაცია და შეიმუშავეს სამოქმედო გეგმები ბიზნესის მდგრადობის შესანარჩუნებლად. ასეთი გეგმების შემუშავება გაცილებით ადვილია დიდი ორგანიზაციებისათვის, მცირე ორგანიზაციებისთვის კი გარემოსთან სწრაფი ადაპტირების საშუალებად ISO სტანდარტები ითვლება. საქართველოს მაგალითზე, პანდემიის პირობებში ეკონომიკური საქმიანობის უფლება, მიენიჭათ აკრედიტაციის მქონე კერძო ლაბორატორიებს, რამაც საშუალება მისცა ბიზნესს, დანერგილი სტანდარტების მიხედვით არ შეეწყვიტა ფუნქციონირება, განსაკუთრებით მაშინ როდესაც მისი საქმიანობის სფერო გადაუდებელი მნიშვნელობისაა. სწორედ ამ ფაქტორებზე დაყრდნობით ვლინდება ISO სტანდარტების როლი და მნიშვნელობა, რაც თანამედროვე მიდგომების მიხედვით უზრუნველყოფს კომპანიის მაღალი ხარისხით ფუნქციონირებას, რაც თუნდაც გლობალური პანდემიის პირობებში იძლევა ეკონომიკური საქმიანობის სტანდარტებით განხორციელების საშუალებას და გარანტიას.

საკვანძო სიტყვები: ISO სტანდარტები, პანდემიური რეგულაციები, კოვიდ-19, მენეჯმენტის სისტემა.

THE ROLE OF ISO STANDARDS IN BUSINESS DEVELOPMENT IN A PANDEMIC PERIOD

Levan Sachaleli

PhD student, Georgian Technical University;

Nino Sachaleli

PhD student, Grigol Robakidze University

RESUME

The global pandemic has had unpredictable effects on the development of the world economy. Organizations has faced a number of challenges, they had to respond quickly in order to continue their activities remotely. The companies assessed the current situation

and developed action plans to maintain business sustainability. Developing such kind of plans is much easier for large organizations, while ISO standards are considered to be the best way for small organizations to survive and restart business quickly. On the example of Georgia, the right to economic activity in the conditions of the pandemic was given to accredited private laboratories, which allowed the business not to stop, this is especially important when the field of business activity is urgent. Depending on the situation in Georgia, the implementation and accreditation of standards is associated with many difficulties, but if a certain number of companies start implementing them, Georgian businesses will be much more prepared to meet global challenges, and ISO standards can be used as business development models.

შესავალი

2020 წელს, მას შემდეგ რაც კოვიდ-19 გლობალურ პანდემიად გამოცხადდა, მან არაერთი დაუგეგმავი პრობლემა წარმოშვა კარგად დაგეგმილი და სტრუქტურირებული ბიზნესებისათვის, უამრავმა ადამიანმა დაკარგა სამუშაო ადგილი, რასაც სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა ღონისძიებები მოყვა, თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიებს ექნებოდათ დანერგილი ISO სტანდარტები, მათთვის უფრო ადვილი იქნებოდა ადაპტირება და სახელმწიფოს მხრიდან არსებული რეგულაციების დანერგვა, რაც ერთის მხრივ კოვიდ-19-ის გავრცელების თავიდან აცილების საშუალებად ითვლება, მეორეს მხრივ კი აქცევს იმ სტანდარტების ქვეშ, რომლებსაც ორგანიზაციები ისედაც უნდა აკმაყოფილებდნენ. წინამდებარე სტატიაში განხილულია, ის სტანდარტები, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალური პანდემიის პერიოდში გახდა და მათი იმპლემენტაცია მნიშვნელოვანია მცირე კომპანიებისათვის.

ძირითადი ტექსტი

რას ნიშნავს პანდემია? ვებსტერის უნივერსიტეტის მიხედვით ეს არის დაავადების აფეთქება, რომელიც დიდ გეორგაფიულ არეალზე ვრცელდება და მოიცავს მოსახლეობის დიდ რაოდენობას (Merriam-Webster Dictionary). კომპანიების გადმოსახედიდან კი ეს ნიშნავს ვითარებას, როდესაც თანამშრომლები

ბს არ შეუძლიათ სამსახურში გამოცხადება, რადგან რისკის ქვეშ დგება მათი ჯანმრთელობა, ბიზნესს კი უნევს საქმიანობის განსახორციელებლად ალტერნატიული გზების ძიება, საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია იმ კომპანიებისათვის, რომლებიც პროდუქციის შექმნასა და დისტრიბუციას ასდენ და ეს პრობლემა საქართველოს შემთხვევაშიც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. პოსტ-პანდემიურ პერიოდში ბიზნესს საქმიანობის განხორციელება მოითხოვს განსაკუთრებულ უნარ-ჩვევებს, როგორც დამსაქმებლების ასევე დასაქმებულების მხრიდან. დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებულების ჯანმრთელობის უსაფრთხოება, დასაქმებული კი პასუხისმგებელია, რომ დაიცვას დამსაქმებლის მიერ შექმნილი გარემო პირობები, სოციალური დისტანცია და გამოიყენოს ვირუსის გადადებისგან თავის დასაცავი საშუალებები. სწორედ ამ გამოწვევების საპასუხოდ არის შექმნილი ISO სტანდარტები, რომლებიც პასუხობენ თანამედროვე მსოფლიო გამოწვევებს (იხ. სქემა 1).


ISO 9001 არის სტანდარტი, რომელიც კომპანიებს საშუალებას აძლევს დაწერონ ხარისხის მართვის სისტემა, უზრუნველყონ თანამშრომლების მუდმივ რეჟიმში გადამზადება, ყურადღებით შეარჩიონ პარტნიორები და მომწოდებლები. აქედან გამომდინარე, ISO 9001 - ის სტანდარტის დანერგვისას, კომპანიის მენეჯმენტი ვალდებულია, შეიმუშაოს და მოახდინოს იმ უნარ-ჩვევების ანალიზი, თუ როგორ უნდა მოერგოს თანამშრომელი ახალ სიტუაციას, როგორ იმუშაოს დისტანციურად ეფექტურად და უსაფრთხოდ, როგორ იქონიოს კომუნიკაცია თანამშრომლებთან, რაც შეეხება პარტნიორებს და მიმწოდებლებს, შესაძლებელია კომპანია უპირატესობას ანიჭებდეს ისეთ კომპანიებთან თანამშრომლობას, რომლებსაც თვითონაც

გააჩნიათ ISO სტანდარტიზაცია, რადგან ეს ფაქტორი ინვესტს მათ შორის ურთიერთდობას. ISO 9001 წარმოადგენს მსოფლიოში ყველაზე ფართოდ აღიარებულ ხარისხის მენეჯმენტის სისტემას და ეხმარება ორგანიზაციებს მუდმივად შეესაბამებოდნენ მომხმარებლის და სხვა დაინტერესებული მხარეების მოთხოვნებს და მოლოდინს, აგრეთვე ქვეყანაში არსებულ საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებს (ISO 9001:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემები).

ISO 22301 ბიზნესს ეხმარება, რომ განავითაროს მენეჯმენტის სისტემა უწყვეტ რეჟიმში. იგი მოიცავს იმ რისკებს, რომლებმაც შესაძლოა შეაფერხოს ბიზნესის საქმიანობა და კომპანიას აძლევს სწრაფად აღდგენის საშუალებას. იმისთვის, რომ კომპანიამ განაგრძოს ფუნქციონირება, საჭიროა შეფასდეს ადამიანური რესურსი, შესაძლობლობები, აქტივები და პასივები, მესამე პირები და ა.შ. ყოველივე ამის შეფასება, სამოქმედო გეგმის ერთიანი ჯაჭვის წარმოდგენის საშუალებას იძლევა, კერძოდ, თუ რომელ ეტაპზე ვისი ჩართულობით არის შესაძლებელი მოხდეს ბიზნესის უწყვეტობის გეგმის შემუშავება (Kosutic).

ISO 27001 კომპანიებს საშუალებას აძლევს დაწერონ ინფორმაციის უსაფრთხოების მენეჯმენტის სისტემა, აღნიშნული სტანდარტის დანერგვამდე, აუცილებელია მოხდეს პოტენციური რისკების გამოვლენა, რაც საშუალებას იძლევა შემუშავდეს კონკრეტულ რისკზე მორგებული უსაფრთხოების სისტემა, რათა მოხდეს პრევენციული ღონისძიებების დანერგვა. აღნიშნული სტანდარტი განსაკუთრებით აქტუალური გახდა პანდემიურ პერიოდში, როდესაც თანამშრომლები დისტანციურად მუშაობენ, როგორც კომპანიის ასევე პირადი მოხმარების კომპიუტერებიდან, ასეთი ფორსმაჟორებული სი-

სქემა 1. აქტუალური სტანდარტები პოსტ-პანდემიურ პერიოდში



წყარო: Kosutic D., How to use ISO standards to address a pandemic

ტუაციების დროს, კი კიბერ-უსაფრთხოება განსაკუთრებით საყურადღებო ხდება.

ISO 27001 საერთაშორისო სტანდარტის დანიშნულებაა, უზრუნველყოს ინფორმაციის კონფიდენციალურობის, მთლიანობის და მიღების შესაძლებლობის ადეკვატური კონტროლი, რათა გარანტირებული იყოს დაინტერესებული მხარეების ინფორმაციის დაცვა. დაინტერესებულ მხარეებში განიხილება მომხმარებლები, თანამშრომლები, სავაჭრო პარტნიორები და ზოგადად საზოგადოება. ISO 27001 თანაბრად გამოიყენება როგორც სახელმწიფო სტრუქტურებში, ასევე კერძო სექტორში, მათ შორის სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების მიერ, რომლებიც აკონტროლებენ ინფორმაციას და სურთ წარმოაჩინონ მათ მიერ ინფორმაციის მიღების, კონტროლის და განაწილების უსაფრთხოება (ISO/IEC 27001).

ISO 45001 აღწერს, თუ როგორ უნდა შექმნას შრომის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის სისტემა (Occupational Health & Safety Management System (OHSMS) კომპანიებში, აღნიშნული სტანდარტი კომპანიებს საშუალებას აძლევს იზრუნონ თანამშრომლების ჯანმრთელობაზე, მათ შორის არაპანდემიურ პირობებში. იმისთვის, რომ მოხდეს უსაფრთხოების მართვის სისტემის შემუშავება, საჭიროა სტანდარტის დანერგვისას კომპანიის ხარისხის მენეჯერმა გუნდთან ერთად მოახდინოს ყველა იმ რისკის იდენტიფიცირება, საქმიანობის სფეროს მიხედვით, რომელსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს ადამიანის ჯანმრთელობაზე. პანდემიის პირობებში კი აღნიშნული რისკ-ფაქტორები აღმოჩნდა ჰიგიენური ნორმების დაცვა, სოციალური დისტანცია და ყოველდღიური თერმომ-სკრინინგი. კვლევები ცხადყოფს, რომ ადამიანი გაცილებით უფრო პროდუქტიულია, როდესაც


ის თავს უსაფრთხოდ გრძნობს, იგივე შეიძლება ითქვას, მომსახურების სფეროსთან მიმართებაში, თანამედროვე პირობებში, კლიენტებსაც უჩნდებათ სურვილი, რომ იმყოფებოდნენ ისეთ გარემოში, სადაც ზრუნავენ მათ ჯანმრთელობაზე.

ISO 45001 მენეჯმენტის სისტემის ერთ-ერთი იმ სტანდარტია, რომელიც მიმართულია ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, გარემოს დაცვის და ხარისხის საკითხების უზრუნველყოფაზე. მენეჯმენტის სისტემის სტანდარტების თანამედროვე სტრუქტურაზე (HLS) აგებული სტანდარტი, მისი საერთო ტექსტი და განმარტებები, ხელს უწყობენ ორგანიზაციებს ჩამოაყალიბონ შედეგიანი და ეფექტური მენეჯმენტის სისტემა, რომელიც იძლევა მომხმარებლების, მიმწოდებლებისა და მარეგულირებელი ორგანიზაციების მოთხოვნების უზრუნველყოფის საშუალებას.

სტანდარტი შემუშავდა „სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის“ შრომის ჰიგიენის და უსაფრთხოების კომიტეტის მიერ (ISO/PC 283) და მიჰყვება მენეჯმენტის სისტემის სხვა სტანდარტების სტრუქტურას, როგორებიცაა ISO 9001 და ISO 14001 სტანდარტები. სტანდარტი ითვალისწინებს სხვა საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს, როგორცაა OHSAS 18001, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გაიდლაინები (ILO-OSH Guidelines), სხვადასხვა ეროვნულ სტანდარტებს და ILO-ს სტანდარტებს და კონვენციებს (ISO 45001:2018).

დამატებითი ISO სტანდარტების გამოყენებას გვთავაზობენ პანდემიისას სტატიაში „ინტეგრირებული გეგმის განვითარების მიდგომა ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად პოსტ-პანდემიურ პერიოდში, საერთაშორისო მენეჯმენტის სისტემების სტანდარტებზე დაყრდნობით“ (BIŢAN, OLARU, HASSANI, & COSTACHE). (იხ. სქემა 2).

სქემა 2. მენეჯმენტის სისტემების საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც გამოიყენება განვითარების პოსტ პანდემიის პერიოდში ბიზნესის უწყვეტობის ინტეგრირებული გეგმის მხარდასაჭერად



წყარო: (BIŢAN, OLARU, HASSANI, & COSTACHE, 2020)

ამ შემთხვევაში განსაკუთრებით საქართველოს მაგალითზე საყურადღებოა ISO 22000, როგორც გამოცდილება ცხადყოფს, პანდემიის პერიოდში რიგ ქვეყნებში, საქმიანობა არ შეეზღუდათ იმ კვების ობიექტებს, რომელთაც ფლობდნენ ISO 22000 სტანდარტიზაციას, რადგან ეს სახელმწიფოსთვის აღმოჩნდა გარანტი, იმისა, რომ იმ ბიზნესის საქმიანობისას ზიანი არ მიადგებოდა ადამიანების ჯანმრთელობას.

დასკვნა

დღეისათვის მსოფლიოს მასშტაბით, 3 მილიონზე მეტ კომპანიას აქვს დანერგილი ISO სტანდარტები, დაახლოებით 1,5 მილიონი მათ შორის კი აკრედიტირებულია, აქედან გამომდინარე, იგი წარმოადგენს კარგად ადაპტირებულ ჩარჩოს, რომელიც კომპანიებს ეხმარება, რომ უფრო წარმატებულად განახორციელონ საქმიანობა, მათ შორის პანდემიის პირობებში. აღმოჩნდება, თუ არა ISO სტანდარტები ბიზნესის უწყვეტობის ერთ-ერთ სანდო მექანიზმად ეს ცალკე კვლევის საგანია, თუმცა საქართველოში არსებული სიტუაციის მიხედვით, სტანდარტების დანერგვა და აკრედიტაცია ბევრ სირთულესთან ასოცირდება, თუმცა თუ კომპანიების გარკვეული რაოდენობა მაინც დაინყებს მათ იმპლემენტაციას

ქართული ბიზნესი გაცილებით უფრო მომზადებული შეხვდება გლობალური მასშტაბის გამონვევებს და სირთულეებს, ISO სტანდარტები კი შეიძლება გამოყენებული იქნენ, როგორც ბიზნესის განვითარების მოდელები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ISO 45001:2018. <https://www.isoconsulting.ge/single-post/ISO45001-2018>
2. ISO 9001:2015. ხარისხის მენეჯმენტის სისტემები. <https://www.isoconsulting.ge/iso-9001-2015-ge>
3. ISO/IEC 27001. <https://www.isoconsulting.ge/iso27001-ge>
4. BIŢAN, G., OLARU, S.-M., HASSANI, Y., & COSTACHE, I. (2020). APPROACH TO DEVELOPMENT OF AN INTEGRATED PLAN TO ENSURE BUSINESS CONTINUITY. *ECOFORUM*.
5. Kosutic, D. How to use ISO standards while pandemic. <https://advisera.com/27001academy/blog/2020/03/30/how-to-use-iso-standards-to-address-a-pandemic/>-დან
6. Merriam-Webster Dictionary. <https://www.merriam-webster.com/dictionary/pandemic>

ელექტრული ენერჯის ხარისხის კონტროლი საქართველოში და მისი გავლენა ელექტროსისტემის ტექნიკურ-ეკონომიკურ პროცესზე

ნიკა ასპანიძე
სტუ-ს დოქტორანტი

POWER QUALITY CONTROL IN GEORGIA AND ASSESSMENT OF THE IMPACT ON THE TECHNICAL-ECONOMIC PROCESS OF THE ELECTRICAL SYSTEM

Nika Aspanidze,
PHD student of GTU

RESUME

In the modern world, against the background of rapid and large-scale development of power systems, it has become necessary to control the quality of electricity. Accordingly, special automated control systems were created, the main task of which became to monitor and analyze the quality parameters of electricity. At this stage, Georgia also faced the challenge of quality monitoring/control.

Georgia's electricity system is characterized by an annual growth of 3 to 8 percent. Against this background, it is important to pay attention not only to the operation of the electricity grid and electrical equipment, but also to the quality of the electricity parameters in the electrical grid.

The presence of energy pollution in the electricity system leads to: an increase in the probability of accidents, an increase in the negative outcome of the accident, a reduction in the operation time of premature installations and premature aging, an increase in energy losses in the electricity system and shortcomings in the work process of electrical consumers.. Accordingly, taking into account the above-mentioned issues, the production, transmission, distribution of electricity will increase, the technical-economic process of consumption will be delayed, deficiencies and material losses will occur. In addition, it is important to consider the development of the Georgian electricity system and the integration of wind and solar power plants in it. These electric power stations are unstable and a source of pollution for power quality parameters.

Keywords: Electricity safety, Technical-economic process of electrical system, Power quality.

საკვანძო სიტყვები: ელექტროენერგეტიკული უსაფრთხოება, ელექტროსისტემის ტექნიკურ-ეკონომიკური პროცესი, ელექტროენერჯის ხარისხი.

ძირითადი ტექსტი

ელექტროენერჯის ხარისხის მონიტორინგი/კონტროლი საქართველოს ელექტროსისტემისათვის წარმოადგენს თანამედროვე გამოწვევას, რომლის აუცილებლობაც ქვეყნის ელექტროინდუსტრის განვითარებამ და ზრდამ გამოიწვია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ელექტროინდუსტრიის განვითარების პირველ ეტაპზე ელექტრული ენერჯის ხარისხის მაჩვენებლებად განიხილებოდა მხოლოდ ორი პარამეტრი: სისშირე ქსელში და ძაბვა ქსელის თითოეულ კვანძში, რომლის აქტიური კონტროლი და მონიტორინგი საქართველოს ელექტროსისტემაშიც მიმდინარეობდა. თუმცა, დროთა განმავლობაში ელექტროენერგეტიკული სისტემის განვითარებასთან ერთად ელექტრომომხმარებელთა შორის გამოჩნდნენ არასიმეტრიული, არასინუსოიდური და მკვეთრად ცვალებადი მოხმარების მქონე ელემენტები. შესაბამისად საჭირო გახდა მხედველობაში მიეღოთ ელექტრული ენერჯის ხარისხის შესაფასებლად დამატებითი მაჩვენებლები. მრავალ სამრეწველო და კომერციულ მომხმარებელს გააჩნიათ ალჭურვილობა, რომელიც განსაკუთრებით მგრძობიარეა ელექტროსისტემაში არსებულ ელექტროენერჯის ხარისხის დამახინჯებების მიმართ. აქედან გამომდინარე წარმოიშვა პირობა, რომელიც გულისხმობს ხარისხიანი ენერჯით მომარაგებას. ეს ყველაფერი ფართოდ არის დამოკიდებული გადამცემ და დისტრიბუციის სისტემებში ხარისხიანი ელექტროენერჯის არსებობაზე და მიმოცვლაზე, რომელიც თავისთავად დამოკიდებულია ელექტროსადგურების მიერ გამოიმუშავებული ელექტრული ენერჯის ხარისხზე. შესაბამისად დგება აუცილებლობა, რომ ნებისმიერ კვანძურ ნეტრილში, რომლებშიც ხდება ელექტრული ენერჯის მიმოცვლა, განხორციელდეს ხარისხის მონიტორინგი და კონტროლი. ამასთანავე, ჩამოყალიბდა ენერგეტიკის ახალი მიმართულება, რომელიც მოიცავს ელექტრული ენერჯის ხარისხის მონიტორინგს, ანალიზსა და კონტროლს. ამიტომ დადგა საკითხი, საქართველოს ელექტროსისტემაშიც ფართოდ დაინერგოს ელექტრული ენერჯის ხარისხის მონიტორინგი/კონტროლი, როგორც ენერგეტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი.

ზოგადად ელექტროსისტემებში მიმდინარე ელექტროენერჯის გადაცემის პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი პირობა ელექტროსისტემის თითოეული კომპონენტის უწყვეტი ჯაჭვით დაკავშირებაა. აღნიშნულ ჯაჭვურ პროცესში ერთია-

ნდება შემდეგი საფეხურები: გენერაცია, რომელიც მოიცავს სხვა სახის ენერჯიდან ელექტროენერჯის გამომუშავებას, გადაცემა, რომელიც მოიცავს საგენერაციო ელექტროსადგურებიდან ელექტროენერჯის მაღალი ძაბვით გადაცემას მომხმარებელამდე და განაწილება, რომელიც წარმოადგენს გადაცემის შემდეგ ჯაჭვსა და ახორციელებს მომხმარებელთა ელექტროენერჯით მომარაგებას ნებისმიერ ნერტილში სასურველი ძაბვით. უმნიშვნელოვანესია დიდი ყურადღება მივაქციოთ ელექტროსისტემაში მიმდინარე უწყვეტი პროცესის ჯაჭვის ელემენტების ურთიერთ კავშირს. ნებისმიერ შემთხვევაში მათი ბმის ნერტილები მოწყობილი უნდა იყოს მიღებული ნორმების დაცვით და თითოეულ კვანძში გაედინებოდეს ნორმირებული ელექტროენერჯია. სწორედ ამ კონკრეტული საკითხის გადასაწყვეტად იჩენს თავს ელექტრული ენერჯის ხარისხის მონიტორინგი/კონტროლის აუცილებლობა. მითუმეტეს იმ ფონზე, რომ ქვეყანაში უკვე მიღებულია კანონები, რომლებიც არეგულირებს ელექტროენერჯის ხარისხს. აგრეთვე ამოქმედებულია საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტები: EN 50160, IEC და ГОСТ, რომლებიც მსოფლიოში ელექტროენერჯის ხარისხის ნორმების მარეგულირებელი მონინავე დოკუმენტებია.

უშუალოდ ელექტრული ენერჯის ხარისხი წარმოადგენს დენის, ძაბვის და სიხშირის მნიშვნელობების ნომინალურიდან გადახრით გამოვლენილ ნებისმიერი პრობლემას, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს მოწყობილობებისა და დანადგარების გაუმართაობა და დაზიანება. მისი გამომწვევი მიზეზია ნებისმიერი არასიმეტრიული და არასინუსოიდური მოვლენა თუ გადახრა. ხოლო უპირველეს მიზანს წარმოადგენს იყოს ელექტროენერჯის გამომუშავება, გადაცემა, განაწილება და მოხმარების სისტემების საუკეთესო პირობებში დაკავშირების ერთ-ერთი პირობა. ელექტრული ენერჯის ხარისხის მონიტორინგის სრულ ციკლს წარმოადგენს საჭირო (სასარგებლო) ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და გაზომილი მონაცემების დამუშავებულად ინტერპრეტაცია. მონაცემთა შეგროვების პროცესი, როგორც წესი, ხორციელდება ძაბვის და დენის უწყვეტი გაზომვებით შესაძლო მაქსიმალური დისკრეტულობით აღიარებული სტანდარტის მოთხოვნების დაცვით. გაზომვის, ანალიზისა და ინტერპრეტაციის პროცესი ტრადიციულად ხორციელდებოდა კონკრეტული მოწყობილობის ინფორმაციის, ადამიანის მიერ დამუშავებით. მაგრამ ბოლო დროს მიღებული პროგრესით შემუშავებულმა ავტომატურმა და ინტელექტუალურმა სისტემებმა შესაძლებელი გახადა დაუმუშავებელი მონაცემების ავტომატური ანალიზი და ინტერპრეტაცია, რადგან მოხდეს დაუმუშავებელი ინფორმაციის სასარგებლო ინფორმაციად გარდაქმნა ადამიანის მინიმალური ჩარევით.

ელექტრული ენერჯის ხარისხის სამონიტორინგოდ/საკონტროლოდ გამოიყენება ორი სახის სი-

ტემა: პირველი არის ლოკალური მაშტაბების და ხორციელდება კონკრეტული ელემენტების კავშირის ნერტილებში სამონიტორინგო მოწყობილობების დამონტაჟებით და მათი ინფორმაციის ანალიზით. ხოლო მეორე წარმოადგენს მასობრივს. იგი ეწყობა მთელი ელექტროსისტემის მაშტაბით და მონიტორინგ/კონტროლს ახორციელებს ცენტრალიზებული სისტემა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ჯერჯერობით არ გვხვდება მეორე სახის სამონიტორინგო/მაკონტროლებელი სისტემები.

ელექტროსისტემაში მიმდინარე ტექნიკურ-ეკონომიკური პროცესი პირდაპირ დამოკიდებულია მოთხოვნილი ელექტროენერჯის უწყვეტ მიწოდებაზე. ნებისმიერი დროის ინტერვალით შეწყვეტილი მიწოდება წარმოადგენს გარკვეული სახის ეკონომიკურ დანაკარგს და ამასთანავე იზრდება საფრთხე მიმდინარე ტექნიკური პროცესის ჩამოშლის. ხოლო როდესაც ჩნდება საფრთხე, რომ პროცესის მოშლა, ელექტროენერჯის მიწოდების წყვეტა მოხდება ელექტროენერჯის ხარისხის პარამეტრების ზღვრული ნორმების დარღვევით, დამატებით წარმოიშვება მატერიალური ზარალი, რომელსაც განიცდის ელექტროსისტემის მუშა პროცესში მონაწილე გენერაცია, გადაცემა, განაწილება, მოხმარების ელემენტები. მატერიალურ ეკონომიკური ზარალი დამოკიდებულია ელექტროენერჯის ხარისხის დაბინძურების დონეზე. აღნიშნულ შემთხვევაში ყველაზე სავალალო მდგომარეობას წარმოადგენს ელექტროსისტემის სრული ჩაქრობა (Black Out), რომელსაც თან ახლას დიდი რაოდენობით მიუწვდებელი ელექტროენერჯია და ქვეყნის სრულიად ჩაქრობა რამდენიმე საათის განმავლობაში სისტემის აღდგენამდე. ამჟამად საქართველოს ოთხ მეზობელ ელექტროსისტემასთან აქვს კავშირი და სისტემატიურად ახორციელებს ელექტროენერჯის ექსპორტ/ინმპორტს. თითოეულ მეზობელ სისტემასთან ენერჯის მიმოცვლის ერთერთი მთავარი პირობაა ხარისხიანი ელექტროენერჯის არსებობა საქართველოში და მისი კონტროლი. აგრეთვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველო სამომავლო უახლოესი პერსპექტივაა ჩაერთოს ევროპაში ელექტროენერჯით ვაჭრობაში და ქვეყნის ელექტროსისტემა აქციოს ელექტროენერჯის გამტარ, ტრანზიტორ სისტემად. შესაბამისად, აღნიშნულ პროცესში ერთ-ერთ ყველაზე რთულ დეტალს წარმოადგენს ევროპის ელექტროსისტემასთან ინტეგრაცია და მათთვის ელექტროენერჯის ხარისხის მისაღები ნორმების შეთავაზება. ელექტრომომხმარებელთა ბაზაზე საქართველოს ელექტროსისტემაში არსებობენ მომხმარებლები, რომელთა გათიშვაც მუშა პროცესის გამო მიზანშეუწონელია. მაგალითად, რომ ავილოთ ლითონგადამამუშავებელი ქარხნები და მათი ელექტრო დანადგარები. რიგ შემთხვევებში ეს დანადგარები მუშაობს უწყვეტ რეჟიმში. კვლევებმა აჩვენა, რომ მსგავსი სახის მძლავრი მომხმარებლები განსაკუთ-

რებით მგრძობიარენი არიან ელექტროენერჯის ხარისხის პარამეტრების დარღვევის მიმართ. ელექტროენერჯის ხარისხის ნორმების დარღვევით გამოწვეული ელექტროსისტემის ტექნიკურ-ეკონომიკური პროცესის ჩამოშლის უმძიმესი გავლენა აისახება ქვეყნის ინდუსტრიული თუ სასიცოცხლო მნიშვნელობის ნებისმიერ ობიექტზე. მათ შორის საავადმყოფოებსა და სხვა სასწრაფო დახმარების ობიექტებზე.

ელექტროენერჯის ხარისხის მონიტორინგი/კონტროლის მნიშვნელობა ელექტროენერჯის გადაცემაში მონაწილე ელემენტებისათვის თანამედროვე მსოფლიოში იქცა ახალ მნიშვნელოვან გამონვევად. ამის გაუთვალისწინებლობა იწვევს დიდ მატერიალურ ზარალს. პირველ რიგში ელექტროსისტემაში იზრდება ელექტროენერჯის გადაცემით გამოწვეული დანაკარგები და დასაშვებზე მეტი დანაკარგები პირდაპირი ეკონომიკური ზარალი ხდება ელექტროინდუსტრიის. შემდეგ მცირდება ძვირადღირებულ ელექტროდანადგართა ექსპლუატაციის პერიოდი. ხორციელდება მათი მუშა ელემენტების ნაადრევი დაბერება და მწყობრიდან გამოსვლა. საქართველოს პირობებში აღნიშნული მატერიალური ზარალი კრიტიკულია, რადგან ელექტროსისტემის ნახევარი არის რეაბილიტირებული და ისედაც მოძველებულ აღჭურვილობას აზიანებს. ამასთანავე რეაბილიტირებული ელექტროდანადგართა ნაადრევი დაბერებაც გვაშორებს გზას ელექტროსისტემის სრულ რეაბილიტაციამდე.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე მსოფლიო სულ უფრო აქტიურად ახორციელებს მზისა და ქარის ენერჯის პოტენციალის ათვისებას და არსებული, ტრადიციული პირველი სახის ენერჯების ჩანაცვლებას. მზისა და ქარის ინტეგრაცია ნებისმიერი ელექტროსისტემისათვის რთული პროცესია, მათი არასტაბილურობის გამო. არ გააჩნიათ შესაძლებლობა სტაბილურად ამუშაონ ელექტროენერჯის

საგენერაციო დანადგარები. აღნიშნული ენერჯის წყაროები წარმოადგენენ ელექტროენერჯის ხარისხის დაბინძურების დიდ წყაროს. აუცილებელია მათი მუდმივი კონტროლი და ხარისხის ნორმების შესანარჩუნებელი ღონისძიებების გამოყენება. საქართველოს მსგავსი პატარა ელექტროსისტემისათვის უდიდესი პოტენციალის მქონე განახლებად ენერჯებზე მომუშავე ელექტროსადგურების ინტეგრაცია ელექტროსისტემასთან ორმაგად გართულებულია.

ელექტრული ენერჯის ხარისხის მონიტორინგი/კონტროლი წარმოადგენს საქართველოს ელექტროსისტემისათვის თანამედროვეობის უახლოს გამოწვევას, რომლის აუცილებლობის მიზეზი მრავლად იჩენს თავს. იგი შეიძლება დიდი ეკონომიკური ზიანის მომტანი გახდეს ქვეყნის ეკონომიკისათვის. გამოიწვიოს მასშტაბური ავარიები და ყალბი ავარიული გამორთვები ელექტროსისტემის ყველა კომპონენტზე. ამ მიზეზების გამო დგას საქართველოს ელექტროსისტემა ელექტროენერჯის ხარისხის მონიტორინგი/კონტროლის, როგორც ელექტროენერჯეტიკის დარგად ჩამოყალიბების აუცილებლობის წინაშე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 17 აპრილს № 10 დადგენილებით მიღებული „ქსელის წესები“, მუხლები - 14, 15, 16 და 18.
2. Power Systems Harmonics, second additions, J. Arrilaga/N. R. Watson, copyright – 2003.
3. Power Quality and EMC issues with future electricity networks, JWG C4.24/CIREN, copyright – 2018.
4. Electrical Power Systems Quality, Second Edition, R. C. dugan/S. santoso, copyright – 2004.
5. <http://www.powerqualityworld.com/>

ახალი კორონა ვირუსით განპირობებული მოვლენების ზეგავლენა საბანკო სექტორზე

მაია სირაძე

სტუ-ს დოქტორანტი

IMPACT OF NEW CORONA VIRUS-INDUCED EVENTS ON THE BANKING SECTOR

Maia Siradze
PhD student of GTU

SUMMARY

Banks certainly have their hands full in light of the novel coronavirus outbreak (COVID-19). Borrowers and businesses face job losses, slowed sales, and declining profits as the virus continues to spread around the world. Banking customers are likely to start seeking financial relief. In addition to managing the direct economic impact of the coronavirus, banks need to have a plan in place to protect employees and customers from its spread. Many banks are already starting to encourage remote working of some employees.

The impact of the Covid-19 pandemic has significantly reduced economic activity and increased financial stability risks worldwide. However, previous capital requirements imposed by the National Bank and the profits made by commercial banks have allowed banks to accumulate sufficient capital buffers to deal with stressful situations. In addition, in the pre-crisis period, the National Bank took a number of macroprudential measures to reduce excess household debt and loan dollarisation. This has helped reduce vulnerabilities in the non-financial sector and increased the resilience of the financial system to shocks.

* * * *

კორონა ვირუსი (COVID-19) რთული გამოწვევაა და მნიშვნელოვანი საფრთხეა არამხოლოდ მსოფლიო ჯანდაცვისათვის, არამედ გლობალური ეკონომიკისთვისაც. მსოფლიო ეკონომიკაზე COVID-19-ის ნეგატიური ეფექტი ახლა უკვე შეუქცევადი მოცემულობაა. ის თუ რა ზეგავლენა აქვს COVID-19 მსოფლიო ეკონომიკაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ვირუსის გავრცელების ტენდენციებზე.

მსოფლიოში არსებულმა პანდემიამ სერიოზული ზიანი მიაყენება ქვეყანაში არსებულ ბიზნესებს. აღსანიშნავია რომ ბიზნესსა და მომხარებელს შორის ურთიერთდამოკიდებულება საგრძობლად შეიცვალა. მსოფლიო დაწესებულებების 90% კომპანიებისა და სხვა ფინანსური სექტორების სახით მობილიზებული არიან შეამცირონ კოვიდ-19 ით ინფიცირების შემთხვევები. იქმნება უამრავი ფონდი მოსახლეობის დასახმარებლად ვირუსთან მარტივად გამკლავებაში.

საქართველოს საბანკო ასოციაცია მსესხებლების ფინანსური ვალდებულების გადავადების საკითხთან დაკავშირებით აქტიურად არის ჩართული ეროვნულ ბანკთან ერთად და სთავაზობს მომხმარებელს შემდეგი სახის თანამშრომლობას:

პირველი, მოსახლეობის ის ნაწილი, რომელმაც დაკარგა სამსახური და შესაბამისად შემოსავლის ძირითადი წყარო სახელმწიფოსგან მიიღებდა დახმარებას, ხოლო საბანკო სექტორისგან ფინანსური ვალდებულების ყოველთვიური შენატანისგან სამი თვის განმავლობაში გათავისუფლდებოდა. აღნიშნული ამოქმედდა 2020 წლის 10 ივნისიდან.

მეორე, ის პირები, რომლებიც შემოსავლების სამსახურის ბაზაში არ არიან რეგისტრირებული, თუმცა იყვნენ თვითდასაქმებული და დაკარგეს შემოსავლები, სახელმწიფოსგან არ ღებულობს დახმარებას, თუმცა, ბანკები ასეთი ამ კატეგორიის პირებს გარკვეული პირობების მიხედვით სთავაზობდნენ მათი ფინანსური ვალდებულებების გადავადების შანსს.

კოვიდ-19 ის მიერ შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო ბანკები აქტიურად მუშაობენ სესხებთან დაკავშირებით. მას შემდეგ რაც მსოფლიო გადავიდა დისტანციურ მუშაობაზე, ბანკების მხრივ წინ ნამოიჭრა ისეთი საკითხები როგორცაა ონლაინ/მობაილ ბანკი. შედარებით მარტივად მისაღწევი გახდა სხვადასხვა ფინანსური სერვისები და ამ ყველაფერმა ხელი შეუწყო ბანკსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის გაზრდას, რადგანაც ბანკებთან ურთიერთობა უკვე ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი გახდა. ასევე, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც რომ მართალია ბანკების უმეტესობა დისტანციურად მუშაობს, თუმცა, ზოგიერთი დაწესებულება ბანკების, რამდენიმე ფილიალი მაინც, აგრძელებს ჩვეულ რიტმში მუშაობას და ფიზიკურად ემსახურებიან კლიენტებს.

არსებობს ძალიან ბევრი შეზღუდვა კოვიდ 19-თან დაკავშირებით, რამაც ქვეყნის ეკონომიკაზე და კონკრეტულად საბანკო სექტორზე გარკვეული უარყოფითი ზეგავლენა მოხდინა, კერძოდ - შემცირდა როგორც საპროცენტო, ისე არასაპროცენტო შემოსავლები, შემცირდა კლიენტების რაოდენობა, რის გამოც მოხდა კვალიფიციური თანამშრომლების შემცირება და ა.შ.

საქართველოში პანდემიის დაწყებიდან რამდენიმე კვირაში ბანკებმა გადანყვიტეს დახმარებდნენ იმ საზოგადოებას რომლებსაც ჰქონდა საკმაო რაოდენობის სესხი/სესხები. ამ პროცესში აქტიურად იყო ჩართული ეროვნული ბანკიც. დახმა-

რებაში იგულისხმებოდა ის, რომ მძიმე პერიოდში მსესხებლები შეძლებდნენ თავიანთი სესხის პროცენტის გადავადებას სამი თვის განმავლობაში. ამ ყველაფერმა დადებითად იმოქმედა მოსახლეობის ნაწილზე. თუმცა, ყურადღება იყო გასამახვილებელი თუნდაც იმაზე, რომ ის საზოგადოება, რომელიც მიიღებდა ამ დახმარებას ბანკების მხრიდან ანუ გადავადებდა სესხს სამი თვის განმავლობაში, გაეზრდებოდათ პროცენტული განაკვეთი და შემდეგ თვეებში შედარებით მეტი თანხის გადახდა მოუწევდათ. ინფორმაციის უქონლობის გამო ამ ყველაფერმა ნეგატიურად იმოქმედა საზოგადოებაზე, რადგანაც თვლიდნენ რომ ეს ყველაფერი იყო კარგად დაგეგმილი პროცესი, რომ ბანკებმა გაზარდონ შემოსავალი და ისარგებლონ ძალაუფლებით და შესაბამისად მოსახლეობას გაუჩნდა ინტერესი იმისა თუ რა პასუხისმგებლობა ეკისრებათ ბანკებს ქვეყანაში შექმნილი მძიმე სიტუაციის დროს. რა თქმა უნდა კრიტიკოსების მხრიდან მოყვა აჟიოტაჟი ბანკების მხრიდან ამ ტიპის დახმარებაზე, ვინაიდან და რადგანაც ისინი თვლიდნენ, რომ თუკი ეხმარებიან მსესხებლებს მაშინ უნდა მოეხსნათ დამატებული პროცენტი ყოველთვიურ შენატანზე და ჩვეულებრივ გადაეხადათ იგივე თანხა მომდევნო სამი თვის განმავლობაში.

ასევე, ყურადღება უნდა გავამახვილოთ მეორე საკითხზე, რომელიც ეხება იმას თუ რომელ ვალუტაში არის სესხი გაცემული. ზოგადად კარგია რომ ბანკები ცდილობენ მსესხებლებს ცოტათი მაინც შეუმსუბუქონ გადასახადები, თუმცა ასევე უნდა გავამახვილოთ ყურადღება ეროვნული ვალუტა რა მდგომარეობაში არის ახლა და რა მდგომარეობაში იქნება მომავალში. სანამ ვირუსთან საბრძოლველად იქნება მობილიზებული რესურსები იმ მსესხებლებისთვის ვისაც სესხები დოლარში აქვს გატანილი ეს შეთავაზება შესაძლებელია უფრო მისაღები იყო მათთვის და დიდი ალბათობით უმეტესობა დაეთანხმება კიდევ. რადგანაც არ ვიცით რა მდგომარეობა იქნება სამომავლოდ, ლარის კურსი რა მდგომარეობაში იქნება, უნდა გავითვალისწინოთ რომ შესაძლებელია იყოს იმის ფაქტი რომ ლარი იყოს გამყარებული მომდევნო სამი თვე და საბოლოოდ ზუსტად იგივე თანხის გადახდა მოუწიოთ მსესხებლებს ყოველთვიური შენატანების დროს, რომლის გარანტიასაც ვერც კომერციული და ვერც ეროვნული ბანკი ვერ იძლევა.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზეც, რომ ბანკები სწორედ ამ სესხებისგან ლებულობენ შემოსავალს და ფაქტიურად ამ ყოველთვიური შენატანების გადაუხდელობის გამო უმეტესობა სამი თვის განმავლობაში დარჩებოდა შემოსავლის გარეშე, თუმცა, მხოლოდ სესხებისგან მიღებული შემოსავლებს არ ჯერდება.

საზოგადოება ყოველთვის ობიექტურად არ აფასებს ხოლმე ქვეყნის საბანკო სექტორის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, მიუხედავად იმისა, რომ

ყველა თანხმდება რომ ბანკების რესურსებით ბევრად მეტის გაკეთება არის შესაძლებელი. მართალია, რომ საბოლოო ჯამში ბანკების მიერ შეთავაზებული შეღავათი არც ისე მომგებიანი აღმოჩნდა როგორც ამას მოსახლეობა ელოდა, თუმცა თავად ეს ფაქტიც თავის მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველოს დღეს ნამდვილად სჭირდება დამატებითი ფინანსები იმისათვის, რომ ეფექტურად შეძლოს კორონავირუსთან გამკლავება და ამის მოხერხება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაქსიმალური ჩართულობით ყველას მხრიდან, იქნება ეს ბანკი, რომელიც გამოყოფს თანხებს ფონდისთვის, ან უმსუბუქებს გადახდის პირობებს თავის კლიენტების თუნდაც ნაწილს, თუ გამოყოფს დროებით კომპენსაციას მათთვის ვინც დაკარგა სამსახური ახალი რეგულაციების გამო. ყველა ასეთი ქმედება საბოლოო ჯამში გამოიწვევს იმას, რომ საქართველო და უმთავრესად ქართველი მოქალაქეები ნაკლებად იგრძნობენ იმ ეკონომიკურ კრიზისს, რომელიც ამ პანდემიას მოჰყვება, რაც ყველა სახელწიფოს მთავარი მიზანი უნდა იყოს.

ეროვნულ ბანკი, საფინანსო სექტორზე უარყოფითი გავლენის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ:

1. შეიმუშავა დროებითი საზედამხედველო გეგმა;
2. ეკონომიკის სხვადასხვა სფეროსთვის გამოყოფილი ფულადი რესურსები;
3. სავალუტო ინტერვენციების ახალი მექანიზმი აამოქმედა;
4. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამის გაფართოებას ხელი შეუწყო;

1. დროებითი საზედამხედველო გეგმის შიშუაწილი

სერთაშორისო სავალუტო ფონდის ევროპის ცენტრალური ბანკისა და სხვა ქვეყნების ნამყვანი ორგანიზაციების რეკომენდაციებთან მიმართებაში სრულ თანხვედრაშია ეროვნული ბანკის საზედამხედველო გეგმა, რომელიც გულისხმობს კაპიტალისა და ლიკვიდობის ბუფერების გამოყენებას. ამ გეგმის თანახმად საბანკო სექტორს საშუალებას მისცემს ბუფერების საშუალებით ზარალები გაანეიტრალოს და ჩვეულ რეჟიმში გააგრძელონ ბანკებმა შეუფერხებლად თავიანთი საქმიანობა, რაც შესაბამისად გულისხმობს რეალური ეკონომიკის დაკრედიტებას.

კომერციულმა ბანკებმა მსესხებლებს სამთვინისი საშეღავათო პერიოდი შესთავაზეს, აღნიშნული საშეღავათო პერიოდის შეთავაზებულ აქციებთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვნად შეარბილა საზედამხედველო მოთხოვნები, რათა მოქალაქეებისათვის ვალდებულებათა გადავადების პროცესში ბანკებს მაქსიმალური მოქნილობა ჰქონოდათ, აღნიშნულ ინიცია-

ტივას შეუერთდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ნაწილი.

ეროვნულმა ბანკმა შეაჩერა ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტების ადგილზე შემოწმება. გამარტივდა დაკრედიტების პროცედურები, რის მიხედვითაც დროებით არ მოითხოვება უძრავი ქონების შეფასება ადგილზე მისვლის გზით. შერბილდა მოთხოვნა ფინანსური უწყისების განახლებასთან დაკავშირებით.

ახალი საზედამხედველო მოთხოვნების შემუშავებასა და დანებსაზე გამოცხადდა დროებითი მორატორიუმი, რათა ბანკებს საშუალება ჰქონდეთ რესურსების მაქსიმალური მობილიზება არსებულ გამონვევებზე.

2. ეკონომიკის სხვადასხვა სფეროსთვის ლიკვიდური ფულადი რესურსების შეუფერხებელი მიწოდება

ეროვნულმა ბანკმა სვოპ ოპერაციების ამოქმედებით რის შედეგადაც ლარის ლიკვიდობას აწვდის, შეამცირა რისკი იმისთვის რომ არ გახდეს დაკრედიტების შემაფერხებელი ფაქტორი. საბაზრო წილის პროპორციულად ბანკებს შორის განაწილდა 200 000 000 დოლარის სვოპ ინსტრუმენტები. ბევრი გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად დანესდება 25 % ლიმიტი, რომელიც გაზრდის ბანკებისთვის რესურსების ხელმისაწვდომობას. რაც შეეხება ვადას ამ სვოპ ოპერაციების განსაზღვრულია ერთი თვით, ხოლო განახლება ერთი წლის განმავლობაში იქნება შესაძლებელი ყოველთვიური განახლების უფლებით.

სავალუტო ბაზრის უცხოური ვალუტით მიწოდების მხარდასაჭერად ეროვნულმა ბანკმა უკვე განახორციელა 17 ინტერვენცია, საერთო ჯამში, 530 მლნ აშშ დოლარის ოდენობით. დღეის მდგომარეობით ეროვნული ბანკის მთლიანი სავალუტო რეზერვები, 3.5 მილიარდ დოლარს შეადგენს, რაც წინა წლებში რეზერვების დაგროვების პოლიტიკის შედეგია. წლის განმავლობაში საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან მიღებული ფინანსური დახმარება ასევე შეავსებს საერთაშორისო რეზერვებს და გაზრდის ეროვნული ბანკის შესაძლებლობას სავალუტო ინტერვენციების გზით მიაწოდოს საჭირო უცხოური ვალუტა ბაზარს.

3. სავალუტო ინტერვენციების ახალი მექანიზმის ამოქმედება

ეროვნული ბანკი, მიმოქცევიდან შემოსულ ბანკნოტებს, მიმოქცევაში ხელახლა გაშვებამდე, საცავში რამდენიმე კვირის განმავლობაში აყოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს დადასტურებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბანკნოტები ვირუსის გავრცელების უფრო ძლიერი წყაროა, ვიდრე სხვა ნებისმიერი ზედაპირი, რომელსაც საზოგადოების წარმომადგენლები ეხებიან. ცენტრალური ბანკი აკვირდება ქვეყანაში და ასევე, მსოფლიო-

ში მიმდინარე მოვლენებს და ეცნობა კვლევებს იმის შესახებ, ხდება თუ არა ბანკნოტების საშუალებით ვირუსის გავრცელება. ასევე დამატებითი განსაკუთრებული რეჟიმია, სასაზღვრო და კარანტინში მყოფი რეგიონებისათვის. ამ კუთხით, საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს შესაბამის ზომებს, რომ დაიცვას როგორც ეროვნული ბანკის, ასევე, კომერციული ბანკების თანამშრომლები.

4. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამის გაფართოება

საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივით, ამოქმედდა სავალუტო ვაჭრობის ახალი მექანიზმი ბლუმბერგის Bmatch პლატფორმა, სადაც პირველ ეტაპზე ხდება ბანკთაშორისი ვაჭრობები, ხოლო მალევე მოხდება არასაბანკო კერძო სუბიექტების ჩართვაც, რაც საშუალებას მისცემს მათ პირდაპირი წვდომა ჰქონდეთ სავალუტო რესურსებთან. ეს პლატფორმა ბაზარს გახდის უფრო დივერსიფიცირებულს, კონკურენტუნარიანსა და ლიკვიდურს.

ეროვნული ბანკის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომელიც ზოგ სფეროში აუმჯობესებს საკითხების გარკვეულ ნაწილს, მართალია და ნაწილობრივ მისაღებია, თუმცა საბოლოოდ მაინც ყურადღება გასამახვილებელია დაკრედიტებასთან დაკავშირებით ყოველთვიურ შენატანებზე, მაშინ, როცა სრულიად უმოძრაობა არის ქალაქში რამდენიმე თვის განმავლობაში მართალია ბანკებმა შელავათი გაუკეთეს და მისცეს სამთვიანი საშელავათო პერიოდი მოქალაქეებს, რომლებმაც პანდემიის პერიოდში ვერ შეინარჩუნეს სამსახურები, მაგრამ ამავდროულად სამი თვის შემდეგ დაიწყეს გადახდა არა იმ გრაფიკის მიხედვით რომლითაც თავდაპირველად ხელმძღვანელობდნენ, არამედ ახალი, გაახლებული გრაფიკით, სადაც ნათლად სჩანს საკმაოდ გაზრდილი ყოველთვიური შენატანი. შესაბამისად ხალხიდან წამოსული აგრესიაც ამ თემასთან დაკავშირებით ნაწილობრივ მისაღებია, რადგან გამოიწვია უკმაყოფილება.

გატარდა საკმაოდ ბევრი რეფორმა რომელთაგან აღსაღნიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მისცა რეკომენდაცია ბანკებს, სესხის გამცემ სუბიექტებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და ვალუტის გადამცვლელ ფიზურებს შეზღუდათ სერვისცენტრებში მომსახურე პერსონალისა და კლიენტებს შორის პირდაპირი ფიზიკური კონტაქტი. ამავდროულად საგადახდო ტექნოლოგიების კუთხით მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერნეტ გადახდის სერვისები, როგორცაა: ინტერნეტ ბანკით/მობაილ ბანკით/ ტელეფონ ბანკით სარგებლობა, უკონტაქტოდ ბარათის გამოყენება და სხვა. ეროვნულმა ბანკმა მაქსიმალურად შეზღუდა ნაღდ ფუთან უშუალო კონტაქტი, თუ რა თქმა უნდა მოქალაქეების უმეტესობა გაითვალისწინებს.

დასკვნა

დღეს, როცა საქართველოში COVID-19-ის გავრცელების პიკი არ არის მიღწეული, ცხადია, საკმაოდ რთულია ზუსტი პროგნოზების გაკეთება იმ ეკონომიკური გავლენის შესახებ, რომელსაც მსოფლიოში პანდემიური პროცესი და ქვეყანაში არსებული ეპიდემიური სურათი მოახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე.

მნიშვნელოვანია კრიზისის ვადები და ასევე ის, თუ როგორ შეძლებს მსოფლიო მასთან გამკლავებას - რადგან საქართველოს ტიპის ქვეყნები მნიშვნელოვნად იქნებიან დამოკიდებული იმ საერთაშორისო დახმარების მასშტაბზე, რომლის მობილიზებასაც ისინი შეძლებენ. ასევე, მნიშვნელოვანია კერძო ინიციატივებიც, ანუ ის, თუ რამდენად შეძლებს ქართული ბიზნესის ნაწილი და ასევე მოქალაქეები ვითაც საკმაოდ რაოდენობის სესხი/სესხები აქვთ, თვითორგანიზებას, ახალი ტიპის მომსახურებებისა და პროდუქტების შემუშავებას, რომელიც არსებულ გამოწვევებს მეტად უპასუხებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ეროვნული ბანკის საგანგებო ღონისძიებები COVID-19-თან დაკავშირებით , 2020
2. Covid-19-ის შესაძლო გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე (არსებული მდგომარეობა და პროგნოზების მიმოხილვა ,2020
3. COVID-19 ეკონომიკური შედეგები მსოფლიოსა და საქართველოსთვის-ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი , 2020
4. Business Media Group, “2019 წლის ეკონომიკური მაჩვენებლების მიმოხილვა”, 2019
5. Inter Press News სავაჭრო-სამრეწველო პალატა, COVID-19-ის ბიზნესზე გავლენის კვლევის შედეგები“, 2020
6. COVID-19-ის გავლენა ბიზნესგარემოზე, 2020
7. <https://www.fdic.gov/coronavirus/index.html>
8. <https://www.lightico.com/blog/coronavirus-covid-19-and-the-banking-industry-impact-and-solutions/>
9. https://www.ifc.org/wps/wcm/connect/news_ext_content/ifc_external_corporate_site/news+and+events/news/insights/softening-covid-19-impact

სექცია 3. პროგრესული ეკონომიკის ბანკოთარების სამართლებრივი, პოლიტიკური და ფილოსოფიური ასპექტები

გახდა თუ არა ტექნიკა ზედმეტად პროგრესირებადი და ნაკლებად პროგნოზირებადი?

კოკა კუტუბიძე
სტუ-ს პროფესორი

HAS TECHNOLOGY BECOME OVERLY PROGRESSIVE AND LESS PREDICTABLE?

Koka Kutubidze
Professor of GTU

RESUME

In the article are analyzed scientific-technical progress were revealed, process of civilization and globalization positive and negative tendencies according to sociology. In our epoche there has been so evidently revealed the conflict between a human being and technical environment as nowadays. A human being wasn't vulnerable to unpredictable processes in the filed of technics. In the condition of technical progress, the special relationship features of a human being and technics and their possibilities weren't always taken into consideration. The nature and features of technical processes should always reveal and mean the demands, goals and objects of society. It technics controls a person and not Vice versa - a person controls technics, in such case, the fact becomes dangerous for a person, for his personal existence.

Keywords: Technical Progress, Civilization, Culture, Innovation, Latest Technologies, Creative People, Artificial Intelligence.

* * * *

XXI საუკუნის დასაწყისში – გრანდიოზული მეცნიერული აღმოჩენები, მისგან გამომდინარე შედეგები ცხადზე უცხადესია, თუმცა მიღწევების უშუალო შედეგებმა ადამიანზე პირდაპირ ან ირიბად მოახდინეს არასასურველი გავლენა, მიუხედავად ამისა, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების არცერთ ეტაპზე თავად ცოდნა არ შეიცავს არავითარ საფრთხეს; საფრთხე ყოველთვის ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეებით განპირობებული ცოდნისა და შესაძლებლობების არაგონივრულ და არაკეთილსინდისიერად გამოყენებაშია.

წარმოუდგენელია მეცნიერების ნებისმიერი დარგის წარმომადგენელს 1940 წელს გაეთვალა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ დედამიწაზე აფეთქებოდა პირველი ატომური ბომბი და რამდენ უბედურე-

ბას მოუტანდა იგი ადამიანებს. ეს შემთხვევა ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ამა თუ იმ დარგის მეცნიერთა აღმოჩენებმა ხელი შეუწყოს მეტად რთული სოციალურ-ეთიკური პრობლემების წარმოქმნას.

ცნობილია, რომ არა ერთი შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებების არსებობას ხელი არ შეუშლია ამერიკელებისათვის გამოეყენებინათ მომნამკვლელი ნივთიერებები ვიეტნამში, მაშინ როცა ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანს ეს დანაშაულად მიაჩნდა. სწორია შემთხვევები, როდესაც არასამშვიდობო მიზნებისთვის გამოიყენება მშვიდობიანი კვლევები და ძალიან ბევრი აღმოჩენა.

ეს საუკუნე – მზარდი ტექნოლოგიების და ახალი აღმოჩენების საუკუნეა რაც რამდენიმე წლის წინ სამეცნიერო ფანტაზიის სფეროს მიეკუთვნებოდა დღეს რეალობაა და მოძველებულ ტექნოლოგიებს განეკუთვნება.

ტექნიკური ცივილიზაციის პირობებში, განსაკუთრებით ყურადღების ცენტრში მოექცა ხელოვნური ინტელექტის პრობლემა, მისი შექმნის შესაძლებლობებისა და აუცილებლობის პერსპექტივა. დღის წესრიგში მწვავედ დადგა კითხვები: საით მივყავართ ზოგადად მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს? ხელს უწყობს იგი ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს, მათ შორის ზნეობის, კულტურის განვითარებას, თუ პირიქით, გამოიწვევს ამ უკანასკნელთა დეგრადაციას? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი იძლევა ხელშესახებ წარმატებებს, ეკონომიკის წარმოების სფეროში, მაგრამ ადგილი აქვს თუ არა ამავე დროს ადამიანთა ურთიერთობების ჰუმანიზაციას? ხომ არ იწვევს მანქანა, ტექნიკური პროგრესი ადამიანური ცხოვრების დეჰუმანიზაციას? ჰუმანიზმის დასასრული კი ბუნებრივი ყოველგვარი ადამიანურობის დასასრულადაც ითვლება – ეს კი, საბოლოო ჯამში, ზნეობრივი კატასტროფის ტოლფასია. ადამიანი, რომელმაც არ ისურვა ღვთის ხატად და მსგავსად ყოფნა, მანქანის ხატად და მსგავსებად იქცევა.¹

როგორი იქნება, როგორ სახეს მიიღებს მომავალში ადამიანსა და მანქანას შორის დამოკიდებული-

1 ნ. ნ. ბერდიაევი, ადამიანის ბედი თანამედროვე საზოგადოებაში, თბილისი, 2007, გვ. 141.

ბა, მათი ურთიერთობის ხარისხი, ხასიათი (რომელი რომელს უბრძანებს, წარმართავს, დაუნესებს დღის ნესრიგს) ხომ არ ემუქრება ადამიანს არსებითი საფრთხე, ხომ არაა იგი გაძევებული თავისი თავიდან? ხომა რ დაკარგა მან თავისი მთლიანობა, ხომ არ დანანებდა და დაქუცმაცდა იგი? ეს და სხვა მსგავსი კითხვები დროულად მოითხოვს სათანადო პასუხს და, რაც მთავარია, შესაბამისი პრაქტიკული ღონისძიებების გატარებას.

ერთი რამ ცხადია – ტექნიკური პროგრესი, ცივილიზაცია არ უნდა დაემსგავსოს უმიზნოდ, უშედეგოდ აგებულ ხომალდს, რომელსაც არ ჰყავს მესაჭე. თავისთავად ცივილიზაციას არ „ჰყოფნის ჭკუა“, იმისათვის, რომ თვითონ აირჩიოს კონკრეტული კურსი მრავალი შესაძლებლობებიდან.

მართალია, ახალი ტექნოლოგიების შექმნით გამოწვეული დროებითი აღფრთოვანება ბუნებრივია, მაგრამ ადამიანებს, ჯერ კიდევ ბოლომდე არ აქვთ გაცნობიერებული თუ მომავალში რა საფრთხე შეიძლება დაემუქროთ და არსებითად როგორ შეიძლება შეიცვალოს სამყარო. და ეს ცვლილებები და საფრთხეები გამომჟღავნდება არა საუკუნეების არამედ უახლოესი წლების განმავლობაში, როგორც კი ძლიერი ხელოვნური ინტელექტის მქონე სისტემები ადამიანის განწყობებს და აზროვნებას დაჯახნის. იქმნება შთაბეჭდილება, რომ თითქოსდა მეცნიერება ჩართულია ბუნებასთან მუდმივ ქიშპობასა და ბრძოლის პროცესში. პარადოქსი კი მდგომარეობს იმაში, რომ მომავალში დიდი აღმოჩენებისა და წარმატებების პირობებში სულ უფრო რთული და არაპროგნოზირებადი ხდება მდგომარეობა.

XXI საუკუნისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ნიშანდობლივი თვისება სწრაფად განვითარებადი თვისობრივად ახალი ტექნოლოგიებია. რაც რამდენიმე წლის წინ სამეცნიერო სტატისტიკის სფეროს მიეკუთვნებოდა დღეს რეალობაა და მოძველებულ ტექნოლოგიებს მიეკუთვნება.

ტექნიკური პროგრესის კვალდაკვალ, კომპიუტერული ტექნიკის განვითარების გარკვეულ ეტაპზე გაჩნდა ახალი ტერმინი, „ხელოვნური ინტელექტი“ ე. წ. კომპიუტერული ტვინი, რომელიც უშეცდომოდ მუშაობს და რომელსაც სავარაუდოდ შეეძლება მიაღწიოს და ხშირ შემთხვევაში „გადაუსწროს“ კიდევ ადამიანის გონებრივ შესაძლებლობებს, მის ინტელექტუალურ დონეს. ამიტომ ბუნებრივია, რომ განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა ხელოვნური ინტელექტის პრობლემა, მისი შექმნის მიზანშეწონილობის საკითხი. ხელოვნური ინტელექტი-კომპიუტერული მეცნიერების განსაკუთრებული დარგია, რომელიც მიზნად ისახავს, მოაზროვნე ინტელექტუალური მანქანის შექმნას, რომელსაც შესაძლებლობა ექნება გაუთანაბრდეს და გაუსწროს კიდევ ადამიანის აზროვნების შესაძლებლობებს, მის ინტელექტუალურ მონაცემებს. როგორც ცნობილია ხელოვნური ინტელექტისათვის აუცილებელი და საკმარისი პირობაა – კომპი-

უტერი, ალგორითმი და მონაცემები, რომელთა საშუალებით მას შეუძლია მიიღოს „დამოუკიდებელი“ გადაწყვეტილებები – ისწავლოს, იფიქროს და შესაბამისად იმოქმედოს მხოლოდ ადამიანის მიერ წინასწარ გააზრებული და გაცნობიერებული ნესებით, რასაც უზრუნველყოფს ალგორითმი.

ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, რომ ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარეობს და გრძელდება დისკუსიები, სადაც ძალიან ხშირად გაისმის ურთიერთგამომრიცხავი დებულებები.

პეკინში გამართული ერთ-ერთი სამეცნიერო კონფერენციაზე ბრიტანელმა მეცნიერმა სტივენ ჰოკინგმა განაცხადა, რომ შესაძლებელია ხელოვნური ინტელექტი ცივილიზაციის დაღუპვის მთავარი მიზეზი გახდეს, მისი აზრით, **ტექნოლოგიური სიახლეები არსებითად იწვევენ ადამიანის სასიცოცხლო ფუნქციების შეზღუდვას, დეგრადაციას და, შესაბამისად, დროთა განმავლობაში ადამიანი ბუნებასთან მიმართებაში უსუსური და უსახო არსებად გადაიქცევა.** ჰოკინგი კიდევ უფრო შორს წავიდა და ხელოვნური ინტელექტის შექმნა კაცობრიობის შესაძლო დასასრულად წარმოიდგინა. მას მიაჩნდა, რომ კაცობრიობის მომავალი მყარადაა დამოკიდებული მზარდ ტექნოლოგიურ განვითარებასა და განსაკუთრებით მათ მიზნობრივ, ჭკვიანურ გამოყენებაზე.

ტექნიკური ცივილიზაციის მომავალი ძნელად პროგნოზირებადი ფენომენია, მას ყოველთვის სპეციალური დონითა და განსაკუთრებული უნარით აღჭურვილი ადამიანთა ჯგუფები ქმნიან და ახორციელებენ. ზოგადად კი, ადამიანური ცნობიერება და აზროვნება, როგორც წესი, მას ჩამორჩება ხოლმე, შესაბამისად, ბუნებრივია, რომ სამართლებრივი, იურიდიული, სოციალურ-ეკონომიკური და ზნეობრივი გარემოც შედარებით ნელა იცვლება ხოლმე.

მართალია, ჯერ კიდევ შორსაა პერსპექტივა, რომ ხელოვნურმა ინტელექტმა ადამიანის გონების ჩარევის გარეშე იმუშაოს, თუმცა მოსალოდნელი, შესაძლებელი ხიფათის დროული გაცნობიერება და ანალიზი თავიდანვეა საჭირო, რათა კაცობრიობამ ეს რთული, მაგრამ უდავოდ საინტერესო, მაღალორგანიზებული ტექნოლოგია მიზანშეწონილად გამოიყენოს. მითუმეტეს, როცა ამ ტიპის ტექნოლოგიებს წარმატებით იყენებენ ადამიანური მოღვაწეობის მრავალ სფეროში – სპორტის (ამერიკული კომპანიის მიერ შექმნილ ანალიტიკურ ხელსაწყოს, რომელიც 20 წელის არჩევს საფეხბურთო მატჩების ვიდეო-ჩანაწერებს, ამუშავებს სტატისტიკურ მონაცემებს და აკეთებს შესაბამის ლოგიკურ დასკვნებს, ანალიზს უკეთებს მონინაალმდგეის თამაშს, არჩევს მის ძლიერ და სუსტ მხარეებს – წარმატებით იყენებენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მაღალი დონის საკლუბო გუნდები. თუ საფეხბურთო ანალიტიკური ცენტრები ერთი თამაშის გარჩევას 5-6 საათს ანდომებენ, ამ პროგრამას აღნიშნულის გასაკეთებ-

ლად ნამები სჭირდება), წარმოების, სოფლის მეურნეობის, ენერჯეტიკის, მრეწველობის, ჯანდაცვის, ყურნალისტიკის, ფინანსური ოპერაციების, კომუნიკაციების, უსაფრთხოებისა და სხვა სფეროებში.

ვარაუდობენ იმასაც, რომ ხელოვნური ინტელექტი არა მარტო ჩაანაცვლებს ადამიანის ნებისმიერ შრომას, არამედ მონაწილეობას მიიღებს ადამიანის სამოღვაწეო პროცესის მართვაში, დაგეგმვაში სტრატეგიებისა და გადაწყვეტილებების მიღებასა და შემუშავების პროცესში.

სოციოლოგიური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მსოფლიოში ერთ-ერთ უმსხვილეს სააგენტოში დანერგილმა მაღალმა ტექნოლოგიურმა სისტემამ ყურნალისტიკის სამუშაო დროის 20% გამოათავისუფლა, რაც მათ პროფესიონალური დონის შემდგომ სრულყოფისა და გაღრმავების საშუალებას აძლევს. თანამედროვე ტექნოლოგიები წარმატებით გამოიყენება, აგრეთვე, საგამომძიებლო ყურნალისტიკის სფეროში დადგენილი ფაქტების გადასამოწმებლად და შესაძლებელ დეზინფორმაციასთან საბრძოლველად. თუმცა, საგულისხმოა ის ზიანიც, რომელიც ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია ყურნალისტიკის დარგს და მთლიანად მედიას მიაცუნოს.

ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროგრამისტებმა ხელოვნური ინტელექტის ალგორითმი შექმნეს, რომლითაც ვიდეოების მანიპულირება შეიძლებოდა. მათ მოახერხეს ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის ობამას ვიდეოს ისე დამუშავება, რომ მას ნებისმიერ რამეს ათქმევინებდნენ, რაც მოესურვებოდა თანაც ისე, რომ სიყალბეს ვერვინ შეამჩნევდა.

შესაძლებელია ხელოვნური ინტელექტის ომებშიც გამოიყენება, რამაც შესაძლებელია კატასტროფული შედეგები გამოიღოს. არაა გამორიცხული, რომ ადამიანებმა შეიარაღებული რობოტების კონტროლი ვერ შეძლონ და მათ დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება დაიწყონ.

ვარაუდობენ, რომ ინტელექტის, ადამიანის გონებრივი შესაძლებლობების 50%-ს არც ისე დიდი ხნის შემდეგ ხელოვნური ინტელექტი შეცვლის. დაახლოებით საუკუნის შემდეგ კი ყველა შესაძლო სამუშაო პოზიციას მოაზროვნე მანქანები დაიკავენ.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ჭადრაკში გარი კასპაროვმა ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ, რობოტთა გამართულ მატჩში დამარცხდა. ნუ შეგეშინდებათ გონებრივი მანქანების, იმუშავეთ მათთან ერთად, აღნიშნა კასპაროვმა. იგი დარწმუნებულია, რომ დროთა განმავლობაში მსგავსი შემთხვევები უფრო მეტ სფეროს მოიცავს. მისი აზრით, გონიერულად უნდა გამოვიყენოთ ახალი აღმოჩენები და ტექნოლოგიები მოსალოდნელი სირთულეებისა და გაურკვევლობების დასაძლევად.

ბილ გეითსი და სტივენ ჰოკინგი გვაფრთხილებენ, რომ მომავალში რობოტებს აქვთ პოტენციალი ჩვენზე უფრო გონიერი გახდნენ და, რადგანაც მო-

სალოდნელია ახალი, თვისობრივად განსხვავებული პროფესიების გაჩენა, შესაბამისად, ჩვენი პროფესიებიც უსარგებლო გახდება.

ერთი რამ უდავოა – ტექნიკური დარგის წარმომადგენლები და გამომგონებლები აუცილებლად უნდა დაფიქრდნენ იმ მრავალ პოტენციურ რისკზე, რომელიც მათ მიერ შექმნილ ტექნოლოგიებს ახლავს თან. თუ საბოლოო მიზანი – ადამიანის გონების მოდელის შექმნაა, მაშინ, უწინარეს ყოვლისა, ზუსტად უნდა ვიცოდეთ, როგორ სწავლობს, ფუნქციონირებს და იღებს გადაწყვეტილებებს ადამიანის გონება.

გარესამყაროს აღქმისათვის რობოტს სჭირდება ათასი ჯურის სენსორები (მხედველობითი, სმენის, ყნოსვის და ა. შ.) სენსორთა სიმრავლის გამო ადამიანის გონება სავარაუდოდ ძნელად თუ გაართმევს თავს ინფორმაციათა სიმრავლეს და გადაწყვეტილების მიღებისას შესაძლებელია ინფორმაციათა ქსელში გაეხვეს.

თუ ვერ მოვახერხებთ და ტექნოლოგიური პროცესის მართვის სადავეებს ვერ შევიწარმუნებთ ამ შემთხვევაში ხელოვნური სიცოცხლე აუცილებლად განდევნის ბიოლოგიურ სიცოცხლეს და, საბოლოო ჯამში, ადამიანებზე ზეგავლენის თვალსაზრისით მივიღებთ გაუცხოებულ და გაუხეშებულ ადამიანს.

ადამიანისა და მანქანის ურთიერთობის პერსპექტივისაგან გამომდინარე, საგულისხმოა ნ. ბერდიაევის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ **ადამიანი თავისი განსაცვიფრებელი გამოგონების – მანქანის ტყვედ და მონად იქცა. ჩვენი ეპოქა, ბერდიაევის აზრით, უწინარეს ყოვლისა, ტექნიკის ნიშნითაა აღზეჭდილი, ის შეიძლება ტექნიკის ეპოქად იწოდებოდეს... ადამიანს სწამს ტექნიკის სასწაული, როცა არცერთი სხვა სასწაული აღარ სწამს. დეჰუმანიზაცია კი, უწინარეს ყოვლისა, არის ადამიანური ცხოვრების მექანიზაცია და ტექნიზაცია, ადამიანის დაქვემდებარება მანქანისადმი და მისი გადაქცევა მანქანად. მანქანური ძალაუფლება შლის ადამიანის მთლიან სახეს.² ასეთ ვითარებაში ადამიანი სრულად დაკარგავს მთლიანობას, თვითმყოფადობას, რასაც, საბოლოო ჯამში, საზოგადოების შინაგანი გათიშულობისკენ მივყავართ.**

ტექნიკური ცივილიზაციით გამოწვეულ გლობალურ პრობლემათა შორის, განსაკუთრებულია ადამიანის, როგორც ბიოსოციალური არსების პიროვნებად შენარჩუნების პრობლემა. ვინაიდან, თანამედროვე ადამიანს უჭირს გააკონტროლოს ბუნებრივი და მის მიერვე შექმნილი ტექნიკური გარემო, რაც, თავისთავად, ანთროპოლოგიური კრიზისის საფუძველი ხდება.

ტექნიკური პროგრესის შედეგად, სამყაროს გარდაქმნის პროცესში წარმოიშვა მოულოდნელი, ხშირად შემთხვევითი სოციალური ფაქტორები; იქმნებიან ახალი სტრუქტურები და სისტემები, რომ-

2 ნ. ბერდიაევი, ადამიანის ბედი სამყაროში. თბ., 2007, გვ. 180.

ლებიც ნოყიერ ნიადაგს ქმნიან ადამიანის ცნობიერებისა და ფსიქიკის სამანიპულაციოდ და სერიოზულ საფრთხესა და სირთულეს უქმნიან ადამიანის ბიოენერგეტიკულ საფუძველს, მის იდენტობას, პიროვნების სოციალიზაციის პროცესს. ეს ვითარება ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია უსახო, უპიროვნო სოციუმის ჩამოყალიბების პროცესში, რაც, თავისთავად, დამაბრკოლებელი ფაქტორია ადამიანის ყოფიერების, არსების გააზრებისა და გაცნობიერების გზაზე.

ტექნიკური ცივილიზაციით განპირობებული ადამიანთა შინაგანი განცალკევება, გათიშვა, განმარტობა, კიდევ ერთი გარემოებითაა განპირობებული – ესაა პიროვნების ნიველირებისა და სტანდარტიზაციის ტენდენცია.

ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ საკითხებზე გაამახვილა ყურადღება და მოგვცა, ზოგადად, „მასობრივი კულტურის“ დეტალური ანალიზი, ესპანელი ფილოსოფოსი ორტეგა ი გასეტი გახლდათ.

სტატიაში („მასები“, 1926 წ.) ნიგნში („მასების აჯანყება“ 1930 წ.) მან მოგვცა უპიროვნო ინდივიდისა და კოლექტივის, ბრბოს ფენომენის ანალიზი. ცნობილია მისი ფრაზა – „გმირი გაქრა, დარჩა გუნდი“.

მისი აზრით, ანალოგიურ მოვლენებს ადრეც ჰქონდა ადგილი ისტორიაში, თუმცა XX საუკუნეში მან სხვა შინაარსი შეიძინა და პრინციპულად განსხვავებული ხასიათის.³

აღნიშნულ ფენომენს ჰაიდეგერი „მანის“ ცნებით აღნიშნავს და მის დამახასიათებელ ნიშნად ლაყბობასა და ორაზროვნებას მიიჩნევს, პროფესორ ნ. კვარაცხელიას აზრით, „მან“ არის არანამდვილი, ყალბი არსებობა, უპიროვნო, „არავინ“, სადაც ნებისმიერი ინდივიდი არის ეგზემპლარი, ყველა დანარჩენით შენაცვლებადი, საკუთარი იერსახის არმქონე.⁴

უპიროვნება კი საზრისსა და საფუძველს აცლის ადამიანის ყოფიერებას და მის გაღმერთებულ სამყაროს, „ღმერთის სიკვდილისა“ და ნიჰილიზმის შემზარავი და თავზარდამცემი ფაქტის წინაშე აყენებს მას. სწორედ, ასეთ უხამსო და უპიროვნო სოციუმს უწოდებს ჰაიდეგერი „მანს“, გასეტი ამბობებულ მასებს სარტრი კი ჯოჯოხეთს.⁵

სწორედ, ასეთ პირობებში ყალიბდება ტრივიალურ ყოველდღიურობაზე დაქვემდებარებული სტერეოტიპის ადამიანი, რომელიც გულგრილად უდგება და თავს არიდებს საკუთარ ადამიანური ყოფიერების ფუნდამენტურ კითხვებს. ადამიანი კარგავს ინდივიდუალობას, მომავლის პერსპექტივებს, მას უჩნდება დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, იძულებულია ატაროს ნილაბი და ცვალოს იგი სიტუაციის მიხედვით.

3 Ортега и Гасети Востание масс. Введение философию. 1989. N3, стр. 123.

4 ნ. კვარაცხელია, ფილოსოფიური განაზრებანი, თბ., 2017, გვ. 54-55.

5 ნ. კვარაცხელია, ფილოსოფიური განაზრებანი, თბ., 2017, გვ. 113.

ამ ვითარებაში იკარგება ყოველგვარი პიროვნული გამორჩეულობა, ორიგინალობა, ადამიანები თითქმის მხოლოდ ტექნიკური ფუნქციების მატარებელი და სტანდარტული ტიპის არსებად გადაიქცნენ, რის გამოც ისინი ერთმანეთის მიმართ ნაკლებად მიმზიდველნი და სტანდარტული ტიპის არსებად გადაიქცნენ. ყოველივე ეს კი, ადამიანებს შორის გათიშულობის მიზეზი ხდებოდა.

ხანგრძლივი, ნამდვილი ურთიერთობების ნაცვლად ყალიბდება პრაგმატული მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, შედარებით სწრაფი კონტაქტები, დროებითი კავშირები, რომლებიც ძალიან მალე ქრება.

ტექნიკური ცივილიზაციის პირობებში არაა საკმარისი რაციონალურად გავანანილოთ და განვალაგოთ – ადამიანები და მანქანა-დანადგარები, ჩარხები და ა. შ., არამედ აუცილებელი და არსებითია იმ ადამიანური ურთიერთობების გათვალისწინება, რომლებიც მყარდება მაღალი ავტომატიზებული შრომის პროცესში. მანქანა მომაკვდინებლად არ უნდა მოქმედებდეს ადამიანის სულზე, არ უნდა კლავდეს მის ემოციურ ცხოვრებას, არ უნდა ხრწნიდეს ადამიანური გრძნობებს.

თუმცა საყოველთაოდ ცნობილია ის გარემოება, რომ ავტომატიზებულ შრომის პირობებში ადამიანი ჩართულია მრავალმხრივ ტექნოლოგიურ პროცესში, რაც მისგან მოითხოვს ფსიქიკის მაქსიმალურ დაძაბვას, რის შედეგადაც ბუნებრივად წარმოიშვება ქრონიკული (მუდმივი დატვირთვის შედეგად) და ემოციური სტრესები, ხდება ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესება, ჩნდება სხვადასხვა ტიპის ფსიქოზისა და ნევროზის ნიშნები, ირღვევა ქვევითი სფერო, შესაძლებელია განვითარდეს ფსიქოგენური ამნეზია – ყველაფერი ეს კი მკვეთრად აქვეითებს ადამიანის ინტელექტუალურ პროდუქტიულობას. ასეთ დროს დაძაბულობის მოხსნის მიზნით, ადამიანები ხშირად მიმართავენ ფსიქოაქტიური ნივთიერების მიღებას (დეპრესანტები, ჰალუცინომენები), რაც, საბოლოო ჯამში, მათი დეგრადაციისა და გარდაცვალების მიზეზიც კი ხდება.

ბუნებრივია, ტექნიკური პროგრესით გამოწვეულ არსებით ცვლილებებს ადამიანები დიდი სიმშვიდით ვერ ხვდებიან. პირიქით, იგი მათში ძალიან ხშირად მოულოდნელობის ეფექტს, ექსტრემალური სიტუაციების განცდასა და ფსიქოლოგიურ-ემოციურ სტრესებსაც კი იწვევს.

ასეთ ვითარებაზე დიდი ხნის წინათ მიაჩნებდა ნ. ბერდიაევი, რომ თანდათან ილუპება შინაგანი ადამიანი და იცვლება იგი გარეგანი, ავტომატური ადამიანით... ცივილიზაციამ განავითარა უზარმაზარი ტექნიკური ძალები, რომლებიც ბატონობენ თვით ადამიანზე, აქცევენ მათ მონებად, კლავენ მის სულს.

ტექნიკისა და მეცნიერების განვითარების ადრეულ საფეხურზე ნაკლებად დაძაბული და უსაფრთხო ტექნიკური გარემოს პირობებში ადამიანებს

უფრო ნათელი წარმოდგენა ჰქონდათ ტექნიკის შემდგომი განვითარების პერსპექტივებსა და მომავალზე, დღეს გლობალიზაციისა და ტექნიკის მზარდი განვითარების პირობებში სულ უფრო წარმოიქმნებიან ნაკლებად პროგნოზირებადი მოვლენები. არ ვიცით რა იქნება ხვალ, რას გვიმზადებს ბედი, შესაბამისად, იკარგება სიმშვიდე და ადამიანს ეუფლება შიში მომავლის წინაშე.

არსებობს გარკვეული ზღვარი გარემოს იმ ცვლილებებისა (შესაძლებელია მისი განსაზღვრა), რომლებთან ადამიანის ორგანიზმს შეგუება შეუძელია. ამ საზღვრების წინასწარ დაუდგენლად, ამ ცვლილებების შეუფერხებელი ზრდით, ჩვენ შეიძლება ადამიანთა დიდ მასებზე, ისეთი ზემოქმედება მოვახდინოთ, რომლებსაც ისინი, უბრალოდ ვერ აიტანენ.

„ჩვენ ძალიან ვრისკავთ, როდესაც ადამიანებს ვაყენებთ ისეთ უჩვეულო მდგომარეობაში, რასაც მე მომავლის შოკს ვუნოდებ“ – აღნიშნავს ე. ტოფლერი.⁶

აღსანიშნავია ის გარემოებებიც, რომ ტექნიკურ მეცნიერებათა შესაძლებლობების მიმართ გადაჭარბებული ოპტიმიზმი იწვევს ადამიანის მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროში ტექნიკური აზროვნების წესის უნივერსალიზაციის ტენდენციის დამკვიდრებას. ამ სახიფათო ტენდენციამ ადამიანისა და ადამიანური ურთიერთობების კვლევის სფეროშიც კი შეაღწია. თუმცა, ადამიანის საქციელი არ დაიყვანება ტექნიკურ-მიზეზობრივი ტიპის საქციელზე, ამიტომაც ტექნიკურ-მეცნიერული წესით რომ ვიაზრებთ ადამიანს ანუ „სციენტისტურ ანთროპოლოგიას“ რომ ვენდობით და ვუჯერებთ, მხედველობიდან გავუშვებთ ადამიანის პრინციპულ თავისებურებას – მის თავისუფლებას.⁷

გარკვეული საზოგადოებრივი ურთიერთობები, ხშირ შემთხვევაში, ადამიანის თავისუფლების წინააღმდეგაა მიმართული და ამახინჯებს ადამიანის ბუნებას. ასეთ პროცესს გაუცხოებას უწოდებენ, შრომის პროცესში ადამიანი გაასაგნებს თავის სამუშაო ძალებს, თავის თავს, ახლა მისი შრომა შექმნილი პროდუქციის სახით გვევლინება. ასეთ ვითარებას გასაგნებას უწოდებენ, გაუცხოება ისეთი გასაგნებაა, სადაც ადამიანი, მის მიერ შექმნილი პროდუქციის სახით თავის თავსვე უპირისპირდება. ადამიანის არსებობა მის არსს აღარ შეესაბამება, მასვე დაუპირისპირდა მისივე შექმნილი სამყარო.

ადამიანის გაუცხოება მისი გადაგვარების რეალურ საფრთხეს ქმნის, ადამიანში მატულობს მომხმარებლური ტენდენციები, მიმდინარეობს პრაგმატული ფსიქიკის ჩამოყალიბების განუწყვეტელი პროცესი, კომფორტისაკენ სწრაფვა, რაც შეიძლება ნაკლები ენერჯის ხარჯვის გზით. გადაგვარება ემუქრება

ადამიანს, როგორც შემოქმედ, აქტიურ არსებას. თანდათანობით უკანა პლანზე იწვევს ადამიანური უსაფრთხოებები. ადამიანი ნაკლებადაა დამოკიდებული მეორე ადამიანისაგან, ცალკეული ინდივიდებისაგან. მასობრივი წარმოების საგანთა მსგავსად სტანდარტული ხდება ადამიანის ყოფა, შრომა, დასვენება, გართობა, სხვა ადამიანებთან დამოკიდებულებები, შესაბამისად, მიმდინარეობს მასობრივი საზოგადოებისა და კულტურის ჩამოყალიბების პროცესი. ადგილი აქვს სტანდარტიზებული ნორმით პიროვნების უნიკალობის (დეპერსონალიზაცია) ჩაკვლას.

შესაბამისად ყალიბდება ტრივიალურ ყოველდღიურობაზე დაქვემდებარებული, სტერეოტიპის ადამიანი, რომელიც გულგრილად უდგება და თავს არიდებს საკუთრივ ადამიანური ყოფიერების ფუნდამენტალურ კითხვებს.

ასეთ ვითარებაში, ადამიანის ასეთი გაუცხოების პირობებში, განსაკუთრებით ზიანდება ადამიანის, როგორც საზოგადოებრივი არსებობის, ბუნება.

ტექნიკური აღმოჩენებით, სიახლეებით გართული ადამიანების მზერა, უფრო გარე სამყაროზე მიმართული, შესაბამისად, ადამიანს ყურადღების გარეშე რჩება თავისი თავი, შეზღუდულია მისი თვითშემეცნების პროცესი, იგი სრულიად ვერ ახერხებს შინაგანი ძალების რულ გაშლას და რეალიზაციას. ამდენადვე, შეზღუდულია მისი თავისუფლებაც. თანდათან ფერხდება ადამიანის მიერ ჰუმანიზებული, კულტურული სამყაროს შექმნის პროცესიც. ჩვენ ვცხოვრობთ კულტურის დაცემის პირობებში და ეს სიტუაცია ომს არ შეუქმნის, არამედ ომი თვითონაა მისი გამოვლენა – აღნიშნავს ალბერტ შვაიციერი.

ისმის კითხვა შესაძლებელია დღეს ტექნიკური ცივილიზაციის, ახალ ტექნოლოგიურ მიღწევათა შედეგების სრული კონტროლი, რეგულირება, მისგან მომდინარე საფრთხეების გამოვლენა და დაძლევა (სხვათაშორის, კორონა ვირუსიც გაუკონტროლებელი ტექნიკური ცივილიზაციის შედეგია, მიუხედავად მისი ბუნებრივი თუ ხელოვნური გზით წარმოშობისა. თუმცა მის წარმოშობას სხვა ფაქტორებიც განაპირობებენო.

როგორი იქნება მომავალი, შესაძლებელი პროგრესი – იქნება იგი უფრო მიზანშეწონილი, ორგანიზებული, გააზრებული, ზნეობრივ ღირებულებებზე ორიენტირებული, უშუალოდ დამოკიდებულია ადამიანის კულტურის დონისაგან, მაგრამ აქ ერთ თავისებურებასთან გვაქვს საქმე – კულტურაც, ღირებულებები, ზნეობრივი პრინციპები ტექნიკური ცივილიზაციის გავლენას განიცდის და რაც დრო გადის ეს გავლენა უფრო ფართო და სახიფათო ხდება.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ კულტურის განვითარება შეუძლებელია ცივილიზაციის გარკვეული დონის გარეშე, ხოლო კულტურული დეგრადაცია პრინციპულ საფრთხეს ქმნის ცივილიზაციისათვის – იქმნებიან უკულტურო ცივილიზაციის ნიმუშები.

ამდენად, ცხადია, რომ ერთის მხრივ კულტურულ

6 ე. ტოფლერი, მომავლის შოკი, მოსკოვი, 2002 (რუსულ ენაზე). გვ. 352.

7 ზ. კაკაბაძე, ხელოვნება, ცხოვრება, ფილოსოფია, თბ., 1979. გვ. 201.

ლი პროგრესი ცივილიზაციის პროგრესის ბაზარზე ხორციელდება, მეორე მხრივ, ისიც ცხადია, რომ ცივილიზაცია საფრთხეში ვარდება, როცა ქრება ერთიანობისა და ურთიერთგაგების, სიყვარულისა და ურთიერთანგარიშგანევის, ურთიერთპატივისცემის კულტურული პათოსი და მის ადგილს ეგოისტური ურთიერთდაპირისპირებისა და აგრესიის „უკულტურო“ განწყობილება იკავებს.⁸

ცხადია, ისიც რომ, როცა საზოგადოებაში ქაზობის ცივილიზაციის მიმართულებით მოღვაწეობა, მაშინ კულტურული დეგრადაცია გარდაუვალი ხდება. მხედველობაში აქვთ მხოლოდ ის, რაც ბიოლოგიურ არსებობას სჭირდება და ავინყდებათ ის, რაც ამის იქით, ზევით აუცილებელია ადამიანისათვის – ბიოლოგიური ორგანიზმის სახით არსებობის „სტრანსცენდირება“ და სხვა ადამიანებთან, საზოგადოებასთან, კაცობრიობასთან შინაგანი, სულიერი-იდეური ერთიანობა და გაერთიანება.⁹

ბუნებრივია, ისმის კითხვა – ტექნიკური ცივილიზაციის პირობებში რა დონეს შეიძლება მიაღწიოს ადამიანისა და მანქანის ურთიერთდამოკიდებულებამ, რა დონემდეა შესაძლებელი ზოგადად ადამიანის მოღვაწეობის, კერძოდ კი, გონებრივი შრომის ავტომატიზაცია? ხომ არ გადაიქცევა ადამიანი მანქანის დანამატად? საბოლოო ჯამში, ხომ არ მოელება ბოლო ადამიანის შემოქმედებით შრომას. მიუხედავად იმ დიდი საშიშროებისა, რაც შეიძლება მოუტანოს მანქანამ ადამიანს, ადამიანი ვალდებულია თავისი გონივრული მოქმედებით დაძლიოს ეს წინააღმდეგობები. თავისთავად კი, ადამიანის გონებრივი ინტელექტუალური შესაძლებლობები არასდროს გალარობდება, რადგან შემოქმედებითი მოღვაწეობა უნდა განვიხილოთ ადამიანის, როგორც აზროვნების ისეთი ნაირსახეობა, რომელიც მუდმივად ქმნის მოქმედების ახალ სისტემებს, ან აღმოაჩენს ადამიანთა გარემომცველ მოვლენათა ჯერ კიდევ უცნობ კანონზომიერებებს.

მომავალი სამყარო არ უნდა იყოს მბრძანებელ რობოტთა სამყარო, არამედ იმ ადამიანთა სამოქმედო ასპარეზი, რომელთა ფუნქცია, უწინარეს ყოვლისა, შემოქმედება, მეცნიერული კვლევა-ძიება და ქეშმარიტების დადგენაა. ადამიანი ხომა რ არის თავის თავში ჩაკეტილი არსება, მისი მზერა გარე სამყაროზეცაა მიმართული და ყოველთვის ცდილობს მაქსიმალურად მოახერხოს თავისი ძალებისა და უნარების ობიექტივაცია.

XXI საუკუნის სამყარომ კიდევ უფრო მკაცრი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს ადამიანის გონების შეზღუდულობას. მან არ უნდა მისცეს ადამიანს თვით დამშვიდების უფლება, დაელოდონ როდის გამორჩედიან ხელოვნური ინტელექტით აღჭურვილი რობოტები.

8 ზ. კაკაბაძე. ხელოვნება, ფილოსოფია, ცხოვრება. თბ., 1979, გვ. 191.

9 ზ. კაკაბაძე. ხელოვნება, ფილოსოფია, ცხოვრება. თბ., 1979, გვ. 19.

დღევანდელი დროის ამოცანაა – რაც შეიძლება სწორი მიმართულება მიეცეს ადამიანისა და მანქანის ურთიერთობას. მკაცრად უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან შესაძლებელი და რეალური მიზანი. მართალია, **თანამედროვე ტექნიკური ცივილიზაციის პირობებში ადამიანი თითქმის ყოველთვის აღწევს ნებისმიერ მიზანს, თუკი მოისურვებს, თუმცა, შესაძლოა, მოგვიანებით მიხვდეს იმას, რომ საფასური, რომლის გადახდაც მას ამისთვის მოუწევს ამ მიზნის მიღწევებს აბსურდულს ხდის.** რასაკვირველია, შესაძლებელია, რომ უახლესმა ტექნოლოგიურმა სისტემებმა გადალახონ გარკვეული სირთულის ზღვარი და გამოავლინონ ერთგვარი „ინდივიდუალობის“ ნიშნები. ამიტომაც ჩვენ ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ მოულოდნელობების, საზრუნავისა და სიფრთხილეებისათვის, რომელიც დღეს ნაკლებადაა ნარმოსადგენი, თუმცა ხვალ შეიძლება რეალობად იქცეს. **თანამედროვე ტექნიკური ცივილიზაციის პირობებში, აუცილებელია ერთი მეორისაგან პრინციპულად უნდა გაავიჯნოთ და გავითვალისწინოთ ორი რამ: ტექნიკური თავლსაზრისით რისი გაკეთებაა შესაძლებელი და რამდენადაა გონივრული და მიზანშეწონილი მისი დამზადება. ამ მნიშვნელოვანი პრობლემის რაციონალურად გადაჭრაზე დიდადაა დამოკიდებული კაცობრიობის ბედი, მისი მომავალი. ყოველი შექმნილი, ან შესაძლებელი ტექნიკური სიახლე, ადამიანის გონიერებისა და მისი საზრიანობის მაჩვენებელი უნდა იყოს.**

ბომბში, როგორც ასეთში როგორც ფიზიკურ მოწყობილობაში, რომელშიც უზარმაზარი ენერგია აკუმულირებული თავისთავად არც დადებითი და არც უარყოფითი ღირებულება არ იგულისხმება, თუმცა მისი გამოყენება შესაძლებელია, როგორც კეთილის, ასევე, ბოროტი საქმისათვის.¹⁰

სწორედ ამიტომაც საჭირო და აუცილებელი ტექნიკური სიახლეების გონივრული მართვა. შესაძლებელიც რომ იყოს სუპერმოაზროვნე მანქანების შექმნა, იგი ვერავითარ სიკეთეს ვერ მოუტანს კაცობრიობას მანქანა ყოველთვის იმ საქმეს უნდა მოემსახუროს, რა მიზნისათვისაცაა იგი შექმნილი.

მაღალი კულტურის ფონზე შექმნილი ცივილიზაცია უნდა შთააგონებდეს ადამიანს, რომ იგი არის არა მხოლოდ მომხმარებელი არსება, რომელმაც განუწყვეტლივ უნდა აწარმოოს დამაკმაყოფილებელ ნივთ-ინდუსტრია, არამედ სულიერ-გონითი, ემოციურ-ინტელექტუალური არსება.

ჩვენი მიზანი ადამიანის, მისი შესაძლებლობების სრულყოფა უნდა იყოს და არა ხელოვნური ინტელექტის შეუზღუდავი განვითარება. ყოველი კიბერნეტიკული სისტემა მიმართული უნდა იყოს ადამიანური ინტელექტის გასაძლიერებლად და არა მის ჩასანაცვლებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ – ძლიერ მანქანას და სუსტ ადამიანს.

ადამიანის ყოფიერების, არსებობის განსაკუთ-

10 ნ. ჭავჭავაძე. კულტურა და ღირებულება. თბ., 1984, გვ. 33 (რუსული ეგზემპ.).

რებული წესი, უპირველეს ყოვლისა, იმაში უნდა გამოიხატებოდეს, რომ იგი თვითონ უნდა ირჩევდეს ტექნიკური პროგრესის შესაძლებლობებიდან ყველაზე არსებით, გონივრულ აღმოჩენებსა და მიღწევებს, რომლებიც შეესაბამებიან და მიანიშნებენ ადამიანის გონითი მოღვაწეობის ხასიათსა და მნიშვნელობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანი გახდება მსხვერპლი ტექნიკური პროგრესის მანიველირებელი ზეგავლენის.

ადამიანის ფსიქიკის ნიშნების ხელოვნური ტვივის შექმნის შესაძლებლობების შესახებ კამათმა არაერთხელ ჩაითრია დისკუსიაში მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები.

აქტუალურია კითხვა – შესაძლებელია თუ არა ცოცხალი ტვივის იდენტური ელექტრონული ტვივის შექმნა? – ალბათ, კი. მაგრამ იმედია კაცობრიობა იფიქრებს მისი შექმნის მიზანშეწონილობაზე. პოლონელი მწერალი სტანისლავ ლემს¹¹ მიაჩნია, რომ შესაძლებელია როდისმე ადამიანმა შეძლოს ცოცხალი ტვივის მსგავსი ელექტრონული ტვივის აგება, მაგრამ მისი შექმნა არ იქნება გამართლებული.

მეშინია იმ დღის – აღნიშნავდა ა. აინშტაინი – როდესაც ტექნიკა ადამიანურ ურთიერთობებს გადაწონის. ცხადია, ტექნიკური ცივილიზაციის შედეგებით სამყაროს ვერ მართავ, სამყაროს მართვა ადამიანთა გონებრივი შესაძლებლობითაა შესაძლებელი.

ტექნიკური ცივილიზაციის პირობებში, მხოლოდ ისეთ ცვლილებებს, გარდაქმნებს აქვთ არსებობის უფლება და მხოლოდ ისეთ პროგრესს უნდა შეუნყოს ხელი, ისეთი პროგრესი უნდა ნახალისდეს, რომელიც შეესაბამება და შეესატყვისება ადამიანის ინტერესებს და მოიაზრება ადამიანთა ადაპტაციის უნარის ფარგლებში, ამიტომაცაა, რომ დღეს მეტად აქტუალურია პრაქტიკული გონების პრიმატის ანუ

ზნეობის მიზნებისადმი მეცნიერული კვლევების დაქვემდებარების პრობლემა. ეს პრობლემა ერთიანად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა, როგორც ჰუმანიტარული დარგის მეცნიერთათვის, ისე ტექნიკურ-საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სფეროს წარმომადგენელთა შორის.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერდიაევი ნიკოლოზ. ადამიანის ბედი თანამედროვე სამყაროში, თბილისი, 2007;
2. ფრანგიშვილი არჩილ, ნამიჩიშვილი ოლეგ. საუბრები ფილოსოფიის შესახებ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2009;
3. ბუაჩიძე თამაზ. თანამედროვე დასავლური ფილოსოფიის სათავეებთან. თბილისი, 2013;
4. კალანდია ი., კუტუბიძე კ. ცივილიზაცია, კულტურა, პროგრესი, თბილისი, 1999;
5. ბრეგაძე ა. ადამიანი, ფილოსოფია, კულტურა, თბილისი, 2008;
6. კუტუბიძე იაშა (კოკა). ფილოსოფიური გააზრებანი, თბილისი, 2017;
7. კვარაცხელია ნ. ფილოსოფიური გააზრებანი. თბილისი, 2017;
8. ტოფლერი ე. მომავლის შოკი, 2001 (რუსულ ენაზე);
9. იასპერსი კ. კულტურა და ღირებულება, თბილისი, 1984 (რუსულ ენაზე);
10. ჭავჭავაძე ნ. კულტურა და ღირებულება. თბილისი, 1984 (რუსულ ენაზე);
11. კაკაბაძე ზ. ხელოვნება, ცხოვრება, ფილოსოფია. თბილისი, 1979;
12. ჯეიმს ალენი. როგორ აზროვნებს ადამიანი. თბილისი, 2014;
13. ქეცბაია კახა. მაქს ვებერი - ცხოვრება და შემოქმედება. თბილისი, 2017;
14. ფსიქონალიზი და კულტურა. მ., 1995 (რუსულ ენაზე).

11 ს. ლემი. ტექნოლოგიათა ჯამი. მოსკოვი, 1968, გვ. 128 (რუსულ ენაზე).

მცნობის კულტურა უძველეს საქართველოში და სახელი დიონისი, ანუ იგივე დიონისე?!

მილორდ სიჭინავა
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეზიუმე

სტატია ეძღვნება ღვთაება დიონისეს სახელის ეტიმოლოგიისა და საზრისის საკითხებს, რომელიც მეცნიერებაში დღემდე გარკვეული არაა. საყოველთაოდ გავრცელებული აზრის საპირისპიროდ, მასში აშკარად გამოიწველია ღვთაება ბახუსი და ღვთაება დიონისე და გამოთქმულია ვარაუდი, რომ ისინი სრულიად სხვადასხვა ღვთაებებია. ავტორის აზრით, ბახუსის კულტი გაცილებით ძველია, ვიდრე დიონისესი. ღვთაება ბახუსი – ესაა სწორედ ღვინის და ღვინის და, შესაბამისად, ასევე მისი თანმდევი გართობა-დროსტარებისა და ღრეობა-მზიარულეობის ღვთაება, ხოლო ღვთაება დიონისე – საკუთრივ მევენახეობა-მეღვინეობისა და საერთოდ მცენარეთა მფარველი ღვთაება. ავტორი იზიარებს შეხედულებებს, რომ სახელი დიონისე, სავარაუდოდ, ორნაწილადი სიტყვაა, ანუ კომპოზიტია და რომ იგი წინაბერძნული ანუ, როგორც მიღებულია, იგივე ქართველური სიტყვაა. ღვთაება დიონისესა და მისი სახელის აღმოცენებას ავტორი უკავშირებს მცნობის (იგივე ცონუსას კოლხურად), კულტურის აღმოცენებასა და განვითარებას საქართველოში და გამოთქვამს ვარაუდს, რომ იგი დანამდვილებით უნდა წარმოდგებოდეს სიტყვისგან დიფონიში ანუ იგივე ღმერთი მცნობისა კოლხურად, – სადაც სახელი დი, დიოს-ი, იგივე ოდი, ოდოია – საერთოდ ღმერთს, ამ შემთხვევაში კი – სახელდობრ ზევსს, ხოლო ცონიში – მცნობისა-ს უნდა ნიშნავდეს კოლხურად, – და ამით ასევე სავსებით ზუსტად აფიქსირებდეს მოვლენას, რომლის ფეტიშმაც, როგორც ჩანს, სწორედ წარმოშვა იგი. ამას თვალნათლივ ადასტურებენ მითი ზევსისა და სემელეს მიჯნურობისა და ღვთაება დიონისეს ორგზის დაბადების შესახებ და ასევე საკუთრივ მცნობის დღემდე შემორჩენილი ძირძველი სახეობები და მათი შესაბამისი საშუალებები საქართველოში. ამიტომ იგი წმინდა ქართველურ, კოლხურ სიტყვას უნდა წარმოადგენდეს. ავტორის აზრით, კოლხური სიტყვაა ჩანს თავად ბახუსიც. ნაშრომში შემოთავაზებულია მისი დასაბუთების სავარაუდო საკვანძო გზამკვლევი კოლხური სიტყვები.

საკვანძო სიტყვები: ბახუსი, დიფონიში / დიონისე, ცონუსა / მცნობა, ცა / ტოტი, ცარშუა / დამაგინება / დამანგინება, მანგი / მსგავსი, ზევსი, სემელე.

GRAFTING CULTURE IN ANCIENT GEORGIA AND THE NAME DIZONIŠI, OR THE SAME DIONYSUS?!

Milord Sichinava,
Doctor of Economic Sciences, Professor

ABSTRACT

The article is devoted to the issues of etymology and meaning of the name of the deity Dionysus, which are still unknown in science. Contrary to popular belief, it clearly distinguishes between the deity Bacchus and the deity Dionysus, and suggests that they are completely different deities. According to the author, the cult of Bacchus is much older than Dionysus. The deity Bacchus is the deity of wine and feast, and, consequently, its accompanying deity of pastimes and merriment, while the deity Dionysus is the patron deity of its own viticulture and winemaking, and of plants in general. The author shares the view that the name Dionysus is probably a two-part word, or composite, and that it is pre-Greek or, as accepted, the same Kartvelian word. The author connects the origin of the deity Dionysus and its name with the emergence and development of grafting culture (the same as *zonua* in Colchian), in Georgia and suggests that it must have really come from the word *Dizoniši* or the same god of grafting in Colchian, where the name *Di, Dios*, the same *Odi*, is *Odoia* – generally God, and in this case – the name Zeus, and *zoniši* should have the meaning of grafting in Colchian – and thus also quite accurately record the event whose fetish seems to have originated. This is clearly evidenced by the myth of the infatuation of Zeus and Semele and the twice birth of the deity Dionysus, as well as the ancient types of grafting and their corresponding means that survived in Georgia. Therefore, it must be a sacred Kartvelian, Colchian word. According to the author, the Colchian word seems to be Bacchus itself. The paper proposes a possible key guide of Colchian words for its justification.

Keywords: Bacchus, *Dizoniši* / Dionysus, *zonua* / graft, *za* / branch, *zaršua* / shoot transplantation, *mangi* / similar, Zeus, Semele.

ღვთაება დიონისეს ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს ძველ ღვთაებათა ბერძნულ პანთეონში, მაგრამ მისი სახელის ეტიმოლოგია და საზრისი მეცნიერებაში დღემდე გარკვეული არაა. მიუხედავად ამისა, არსებობს აზრთა ერთგვარი ერთიანობა იმის შესახებ, რომ იგი, სავარაუდოდ, ორნაწილიანი სიტყვა ანუ კომპოზიტია, რომლის პირველი ნაწილი – დიოს საერთოდ ღმერთს, კერძოდ კი – ზევსს ნიშნავს უდავოდ, ხოლო მეორე – ნუსოს, ნისოს რძალს ინდოევროპულ ენებზე¹ (Beekes 2010:337). შემოთავაზებულია ასევე ამ უკანასკნელის თითქოს შესაძლო მნიშვნელობების რიგი განსხვავებული ვარიანტებიც, მაგრამ მთლიანობაში ვერც ერთი მათგანი ვერ იძლევა მაინც სახელის – დიონისეს ეტიმოლოგიისა და საზრისის თუნდაც უბრალოდ, ასე თუ ისე მაინც, რამდენადმე სარწმუნო ვერსიას. ამან, ბუნებრივია, მეცნიერება მიიყვანა დასკვნამდე, რომ სახელი დიონისე, შესაძლოა, საერთოდ არც იყოს ბერძნული სიტყვა. მეტიც. რომ იგი დანამდვილებით ნინაბერძნული სიტყვაა (Beekes 2010:337). ნინაბერძნული კი, როგორც ეს უკვე თითქმის საყოველთაოდ მიღებულია, სავარაუდოდ, იგივე ქართველურია (ურუშაძე 1964; Furnée 1979; გორდენიანი 2007 და სხვ.). ამიტომ სავსებით ლოგიკურია მისი ეტიმოლოგია და საზრისიც სწორედ ამ უკანასკნელში ვეძიოთ.

ღვთაება დიონისე ანუ იგივე ვაკხი, ბაკხი, ბახუსი ძველბერძნულ მითოსში² – ესაა სწორედ ღვინის და ღვინის და, შესაბამისად, ასევე მისი თანმდევი გართობა-დროსტარებისა და ღრეობა-მხიარულების ღვთაება³. უფრო განვრცობილ-დაზუსტებული

განსაზღვრით, ღვთაება დიონისე – ესაა სწორედ საკუთრივ მევენახეობა-მელენეობისა და საერთოდ მცენარეთა მფარველი ღვთაება (მდრ. ქსე 1978:559). მისი ფეტიში, სავარაუდოდ, როგორც ჩანს, იწყებს აღმოცენებასა და გაბატონებას ცისა და ჭექა-ქუხილის ღვთაების, ღვთაება ზევსის, ზევსი-დიოსის გაბატონების პერიოდიდან. იგი ხომ სწორედ ზევსისა და სემელეს⁴ ვაჟია. ძველ ელადში იგი იწყებს შეღწევა-დამკვიდრებასა და გაბატონებას, ეტყობა, სწორედ თავად მიკენურ ხანაში (როგორც მიღებულია, დაახლოებით ძვ.წ. 1450–1150 წწ.), გამორჩეულად ვრცელდება უკვე სახელდობრ ელინისტურ ხანაში, ალექსანდრე მაკედონელის მიერ აღმოსავლეთში ლაშქრობის შემდეგ, განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, სადაც ღვინის წარმოებასა და გამოყენებას მისდევდნენ, და აღწევს თავად ინდოეთამდე. ვრცელდება იგი უპირატესად უბრალო ხალხში, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრებთა რიგებში (მდრ. ჰც 1891:394).

საყოველთაოდ ცნობილი და მიღებულია, რომ ღვინის სამშობლო სწორედ საქართველოა (მდრ. Frazer 1921:325), მაგრამ, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა გვეჩვენებოდეს ეს ფაქტი, ამ საკითხებზე ჩვენ მიერ მოძიებული მასალების მიხედვით, თუნდაც რაიმე სახის წარმოდგენაც კი მის მფარველ ადგილობრივ ძირძველ ღმერთებზე თანამედროვე ქართულ ცნობიერებას თითქმის საერთოდ არც კი შემორჩა.

მოსაზრებები და დასკვნები სახელის – დიონისეს ეტიმოლოგიისა და საზრისის შესახებ ზოგადად მეცნიერებაში გამოთქმულია უპირატესად უშუალოდ სწორედ თავად სახელის სტრუქტურული ნაწილებისა და მისი ელემენტების ერთგვარ შესაძლო მნიშვნელობათა გარშემო და თანაც სწორედ, უმეტესწილად, თითქმის საკუთრივ ინდოევროპულ ენებზე. შესაბამისად, მსგავსი კვლევა-ძიება, ბუნებრივად

ღრთა განმავლობაში შერწყმულ-შერეულია უცხოტომობრივი ელემენტები, უპირატესად ფრიგიული და თრაკიული. ესაა – ციური და მიზიური სიკეთისა და მისი და მზის სითბოთი განპირობებული ბუნების ცოცხალი ძალისა და ასევე ღვინისა და ადამიანზე მისი აღმზუნებადი ზემოქმედების ღვთაება, ... მამასადამე, ღვინის და მხიარულების ღვთაება (მდრ. ჰც 1891:394).

4 მითის მიხედვით, იგი ბეოტიის თებეს ლეგენდარული დამაარსებლის, ფინიკიელი კადმოსის ასული და, ამდენად, მამასადამე, ბეოტიის ორქომენის მეფის, ათამანტის მეორე მეუღლის, ფრიქსესა და ჰელეს დედინაცვლის, ინოს დაა, სწორედ იმ ინოსი, რომელმაც სასტიკად შეიძულა გერეები და იძულებული გახადა ისინი მსხვერპლად შეწირვისაგან თავდასაღწევად ღვთაებრივ ოქროს ვერძზე შემეჯდარნი სასწრაფოდ გაქცეულიყვნენ კოლხეთში. ენ. მითოლოგიური ქრონოლოგიით, ამით გარკვევითაა ფიქსირებული ღვთაება დიონისეს ორგზის დაბადების შესახებ ერთობ საგულისხმო თქმულების აღმოცენების სავარაუდო ეპოქა – დაახლოებით ოქროს საწმისის ეპოქა და ასევე მითის ერთგვარი კავშირიც საქართველოსთან.

1 მდრ. სიტყვა ნოსა – რძალი კოლხურად.

2 თუმცა ამ ღვთაებათა მსგავსი გაიგივება გარკვეულწილად აშკარად გაუმართლებელია, ვინაიდან ყოველი მათგანი, სავარაუდოდ, სრულიად სხვადასხვა მოვლენას ასახავს და სრულიად სხვადასხვა ეპოქას ეკუთვნის. ბახუსის კულტი, როგორც ჩანს, გაცილებით ძველია, ვიდრე დიონისესი და დროის სხვაობაც მათი აღმოცენების ეპოქებს შორის, შესაბამისად, ალბათ, ათასწლეულებს მოიცავს.

3 მკვლევართა ნაწილის მტკიცებით, ღვთაება ვაკხი ანუ ბახუსი, რომელსაც ბერძნები ზოგჯერ უწოდებდნენ დიონისესაც (მამასადამე, როგორც ჩანს, არა მუდმივად, არა ყოველთვის, რაც ასევე აშკარად მიუთითებს ამ ღვთაებათა არსებით განსხვავებაზე, ვინაიდან იგი აღებულია, როგორც ჩანს, უშუალოდ რომელიღაც წყაროდან და, სავარაუდოდ, თავად ავტორთა ფანტაზია არაა), რომაელები ლიბერს, იყო თადაპირველად თრაკიული ან ფრიგიული ღვთაება, რომლის კულტიც გადმოღებულ იქნა ბერძნების მიერ ძალიან ადრე (სახელდობრ როდიდან, ეს აქ დაზუსტებული არაა, მაგრამ ის მაინც ერთობ საგულისხმო მითითებაა). საბერძნეთში ეს კულტი დამკვიდრდა საფუძვლიანად ღვინის წარმოების გავრცელების შედეგად (რაც, ალბათ, დიონისეს კულტის წარმოშობაზე გაცილებით ადრე უნდა დაწყებულიყო). ზოგიერთი მკვლევარის ვარაუდით, იგი ბერძნული ღმერთია, რომლის შესახებ მითებსა და თაყვანისცემა-რიტუალებში

ნებრევიან, შესაძლებელი იყო ვერ გამხდარიყო და სინამდვილეში ვერც გახდა შედეგიანი და მან, ცხადია, ვერც მიაღწია თავის ლოგიკურ, სასურველ დასასრულს. ამიტომ, მსგავსი შედეგის მიღწევისათვის, რასაკვირველია, აუცილებელია საკითხისადმი უფრო მასშტაბური მიდგომა და, ამდენად, შესაბამისად, ასევე მისი კვლევის საზღვრების გაფართოება უკვე სახელდობრ სწორედ ენობრივი თვალსაზრისითაც.

რასთან გვაქვს საქმე სინამდვილეში?

როგორც ზემოაღნიშნულ განმარტებებშია მითითებული, ღვთაება დიონისე – ესაა სწორედ მევენახეობა-მეღვინეობისა და საერთოდ მცენარეთა მფარველი ღვთაება, მაშასადამე, – ესაა, ფაქტობრივად, სინამდვილეში სახელდობრ მცენარეთა ზრდა-გამრავლება-სრულყოფა-გაუმჯობესებისა, ანუ იგივე პროგრესულ-კულტურულ სახეობებად მათი ეფექტიანი გადაქცევისა და, შესაბამისად, ასევე მათი ნაყოფიერების მაქსიმალურად ამაღლების მფარველი ღვთაება. ამიტომ, ცხადია, მისი სახელის ეტიმოლოგია და საზრისიცი უნინარესად სწორედ ამდაგვარ მოვლენებში უნდა ვეძიოთ.

თუკი საფუძვლიანად ჩავუღრმავდებით პრობლემას, ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელმაც ისტორიულად სინამდვილეში, როგორც ჩანს, პირნმინდად, ძირფესვიანად შეცვალა სიტუაცია აღნიშნულ სფეროში, განსაკუთრებით, საკუთრივ მევენახეობა-მეხილეობის განვითარების პროცესში, უდავოდ მცნობაა.

მცნობა⁵ (მცნა – „სხვა ხე სხვას ხეზე მოაბას“, საბა 1991:536) ცოლხურად⁶. იგი დანამდვილებით მომდინარეობს სიტყვისგან: ცა – ტოტი კოლხურად⁷. აქედან, ალბათ, სახელიც ცაშუა, იგივე ცარშუა, იგივე გადანიდნვა ანუ დამაგინება, ალბათ, იგივე და-მანგ-ინება, ანუ იგივე მანგის, მსგავსის ქმნალობა კოლხურად⁸ (მდრ. ჯავახიშვილი 1934:313-315; ქსე 1984:240 და სხვ.), რომლითაც შესაძლებელი

5 მცნობა, აბლაქტირება – ერთი მცენარის (სანამყენე) კალმის ან კვირტის გადანერგვა მეორე მცენარეზე (საძირე). მცნობა ხეხილოვანი ჯიშების ვეგეტატიური გამრავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. მას იყენებენ მრავალწლოვანი მცენარეების ჯიშური თვისებების შესანარჩუნებლად, გასაუმჯობესებლად. საძირისა და სანამყენის შერჩევა ხდება მათი მაღალი სამეურნეო თვისებების, ყინვა-გვაღვა და მავნებლებ-დაავადებებისადმი გამძლეობის, აგრეთვე ადრე მსხმოიარობის მიზნით. ... მევენახეობაში უფრო კალმით მცნობას იყენებენ (ქსე 1984:240).

6 ცონუა – მცნობა; დაყუდება; ბუდრობა, ყუჟვა; ხის სახლის ჭურჭუტანების ამოქოლვა, ამოვსება (ქობალია 2010:655).

7 ცა – ტოტი, განშტოება (ხისა, მდინარისა) (ქობალია 2010:652).

8 ცაშუა (ცაშუას) იგივეა, რაც ცარშუა, – გადანიდნვა, – ცოცხალი ტოტის გადანვენა და მინაში ჩაფლვა, რომ ფესვები გაიკეთოს (ქაჯაია 2002:218).

ხდება საერთოდ მცენარეთა ზუსტად იგივე ჯიშობრივ-კულტურულ სახეობათა მიღება, მაშინ, როდესაც გამრავლება დათესვით უმეტესწილად ველურ სახეობებს იძლევა. ამიტომ წესი ცარშუა, ამ თვალსაზრისით, გაცილებით უფრო პროგრესული, მაგრამ მაინც იმავდროულად მეურნეობის განვითარების იმდაგვარივე ექსტენსიური წესია, როგორც გამრავლება დათესვით და ამიტომაც, ცხადია, სინამდვილეში ვერც ახდენს არსებით, კარდინალურ ცვლილებებს საერთოდ მცენარეების (და განსაკუთრებით ვაზის კულტურის) ჯიშობრივ-კულტურულ სახეობათა სრულყოფა-გაუმჯობესებისა და მათი პროდუქტიულობის ამაღლების პროცესში. ასეთ ცვლილებებს იძლევა მხოლოდ და მხოლოდ მცნობის, ანუ იგივე ცონუას კოლხურად, კულტურა, კალმით ან კვირტით მცენარეთა ზრდა-გამრავლებისა და მათი პროგრესულ-ჯიშობრივ სახეობათა შექმნა-გაკულტურების პირნმინდად რეგოლუციური მეთოდი, რომელმაც სინამდვილეში, როგორც ჩანს, მართლაც და ძირფესვიანად შეცვალა სიტუაცია აღნიშნულ სფეროში, უნინარესად სწორედ საკუთრივ მევენახეობა-მეხილეობის განვითარების პროცესში და, ამით ფაქტობრივადაც, ალბათ, უდავოდ, მოახდინა კიდევ რეალურად მისი მანამდე ჯერარნახული და სრულიად გაუგონარი ინტენსიფიკაცია, და, შესაბამისად, როგორც ჩანს, დაუდო ასევე სათავე მითის აღმოცენებას ზევსისა და სემელეს ვაჟის, დიონისეს ორგზის დაბადების შესახებ.

მითი მოგვითხრობს: ზევსი უზომოდ ეტრფოდა სემელეს და მისი კანონიერი მეუღლის, ქალღმერთ ჰერასგან მალულად, ჩვეულებრივი მოკვდავის სახით, თურმე ჩუმ-ჩუმად ხვდებოდა კიდევ მას. მაგრამ ეჭვით შეპყრობილ ქალღმერთ-პელასგიდს⁹ მსგავსი რამ როგორ გამორჩებოდა. შურისძიების ჟინით აღვსილმა, მან შეაგონა სემელე, ეთხოვა ზევსისთვის გამოცხადებოდა მას სწორედ მისი ნამდვილი სახით და მოაღერსებოდა ისევე, როგორც თავად ჰერას ეაღერსება. ზევსმა უარი ვერ უთხრა სემელეს და ეახლა კიდევ მას მთელი თავისი ღვთაებრივი ბრწყინვალეობითა და ძალმოსილებით ელვა-ცეცხლითა და ჭექა-ქუხილით გარემოცული. ამას ორსულმა ველარ გაუძლო და იქვე ტანჯვით დაღლია სული. ზევსმა სასწრაფოდ გამოიყვანა ექვსი თვის ჩვილი ქალის მუცლიდან, თავის ბარძაყში ჩაისვა (ანუ იგივე ჩაიმყნო, ქინი-ცონუ კოლხურად, – ალბათ, სწორედ ეს სურდა ეთქვა მითომემოქმედს) იგი (მდრ. Apollodorus III.4.3; Frazer 1921:316-319; ტონია 1998:83-94; იხ. სურათი 1) და შემდგომ, დღესრულ-ორგზის დაბადებული (მდრ. Diodorus Siculus III.62.5; Oldfather 1967:288-289; Suidæ 1705,

9 „პელასგიდი ჰერა – [აპოლონიოსი] ჰომეროსისეზურად უწოდებს ჰერას პელასგიდს თესალიის მხრიდან [ნარმოშობის გამო]“ (აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ სქოლიონები, ურუშაძე 1964:318-319).



I:591), გაზრდა-მოვლისთვის მაკრისს¹⁰ გადასცა (შდრ. ზC 1891:394). და სწორედ ეს ჩვილი ხდება, მითის მიხედვით, შემდგომში უკვე ერთობ პატივდებული და სახელგანთქმული ღვთაება დიონისე, ანუ, სავარაუდოდ, იგივე დიქონიში (იგივე დიქონი?! დიონი?!¹¹) კოლხურად. მსგავსად სახელისა – დიონისე, სახელი დი-ქონი-შიც, სავარაუდოდ, ორნაწილადი სიტყვა ანუ კომპოზიტი და წარმოდგება სიტყვებისაგან: დი, იგივე დიოს-ი (ანუ იგივე ოდი, ოდოია, ზევს-ოდოია?! კოლხურად) (შდრ. სიჭინავა 2015:219) – ღმერთი, ამ შემთხვევაში, იგივე ზევსი და ქონი-ში – მცნობ-ის-ა კოლხურად, ანუ, მთლიანობაში, იგივე ღმერთი მცნობისა კოლხურად და, ამდენად, მისი თუნდაც მართოდენ ესოდენ მორგებული და ადექვატური სახელით, უკვე თავისთავადაც, სავსებით ზუსტად აფიქსირებს მოვლენას, რომლის ფეტიშმაც, როგორც ჩანს, სწორედ წარმოშვა იგი

10 შდრ. გადმოცემები ნიმფა მაკრისსა და მის კავშირზე საქართველოსთან: „მაკრისმა ევბეა-აბანტისზე პირველად შეიფარა თავის კალთაში ზევსის ვაჟი ნისეოსი [დიონისე] და გაფიცხებულ ბაგეზე თაფლი მოცხო, როცა იგი ჰერმესმა ცეცხლიდან ამოიყვანა. ეს ჰერამ დაინახა და განრისხებულმა მაკრისი კუნძულიდან გააძევა“ (აპოლონიოს როდოსელი IV:1131; ურუშაძე 1964:141),... „მაკრიელ ვაჟკაცთა პელაზგური ლაშქარი ...“ (აპოლონიოს როდოსელი I:1023-1024; ურუშაძე 1964:130); არგონავტიკის სქოლიასტი აღნიშნულ ცნობას ასე განმარტავს: „მაკრიელი: ენ. მაკრონები, რომლებიც გადმოსახლებული არიან ევბელთაგან, საიდანაც მაკრონები ენოდათ. საქმე ისაა, რომ ევბეას მაკრისიც ერქვა. პელაზგური კი იმიტომ თქვა [პოეტმა], რომ ევბეა მეზობელი მხარეა პელოპონესისა, რომელიც უწინ პელაზგიად იწოდებოდა...“ (აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ სქოლიონები, ურუშაძე 1964:130-131, 321-323),... მაკრონების ანუ, როგორც ასაბუთებენ, იგივე მეგრელების შესახებ შდრ.: ყაუხჩიშვილი 1964:17-18; ჯავახიშვილი 1908:24; ურუშაძე 1964:125-140, 166 და სხვ.

11 სახელი დიონი კაცის სახელია სამეგრელოში (შდრ. ლლონტი 1986:113) და, სავარაუდოდ, დღემდე შემორჩენილი საკმაოდ გავრცელებული საგმირო სახელიც.

და ამით ასევე ამჟღავნებს კიდევ თავის საკუთარ წარმომავლობასა და საზრისსაც. მითში სრულიად ზედმინეწითაა გადმოცემული აგრეთვე მცნობის (განსაკუთრებით, კალმით მცნობის) კულტურის აღმოცენების პირობებისა და თავად მცნობის პროცესის განხორციელების მსვლელობა მთელი სიგრძე-სიგანით და შემდგომში უკვე დღესრულ-მომძლავრებული ნამყენი ნერგის საგულდაგულო მოვლა-პატრონობისა და მიხედვის საჭიროება თავიდან ბოლომდე, და, მითომემოქმედების უაღრესად მაღალმხატვრული ფორმებისა და ხერხების გამოყენებით, გასაოცარი ოსტატობითა და დახვეწილობითაა წარმოდგენილი მისი შესაბამისი, მართლაც და სრულიად გამოგნებელი მითოსური შებურვაც: მითი ხომ მუდამ უფრო ეძღვნება ერთობ უცნაურ, შთამბეჭდავ მოვლენებს, რომელთაც შეძლეს შეექმნათ ეპოქა.

და სწორედ ასეთ, პირნმინდად ეპოქალურ მოვლენას უნდა წარმოადგენდეს, სავარაუდოდ, მცნობის კულტურის აღმოცენება და განვითარება უძველეს საქართველოში და დროთა განმავლობაში მისი, როგორც ჩანს, საკმაოდ სწრაფი და ინტენსიური გავრცელებაც დედამიწაზე, ალბათ, უწინარესად, სახელდობრ სწორედ იმდროინდელი ცივილიზებული მსოფლიოს მასშტაბით, განსაკუთრებით, იმ არეალში, სადაც ისტორიულად სწორედ მევენახეობა-მეღვინეობასა და მეხილეობას მისდევენ. ამან, როგორც ჩანს, სინამდვილეში გამოიწვია მდგომარეობის ძირფესვიანი ცვლილება აღნიშნულ სფეროში და, შესაბამისად, შორს გაიტანა მისი ღვთაების – დიონისესა და ასევე ღვინის და ღვინის ღვთაების – ბახუსის სახელიც, რომელთა კულტიც ამ დროისათვის, ეტყობა, უკვე იწყებს გარკვეულწილად დაახლოებასა და შერწყმასაც და ამით უქმნის კიდევაც ერთგვარ საფუძველს ამ ღვთაებათა შემდგომ გაიგივებას. მსგავს მსოხარებას აშკარად ეხმარება საკუთრივ მცნო-



ბის (განსაკუთრებით, კალმით მცნობის) დღემდე შემორჩენილი ძირძველი სახეობები და მათი შესაბამისი საშუალებები საქართველოში (იხ. სურათი 2).

ამდენად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დაბეჯითებით ვივარაუდოთ, რომ სახელი დიონისე დანამდვილებით უნდა წარმოდგებოდეს სიტყვისგან დიქონიში – ღმერთი მცნობისა კოლხურად და ამით, როგორც ჩანს, ასევე სავსებით ზუსტად აფიქსირებდეს მოვლენას, რომლის ფეტიშმაც, ეტყობა, სწორედ წარმოშვა იგი. ამიტომ იგი წმინდა ქართველურ, კოლხურ სიტყვას უნდა წარმოადგენდეს. კოლხური სიტყვა ჩანს ასევე თავად ბახუსიც¹², თუმცა ამ უკანასკნელის დასაბუთება არც თუ ისე იოლი საქმეა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გორდეზიანი 2007: რ. გორდეზიანი, *მედიტერანულ-ქართველური მიმართებები: II, სანყისები*, გამომცემლობა ლოგოსი, თბილისი.

2. საბა 1991: სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I ტ., გამომცემლობა მერანი, თბილისი.

3. სიჭინავა 2015: ღვთაება „ოდი“ – ფულადქვეული ოქროს ღვთაება და ქართული სახელმწიფოებრიობის საკითხი, სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, №4, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, გვ. 217–221.

4. ტონია 1998: *დიდი ზეციური ღმერთები*, თხრობა და კომენტარები ნ. ტონიასი, პროგრამა ლოგოსი, თბილისი.

12 საგულისხმოა ამ მხრივ სიტყვები: ბახუა – ბრა-ხუნი, ბრაგუნი (ქაჯაია 2001:231), დიდ-დიდი ლუკმებით, მადიანად ჭამა; ნებეირად, დიდი ნაფაზებით ბოლება (თუთუნისა) (ქობალია 2010:59); ბახვა – დიდი, მსხვილი და სხვ. (ქაჯაია 2001:231); ბეხვე – მსხვილი, ჩასუქებული; ფუმფულა (ქაჯაია 2001:238); ბუთხუზა (ქობალია 2010:62) და სხვ.

5. ურუშაძე 1964: ა. ურუშაძე, *ძველი კოლხეთი არკონავტების თქმულებაში*, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

6. ქაჯაია 2001, 2002: ო. ქაჯაია, *მეგრულ-ქართული ლექსიკონი*, I, III ტ., გამომცემლობა ნეკერი, თბილისი.

7. ქობალია 2010: ა. ქობალია, *მეგრული ლექსიკონი*, გამომცემლობა არტანუჯი, თბილისი.

8. ქსე 1978, 1984: *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, III, VII ტ., თბილისი.

9. ლლონტი 1986: ა. ლლონტი, *ქართველური საკუთარი სახელები, ანთროპონიმთა ლექსიკონი*, გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, თბილისი.

10. ყაუხჩიშვილი 1964: ს. ყაუხჩიშვილი, *რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ*, გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, თბილისი.

11. ჯავახიშვილი 1908: ი. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, წიგნი I, ტფილისი, 1908.

12. ჯავახიშვილი 1934: ი. ჯავახიშვილი, *საქართველოს ეკონომიური ისტორია*, II წიგნი, თბილისი.

13. ЭС 1891: *Энциклопедический словарь*, Т. V, издатели Ф. А. Брокгаузъ, И. А. Ефронъ, С.-Пб: Семеновская Типо-Литография (И. А. Ефрона).

14. Beekes 2010: R. Beekes, *Etymological Dictionary of Greek*, I and II Vol-s, with the assistance of L. van Beek, Brill, Leiden and Boston.

15. Frazer 1921: *Apollodorus, The Library*, Vol. 1, with an English Translation by Sir J. G. Frazer, Cambridge, MA, Harvard University Press.

16. Furnée 1979: E. J. Furnée, *Vorgriechisch-kartvelisches Studien zum ostmediterranean Substrat nebst einem Versuch zu einer neuen pelasgischen Theorie*, Leuven.

17. Oldfather 1967: *Diodorus Siculus, The Library of History*, II Vol., translated by C. H. Oldfather, Cambridge, MA, Harvard University Press.

18. Suidæ 1705, I: *Suidæ Lexicon, Græce & Latine*, Typis Academicis, Cantabrigiæ.

გამოყენებული ილუსტრაციები:

სურათი 1 – დიონისეს დაბადება, ლარნაკნერა, ძვ.წ. 405–385 წწ., ტარანტოს ეროვნული არქეოლოგიური მუზეუმი, იტალია, <https://stmuhistorymedia.org/cult-of-dionysus>

სურათი 2 – კალმით მცნობა, <https://genius.ge/35462-xis-qerqze-mynoba>

საზოგადოებრივი აუცილებლობისა და მოქალაქეთა თავისუფლების თანაფარდობის ეფემერენტული პრობლემა კორონავირუსის პანდემიის პირობებში

იოსებ არჩვაძე

ეკონომიკის დოქტორი,
ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი.
სტუ-ს საქართველოს საწარმოო ძალებისა
და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი
ცენტრის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

ЭКЗИСТЕНЦИАЛЬНАЯ ПРОБЛЕМА СООТНОШЕНИЯ МЕЖДУ ОБЩЕСТВЕННОЙ НЕОБХОДИМОСТЬЮ И СВОБОДОЙ ГРАЖДАН В УСЛОВИЯХ КОРОНАВИРУСНОЙ ПАНДЕМИИ

* * * *

Иосиф Арчвадзе

Доктор экономических наук,
профессор Кутаисского университета.
Главный научный сотрудник Центра изучения
промышленных сил и природных ресурсов Гру-
зии Гту

РЕЗЮМЕ

Коронавирусная пандемия оказала небывалое влияние в мировом масштабе на экономические и социальные процессы, межличностные отношения, на психическое состояние людей и их ожидания. Пандемия одновременно устроила тройственный экзамен, тестирование: **Рынка**, как регулирующего механизма деловых отношений, эффективности вовлеченных в этом процессе **Институтов** и компетентности **Субъектов**, принимающих соответствующие решения. В этих условиях особенно проявилась роль государства в преодолении последствий пандемии в медицинском и экономическом аспектах. Это, в свою очередь, по новому поставил многие вопросы взаимоотношения и ответственности государства и его граждан: в какой степени вписываются в общегосударственные интересы действия отдельных индивидов, насколько глубоко вторгается государство в личную жизнь, граждан под прикрытием повода борьбы с распространением и последствиями коронавирусной пандемией; где прослеживается грань между институциональной и личностной полномочиями основных субъектов современной цивилизации – Государства и Личности, без ущемления или вторжения в сферу эксклюзивной ответственности друг друга.

საკვანძო სიტყვები: კორონავირუსის პანდემია, სახელმწიფოს ფუნქცია, გლობალიზაცია, პიროვნების თავისუფლება.

2020 წელი კაცობრიობის მეხსიერებაში დარჩება როგორც კორონავირუსის პანდემიის წელი, რომელმაც არნახული ზეგავლენა მოახდინა მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებზე, ადამიანთაშორის ურთიერთობებზე, ამ უკანასკნელთა ფსიქიკურ მდგომარეობასა და მოლოდინებზე. კორონავირუსის პანდემიის პირობებში სახელმწიფომ თავის თავზე აიღო თითქმის აბსოლუტური პასუხისმგებლობა სამედიცინო პროცესების მართვასა და ამ ასპექტით საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. ამ მხრივ მისი როლი და მნიშვნელობა ფასდაუდებელი და პოზიტიურია.

ამავე დროს მნიშვნელოვანია, რომ კორონავირუსთან ბრძოლის საბაზით სახელმწიფოს მიერ თავის თავზე ყველა საბაზრო რისკის აღებისას არ უნდა გადაიღახოს ზღვარი, რომელიც ყოფს აუცილებელ ანტიკრიზისულ ღონისძიებებს ეკონომიკის ტოტალური გასახელმწიფოებრისაგან. ეს არ არის მხოლოდ ინტერესთა და გავლენის სფეროების გამიჯვნის პრობლემა, ეს ეგზისტენციური საკითხია, რომლის მიხედვითაც შეიძლება დემოკრატიული საზოგადოების განსხვავება არადემოკრატიული (ავტორიტარული, ტოტალიტარული) საზოგადოებისაგან. ამიტომ, საჭიროა საზოგადოებრიობის მხრიდან მუდმივი მონიტორინგი იმისათვის, რომ სახელმწიფოს ჩარევა არ იქცეს საბაზრო ურთიერთობებისა და ეკონომიკური ზრდის, მთლიანად განვითარების შემზღვევად ფაქტორად. სახელმწიფომ, უსაფრთხოების მოთხოვნითა და საბაზით, არ უნდა იმოქმედოს საზოგადოების წევრთა თავისუფლებისა და დემოკრატიული ფასეულობების შეზღუდვის მიმართულეობით. მეორე მხრივ, თავისუფლების მოთხოვნამ არ უნდა გადაწიოს უსაფრთხოების მოთხოვნა (დანვრილებით ამის თაობაზე იხილეთ [1]). ფაქტობრივად, ჩვენ ეხლა ვაღვენებთ თვალს პროცესს, რომელიც, ხატოვნად რომ ვთქვათ, წარმოადგენს კრიზისის დროს ეკონომიკის უსაფრთხო, უდანაკარგო გავლის სახელმწიფო მხარდაჭერის სცილასა და მის ტოტალურ გასახელმწიფოებრიობის ქარიბდას შორის.

პანდემიის პირობებში სახელმწიფოს როლის

ზრდა უნდა ითვალისწინებდეს ორ მნიშვნელოვან გარემოებას:

ჯერ ერთი, ყოველმხრივ უნდა იქნას ნახალისებული საერთაშორისო თანამშრომლობა სამედიცინო სფეროში, ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის შემუშავებასა და დაავადებათა პროფილაქტიკის მიმართულებით ეროვნული სახელმწიფოების მიერ მიღებული წარმატებებისა და დაგროვილი გამოცდილების გაზიარების მიზნით;

მეორე, სახელმწიფოს მიერ ეროვნული პროდუქტის გადანაწილება და გაზრდილი სახელმწიფო დაკვეთები უნდა ხორციელდებოდეს სამართლიანად, გამჭვირვალედ, რომელიმე ბიზნესისა თუ ბიზნეს-ჯგუფისათვის პრივილეგირებული, სასათბურე პირობების შექმნის გარეშე [იხ. 2].

პანდემიამ ნეოლიბერალიზმსა და ბაზრის ყოვლისშემძლეობის თეორიას მნიშვნელოვანი, თუმცა არასასიკვდილო დარტყმა მიაყენა. ამავე დროს, ვერ ვიტყვით, რომ გლობალიზაციის პროცესი დასრულდა. ობიექტურად რომ შევფასოთ სიტუაცია, უნდა ვაღიაროთ, რომ **დასრულდა ზე-თუ ჰიპერ-გლობალიზაციის პროცესი** და ეროვნული სახელმწიფოები თანდათან იბრუნებენ თავის იმანენტურ ინსტიტუციურ თუ პოლიტიკურ პოზიციებს. რა თქმა უნდა, **პოსტპანდემიურ პირობებში სახელმწიფოთა სუვერენიტეტის წინა პლანზე წამოწევა სრულებითაც არ ნიშნავს გლობალიზაციის პროცესის დასრულებას. პირიქით, ის ახალი ფორმებით, ასპექტებითა და მიმართულებებით იქნება წარმოდგენილი.**

პანდემიამ „ზოგი ქირი მარგებელიას“ პრინციპით, საგრძნობლად დააჩქარა ბევრი იმ პრობლემის გადაჭრა, რომლებითაც საზოგადოებრივი ურთიერთობები მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი დროის განმავლობაში ისედაც უკვე იყო დამძიმებული. ეს ეხება როგორც ინსტიტუციურ და ორგანიზაციულ ასპექტებს, გლობალურ კონკურენტუნარიანობას, ისე სამეცნიერო ხედვებს, ახალი ტექნოლოგიების და პრეპარატების შემუშავებას და, რაც მთავარია, ახალი სოციალური ურთიერთობების ფორმირების პროცესს.

პანდემიამ ერთდროულად მოაწყო სამმაგი გამოცდა, ტესტირება: **ბაზრის**, როგორც საქმიანი ურთიერთობების მარეგულირებელი მექანიზმის, ეფექტიანობის - ამ ურთიერთობებში ჩართული **ინსტიტუტებისა** და კომპეტენტურობის - გადანაცვ-ტილებების მიმღები **სუბიექტებისა**.

კორონავირუსის პანდემიის დაძლევა, COVID-19-ით დაავადებათა შემთხვევების აბსოლუტური გაქრობის სახით, სოციალურ-ეკონომიკური პროცესების გლობალიზაციის, მოსახლეობის მაღალი მობილურობის პირობებში, დღევანდელი გადასახედიდან, პრაქტიკულად გადაუწყვეტელ ამოცანას წარმოადგენს. შესაბამისად, კაცობრიობამ, სახელ-

მნიფობმა, ცალკეულმა სოციალურმა ჯგუფებმა და კონკრეტულმა ადამიანებმა უნდა ისწავლონ ცხოვრება და საქმიანობა აღნიშნული ავადობის პერმანენტული საფრთხის პირობებში. მეორე მხრივ, თუ რეალობას თვალს გავეუსწორებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ COVID-19 ემუქრება ცალკეული ადამიანების სიცოცხლეს და არა კაცობრიობას, როგორც ბიოლოგიურ ნაირსახეობას. შესაბამისად, უნდა გადაიხედოს საკარანტინო რეჟიმის ქოლგის ქვეშ დიდი და ხალხმრავალი დასახლებული პუნქტების ქცევის კონცეფცია და ფაქტობრივად გატარებული სამედიცინო სოციალურ-ეკონომიკური ტერორიზმის ნაცვლად აქცენტი გაკეთდეს სამედიცინო დატვირთვის სოციალურ-ეკონომიკურ თერაპიაზე.

რა თქმა უნდა, **კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლამ არ უნდა მიგვიყვანოს მთელი ეკონომიკისა და არც არაკოვიდური მედიცინის მკვლელობამდე.** პიროვნების ჯანმრთელობა, თუ იგი საფრთხეს არ უქმნის სხვა ადამიანების ჯანმრთელობას, მისი პერსონალური პასუხისმგებლობის ზონაა (ამის საპირისპიროდ: თუ ადამიანის ქცევა საფრთხეს უქმნის სხვათა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, სწორედ იქ აქტიურად უნდა ჩაერიოს სახელმწიფო). თუ სახელმწიფო ადამიანებს წაართმევს იმის უფლებას, რომ თავად განკარგონ საკუთარი სიცოცხლე და პირადად აგონ პასუხი საკუთარ ჯანმრთელობაზე, ამით ფაქტობრივად უბიძგებს მათ ნაკლები პასუხისმგებლობით (ფაქტობრივად კი - უპასუხისმგებლოდ) მოეკიდონ სხვათა ჯანმრთელობასაც. კარანტინებმა კი მთელი საზოგადოების მასშტაბით სხვადასხვა ქვეყანაში ამ ქვეყნების მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, ასეულობით მილიონი ადამიანი, უკვე მიიყვანა გაღარიბებამდე, შიმშილამდე და ამით გამოწვეული კორონავირუსთან დაუკავშირებელ სხვა დაავადებებით გამოწვეულ ლეტალურ შედეგებთან. COVID-19-მა არა მარტო ეკონომიკას დაარტყა, გამოიწვია გლობალური მასშტაბით მისი შეკუმშვა, მოსახლეობის დასაქმებისა და შესაბამისად, კეთილდღეობის შემცირება, არამედ სერიოზული გავლენა მოახდინა მილიონობით ადამიანის ფსიქიკურ მდგომარეობაზე აღნიშნული ვირუსის პანდემიით გამოწვეულ საფრთხეებზე ფიქრით, შიშებითა და შფოთვებით, აგრეთვე ჩვეული, ყოველდღიური სოციალური ურთიერთობების შეზღუდვით. ამიტომ, **ბალანსის ძებნა ბიზნესსა და სანიტარულ უსაფრთხოებას შორის, რომელიც ჯერ არ დამთავრებულა, ფაქტობრივად შეფარული ბრძოლაა ინსტიტუციონიზებულ უკეთესი ცხოვრების ადამიანურ სურვილსა და ადამიანისეულივე ფიზიოლოგიურ შიშს შორის.** ზოგადად კი, სოციალური წესრიგი - ეს ყოველთვის საკმაოდ რთული ბალანსია შიშს, ძალადობას, თავისუფლებას, კოლექტიურ და ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას შორის.

მართალია, მთავარი ფასეულობაა ადამიანის სიცოცხლე და ღირებულება, მაგრამ ამ ღირებულებას სწორედ ეკონომიკური შესაძლებლობები, დოვლათის წარმოების და მოხმარების პოტენციური სქენს რეალურ შინაარსს. სახელმწიფოს მიერ ადამიანებში არსებული შიშების ჯერ „კრისტალიზაცია“, შემდეგ მონოპოლიზება და „ნაციონალიზაცია“, საბოლოო ჯამში კი მონეტიზაცია, ცალსახად არ ზრდის ადამიანთა უსაფრთხოებას, უფრო მეტიც - ზღუდავს მათ ეკონომიკურ აქტიურობას. ეკონომიკური პროცესების შეზღუდვა ამცირებს შექმნილი დოვლათის მოცულობას და ღირებულებას, საბოლოო ჯამში კი ადამიანის სიცოცხლის ღირებულებითი კომპონენტის დევალვაციასაც იწვევს. ასე მაგალითად, აშშ-ის მოქალაქის სიცოცხლეს ექსპერტები აფასებენ 14.5 მლნ. აშშ დოლარად [5]. საქართველოში, ჩვენი შეფასებით, ეს დაახლოებით 500 ათასი აშშ დოლარია (ლარი/დოლარის მყიდველობითი უნარიანობის პარიტეტით - თითქმის 1.5 მლნ. აშშ დოლარი). თითოეული ადამიანის სიცოცხლე დამოკიდებულია უსაფრთხოებასა და თავისუფლებას შორის არსებულ ბალანსზე სახელმწიფოს, საზოგადოებისა და თვით ამ ადამიანს შორის.

- უსაფრთხოებას არ შეუძლია მთლიანად ჩაანაცვლოს თავისუფლება როგორც თავისუფლების, ისე უსაფრთხოებისათვის ნეგატიური შედეგების დადგომის გარეშე. - უსაფრთხოების ზომები ადამიანებს იმაზე მეტად არ უნდა ემუქრებოდნენ, ვიდრე ის, რისგანაც მათ დაცვას აპირებს სახელმწიფო. **ადამიანთა უსაფრთხოებისათვის ბრძოლამ არ უნდა გადააქციოს თავად ცხოვრება უფრო სახიფათო.** და რადგანაც ჯანდაცვა, პრინციპში, არ არის მხოლოდ სამედიცინო ცნება და წმინდა საექიმო პრობლემა, იგი არ შეიძლება წარმოადგენდეს ექსკლუზიურად მხოლოდ „სამედიცინო მონოპოლიის“ ობიექტს. ამიტომ სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებმა ხელი უნდა შეუწყონ პანდემიის გამო საზოგადოების გარკვეულ ნაწილში გაჩენილ ფსიქოზისა და ტოტალური შიშის დაძლევის და არა გაღვივებას, რაც ხელისუფლებას აძლევს საბაბს, გააძლიეროს ტოტალური მონიტორინგი ჯანდაცვის საერთო მდგომარეობაზე და ცალკეულ შემთხვევებში, თავად გამოდის ზემოხსენებული ფსიქოზისა და ტოტალური შიშის უნებლიე თუ ნებაყოფლობითი მძევალი. შიშით გარკვეული ვადით შესაძლებელია ადამიანთა შეკავება, მათი მორჩილებაში ყოლა, მაგრამ შეუძლებელია ქვეყნის განვითარება, სიღრმისეული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრა.

აღნიშნულის გამო კი, რას ვხედავთ დღეს?! - გვაქვს სიტუაცია, როდესაც სახელმწიფო, პანდემიასთან ბრძოლის საბაბით, ღრმად შეჭრილი საზოგადოების წევრთა პირად სივრცეში და ამით

გარკვეულწილად, ზღუდავს მათ ინდივიდუალურ და კოლექტიურ თავისუფლებას მართალია, მთლად არა ფანტომური, მაგრამ არც მკაფიოდ ჩამოყალიბებული ეგზისტენციური საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით. - თითქმის ყველა ქვეყნის ხელისუფლებას უკვე აქვს სრული ინფორმაცია ისეთ კონტიგენტზე, როგორებიცაა: კორონავირუსით დაინფიცირებულები, მათთან კონტაქტში მყოფი პირები, უცხოეთიდან დაბრუნებული და ორკვირიან კარანტინში მოხვედრილი ადამიანები, 65 ნელს გადაცილებულნი, საზოგადოების წევრებთან ინტენსიური კონტაქტისა და შესაბამისად, მაღალი რისკის ქვეშ მყოფი პირები - გამყიდველები, ტაქსის მძღოლები, პოლიციელები და ა.შ.

რა მოიტანა კორონავირუსმა? - საზოგადოების წევრთა ფსიქოლოგიური შფოთვა, შიში ხვალისდელ დღეზე, პიროვნებათაშორისი ყოფითი და სოციალური კონფლიქტების ალბათობის ზრდა. მაგრამ **შიში** თავადაა პრობლემა და არა პრობლემის გადაჭრა. შიში, განგაში, ჩაკეტილი სივრცე 24/7-იან რეჟიმში, უშუალო სოციალური კავშირების განწყვეტა (სატელეფონო კავშირები და სოციალური ქსელების მშვეობით კონტაქტები ცოცხალი, უშუალო ურთიერთობების მხოლოდ სუროგატია), შიში ხვალისდელ დღეზე - სამუშაოს შენარჩუნებასა და მით უფრო, შოვნაზე. ამას უნდა დაემატოს ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ პანდემიის პირველ ეტაპზე კარანტინისა და (თვით)იზოლაციის რეჟიმმა ბევრ ოჯახში გაამწვავა მანამდე უკვე ლატენტური ან მდორედ მიმდინარე კონფლიქტები. ბევრმა წყვილმა ხანგრძლივად კარანტინში ერთობლივად ყოფნას ვერ გაუძლო: მეტისმეტად ახლო და მეტისმეტად ხანგრძლივად კონტაქტმა მისი რაიმე პერიოდით შეწყვეტის პერსპექტივის გარეშე, ადამიანებში მანამდე მინავლებული, დამალული თვისებები ამოატივტივა ზედაპირზე, გამაღიზიანებელი ყოფითი ჩვევებიდან დაწყებული და ძალადობისადმი მიდრეკილებით დამთავრებული.

შემთხვევითი არაა, რომ, მაგალითად, რუსეთში 2020 წლის აგვისტოში (როცა პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვები მოხსნა) განქორწინებათა რაოდენობამ (45.8 ათასი) 2.5-ჯერ გადააჭარბა მაისის ანალოგიურ მაჩვენებელს (როდესაც ხსენებული შეზღუდვები მოქმედებდა). [6].

ადამიანები, რომლებიც პანდემიასაგან მომავალ საფრთხეს აბსოლუტურად სერიოზულად აღიქვამენ და სამედიცინო თუ სოციალურ-ეკონომიკური დატვირთვის ნებისმიერ ღონისძიებას მათ ფსიქიკურ განწყობასა და მოლოდინებთან საკმაოდ მაღალი კორელაცია აქვთ, მწვავედ რეაგირებენ თანამოქალაქეთა ასეთ „მოშვეულობასა“ და სოციალური პასუხისმგებლობის უგულვებელყოფაზე, რაც არანაკლებ ემუქრება საზოგადოებრივ სიმშვიდესა

და სტაბილურობას, ვიდრე დაპირისპირებული პოლიტიკური ძალების ერთმანეთის სანინალმდეგო თავდასხმები მედია-საშუალებებსა თუ სოციალურ ქსელებში.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ტექნოლოგიების განვითარებამ, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულებში, სოციალური ქსელების წარმოშობამ და დომინირებამ ადამიანთაშორის ურთიერთობების საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ტრადიციული ფორმები თანდათანობით ჩაანაცვლა ვირტუალური კონტაქტებით და მეგობრობით. კორონავირუსის პანდემიამ კი ამ პროცესს, როგორც იტყვიან, „დამწვარზე მდულარე დაასხა“.¹ სამედიცინო სფეროს ძირითადი ყურადღება ამჟამად კონცენტრირებულია კორონავირუსის გავრცელების პროფილაქტიკისა და უკვე დაავადებულთა მკურნალობაზე. თუმცა ის ადამიანები, რომლებიც არ არიან დაავადებულნი, მაგრამ იმყოფებიან სტრესულ მდგომარეობაში დაავადების საფრთხის გაცნობიერებისა თუ მოლოდინის გამო, აქედან წარმოქმნილი ფსიქიკური თუ ნევროლოგიური ამლილობით, დიდწილად ჯანდაცვის სფეროს ყურადღების მიღმა რჩებიან, განსაკუთრებით დაბალშემოსავლიან ქვეყნებში, სოციალურ ჯგუფებსა და შინამეურნეობებში. ასეთთა რაოდენობა, ექსპერტული შე-

1 უაღრესად მრავლისმეტყველია ამ მხრივ ახალახანს გამოქვეყნებული ევროსტატის მონაცემები. – ევროკავშირში 2020 წლის ივლისში წინა წლის ივლისთან შედარებით ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და ტექსტილის რეალიზაცია შემცირდა 23.7%-ით, მაშინ როდესაც საფოსტო და ინტერნეტ-მომსახურება გაიზარდა 19.0 %-ით. [4].

ფასებთ, ამ კატეგორიის მოსახლეობაში შეიძლება 75 პროცენტზე მეტიც კი იყოს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სახელმწიფოს ერთდროულად უნევს პროცესების მენეჯერის, „მთავარი თერაპევტისა“ და სოციალური მედიატორის ფუნქციის შესრულება, თანაც ისე, რომ მისი აქტიურობა არ იქნეს აღქმული და შეფასებული, როგორც ადამიანთა პირად სასიცოცხლო სივრცეში შეჭრა და პიროვნული თავისუფლების შეზღუდვა. იმაზე, თუ რამდენად ეფექტიანად შეძლებს ის ამ ფუნქციებისა და ამოცანის შესრულებას, დამოკიდებული იქნება COVID-19-ის დამარცხებაც, ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანაც, ამ უკანასკნელის დინამიური განვითარების უზრუნველყოფაც და სახელმწიფოს რეპუტაციის, იმიჯის სათანადო დონეზე უზრუნველყოფაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. იოსებ არჩვაძე. კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული გლობალური ცვლილებები. თბილისი, „მნივნობარი“, 2020.
2. საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა. – 24.04.2020. <https://stopcov.ge/ka/Gegma>
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები. – Geostat.ge
4. Eurostat newsrelease N132, 3.09.2020.
5. Прививка от застоя. – Lenta.ru, 12.06.2020.
6. В России после самоизоляции стали чаще разводиться. Газета.ru, 25.08.2020

ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი ზოგიერთი მასალა ახლო აღმოსავლეთის ძეგლების მიხედვით

გია კვაშილავა
სტუ-ს დოქტორანტი

აბსტრაქტი

ძვ.წ. IX-I ათასწლეულებით დათარიღებული არქეოლოგიური მასალის შესწავლის შედეგად, შრომაში პასუხი გაცემულია შემდეგ კითხვებზე: სად, როდის, რატომ და როგორ ჩაისახა და განვითარდა ეკონომიკური აღრიცხვის სისტემა, მათემატიკა, წერის ხელოვნება და დამწერლობა, რამაც გამოიწვია სოციალურ-ეკონომიკური რევოლუცია.

შრომაში განხილულია ეკონომიკური აღრიცხვის სისტემა, რომელიც ნეოლითის ხანიდან გავრცელებული იყო ახლო აღმოსავლეთში. აღრიცხვა ხორციელდებოდა თიხის ფიგურა-სიმბოლოების, საანგარიშო კოჭების მეშვეობით, რომლებიც რიცხვებსა და სხვადასხვა საქონელს აღნიშნავდა. გარკვეულ პერიოდში ფიგურა-სიმბოლოები თიხის გუნდაზე მატყლის ბანარზე ასხმული მაგრდებოდა ან ბურთისებური ყულაბების შიგნით იყრებოდა და ილუქებოდა. ზოგ შემთხვევაში ისინი ყულაბების გარეთა ზედაპირზე იბეჭდებოდა, რაც ყულაბებში მოთავსებული კოჭების რაოდენობას აღრიცხავდა.

ყულაბების გარეთა ზედაპირზე ფიგურა-სიმბოლოების ბეჭდვის პროცესმა ჩამოაყალიბა ნახატ-ნიშნის, ხაზოვანი და ლურსმული დამწერლობები, რომლებიც ძვ.წ. 3500-2800 წლებში ჩნდება. ამ დამწერლობებითაა შესრულებული უამრავი თიხის ფირფიტა, რომელთა გაშიფრვით დასტურდება, რომ წერა პროდუქტების დათვლის პირდაპირი შედეგია და გამოიყენებოდა სამეურნეო-ადმინისტრაციული აღრიცხვა-ანგარიშგების შესაქმნელად.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური აღრიცხვის სისტემა, თიხის ფიგურა-სიმბოლოები, თიხის ბურთისებური ყულაბები, წერის ხელოვნების გაჩენა.

MATERIAL EVIDENCE OF ECONOMIC ACTIVITY ON NEAR EAST MONUMENTS

Gia Kvashilava
PhD student of GTU

ABSTRACT

The work describes an accounting system used in Near East since the Neolith Age. The accounting was kept with the help of clay tokens, denoting numbers and various goods. Sometimes the clay tokens were attached to clay bullae hung on wool ropes or were put into spherical bulla-envelopes and then sealed. They

were stamped on the outer surface of the bullae and denoted the number of tokens in the bullae.

The process of stamping with the tokens on the outer surface of bullae resulted in the appearance of pictographic, linear and cuneiform scripts in 3500-2800 BC. These scripts are found on numerous clay tablets the deciphering of which proves that writing is an immediate result of counting products and was used for economic and administrative registration.

Keywords: accounting system, clay tokens, clay bullae, origin of writing.

ეკონომიკის, მათემატიკის, წერის ხელოვნებისა და დამწერლობის ერთდროულად ჩასახვა-განვითარების შესახებ

ეკონომიკის, მათემატიკის, წერის ხელოვნებისა და დამწერლობის ერთდროულად ჩასახვა-განვითარება დასტურდება ძვ.წ. 3500-2340 წლებით დათარიღებული 3709 ცალი თიხის ფირფიტით, რომლებიც 1928-1976 წლებში აღმოჩნდა შუმერულ ქალაქ ურუქში, ეანას კომპლექსის არქეოლოგიურ ადგილას. ურუქის არქეოლოგიური ადგილი, რომელიც დაახლოებით არის 250 ჰა, მდებარეობს შუამდინარეთში, ერაცის სამხრეთ პროვინციაში, ქალაქ ნასირიასთან ახლოს, მდინარე ბურანუნიდან (ეფფრატი) აღმოსავლეთით, 35 კმ-ის დაშორებით (იხ. სურ. 1). ურუქი დაარსდა ძვ.წ. IV ათასწლეულში. ის წერილობით ძეგლებში ცნობილია როგორც შუმერული „უნუგ“-ი, ებრაული „ერექ“-ი / „ერეხ“-ი, ძველი ბერძნული „ორექ“-ი და არაბული „ალ-ვარქა“. ვარაუდობენ, რომ სიტყვა „ერაც“-ი მიღებულია „ერექ“-ი („ერექ“-ი, „ერეხ“-ი) ფორმიდან¹. შუმერები თავიანთ ქვეყანას „ქიენგირ“-ს / „ქიენგი“-ს უწოდებდნენ და



სურ. 1. ახლო აღმოსავლეთი

1 www.ancient.eu/uruk



სურ. 2. თიხის ფიგურა-სიმბოლოები, ურუქი, ერაყი, ძვ.წ. 3500–3200 წწ. ახლო აღმოსავლეთის მუზეუმი, ბერლინი, გერმანია (Jordan 1931:47, Abb. 41; 48)

თავიანთ ენას – „ემეგირ“-ს / „ემეგი“-ს. აქადელი სემიტები წერდნენ „შუმერუ“-ს, ძველი ალთქმის ნიგნების ჩამწერები – „შინყარ“-ს / „სენნაარ“-ს.

1929–1930 წლებში ურუქის ტაძრის გათხრებისას გერმანელმა არქეოლოგმა, იულიუს იორდენმა აღმოაჩინა 1,25÷3,25 სმ სიგრძის თიხის ფიგურა-სიმბოლოები, კოჭები („clay tokens“, „jetons d’argile“). ამ პატარა ფიგურა-სიმბოლოებით გამოისახებოდა, მაგ., „შინაური ფრინველი“, „ძროხა“, „ხარი“, „ლორი“, „ძალი“, „თხა“, „ცხვარი“, „ცხვრის რძე“, „კრავი“, „მატყლი“, „ქსოვილი“, „პური“, „მარცვლეული“ („ქერი“, „ხორბალი“), „ზეთი“, „თაფლი“, „ლუდი“, „ჭურჭელი“ ან სხვა რამე². ფიგურა-სიმბოლოები არის სხვადასხვა ფორმის გეომეტრიული სხეულები, მაგ., „სამკუთხედი“, „ოთხკუთხედი“, „დისკო“, „ბირთვი“, „ნახევარბირთვი“, „ცილინდრი“, „ტეტრაედრი“, „ოვოიდი“, „კონუსი“, „ბიკონუსი“, „პარაბოლოიდი“, „პირამიდა“ და სხვა, რომელთა შორის ზოგს ხაზები და წერტილები აღენიშნება³ (იხ. სურ. 2).

1958 წელს ამერიკელმა არქეოლოგმა, ვივიან ბრომან-მორალესმა თავის სამაგისტრო შრომაში წარმოადგინა მასალა თიხის ფიგურა-სიმბოლოების, მაგ., „კონუსის“, „ტეტრაედრისა“ და „მინიატურული ჭურჭლის“ შესახებ, რომელიც აღმოჩენილი იქნა ერაყში, ქალაქ ქერქუქის აღმოსავლეთით მდებარე ჯარმომი, ნეოლითური ხანის ნასოფლარის არქეოლოგიურ ადგილას⁴. ამავე ხანის მსგავსი თიხის ფიგურა-სიმბოლოები აგრეთვე გამოვლინდა თეფე სარაბში, ირანში⁵.

შემდგომში თხუთმეტი ქვეყნის ოცდაათ მუზეუმსა და აგრეთვე კერძო კოლექციებში შეგროვდა ძვირფასი არქეოლოგიური მასალები: 8162 ცალი თიხის ფიგურა-სიმბოლო და 235 ცალი თიხის ბურთისებური ყულაბა („bulla“, „bulle-enveloppe“). ამგვარი ფიგურა-სიმბოლოები და ყულაბები ახლო

2 Schmandt-Besserat 1996:72–78.

3 Schmandt-Besserat 1992, II:xxi–xxxiii; Schmandt-Besserat 1996:15, 16, 18, 20–21, 40, 43, 49, 52, 53, 69–70, 72–78, 128–157.

4 Broman Morales 1983:387, 388, 390, 396, Plate 168.3–7, Plate 170.4.

5 Broman Morales 1990:ix, 23–24, 54, Plate 16, i–o, p–s.

აღმოსავლეთის ქვეყნების, მაგ., ირანის, ერაყის, სირიის, თურქეთის, იორდანის, ისრაელისა და პალესტინის 116 არქეოლოგიურ ადგილას აღმოჩნდა, რომლებიც ძვ.წ. IX–I ათასწლეულებით დათარიღებულია. „მეცნიერებისათვის მათი დანიშნულება დიდი ხნის განმავლობაში გაურკვეველი რჩებოდა და ისინი თავდაპირველად რაღაც უმნიშვნელო საკულტო საგნებად მიიჩნეოდა“⁶.

1969–1971 წლებში ამ არქეოლოგიური მასალის სისტემური შესწავლის შედეგად, ფრანგ-ამერიკელმა, ხელოვნების ისტორიკოსმა, დენიზ შმანდტ-ბესერამ უახლესი მეცნიერული კონცეფცია შეიმუშავა და გამოაქვეყნა თავისი ფუნდამენტური შრომები, რომლებშიც საკვებით დამაჯერებლად და დასაბუთებულადაა გადმოცემული საკვლევი საკითხები, მაგ., ეკონომიკური ტრანსაქციების, ეკონომიკური აღრიცხვისა და ანგარიშსწორების სისტემების, დამწერლობის წარმოშობისა და განვითარების შესახებ. მისი კვლევის მიხედვით, მცირე ზომის თიხის ფიგურა-სიმბოლოები და ბურთისებური ყულაბები გამოიყენებოდა აუცილებელი ეკონომიკური, ადმინისტრაციული, სოციალური და რელიგიური საქმიანობების, სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნოებში წარმოებული პროდუქტების აღრიცხვისათვის. ფიგურა-სიმბოლოები არის საანგარიშო კოჭები, რომელთა დათვლით სხვადასხვა გასაცვლელი პროდუქტის ანუ საქონლის რაოდენობა დგინდებოდა. მაგ., კონუსის ფორმის თიხის ფიგურა-სიმბოლო, რომელიც „მცირე რაოდენობის მარცვლეულს [ქერს]“ გამოხატავდა, რიცხვს „ერთს“ აღნიშნავდა, ხოლო ბირთვის ფორმის თიხის ფიგურა-სიმბოლო, რომელიც „დიდი რაოდენობის მარცვლეულს [ქერს]“ გამოხატავდა, რიცხვს „ათს“ აღნიშნავდა და ა.შ.⁷ ამ ფიგურა-სიმბოლოების ანუ საანგარიშო კოჭების რაოდენობა, დამატება ან გამოკლება საქონლის რიცხვს აჩვენებდა. აღრიცხვის ამ სისტემამ კომუნიკაციების, კორესპონდენციების, მონაცემების დამუშავებისა და ინფორმაციის შენახვის ფორმები გააუმჯობესა, რაც აუცილებელი იყო ოპტიმალური, საუკეთესო გადაწყვეტილების მისაღებად. როგორც დ. შმანდტ-ბესერა ამბობს, თიხის საანგარიშო კოჭები „იყო ნეოლითის ფენომენის შემადგენელი ნაწილი, რამაც ე.წ. აგრიკულტურული რევოლუცია“ გამოიწვია⁸.

ძვ.წ. IV ათასწლეულიდან შუამდინარეთში მიწათმოქმედთა და მესაქონლეთა ადრეულმა საზოგადოებებმა თანდათანობით გაამარტივეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის, პროდუქტების (მაგ., მარცვლეულის, რძის, რძის ნაწარმის, ზეთისა და სხვა), მინის ფართობებისა და შრომადღების სააღრიცხვო სისტემები (მაგ., თვლის სამოცობითი სისტემები, თვლის ორსამო-

6 გამყრელიძე და სხვ. 2008:503.

7 Schmandt-Besserat 1992, I:6; Schmandt-Besserat 1996:7, 119; გამყრელიძე და სხვ. 2008:501, 503.


8 Schmandt-Besserat 1992, I:42.

ცობითი სისტემები და სხვა). ამ პერიოდის არქეოლოგიური მასალების დამუშავებისას გამოიყოფა შემდეგი ორი საფეხური:


I. თიხის ფიგურა-სიმბოლოების საშუალებით პროდუქტების აღრიცხვა;

II. თიხის ფირფიტებზე ნახატ-ნიშნების გამოსახვით პროდუქტების აღრიცხვა.

პირველ საფეხურზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და სხვა სახის საგანთა დასათვლელად სათანადო თიხის ფიგურა-სიმბოლოები გამოიყენებოდა. ზოგ შემთხვევაში ფიგურა-სიმბოლოები იხვრიტებოდა, რათა მატყლის ბანარზედ ასხმული თიხის გუნდაზე მიემაგრებინათ. ისინი ხშირად იყრებოდა თიხის ბურთისებურ, ღრუიან ყულაბაში, კოჭების სათავში, რომელიც იხურებოდა და ილუქებოდა. დამლადასმული და დახურული ყულაბა შემდგომ უნდა გახსნილიყო, რათა მასში მოცემული ფიგურა-სიმბოლოების რაოდენობა შეემონმებინათ. თუ ყულაბა ნოტიო, გამოუმშრალი თიხისგან იყო დამზადებული, მაშინ მის გარეთა ზედაპირზე ფიგურა-სიმბოლოების მაგრად მიჭერით აღიბეჭდებოდა გეომეტრიული გამოსახულებები – ჩაზნექილი ფიგურები, რაც აღრიცხავდა იმას, თუ რა რაოდენობის ფიგურა-სიმბოლოები იყო მოთავსებული ყულაბაში (იხ. სურ. 3). ეს ჩაზნექილი ფიგურები შესაბამის პროდუქტსა და მის რაოდენობას გადმოსცემდა, რაც იყო წინგადადგმული ნაბიჯი წერის ხელოვნების გაჩენაში.



სურ. 3. თიხის ბურთისებური ყულაბა და მასზე გამოსახული ჩაზნექილი ფიგურები, თიხის ფიგურა-სიმბოლოები (Sb 01940), სუზა, ირანი, ძვ.წ. 3700–3500 წწ. ლუვრის მუზეუმი, პარიზი, საფრანგეთი (<https://cdli.ucla.edu>)



სურ. 4. თიხის ფირფიტა (OIMA21310/Kh05338) და მასზე გამოსახული ჩაზნექილი ფიგურები, თუთუბი, ერაყი, ძვ.წ. 3500–3350 წწ. ჩიკაგოს უნივერსიტეტი, აშშ (<https://cdli.ucla.edu>)

მეორე საფეხურზე ფიგურა-სიმბოლოების თიხის ყულაბებში ჩაყრა და შენახვა უმეტესწილად შეწყდა. სამაგიეროდ დაიწყო ნედლი თიხის ყულაბების გაბრტყელება. ასე თანდათანობით წინ წაშინა თიხის ფირფიტების დამზადების ხელობამ, რომელიც გაუმჯობესდა და გავრცელდა ძველი შუამდინარეთის გარკვეულ ადგილებში. ამ დროს დაიწყო ფიგურა-სიმბოლოების ნედლი თიხის ფირფიტის ზედაპირზე დაბეჭდვა, რითაც გამოისახებოდა შესაბამისი ჩაზნექილი ფიგურები. მოკლედ რომ ვთქვათ, თიხის ფიგურა-სიმბოლოებს ნელ-ნელა ჩაენაცვლა თიხის ფირფიტებზე გამოსახული შესაბამისი ჩაზნექილი ფიგურები, რომლებიც, მაგ., მარცვლეულსა და მის რაოდენობას აღნიშნავდა (იხ. სურ. 4).

ამდენად, შეიქმნა თიხის ფირფიტები, რომლებზეც გამოსახული იყო ჩაზნექილი ფიგურები. არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ეს ჩაზნექილი ფიგურები აღნიშნავდნენ, მაგ., „ერთს“, „ათს“, „სამოცს“, „ცხვარს“, „მატყლს“, „ქსოვილს“, „ჭურჭელს“, „რძის ქილას“, „მარცვლეულს“ და სხვადასხვანაირ საქონელს.

ძვ.წ. 3350–2800 წლებში ურუქში გაფართოვდა სამშენებლო საქმიანობები, დაწინაურდა ჭურჭლის დამზადების ტექნოლოგია და შეიქმნა ხელოვნების ნიმუშები. კულტურულმა განვითარებამ ეკონომიკური, რელიგიური, პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურები გააჩინა. ურბანული ეკონომიკური საქმიანობის განვითარებისთვის საჭირო იყო სამუშაოთა შესრულების, დაგეგმვის, ვაჭრობისა და დაბეგვრის კონტროლის გაძლიერება, საქონლის შეგროვების, გატანისა და მიღების, გადასახადებისა და შესანიარავეების აღრიცხვა, ტაძრების, საზოგადოებრივი შენობებისა და მიწის რეგისტრაციის, ფართობისა და აგების ღირებულების გამოთვლა და სხვა. ამ პერიოდში მინათმოქმედთა ადრეულმა საზოგადოებებმა, მაგ., შუმერელმა „ენგარებმა“ / „მუნგარებმა“⁹ – ფერმერებმა გაამარტივეს თიხის ფირფიტებზე დაბეჭდვა ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაციისთვის. ზოგიერთი ფიგურა-სიმბოლოს გამოყენება შეწყვიტეს, მაგრამ, მაგ., „ერთის“, „ათისა“ და „სამოცის“ გამომხატველი ჩაზნექილი ფიგურები თიხის ფირფიტებზე შემდეგ პერიოდშიც დასტურდება. მათ დაიწყეს სტილოსის, ნანვეტებული ჩხირის ხშირი გამოყენება. გეომეტრიული პრინციპის მიხედვით, ჩხირის მეშვეობით ნედლი თიხის ფირფიტებზე გამოსახეს ჩაზნექილი ფიგურების შესაბამისი ბრტყელი ფიგურები ანუ პიქტოგრამები, ნახატ-ნიშნები. ეს იყო პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი წერისა¹⁰ და დამწერლობის ნიშნების ჩასახვის მიმართულებით. მრავალი არქეოლოგიური მასალის მიხედვით დასტურდება, რომ ურუქის ტაძრის

9 შდრ. შუმერული „engar“, „mungar“: ქართული „მონაგარი“.

10 შდრ. შუმერული „sar“ – „წერა“: ქართული „წერა“, მეგრული „ჭარ-უა“, ლაზური „ჭარ-ე“.



სურ. 5. ერთი ქსოვილი, ერთი ნერბი, ერთი ვერძი“ თიხის ფირფიტის წარწერა (VAT14674/W09656,w), ურუქი, ერაყი, ძვ.წ. 3350–3200 წწ. ახლო აღმოსავლეთის მუზეუმი, ბერლინი, გერმანია (<https://cdli.ucla.edu>)


სამეურნეო ანგარიშების აღმრიცხველები საქონლის აღმნიშვნელ ნახატ-ნიშნებსა და მისი რაოდენობის გამომხატველ რიცხვებს თიხის ფირფიტებზე გამოსახვდნენ (იხ. სურ. 5).

დაახლოებით ძვ.წ. 3000 წლიდან თიხის რბილ ფირფიტაზე (შუმერული „დუბ“-ი) სტილოსით გამოყვანილი ნახატ-ნიშნები ნელ-ნელა გარდაქმნა ლურსმნის (სოლის) მსგავს ნიშნებად, რომლებსაც ფონეტიკური მნიშვნელობები მიენიჭა (იხ. სურ. 6). ამ წერით სისტემას ეწოდა „ლურსმული (სოლისებური) დამწერლობა“, რომლის ნიშნებით შესრულებული თიხის ფირფიტების წარწერები „ემეგირულ“ – შუმერულ ენაზე ამოიკითხეს.

შუამდინარეთში „გადამწერთა სკოლებში“ (შუმერული „ედუბა“) ლურსმული დამწერლობის ნიშნებით ჩაიწერა და შემოინახა, მაგ., ნატურალური რიცხვების გამრავლების ტაბულები თვლის სამო-

ცობით სისტემაში, „პითაგორას თეორემა“, ტრიგონომეტრიულ ფუნქციათა ცხრილები, მიწის, საქონლისა და ჭურჭლის აღრიცხვის, მიწების, გაცვლისა და განაწილების, ბალანსის, საირიგაციო გადასახადის, გამოსასყიდი ფულის, პროცენტის სესხისა და ვალის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიებისა და საკვები რაციონის შესახებ ცნობები და სხვა.

არქეოლოგიური მასალის მიხედვით, ლურსმული დამწერლობა მოქმედებდა ძვ.წ. 2800 წლიდან ძვ.წ. 63 წლამდე. მას იყენებდნენ: შუმერები, ელამელები, ხურიტები, აქადელები, ასურელ-ბაბილონელები, ხეთები, ურარტუელები, ქანანელები, ძველი სპარსელები და სხვა ძველი ხალხი. სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, ევროპის, ამერიკის, კანადის, ერაყის, ირანის, სირიის, თურქეთისა და სხვა ქვეყნის მუზეუმებში, უნივერსიტეტებში, ბიბლიო-



სურ. 6. თიხის ფიგურა-სიმბოლოების შესაბამისი ნახატ-ნიშნების ლურსმნის მსგავს ნიშნებად გარდაქმნა

თეკებსა და კერძო კოლექციებში დღევანდლამდე კატალოგიზირებულია ლურსმული დამწერლობით შესრულებული 263659 ცალი თიხის ფირფიტა.

დასკვნა

ეკონომიკური აღრიცხვისა და წერიტი სისტემების გამართვა ადამიანის გენიალური მიღწევაა, რომლის ჩამოყალიბებას შუამდინარეთში ნეოლითის ხანის დაწყებიდან დაახლოებით 5000 წელი დასჭირდა. დ. შმანდტ-ბესერას კვლევის მიხედვით ნათელია, რომ წერა, როგორც სოციალურ-კულტურული ფენომენი, კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაცვლის იმ სახეობიდან მომდინარეობს, რომელიც თავდაპირველად გაჩნდა მინათმოქმედთა ადრეულ საზოგადოებაში ეკონომიკური საქმიანობის, მაგ.,

ჭარბი რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების აღრიცხვის საჭიროების გამო¹¹.

ძვ.წ. 3500–2800 წლებში ურუქში მონაგარიშეების („accountants“) წრეებში წერის ხელოვნებისა და დამწერლობის გაჩენამ დაასრულა ზეპირი შეტყობინებები და ზეპირი არითმეტიკული მოქმედებანი. ამ დროიდან მოყოლებული დაიწყო რაოდენობრივი მეთოდების გამოყენება და დამუშავება, ინფორმაციის მოძიება, ჩანერა და ანალიზი პრობლემის შესახებ, პრობლემისთვის შესაძლო გეგმის შედგენა და ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების პროცესი, რამაც საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური რევოლუცია გამოიწვია და ცხოვრების დონე საგრძნობლად აამაღლა.

11 გამყრელიძე და სხვ. 2008:500; შდრ. Tenu 2016:16.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **გამყრელიძე და სხვ. 2008:** გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ., *თეორიული ენათმეცნიერების კურსი*, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. **Broman Morales 1983:** Broman Morales, V., *Jarmo Figurines and Other Clay Objects, Prehistoric Archaeology Along the Zagros Flanks*, Vol. 105, L. S. Braidwood et al., Eds., Chicago: University of Chicago Press, pp. 369–423.
3. **Broman Morales 1990:** Broman Morales, V., *Figurines and Other Clay Objects from Sarab and Cayönü*, Oriental Institute Communications, Vol. 25, Chicago: Oriental Institute of the University of Chicago.
4. **Ebrahim 2019:** Ebrahim, A., *The Mathematics of Uruk and Susa (c. 3500-3000 BCE)*, *Mathematical Science & Technologies*, <http://mathscitech.org/articles/mathematics-uruk-susa>
5. **Jordan 1931:** Jordan, J., *Zweiter vorläufiger Bericht über die der Notgemeinschaft der deutschen Wissenschaft in Uruk unternommenen Ausgrabungen*, aus den Abhandlungen der Preussischen Akademie der Wissenschaften, Jahrgang 1930, Berlin: Verlag der Akademie der Wissenschaften, pp. 3–55.
6. **Schmandt-Besserat 1992, I, II:** Schmandt-Besserat, D., *Before Writing, Vol. I: From Counting to Cuneiform, Vol. II: A Catalog of Near Eastern Tokens*, Austin: University of Texas Press.
7. **Schmandt-Besserat 1996:** Schmandt-Besserat D., *How Writing Came About*, Austin: University of Texas Press.
8. **Tenu 2016:** Tenu, A., *Les débuts de la comptabilité en Mésopotamie (The emergence of Accounting in Mesopotamia)*, *Comptabilités*, Revue d'histoire des comptabilités, pp. 1–21.

თანამედროვე ჩინეთ-ევროკავშირის ორმხრივი ურთიერთობების ისტორიის ზოგადი ასპექტები

დავით მორგოშია

ევროპული და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრი
მილანის კათოლიკური უნივერსიტეტი (UNICATT)

რეზიუმე

სტატიის „თანამედროვე ჩინეთი-ევროკავშირის ორმხრივი ურთიერთობების ისტორიის ზოგადი ასპექტების“ მიზანია, პეკინისა და ბრიუსელის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შემდეგომ განვლილი გზის და იმ ძირითადი თანამშრომლობის მიმართულებების მოკლე აღწერა, როგორცაა: ვაჭრობა, ადამიანის უფლებები, ინტელექტუალური საკუთრება, გეოეკონომიკა, მსოფლიო წესრიგი და სხვა.

აღსანიშნავია, რომ 1989 და 2003 წლის ისტორიულმა მოვლენებმა გარდამტეხი როლი ითამაშეს ორმხრივი ურთიერთობების განვითარებაში. პირველი მათგანი უდაოდ მიეკუთვნება ნეგატიურ პრეცედენტს, საუბარია ტიანენმენის მოედნის დარბევა, რომელიც მკაცრ დარღვევად შეფასდა ადამიანის უფლებების კუთხით ევროპელების მხრიდან. მეორე შემთხვევაში, საუბარია 2003 წლის ისტორიულ მიღწევაზე, როდესაც ორმა მხარემ ხელი მოაწერეს ახალ სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმებას ეკონომიკურ საკითხებში „A Maturing Partnership: Shared Interests and Challenges in EU-China Relations“, რომელიც დაგვირგვინდა 2013 წლის „EU-China 2020 Strategic Agenda for Cooperation“-ის ხელშეკრულებით.

ბოლო დროინდელი მოვლენებიდან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ადგილს, ორი პოლიტიკური სუბიექტის ორმხრივ ეკონომიკურ ურთიერთობებში, იკავებს 2013 წელს ჩინეთის პრეზიდენტის მიერ ინიცირებული ახალი აბრეშუმის გზის პროექტი. ახალი ჩინური გეოეკონომიკური გეგმა „სარტყელი და გზის ინიციატივის“ სახელით ცნობილი, არის გლობალური მასშტაბის პროექტი, რომლის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და პარტნიორი არის ევროკავშირი. და ბოლოს, ახალი უცნობი კორონავირუსის (CoVid-19) გავრცელება, რომელმაც მსოფლიო პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე სერიოზული ზემოქმედება მოახდინა, მათ შორის ჩინეთსა და ევროკავშირის ორმხრივ ურთიერთობების ტენდენციებზე. თუმცა, ორი მხარის უმაღლესმა პირებმა, ჩინეთ-ევროკავშირის 22-ე ვიდეოკონფერენციის საშუალებით ჩატარებულ უმაღლეს შეხვედრის დროს განიხილეს კრიზისიდან გამოსასვლელი სავარაუდო გზები მომავალი თანამშრომლობის ჰარმონიზაციისთვის.

საკვანძო სიტყვები: დიპლომატიური ურთიერთობები, სტრატეგიული პარტნიორობა, კონკურენცია, სავაჭრო ბრუნვა, ინტელექტუალური საკუთრება, გეოეკონომიკა, ადამიანის უფლებები, მსოფლიო წესრიგი, კლიმატური ცვლილებები, პანდემია.

SUMMARY

The article “General Aspects of the History of Modern China-EU Bilateral Relations” aims to provide a brief overview of the way passed since the establishment of diplomatic relations between Beijing and Brussels and key areas of cooperation such as trade, human rights, intellectual property, geoeconomics, world order and etc.,

It should be noted that the historical events of 1989 and 2003 played a crucial role in the development of bilateral relations. The first of them undoubtedly belongs to the negative precedent, referring to the Tiananmen Square Attack, which was assessed by Europeans as a severe violation of human rights. The second case refers to the historic achievement of 2003, when the two parties signed a new strategic partnership agreement on economic issues “A Maturing Partnership: Shared Interests and Challenges in EU-China Relations”, which was completed by the the contract “EU-China 2020 Strategic Agenda for Cooperation” of 2013.

One of the most important recent events in the bilateral economic relations between the two political entities is the new Silk Road project initiated by the President of China in 2013. The new Chinese Geoeconomic Plan, known as the “Belt and Road Initiative”, is a global project and the European Union is one of the active participants and partners thereof. And finally, the spread of the new unknown coronavirus (CoVid-19), which has had a serious impact on the world political and economic situation, including on the trends of bilateral relations between China and the EU. However, during the summit taken place through the 22nd China-EU videoconference, officials of both parties discussed possible ways out of the crisis to harmonize future cooperation.

Keywords: Diplomatic Relations, Strategic Partnership, Competition, Trade Turnover, Intellectual Property, Geoeconomics, Human Rights, World Order, Climate Change, Pandemic.

* * * *

ჩინეთსა და ევროკავშირის შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 1975 წლის 6 მაისს. დღესდღეობით, ჩინეთი ევროკავშირის მეორე სავაჭრო პარტნიორია აშშ-ს შემდეგ, ხოლო ევროკავშირი ჩინეთის ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორი. თავის მხრივ, მსოფლიო ბანკის სტატისტიკის

თანახმად, ევროკავშირი (18,45 ტრლ. აშშ დოლ), როგორც ევროპულ სახელმწიფოთა გაერთიანება, იკავებს მსოფლიოში მეორე ადგილს ნომინალური მშპ-ს მქონე ქვეყნების სიაში, ხოლო ჩინეთი მესამეს (13,09 ტრლ. აშშ დოლ)¹. 1975 წლიდან დღემდე, ჩინეთ-ევროკავშირის შორის შექმნილია 60-ზე მეტი ოფიციალური თანამშრომლობის და დიალოგის პლატფორმა. თანამშრომლობის სფეროებია: პოლიტიკა, ეკონომიკა, სოციალური ურთიერთობები, სამხედრო მრეწველობა, ინოვაციები, ტექნოლოგიები, ადამიანის უფლებები, გარემოს დაცვა, მდგრადი განვითარება და სხვა. ამის მიუხედავად, მსოფლიოს მეორე და მესამე ეკონომიკის მქონე პოლიტიკურ სუბიექტებს შორის დიპლომატიურ-ეკონომიკური ურთიერთობა იდეალური არ არის, მიზეზი სხვადასხვაა.

დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შემდეგ, პირველი ნეგატიური ფაქტი ჩინეთ-ევროკავშირის ურთიერთობებში 1989 წელს დაფიქსირდა. ევროკავშირის საბჭოს 1989 წლის 26 ივნისის დეკლარაციის მიხედვით ჩინეთს სამხედრო შეიარაღების ემბარგო დაუწესდა². მიზეზი ტიანანმენის მოედანზე გამოსული მშვიდობიანი მომიტინგე სტუდენტების დარბევა იყო, რასაც ასეულობით ადამიანი შეენირა (ოფიციალური რიცხვი დღემდე უცნობია) და ათასობით დაშავდა, ხოლო ორგანიზატორები მკაცრად რეპრესირებულები იყვნენ. მომხდართან დაკავშირებით ევროკავშირს და ჩინეთს განსხვავებული პოზიცია აქვთ, პირველისთვის ადამიანის უფლებების კუთხით უხეში დარღვევა დაფიქსირდა და დემონსტრანტთა წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობა შესაბამისად არ იყო გამოძიებული, ხოლო ჩინეთი მიიჩნევს, რომ დანესებული ემბარგო „ცივი ომის“ დროინდელი ლოგიკაა და დროსთან შეუსაბამო, რადგან ტიანანმენის მოედანზე აქცია, რომელიც თვეების მანძილზე გრძელდებოდა ჩინეთს სახელმწიფოებრივ საფრთხეს უქმნიდა, რის გამოც გადანყდა მართლწესრიგის აღდგენა კანონის სრული დაცვით. 1989 წლის ტრაგედია მთავარი წყალგამყოფი გახდა ჩინეთ-ევროკავშირის ურთიერთობებში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით. დასავლეთის ერთ-ერთი მთავარი პოსტულატი ორმხრივი ურთიერთობების ეკონომიკური და სოციალური კუთხით განვითარებისთვის გახდა ადამიანის უფლებების რეალური რეფორმირება ჩინურ რეალობაში. ისეთი ავტორიტეტული არასამთავრობო ორგანიზაციები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში როგორებიცაა Human Rights Watch და Amnesty International დღემდე სისტემატურად აფიქსირებენ პოზიციას ჩინეთში მოქალაქეთა უფლებების საკმაოდ დარღვევების შესახებ.³

2003 წელი გარდამტეხი აღმოჩნდა ჩინეთ-ევროკავშირის ეკონომიკურ ურთიერთობებში. ევროპის

საბჭომ დაამტკიცა ევროპის კომისიის მიერ შემუშავებული „A Maturing Partnership: Shared Interests and Challenges in EU-China Relations“, პეკინსა და ბრიუსელს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ახალი გეგმა⁴. ხოლო, იმავე წლის დეკემბერში ევროპის უსაფრთხოების სტრატეგიის (ESS) დოკუმენტის მიხედვით, ჩინეთი განისაზღვრა როგორც მეხუთე სტრატეგიული პარტნიორი ევროკავშირისთვის კანადის, ინდოეთის, იაპონიის და რუსეთის შემდეგ⁵. ევროკავშირმა მკაფიოდ დააფიქსირა, რომ სტრატეგიული პარტნიორობა არ მოიცავს სამხედრო სფეროს. მსგავსი ტიპის განცხადების გაკეთება გახდა საჭირო, რადგან აშშ-ს მხრიდან გაჩნდა კითხვის ნიშნები იმასთან დაკავშირებით რომ პეკინი-ბრიუსელის სტრატეგიული თანამშრომლობის უკან ხომ არ იმალებოდა აშშ-ს გლობალური გავლენის და ძალაუფლების დაკნინება.⁶ სინამდვილეში ამ ფორმატის დღის წესრიგს წარმოადგენს ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება, ჩინეთის მოთხოვნა სამხედრო შეიარაღების ემბარგოს გაუქმებასთან დაკავშირებით და საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნის გარანტია (Market Economy Status). არაერთი მცდელობის მიუხედავად ჩინეთმა დღემდე ვერ მოახერხა სამხედრო შეიარაღების ემბარგოს გაუქმების შესახებ შეთანხმების მიღწევა, ხოლო ევროკავშირი, თავის მხრივ, ითვალისწინებს რა ბოლო პერიოდში მიღწეულ პოზიტიურ სავაჭრო ურთიერთობების შედეგებს, „მიზნად ისახავს, რომ გადახედავს ემბარგოს ხელშეკრულებას“, თუმცა რეალური შედეგი ამ მიმართულებით დღემდე არ დამდგარა⁷.

მას შემდეგ, რაც 1985 წელს გაფორმდა ევროკავშირს და ჩინეთს შორის „Trade and Cooperation Agreement“, ⁸ ორმხრივი სავაჭრო ბრუნვა ყოველწლიურად სწრაფი ტემპებით იზრდებოდა და იზრდება დღემდე. სანყის წლებში ჩინეთსა და ევროკავშირს შორის სავაჭრო ბრუნვა 14,3 მილიარდ აშშ დოლარს აღწევდა, ხოლო 2017 წლის ევროსტატის მონაცემებით რეკორდული 572,8 მილიარდი აშშ დოლარი დაფიქსირდა⁹. ჩინურ-ევროპული ეკონომიკური ურთიერთობების ჭრილში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი არის „ინტელექტუალური საკუთრების“ (Intellectual Property) შესახებ პრინციპის დაცვა, რომელიც ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნაა ევროკავშირის მხრიდან, რათა მოხდეს ფალსიფიცირებულ პროდუქტთან დაკავშირებულ პრობლემატიკაზე ეფექტური რეაგირება და საპატენტო უფლებების დაცვა¹⁰.

2013 წელს გაფორმდა „EU-China 2020 Strategic Agenda for Cooperation“, რომელიც ითვალისწინებს

- 4 ბმული 3
- 5 ბმული 3
- 6 ბმული 3
- 7 ბმული 4
- 8 ბმული 2
- 9 ბმული 5
- 10 ბმული 3

1 ბმული 1
2 ბმული 2
3 ბმული 3

სტრატეგიული ურთიერთობების განვითარებას სამი მიმართულებით¹¹:

- ეკონომიკური და დარგობრივი სავაჭრო დიალოგი Economic and (Sectoral) Trade Dialogue
- სტრატეგიული დიალოგი Strategic (Political) Dialogue
- ხალხთა შორის დიალოგი People-to-People Dialogue

პარალელურად, დოკუმენტის მიხედვით მოხდა ჩინეთის ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის ხელახლა დადასტურება ევროკავშირის მხრიდან, ხოლო ჩინეთმა კიდევ ერთხელ მხარი დაუჭირა ევროპული ინტეგრაციის პოლიტიკას. ყოველწლიურად იმართება “EU-China 2020 Strategic Agenda for Cooperation” ფორმატის სამიტი ევროკავშირსა და ჩინეთს შორის, სადაც განიხილება პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები გლობალურ და რეგიონალურ დონეზე.

ახალი გეოეკონომიკური რეალობა „Belt & Road Initiative“ ევროკავშირს და ჩინეთს შორის (არამარტო), რომელიც 2013 წელს ჩინეთის პრეზიდენტის სი ძინპინის მიერ იქნა ინიცირებული. XXI საუკუნის მეტა გეოეკონომიკურმა პროექტმა, მისი გააღწერების დღიდან ახალი სტიმული მისცა გლობალურ ეკონომიკას, როგორც ინფრასტრუქტურული, ისე ფინანსური შემოსავლების განვითარების და გაძლიერების კუთხით. ევროკავშირში მიაჩნიათ, რომ ამ პროექტის მთავარი გამოწვევებია ფინანსური გაუმჭვირვალობა, ბიუროკრატიული პროცედურები და ადამიანის და შრომითი უფლებების დაცვა. ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად ევროკავშირმა შეიმუშავა BRI-ის ეფექტური განხორციელების ხელშემწყობი მექანიზმი „EU connectivity“, რათა ხარისხიანად მოხდეს ევროპისა და აზიის შეკავშირება. „ევროკავშირის ახალი დამაკავშირებელი გეგმა (connectivity plan) მიზნად ისახავს, გაზარდოს მისი სანდობა როგორც დამაკავშირებლის როლის და გააუმჯობესოს ურთიერთგაგება ბრიუსელსა და პეკინს შორის“, განაცხადა ფრანჩესკო სავერიო მონტეზანომ, „College of Europe“-ის უფროსმა ასისტენტ მკვლევარმა.¹² ევროკავშირის ოფიციალური ახალი ინიციატივის მიხედვით, იგეგმება ყოველსომომცველი, მდგრადი და კანონზე დაფუძნებული (rule-based) კავშირის ჩამოყალიბება, რომელიც ხელს შეუწყობს ორმხრივ თანამშრომლობას ჩინეთსა და სხვა აზიურ სახელმწიფოებთან. მონტეზანოს თქმით, დიდია ახალი შემაკავშირებელი პლატფორმის, სახელწოდებით „EU-China Connectivity Platform“ შექმნის ალბათობა.

ჩინეთის საერთაშორისო არენაზე მოქმედების მთავარი პრინციპი არის „მსოფლიო წესრიგის“ ორმხრივი (მრავალმხრივი-მულტიპოლარული) პრინციპის ინტერპრეტირება (საუბარია ეკონომიკურ კუთხეზე), რადგან პეკინის შეხედულებით ერთპო-

ლარული პოლიტიკა აფერხებს ეკონომიკურ განვითარებას და საჭიროებს მის დივერსიფიცირებას ორმხრივი და/ან მულტიპოლარული პრინციპით, რომლის შემთხვევაში რესურსები გადანაწილებული იქნება რეგიონების მიხედვით მსოფლიოში და არ იქნება ცენტრალიზებული ერთი კონკრეტული ქვეყნის მიერ (იგულისხმება აშშ). 2018 წელს, გაეროს გენერალური ასამბლეის 73-ე სესიაზე სიტყვით გამოსვლისას ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვანგ იმ კიდევ ერთხელ დააფიქსირა აზრი მრავალპოლარული სისტემის სარგებლიანობაზე „ჩინეთის პასუხი არის მკაფიო. ჩინეთი მხარს უჭერს „მსოფლიო წესრიგს“ და ამავდროულად სწამს მულტიპოლარული პრინციპის“.¹³

2019 წლის დეკემბერში, ჩინეთის ქალაქ უხანში ახალი კორონავირუსის, აქამდე უცნობი შტამის (CoVid-19) აფეთქებამ, გლობალური პროცესები გამოიწვია. მიზეზი იმისა, თუ რატომ მივიდა ეპიდემია პანდემიამდე ანუ გლობალურ მასშტაბებამდე-კომპლექსურია. დრო რომელიც ქ. უხანისა და სუბეის პროვინციის ადგილობრივ ხელმძღვანელობას დასჭირდა ყველაფრის გამოსაკვლევად დაგვიანებული აღმოჩნდა. არადროულმა რეაგირებამ ხელი შეუწყო შიდა გავრცელებას ხელი, რადგან ბუნებრივია ნებისმიერი ახალი ტიპის ვირუსის აღმოჩენა და შესაბამისი პრევენციული ღონისძიების გატარება ყოველთვის დროის რესურსს მოითხოვს. იმ დროს, როდესაც ამოუცნობი ვირუსის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი ადამიანიდან ადამიანზე სწრაფი გავრცელება იყო. გარდა ამისა, 11 მილიონიანი ქალაქი უხანი გახლავთ კლასიკური ჩინური სატრანსპორტო და ლოგისტიკური საერთაშორისო დონის ჰაბი. კონკრეტულად კი, უხანის რკინიგზა აღწევს გერმანიის ქალაქ ჰამბურგამდე, რომლის საშუალებითაც ყოველკვირეულად სატვირთო კონტეინერები იგზავნება გერმანიის მიმართულებით. ხოლო უხანის საერთაშორისო აეროპორტიდან ყოველდღიურად ასეული შიდა თუ საგარეო ფრენა სრულდებოდა (პანდემიამდე). ქალაქში უამრავი უცხოელი ტურისტი თუ დასაქმებული პირი ცხოვრობს, რამაც დამატებითი სტიმული მისცა ვირუსის ქალაქის (ქვეყნის) ფარგლებს გავრცელებას, რადგან საახალწოდ მათი უმრავლესობა სახლებში ბრუნდებოდა შვებულების გამოსაყენებლად. ქ. უხანის საერთაშორისო მნიშვნელობის ფაქტის ხაზგასასმელად ის ფაქტიც საკმარისია, რომ არაერთ მსოფლიოს მონინავე ქვეყანას, მათ შორის აშშ-ს, აქვს დამატებითი საკონსულტოები გახსნილი, რათა თავიანთ მოქალაქეები უზრუნველყონ ადგილზე საჭირო ასისტენციით. გარდამტეხი ფაქტორი და კითხვის ნიშნები რაც ვირუსის წარმოშობის თეორიებს მოჰყვა არის ქ.უხანის სამხედრო ლაბორატორია, რომლის გამოც უამრავი დასავლეთის უსაფრთხოების სამსახურები ეჭვობენ, რომ მისი გავრცელება სწორედ სამხედრო ბიოლოგიური ლაბორა-

11 ბმული 6
12 ბმული 9

13 ბმული 8

ტორიიდან მოხდა, დაუდევრობით ან შეგნებულად. ეს გახლავთ სწორედ ის ერთადერთი და ძირითადი მიზეზი, რომელსაც შემდგომ მსოფლიო მასშტაბის დაუსრულებელი პოლიტიკური პროპაგანდა მოჰყვა. ხოლო, ობიექტურობისთვის ჯერ-ჯერობით ვირუსის წარმოშობის ან მისი ხელოვნურად შექმნის დამადასტურებელი არანაირი ოფიციალური დოკუმენტაცია არ არსებობს. მის გამოსაკვლევად საერთაშორისო სამეცნიერო თუ სამედიცინო ძალებისხმევა იქნება საჭირო. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, 30 იანვარს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი ტიპის პნევმონიური დაავადება გლობალურ საფრთხედ გამოაცხადა, რასაც მოჰყვა მსოფლიოს მასშტაბით ქვეყნების მიერ უკიდურესი ზომის, საყოველთაო კარანტინის გამოცხადება, რადგანაც პანდემიებთან საბრძოლველად ის უტყუარი საშუალება რომელიც კაცობრიობამ გამოიგონა არის კარანტინი, ანუ საოველთაო თვითიზოლაცია, რათა ვირუსის გავრცელება შენეღდეს.¹⁴

დღეის მონაცემებით ჩინეთი ერთ-ერთ იმ წარმატებულ ქვეყანათაგანია რომელმაც წარმატებით დაამარცხა, შეანელა ვირუსის გავრცელება საკუთარ საზღვრებზე, თუმცა დიდი ადამიანური, ეკონომიკური თუ სამედიცინო რესურსების გამოყენების ხარჯზე. ჩინეთს მსგავსი პნევმონიური აფეთქების, ეპიდემიის გამოცდილება 2003 წელს ჰქონდა, რომელიც შეიძლება ითქვას გენერალური რეპეტიცია აღმოჩნდა დღევანდელი პანდემიის დროს, მიღებულმა გამოცდილებამ ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ჩინელ ხალხს.

ევროკავშირის ქვეყნებიდან ერთ-ერთი პირველი იყო გერმანია, რომელმაც ჩინეთს მოუწოდა, ნათელი მოეფინა კორონავირუსის ეპიდემიის გამომწვევი მიზეზებისთვის. გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობის მინისტრმა, გერდ მიულერმა განაცხადა, რომ „მსოფლიო კრიზისის ფონზე ჩინეთმა უნდა აჩვენოს მაქსიმალური გამჭვირვალობა. განსაკუთრებით, ვირუსის წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით“. მისი თქმით, აუცილებელია იმ თეორიის განხილვაც, რომ ვირუსი ხელოვნურად, ლაბორატორიაში გაჩნდა და ამ საკითხზე პეკინმა განმარტება უნდა გააკეთოს. თავის მხრივ, ქალაქ უხანში მდებარე ვირუსოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელმა, იუან ჩჟიმინმა კატეგორიულად უარყო ეს ვერსია. მისი თქმით, „მეცნიერებმა ვუსტად იციან, რა სახის კვლევები მიმდინარეობს ლაბორატორიაში და როგორ უპრობიან მკვლევრები ვირუსებსა და ნიმუშებს“. ჩჟიმინის მტკიცებით, ლაბორატორიის არც ერთი თანამშრომელი არ დაინფიცირებულა.¹⁵

კიდევ უფრო კრიტიკული და მომთხოვნი იყო გერმანული გამომცემლობა „შპიგელის“ (ევროპის უდიდესი და გერმანიის ყველაზე გავლენიანი ყოველკვირეული ჟურნალი) სტატია, რომელმაც

14 ბმული 10
15 ბმული 11

გაავრცელა ინფორმაცია (არაოფიციალური), რომ არის შესაძლებლობა გერმანიის მთავრობამ ჩინეთს პანდემიის შედეგად გამოწვეული ზარალისთვის საკომპენსაციოდ 130 მილიარდი ევრო მოსთხოვოს. ამ თემასთან დაკავშირებთან ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ვანგ იმ, ერთ-ერთი პრესკონფერენციის დროს მოკლედ უპასუხა: „ქვეყნები რომლებიც ჩინეთს კომპენსაციას თხოვენ უბრალოდ ოცნებობენ.“¹⁶

2020 წლის 22 ივნისს, ჩინეთ-ევროკავშირის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შემდგომ, პირველად ისტორიაში, ვიდეოკონფერენციის საშუალებით გაიმართა 22-ე უმაღლესი შეხვედრა. აღნიშნულ დისტანციურ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ევროკავშირის მხრიდან ევროპის საბჭოს პრეზიდენტმა, ჩარლზ მიშელმა, ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ვან დერ ლეიენმა და ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა ჯოზეფ ბორელმა. ჩინეთის მხარე წარმოადგინეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა სი ძინპინმა და პრემიერ მინისტრმა ლი კეციაიმმა.

ვიდეოკონფერენციაზე განხულებულ იქნა ორმხრივი სავაჭრო და ეკონომიკური საკითხები, კოვიდ-19-ის ირგვლივ შექმნილი პანდემიური სიტუაცია, კრიზისული მდგომარეობიდან გამოსასვლელი გზების შესაძლო ვარიანტები. ასევე, ისეთი მწვავე თემებიც როგორც არის ჰონგ-კონგის სადავო საკითხი, რომელიც ჩინეთის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ „ჰონგ-კონგის ეროვნული უსაფრთხოების შესახებ“ კანონის დამტკიცებით მიიღო, ასევე მატერიკზე არსებული ადამიანის უფლებების საკითხი და სინძიან ოლურეთის „ბანაკების“ ქეისი.

უფრო კონკრეტულად კი, ხაზი გაესვა ჩინეთ-ევროკავშირის ერთიანი საინვესტიციო შეთანხმების „EU-China Comprehensive Investment Agreement“ მნიშვნელობას, რათა აღმოიფხვრას ასიმეტრიული ტენდენციები საბაზრო წვდომაზე. ასევე, ევროკავშირის პოზიცია და სურვილია ჩინეთ-ევროკავშირის მიერ მიღებული „EU-China Agreement on Geographical Indications“ შესახებ შეთანხმების სწრაფი რატიფიცირება.¹⁷

ორმა მხარემ განიხილა კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული საკითხები. ჩინეთი გახლავთ ევროკავშირის სტრატეგიული პარტნიორი პარიზის შეთანხმების მიხედვით, რომელიც ავალდებულებს ჩინეთს შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები და შეამციროს დაბინძურების მაჩვენებელი საკუთარ ტერიტორიაზე.

მნიშვნელოვანი თემა იყო ციფრული ტექნოლოგიების საკითხი. ყველა ფუნდამენტური პრინციპი მონაცემების უსაფრთხოების შესახებ, კერძოდ ადამიანის პირადი ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფა კიბერშეტევებისგან და ზოგადად

16 ბმული 12
17 ბმული 14

ბოლო დროს გახშირებული დეზინფორმაციების ე.წ. „Fake News“ გავრცელების მაქსიმალური შეზღუდვა.

ევროკავშირმა კიდევ ერთხელ მოუწოდა ჩინეთს ღრმა პასუხისმგებლობით იმოქმედოს გლობალური გამოწვევების გასამკლავებლად და იხელმძღვანელოს საერთაშორისო წესრიგით გათვალისწინებული პრინციპებით, ხელი შეუწყოს მშვიდობის განვითარებას და სტანდარტების სრული დაცვით განახორციელოს თავისი საქმიანობა აფრიკის კონტინენტზე მდგრადი განვითარების კონცეფციის ხელშესაწყობად.

შეხვედრის დასასრულს, მხარეებმა განიხილეს რეგიონალური და საერთაშორისო დღის წესრიგის საკითხები: კორეის ნახევარკუნძულის, ირანის ბირთვული შეთანხმების და ავღანეთის შესახებ. აღსანიშნავია ფაქტი, რომ ევროკავშირი უფრო აქტიურად აპირებს ადამიანის უფლებების საკითხის ნამონევას წინა პლანზე ჩინეთის მატერიკზე, და ამ ფაქტთან დაკავშირებით იგეგმება სპეციალური დიალოგის ნამონევა ორ მხარეს შორის, „the Human Rights Dialogue“-ის პლატფორმა, რომლის უმთავრესი მიზანი სინძიანის, ტიბეტის, ჰონგ-კონგის და ზოგადად ადამიანის უფლებების გაუმჯობესებაა.¹⁸

შეხვედრის დასასრულს პრესისთვის ერთობლივი შეხვედრა გამართეს პრეზიდენტ მიშელმა და პრეზიდენტ ვან დერ ლეიენმა. ვან დერ ლეიენის თქმით: „ჩინეთთან ორმხრივი ურთიერთობები არის როგორც შესაძლებლობა, ასევე საჭიროება. მაგრამ, ამავდროულად ვუსვამ ხაზს იმ ფაქტს, რომ ჩვენი პოლიტიკური სისტემები და მიდგომები მრავალპოლარული ურთიერთობების შესახებ შესამჩნევად განსხვავდება. ჩვენ მტკიცედ დავიცავთ ჩვენს პრინციპებს და ღირებულებებს ორმხრივი ურთიერთობების შესახებ.“¹⁹ აღსანიშნავია, რომ გერმანიის კანცლერის პოზიციაც მსგავსი შინაარსით ხასიათდება. მან მკაფიოდ ხაზი გაუსვა ფაქტს, რომ ჩინეთი ევროკავშირის ეკონომიკური კონკურენტი და ამავდროულად სტრატეგიული პარტნიორია.

სი ძინპინის კომენტარი კი შემდგომ თანამშრომლობაზე ორიენტირებული იყო: „ჩინეთს სურს მშვიდობა ჰეგემონიის ნაცვლად. როგორც არ უნდა შეიცვალოს საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაცია, ჩინეთი მტკიცედ დაუჭერს მხარს მრავალმხრივ ურთიერთობებს და ხელს შეუწყობს მსოფლიო მმართველობის კონცეფციას, რომელიც მყარად ეფუძნება ურთიერთ პატივისცემას, საერთო ძალისხმევასა და კეთილდღეობას.“

რაც შეეხება ჯოზეფ ბორელის აზრს პოლიტიკურ ასპექტთან დაკავშირებით მან ჩინეთ-ევროკავშირის 22-ე შეხვედრამდე პრესასთან აღნიშნა, რომ ევროპა ჩინეთთან ურთიერთობის დროს „მიამიტი აღმოჩნდა“. მისივე განცხადებით, ჩინეთი ევროკავშირის „პარტნიორიც და მეტოქეც თანაბრად არის,

რომელსაც მმართველობის ალტერნატიული მოდელის წინ ნამონევა სურს“. ამის შესახებ განცხადება ბორელმა ფრანგულ მედიასთან ინტერვიუში გააკეთა. როგორც ბორელი აღნიშნავს, ჩინეთი და ევროკავშირი მხარს უჭერენ მულტილატერალიზმს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მხარეებს გლობალური მმართველობა ერთნაირად ესმით, განსაკუთრებით კრიზისის დროს. „ჩვენ, ევროპელები მხარს ვუჭერთ ეფექტურ მულტილატერალიზმს, როდესაც ცენტრალურ როლს გაერთო თამაშობს. ჩინეთს კი შერჩევითი მულტილატერალიზმი სურს, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო წესრიგის განსხვავებულ გაგებას“, – განაცხადა ბორელმა. ამასთან, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ის არ ეთანხმება დონალდ ტრამპის მოსაზრებას, რომ კორონავირუსი ჩინეთში ხელოვნურად შექმნეს.²⁰

აუცილებელია აღინიშნოს, ევროკავშირსა და ჩინეთს შორის ახალი სარკინიგზო გზების ექსპლუატაციაში შესვლა, „გზისა და სარტყლის ინიციატივის“ ეგიდით. 2020 წლის 27 ივლისს სიჩუანის პროვინციის ქალაქ ნანჩონგის თანამედროვე ლოგისტიკური პარკიდან მილანის მიმართულებით გავიდა „ნანჩონგი-მილანი“ სახელით ჩინეთ-ევროპის სატვირთო ექსპრესი. ამ კონკრეტული დერეფნის წლიური ტვირთ ბრუნვის გეგმა გახლავთ 1600 კონტეინერი, რომლის ღირებულებაც 1,5 მილიარდ იუანს (210 მლნ აშშ დოლ) შეადგენს. ამავე წლის 21 აგვისტოს, ისტორიაში პირველად ადგილობრივმა ავსტრიულმა კომპანიამ ვენის სამხრეთ ტერმინალიდან პირველი სატვირთო მატარებელი გააგზავნა ჩინეთის მიმართულებით, ექსკლუზიურად „დამზადებული ავსტრიაში“ პროდუქციის ექსპორტზე გასატანად. საუბარია 41 კონტეინერზე, რომლის ღირებულება 1.8 მლნ ევროა, ხოლო დანიშნულების ადგილი ქ. შანხაი, სადაც 16 დღის განმავლობაში მოხდება ტვირთების ჩატანა სარკინიგზო დერეფნით.

ჩინეთი-ევროკავშირის დიპლომატიური ურთიერთობები, რომელიც 40 წელზე მეტს ითვლის, საერთო ჯამში, აგრძელებს განვითარებას პოზიტიური კუთხით, განსაკუთრებით ეკონომიკურ დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ გამოწვევები ადამიანის უფლებების კუთხით კვლავ რჩება, ორმხრივი ურთიერთობები წინ მიიწევენ დადებითი კუთხით, თუმცა პოსტ პანდემიური ეფექტი თავის ზეგავლენას მოახდენს მათ ურთიერთობებზე, რომლის პირველი ნიშნები სახეზეა. თუ გავითვალისწინებთ აშშ-ს პრეზიდენტის, დონალდ ჯ. ტრამპის ხისტ პოლიტიკას აზიური გიგანტის წინააღმდეგ, რომლის მიზანია არსებული საერთაშორისო წესრიგის „გადარჩენა კომუნისტური ჩინეთის საფრთხისგან“, ადრე თუ გვიან ევროპას უბიძგებს ამერიკისთვის სოლიდარობის გამოცხადებისკენ, რადგან მეორე მსოფლიო ომის შემდგომი რეალობიდან გამომდინ

18 ბმული 15

19 ბმული 13

20 ბმული 16

ნარე, ევროკავშირის აშშ-ს ნომერ პირველი სტრატეგიული პარტნიორია არსებული საერთაშორისო სისტემის პრომოციონირებაში. თუმცა, დღესდღეობით ევროკავშირს აქვს შიდა მწვავე საკითხები, რომელიც ხელს უშლის ჩინეთის მიმართ საერთო პოზიციის ჩამოყალიბებაში, რადგანაც ევროკავშირის ქვეყნების მიმართ ოფიციალური პეკინი მრავალმხრივი ურთიერთობების პრინციპით მოქმედებს, ანუ ინდივიდუალურად. შესაბამისად, ევროკავშირი დღეისთვის ინარჩუნებს რაციონალურობას და ერიდება არაპროგნოზირებადი ხისტი ნაბიჯების გადადგ-

მას. მთავარი განმუხტველი ძალა, რომლისაც ეიმედება ოფიციალურ ბრიუსელს არის ის ეკონომიკური ბაზისები, რომელიც ევროზონის კონტინენტის ორ უდიდესი ეკონომიკის ქვეყნებს ერთმანეთთან აკავშირებს. თავის მხრივ, ჩინეთის ხელისუფლებამ, სიძინის მეთაურობის პერიოდში არაერთხელ გამოთქვა სწრაფი და საერთაშორისო სტანდარტებზე მორგებული რეფორმების გატარების მზადყოფნა, რათა მაქსიმალურად აღმოიფხვრას გაუგებრობა და შეუთავსებლობა ჩინეთსა და ევროკავშირს შორის, როგორც საბაზრო ისე პოლიტიკური კუთხით.

წყაროები:

- ბმული 1
<http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?type=REPORT&reference=A8-2018-0252&format=XML&language=IT>
- ბმული 2
<http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-//EP//TEXT+MOTION+B5-2003-0549+0+DOC+XML+V0//IT>
- ბმული 3
https://www.tuttocina.it/Mondo_cinese/129/129_berk.htm
- ბმული 4
<http://www.repubblica.it/2004/1/sezioni/esteri/ciampicina/embargoue/embargoue.html>
- ბმული 5
https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/China-EU_-_international_trade_in_goods_statistics
- ბმული 6
<https://www.europenowjournal.org/2018/06/04/europe-and-china/>
- ბმული 7
<https://lospiegone.com/2017/12/11/il-dragone-rosso-ha-conquistato-leuropa-orientale/>
- ბმული 8
https://www.agi.it/estero/agichina/xi_jinping_taiwan_guerra_commerciale_usa_cina-3648284/news/2018-03-20/
- ბმული 9
http://www.xinhuanet.com/english/2018-09/28/c_137497371.htm
- ბმული 10
<https://www.statnews.com/2020/01/30/who-declares-coronavirus-outbreak-a-global-health-emergency/>
- ბმული 11
<https://1tv.ge/news/germania-mouwodebs-chinets-nateli-mohfnos-koronavirusis-epidemiis-gamom-wvev-mizezebs/>
- ბმული 12:
<https://www.reuters.com/article/us-china-parliament-coronavirus-lawsuit/those-who-want-china-to-pay-virus-compensation-are-daydreaming-diplomat-idUSKBN230070>
- ბმული 13:
<https://www.consilium.europa.eu/en/meetings/international-summit/2020/06/22/>
- ბმული 14:
<https://www.consilium.europa.eu/en/meetings/international-summit/2020/06/22/>
- ბმული 15:
<https://www.europeanaffairs.it/blog/2020/06/26/summit-unione-europea-cina-tra-commercio-covid-19-e-diritti-umani/>
- ბმული 16:
<https://1tv.ge/news/djozef-boreli-evropa-chinettan-urtiertobashi-miamiti-aghmochnda/>

დამატებული წყაროები:

- <https://www.linkiesta.it/2020/06/cina-unione-europea/>
- <https://sicurezzainternazionale.luiss.it/2020/06/23/un-vertice-ue-cina/>

ურთიერთდაკავშირებული საინვესტიციო ფონდების სამართლებრივი რეგულირების საშუალებები საქართველოში

ნინო ბენდიანიშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

საინვესტიციო კლიმატი ქვეყნის ზოგადი ეკონომიკური ვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის. განსაკუთრებით კი ალსანიშნავია საინვესტიციო საქმიანობის განვითარების თანამედროვე საშუალებების გამოყენება საქართველოში.

იმისათვის, რომ ქვეყანას შესაბამისი გარემო შეექმნას, ერთ-ერთი შესაძლო გზა არის საინვესტიციო კომპლექსური საქმიანობის შემუშავება. დასკვნის სახით კი შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ აუცილებელია საქართველოში ამ სფეროს **კანონმდებლობის გაუმჯობესება**. ამ დასკვნების საფუძველზე, ეს საკითხი შეიძლება განვიხილოთ ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ და მნიშვნელოვან თემად, რადგან **საინვესტიციო კანონმდებლობის შესწავლა** არის პირდაპირი გზა მასში არსებული ხარვეზების გამოსავლენად.

აღნიშნული კვლევის მიზნად განისაზღვრება, როგორც საქართველოში საინვესტიციო ფონდების საშუალებით ინვესტიციური საქმიანობის იურიდიული რეგულირების პრობლემების ძიება, ასევე ამ სფეროში საკანონმდებლო ხარვეზების იდენტიფიცირება, აგრეთვე მათი გადაჭრის გზების ძიება და დასაბუთება. ამ მიზნების მისაღწევად აუცილებელია შემდეგი ურთიერთდაკავშირებული ამოცანების გადანყვეტა:

- 1) შეისწავლოს საინვესტიციო საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები, დადგინდეს არსებული პრობლემები და წინააღმდეგობები;
- 2) გამოხატოს ძირითადი ცნებები, კერძოდ, საინვესტიციო საქმიანობა, საინვესტიციო რეგულირების სპეციფიკური ტერმინები, ასევე განსხვავება მათ შორის;
- 3) განისაზღვროს საინვესტიციო საქმიანობის მონაწილეთა შემადგენლობა და სამართლებრივი სტატუსი ინვესტიციის პროცესში;
- 4) გაანალიზდეს საინვესტიციო ფონდების შექმნისა და შეწყვეტის არსებული პროცედურა მათი საქმიანობის შესასწავლად.

საკვანძო სიტყვები: ურთიერთდაკავშირებული საინვესტიციო ფონდები, სამართლებრივი რეგულირება, საინვესტიციო საქმიანობა, საკანონმდებლო მდგომარეობას.

MEANS OF LEGAL REGULATION OF RELATED INVESTMENT FUNDS IN GEORGIA

Nino Bendianishvili
PhD student of GTU

RESUME

The investment climate is one of the most important factors in the general economic situation of the country. The use of modern means of development of investment activities in Georgia is especially noteworthy.

One of the possible ways to create a suitable environment for the country is to develop complex investment activities. In conclusion, we can say that it is necessary to improve the legislation in this area in Georgia. Based on these findings, this issue can be considered as one of the most topical and important topics, because the study of investment legislation is a direct way to identify gaps in it.

The purpose of this study is to identify the problems of legal regulation of investment activities through investment funds in Georgia, as well as to identify legislative gaps in this area, as well as to seek and substantiate ways to solve them. To achieve these goals, it is necessary to solve the following interrelated tasks:

- 1) study the legal norms regulating investment activities, identify existing problems and contradictions;
- 2) express the basic concepts, in particular, investment activities, specific terms of investment regulation, as well as the differences between them;
- 3) determine the composition of the participants of the investment activity and the legal status in the investment process;
- 4) Analyze the existing procedure for the creation and termination of investment funds to study their activities.

Keywords: Interconnected investment funds, legal regulation, investment activities, legislative status.

* * * *

გლობალიზაციის ეტაპზე მსოფლიოში ჯერ კიდევ იქმნება თანამედროვე ინვესტიციის რეჟიმი, რომელიც შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო სამართალთან. ნყარო, რომელიც წარმოადგენს ფუნდამენტურ და მარეგულირებელ ინვესტიციურ საქმიანობას საქართველოში, ითვლება საერთაშორისო ხელშეკრულებად - ვენის კონვენცია 1969 წლის ხელშეკრულებების შესახებ კანონის შესახებ. [1]

მნიშვნელოვანია განვიხილოთ ურთიერთდაკავშირებული საინვესტიციო ფონდების საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების სფეროები. ურთიერთინვესტირების ფონდი წარმოადგენს საკუთრების კომპლექსს და ამგვარი ფონდის იურიდიულ სტატუსს აქვს სახელშეკრულებო მოქმედება. პრაქტიკაში, შემდეგი ვარიანტიებია:

• საკუთარი მენეჯმენტის კომპანიის შექმნა და სახელწოდების ურთიერთდახმარების რეგისტრაცია; ეს მოითხოვს იურიდიული პირის რეგისტრაციას და მიიღებს ინვესტიციის ფონდების, ასევე ურთიერთდაკავშირებული ინვესტიციების ფონდებისა და არასახელმწიფო საპენსიო ფონდების მართვის ლიცენზიის მოპოვებას.

• არსებულ კომპანიასთან შეთანხმება შექმნის ფონდის სამეურვეო საბჭოს როლზე.

მეორე ვარიანტის არჩევისას პარალელურად შეიძლება შეიქმნას საკუთარი მმართველი კომპანია, რომელიც შემდგომში გადაეცემა ფონდის მენეჯმენტს.

ასე რომ, ურთიერთსასურველი ინვესტიციის ფონდის შესაქმნელად აუცილებელია, პირველ რიგში, დარეგისტრირდეს მმართველი კომპანია.

მმართველი კომპანიის (დიდი ბრიტანეთი) და მისი ურთიერთდახმარების ფონდის შექმნის მთავარი ეტაპები შემდეგში მდგომარეობს: მმართველი კომპანიის რეგისტრაცია; სისხლის სამართლის კოდექსის ლიცენზიის მოპოვება; მმართველ კომპანიასა და ინფრასტრუქტურულ ორგანიზაციებს შორის ხელშეკრულებების დადება; ურთიერთსახსრების რეგისტრაცია. რამდენიმე საინვესტიციო ფონდი შეიძლება დარეგისტრირდეს ერთ მმართველ კომპანიაში.

ურთიერთდახმარების საინვესტიციო ფონდების რამდენიმე სახეობა არსებობს:

1) ღია (ამგვარი ფონდების საინვესტიციო ერთეულის შექმნა და გამოსყიდვა შესაძლებელია მმართველი კომპანიის მიერ ნებისმიერ დღეს).

2) ინტერვალი (ასეთი სახსრების საინვესტიციო ერთეულების გამოსყიდვა შესაძლებელია ექსკლუზიურად გარკვეული პერიოდის ინტერვალებით, რომლებიც დადგენილია სახსრების წესებით).

3) დახურული (ურთიერთინვესტირების ფონდე-

ბი, რომლებიც გამოიყენება უძრავი ქონებისა და ინსტრუმენტების ინვესტიციებისთვის, გარდა ფასიანი ქაღალდებისგან).

აღნიშნულ დარგში მნიშვნელოვანია პროფესორ ალექსანდრე სიჭინავასა და ირინა გოგორიშვილის სახელმძღვანელო „საერთაშორისო საინვესტიციო საქმე და ტრანსნაციონალური კორპორაციები“, რომელშიც განხილულია საერთაშორისო ინვესტიციების მნიშვნელობა და მსოფლიო საინვესტიციო გარემო. საერთაშორისო ინვესტიციების მექანიზმები და სამოტივაციო ფაქტორები. [2]

ქვეყანაში ჯანსაღი საკანონმდებლო გარემოს, მათ შორის საინვესტიციო თვალსაზრისით, ჩამოყალიბება და განმტკიცება აუცილებელია. მნიშვნელოვანია კანონპროექტის ის ნაწილი, რომელიც ფონდის შექმნის, დარეგისტრირებისა და მართვის პრინციპებს აწესრიგებს სამართლებრივად, ასევე, განსაზღვრავს ფონდის სხვადასხვა ტიპს.

კანონის პროექტი სამი ტიპის ფონდის ჩამოყალიბების შესაძლებლობას იძლევა. სხვადასხვა საქმიანობის მიხედვით, ფონდს შეუძლია ფინანსური სახსრების მობილიზება კოლექტიურად ანუ ფიზიკური პირებიდან, ასევე ორგანიზაციებიდან თავისუფალი ფინანსური სახსრებით. კანონპროექტის მიხედვით, ფონდმა შესაძლებელია საქართველოში დააბანდოს საქართველოს გარეთ მობილიზებული ფინანსური რესურსების და პირიქით, საქართველოში მობილიზებული ფინანსური რესურსების ინვესტირება მოახდინოს საქართველოს ფარგლებს გარეთ. [3]

საქართველოში არსებობს „ანარმოე საქართველოში - ინვესტიციის“ მიმართულება, რომლის მიზანია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ხელშეწყობა და განვითარება. აღნიშნული მიმართულება წარმოადგენს ერთგვარ მედიატორს უცხოელ ინვესტორებსა და საქართველოს მთავრობას შორის, მუშაობს „ერთი ფანჯრის პრინციპით“ და ეხმარება დაინტერესებულ ინვესტორებს სხვადასხვა ინფორმაციის მიღებასა და ქართულ მხარესთან ეფექტური კომუნიკაციის წარმოებაში.

რაც შეეხება შეღავათებს: საქართველოს კანონის თანახმად, თუ კომპანია წარმოების დასაწყებად ან არსებული ბიზნესის გაფართოება/გადაიარაღებისთვის იღებს ადგილობრივ ბანკში სესხს (ლარში), პროგრამის „ანარმოე საქართველოში“ ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერით ისარგებლებს ანუ 24 თვის განმავლობაში პროცენტის თანადაფინანსებას, 10%-ის ოდენობით სააგენტო „ანარმოე საქართველოში“ განახორციელებს. სასტუმრო ინდუსტრიების მხარდაჭერის მიზნითაც იგივე სიტუაციაა.

საქართველოში მინიმუმ 300,000 ლარის მოცულობის ინვესტიციის განხორციელების შემთხვევა-

ში უცხო ქვეყნის მოქალაქეს შეუძლია მიიღოს საინვესტიციო ბინადრობის უფლება. [4]

ინვესტიციების განხორციელებისთვის კიდევ ერთი მიმზიდველი მხარდაჭერის მექანიზმია და მსხვილ საინვესტიციო საქმიანობას ახორციელებს „საპარტნიორო ფონდი“. იგი არის სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი, რომელიც დაარსდა 2011 წელს და მინიჭებული აქვს საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო Fitch-ის რეიტინგი „BB“. „საპარტნიორო ფონდი“ შექმნილია სატრანსპორტო, ენერჯეტიკისა და ინფრასტრუქტურის სფეროში არსებული მსხვილი სახელმწიფო საწარმოების გაერთიანების საფუძველზე. მისი მთავარი დანიშნულებაა საქართველოში ინვესტიციების ნახალისება საინვესტიციო პროექტების განვითარების საწყის ეტაპზე თანამონაწილეობის გზით (კაპიტალში თანაინვესტირება, სუბორდინირებული სესხი და ა.შ.). [5]

ფონდი აფინანსებს კერძო ინვესტორებს შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- საპარტნიორო ფონდს შეუძლია განახორციელოს ინვესტიცია მხოლოდ საქართველოში, ყველა სექტორში მომსახურების სფეროს გარდა;

- ფონდი ახორციელებს ინვესტიციებს მხოლოდ კომერციულად მომგებიან პროექტებში;

- ფონდი უფლებამოსილია მიიღოს მონაწილეობა კაპიტალში და ასევე გასცეს სუბორდინირებული/უპირატესი სესხები (both convertible and non-convertible);

- ფონდის მონაწილეობა პროექტში, იქნება ეს კაპიტალისა თუ სესხის სახით, არ უნდა აღემატებოდეს კერძო ინვესტორის წილს;

- ფონდის მიზანია მიიღოს მონაწილეობა პროექტებში უმცირესი თანამონაწილის სახით, საშუალო ან გრძელ ვადიანი პერსპექტივით. როდესაც პროექტი გახდება მდგრადი, ფონდი გამოდის თანამონაწილეობიდან.

პროექტის შერჩევის კრიტერიუმებია:

- პარტნიორის უნდა ჰქონდეს ფინანსური რესურსი კაპიტალის სახით პროექტის ნაწილის დასაფინანსებლად,

- წარმოდგენილი უნდა იყო პროექტის ეკონომიკურ ტექნიკური დასაბუთება (ბაზრის კვლევა),

- ფონდის წილი არ უნდა იყოს მთლიანი ინვესტიციის 50%-ზე მეტი,

- პროექტიდან ფონდის გასვლა უნდა იყოს შესაძლებელი 3-7 წლის განმავლობაში.

ინვესტიციის განხორციელება შესაძლებელია 1) კერძო ინვესტორის ან 2) ფონდის ინიციატივით. 1) თუ კერძო ინვესტორს გააჩნია პროექტი და სურს მოიზიდოს ფინანსები ფონდისგან კაპიტალის მოზიდვის სურვილის შემთხვევაში, ინვესტორმა პირველ რიგში უნდა გაიაროს შემდეგი 3 ეტაპი: პარტ-

ნიორი/ინვესტორი წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას პროექტზე (პრეზენტაცია, ბიზნეს გეგმა, საბაზრო კვლევა და ა.შ.), რომელიც შეფასდება საპარტნიორო ფონდის საინვესტიციო დეპარტამენტის მიერ; თუ პროექტი შეესაბამება ფონდის მოთხოვნებს, პროექტი განსახილველად გადაეცემა საინვესტიციო საბჭოს, რომელიც პროექტის შემდგომი განვითარების შესახებ იღებს გადაწყვეტილებას. იმ შემთხვევაში თუ პროექტი დეტალური ანალიზის შემდეგ ფონდისთვის მიზანშეწონილად მიიჩნევა, ის გადაეგზავნება სამეთვალყურეო საბჭოს, რომელიც იღებს პროექტის დაწყების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას. 2) საპარტნიორო ფონდმა დაადგინა საინვესტიციო შესაძლებლობა და სურს მოიზიდოს ინვესტორი პროექტში მონაწილეობისთვის. პროექტმა უნდა გაიაროს 3 ეტაპი: ხდება პროექტის ინიცირება საპარტნიორო ფონდის მიერ - საინვესტიციო პროექტის მომზადება, რომელიც ითვალისწინებს ტექნიკური და ფინანსური მიზანშეწონილობის კვლევებს (პროცესში შეიძლება ჩაერთოს საკონსულტაციო ფირმები); პირველ ეტაპზე ხდება პროექტის სტრუქტურის და დამტკიცება; ფონდი იზიდავს ინვესტორს პროექტის განსახორციელებლად. [6]

საპარტნიორო ფონდის მონაცემების მიხედვით, 23 იანვარს 2020წ., საქართველო განსუს საერთაშორისო საინვესტიციო ფორუმზე მასპინძელ ქვეყნად მიიწვიეს. [7] აგრეთვე განხორციელებული ინოვაციური პროექტებია: „Panex“ - სენდვიჩ პანელების საწარმო - „საპარტნიორო ფონდისა“ და ქართული კომპანია „ICES“-ის ერთობლივი დაფინანსებით, რუსთაველი სამშენებლო მასალების, ენ. სენდვიჩ პანელების საწარმო. პროექტი იტალიური ექსპორტ-იმპორტის სააგენტო „SACE“-ს ფინანსური ჩართულობით განხორციელდა; ლურჯი მოცვის პლანტაცია - „საპარტნიორო ფონდისა“ და ქართული კომპანია „ვანრიკ აგროს“ ერთობლივი პროექტი გურიში. მოცვის მოსავლის 90 პროცენტი ექსპორტზე გადის დიდი ბრიტანეთში, ნიდერლანდებში, პოლონეთში და ა.შ.; „Ytong“ - ენერგოეფექტური ბლოკების ქარხანა - „საპარტნიორო ფონდის“, ქართული კომპანია „არქი ჯგუფისა“ და გერმანული კომპანია „ქსელა გრუპის“ ერთობლივი პროექტი, რომელიც საქართველოში მაღალი ენერგოეფექტური სამშენებლო ბლოკებს აწარმოებს; „ATC“ - თვითმფრინავების კომპოზიტური ნაწილების ქარხანა - ამიერკავკასიაში პირველი სამოქალაქო თვითმფრინავების კომპოზიტური ნაწილების ქარხანა - „საპარტნიორო ფონდისა“ და ებრაული კომპანია „Elbit Cyclon-ის“ ერთობლივი პროექტია. პროდუქციას მიაწვდის თვითმფრინავების მწარმოებელ ცნობილ კომპანიებს, როგორებიცაა: Airbus, Bombardier და სხვა. „ელბიტი“ ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე კვოტი-

რებული, მსოფლიოში აღიარებული მწარმოებელია და „ბონგის“, „ეარბასის“, „ბომბარდიერის“, ასევე, მსოფლიოში ცნობილი სხვა მსხვილი კომპანიების პარტნიორია.[8]

საერთო ჯამში, უნდა აღინიშნოს, რომ საინვესტიციო აქტიურობასთან დაკავშირებით საკანონმდებლო მდგომარეობის თვალსაზრისით, Invest in Georgia-ს კვლევის მიხედვით: INVESTMENT CLIMATE & OPPORTUNITIES IN GEORGIA 2019, საქართველო

113 ქვეყნიდან 38-ე ადგილს იკავებს. [9] მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩატარდა 2019-11-25-ში, რაც გულისხმობდა საქართველოში საინვესტიციო ფონდების ბაზრის განვითარებისათვის საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ USAID-ის და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, შემუშავებული კანონპროექტების განხილვას, რამაც უნდა უზრუნველყოს ეფექტური საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა. [10]

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვენის კონვენცია სახელმეკრულებო სამართლის შესახებ, (ქ. ვენა, 1969 წლის 23 მაისი) <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi78.pdf> [უკანასკნელად გადამოწმდა 23.09.20]
2. სიჭინავა ა., გოგორიშვილი ი., „საერთაშორისო საინვესტიციო საქმე და ტრანსნაციონალური კორპორაციები“, თბ.2012, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“, გვ. 302;
3. <https://www.interpressnews.ge/ka/article/586061-beka-liluashvili-sainvesticio-pondeb-ekonomikashi-damatebiti-investiciebis-ganxorcielebis-shesazleblobeb-kmnian/> [უკანასკნელად გადამოწმდა 20.09.20]
4. <http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/სიახლეები/826-sainvesticio-klimati-saqartvelo-shi-dzalian> [უკანასკნელად გადამოწმდა 21.09.20]
5. <http://www.fund.ge/who-we-are> [უკანასკნელად გადამოწმდა 15.09.20]
6. <http://business.org.ge/sapartnoro-fondi-investirebis-principebi/> [უკანასკნელად გადამოწმდა 18.09.20]
7. <http://www.fund.ge/site/news/579> [უკანასკნელად გადამოწმდა 12.09.20]
8. <http://www.fund.ge/#>; <http://www.fund.ge/site/project/26> [უკანასკნელად გადამოწმდა 20.09.20]
9. INVESTMENT CLIMATE & OPPORTUNITIES IN GEORGIA 2019, https://www.investingeorgia.org/en/ajax/downloadFile/1073/Investment_Climate__Opportunities_in_Georgia_2019.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა 22.09.20]
10. <https://commerciant.ge/ge/post/sadjaro-da-kerdzo-seqtoris-warmomadgnelebma-erov-nul-bankshi-sainvesticio-fondebis-shesaxeb-proeqtze-imsdjeles> [უკანასკნელად გადამოწმდა 23.09.20]

ჩინეთ-საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მნიშვნელობა და პერსპექტივები

დავით მორგოშია

ევროპული და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრი
მილანის კათოლიკური უნივერსიტეტი (UNICATT)

რეზიუმე

სტატიის „ჩინეთ-საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მნიშვნელობა და პერსპექტივები“ მიზანია მკითხველს ნათლად დაანახოს ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობების ისტორიული კავშირები, პერიპეტეიები, შესაძლებლობები, ნეგატიური და პოზიტიური ტენდენციები, გამოწვევები და შესაძლო განვითარების სცენარები ბილატერალურ ურთიერთობებში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ჩინეთის ეკონომიკური როლი ქართულ რეალობაში. აზიური გიგანტი არის ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული მოთამაშე დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში. ჩინური სახელმწიფო კომპანიების განეული სამსახური საქართველოში სხვადასხვა ტიპის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში შთაბეჭდილი და ფასდაუდებელია. ასევე, ჩინეთი არის საქართველოს მესამე სავაჭრო პარტნიორი, თურქეთისა და რუსეთის შემდეგ. ორი ქვეყნის სავაჭრო ბრუნვის ტენდენცია განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, რადგან სანყისი წლების მაჩვენებელი სულ რაღაც 4 მლნ აშშ დოლარს აღწევდა, როდესაც გასული სამი წლის განმავლობაში სარეკორდო 1 მლრდ აშშ დოლარის ფარგლებში ფიქსირდება ნიშნული.

აუცილებელია ხაზი გაესვას გეოეკონომიკურ ასპექტებს, რადგან 2015 წელს საქართველო გახდა ერთ-ერთი დამფუძნებელი ქვეყანა „აზიის ინფრასტრუქტურული ინვესტიციის ბანკის“, რომელიც არის მთავარი ფინანსური ინსტიტუცია ახალი აბრეშუმის გზის პროექტის. მომდევნო ეტაპი დაგვირგვინდა 2017 წლის შეთანხმებით საქართველოსა და ჩინეთს შორის „თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების შესახებ“, რომელიც 2018 წლის 1 იანვარს შევიდა ძალაში. ასევე, მნიშვნელოვანი ფაქტორია ორ ქვეყანას შორის საექსპორტო და იმპორტული პროდუქციის დინამიკა და სტატისტიკა, რომელიც დეტალურად არის მოცემული აღნიშნულ სტატიაში.

და ბოლოს, განხილულ იქნა შესაძლო გეოპოლიტიკური სცენარები და რისკები აშშ-ჩინეთის არსებული სავაჭრო ომის ფონზე, რომელიც უდაოდ იქონიებს ზეგავლენას საქართველოს ეკონომიკაზე.

საკვანძო სიტყვები: დიპლომატიური ურთიერთობები, სავაჭრო ბრუნვა, აბრეშუმის გზა, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება, ექსპორტი, იმპორტი, გეოპოლიტიკა, ტექნოლოგიები.

SUMMARY

The article “Importance and Prospects of the China-Georgia Free Trade Agreement” aims to show the reader clearly the historical ties, peripeteias, opportunities, negative and positive trends, challenges and possible development scenarios in bilateral relations between the two countries.

It is important to note China’s economic role in the Georgian reality. The Asian giant is one of the most productive players in the history of independent Georgia. The service provided by Chinese state-owned companies in the implementation of various types of infrastructure projects in Georgia is impressive and invaluable. China is also Georgia’s third largest trading partner, after Turkey and Russia. The trade turnover trend of the two countries deserves special attention, as the figure for the initial years was just \$ 4 million, while the mark has been fixed to the extent of \$ 1 billion over the past three years.

It is necessary to emphasize the geo-economic aspects, as in 2015 Georgia became one of the founding countries of the Asian Infrastructure Investment Bank (AIIB), which is the main financial institution for the new Silk Road project. The next stage was completed by the agreement of 2017 between Georgia and China on the “Free Trade Agreement”, which entered into force on January 1, 2018. The dynamics and statistics detailed in this article are also important factors in the export and import of products between the two countries.

Finally, possible geopolitical scenarios and risks were discussed in the context of the current US-China trade war, which will undoubtedly have an impact on the Georgian economy.

Key words: Diplomatic Relations, Trade Turnover, Silk Road, Free Trade Agreement, Export, Import, Geopolitics, Technologies.

* * * *

ისტორიულად საქართველო-ჩინეთის სავაჭრო ურთიერთობების ათწლეულის წერტილი იწყება ე.წ. „აბრეშუმის დიდი გზის“ ეპოქაში, ჯერ კიდევ ძვ.წ. II საუკუნეში. თუმცა, მას შემდეგ ორ ხალხს შორის ურთიერთობები სხვადასხვა დროს განსხვავებული ინტენსივობით წარმართა. მაგალითად, მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში, ჩინელმა მეჩაიე ლიუ ძუნიჭოუმ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ჩაუყარა საფუძველი ჩაის, ციტრუსის და ტუნგას

მოყვანის კულტურას, რითაც საქართველო-ჩინეთს შორის სოფლის მეურნეობაში თანამშრომლობის ახალი ფურცელი გადაიშალა. მომდევნო წლებში, ჩინელმა ვაჭრებმა საქართველოდან სხვადასხვა ენდემური ჯიშის მცენარეები წაიღეს საკუთარ სამშობლოში გასაშენებლად. მათ შორის ყველაზე პოპულარული რა თქმა უნდა ქართული ვაზის ჯიშებია: რქანითელი და საფერავი. დღემდე, ჩინეთის სხვადასხვა პროვინციების ადგილობრივი მევენახეები წარმატებით უვლიან ქართული ჯიშის ვენახებს.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები თვისობრივად ახალ ეტაპზე გადავიდა. აღსანიშნავია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა იყო ერთ-ერთი უპირველესი სახელმწიფო, რომელმაც აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა, დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობები და გახსნა საელჩო თბილისში. ჩინეთი მკაფიოდ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას. თავის მხრივ, საქართველო აღიარებს „ერთიანი ჩინეთის პოლიტიკის“ პრინციპს, რომელიც უმთავრესი პოსტულატია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან დიპლომატიური ურთიერთობების დასამყარებლად. ამასთანავე, საქართველო-ჩინეთის ორმხრივი ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ფორმატია მთავრობათაშორისო ეკონომიკური კომისია, სადაც განიხილება სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის აქტუალური საკითხები.

გლობალურ სამყაროში, საქართველოს უპირველესი ამოცანა არის თავისი გეოეკონომიკური ფუნქციის აღდგენა, ანუ გახდეს ხიდი და ლოგისტიკური ჰაბი აზიასა და ევროპას შორის. 2013 წელს, ჩინეთის პრეზიდენტ სი ძინფინგის მიერ ინიცირებული „სარტყელი და გზის ინიციატივა“ ე.წ. „21-ე საუკუნის აბრეშუმის სახმელეთო და საზღვაო გზა“ გახდა ის ბოძებული შანსი საქართველოსთვის, რომელსაც ამდენი წლის განმავლობაში ელოდა. არ არის გასაკვირი, რომ საქართველო არის ერთ-ერთი იმ 54 ქვეყანათაგან, რომელმაც 2015 წელს ხელი მოაწერა „აზიის ინფრასტრუქტურული საინვესტიციო ბანკის“ (AIIB) დაარსებას. აღნიშნული ფინანსური ინსტიტუცია არის უმთავრესი ჩინური ფინანსური პლატფორმა ინვესტიციების და ზოგადად ფინანსების სამართავად, ახალი აბრეშუმის გზის პროექტების განსახორციელებლად სხვადასხვა კონტინენტზე თუ ქვეყანაში. ეს ყოველივე გახდა ახალი იმპულსი ეკონომიკური ურთიერთობების გასაუმჯობესებლად. 2017 წლის 13 მაისს, გაფორმდა საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება, რომელზეც მუშაობა დაიწყო 2015 წლის სექტემბერში ქ.დალაიანის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ საქართველო გახდა რეგიონში პირველი ქვეყანა, ვისთანაც ჩინეთმა თავისუფალი

ვაჭრობის შეთანხმება გააფორმა. ხელშეკრულება ოფიციალურად ამოქმედდა 2018 წლის 1 იანვარს და მისი მიზანია ქართველ მწარმოებლებს შესაძლებლობა მისცეს, პროდუქციის ჩინეთის ბაზარზე დამატებით საბაჟო გადასახადების გარეშე შეტანის. კონკრეტულად, ქართული პროდუქციის დაახლოებით 94% გათავისუფლდება საბაჟო გადასახადისგან. საექსპორტო პროდუქციას შორისაა ღვინო, თხილი, თაფლი, მინერალური წყალი, ლუდი, უალკოჰოლო სასმელები, ჯემები, ნვენები, ბოსტნეული, ხილი, შოკოლადის ნაწარმი, ჩაი, თევზი და სხვა ზღვის პროდუქტები, მარცვლეული, სამკურნალო საშუალებები, კაბელები, პლასტმასის პროდუქცია, აზოტოვანი და მინერალური სასუქების სახეობები, ფეროსილიკომანგანუმი, ლოკომოტივები და სხვა.

აუცილებელია აღინიშნოს ჩინეთ-საქართველოს ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების დინამიკა. ორ ქვეყანას შორის მეოცე საუკუნეში ყოველწლიური სავაჭრო ბრუნვა საშუალოდ **3,7 მლნ აშშ დოლარს** შეადგენდა. თუმცა, ზემოთ აღნიშნული მოვლენებიდან გამომდინარე, ჩინეთის ინტერესები ჩვენი ქვეყნის მიმართ საგრძნობლად გაიზარდა. თუ ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ეს გამოიხატებოდა ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის ჩინური კრედიტებით, ბოლო წლებში ჩინეთი უკვე თავად გვევლინება ერთ-ერთ მთავარ ინვესტორად და მოთამაშედ. **2006** წელს ქვეყნებს შორის სავაჭრო ბრუნვა **115 მლნ აშშ დოლარი** იყო. ხოლო **2014** წლისთვის მაჩვენებელმა რეკორდული ნახტომი განახორციელა, რაც აისახა შესაბამის რიცხვებში, **820 მლნ აშშ დოლარის** სახით. რაც შეეხება, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს (**FDI**) **2011** წლისთვის ის **9.6 მლნ აშშ დოლარის** ნიშნულზე იყო, **2014** წელს კი **200 მლნ აშშ დოლარს** მიაღწია. რეკორდულად მზარდი ტენდენცია გაგრძელდა შემდგომ წლებშიც. **2017** წელს სავაჭრო ბრუნვამ შეადგინა **933.6 მლნ აშშ დოლარი** (ექსპორტი: **201** მლნ აშშ დოლარი; იმპორტი: **732.6** მლნ აშშ დოლარი). **2018** წელს პირველად დაფიქსირდა ისტორიული ნიშნული სავაჭრო ბრუნვის **1,031.6 მლნ აშშ დოლარის** სახით (ექსპორტი: **198** მლნ აშშ დოლარი; იმპორტი: **833.9** მლნ აშშ დოლარი). მიუხედავად იმისა, რომ **2018** წლის 1 იანვარს თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულება ძალაში შევიდა, პარადოქსულად, საექსპორტო ნიშნულმა **3 მლნ აშშ დოლარით** იკლო, რაც ჩინეთის მატერიკზე ქართული პროდუქტის მოთხოვნის კლების და არაინტენსიური მარკეტინგის შედეგია. თუმცა, **2018** წლის ნეგატიური საექსპორტო გაკვეთილი გაითავისეს ქართულმა კომპანიებმა და **2019** წელს საექსპორტო რეკორდი დააფიქსირეს-**227.6 მლნ აშშ დოლარი**, ხოლო იმავე წელს ჩინეთიდან იმპორტირებულ იქნა **858.6 მლნ აშშ დოლარის** საქონელი, ანუ საერთო ჯამში სავაჭრო ბრუნვამ **1,086.2 მლნ დოლარი** შეადგინა, გასულ წელზე **54.3 მლნ აშშ დოლარით** მეტი. თუმცა, სავაჭრო დეფიციტი საკმაოდ დიდია, რადგან **631.6 მლნ აშშ დოლარის** აღმო-

საფხვრელად საქართველოს საკმაოდ რთული და პრომატივადი სამუშაოს განევა მოუწევს გრძელვადიან პერსპექტივაში, არამხოლოდ ეკონომიკურ სექტორში არამედ განათლების სისტემაშიც.

საინტერესოა საქსტატის 2019 წლის საქართველო-ჩინეთის სავაჭრო საქონლის ძირითადი ჩამონათვალი.

ექსპორტი 227.6 მლნ აშშ დოლარი

1. მადნები და კონცენტრატები სპილენძის - \$172.2 მლნ
2. ყურძნის ნატურალური ღვინოები - \$18.8 მლნ
3. მონყობილობები მედიცინაში ან ვეტერინარიაში გამოსაყენებელი - \$12.9 მლნ
4. მადნები და კონცენტრატები ძვირფასი ლითონების - \$5.7 მლნ
5. კოჭა, ზაფრანა, ურცი, დაფნის ფოთოლი, კარი და სხვა სანელებლები - \$3.6 მლნ
6. თხილი და სხვა კაკალი - \$3.4 მლნ
7. რეაგენტები დიაგნოსტიკური ან ლაბორატორიული - \$2.7 მლნ
8. სამარჯვები ორთოპედიული; სხეულის ხელოვნური ნაწილები - \$2.02 მლნ
9. ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.-%-ზე ნაკლები, სპირტიანი სასმელები (ლიტრი, 100% სპირტი) - \$839.7 ათასი
10. ალუმინი დაუმუშავებელი - \$779,1 ათასი.

იმპორტი 858.6 მლნ აშშ დოლარი

1. ბრტყელი ნაგლინი ნახშირბადიანი ფოლადი-საგან - \$30 მლნ
 2. მონყობილობები ჰაერის კონდიციონერისათვის - \$22 მლნ
 3. რეზინის პნევმატური სალტეები და საბურავები - \$21.7 მლნ
 4. აპარატურა მიმღები სატელევიზიო კავშირისათვის - \$21.3 მლნ
 5. გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები - \$21.4 მლნ
 6. ნათურები და გამანათებელი მონყობილობები - \$18.7 მლნ
 7. პოლიაცეტალეები, პოლიეთერები - \$18 მლნ
 8. ტრანსფორმატორები ელექტრული, სტატიკური ელექტრული გარდაქმნელები - \$14.8 მლნ
 9. ბულდოზერები, ავტოგრეიდერები, ექსკავატორები, სატკეპნი მანქანები და სხვა - \$13.9 მლნ
- საქართველოში ჩინეთიდან იმპორტი საკმაოდ დივერსიფიცირებულია. სტატისტიკა აჩვენებს, რომ ამ პროდუქციის გარდა, ჩინეთიდან ხორციელდება ფეხსაცმლის, მაცივრების, ხორცის, ნათურების და ა.შ. იმპორტი.

როდესაც საუბარი გვაქვს თანამედროვე ჩინეთთან სავაჭრო ურთიერთობებზე, აუცილებელია აღინიშნოს ის ორი ძირითადი ასპექტი, რომელიც განსაზღვრავს ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური

ურთიერთობების პროდუქტიულობას და სამომავლო განვითარების დინამიკას. უკანასკნელ წლებში მიღწეულმა ტექნოლოგიურმა და ეკონომიკურმა საოცარმა წარმატებამ ჩინეთს საერთაშორისო აღიარება მოუპოვა მსოფლიოს მასშტაბით, რაც გამოიხატება იმ ეკონომიკურ ხელშეკრულებებში, რომელიც მას აქვს ევროკავშირთან, აშშ-სთან, იაპონია-სთან და მსოფლიოს სხვა მონინავე ეკონომიკებთან. თუმცა, ამ ზღაპრულმა სავაჭრო ციფრებმა არ უნდა მისცეს ილუზიების საბაზი იმ ქვეყანებს ან კერძო კომპანიებს, რომლებსაც სურთ ჩინურ მხარესთან სავაჭრო ურთიერთობების დანყება, განვითარება ან გაღრმავება, რადგან ყველაფერი ისე მარტივად არ არის როგორც სტატისტიკებიდან ჩანს. პირველ რიგში უნდა კლასიფიცირდეს ჩინეთთან ეკონომიკური ურთიერთობების ზემოთ აღნიშნული ორი ძირითადი განმსაზღვრელი ტიპობრივი ფაქტორი, ესენია *ენდო* და *ეგზო* ფაქტორები. როდესაც საუბარია *ენდო* ანუ შიდა ფაქტორებზე, მეტად მარტივია კონსენსუსის პოვნა. საუბარია ორ მხარეს შორის მიმდინარე მოლაპარაკებებზე, ანუ იმ რეგულაციებსა და წესებზე რომლებმაც უშუალოდ ორი მსურველი მხარის სამომავლო ურთიერთობის იურიდიული და ეკონომიკური ასპექტების შერწყმა უნდა მოახერხოს. სხვა სიტყვებით, "win-win" თანამშრომლობის პრინციპი, რომელიც ჩინეთის პრეზიდენტმა, სი ძინფინგმა მთავარ სტანდარტად დაურთო ახალი აბრეშუმის გზის განვითარების კონცეფციას, როგორც ქვეყანათა შორის ურთიერთობების მამოძრავებელი ძალა და მოტივაცია. ანუ, მარტივად რომ ითქვას, საუბარია ორ სუბიექტს შორის ინდივიდუალურ შეთანხმებაზე, რომელმაც წარმოდგენილ მხარეებს მოგების სარგებელი თანაბრად და სამართლიანად უნდა მოუტანოს. თუმცა, ამ ყველაფრის სრულ რეალიზებაში მოყვანას კვლავ დიდი დრო დასჭირდება. თუ ავიღებთ ევროკავშირისა და აშშ-ს დამოკიდებულებას ჩინეთთან სავაჭრო დეფიციტის მიმართებაში, ორ კარდინალურად განსხვავებულ მეთოდთან გვაქვს საუბარი. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უარყოფითი დინამიკის აღმოსაფხვრელად მკაცრ და უხეშ მეთოდს მიმართა და ე.წ. „ტარიფების ომი“ გამოუცხადა აზიურ გიგანტს, რათა ეკონომიკური ხარვეზის მყისიერი აღმოფხვრა მოხდეს, თუმცა საპასუხო ზომებმა ჩინეთის მხრიდან სასურველი შედეგი ვაშინგტონს ვერ მოუტანა და ორი ეკონომიკური გიგანტის შეჯახებით მსოფლიო ეკონომიკა სერიოზული კრიზისის წინაშე დააყენა. ევროკავშირის შემთხვევაში, მეტად რბილ პოზიციონირებასთან გვაქვს საუბარი, რადგან ბრიუსელი ცდილობს დიპლომატიური გზებით გამონახოს შეთანხმება პეკინთან ასიმეტრიული საინვესტიციო გარემოს აღმოსაფხვრელად. რადგან ჩინელ ინვესტორებს ევროკავშირში ყველა პირობა აქვთ სამართლიან და თანაბარ გარემოში ინვესტირების, ხოლო ევროპელები სერიოზული ბარიერების წინაშე დგანან როდესაც ჩინეთში კაპიტალ-დაბანდებას

ეხება საქმე. ჩინეთის ხელისუფლების მმართველმა ძალამ, არაერთხელ განაცხადა სრული მზადყოფნა უცხოელი ინვესტორებისთვის ადგილობრივ ბაზარზე დასამკვიდრებლად რეგულაციების გამარტივების სურვილი და გეგმა, თუმცა ჯერ-ჯერობით აშშ-ჩინეთის გაშმაგებული სავაჭრო ომის კვალბაზე ამ მიმართულებით ცვლილებები მდარე ტემპებით მიმდინარეობს.

საქართველოსთვის არ არის ახალი ჩინურ სახელმწიფო კომპანიებთან საქმიანი ურთიერთობა, რომლის დროსაც არაერთხელ ჰქონია უსიამოვნო ტენდენციებს ადგილი, როგორც შრომითი უფლებების დაცვის კუთხით, ასევე ადგილობრივი კადრების და მუშახელის დასაქმების მიმართულებით. მსგავს სიტუაციებში არსებულმა მხარემ (ქართულმა) პრინციპულად უნდა იმოქმედოს და მოლაპარაკებების დაწყებისას ჩადოს ხელშეკრულებაში საკუთარი მკაფიო ინტერესები. ამ მიმართულებით, ბოლო წლებში ქართული მხარის მიერ განუვლმა ძალისხმევამ მეტ-ნაკლებად სასურველი და დადებითი შედეგები გამოიღო. თუ დავაკვირდებით მიმდინარე საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის მშენებლობას, სადაც ჩინეთის რკინიგზის კონსტრუქციის კორპორაცია (CRCC) და მისი ორ შვილობილი კომპანია, — ჩინეთის რკინიგზის კონსტრუქციის საერთაშორისო კორპორაცია (CRCC International) და ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფი (CR23), ასევე კომპანია PowerChina/Sinohydro (ფაუერჩაინა/სინოჰიდრო) იღებენ მონაწილეობას, ქართული „ნილი“ საკმაოდ მოცულობითია და საგრძნობლად გაზრდილი, როგორც დასაქმებულების მხრივ ასევე ადგილობრივი წარმოების საშენი მასალების გამოყენების მხრივ. ეს არის სწორედ ის შემადგენელი ნაწილი „win-win“ თანამშრომლობისა, სადაც არსებულმა მხარებმა ინტენსიური ურთიერთ მოლაპარაკებების ხარჯზე კონსენსუსს მიაღწიონ. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ მთავარია პრინციპულობა და მტკიცე ნება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საუბარია ჩქაროსნული მაგისტრალის პროექტზე, რომელიც უდაოდ ყველაზე დიდი და სტრატეგიული არსებული პროექტია დამოუკიდებელი ქვეყნის ისტორიაში, ანაკლიის ღმანლოვანი პორტის არ შემდგარი პროექტისგან განსხვავებით, რომლის ჩაშლის შესაძლო მიზეზებზე მოგვიანებით ვისაუბრებ.

რაც შეეხება, უშუალოდ სავაჭრო ურთიერთობებს, უდაოდ ქართველ მწარმოებლებს აქვთ ცოდნის დეფიციტი ჩინელი მომხმარებლის თავისებურებების, მოწონების და საჭიროებების შესახებ. ჩინური ბაზარი იმდენად მრავალფეროვანი და განსხვავებულია, ექსპორტიორისთვის სპეციფიკური მიდგომები და უნარებია საჭირო. რა თქმა უნდა, არსებული ტაქტიკა, რომ ქართული კომპანიები კონკრეტულ პროვინციებთან და დიდ ქალაქებთან აწარმოებენ მოლაპარაკებებს, რომელთა მახასიათებლებიც ზრდის მათი პროდუქტის რეალიზების შანსს,

სრულიად გამართლებულია. მაგალითად, ღვინის ექსპორტი ხდება ისეთ სეგმენტში, ვისთვისაც მისალეები ამ ტიპის ალკოჰოლური სასმლის მიღება, რადგან მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ღვინო არაპოპულარული სასმელია. საინტერესო მარკეტინგული ფენომენია „სტალინის“ ქეისი, როდესაც ვსაუბრობთ ქართული ღვინის რეალიზაციაზე ჩინეთში. უამრავ ჩინელ დისტრიბუტორს აქვს ერთი კონკრეტული მოთხოვნა, მათ უმრავლესობას სურთ ღვინის ბოთლზე სტალინის გამოსახულების მქონე ეტიკეტის დატანება, რაც ბევრი ქართული კომპანიისთვის მორალურად მიუღებელი ფესტია, ბევრისთვის ჩვეულებრივი მარკეტინგული სვლა. თუმცა, არსებობს რამდენიმე უცხოური ღვინის კომპანია, კონკრეტულად კი მაქვს საუბარი ერთ-ერთ დანიელ ანტერპრენერზე, რომელიც “e-commerce” პლატფორმის საშუალებით შეისყიდის მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან პრემიუმ კლასის ღვინოებს და შემდეგ ინტერნეტის საშუალებით ყიდის მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში. რაც ყველაზე საინტერესოა, ქართული ღვინის შემთხვევაში, მისი კომპანია პრემიუმ ხარისხის საფერავის ღვინოს სპეციალურად ჩინური მოთხოვნისთვის სტალინის ეტიკეტს აკრავს ბოთლს (*პირადად შევხვედრივარ მსგავს ფაქტს პეკინში*). ფაქტია, ამ მეთოდით არის რისკები ათობით მილიონი დოლარის კონტრაქტები დაეკარგოთ ქართველ მეღვინეებს. შესაბამისად ამ საკითხის ქვეყნის დონეზე გადამწყვეტია საჭირო, რათა არსებული სეგმენტი არ დაზარალდეს. ქართული ჩაის ექსპორტი ხდება სინძიანის და განსუს პროვინციებში, რადგან ადგილობრივი მეჩაიეების სწორი დაინტერესება მოხდა ქართული ჩაით, აღარაფერს ვამბობთ იმ უზარმაზარ მოთხოვნაზე რომელიც ჩინეთში არსებობს მათი საყვარელი სასმლის მიმართ. შესაბამისად, წარმოების გაზრდის შემთხვევაში არსებობს შესაძლებლობა სხვა პროვინციებში ქართული უნიკალური ჩაის ექსპორტირების. ძირითადი ორი სეგმენტი, რომლითაც საქართველოს აქვს შესაძლებლობა ჩინურ ბაზარზე დამკვიდრების არის, ბუნებრივი პირველადი რესურსების და სოფლის მეურნეობის პროდუქტის ექსპორტირება, ოღონდ ერთი განსხვავებით, რომ ის ქართული პროდუქტი, რომელიც ქართველისთვის პოპულარულია არ ნიშნავს ავტომატურად ჩინელისთვისაც მისაღება. მაგალითად, ქართული ყველის ექსპორტირება რთული იქნება ჩინეთის ბაზარზე ორი მიზეზის გამო, პირველი არაპოპულარული პროდუქტია, რადგან მათი ეროვნული ყველი სწორედ სოიოს ყველია „ტოფუ“ და მეორე ჩინელი ხალხის დიდი ნაწილი მარილიან საკვებს ერიდება, განსაკუთრებით სამხრეთ ჩინეთის მატერიკის მოსახლეობა. სხვა მოცემულობა გვაქვს თავფლის, თხილის, კაკალის და სანელებლების შემთხვევაში, რადგან ამ ქართულ პროდუქტზე დიდი მოთხოვნაა, როგორც ჩინეთიდან ასევე ევროკავშირისგანაც, რაც უდაოდ საინტერესო მოვლენაა და ამ მიმა-

რთულებით საჭიროა მუშაობა. უკანასკნელ წლებში ჩინელი მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის გაზრდილმა მაჩვენებელმა, გამოიწვია ისეთ პროდუქტებზე მოთხოვნილების გაზრდა როგორც ზღვის პროდუქტები, თევზეულობა და განსაკუთრებით ხორცეულობაა. თუ გადავავლებთ თვალს, უკანასკნელ დროს ჩინური კომპანიების მიერ დადებულ გრანდიოზულ ხელშეკრულებებს (მილიარდიან კონტრაქტებს) საქონლის (საფრანგეთი, არგენტინა) და ღორის (გერმანია, ბრაზილია) ხორცის შესყიდვის მიმართულებით, ნათელია ის ფაქტი თუ რა პოტენციალია აქვს ამ სექტორს. საქართველო იყო ოდითგანვე გამორჩეული მეცხოველეობის კუთხით, თუმცა დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე ადგილობრივი წარმოება შიდა მოთხოვნილებასაც ვერ აკმაყოფილებს და გაყინული ექსპორტირებული ხორციტ მარაგდება. ეს მიმართულება უდაოდ პრიორიტეტული უნდა გახდეს საქართველოსთვის და სახელმწიფომ უშუალოდ უნდა უზრუნველყოს ყველა საჭირო რესურსით ადგილობრივი მწარმოებლები არსებული სიტუაციის გამოსასწორებლად.

ნამოუდგენელია ვისაუბროთ ჩინეთ-საქართველოს თავისუფალ ხელშეკრულებაზე „სარტყელი და გზის ინიციატივის“ გარეშე. 2015 წელს დაარსებული „აზიის ინფრასტრუქტურული ინვესტიციის ბანკის“ მონაწილე ქვეყნისთვის, საქართველოსთვის სატვირთო რკინიგზის რეკონსტრუქციის (ბაქო-თბილისი-ყარსი), ჩქაროსნული აღმოსავლეთ-დასავლეთის შემაერთებელი მაგისტრალის მშენებლობის გარდა, გახლდათ ღრმანყოფანი პორტის აშენება, ქართული მოთხოვნილებებიდან გამომდინარე ანაკლიის პორტის მშენებლობა. აღსანიშნავია ფაქტი, რომ მსგავსი მასშტაბური პროექტების თანამონაწილე ფინანსური ინსტიტუტები არის „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი“ (EBRD) და „აზიის განვითარების ბანკი“ (ADB), რაც გამორიცხავს ჩინური საკრედიტო თუ ფინანსურ დომინირებას. ქართულ მხარეს ანაკლიის პორტთან დაკავშირებით ორი ვარიანტი ჰქონდა ერთ-ერთი „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“, რომელიც „თიბისი“ ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, მამუკა ხაზარაძემ დააარსა, რომელიც პროექტში ამერიკულ კომპანია Conti Group-თან თანამშრომლობდა. და მეორე კონსორციუმი კი, ბიზნესმენ თემურ ქარჩავას მიერ დაფუძნებული „ანაკლია - ინდუსტრიული ეკოპარკი და პორტი“. მისი პარტნიორი იყო Power Construction Corporation of China, რომელიც ჩინეთის უმსხვილესი კომპანიის Power China-ს შვილობილი კომპანიაა. ჩინურ მხარესთან მოლაპარაკებები სატენდერო პირობების შესახებ წარუმატებლად დასრულდა. ამ თემასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა „ანაკლია - ინდუსტრიული ეკოპარკი და პორტი“ დამფუძნებელმა თემურ ქარჩავამ. მისი განცხადებით, *“ჩინური კომპანია Power China მზად არის დააფინანსოს, ააშენოს და ექსპლოატაცია გაუწიოს ამ დიდ პრო-*

ექტს, რასაც ანაკლიის პორტი ჰქვია. განსახილველია რამდენიმე საკითხი საინვესტიციო ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით... გარკვეული პუნქტები საერთაშორისო ფინანსურ სტანდარტებთან მიმართებაში უნდა მონესრიგდეს”. თემურ ქარჩავას თქმით, თუ სახელმწიფო საინვესტიციო ხელშეკრულების პირობებს არ შეცვლის, მაშინ ჩინური მხარე პროექტში მონაწილეობაზე უარს იტყვის. ფაქტი ფაქტად რჩება და დღემდე ოფიციალური მიზეზი ანაკლიის პორტის, როგორც ჩინურ-ქართული პროექტის ვერ განხორციელების მიზეზი უცნობად რჩება. შესაბამისად გამარჯვებული კომპანია გახდა ქართულ-ამერიკული კონსორციუმი, რომელმაც სამწუხაროდ დაკისრებულ მოვალეობას თავი ვერ გაართვა და პროექტი ჩავარდა, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მათ ვერ წარადგინეს ტვირთბრუნვის გარანტია. ლოგიკურია, ანაკლიის პორტი უნდა ყოფილიყო რეალურად ევრო-ჩინური დამაკავშირებელი პროექტი სადაც ევროკავშირი, სამხრეთ კავკასია, ცენტრალური აზია და აღმოსავლეთ აზია (ჩინეთი, სამ. კორეა და იაპონია) ერთმანეთს დაუკავშირდებოდნენ. ხოლო, იმ შემთხვევაში თუ ქართული პორტი იქნებოდა ამერიკელების ოპერირების ქვეშ ჩინელებისთვის ტვირთბრუნვა რისკის შემცველი იქნებოდა (დიდი პროცენტი ტვირთებისა სწორედ ჩინეთის მხრიდან უნდა წამოსულიყო) მსგავს შემთხვევაში. რა თქმა უნდა ეს რისკები გამართლდა და დღეს ამერიკასა და ჩინეთს შორის მძიმე „სავაჭრო ომი“ მიმდინარეობს. ამ ყველაფერს თუ დავამატებთ მაიკ პომპეოს 2019 წლის 12 ივნისს გაკეთებულ განცხადებას ანაკლიის პორტთან მიმართებაში ბევრ კითხვას ნათელი ეფინება: *“იმედი გამოვთქვი, რომ საქართველო დაასრულებს პორტის მშენებლობის პროექტს და ამით გაძლიერდება საქართველოს ურთიერთობა თავისუფალ ეკონომიკურ სივრცეებთან და იმავდროულად ქვეყნის პოზიცია დაცული გახდება რუსეთის ან ჩინეთის ეკონომიკური გავლენებისგან. ეს ვითომ მეგობრები საქართველოს ინტერესებს არ იზიარებენ”*. აგრეთვე, ამერიკელი დიპლომატი მეთიუ ბრაიზა, რომელიც აქტიურად მოღვაწეობდა საქართველოში, ერთ-ერთ ინტერვიუში ქართველ ჟურნალისტთან საუბრისას განაცხადა, რომ საქართველო უნდა გახდეს დამაკავშირებელი ხიდი ჩინეთსა და ევროკავშირს შორის, თუმცა არა „სარტყელი და გზის ინიციატივის“ ეგიდით, რათა დაცული ყოფილიყო ჩინური ფინანსური საფრთხეებისგან. მსგავსი შეფასება იგივეა ალვიქვათ, როგორც ქვეყანა რომელსაც სურს „ნატოს“ სამხედრო ალიანსში გაერთნევიანება ისე რომ ბრიუსელთან და ვაშინგტონთან არ ითანამშრომლოს. სურათი ნათელია, აშშ-ს პრეზიდენტ ტრამპის ადმინისტრაციის ნომერ პირველი საფრთხე ჩინური აღზევებაა და ყველა აპრობირებული მეთოდით სარგებლობს მის შეჩერებას. საქართველომ, როგორც აშშ-ს სტრატეგიულმა პარტნიორმა, მტკიცედ უნდა დაუჭიროს

მხარი და მაქსიმალურად შეზღუდოს ჩინეთთან ურთიერთობები, რადგან სანინაალმდეგო შემთხვევაში ოფიციალურ თბილისს მსგავსი პოლიტიკური ნება ძალიან ძვირად დაუფდება (საუბარია საერთაშორისო იზოლაციაზე). მეორე მხრივ, არც რუსეთია ხელდაკრეფილი და მაქსიმალურად ცდილობს ხელი შეუშალოს ქართულ-ევროპულ-ჩინურ ეკონომიკურ კავშირს, რადგან ჩრდილოელი მეზობელი ქვეყანა როგორც საქართველოს მეორე სავაჭრო პარტნიორი, მსგავსი სცენარის განვითარების შემთხვევაში, მოსკოვს სამომავლოდ ოფიციალურ თბილისზე ზენოლის მოსახდენ ეკონომიკურ ბერკეტებს და პრივილეგიებს დააკარგვინებს, რაც არაერთხელ გაუკეთებია ახლო წარსულში.

უკანასკნელი ინფორმაციით, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში წყვეტს ან ამცირებს თანამშრომლობას იმ ქართულ კომპანიებთან, რომლებიც ჩინური ტექნოლოგიური გიგანტის, Huawei-ის ტექნოლოგიებით სარგებლობენ. ასევე ყველა იმ კომპანიასთან, რომელიც ZTE, Hikvision, Dahua, და Hytera-ს ან მათთან ასოცირებული კომპანიების მონყობილობებით ან ვიდეო სამეთვალყურეო აპარატურით სარგებლობენ. *“ამერიკის საელჩო ასრულებს კანონით დაკისრებულ ვალდებულებას, შეატყობინოს პარტნიორებს საკანონმდებლო რეგულაციებში ცვლილებების შესახებ. ამ შემთხვევაში საუბარია “უცხოეთში დამზადებული პროდუქციის შესახებ” წესზე, რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის 15 მაისს, თუმცა ამოქმედება გახანგრძლივდა 13 აგვისტომდე, შესაბამისად 13 აგვისტოდან მოყოლებული ვატყობინებთ ჩვენს კონტაქტებს რეგულაციების შესახებ”*, - განაცხა-

დეს აშშ-ის საელჩოში.

აშშ-ჩინეთის დაპირისპირების ფონზე არსებული ვითარება, უდაოა რომ საქართველოს ხელ-ფეხს შეუკრავს აზიურ გიგანტთან ეკონომიკურ ურთიერთობების გასაღრმაველად. მსგავსი პერმანენტული რეკომენდაციები და რჩევები ოფიციალური ვაშინგტონისა და ამერიკელი ლობისტებისგან, ცალსახად ნიშნავს რომ საქართველოს ჩინური ბაზრისკენ სწრაფვის ტემპს დააგდებს და რაც დიდი ალბათობით სამომავლოდ სავაჭრო ბრუნვის ტენდეციებს უარყოფითად აღნიშნავს. როდესაც ჩინეთ-საქართველოს ეკონომიკურ ურთიერთობებზე ვსაუბრობთ, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საუბარი გვაქვს საქართველოს მესამე სავაჭრო პარტნიორთან თურქეთისა და რუსეთის შემდეგ, მაშინ როდესაც აშშ ხუთეულშიც არ შედის ეკონომიკური პარტნიორების სიაში. თუმცა, ვაშინგტონი დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან საქართველოს უმთავრესი პოლიტიკური მხარდამჭერი და პარტნიორია. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი პოლიტიკა წონის ეკონომიკას. რა თქმა უნდა ეს ყველაფერი ჩინურ-ქართული ურთიერთობების დასასრულს არ ნიშნავს, არამედ ინტენსივობის და მასშტაბების შემცირებას. წესით და რიგით, სოფლის მეურნეობის მიმართულება და ყველა ის ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც გეოპოლიტიკური ინტერესების მიღმაა, სამომავლოდ პოზიტიური ტენდენციებით უნდა გაგრძელდეს და განხორციელდეს. სამწუხაროდ, არა იმ შესაძლო მასშტაბებით, რომელიც შესაძლებელი იყო საქართველოს განვითარებინა ევროკავშირი-ჩინეთის ეკონომიკური პოლიტიკის ფონზე.

წყაროები:

1. <https://forbes.ge/news/2712/Tavisufali-vaWroba>
2. <http://www.economy.ge/?page=news&nw=180&s=saqartvelosa-da-chinets-shoris-tavisufali-vachrobis-shesaxeb-xelshekruleba-gaformdeba>
3. <https://sinomedia.ge/>
4. <http://ge.china-embassy.org/eng/xwdt/t1522850.htm>
5. <https://bm.ge/ka/article/ashsh-vs-huawei---ashsh-is-saelchos-txovna-qartul-kompaniebs-/63874>
6. <https://bm.ge/ka/article/ras-yidis-da-ras-yidulobs-saqartvelo-chinetshi---top-5-produqti-/50523>
7. <https://bm.ge/ka/article/2019-wels-saqartvelom-chinetisgan-859-mln-is-saqoneli-iyida---top-10-produqti/47755>
8. <https://factcheck.ge/ka/story/21026-ratom-pherkhdeba-anakliis-portis-proeqti-darodis-daitsqheba-misi-mshenebloba>
9. <https://m2b.ge/post/266596-maik-pompeo-anakliis-porti-saqartvelos-rusetis-ekonomikuri-gavlenebisgan-daicavs>
10. <https://bm.ge/ka/article/quotunikaluri-xidi-xashuris-shemovlit-gzazequot--vinganaxorciela-proeqti/64540>
11. <https://bm.ge/ka/article/quotunikaluri-xidi-xashuris-shemovlit-gzazequot--vinganaxorciela-proeqti/64540>
12. <https://www.geostat.ge/ka>

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველოს საინჟინრო აკადემია**

**Georgian Technical University
Georgian Academy of Engineering**

**ბიზნეს - ინჟინერინგი
Business-Engineering**

**ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი
საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი**

**QUARTERLY REFEREED AND REVIEWED
INTERNATIONAL SCIENTIFIC JOURNAL**

**N4
2020**

სარჩემი

პიონის ინჟინერინგი N4. 2020

ეკონომიკის მდგრადი განვითარების საკითხები

ზურაბ ნასარაია, ჯემალ განოკიძე

რეგიონის მდგრადი განვითარების მაჩვენებლებისა და მონიტორინგის სისტემა ----238

Colin Rigby, Philippa Chapman, Otar Zumburidze, Boris Gitolendia, Luka Kemoklidze

PRACTICE OF INTERNATIONAL EDUCATIONAL PROJECTS ON SUSTAINABLE INSTITUTIONAL DEVELOPMENT IN GEORGIA, ON THE EXAMPLE OF ONE OF THE PROJECT PARTNERSHIPS OF "CREATIVE SPARK: HIGHER EDUCATION ENTERPRISE PROGRAMME" ----- 241

დავით მორგოშია

ჩინეთ-იაპონიის ორმხრივი ურთიერთობების პოლიტიკური ასპექტები----- 246

ეკატერინე ვეფხვიამვილი

სახელმწიფო შესყიდვების ორგანიზება-----252

ოთარ ზუმბურიძე, ირაკლი კუკავა

**რეგიონის ინფო-საკომუნიკაციო საბაზრო
პოტენციალის შეფასების მეთოდოლოგია-----256**

თამთა ქორიძე

**საქართველოში 2004-2010 წლებში განხორციელებული
საგადასახადო რეფორმის ზოგადი ასპექტების შესახებ----- 264**

ზაირა ლუდუშაური, გუგული ყურაშვილი, საბა ბურჯალიანი

სტრატეგიული ნარმატივის არსი და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები -----269

ეკონომიკის სექტორების განვითარების

თანამედროვე პრობლემები

შალვა კუტუბიძე

**ქართული სათავადაზნაურო ბანკის მართვის სისტემა
და თანამედროვე საბანკო პოლიტიკა -----273**

ალეკო ქუთათელაძე, რუს უდან ნიკურაძე

**ფინანსური ინოვაციების განვითარების
ტენდენციები ბანკებსა და არასაბანკო საკრედიტო -----278**

ალეკო ქუთათელაძე, რუს უდან ნიკურაძე

**ბანკებსა და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებში
ფინანსური ინოვაციების სახეები-----285**

გივი ინანიშვილი, თინათინ წერეთელი
უკველესი მატალურგიული წარმოება და კალეოეკონომიკა -----292

გიორგი ჩუბინიშვილი
**ზოომორფული ქანდაკებები სენზორული კოლხეთიდან
(მუხურჩანს სამაროვნის მასალების მიხედვით)-----296**

თეიმურაზ ალავედიე
საქართველოს სოფლის მეურნეობაში ინოვაციური მენეჯმენტის შესახებ----- 301

რეცენზია

სახელმძღვანელოზე: «მონეტარული ეკონომიკა და პოლიტიკა» ----- 304

ქართველ ავტორთა ნიბნი მსოფლიოს 9 ენაზე -----305

სამძიმარი

გურამ ყუყუნიძე-----306

ეკონომიკის მდგრადი განვითარების საკითხები

რეგიონის მდგრადი განვითარების მაჩვენებლებისა და მონიტორინგის სისტემა

ზურაბ ნასარაია
სტუ-ს დოქტორანტი

ჯემალ გახოკიძე
პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
სტუ-ს პროფესორი

RESUME

The article is dedicated to the region's sustainable development indicators and monitoring system. The system of indicators for sustainable development of the region means a set of indicators that allows the interpretation of changes in the institutional, social, ecological and economic characteristics of the region.

* * * *

რეგიონის მდგრადი განვითარების ინდიკატორების სისტემაში იგულისხმება ინდიკატორთა ერთობლიობა, რომელიც რეგიონის ინსტიტუციური, სოციალური, ეკოლოგიური და ეკონომიკური მახასიათებელთა ცვლილების ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. კვლევებმა აჩვენა, რომ რეგიონის მდგრადი განვითარების ინდიკატორთა სისტემა შექმნილია შემდეგი ამოცანების გადასაჭრელად:

- სტრატეგიული და ტაქტიკური განვითარების მიზნების განსაზღვრა;
 - რეგიონის განვითარების ოპერატიული მენეჯმენტი;
 - რეგიონის პოზიციის (მდგომარეობის) შეფასება ქვეყანასა და მსოფლიოში;
 - რეგიონის მდგრადი განვითარების მართვაში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა.
- უნდა აღინიშნოს სამიზნე აუდიტორიის მრავალფეროვნებაც, ესენია: მდგრადი განვითარების ინდიკატორების მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციის მიმღებნი, კერძოდ:
- ცენტრალური და რეგიონული დონის ხელმძღვანელობა, რომელსაც უნდა ჰქონდეს წარმოდგენა რეგიონის მდგრადი განვითარების პოტენციალის შესახებ;
 - რეგიონების მდგრადი განვითარების სტრატეგიების შემუშავების მონაწილეები;
 - რეგიონების უწყებთაშორისი კომისიების, ანტიკრიზისული შტაბების წევრები;
 - საზოგადოება;
 - მსოფლიო საზოგადოება.
- რეგიონში მდგრადი განვითარების ინდიკატო-

რების სისტემის შექმნის პრობლემის შესახებ ლიტერატურის ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ინდიკატორების სისტემატიზაციის მიღწევა, ვინაიდან გამოყენებული ინდიკატორების კომპლექტი უნდა აკმაყოფილებდეს:

- 1) სამი სხვადასხვა ტიპის სისტემაში (აღამიანი, ეკონომიკა, ბუნება) მიმდინარე პროცესების დახასიათებას გაზომილს სხვადასხვა სივრცითი და დროითი მასშტაბებით;
- 2) სოციალურ-ეკონომიკური სისტემების დინამიკის ასახვას;
- 3) სოციალურ-ეკონომიკური სისტემების ფუნქციონირების შედეგებზე დამოკიდებულების გამოვლენას მათი მდგომარეობის განმსაზღვრელ ფაქტორებზე;
- 4) ნებისმიერ დონეზე (ცენტრალური, რეგიონული და მუნიციპალური) გამოყენების შესაძლებლობას.

როგორც კვლევამ აჩვენა, რეგიონის მდგრადი განვითარების ინდიკატორთა გამოყენებულ სისტემებში მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი შემუშავების, ინფორმაციულობისა და შემდგომი გამოყენების საფუძველს წარმოადგენს:

- სახელმწიფო სტატისტიკური მონაცემები;
- უწყებრივი სტატისტიკური მონაცემები;
- რეგიონის მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკითხვების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია;
- ინფორმაცია, რომლებიც შეიცავს მონაცემებს და სამეცნიერო პუბლიკაციებს მდგრადი განვითარების შესახებ.

უცხოური და ქართული გამოცდილების ანალიზის შედეგად რეგიონის განვითარების მდგრადობის თვალსაზრისით განისაზღვრა მოთხოვნები ინდიკატორების მიმართ:

- 1) რაოდენობრივი გამოხატვის შესაძლებლობა;
- 2) ეროვნული სტატისტიკის მონაცემების გამოყენების შესაძლებლობა;
- 3) დაბალი ხარჯები ინფორმაციის შეგროვებისა და გაანგარიშების დროს;

4) რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მდგომარეობის დროში შეფასების შესაძლებლობა;

5) სახელმწიფო და მუნიციპალურ ადმინისტრაციულ სისტემასთან შესაბამისობა;

6) სხვა ქვეყნებთან და რეგიონებთან თანაფარდობის და შედარების შესაძლებლობა.

ასევე სასურველია, რომ ინდიკატორების ეს სისტემა მოერგოს საერთაშორისო სტანდარტის ISO/TK268 „თემების მდგრადი განვითარება“ მოთხოვნებს. ამავე დროს, ავტორთა აზრით სასურველია, რომ ინდიკატორების ერთობლიობამ უზრუნველყოს ეკონომიკური განვითარების მდგრადობის შეფასება ორი თვალსაზრისით:

1. უზრუნველყოს დასახული დონის ეკონომიკური განვითარების შედეგების მდგრადობის მხარდაჭერა და შენარჩუნება (სტაბილიზაციური მდგრადობა);

2. უზრუნველყოს ეკონომიკის დამატებითი ზრდის მაჩვენებლების სტაბილურობის შენარჩუნება (დინამიური სტაბილურობა).

რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეფექტურობის შეფასებისას, მდგრადი განვითარების ფაქტორთან ერთად, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას საქართველოს ეკონომიკური სივრცის ჰეტეროგენურობის ფაქტორი. ამრიგად, საჭიროა ინდიკატორების სისტემა, მათი გამოყენების მკაფიოდ განსაზღვრული სფეროებით და ურთიერთკავშირების მახასიათებლებით.

ჩვენი აზრით, რეგიონის მდგრადი განვითარების მენეჯმენტის შეფასების ინდიკატორები ეკონომიკაში, სოციალურ და გარემოს დაცვით სფეროში ახალი პრობლემების წარმოქმნის და ახალი ტენდენციების გამოვლენის შემთხვევაში მათი კორექტირების საშუალებას უნდა იძლეოდეს; გარდა ამისა, მათი მეშვეობით უნდა ხდებოდეს რეგიონის მდგრადი განვითარების მონიტორინგი, რომლის ქვეშ იგულისხმება რეგიონული მენეჯმენტის სუბიექტების საქმიანობა და რეგიონის მდგრადი განვითარების სტრატეგიის განხორციელებაში პროგრესის და შედეგების ყოვლისმომცველი შეფასება. ფუნქციური ანალიზის თვალსაზრისით, მონიტორინგი წარმოადგენს მმართველობითი საქმიანობის ტიპს, რომელიც ხორციელდება რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სტაბილურობის გაზრდის მიზნით, დაკვირვების, კონტროლის, ანალიზის, აღრიცხვის, დიაგნოსტიკის, შეფასების და პროგნოზირების მეთოდების გამოყენებით. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგი უზრუნველყოფს არა მხოლოდ რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სისტემისა და მისი ცალკეული ქვესისტემების ფუნქციონირების შედეგების აღრიცხვას, არამედ ასევე ქმნის საფუძველს რეგიონის განვითარების სტრატეგიის შემუშავებისათვის და საშუალებას იძლევა, ჩატარდეს კომპლექსური შედარებითი ანალიზი ტერიტორიის სოციალურ-ეკო-

ნომიკური განვითარების მდგრადობის შესახებ.

მონიტორინგის ობიექტს წარმოადგენს რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სისტემა. რეგიონის მდგრადი განვითარების მონიტორინგი ითვალისწინებს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის შეფასებას და ეკონომიკური სუბიექტების ფუნქციონირების პირობების შეფასებას. აღნიშნული ამოცანები გვარდება რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ქვესისტემებისთვის გათვლილი ინდიკატორების სისტემის და მონიტორინგის ინდიკატორების გამოყენების საფუძველზე.

რეგიონის მდგრადი განვითარების მენეჯმენტის მონიტორინგის დროს ხდება შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

– ხდება მეთვალყურეობის ორგანიზება;

– ხორციელდება შეგროვებული ინფორმაციის სისტემური ანალიზი;

– განისაზღვრება ის ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავს სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მიმდინარეობის ხასიათს;

– დგინდება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უარყოფითი და პოზიტიური ტენდენციები და მუშავდება პროგნოზები;

– ხდება რეკომენდაციების შემუშავება და დასაბუთება;

– სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დადგენილი წესით მიენიშნებათ მონიტორინგის ჩატარების მონაცემები; ფართო საზოგადოებას, ბიზნესსა და სამეცნიერო წრეების წარმოადგენლებს მიენიშნებათ მონიტორინგის შედეგები.

ჩვენ გამოვყოფთ რეგიონის მდგრადი განვითარების მონიტორინგის ორგანიზების ეტაპებს, რომლებიც ნაჩვენებია ცხრილში 1. რეგიონების მდგრადი განვითარების მონიტორინგისთვის შემოთავაზებულია საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ქვედანაყოფის შექმნა.

ჩვენს მიერ შემოთავაზებულია ინდიკატორების სისტემის გამოყენება რეგიონის განვითარების მდგრადობის შესაფასებლად, რომლის საფუძველს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივნისის ბრძანებით გათვალისწინებული ინდიკატორების კომპლექტი. მოცემულ ბრძანებაში მოცემულია „საქართველოს ეკონომიკის, საბანკო-საფინანსო სისტემაში და სოციალური სფეროს რეალურ სექტორში მონიტორინგის პროცესში გამოყენებული ინდიკატორების სრული კომპლექტი“. ამ განკარგულების თანახმად, მონაცემები გადაეცემათ საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას ყოველთვიურად, ყოველი საანგარიშგებო თვის შემდეგ, თვის 30 რიცხვამდე. ამავედროულად, საქართველოს შემადგენელი სუბიექტების ეკონომიკაში, ფინანსურ, საბანკო და სოციალურ სფეროებში არსებული მდგომარეობის შესახებ მოხსენებაში ასევე მოცემულია საქართვე-

რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მდგრადი განვითარების
ორგანიზებისა და მონიტორინგის ეტაპების შინაარსი

ეტაპები	ეტაპის შინაარსი
მომზადება	მიზნის დადგენა, პროგრამის შემუშავება, ფინანსური ღონისძიებები, მეთოდის დამტკიცება, კადრებისა და ტექნიკური ბაზის მომზადება
განხორციელება	მონაცემების შეკრება აგრეგირება და დამუშავება; ანალიზი; პროგნოზი.
დასრულება	დასკვნების გაკეთება და რეკომენდაციების შემუშავება

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

ლოს შემადგენელი სუბიექტების აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გატარებული ანტიკრიზისული ღონისძიებების ანალიზი. ინფორმაციის შეგროვება და გადამუშავება ხორციელდება ერთი ვერტიკალურად ინტეგრირებული სახელმწიფო ავტომატიზებული სისტემის მეშვეობით.

ავტორის მიერ შემოთავაზებული ინდიკატორული სისტემის უპირატესობებს და პრინციპულ განსხვავებებს წარმოადგენს:

1. რეგიონის მდგრადი განვითარების მონიტორინგში ეფექტურობა და ეკონომიურობა;
2. გამოყენებული მონაცემების საიმედოობა;
3. მონაცემთა წარდგენის ოპერატიულობა;
4. ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობა;
5. მონაცემთა შეგროვებისა და ინფორმაციის დამუშავების მექანიზმის ფედერალური და რეგიონული მმართველობის არსებულ სისტემაში ჩართულობა.

ამრიგად ვთვლით, რომ საჭირო არ არის მონიტორინგის სპეციალური სისტემის შექმნა, საკმარისია არსებული სისტემის მოდიფიცირება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. World Development Report. – New York: Oxford University Press, 2019. – W.4.
2. Blakely E. J. Planning local economic development: theory and practice. – Thousand Oaks, 2014 – W. 15.
3. Freeman C. Technology Policy and Economic Performance. – London: Pinter Publishers, 2007.
4. Lundvall B. National Systems of Innovation. – London: Pinter, 2012.
5. Malecki E. Technology and economic development: the dynamic of local, regional and national competitiveness. – Harlow: Longman Scientific & Technical, 2011. – W.7.

PRACTICE OF INTERNATIONAL EDUCATIONAL PROJECTS ON SUSTAINABLE INSTITUTIONAL DEVELOPMENT IN GEORGIA, ON THE EXAMPLE OF ONE OF THE PROJECT PARTNERSHIPS OF “CREATIVE SPARK: HIGHER EDUCATION ENTERPRISE PROGRAMME”

Colin Rigby

Senior Lecturer, Keele University

Philippa Chapman

Innovation Advisor, Keele University

Otar Zumburidze

Doctor of Technical Sciences, Professor of GTU

Boris Gitolendia

Doctor of Business Administration, Associate Professor of GTU

Luka Kemoklidze

Master's Student; Specialist in International Relations of GTU

ABSTRACT

The article reviews practice of International educational projects on sustainable Institutional development in Georgia on the example of one of the project partnerships under the British programme “**Creative Spark: Higher Education Enterprise Programme**”. particularly, the joint partnership project of Georgian Technical University and Keele University, practical issues of the first year of which the present research is based on. The article also highlights specific details of the project management, discusses the problems that arose during the implementation, which according to the opinion of the authors, were identified during the process of working on the project. The article is based on a joint research by Georgian Technical University and Keele University.

Keywords: Higher Education Institutions (HEI); Project; Action Plan; Entrepreneurship; Creativity; International Educational Project.

INTRODUCTION

International project management, as a separate management institution has a little background. It has been determined as an official management process since the last century and is still developing at different rates in different countries.

Many international projects have been implemented in Georgia to date. The international community is providing significant assistance to Georgia on its way to integration into the Euro-Atlantic area. This is illustrated by numerous support packages or initiatives that have been implemented in Georgia with the support of international partners. In recent years, among international initiatives, special attention has been paid to the development of mechanisms for the economic development and the basis for its long-term inclusive growth, which will contribute to raising the welfare of the population. It is impossible for Georgia to accomplish na-

tional tasks without encouraging the development of entrepreneurial skills and creative industries, using international academic and institutional partnerships. In present-day world, educational organisations are the main and primary flagships of such initiatives, and at the same time, they play a major role in sustainable development of common, national ecosystem. **One of the top priorities for achieving results in this direction are the initiatives that support innovation and technology, as well as creative industries.**

As it is well known, United Kingdom and its government are one of the most outstanding countries in terms of international supportive initiatives and grant activities. The presented research is based on the initiative from UK, as one of the most powerful global actors in nowadays world - “**Creative Spark: Higher Education Enterprise Programme**”, which is being implemented under the auspices of the British Council¹, in several post-Soviet countries, including Georgia.

The presented research refers to **the first-year part** of the current project partnership between Georgian Tehnical University and Keele University (Great Britain) within the above-mentioned programme. The main goal of the research is to determine the difficulties and problematic issues identified in the first stage of the project implementation; Review the results achieved and outline ways to develop further successful cooperation, which we think should be based on past experience and shall be useful for transforming the best practices into routine.

The theoretical and methodological basis of this paper are mainly practical examples (facts). The paper uses Management Theory concepts, methods of Systemic Analysis, Logical Analysis, Synthesis and other methods.

¹ The British Council is the UK's international organisation for cultural relations and educational opportunities. <https://www.britishcouncil.ge/en>

GENERAL INFORMATION ON “CREATIVE SPARK: HIGHER EDUCATION ENTERPRISE PROGRAMME” INITIATIVE

“Creative Spark” is a 5-year initiative by the United Kingdom. Its main goal is to support international university and institutional partnerships to develop enterprise skills and creative industries, and foster economic development and stability in the beneficiary countries by doing this. The program is being implemented in Great Britain, Georgia, Azerbaijan, Armenia, Uzbekistan, Ukraine, Kazakhstan and Kyrgyzstan.

In these seven countries, in order to support higher education reforms and in response to unemployment statistics, the project aims to use the UK experience and expertise in order to develop the field of entrepreneurial education. It also aims to support more than 10,000 students and young creative entrepreneurs each year.

As of 2020, “Creative Spark: Higher Education Enterprise Programme” has involved a total of 50 international partnerships within the projects for two years, which were formed between higher education institutions and organisations working in the creative field in the UK and beneficiary countries².

Georgian Technical University is a member of one of the current partnerships. GTU is implementing the project with the status of a partner university, in cooperation with Keele University (UK), within the framework of the British Council grant programme: “Creative Spark: Higher Education Enterprise Programme”. Working on the project began in 2018, after the British Council and the project partnership foundation jointly announced a call for project application. At this point (Spring 2020), the 2nd year of the project is being carried out.

The main Part – Project Management matters

It is important for any institution, especially for higher education institutions, to attract projects, and just as important are the issues in further project management.

The relevant office of Georgian Technical University received comprehensive information about the grant competition through a letter from the Georgian office of the British Council and following information meetings.

GTU approached Keele University, one of the leading higher education institutions in the UK, which has a ten-year successful partnership with GTU. Consequently, a working group was set up by the two universities and the project application was submitted within the set timeframe, which subsequently received funding.

The role of GTU in the project application was mainly defined as a beneficiary, while the main role of Keele University was laid on mentoring.

The main goals of the first year project proposal:

The goals of the first year of the project, created

mutually by Georgian Technical University and Keele University, fully met the competition requirements and were formulated as follows:

- To develop enterprise competences in students and young individuals employed in creative industry;
- Support the start-ups and operation of a new business through incubation services;
- Knowledge-sharing;

Throughout the project, the following activities were planned and implemented in 2018-2019:

- With the moderation of Keele University staff, 14 members of academic and administrative staff of Georgian Technical University participated in so-called **Train the Trainers (ToT) programme**, these individuals were actively involved in relevant activities within the project. Within the project, a **training cycle “Entrepreneurial Skills Development”** was planned and carried out for teachers, students and alumni (5 trainings);

- **Big Idea Challenge** video pitching competition was held, which is the programme element of “Creative Spark” and participation is compulsory for all programme institutions. The competition format gives young people opportunity to form their innovative “startups” and introduce them to the world. Global competition of “Big Idea Challenge 2019” was held in three categories: 1. Digital Technology; 2. Social Impact; 3. Creativity. GTU received total of 27 applications, from which 10 best were chosen to represent the university and 2 teams qualified to country finals;

- With the assistance from the British Council, online **Business English Courses** were offered to GTU students and staff. A total of 60 beneficiaries have used the courses at GTU. It is noteworthy that GTU and Keele partnership submitted the project application for opening “English Club” at GTU. However, the application failed to receive funding at this stage;

- The first year project intended a **study visit to the UK**. The visit was conducted and four beneficiaries participated in it. For a week, visitors to the UK attended meetings, workshops, and so-called observational teaching activities;

- In order to develop practical competences in GTU students and cooperation between enterprise sector, “Creative Spark” first year project plan envisaged implementation of **“Keele Research and innovation Support Programme” (KRISP)**, which has been set up in the UK to stimulate and support close cooperation between educational institutions and small and medium enterprises. The programme has proven to be successful at Keele University. The programme is designed for people and businesses (small and medium-sized businesses) who are thinking or are in the process of creating a new product, process, or service.

Students had an opportunity to get involved in the project in two ways:

² Source: <https://www.britishcouncil.ge/en/programmes/education/creative-spark>

1. **“Novel Business Idea”** - the project envisages the generation of student ideas and its practical implementation, incubation and consultative work with professors.

2. **“Working on the real business project”** - includes cooperation with business sector, development of real business cases and project design of set tasks, joint consulting work with the business representatives and professors.

This is the task of the project, which in the second part (meaning “working on a real business project”), unfortunately failed for a number of reasons (the reasons are discussed further in conclusion). Although work in this direction continues and it will be implemented in the second year of the project.

- In the first year of the project, **number of workshops were held** among the members of the project organizing team, as well as with the participation of the business sector, academia, students, alumni and other stakeholders. Numerous **publications, information and press releases** have been published to disseminate the results and announcements of the project; Number of consultative, informational and public meetings were held; The members of the project management team took part in multiple **“Creative Spark”** public activities in Georgia and abroad, planned and organized by the British Council and partner organisations, where reports, presentations, etc. were present.

More than 150 students, academic and administrative staff were directly involved in the first year of the project as participants and/or beneficiaries.

it should be pointed out that during the first year of the project, with institutional support and the efforts of the project management team, all the main activities scheduled by the project action plan were carried out and all critical tasks were solved. It is known that various types of problems are an integral part of the management process, which often become particularly relevant in changing and unstable environmental conditions. At the same time, there may be positive results that can be achieved by solving problematic issues, or there might be no problem at all, when the process is going according to a properly selected and effective plan. Therefore, we would like to focus on two areas:

1. Identifying problematic issues;
2. Results - Learning by Doing;

Identifying the problem is one of the major and challenging issues of the project management process. The problem must be selected correctly, must be formulated accurately and effective tasks must be determined to solve it.

Problems and ways of solving them are often confused with each other. The problem is a deviation from any standard, desired norm or condition - expressed in a negative way. The problem is “what is it (what is the situation) now”, and the goal is “what it should be”. Con-

sequently, in our research we would like to put an emphasize on the first part and answer the question, what was it? (The situation), to identify the problems that the project management team encountered in the first year of the project. Thus, finding ways to solve these problematic issues are not examined in this paper, we assume it to be a subject for further research, especially since the second year of the project is already underway and most of the identified problems have already been resolved to some extent.

An important key to success in project management is that all members involved should focus on their own mistakes, which will help them avoid such complications in the future. **This is the purpose of our research, we want to share our experience with the public, what did we see?!, What did we learn ?! And how we see further prospects for cooperation.**

CONCLUSION

Following the discussion of **“the Creative Spark”** and considering our experience, we have drawn the following conclusions and suggestions, which were identified on the example of the first year of the project and are presented in the form of “Lessons”:

Lesson I – Necessary Contacts - In many cases, contact information provided by donors and potential addressees of the cooperation do not work for a variety of reasons, and the project organizing team should always have alternatives to achieve results. In this context, the following circumstance arose in our case: When the call was announced, the documents of the project competition were accompanied by an information booklet, which provided contact information to the educational organizations of the beneficiary countries about the relevant organizations in the UK. As soon as the decision was made by GTU administration to participate in the competition, the task was handled to the International Relations and Standards Office to develop proposals for cooperation with British organizations in the prescribed manner. The first difficulty encountered by the group working on the proposal, was that out of 14 contacts which were approached by the group, none of them agreed on cooperation in the project for various reasons. After that, using alternative methods in finding partners was put on the agenda. Based on GTU’s many years of international relations and cooperation, the focus has shifted to the use of existing personal and institutional contacts. The fact itself created a force majeure and difficulties with the deadline;

Lesson II – Bureaucratic procedures - It is a well-known fact that in many cases bureaucratic procedures take a lot of time and are useless. It takes more than expected, especially when it comes to financial matters, which often leads to changes in the timetable of the plan. Time control in the project is one of the most important factors, we know very well that the projects are clearly

written in timeline and have deadlines, which is desirable to stand in the schedule as it was planned. In order to get the result exactly at the timeframe defined in the plan, each task must be controlled in terms of agenda. We illustrate this by the circumstances that were created during the first year of the project. In particular, although all procedures were completed on time by the donor organization (in this case the British Council), as well as the partner organization (in this case Keele University), due to the current legislation and regulations in Georgia, transfer of the first financial tranche of the project budget at the relevant GTU account was delayed significantly, accordingly, the project management team had to change the timeline of the planned activities, which affect the overall project plan;

Lesson III – Motivation - Despite the fact that for direct motivational mechanisms, certain fees were provided for the performers of key activities in the project budget, this circumstance still did not prove to be sufficient to motivate the academic staff to be more involved in the project. This obviously had a variety of subjective and objective reasons, although those involved in project management believe that the project has encountered some problems in terms of involving academic staff. Especially circumstances were emphasized on the part of the project, which focused on one of Keele Research and Innovation Support Programme (KRISP) activity “Working on a Real Business Project” - which involved working with the business sector. Development of real business cases and project solution of the set tasks, joint consulting work with the business sector and professors. Unfortunately, very few members of academic staff have expressed willingness to get involved in this part of the project, which has forced the organizing team to move this part of the project to another period;

Lesson IV – English language proficiency - In the process of implementing the project, organizing team often faced problems with English language. As the project “Creative Spark” on its programme part was oriented on the English language communication activities, the organizational team often had cases where the beneficiaries - students, academic and administrative staff – decided not to participate in the project only for the reason that communication in English language was challenging for them. This circumstance had a rather large-scale impact on the results of the quantitative involvement of beneficiaries. Also, although English online courses were offered to the beneficiaries, the rate of their involvement was not massive and favorable, which has its objective causes.

Lesson V - Lack of involvement from business - Experience has shown that the success of a project mostly depends on the small and dynamic groups of people who act as catalysts. So, it is extremely important to accurately select the target groups while looking

for allies. At the initial stage of the project, the organizing group established a very effective communication with several medium and small business companies in order to involve them, but in the end, at the main stage of the project, most of them were not willing to actively cooperate with university and/or lacked sufficient resources. Overall, we believe that this is not just a local problem and its causes can be found in the context of the overall environment of the country (culture, stereotypes, inexperience, etc.).

Lesson VI - Insufficient professional literature and practical information material in Georgian language - Since the project “Creative Spark” is focused on the development of entrepreneurial skills and creative industries, the practice of working with beneficiaries has shown that scientific and practical literature in the Georgian language, as well as other information resources are insufficient. As a result, the combination of two problematic issues - low competence in English and lack of professional literature in the native language - created considerable difficulties during the organizational process, which the organizational group had to solve by performing additional activities and routine, time-consuming efforts;

Lesson VI - Lack of interest and involvement from top management - GTU is one of the largest educational institutions not only in Georgia, but also in the Caucasus, and its organizational structure is quite complicated. Therefore, in the first stage of the project, the interest and involvement of top management in the project activities was minimal. Consequently, this circumstance suggests that in implementing the project, the determination of power is of great importance. This will help us understand what place we have on the power diagram with our project; Helps us to determine opportunities, what we need to do and what not. It also motivates us to improve our position. While the results of the project were not unsatisfactory, the basics of management theory dictate that involvement and feedback from top management would have greatly increased the motivation and coefficient of efficiency (performance index) of all those involved.

In addition to presenting problematic issues in the form of “lessons”, we would like to highlight some of the positive results that have been exposed during the first year of working, that made it possible to more or less properly plan the cooperation through the project in the following years. Accordingly, based on the received experience, activities for the second year have been planned and already at this stage, necessities for the third year and further sustainable development of this cooperation in general are quite clear.

in this respect, we point out the positive factors: Good communication between partners and the formation of unified and motivated management team; Quite a large number of beneficiaries directly involved in the

first year project; Identified needs for the next stage and the possibility of correct analysis for further sustainable development of the project; Developing business relations with various institutions, both in Georgia and abroad, including the United Kingdom; Offering various additional opportunities; Increased role of functional units within institutions; Practical experience;

Thus, Georgia is a developing country, and one of the primary sources for the growth of developing countries is the implementation of international projects by its institutions. Accordingly, the leaderships of these institutions should be eager to create as favorable environment, as possible for participation in international projects, including enhancing knowledge in human resources.

To conclude, Project management in the higher education institutions of Georgia is in development phase. The process of project management is carried out at a medium level and it needs to be improved, which can be achieved by sharing experience by international organizations. One of the ways to do so is to implement international projects, through which the transfer of experience by a representative of one country to a representative of an allied country occurs, equally important are the implementation of educational programs and research through mutual cooperation. As a result, in the first year the needs were clearly identified, which was reflected in the action plan of the second year of the project to the greatest extent possible. Since the material presented in this article provides readers with quite comprehensive information to illustrate how the project team considered the so-called "lessons" of the first year of the project and how well they were reflected in the subsequent plans, we will briefly present the main action plan for the second year. Which, in our opinion, should further contribute to the sustainable develop-

ment of the Georgian-British project – in this case GTU-Keele partnership.

Main activities planned for the second, 2019-2020 year of the project:

- **Trainings** for development of entrepreneurial competences in teachers, students and graduates;
- In order to stimulate and promote entrepreneurial activities, a series of events "**Entrepreneurship Day**" will be held;
- To contribute to long-term development of the entrepreneurial ecosystem, a study programme "**Entrepreneurship for Engineers**" will be developed, which is intended to be introduced as an elective course at Georgian Technical university;
- With the help of the British Council, the **online business/entrepreneurship English courses** will continue to be offered to GTU students and staff;
- **A long-term strategy document for sustainable development** will be prepared for GTU Innovation Center, which is a functional unit of the project "Creative Spark" at GTU.
- **The website** of GTU Innovation Center will be developed.

REFERENCES:

- Creative Spark: Higher Education Enterprise Programme"- Grant application № EV16048P8P;
- L. Sophromadze; N. Loladze; - Project Management Principles, Center for Strategic Research and Development of Georgia (CSRDC);
- Gareth R Jones, Jennifer M George - "Contemporary Management"- 2006;

Websites:

- www.britishcouncil.ge
- www.gita.gov.ge
- www.scribd.com

ჩინეთ-იაპონიის ორმხრივი ურთიერთობების პოლიტიკური ასპექტები

დავით მორგოშია

ევროპული და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრი
მილანის კათოლიკური უნივერსიტეტი (UNICATT)

რეზიუმე

სტატიის „ჩინეთ-იაპონიის ორმხრივი ურთიერთობების პოლიტიკური ასპექტები“ მიზანია მკითხველს მკაფიოდ დაანახოს ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური ურთიერთობების ისტორიული კავშირები, კერძოდ კი, XIX საუკუნის მინურულიდან დღემდე განვითარებული დაძაბული მოვლენები და ტრაგედიები, რომლებმაც ასახვა ჰპოვეს პეკინსა და ტოკიოს დღევანდელ დიპლომატიურ ურთიერთობებზე, როგორც პოლიტიკურ ასევე სახალხო დონეზე.

იაპონია-ჩინეთის ორი ომი და ნანკინის ტრაგედია ცნობილი როგორც მასობრივი უღელტა, ისტორიული მოვლენები, რომლებმაც მძიმედ იმოქმედა ჩინელი ხალხის ცნობიერებაზე, ჩამოუყალიბა უარყოფითი და ცივი დამოკიდებულება იაპონელი ხალხის მიმართ. დღემდე ტოკიოს მხრიდან „არ მოხდელი“ ოფიციალური ბოდიში ჩადენილი ისტორიული დანაშაულის გამო, რჩება პეკინის უკმაყოფილების მიზეზი. პარადოქსულად, ჰარმონიულად მზარდი ეკონომიკური ურთიერთობები დიდ მიღწევად და დაძაბული ურთიერთობების განმუხტვის წერტილად აღიქმება, აზიის ორ გიგანტურ ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შორის.

აუცილებელია ხაზი გაესვას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ამომავალი მზის ქვეყანას შორის არსებულ გეოპოლიტიკურ პერიპეტეებსა და სადავო ტერიტორიების პრობლემატიკას. იაპონია, რომელიც აშშ-ს უპირობო მოკავშირეა, განიხილება როგორც ჩინეთის საპირწონე სამხედრო ძალად რეგიონში ვაშინგტონის მხრიდან. არაერთი მცდელობა დიპლომატიური ურთიერთობების დათბობისა, დღემდე უშედეგოდ რჩება სანატრელი ჭეშმარიტი მეგობრული ხალხთაშორის ურთიერთობების მისაღწევად.

და ბოლოს, მიუხედავად ყველა გამოწვევისა ორი ქვეყნის გონიერი და პრაგმატული პოლიტიკა, ორინტირებული რეგიონისა და მსოფლიო წესრიგის სტაბილურობასა და მდგრადობაზე იმსახურებს მაღალ შეფასებას საერთაშორისო საზოგადოებისგან.

საკვანძო სიტყვები: დიპლომატიური ურთიერთობები, ისტორია, ომი, პოლიტიკა, ეკონომიკა, ტრაგედია, გეოპოლიტიკა, სადავო ტერიტორიები.

SUMMARY

The article “Political Aspects of China-Japanese Bilateral Relations” aims to clearly show the reader the historical ties between the two countries, in particular the tense situations and tragedies taken place since

the end of the late 19th century, which reflected on the current diplomatic relations between Beijing and Tokyo both at the political and public levels.

The Japan-China two wars and the Nanjing Tragedy, known as the Massacre, the historical facts that have severely affected the consciousness of the Chinese people, lead to their negative and cold attitude towards the Japanese people. Beijing is still dissatisfied with the official apology “not done” by Tokyo for the historic crime. Paradoxically, harmoniously growing economic relations are seen as a major achievement and a point of defusing for tense relations between the two Asian giant economies.

It is necessary to emphasize the geopolitical peripeteia and the problems of the disputed territories between the People’s Republic of China and the Land of the Rising Sun. Japan, an unconditional ally of the United States, is seen as the China’s counterweight military power in the region by Washington. Numerous attempts to warm up diplomatic relations remain unsuccessful to achieve genuinely friendly inter-people relations.

Finally, despite all the challenges, the wise and pragmatic policies of the two countries, oriented to the stability and sustainability of the region and the world order, deserve high appraisal from the international community.

Keywords: Diplomatic Relations, History, War, Politics, Economics, Tragedy, Geopolitics, Disputed territories.

* * * *

ჩინეთსა და იაპონიას შორის ისტორიული, მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობები არსებობს. მე-19 და მე-20 საუკუნეებში იაპონიის აგრესიულმა ექსპანსიონისტურმა პოლიტიკამ, ორი ქვეყანა არაერთხელ მიიყვანა სამხედრო დაპირისპირებამდე. უკანასკნელი ორი იაპონია-ჩინეთის ომიდან, **პირველი 1894-1895** წელს ჩინეთის იმპერიის მძიმე მარცხით დასრულდა. 1895 წლის 17 აპრილის შიმონესეის საზავო ხელშეკრულების მიხედვით, ჩინეთი ცნობდა კორეის დამოუკიდებლობას (სინამდვილეში კორეის კოლონიის იაპონიის ხელში გადასვლას), უთმობდა იაპონიას ლიაოდუნის ნახევარკუნძულს თავისი ბაზებით, კუნძულ ტაივანს და პენსულედაოს კუნძულებს. გარდა ამისა, იაპონიამ მოიპოვა ყველა ის პრივილეგია ჩინეთზე, რომლითაც სარგებლობდნენ დასავლეთის დიდი კაპიტალისტური

სახელმწიფოები. ჩინეთ-იაპონიის ომის შედეგებმა ერთხელ კიდევ გამოავლინა ჩინეთის ჩამორჩენა და უმწიფობა, რადგან მან წინააღმდეგობა ვერ გაუწია მასთან შედარებით პატარა მეზობლის აგრესიას.

მეორე იაპონია-ჩინეთის ომი დაიწყო 1937 წლის 7 ივლისს და გაგრძელდა 1945 წლის 9 სექტემბრამდე. მიუხედავად იმისა, რომ პერიოდული საბრძოლო მოქმედებები ჩინეთის რესპუბლიკასა და იაპონიის იმპერიას შორის 1931 წლიდან მიმდინარეობდა, ფართომასშტაბიანი ომი 1937 წელს დაიწყო და 1945 წელს იაპონიის კაპიტულაციით დასრულდა. 37 წლამდე ორი მხარე საბრძოლო მოქმედებებს მოიხსენებდა როგორც „ინციდენტებს“ და ერიდებოდა სრულმასშტაბიანი ომის დაწყებას. ბოლო „ინციდენტი“ გახდა 1937 წელს 7 ივლისს იაპონიის მიერ მარკო პოლოს ხიდის ტყვეებით დაშენა, რის შემდეგაც ომი ოფიციალურად დაიწყო, საბრძოლო მოქმედებები მხოლოდ ჩინეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. იაპონიის ექსპანსიურ სამხედრო პოლიტიკას მოჰყვა უმძიმესი არაერთი სამხედრო დანაშაულის ჩადენაც. ერთ-ერთი ყველაზე საზარელი იყო „ნანკინის მასობრივი უღელტა“ (Nanking Massacre), რომლის დროსაც იაპონელებმა ჯარისკაცებმა 300 000-მდე მშვიდობიანი მოქალაქე და განიარაღებული ჯარისკაცი აწამეს სხვადასხვა ფორმით და მოკლეს. 1945 წლამდე ჩადენილი იაპონელი სამხედროების დანაშაულის ფაქტები იყო გასაიდუმლოებული ან განადგურებული, რამაც შემდგომში ექსპერტებს ხელი შეუშალა დაზარალებულთა სრული სიის აღდგენაში. 1946 წლის ტოკიოს „შორეული აღმოსავლეთის სამხედრო ტრიბუნალის“ დადგენილებით (The International Military Tribunal for the Far East) ორასი ათასი (200 000) ჩინელი იქნა მოკლული. ხოლო, ჩინური მხარის მტკიცებით 1947 წლის ნანკინის ომის სამხედრო დანაშაულის შესახებ ტრიბუნალის (The Nanjing War Crimes Tribunal) მიხედვით, იაპონიის იმპერიის აგრესიას სამასი ათასზე (300 000) მეტი ჩინელი ემსხვერპლა. მსხვერპლთა ზუსტი რიცხვი და ჩადენილი დანაშაულის ოფიციალური ბოდიშის არ/ვერ მოხდა იაპონიის მხრიდან დღემდე დავის საგანია და ერთ-ერთი ძირითადი შემაფერხებელი ორ ქვეყანას შორის ნორმალიზებული ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად.

1950 წლის შემდეგ, იაპონიის მაღალი თანამდებობების პირებმა არაერთხელ ღიად გამოხატეს თავიანთი *ღრმა მწუხარება* იაპონიის მიერ ჩადენილი სამხედრო დანაშაულის გამო. ასევე, იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრო, თავის მხრივ, ადასტურებს და აღიარებს ფაქტს მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონიის მიერ ჩადენილი „*უზარმაზარი ზიანის და ტანჯვის*“ მიყენების გამო, განსაკუთრებით ნანკინში მომხდარი ფაქტის გამო. თუმცა, ოფიციალური ბოდიში ჯერ არ მოუხდიათ, მეტიც ზოგიერთი იაპონელი პოლიტიკური ლიდერი, მაგალითად ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის მმართველობის პერიოდში პრემიერ მინისტრი ჯუნიჩირო კოიზუმი

(2001-2006) და ყოფილი პრემიერ მინისტრი შინძო აბე პატივს ხშირად მიაგებდნენ ომის მსხვერპლთა იასუკუნის მემორიალურ სალოცავს, რომელიც დიდ უკმაყოფილებას იწვევს ჩინეთისა და კორეის რესპუბლიკის ხელისუფლებების მხრიდან, რადგან ისინი იასუკუნის მემორიალურ სალოცავს იაპონიის მილიტარიზმის სიმბოლოდ მიიჩნევენ. ამომავალი მზის ქვეყნის ლიდერები სალოცავში ომის შედეგად დაღუპულ ორმილიონ-ნახევარ იაპონელს მიაგებენ პატივს. თუმცა, დაღუპულთა შორის მეორე მსოფლიო ომის სამხედრო დამნაშავეებიც არიან.

1971 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინიციატივით ჩინეთ-იაპონიის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ პეკინმა იაპონურ მხარეს **სამი** უმთავრესი პირობა წაუყენა:

- ჩინეთის ერთადერთი ლეგიტიმური წარმომადგენელი არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კომუნისტური მთავრობა

- ტაივანი არის ჩინეთის განუყოფელი ნაწილი
- სამშვიდობო ზავი დადებული იაპონიასა და ჩანკაიშის მთავრობას შორის არის არალეგალური, ძალდაკარგული და უნდა გაუქმებულიყო

1972 წლის 29 სექტემბერს ჩინეთს ეწვია იაპონიის პრემიერ მინისტრი კაკუე ტანაკა. ვიზიტისას, ორი ქვეყნის მთავრობის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ დოკუმენტს (Joint Communique of the Government of Japan and the Government of the People's Republic of China), რომელიც ითვალისწინებდა ორმხრივი დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას და ნორმალიზებას. თავის მხრივ, პოტსდამის 1945 წლის შეთანხმების მეორე მუხლის თანახმად იაპონია მეორე მსოფლიო ომის დროს მიტაცებულ ჩინურ მიწებს დააბრუნებდა. 1972 წლის ჩინეთ-იაპონიის ერთიანი კომუნიკეს მიხედვით, იაპონია ტაივანთან ინარჩუნებს ურთიერთობებს არა სამთავრობო დონეზე (non-governmental level). თუმცა, იაპონია ტაივანს აღიქვამს, როგორც საკვანძო პარტნიორს და მნიშვნელოვან მეგობარს (an important friend), რომელთანაც იზიარებს თავისუფლების, დემოკრატიის, ადამიანის უფლებების საერთო ღირებულებებს.

დენ სიაოპინის რეფორმებს 70-იან წლებში ორპიროვნის შედეგები და დაძაბულობა მოჰყვა ორი ქვეყნის ურთიერთობებში. ჩინური მხარის მთავარ პრობლემას წარმოადგენდა „ღია ეკონომიკის“ რეფორმის პოლიტიკური მხარე, კერძოდ კი, ჩინელებს სურდათ ეკონომიკურ რეფორმირებას არ მოჰყოლოდა პოლიტიკური რეფორმირება, რაც კომუნისტური პარტიის პოზიციებს შეარყევდა. შესაბამისად, ჩინურმა პოლიტიკურმა ელიტამ დაიწყო იდეოლოგიური გაძლიერება ეროვნული ინტერესების დაცვის ხარჯზე, სადაც იაპონიის როლს (უარყოფითი) განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ისტორიულ საკითხებთან დაკავშირებით, რაც ბუნებრივია იაპონური მხარის უკმაყოფილებას იწვევდა. 1978 წლის 12 აგვისტოს დაიდო „მშვიდობის და

მეგობრობის“ ტრაქტატი, რომლის მიხედვით, ჩინეთი და იაპონია პასუხისმგებლობას იღებდნენ, რომ განავითარებდნენ მეგობრულ და მშვიდობიან პოლიტიკას და პირობას დებდნენ, რომ გადაჭრიდნენ სადავო საკითხებს მუქარის ან სამხედრო ძალის გამოყენების გარეშე და შეიმუშავებდნენ ეკონომიკური და კულტურული განვითარების საერთო გეგმას. ასევე, ვალდებულებებს იღებდნენ, რომ აზია-წყნარი ოკეანეთის რეგიონში არ აწარმოებდნენ ჰეგემონიურ პოლიტიკას მესამე რანგის (Third Countries) ქვეყნების მიმართ. დადებულმა ხელშეკრულებამ ახალი ბიძგი მისცა ჩინეთ-იაპონიის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებს. 1980-იან წლებში, იაპონია ეკონომიკურად ყველაზე განვითარებული და ძლიერი აზიური ქვეყანა იყო, რამაც განაპირობა იაპონელთა როლი ჩინეთის ეკონომიკური განვითარების და მოდერნიზაციის პროცესში. შესაბამისად, ჩინეთისთვის იაპონია იქცა ნომერ პირველ უცხოურ ქვეყნად კაპიტალის და სესხების მოძიების კუთხით. გარდა ამისა, იაპონია ასრულებდა „ხიდის“ ფუნქციას ჩინეთის დასავლეთის კაპიტალისტურ სამყაროსთან შეკავშირებაში და ხელს უწყობდა ჩინეთის „ღია ეკონომიკურ პოლიტიკას“. მიუხედავად მიღწეული ეკონომიკური შედეგებისა ორ ქვეყანას შორის, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით იაპონია რჩებოდა ჩინეთის ეროვნული უსაფრთხოებისთვის ერთ-ერთ საშიშროებად (ჩინეთის პოზიცია, გამონვეული მეორე მსოფლიო ომის დროს მიყენებული ტრავმით), რადგან იაპონიას სურდა მეორე მსოფლიო ომში განცდილი მარცხის მიუხედავად, შეენარჩუნებინა აღმოსავლეთ აზიის მონინავე ქვეყნის პოზიცია ჩინეთთან ერთად.

კვლავ აქტუალურად რჩებოდა მეორე მსოფლიო ომის დროს მიყენებული ზარალის თემა იაპონიასა და ჩინეთს შორის. მართალია ჩინეთს 1972 წელს ოფიციალურად არ მოუთხოვია ომით გამონვეული ზარალის ანაზღაურება, თუმცა ელოდნენ რომ იაპონია საკუთარი ინიციატივით გამოიჩინდა გულისხმიერებას.

1972 წელს პეკინში ვიზიტისას, იაპონიის პრემიერმა ტანაკამ სიტყვიერად გამოხატა ღრმა მწუხარება იაპონიის ჩადენილი ქმედების გამო, რომელიც ჩინელი ხალხს მიაყენა „უიღბლო პერიოდში“. მსგავსმა პოზიციამ უკმაყოფილება გამოიწვია ჩინელების მხრიდან, რადგან ისინი ოფიციალურ ბოდიშს ელოდნენ. ჩინეთის შეუვალი პოზიცია გახლავთ იაპონიის მიერ სრული პასუხისმგებლობის აღება ჩადენილი დანაშაულის მიმართ. თუმცა, ჩინეთი პარალელურად ზრუნავდა რეალურად ურთიერთობების გაუმჯობესებაზე ორ ხალხს შორის, რომელიც 1972 წლის კომუნიკეს მეხუთე მუხლის მიხედვით განსაზღვრა:

„ჩინეთის მთავრობა აცხადებს უარს იაპონიის ომით გამონვეული ზარალის ანაზღაურებაზე (კომპენსაციაზე), რადგან ეს ყოველივე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის და იაპონიის მეგობრობის

ინტერესებშია“.

ასევე ჩინური მხარის პრინციპული მოთხოვნაა, რომ *„იაპონიამ სრულად აიღოს პასუხისმგებლობა იმ უდიდესი მიყენებული ზარალისთვის, რომელიც მიაყენა ომის დროს ჩინელ ხალხს“.*

შემდგომ წლებში ჩინეთის კაპიტალისტურ ბაზრზე შესვლით დაიწყო პერმანენტული დაკნინება და კრიტიკა კომუნისტური იდეოლოგიისა. ჩინეთის მთავრობა, საკუთარი საშინაო პოზიციების გასამყარებლად, შეუდგა ირიბად ეროვნულ იდეოლოგიის ხელშეწყობას, რომელიც ჩინეთს გამოხატავდა, როგორც იაპონიის მილიტარიზმის მსხვერპლ ქვეყნად, რომელიც არიდებდა თავს ბოდიშის მოხდას.

პირველი ანტი-იაპონური მანიფესტაციები დაიწყო 1985 წლის 15 აგვისტოს, როდესაც იაპონიის პრემიერმა ნაკასონე იასუჰირომ პატივი მიაგო იასუკუნის მემორიალურ სალოცავზე, იაპონელ სამხედროს ტოჯო ჰიდეკის ხსოვნას. ამ ყოველივემ, დიდი საპროტესტო ტალღა გამოიწვია ჩინელებში, რადგან მათთვის მემორიალზე ომის დამნაშავეების სახელებიც არის გამოსახული და ჩინელების აზრით, ერთ-ერთი მათგანია ზემოთ ხსენებული სამხედრო.

იაპონიის იმპერატორ აკიჰიტოს ვიზიტი 1992 წელს ჩინეთში, უნდა ყოფილიყო ორ აზიურ გიგანტ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაუმჯობესების სიმბოლო. პოზიტიურად შეხვდა ჩინეთის მთავრობა იმპერატორის ვიზიტს და დასძინეს, რომ ეს ვიზიტი წარსული სადავო საკითხის გადაჭრის ხელშემწყობი ფაქტორი შეიძლება ყოფილიყო. თუმცა, იმპერატორის პოზიცია არ იყო მკაფიო *„ორ ქვეყნის დიდი ისტორიის განმავლობაში იყო უიღბლო პერიოდიც, როდესაც იაპონიამ ჩინელ ხალხს დიდი ზიანი მიაყენა, რის გამოც დიდ მწუხარებას გამოვთქვამ“.* ჩინელების ამ განცხადებას მოჰყვა დიდი უკმაყოფილება, რადგან ისტორიულ მოვალეობად მიიჩნევენ იაპონიის ოფიციალურ ბოდიშს ღირსების აღსადგენად.

თუმცა იაპონიის იმპერატორის ვიზიტის შემდეგ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდა. 1993-დან 2003 წლამდე იაპონია ჩინეთის მთავარი სავაჭრო პარტნიორი გახდა. მიუხედავად სადავო საკითხებისა, საერთო ჯამში 1972-1992 წლებში მიღწეული შედეგები პოზიტიურად ითვლება ორ ხალხს შორის ურთიერთობებში.

1990-იანი წლებიდან მოყოლებული ჩინეთი ინარჩუნებს ერთ-ერთ უმაღლესი განვითარების მაჩვენებელს მსოფლიოში. რასაც ლოგიკურია თან სდევს საერთაშორისო დისკუსია მზარდი ჩინეთის შესაძლებლობების მიმართ, თუ რა შედეგი შეიძლება მოიტანოს ამ ყველაფერმა, როგორც რეგიონალური, ისე საერთაშორისო სტაბილურობის კუთხით. ჩინეთის ეკონომიკურ ზრდას ბუნებრივია მისი სამხედრო გაძლიერებაც თან სდევს, რამაც დიდი ალბათობით საფრთხე უნდა შეუქმნას რეგი-

ონალურ და საერთაშორისო უსაფრთხოებას (იაპონელების აზრით). ჩინელების აზრით, კონცეფცია „China Threat“ შეთხზულია აშშ-იაპონიის აზია-წყნარი ოკეანეთის რეგიონის სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე. აშშ-იაპონიის სტრატეგიული ინტერესები კი ჩინეთისთვის ეროვნული უსაფრთხოების კუთხით საფრთხის შემცველია, რადგან ჩინეთი იაპონიას კვლავ მეორე მსოფლიო ომის ქვეტექსტით აღიქვამს. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთმა იცის, რომ აშშ-ს აქვს იაპონიის საგარეო პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენის ბერკეტი, რომელიც 1952 წლის აშშ-იაპონიის ორმხრივი უსაფრთხოების შესახებ ხელშეკრულებით განისაზღვრა, პეკინი მაინც საფრთხედ მიიჩნევს ამ ორი ქვეყნის სამხედრო თანამშრომლობას. ჩინელების აზრით „China Threat Theory“ იაპონური ნარატივია და მიზნად ისახავს იაპონიის შეიარაღების ზრდას, და მისი მთავარი მოკავშირის მეშვეობით (აშშ) განთავისუფლდეს იაპონიის კონსტიტუციის მე-9-ე მუხლისგან, რათა არა მხოლოდ სტრატეგიული ფუნქცია დაიბრუნოს აზიის რეგიონში, არამედ მეოცე საუკუნეში ჩადენილი დანაშაულებებზე პასუხისმგებლობა მოიხსნას.

1996 წლის 17 აპრილს ერთობლივი დეკლარაციის (Japan-U.S. Joint Declaration on Security-Alliance for the 21st century) მიხედვით, რომელიც აშშ-იაპონიის უსაფრთხოებას ეხება და 1997 წლის აშშ-იაპონიის ერთობლივი სახელმძღვანელო თავდაცვის შესახებ (The Guidelines for Japan-U.S. Defence Cooperation), გახდა ფუნდამენტური ცვლილებების მომტანი ორი ქვეყნის ურთიერთობებში, ცივი ომის შემდეგ. აშშ იაპონიას აღიქვამს რეგიონში როგორც „თანაბარუფლებიან პარტნიორს“, და რომელთანაც ერთად ითავსებს საერთო პასუხისმგებლობებს რეგიონის უსაფრთხოების კუთხით. იაპონია, ამერიკის გლობალური პოლიტიკის განხორციელების სანაცვლოდ, სტრატეგიული პარტნიორობისთვის მიიღებს ამერიკელების მხრიდან იაპონიის მუდმივ მხარდაჭერას, მანამ სანამ, ამომავალი მზის ქვეყანა გაეროს უშიშროების მუდმივი წევრი არ გახდება. დოკუმენტის მიხედვით, იაპონია უფლებას აძლევს ამერიკელებს წვდომას საკუთარ სამხედრო ბაზებზე, ზრდის მის ლოგისტიკურ როლს და ერთობლივად ითანამშრომლებენ ბალისტიკური რაკეტების თავდაცვითი სისტემის გასაუმჯობესებლად.

ჩინეთმა აშშ-იაპონიის ქმედების საპასუხოდ შეიმუშავა ახალი თავდაცვითი კონცეფცია (*New Security Concept*). თუმცა, ჩინურ მხარეს რაიმე ახალი არ გამოუგონია, არამედ მცირე მოდიფიკაცია განახორციელა წინა თავდაცვითი კონცეფციის. ძირითადი არსი ახალი გეგმის ეყრდნობა მშვიდობიანი და სტაბილური გარემოს შენარჩუნებას და განვითარებას. ხოლო, ურთიერთპატივისცემა ქვეყნებს შორის, ეყრდნობა კონფუციანურ ღირებულებებს და ჩინეთის კონსტიტუციის საგარეო პოლიტიკის 5 ძირითად პრინციპს:

- სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის

პატივისცემა

- არა აგრესიულ ქმედებას
- არანაირი ჩარევა სხვა ქვეყნების შიდა საკითხებში
- ქვეყნებს შორის თანაბარუფლებიანობა
- მშვიდობიანი თანაცხოვრება

ახალი თავდაცვითი კონცეფციის მიზანი, ასევე, არის მეტი ინტენსიურობით საერთაშორისო არენაზე ჩართვა, რათა მოხდეს ჩინეთის სტრატეგიული ინტერესების დაცვა (კომუნისტური პარტიის და შიდა უსაფრთხოების, განვითარების და ეკონომიკური ზრდის, სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა).

პეკინი ცდილობს ჯანსაღი ორმხრივი ურთიერთობების ხელშეწყობას დიდ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც პასუხისმგებლები არიან საერთაშორისო უსაფრთხოებაზე, რათა დასტაბილურდეს ურთიერთობა აშშ-იაპონიასთან, რომელიც არამხოლოდ ჩინეთის ეროვნულ ინტერესებს, არამედ რეგიონის და მსოფლიოს სტაბილურობას შეუწყობს ხელს.

ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობებში, იყო ინდივიდუალური მცდელობებიც სიტუაციის გამოსასწორებლად, ე.წ. „Smile Diplomacy“-ის მეშვეობით პეკინი ცდილობდა ტოკიოსთან ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზებას, თუმცა უშედეგოდ, რადგან ანტი-იაპონური განწყობა ჩინელ ხალხში საკმაოდ მაღალია, რომელიც ერთ-ერთი ძირითადი შემაკავებელი ფაქტორია ვითარების დასტაბილურების კუთხით.

2005 წელს აშშ-იაპონიამ განსაზღვრეს მათი სტრატეგიული თანამშრომლობის პრიორიტეტები (1996 წლის შემდეგ პირველად). ორი უმთავრესი განსახილველი თემა იყო ჩრდილოეთ კორეის პრობლემატიკა და ჩინეთის მზარდი სამხედრო შეიარაღება. პირველის შემთხვევაში, საუბარი იყო თუ რა მეთოდებით უნდა მიღწეულიყო შეთანხმება ბირთვული განიარაღების შესახებ ჩრ.კორეელების მოლაპარაკებებზე დაყოლიება, ხოლო ჩინეთის შემთხვევაში მთავარი პრობლემა იდგა ჩინეთის სამხედრო შეიარაღების გაუმჭვირვალებობასთან დაკავშირებით.

2007 წელს ჩინეთის პრემიერ მინისტრის, ვენ ძიაბაოს, ვიზიტი იაპონიაში არ გამოდგა წარმატებული და ნაყოფიერი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გასაღებად. თუმცა, სიტყვიერი შეთანხმება მოხდა ორი პირის მიერ, რომ მზადყოფნას გამოთქვამენ მეოცე საუკუნეში განვითარებული მოვლენების საერთო ინტერპრეტირების მისაღწევად (დღემდე უშედეგოდ). რადგან, ორი ქვეყნის განათლების სისტემის მიხედვით სასკოლო სასწავლო პროგრამაში სხვადასხვაგვარად ხდება ფაქტების ასახვა.

2007 წელს ჩინეთის ნომერ პირველი საექსპორტო ბაზარი გახდა აშშ. ეკონომიკური წარმატების პარალელურად ხდება (დღემდე) ჩინეთის არმიის

მოდერნიზაცია, განსაკუთრებით საზღვაო სამხედრო ფლოტის (ავიამზიდები, საჰაერო ძალები), რომლებიც იაპონიის საზღვაო აკვატორიის ირგვლივ ინტენსიურად პატრულირებენ, რაც ტოკიოს მხრიდან შეშფოთებას იწვევს.

2010 წლის ახალი „The Guidelines for Japan-U.S. Defense Cooperation“ მიხედვით, აქცენტი გაკეთდა ჩინეთის მხარე შეიარაღებაზე, რომელიც მათი აზრით, პირდაპირ ეჭვქვეშ აყენებს რეგიონულ და საერთაშორისო უსაფრთხოების დღის წესრიგს. აგრეთვე, ჩინეთ-იაპონიას შორის დღემდე გადაუჭრელი რჩება სენკაკუს (დიაოიუ ჩინეთისთვის) კუნძულების სადაო ტერიტორიების პრობლემატიკა.

ჩინეთის უკანასკნელი წლების ფენომენალური წარმატებები პირდაპირ აისახება მის საგარეო პოლიტიკაზე კერძოდ კი აშშ-იაპონიის სტრატეგიული თანამშრომლობაზე. დასავლეთის მხრიდან ეკონომიკური და სამხედრო სანქციები თითქმის პერმანენტულ ხასიათს იძენს ჩინეთის მიმართებაში, ხოლო თავის მხრივ, ჩინეთი თავდაჯერებულად აგრძელებს თავისი ფუნდამენტური ეროვნული ინტერესების დაცვას, განსაკუთრებით ტაივანის, სამხრეთ და აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვის სადავო ტერიტორიების მიმართებაში. თავის მხრივ, ჩინეთი ცდილობს არ ჩაერიოს ისეთ საერთაშორისო საკითხებში სადაც მისი ეროვნული ინტერესები არ არის.

2009 წლის აშშ-ჩინეთის საერთო დეკლარაციის მიხედვით, ჩინეთის მიერ მოხდა დეფინიცია საკუთარი მთავარი ინტერესების (core interests), რომელიც ეხება მიმდინარე სახელმწიფო სისტემის და სტრუქტურის დაცვას (კომუნისტური პარტიის), ეროვნულ უსაფრთხოებას, სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სტაბილურ და განგრძობით ეკონომიკურ და საზოგადოებრივ განვითარებას. ასევე, ხელახლა ხაზი გაესვა ჩინეთის სტრატეგიულად და პოლიტიკურად მნიშვნელოვან საკითხებს ტაივანის და დიაოიუ/სენკაკუს (Diaoyu/Senkaku) სადავო ტერიტორიების მიმართ, რომელიც ჩინეთს იაპონიასთან აქვს.

2013 წელს პეკინმა მიიღო ახალი დოკუმენტი აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვის საიდენტიფიკაციო საჰაერო ზონის შესახებ (Air Defense Identification Zone-ADIZ), რომლითაც განსაზღვრა თავისი სტრატეგიული ინტერესები კონკრეტული რეგიონის მიმართ. ახალი გადაწყვეტილებით ნებისმიერი სახის საჰაერო საშუალებას (სამხედრო-სამოქალაქო) ევალება წარუდგინოს შესაბამის უწყებებს (ჩინეთის) მისი ფრენის მიმართულება და მიზანი. ჩინეთის ეს სვლა განპირობებულია აშშ-იაპონიის მეორე მსოფლიო ომის შემდგომი შეთანხმების საპირწონედ, რომელიც განსაზღვრავს ორი ქვეყნის მიერ საჰაერო სივრცის შესახებ კონტროლს, რომლის დაფარვის ზონას მოიცავს აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვის სადავო ტერიტორიებიც. ჩინეთის ეს ქმედება აღიქმება ასევე იაპონიის მთავრობის 2012 წლის გადაწყვეტილების საპასუხოდ, დიაოიუ/სენკაკუს

კუნძულების ოფიციალურ მიერთებასთან დაკავშირებით.

2014 წელს შინძო აბემ მიიღო გადაწყვეტილება (აშშ-ს უშუალო თანხმობით, *ნებართვა*) იაპონიის კონსტიტუციის მეცხრე მუხლის რეინტერპრეტაციის, რომლის მიხედვითაც იაპონიას შეუძლია შეიარაღებული ძალების გაზრდა თავდაცვითი მიზნებისთვის.

პარალელურ რეჟიმში ჩინეთის მთავრობის პრიორიტეტად რჩება „*fu guo, qiang bing*“ ანუ „მდიდარი ქვეყანა, ძლიერი შეიარაღება“, რომლის განხორციელებისთვის ჩინეთი ძალისხმევას არ იშურებს, რათა მისი ეროვნული უსაფრთხოების დაცვა მოახერხოს.

უკანასკნელი ვიზიტი ორი ქვეყნის ლიდერებს, სი ძინპინსა და შინძო აბეს, შორის 2018 წლის 26 ოქტომბერს გაიმართა პეკინში, ჩინეთ-იაპონიის მშვიდობის და მეგობრობის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის (1978) 40 წლისთავის აღსანიშნავად. მხარეებმა აღნიშნეს ორმხრივი ურთიერთობების მნიშვნელობა, როგორც სტრატეგიული ისე ეკონომიკური კუთხით, რათა აზიის რეგიონის სტაბილურობის და უსაფრთხოების ეფექტური დაცვა მოხდეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია შინძო აბეს ინიციატივა, რომელმაც თავის ჩინელ კოლეგას შესთავაზა *ახალი ეპოქის* დაწყების მიზნით ორი ქვეყანას შორის, რომელიც ითვალისწინებს „მეტოქემობის ჩანაცვლებას ორმხრივი კოორდინაციით“ (transform competition into coordination). იაპონიის პრემიერმა Belt & Road Initiative-ას პერსპექტიული უწოდა და დასძინა, რომ იაპონია გამოთქვამს მზადყოფნას ჩინეთთან თანამშრომლობის ამ პლატფორმის კუთხითაც, რათა უკეთესად მოხდეს მესამე რანგის ქვეყნების პროექტში ჩაბმა.

ჩინეთის ორი ინიციატივა („Smile Diplomacy“ 1998, „New Thinking“ 2004) ორი ქვეყანას შორის ურთიერთობების გასაუმჯობესებლად უნაყოფო გამოდგა. ახლა იაპონიის ჯერი დადგა. ექსპერტების აზრით, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო გადამდგარ პრემიერ შინძო აბეს ინიციატივაც ნაკლებად რეალისტური იყო მისი განხორციელების კუთხით, რადგან სადავო საკითხები ორი ქვეყანას შორის მოცულობითა და საკმაოდ მწვავე. თავის მხრივ, იაპონიის ახალი პრემიერ მინისტრის იოშიჰიდე სუგას არჩევაც არ მოასწავებს გარდამტეხი ცვლილებების დასაწყისს ჩინეთთან პოლიტიკური ურთიერთობის გაღრმავების მხრივ. თუმცა ტოკიო და პეკინი ითვალისწინებენ ფაქტს, რომ მათი სტაბილური და მშვიდობიანი ურთიერთობები პირდაპირ კავშირშია რეგიონალური და საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის. ორი ქვეყნის ურთიერთობების კონფიგურაცია, დღეის მიხედვით, შეიძლება დახასიათდეს, როგორც *“hot economics, cold politics”*. ჩინეთს და იაპონიას საკმაოდ მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები აკავშირებთ, მათი სავაჭრო ბრუნვა 2019 წლის მონაცემებით **303 მილიარდ აშშ დოლარს** აღემატება, თუმცა მათთვის (განსაკუთ-

რებით ჩინეთისთვის) პოლიტიკური ასპექტებია პრიორიტეტული, ტერიტორიული მთლიანობის და რეგიონალური უსაფრთხოების კუთხით. ასევე, გადაუჭრელი პრობლემა იაპონიის იმპერიის მიერ ჩადენილი სამხედრო დანაშაულის ოფიციალურად არ აღიარების, რომელიც ჩინეთისთვის ღირსების საკითხად იქცა. ჩინეთ-იაპონიის მეტოქეობა ვრცელდება, როგორც მეკონგის რეგიონის ქვეყნებთან მიმართებაში, ასევე აფრიკის კონტინენტის, არაბული სამყაროს მიმართ და სხვა. ეს მათი საერთაშორისო არენაზე, ჩინეთ-იაპონიის ცივი ომის შემდგომი, მოქმედების ჩვეულებრივი დღის წესრიგია. იმისდა განსხვავებით, რომ ორივე ქვეყანას სხვადასხვა ინტერესები აქვთ, შესაბამისად ტაქტიკაც განსხვავებული აქვთ კონკრეტული რეგიონის ქვეყნების მიმართ. ჩინეთი ორიენტირებულია წმინდა სავაჭრო ურთიერთობებზე და პოლიტიკურ ურთიერთობათა ჰარმონიაზე (სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის ურთიერთპატივისცემა, ტაივანის არ აღიარების პოლიტიკა), ხოლო იაპონია გამომდინარე იქიდან რომ დიდად ჩამორჩება ჩინეთს ეკონომიკური საინვესტიციო შესაძლებლობით და არის სანდო პარტნიორი აშშ-ის, ცდილობს მოიხრგოს „კეთილი სამართიების“ როლი და მესამე რანგის ქვეყნების სოციალური, განათლების, ინფრასტრუქტურული და ადამიანის უფლებების კუთხით განვითარებას ჰპირდება, რათა მიაღწიოს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მიზანს (ოცნებას), ჩამოიშოროს შელახული

რეპუტაცია და გახდეს სრულუფლებიანი გლობალური მოთამაშე საერთაშორისო არენაზე და უშიშროების მუდმივი წევრი (აშშ-სთან 1996 წელს დადებული ხელშეკრულების მიხედვით, აშშ-ს პირობა იაპონელებს სტრატეგიული პარტნიორობისთვის). თავის მხრივ სი ძინპინის მეთაურობით ჩინეთმა არნახულ წარმატებას მიაღწია და სრულ კონცენტრაციას ახდენს ქვეყნის სამომავლო განვითარების კუთხით (ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო, ენერჯო და სხვა) მიუხედავად ყველა წინააღმდეგობებისა, რომელიც მას ხვდება დასავლეთისგან. პოლიტიკური პროცესები განვითარებას ჩვეულ დაძაბულ რეჟიმში გრძელდება, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური ურთიერთობები წინ მიიწევენ. ჩინეთის მოკავშირე საერთაშორისო არენაზე აშშ-ს გლობალური პოლიტიკის წინააღმდეგ არის რუსეთის ფედერაცია, ხოლო იაპონიის აშშ-ი, იმ განსხვავებით რომ იაპონია იმის მიუხედავად, რომ ფორმალურად სტრატეგიულ პარტნიორად მოაიზრება, რეალურად რჩება ამერიკის ხელქვეითად ვიდრე მოკავშირედ (მეორე მსოფლიო ომის დროს განცდილი მარცხის შედეგად განვითარებული მოვლენებისდაგამო). სი ძინპინს არაერთხელ დაუფიქსირებია საჯაროდ აზრი ჩინეთის ეროვნული ინტერესების მიმართ, როგორც აშშ-თან ოფიციალური შეხვედრებისას ასევე საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე, რომ ჩინეთი მის ტერიტორიულ მთლიანობას არავითარ შემთხვევაში არ დათმობს.

წყაროები:

- 1 <http://italian.cri.cn/chinaabc/chapter4/chapter40302.htm>
- 2 <https://www.mofa.go.jp/region/asia-paci/china/joint72.html>
- 3 https://www.fmprc.gov.cn/mfa_eng/zxxx_662805/t1607791.shtml
- 4 <https://www.scmp.com/news/china/diplomacy/article/3103110/china-japan-relations-new-prime-minister-yoshihide-suga-agrees>
- 5 <https://tradingeconomics.com/japan/exports/china>
- 6 <https://tradingeconomics.com/japan/imports/china#:~:text=Japan%20imports%20from%20China%20was,COMTRADE%20database%20on%20international%20trade>
7. Diplomatic Bluebook 2018, Ministry of Foreign Affairs, Japan
8. Ilaria Lezzi, *Le relazioni sino-giapponesi dal secondo dopoguerra ad oggi: tra sicurezza nazionale ed instabilita regionale*, 2016

სახელმწიფო შესყიდვების ორგანიზება

ეკატერინე ვეფხვიაშვილი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში - „სახელმწიფო შესყიდვების ორგანიზება“ - განხილულია საჯარო ორგანიზაციების საქმიანობისთვის საჭირო საქონლის, მომსახურების და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის წესები, ფორმები და პირობები.

განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ღია კონკურსის ფორმას და განხილულია მისი არსი, მიმდინარეობის ეტაპები, ხელმძღვანელი ორგანო, კონკურსის პირობები, მომწოდებლების დაშვება და მათი სავალიფიკაციო გადარჩენა, კონკურსში გამარჯვების პარამეტრები, საკონკურსო წინადადებების შეფასების მეთოდები და სხვა.

სტატიაში აღნიშნულია, რომ საქართველოს სახელმწიფო შესყიდვებში მომწოდებელთა წინადადებების შეფასება ხდება ან ფასისმიერი მეთოდით, ანდა ექსპერტულ-ბალური მეთოდით. ორივე შემთხვევაში გამარჯვებულად ითვლება დაბალი ფასის შემომთავაზებელი მომწოდებელი. ავტორს ეს მიდგომა არ მიაჩნია გამართლებულად, რადგან მომწოდებლებმა იციან ამის შესახებ და საკონკურსო ფასს განზრახ ამცირებენ.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო შესყიდვა; შემსყიდველი ორგანიზაცია; მომწოდებელი ორგანიზაცია; კონკურსი; ვაჭრობა.

ORGANIZING OF THE STATE PROCUREMENT

Ekaterine Vepkhvishvili
Doctoral Student of the
Samtskhe-Javakheti State University

SUMMARY

In the article - “Organizing State Procurement” – it is discussed the rules, forms and conditions of procurement of goods, services and construction work necessary for the activities of public organizations.

Particular attention is paid to the form of open competition and its essence, stages, the main system, terms of the competition, admission of suppliers and their qualification survival, options for winning the competition, methods of evaluating bids and more are discussed.

The article mentions that the bids of the suppliers in

the state procurement of Georgia are evaluated either by the price method or by the expert-ball method. In both cases the winner is the low priced bidder. The author does not consider this approach to be justified because suppliers are aware of it and deliberately reduce the competitive price.

Key words: State procurement; Procuring entity; Supplier organization; competition; Trade.

შესავალი

შეზღუდულ რესურსებს თანამედროვე პირობებში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო შესყიდვების სწორ ორგანიზაციას. ეს გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფო დაწესებულებამ იყიდოს მხოლოდ ის ნივთი (ან მომსახურება), რაც მას კონკრეტულად სჭირდება, რამდენადაც სჭირდება და რა ხარისხისავე სჭირდება და იყიდოს იმ დროს, როდესაც სჭირდება. შესყიდვების სწორ ორგანიზებაში აუცილებელია შესასყიდი პროდუქციის (მომსახურების) ფასის გათვალისწინებაც. განვითარებად ღარიბ ქვეყნებში, როგორც საქართველოა, ეს პარამეტრი პირველ ადგილზე დგას. წინამდებარე სტატიაში ამ საკითხებზე გვაქვს საუბარი.

ძირითადი ტექსტი

სახელმწიფო შესყიდვა არის საჯარო ორგანიზაციების მიერ მათი საქმიანობისთვის საჭირო საქონლის, მომსახურების და სამუშაოების (მაგალითად, სამშენებლო სამუშაოების) შესყიდვა. მაშასადამე, შესყიდვის ობიექტი სამ კატეგორიად იყოფა [1, გვ. 112].

1. საქონელი - ნებისმიერი ტიპის მატერიალური ფასეულობა (გარდა უძრავი ქონებისა), რომელიც განკუთვნილია საჯარო ორგანიზაციის ამა თუ იმ მოთხოვნის და საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. მაგალითად, სურსათი, ელექტროსაქონელი, ავტომობილები და სხვა.

2. სამშენებლო სამუშაოები - ყველა ტიპის სამშენებლო ობიექტის მშენებლობასთან, რეკონსტრუქციასთან, რემონტთან ან დემონტაჟთან დაკავშირებული სამუშაოები (მაგალითად, ხიდების მშენებლობა, შენობის გამაგრება, გზის მოასფალტირება და სხვა).

3. მომსახურება - ნებისმიერი სხვა შესყიდვის ობიექტი, გარდა საქონლის და სამშენებლო სამუშაოს, მაგალითად, დასუფთავების მომსახურება,

კვებითი მომსახურება, დაზღვევის მომსახურება და სხვა.

საქართველოს კანონი - „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ შემსყიდველ ორგანიზაციებად აღიარებს [2]:

➤ სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს;

➤ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს (გარდა წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა, ასევე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული რელიგიური გაერთიანებებისა);

➤ იმ სანარმოებს, რომელთა წილის ან აქციათა 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო;

➤ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებს, რომლებიც დაფუძნებულია სახელმწიფო ორგანოს ან მის მიერ შექმნილი (დამფუძნებელი) იურიდიული პირის მიერ, დაფუძნებულია ავტონომიური რესპუბლიკის ორგანოს ან მის მიერ შექმნილი (დამფუძნებელი) იურიდიული პირის მიერ, დაფუძნებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ან ექვემდებარება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის კონტროლს;

➤ სხვა პირებს და ორგანოებს, რომელთა მიერ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაზეც ესა თუ ის კანონი პირდაპირ მიუთითებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ჯერჯერობით სრულყოფილად არ გვევლინება შემსყიდველ ორგანიზაციად;

➤ ავტონომიური რესპუბლიკის ორგანოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები.

ყოველწლიურად საქართველოს სახელმწიფო მთავრობა მნიშვნელოვანი მოცულობის სახსრებს ხარჯავს სახელმწიფო შესყიდვებზე. შეზღუდული ბიუჯეტის პირობებში ასეთი კოლოსალური თანხების ხარჯვა სწორედ მისი ეკონომიის მიზნით საკმაოდ მკაცრი ნებსებით და პროცესებით ხორციელდება პროდუქციის, მომსახურების თუ სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვა ძირითადად კონკურსით ხდება. მისი ერთ-ერთი და ყველაზე პოპულარული ფორმა არის ღია კონკურსი (ტენდერი, „ტორგი“). ღია კონკურსი რამდენიმე ეტაპად ხორციელდება ეს ეტაპები [3, გვ. 60]:

➤ კონკურსინარე პროცედურების განხორციელება;

➤ კონკურსის მომზადება;

➤ მომწოდებლების წინასაკვალიფიკაციო გადაჩვენა;

➤ საკონკურსო განაცხადების მომზადება და მოზიდვა;

➤ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა.

კონკურსინარე პროცედურების ეტაპებზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ადგენს შესყიდვის გეგმას და ხარჯთაღრიცხვას. ერთი და მეორეც ეფუძნება სახელმწიფო ორგანიზაციებიდან წარმოდგენილ შესყიდვის მოთხოვნებს, რომლებიც თავის მხრივ, ეფუძნება იმ წლის განსახორციელებელ საქმიანობათა გეგმას, რომელიც ამ ორგანიზაციამ, დაისახა შესასრულებლად. მსხვილ სახელმწიფო ორგანიზაციებში, მაგალითად, სამინისტროებში, არსებობს პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტებული შესყიდვის განყოფილებები. ამით იმის თქმა გვიწევს, რომ საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში საჯარო ორგანიზაციებიდან წარმოდგენილი შესყიდვის მოთხოვნები სპეციალისტების მიერ არის შედგენილი. ამის მიუხედავად, სააგენტო ახდენს მათ შემოწმებას, გაფილტვრას და მხოლოდ ამის შემდეგ ადგენს შემაჯამებელ შესყიდვის გეგმას და ხარჯთაღრიცხვას. პირველ დოკუმენტში მოჩანს თუ რა და რამდენი უნდა შეისყიდოს სააგენტო წელს სახელმწიფომ საჯარო ორგანიზაციებისთვის, ხოლო მეორე დოკუმენტში - რა დანახარჯებით განხორციელდება იგი.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ღია კონკურსის მეორე ეტაპზე ახორციელებს კონკურსის მომზადებას. მასში იგულისხმება [3, გვ. 65]:

➤ ნორმატიული ბაზის შექმნა (შესყიდვების დებულების შემუშავება, შესყიდვების რეგლამენტის შემუშავება, შესყიდვებზე ტიპური საკონკურსო დოკუმენტების და მეთოდური მასალების დამუშავება);

➤ ტექნიკური დავალების და გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმების შემუშავება;

➤ საკონკურსო დოკუმენტების მომზადება.

თითოეული ეს სამუშაო არის მეტად რთული და საპასუხისმგებლო, რადგან თითოეულ მათგანში დეტალურად უნდა გაიწეროს შესყიდვებში მონაწილეთა ვალდებულებები და უფლებები, შესასყიდი საქონლის ტექნიკური მოთხოვნები და სხვა.

ღია კონკურსის შემდეგ ეტაპზე ხორციელდება მომწოდებელთა წინასაკვალიფიკაციო შერჩევის ჩატარება.

მომწოდებელი სახელმწიფო შესყიდვების მონაწილე მეორე მხარეა, რომელიც შემსყიდველ ორგანიზაციას უზრუნველყოფს საჭირო საქონლით, მომსახურებით ან სამშენებლო სამუშაოთი. კანონმდებლობა, სახელმწიფო შესყიდვების ეტაპების მიხედვით მიმწოდებელს ამგვარად ახასიათებს:

➤ შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი - პირი, რომელსაც აქვს სურვილი, მონაწილეობა მიი-

ლოს სახელმწიფო შესყიდვაში და ჯერ არ გამხდარა პრეტენდენტი;

➤ პრეტენდენტი - პირი, რომელმაც სახელმწიფო შესყიდვის პროცედურაში მონაწილეობის მიზნით გადაიხადა საფასური და წარადგინა სატენდერო წინადადება;

➤ მიმწოდებელი - პირი, რომელთანაც შემსყიდველმა ორგანიზაციამ გააფორმა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

სახელმწიფო შესყიდვებში მიმწოდებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ასევე, საქართველოს ან უცხოური კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი. იმისათვის, რომ მიმწოდებელმა შეძლოს სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა, იგი, უპირველეს ყოვლისა, რეგისტრირებული უნდა იყოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში და, ამასთან, უნდა აკმაყოფილებდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილ ზოგად მოთხოვნებს. მაგალითად, მიმწოდებელი არ უნდა იყოს რეგისტრირებული შესყიდვების მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირთა რეესტრში (ე.წ. „შავ სიაში“), რადგან, ასეთ შემთხვევაში, მას რეგისტრაციიდან ერთი წლის განმავლობაში არა აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო შესყიდვებში და გააფორმოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება. ამის შემდგომ, მიმწოდებელი, კონკრეტულ შესყიდვაში მონაწილეობის მისაღებად უნდა აკმაყოფილებდეს ამ შესყიდვისთვის შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო და ტექნიკურ მოთხოვნებს. პრეტენდენტი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს სატენდერო (საკონკურსო) პირობებს, ექვემდებარება დისკვალიფიკაციას. ელექტრონულ ტენდერებში მონაწილეობის მისაღებად პოტენციური მიმწოდებელი ვალდებულია დარეგისტრირდეს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. მაგრამ, ერთია, რომ მომწოდებელი დარეგისტრირებული უნდა იყოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, მაგრამ, კონკურსში მონაწილეობისთვის ეს არ არის გადამწყვეტი. აქ მთავარია მისი გამოცდილება და კვალიფიკაცია. ამის დადგენა წინასაკვალიფიკაციო შერჩევის დროს ხდება. ვინც ამ შერჩევას გაივლის, ვინც საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან იქნება შესაბამისობაში, მხოლოდ ის დაიშვება კონკურსში. ეს სამუშაო ღია კონკურსის მეოთხე ეტაპზე ხორციელდება.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები ყველა საწარმოსთვის - დიდა იგი თუ მცირე, ადგილობრივი საწარმოა, თუ უცხოური - საქართველოში ერთნაირია. ჩვენი აზრით, ადგილობრივ საწარმოებს, მით უფრო,

თუ ისინი მცირე საწარმოები არიან მოთხოვნების დაბალი ზღვარი უნდა ჰქონდეთ. რიგი უცხოეთის ქვეყნები ადგილობრივ მცირე საწარმოებისთვის ასეთ პროტექციონიზმს ახორციელებენ.

ღია კონკურსის შემდეგი ეტაპი არის კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა. ამ ეტაპზე იხსნება მომწოდებლებიდან შემოსული განაცხადების კონვერტები და სპეციალური საკონკურსო კომისია ახდენს მათი შემოთავაზების შეფასებას. იგი სამ ეტაპად ხორციელდება [4, გვ. 21]. პირველ ეტაპზე მოწმდება საკონკურსო დოკუმენტაციაში ჩადებული ფორმალური მოთხოვნების დაცვა, მეორე ეტაპზე თუ რამდენად შეესაბამება შესყიდვის საგანი საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს (დაცულია თუ არა ფასი, ხარისხი, მონოდების პირობები და სხვა), მესამე ეტაპზე ხდება მომწოდებლებიდან წარმოდგენილი წინადადებების რანჟირება და გამარჯვებულის გამოვლენა.

საკონკურსო წინადადებების შეფასებაში გამოიყენება შემდეგი მეთოდები [5, გვ. 46]:

- ფასისმიერი შეფასება;
- ბალური შეფასება;
- ე.წ. „დაბალი რეიტინგი“;
- ექსპერტულ-ბალური შეფასება;
- მინიმალური ფასის მეთოდი;
- იერარქიული ანალიზის მეთოდი.

საქართველოში უპირატესად ფასისმიერი შეფასების მეთოდი და ექსპერტულ-ბალური შეფასების მეთოდი გამოიყენება. ორივე შემთხვევაში გამარჯვებულად ითვლება მინიმალური ღირებულების მქონე წინადადების შემოთავაზებელი მიმწოდებელი. მხოლოდ ამ მაჩვენებლით გამარჯვება ჩვენ არ მიგვაჩნია გამართლებულად, რადგან მომწოდებელმა იციან ამის შესახებ და საკონკურსო განაცხადში ამ პარამეტრების ხელოვნურად ამცირებენ, ხოლო კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ამ დანაკარგს (ფასის ხელოვნური შემცირება გვაქვს მხედველობაში) სხვადასხვა მანიპულაციებით ფარავენ.

ღია კონკურსის დამამთავრებელი ეტაპია კონკურსში გამარჯვებულთა ხელშეკრულების დადება. ხელშეკრულებაში ნაჩვენებია შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი. გამარჯვებული მომწოდებლის მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას აკონტროლებს ინსპექტირების ჯგუფი, რომლის შემადგენლობას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო განსაზღვრავს. ხელშეკრულებაში დაფიქსირებულია მისი დამრღვევის სანქციონების წესი. სახელმწიფო შესყიდვების დაგების საბჭოში ბევრი ასეთი დარღვევა, მხარეებს შორის ურთიერთმოლაპარაკებით გვარდება.

დასკვნა

საქონლის, მომსახურების და სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვები კერძო შესყიდვებთან შედარებით მაღალ დონეზე არის ფორმალიზებული. მას სპეციალური კომისია ატარებს შესყიდვის სპეციალური მოთხოვნების დაცვით. ადგილობრივ საწარმოებს უჭირთ შესყიდვებში უცხოურ საწარმოებთან კონკურენცია. ჩვენი აზრით, საქართველოს საწარმოებისთვის მით უფრო მცირე საწარმოებისთვის მოთხოვნების ზღვარი უფრო დაბალი უნდა იყოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კობიაშვილი ა., მელიქაძე მ. ელექტრონული ტენდერები მცირე და საშუალო ბიზნესში, II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული, I ნაწილი, სტუ, 2018.
2. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, თბ., 2015.

3. კიკვაძე ო., მახარაშვილი ი., ძაგანია მ. შესყიდვების ადმინისტრირება, თბ., 2017.

4. Кузнецов К. В. Прокюримент: тендеры, конкурсы, конкурентные закупки, М., Альфа, 2011.

5. Белоусов Н. Г. Государственные закупки в России, М., 2001.

BIBLIOGRAPHY:

1. Kobiashvili A., Melikadze M. Electronic Tenders in Small and Medium Business, Proceedings of the II International Scientific Conference, Part I, GTU, 2018.

2. Law of Georgia on State Procurement, Tbilisi, 2015.

3. Kikvadze O., Makharashvili I., Dzaganian M. Procurement Administration, Tbilisi, 2017.

4. . Kuznetsov K.V. Prosecution: tenders, competitions, competitive procurement, M., Alpha, 2011.

5. Belousov N. G. Public procurement in Russia, M., 2001.

რეგიონის ინფო-საკომუნიკაციო საბაზრო პოტენციალის შეფასების მეთოდოლოგია

ოთარ ზუმბურიძე
სტუ-ს პროფესორი

ირაკლი კუკავა
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

საკვანძო სიტყვები: ბაზრის ტევადობა, ინფო-საკომუნიკაციო პოტენციალი, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ბაზრის პოტენციური ტევადობა, რეგიონის ეკონომიკა

სტატიაში განხილულია ინფო-საკომუნიკაციო საბაზრო პოტენციალი, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონის საინფორმაციო-საკომუნიკაციო დაბალანსებულ განვითარებას, დაფუძნებულს მსოფლიო განვითარების ტენდენციებზე. მეთოდურ ინსტრუმენტად რეკომენდებულია ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების მეთოდის გამოყენება. რეგიონული ინფო-საკომუნიკაციო ბაზრის პოტენციალი განისაზღვრება სხვაობით ინფო-საკომუნიკაციო ბაზრის განვითარების მიღწეულ დონესა და საინფორმაციო-ეკონომიკური წონასწორობის უზრუნველყოფელ მაჩვენებლებს შორის. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ერთ-ერთ საკვანძო ამოცანას, რომელიც კომპანიების მარკეტინგული განყოფილებების წინაშე დგას, წარმოადგენს ბაზრის პოტენციალის შეფასება.

საკვანძო სიტყვები:

ბაზრის ტევადობა, ინფო-საკომუნიკაციო პოტენციალი, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ბაზრის პოტენციური ტევადობა, რეგიონის ეკონომიკა.

METHODOLOGY FOR ASSESSING OF THE INFO-COMMUNICATION MARKET POTENTIAL OF THE REGION

Otar Zumburidze
Professor of GTU
Irakli Kukava
PhD Student of GTU

SUMMARY

In this article is discussed info-communication market potential, which insures region's balanced information-communication development based on world's development tendencies. In the role of the methodical instrument, it is recommended to use the method of economic-mathematical modeling. The potential of the regional information-communication market is determined by the difference between the level of the information-communication market development and the sources of information-economic equilibrium. Under market economy, one of the key tasks facing the marketing divisions of companies is to evaluate market potential.

Keywords: Market Capacity, Info-Communication Potential, Information-Communication Technologies, Information Technologies, Market Potential Capacity, Regional Economy.

ბაზრის პოტენციური ტევადობის შეფასების ინსტრუმენტი

ბაზრის პოტენციური ტევადობის შეფასების მეთოდური ინსტრუმენტი მოიცავს მოხმარების ინტენსივობის ანალიზის მეთოდს, ექსპერტულ მეთოდებსა და ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების მეთოდებს.

მოხმარების ინტენსივობის ანალიზის მეთოდი ითვალისწინებს შესაბამის მომსახურებაზე განეული დანახარჯების დამოკიდებულებას მოხმარებლების მოთხოვნის მაჩვენებელზე. უფრო ზუსტი მონაცემების მისაღებად, მოსახლეობა, შესაძლოა, დაიყოს ასაკის, სქესის, განათლების დონისა და სხვა ფაქტორების მიხედვით. სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი საშუალებას იძლევა, გამოვიყვანოთ თითოეული კატეგორიის მოთხოვნა-მიწოდების საშუალო ნორმა.

მოცემული მეთოდი, შესაძლოა, გამოყენებული იქნას რეგიონული ინფო-საკომუნიკაციო ბაზრების ტევადობის შესაფასებლად. მაგალითად, თუ განვსაზღვრავთ მოხმარებელთა მობილური კავშირის გამოყენების საერთაშორისო ზარებზე დანახარჯების საშუალო მაჩვენებელს, შეგვეძლება, განვსაზღვროთ პოტენციური შემოსავალი ამ სახის მომსახურების მიწოდებიდან მოცემულ რეგიონში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინფო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დინამიკური განვითარების პროცესი, რომელიც მიწოდებული მომსახურების ხარისხს ამაღლებს, საკმარისად ზუსტი გათვლების გაკეთების საშუალებას არ იძლევა.

ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების მეთოდი გულისხმობს ანალიტიკური მოდელის აგებას სრული აპროქსიმაციით, ანუ ისეთი ფაქტორული ცვლადების ჯგუფის პოვნას, რომელიც მაქსიმალური სიზუსტით უზრუნველყოფს მონაცემთა რეალურობასა და საიმედოობას.

ანალიტიკური მოდელის შემუშავება საკმაოდ რთული და შრომატევადი პროცესია. მკვლევრის საქმიანობის გასამართლებლად, შესაძლოა, გამოყენებულ იქნას მონაცემთა სტატისტიკური ანალიზის სპეციალიზებული პაკეტები (SPSS, STATISTICA) ან საშუალებები MS Excel („ანალიზის პაკეტის“ განყოფილება).

ბანკოთმარების საინფორმაციო-ეკონომიკური წონასწორობა

ამ ეტაპისთვის არსებული მეთოდური მიდგომები მიზნად ისახავს, შეფასდეს გადახდისუნარიანი მოთხოვნა მომსახურებაზე ან საქონელზე, რასაც პრაქტიკული დანიშნულება აქვს ორგანიზაციის სამეწარმეო მონაცემთა საქმიანობის დაგეგმვისთვის. განხილვადი პრობლემის კონტექსტში, სადაც ინფორმაცია ეკონომიკური ზრდის დომინანტად გვესახება, პოტენციური ტევადობის შეფასება ხდება რეგიონებისა და სრულად ქვეყნის საინფორმაციო-ეკონომიკური განვითარების დასაბალანსებლად.

ანალიტიკური მოდელის შემუშავების დანეციბისას, პირველ ყოვლისა, საჭიროა, განისაზღვროს ფაქტორული და საბოლოო ცვლადები. ინფო-საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის პოტენციური ტევადობა არის ინტეგრალური მახასიათებელი, რომელიც დამოკიდებულია როგორც რეგიონში ინფო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარების დონეზე, მის შესაბამისობაზე რეგიონში არსებულ მოთხოვნებთან, ისე რეგიონის ეკონომიკურ პოტენციალზე.

კვლევის ლოგიკიდან გამომდინარე, შემდეგ ეტაპს წარმოადგენს იმ ფაქტორების განსაზღვრა, რომლებსაც თეორიულად, შესაძლოა, საკმარისად დიდი გავლენა ჰქონდეთ საბოლოო შედეგზე. განხილვადი პრობლემის კონტექსტში ამ ფაქტორებს უნდა მივაკუთვნოთ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის სულადობით მიღებული შემოსავლის წილი რეგიონში, სატელეფონო ხაზების რაოდენობა ყოველ 100 კაცზე, სტაციონარული და მობილური სატელეფონო სიმჭიდროვე, ასევე, პერსონალური კომპიუტერების შეღწევა და ა. შ.

ბაზრზე პროდუქციის ღირებულება მოუქნელია, რაც სახელმწიფოში მთავრობის, პროფესიული კავშირების, ნაციონალური ტრადიციებისა და მენეჯერების თავისებური ფსიქოლოგიის ზემოქმედებითაა გამოწვეული.

მწარმოებლურობისა და შემოსავლის მაქსიმალური გაზრდის მეთოდები

იმისათვის, რომ მწარმოებლურობისა და შემოსავლის მაქსიმალური გაზრდის მეთოდები ავსახოთ, საჭიროა, შევქმნათ კონკრეტული მოდელი ფირმის მაგალითზე, რომელიც ამ მეთოდების ძირითად პრინციპებს უკეთ დაგვანახებს.

მწარმოებლურობის მაქსიმალური გაზრდისთვის მნიშვნელოვანია ბაზრის კონკურენციის გათვალისწინება. იმის გათვალისწინებით, თუ როგორ ბაზარზე (კონკურენტულზე თუ არაკონკურენტულზე) მიმდინარეობს პროდუქციის წარმოება, განისაზღვრება შესაბამისი პირობები ეკონომიკური საქმიანობის სწორი მიმდინარეობისათვის, რის შემდეგაც შემოსავლისუნარიანობა მაქსიმალურ ნიშნულს აღწევს. ამისათვის საჭიროა, ფირმას თავად შეეძლოს ბაზარზე ზემოქმედება ან ყველასთვის დადგინდეს ერთი საბაზრო ფასი (ფირმის აზრის გათვალისწინებით).

თუმცა არსებობს კანონზომიერება, რომლის მიხედვითაც, შემოსავალი მაშინ აღწევს მაქსიმალურ ოდენობას, როდესაც ზღვრული შემოსავალი ზღვრული ღირებულების ტოლი ხდება. აღნიშნული თანაფარდობა ყველა ფირმისთვის საერთოა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა კონკურენტუნარიანი. ეს მნიშვნელოვანი კანონზომიერება ალგებრულად იხსნება.

შემოსავალი მაქსიმალურია $p=TR-TC$ წერტილში, რომელშიც საერთო მოცულობის დამატებითი დანამატიმოგების ნიშნულს არ ცვლის:

შემოვიტანოთ აღნიშვნები:

$(\Delta p/\Delta q = 0)$: $\Delta p/\Delta q = \Delta TR/\Delta q - \Delta TC/\Delta q = 0$, სადაც $\Delta TR/\Delta q$ — ეს ზღვრული შემოსავალია (MR) აღნიშვნით (ფირმის), ხოლო $\Delta TC/\Delta q$ — ზღვრული ფასების (MC). ამგვარად, შემოსავლის მაქსიმალური ნიშნული მიღწევადია, როცა $MR - MC = 0$, ან $MR = MC$.


იმისათვის, რომ ავსახოთ მოკლე დროში კონკურენტუნარიანი ფირმების მაქსიმალური შემოსავლის მიღების საშუალებები, უნდა განვიხილოთ კომპანიის საქმიანობის ქმედითუნარიანობა. კონკურენტუნარიანი ბაზრის პირობებში, მას ეყოლება 87 კონკურენტი. ასეთ კონკურენტულ გარემოში ფირმის მიერ რეალიზებული პროდუქცია, ბაზარზე საერთო პროდუქციის საერთო მოცულობასთან შედარებით, ძალზე უმნიშვნელოა, რის გამოც, პროდუქციის საბაზრო ფასზე ვერ მოახდენს გავლენას.

იმისათვის, რომ დადგინდეს წარმოების მოცულობისა და მომგებიანობის ნიშნული მოკლევადიან პერიოდში, აუცილებელია წარმოებისა და ხარჯების მოთხოვნის ანალიზთან გაერთიანება. მოკლევადიანი პერიოდი დროის ის ინტერვალია, რომელშიც შეუძლებელია შეიცვალოს წარმოებისთვის საჭირო თუნდაც ერთი ფაქტორი.

ასეთ ფაქტორებს ეწოდება ფიქსირებული ან მუდმივი. მოკლევადიან პერიოდში კაპიტალის დანახარჯი ფირმისთვის მუდმივია. არსებობს ორი ძირითადი მიმდგომი, იმისათვის რომ დადგინდეს, უღირს თუ არა ფირმას საერთოდ აწარმოოს კონკრეტული პროდუქცია და თუ კი, მაშინ რა მაქსიმალური მოგების მისაღწევად: პირველი გულისხმობს სრული შემოსავლისა და დანახარჯის შედარებას, მეორე – ზღვრულ შედარებას.

საერთო შემოსავლისა და დანახარჯის შედარება:

საერთო დანახარჯი – ეს ისეთი ოდენობის დანახარჯია, რომელსაც ფირმა მასში არსებული გარკვეული რაოდენობის სარგებლის გაყიდვებით ახორციელებს. შესაბამისად, საერთო დანახარჯი – ეს არის მთელი წარმოების საერთო დანახარჯი.



სურათი 4. მას შემდეგ, რაც სრული შემოსავლი და ხარჯები ფასის მიმღებთათვის საერთოა, გრაფიკში საერთო შემოსავლის მაჩვენებელი შემდეგნაირად აისახება:

TR- მთლიანი შემოსავალი, TC- სულ დანახარჯები. Q- გასავალი მოცულობით. P- ფასი.

$P = TR - TC$, $P = 2\$$, 10 ერთეული პროდუქციის წარმოებისას შემოსავალი შეადგენს \$ 20-ს, 20 ერთეულის წარმოებისას 40\$-ს.

ამ გრაფიკზე დაყრდნობით შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

1. ფირმის წარმოება აღწევს მაქსიმალურ ნიშნულს, იმ შემთხვევაში, როცა სრული შემოსავალი მეტია სრულ დანახარჯზე.


2. კომპანია იღებს მაქსიმალურ მოგებას, როდესაც საერთო შემოსავალი და საერთო დანახარჯს შორის განსხვავება მაქსიმალურია.

3. ფირმა აქვს დანაკარგი, როდესაც დანახარჯი მეტია შემოსავალზე. ამასთან, მინიმალური დანახარჯი მიიღწევა მხოლოდ მაშინ, როდესაც განსხვავება დანახარჯსა და შემოსავალს შორის მინიმალურია. ფირმა უნდა განაგრძოს წარმოება იმ მომენტამდე, სანამ ახერხებს დანახარჯის კომპენსირებას შემოსავლით და, ამასთან, შეუძლია მთლიანი წარმოებიდან თუნდაც უმნიშვნელო სტაბილური პროდუქციის მიწოდება ბაზრისთვის.

4. თუ საერთო დანახარჯები უტოლდება საერთო შემოსავალს, ამ შემთხვევაში, კომპანია მოგებისა თუ ზარალის მხრივ ნეიტრალურ მდგომარეობაშია.

5. თუ ფირმის ზარალი ფიქსირებული ხარჯებს უდრის, მაშინ ფირმისთვის არ აქვს მნიშვნელობა, ანარ-მოებს თუ არა, რადგან ნარმოების შეჩერების შემთხვევაშიც, ფიქსირებულ ხარჯებს ვერ გაექცევა. თუ ფირმის ზარალი აღემატება ფიქსირებულ ხარჯებს, მაშინ მან უნდა შეწყვიტოს წარმოება.

მაქსიმალური მოგების ასახვისათვის, აუცილებელია ცვლადი ხარჯების განსაზღვრვა. ქვემოთ მოცემული გრაფიკი გვიჩვენებს ამ სიტუაციიდან გამოსავალს:



სურ.5 კონკურენტუნარიანი ფირმა მაქსიმალური შემოსავალით

ამ გრაფიკზე ჩვენ ვხედავთ:

MC ზღვრული ღირებულების მრუდია, P-ფასი. $P > ATC$ და $P > AVC$.

1) $AR=MR=P=40$ \$ ერთეულზე. ATC საშუალო ღირებულების მრუდია, AVC – ცვლადი დანახარჯების მრუდი, MC – მარგინალური ღირებულების მრუდი, $P > ATC$ და $P > AVC$.

2) როდესაც მიღწეულია მაქსიმალური წარმოებისა და შემოსავლის მდგომარეობა $MR=MC$, წარმოებული პროდუქციის მაქსიმალური ოდენობა აღწევს გრაფიკზე ასახულ A ნიშნულს და შედეგად 8 ერთეულს გან.

3) წარმოებული პროდუქციის უფრო დაბალი მოცულობის შემთხვევაში, მაგალითად, გრაფიკზე აღნიშნული 7 ერთეულის, $MR > MC$, მოგება არ არის მაქსიმალური, მაგრამ მისი ამ ნიშნულამდე მიყვანა შესაძლებელია წარმოების გაზრდით დამატებითი ერთეულების მეშვეობით.

4) პროდუქციის 9-ერთეულოვანი მოცულობის შემთხვევაში, $MR < MC$ ფირმა განიცდის დანაკარგებს, ასეთ დროს დანახარჯების გაღება ერთი დამატებითი ერთეულისთვის იქნება უდიდესი დანახარჯი მისთვის.

5) AB სეგმენტი ამ გრაფიკზე არის განსხვავება ფასსა და საშუალო ღირებულებას შორის, რომელიც თითო ერთეულიდან მიღებულ მოგებას უდრის. BC პროდუქციის საერთო რაოდენობაა, საიდანაც გამოდის, რომ მართკუთხედი ABCD ასახავს ფირმის მოგებაზე გასვლის ნიშნულს.

აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ მოკლე პერიოდში განისაზღვროს პროდუქციის მოცულობა და მოგებაზე გასვლის რაოდენობა, აუცილებელია წარმოებისა და დანახარჯის ერთად ასახვა, რათა ერთმანეთს შევადაროთ საერთო ხარჯები და შემოსავალი და ამის შემდეგ მოვახდინოთ მათი ზღვრული შედარება.

აქედან გამომდინარე, ფირმის მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობა, რა დროსაც მოგება მაქსიმალურია, მიიღწევა მხოლოდ მაშინ, როდესაც $MR=MC$.

ფაქტორული ცვლადების სია, შესაძლოა, გაფართოვდეს, თუმცა სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს შემდგომი ანალიზისთვის საჭირო სტატისტიკური ინფორმაციის მოძიების სირთულე. ანალიტიკურ

მოდელში ჩასართავი ფაქტორების ასარჩევად, შესაძლოა, გამოყენებულ იქნას კორელაციური ანალიზი. ფაქტორული ცვლადების განსაზღვრა იძლევა საშუალებას, რომ გადავიდეთ მრავლობითი რეგრესიის განტოლების აგებაზე, რათა რაოდენობრივად შევაფასოთ ინფო-კომუნიკაციების განვითარება.

წარმოვადგენოთ ეს მონაცემები და შესაბამისი კოეფიციენტები მატრიცის სახით:

$$\begin{cases} \sum y_i = n b_0 + b_1 \sum x_{i1} + b_2 \sum x_{i2}; \\ \sum x_{i1} y_i = b_0 \sum x_{i1} + b_1 \sum x_{i1}^2 + b_2 \sum x_{i1} x_{i2}; \\ \sum x_{i2} y_i = b_0 \sum x_{i2} + b_1 \sum x_{i1} x_{i2} + b_2 \sum x_{i2}^2. \end{cases}$$

სადაც Y ვექტორ-სვეტი არსებული n განზომილებით დამოკიდებული ცვლადია,

X – მატრიცის განზომილება n (m + 1), სადაც i იღებს მნიშვნელობას (i = 1, 2, ..., n) წარმოადგენს ვექტორის მნიშვნელობების დამოკიდებულებას დამოუკიდებელ მნიშვნელობებზე X1, X2, ..., Xm; ერთეულიშეესაბამება ცვლადს როდესაც წევრი თავისუფალია b0; B – კი ვექტორ-სვეტი განზომილება.

(m + 1) რეგრესიის განტოლების პარამეტრია, e – განზომილება ვექტორ-სვეტი. n – რეალური მნიშვნელობების უგულებელყოფა. yi დამოკიდებული ცვლადი

Y y^i-იური წევრი, რეგრესიის განტოლების მიმღები.

რეგრესიის განტოლების მოდელი Y = b0 + b1X1 + b2X2;

სადაც b0, b1, ..., bm – თეორიული მნიშვნელობების შეფასებები, β1, β2, ..., βm რეგრესიის კოეფიციენტებია (ემპირიული რეგრესიის კოეფიციენტები); e – შეფასების ცდომილება ε-სთან. ინდივიდუალური დაკვირვებისთვის გვაქვს:

$$y_i = b_0 + b_1 x_{i1} + \dots + b_m x_{im} + e_i.$$

1) უცნობები b0, b1, b2, სამგანზომილებიანი სისტემა სამი უცნობით b0, b1, b2:

ამ სისტემის ამოსახსნელად, შეგვიძლია, გამოვიყენოთ კრამერის მეთოდი.

ან გამოვიყენოთ შემდეგი ფორმულა:

$$b_0 = \bar{y} - b_1 \bar{x}_1 - b_2 \bar{x}_2;$$

$$b_1 = \frac{\sum (x_{i1} - \bar{x}_1)(y_i - \bar{y}) \cdot \sum (x_{i2} - \bar{x}_2)^2 - \sum (x_{i2} - \bar{x}_2)(y_i - \bar{y}) \cdot \sum (x_{i1} - \bar{x}_1)(x_{i2} - \bar{x}_2)}{\sum (x_{i1} - \bar{x}_1)^2 \sum (x_{i2} - \bar{x}_2)^2 - (\sum (x_{i1} - \bar{x}_1)(x_{i2} - \bar{x}_2))^2};$$

$$b_2 = \frac{\sum (x_{i2} - \bar{x}_2)(y_i - \bar{y}) \cdot \sum (x_{i1} - \bar{x}_1)^2 - \sum (x_{i1} - \bar{x}_1)(y_i - \bar{y}) \cdot \sum (x_{i1} - \bar{x}_1)(x_{i2} - \bar{x}_2)}{\sum (x_{i1} - \bar{x}_1)^2 \sum (x_{i2} - \bar{x}_2)^2 - (\sum (x_{i1} - \bar{x}_1)(x_{i2} - \bar{x}_2))^2}.$$

შერჩევითი დისპერსიის ემპირიული მრავალჯერადი რეგრესიული კოეფიციენტები შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად:

$$S_{b_j}^2 = S^2 z'_{jj} = \frac{\sum e_i^2}{n - m - 1} z'_{jj}, j = 1, 2, \dots, m$$

აქ z'_{jj} - j-იური მატრიცის დიაგონალური ელენტია Z^{-1} = (X^T X)^{-1}.

$$Z = (X^T X)^{-1} = \begin{pmatrix} \frac{\sum x_i^2}{n \sum x_i^2 - (\sum x_i)^2} & -\frac{\sum x_i}{n \sum x_i^2 - (\sum x_i)^2} \\ -\frac{\sum x_i}{n \sum x_i^2 - (\sum x_i)^2} & \frac{n}{n \sum x_i^2 - (\sum x_i)^2} \end{pmatrix}$$

ამასთანავე:

$$S^2 = \frac{\sum e_i^2}{n - m - 1}$$

სადაც m - ცვლადების რაოდენობაა კარკვეული მნიშვნელობით,

აღნიშნოთ, რომ ზოგჯერ ამ ფორმულაში მნიშვნელი გვხვდება შემდეგი სახით: $n - m - 1 = n - k$, სადა k პარამეტრების რაოდენობაა (შეესაბამება რეგრესიის კოეფიციენტების განსაზღვრულ მნიშვნელობას). აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია მოლოდ შერჩევით არჩევადობით განვსაზღვროთ დისპერსიის რეგრესიის კოეფიციენტები, რითაც განტოლება იღებს შემდეგ სახეს:

$$Y = b_0 + b_1 X_1 + b_2 X_2$$

X_1 და X_2 - ცვლადებისთვის გამოიყენება შემდეგი ფორმულა:

$$S_{b0}^2 = \left[\frac{1}{n} + \frac{\bar{x}_1^2 \sum (x_{i2} - \bar{x}_2)^2 + \bar{x}_2^2 \sum (x_{i1} - \bar{x}_1)^2 - 2\bar{x}_1 \bar{x}_2 \sum (x_{i1} - \bar{x}_1)(x_{i2} - \bar{x}_2)}{\sum (x_{i1} - \bar{x}_1)^2 \sum (x_{i2} - \bar{x}_2)^2 - (\sum (x_{i1} - \bar{x}_1)(x_{i2} - \bar{x}_2))^2} \right] \cdot S^2$$

$$S_{b1}^2 = \frac{\sum (x_{i2} - \bar{x}_2)^2}{\sum (x_{i1} - \bar{x}_1)^2 \sum (x_{i2} - \bar{x}_2)^2 - (\sum (x_{i1} - \bar{x}_1)(x_{i2} - \bar{x}_2))^2} \cdot S^2$$

$$S_{b1}^2 = \frac{S^2}{\sum (x_{i1} - \bar{x}_1)^2 \cdot (1 - r_{12}^2)}$$

$$S_{b2}^2 = \frac{\sum (x_{i1} - \bar{x}_1)^2}{\sum (x_{i1} - \bar{x}_1)^2 \sum (x_{i2} - \bar{x}_2)^2 - (\sum (x_{i1} - \bar{x}_1)(x_{i2} - \bar{x}_2))^2} \cdot S^2$$

$$S_{b2}^2 = \frac{S^2}{\sum (x_{i2} - \bar{x}_2)^2 \cdot (1 - r_{12}^2)}$$

$$S_{b0} = \sqrt{S_{b0}^2}, S_{b1} = \sqrt{S_{b1}^2}, S_{b2} = \sqrt{S_{b2}^2}$$

აქ r_{12} - შერჩევითი კოეფიციენტია ცვლადებისთვის, ხოლო X_1, X_2 ; და

S_{b_j} - სტანდარტული რეგრესიის განტოლების კოეფიციენტებია;

S_{k_i} - მრავლობითი რეგრესიის სტანდარტული ხელშეშლა.

$$S_{b2j} = S^2 z'_{jj} = n - \sum m e_i^2 - 1 z'_{jj}, j = 0, 1, \dots, m.$$

როგორც წყვილური რეგრესიის დროს, $S = S^2$ - ცრეგრესიის სტანდარტულ შეცდომად ითვლება, $S_{b_j} = S^2 z'_{jj}$ კირეგრესიის კოეფიციენტთა სტანდარტული შეცდომაა. აქედან გამომდინარე, შემდეგი ტოლობისთვის:

$Y) = b_0 + b_1X_1 + b_2X_2$ დისპერსიის ეს ორი გარკვეული ცვლადი კოეფიციენტთა ნახსენები შეცდომები იხსნებასწორედ აღნიშნული ფორმულებით,

სადაც $r_{12} = r_{x_1x_2}$ – კორელაციის შერჩევითი კოეფიციენტებია, X_1 და X_2 კი – ცვლადი მაჩვენებლები.

ინფო-საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის პოტენციური ტევადობის რაოდენობრივი შეფასებისთვის, აუცილებელია, განისაზღვროს ინფო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარების მაჩვენებლები, რომელიც უზრუნველყოფს საინფორმაციო-ეკონომიკურ წონასწორობას. ამისთვის, მიზანშეწონილია, მივმართოთ ინფო-საკომუნიკაციო სფეროს განვითარების საერთაშორისო კანონზომიერებების ანალიზს, რომელიც გამოხატულია საინფორმაციო-ეკონომიკურ კანონში: რაც მეტია მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე, რომელიც განსაზღვრავს ეკონომიკური განვითარების დონეს, მით უფრო მაღალია ინფო-კომუნიკაციების დონე, რომელიც ხასიათდება ინფო-საკომუნიკაციო ტერმინალების სიმჭიდროვით.

ინფო-საკომუნიკაციო სექტორის სწრაფმა ზრდამ აჩვენა, რომ საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი საინფორმაციო საქმიანობის ორგანიზების მეთოდები და საინფორმაციო მომსახურება გამოირჩევა განვითარების კარგი პერსპექტივით. ინტერნეტი გახდა საინფორმაციო საქმიანობის პირველი ქვედანაყოფი, რომელმაც დიდი მოცულობით ინვესტიციები მოიზიდა (როგორც რუსული, ისე უცხოური);

გლობალიზაციის პირობებში მოხდა საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზრის მნიშვნელოვანი გადანაწილება. ვინაიდან გლობალიზაციის პროცესი ეკონომიკის, პოლიტიკის, მეცნიერების და სხვ. ყველა სფეროს ეხება. ინფორმაცია და ტექნოლოგიები კი მსოფლიო გლობალიზაციის მთავარი მამოძრავებელია.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სწრაფი ზრდა და სხვადასხვა ინფორმაციის მოზღვავება აიძულებს საზოგადოებას, მუდამ ეძებოს პრობლემების გადაჭრის ახალი გზები. ხოლო დიდი მოცულობის ინფორმაციის გადამუშავების საჭიროება, დიდი რაოდენობით ახალი უნარის და ცოდნის ათვისების აუცილებლობა მოითხოვს არსებული საგანმანათლებლო სისტემის გადახედვას. ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში საინფორმაციო ტექნოლოგიების ინტეგრირება თითქოს გვეკარნახობს მომავალ ნაბიჯს როგორც განათლებაში, ისე საზოგადოების საქმიანობის სხვა სფეროებში. ამჟამად ბუნებრივად გამოიყურება მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის ცოდნის კუთხით.

დასკვნა

რეგრესიული ანალიზის მოდელირების მეთოდი მიზნად ისახავს მონაცემთა აღსაწერასა და შემდგომ მოღებულ შედეგებით კონკრეტული თავისებურების გამოკვლევას. იგი გამოიყენება პროგნოზირებისა და დროებითი ფაქტორების ანალიზისთვის, რითაც ნათელს ჰფენს მონაცემთა ფარულად ერთმანეთზე დამოკიდებულებასა და მახასიათებლებს. პრაქტიკულად, ნებისმიერ ეკონომიკურ მაჩვენებელზე მოქმედებს არა მარტო ერთი, არამედ რამდენიმე ფაქტორი ერთდროულად, რომელსაც ამოსაცნობად მრავალმხრივი დაკვირვება სჭირდება. მაგალითად, სარგებელზე მოთხოვნა განისაზღვრება არა მხოლოდ ფასითა თუ სარგებლიანობის მაჩვენებლით, არამედ ხელშემშლელი და დამატებითი სარგებლიანობის დანახარჯითაც, რადროსაც მომხმარებლის შემოსავლის უნარიანობასა და მსგავს გარეფაქტორებსაც დიდი როლი ენიჭება.

ამ კავშირების შესწავლის შემდეგ, შესაძლებელია მრავლობითი რეგრესიის მოდელირება, რომელიც მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

- ერთმანეთთან დაკავშირების ფორმების შერჩევა (რეგრესიის განტოლება)
- ფაქტორული ნიშნებით შერჩევა
- საკმარისი მოცულობის აგრეგატივით უზრუნველყოფა, რათა შემდეგ მოხერხდეს დადებითი შეფასების მიღება.

რეგიონული ინფო-საკომუნიკაციო ბაზრის პოტენციური განისაზღვრება სხვაობით მიღწეულ განვითარების დონესა და იმ მაჩვენებლებს შორის, რომლებიც უზრუნველყოფენ საინფორმაციო-ეკონომიკურ წონასწორობას. გათვლილი მაჩვენებლები გვიჩვენებს ინფო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის საშუალო განვითარებას.

საქართველო გამოირჩევა უთანასწორობით აღნიშნულ საკითხში, რაც იმას ნიშნავს, რომ მოიძებნება რეგიონები, სადაც განვითარების დონე აღემატება საინფორმაციო-ეკონომიკური წონასწორობის უზრუნ-

ველმოყვებულ მაჩვენებლებს. ასეთი რეგიონებისთვის ინფო-საკომუნიკაციო ბაზრის პოტენციალის გაჯერებულობის გათვალისწინებით უნდა შეფასდეს.

მსოფლიო კანონზომიერებების ანალიზი საშუალებას იძლევა, გავაკეთოთ დასკვნა, რომ სტაციონარული ტელეფონებით გაჯერებულობა შეადგენს 70 ერთეულს 100 კაცზე, მობილური კომუნიკაციის საშუალებებისთვის – 130 ერთეული 100 კაცზე. ინფორმატიზების სფეროსთვის გაჯერებულობის დონის შეფასება არააქტუალურია, ვინაიდან ამ სფეროში შეინიშნება მნიშვნელოვანი გახლეჩა მიღწეულ დონესა და იმ მნიშვნელობას შორის, რომელიც უზრუნველყოფს საინფორმაციო-ეკონომიკურ წონასწორობას. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური სიტუაცია დამახასიათებელია მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობისთვის.

ОЦЕНКА ИНФОКОММУНИКАЦИОННОГО РЫНОЧНОГО ПОТЕНЦИАЛА РЕГИОНА

Отარ ზუმბურიძე

Профессор в грузинском техническом университете.

Ираклий Кукава

Докторант в грузинском техническом университете.

РЕЗЮМЕ

В статье рассмотрены вопросы оценки инфокоммуникационного рыночного потенциала, обеспечивающего информационно-экономическую сбалансированность развития регионов на основе учета мировых тенденций развития. В качестве методического инструментария предлагается использование метода экономико-математического моделирования. Потенциал региональных инфокоммуникационных рынков определяется разрывом между достигнутым уровнем развития инфокоммуникаций и значениями показателей, обеспечивающих информационно-экономическую сбалансированность.

В условиях рыночной экономики одной из ключевых задач, стоящих перед маркетинговыми подразделениями компаний, является оценка рыночного потенциала.

Ключевые слова: емкость рынка, инфокоммуникационный потенциал, информационно-коммуникационные технологии, информационные технологии, потенциальная емкость рынка, экономика региона.

საქართველოში 2004-2010 წლებში განხორციელებული საგადასახადო რეფორმის ზოგადი ასპექტების შესახებ

თამთა კორიძე
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ქვეყანაში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური, საზოგადოებრივი, სოციალური მდგომარეობა და საგადასახადო ურთიერთობათა სისტემაში უკვე არსებული ტრადიციები აყალიბებს ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს. საგადასახადო პოლიტიკის შინაარსი და მიზნები ასევე მნიშვნელოვანწილად არის განპირობებული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური წყობით და ქვეყნის სადავეებში მყოფი სოციალური ჯგუფების ინტერესებით. საგადასახადო პოლიტიკის რეალიზება ხორციელდება საგადასახადო კანონმდებლობის და სხვა დამხმარე ნორმატიული აქტების მეშვეობით, რომლებიც საკანონმდებლო საფუძველს ქმნიან საგადასახადო წესრიგის დასამყარებლად.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველომ არა ერთი მნიშვნელოვანი საგადასახადო რეფორმების ტალღა მიიღო.

საქართველოს საგადასახადო გამოცდილების ისტორიულ ლოგიკაზე დაყრდნობით მივდივართ დასკვნამდე, რომ სწორედ სათაურში აღნიშნულ წლებში გატარებული რეფორმები აღმოჩნდა გადამწყვეტი ჩვენი ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკის ფორმირების და თანამედროვე ეკონომიკის მოთხოვნებთან ადაპტირების პროცესში.

საქართველოს წილად ხვდა მეტად რთული საგადასახადო მემკვიდრეობა. არ არსებობდა საკანონმდებლო ბაზა, მოგვიანებით შეიქმნა კანონების პაკეტი, თუმცა ეს კანონმდებლობას სრულყოფილ ფორმით არ გვაძლევდა. კანონის ცალკეული ნაწილები ერთმანეთთან სინქრონულ კავშირში არ მოდიოდა. შესაბამისად ქვეყანაში დამკვიდრდა საკანონმდებლო ხარვეზების სხვადასხვა კანონქვემდებარე აქტებით შევსების პრაქტიკა. კანონის განუწყვეტელი ცვალებადობა კი იწვევდა საგადასახადო სისტემის არასტაბილურობას. საგადასახადო დისციპლინის დონე საკმაოდ დაბალი იყო. მმართველი ბიუროკრატის მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნეოდა კორუმპირებულად. კანონის აღსრულების მექანიზმები იყო მეტად სუსტი. შესაბამისად საგადასახადო ტვირთი იყო მძიმე.

საკვანძო სიტყვები: საგადასახადო კანონმდებლობა, ეკონომიკა, საგადასახადო ტვირთი, საგადასახადო პოლიტიკა, გადასახადები, გადასახადის გადამხდელი.

ON SOME ASPECTS OF THE TAX REFORM IMPLEMENTED IN GEORGIA IN 2004-2010

Tamta Koridze
Doctoral Student of GTU

RESUME

Tax policy includes a set of state measures, the main purpose of which is to ensure the economic growth in the country. From a theoretical point of view, the level of taxation should be relevant to the economic development phase of the country. For instance, during periods of production rising, it is necessary to increase tax rate, on the other hand, their reduction is allowed for priority sectors, and in case of crisis, on the contrary, tax incentives should be imposed on producers.

A number of important tax reforms have been implemented in Georgia in recent decades.

On the basis of the historical logic of the tax experience of Georgia, we've come to the conclusion that the reforms carried out in the years mentioned in the title have proved to be crucial in the process of formulating our country's tax policy and adapting it to the requirements of the modern economy.

Georgia inherited too complicated tax system without the legal framework. Although a package of laws was later created, we still have not gotten perfect legislation. There was no synchronous connection between the separate parts of the law. Accordingly, the practice of filling legislative gaps with various sublegal acts has been established in the country. The constant amendments in the law even caused the instability of the tax system. The level of tax discipline was quite low and an important part of the ruling bureaucracy was considered corrupt. Law enforcement mechanisms were very weak. Tax burden therefore was heavy.

Keywords: tax legislation, economics, tax burden, tax politics, taxes, taxpayer.

* * * *

რეფორმის სანყის ეტაპზე უკვე მოხდა გააზრება ეკონომიკური აქსიომისა, რომ დაბალი გადასახადები ეკონომიკის ზრდას უწყობს ხელს. ამიტომ, ქვეყანა დაბალი დაბეგვრის ფილოსოფიის ზეგავლენის ქვეშ მოექცა. აღნიშნული პერიოდი ასევე დროში ემთხვევა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების გაძლიერებული რეკომენდაციების გაცემას საქართველოს ეკონომიკური განვითარების მიმა-

რთულებით, რაც თავისუფლად შეგვიძლია მივიჩნიოთ ამ აქტიური რეფორმების მასტიმულირებელ ფაქტორად. კონკრეტულად საგადასახადო განაკვეთების ფართომასშტაბიანი შემცირება რეკომენდირებული იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ. თუმცა, უმთავრეს მიზნებად ამას გარდა რჩებოდა გადამხდელთა ბაზის გაზრდა, რაც ასევე საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებით და საგადასახადო სისტემის ადმინისტრირების გაუმჯობესებით იყო შესაძლებელი.

ყველა ამ კრიტერიუმის გათვალისწინებით 2004 წლის 22 დეკემბერს მიღებული იქნა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 2005 წლის 1 იანვრიდან.

საკანონმდებლო ბაზის ცვლილების საფუძველზე რეფორმების განხორციელება მოხდა ეტაპობრივად. თუმცა ძირითადი საგადასახადო ცვლილებები 2005-2006 წლებში განხორციელდა:

- 2005 წლის 1 იანვრიდან დაწესებული იქნა საშემოსავლო გადასახადის უნიფიცირებული 12%-იანი განაკვეთი;
- დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთი ახალი საგადასახადო კოდექსით შემცირდა 20%-დან 18%-მდე;
- მონესრიგდა ასევე დღგ-ის გადასახადის ჩათვლის და დაბრუნების სისტემა;
- სოციალური გადასახადი 31%-დან შემცირდა 20%-მდე;
- საბაჟო გადასახადის 22%-იანი განაკვეთი შემცირდა 16%-მდე;
- ქონების გადასახადი, მიწის გადასახადი და ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი გაერთიანდა და ჩამოყალიბდა ერთ გადასახადად, ქონების გადასახადის სახით;
- გაუქმდა მთელი რიგი გადასახადები.

2007 წელს მოხდა გადასახადების ლიბერალიზაციის მეორე ტალღა, რის გამოც საერთო-სახელმწიფოებრივმა და ადგილობრივმა გადასახადებმა კვლავ განიცადეს ცვლილება:

- ჩამოყალიბდა 15%-იანი მოგების გადასახადი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა შეეტანათ ოთხ თანაბარ ნაწილად წლის განმავლობაში, წინა საგადასახადო წლის წლიური გადასახადის მიხედვით;
- დაიხვეწა ამორტიზაციის დაქვემდებარებული ძირითადი საშუალებების ჯგუფები და დაზუსტდა ამორტიზაციის ნორმები;
- 2008 წლის 1 იანვრიდან საგადასახადო სისტემის გამარტივების მიზნით გაუქმდა სოციალური გადასახადი, რომელიც რეალურად გაერთიანდა საშემოსავლო გადასახადთან, რამაც გამოიწვია ამ უკანასკნელის ზრდა 25%-მდე;
- 2008 წლიდან განულდა საბაჟო გადასახადი, რის საფუძველზეც საქართველომ მსოფლიოს ყველაზე ლიბერალურ სავაჭრო რეჟიმის მქონე ქვეყნების მცირერიცხოვან ჯგუფში დაიკავა ადგილი;

- 2009 წლის 1 იანვრიდან საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 25%-დან შემცირდა 20%-მდე;
- 2009 წლის 1 იანვრიდან დივიდენდების საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის განაკვეთი 10%-დან შემცირდა 5%-მდე;
- და სხვა.

ამ პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებებს, რომ გადავავლოთ თვალი 2008 წლის 1 იანვრიდან საგადასახადო სისტემის გამარტივების მიზნით გაუქმდა სოციალური გადასახადი, თუმცა ეს ერთობ დადებით მოვლენას არ წარმოადგენდა, ვინაიდან არასწორი იყო მისი თითქოს და გაუქმების პრინციპი. რეალურად მოხდა მხოლოდ დაბეგვრის სუბიექტის ცვლილება და არა გადასახადის გაუქმება. როგორც ვიცით სოციალური გადასახადი წინა წლებში შეადგენდა 20%, მიღებული იქნა გადანყვეტილი სოციალური გადასახადის და საშემოსავლო გადასახადის დაჯამებით მიღებული 32% შემცირებულიყო 7% და დარჩენილი 25% მიჩნეული ყოფილიყო საშემოსავლო გადასახადად. რა თქმა უნდა ეს არასწორი მიდგომა იქნა გაპროტესტებული, რადგან საშემოსავლო და სოციალური გადასახადი სხვადასხვა გადასახადს წარმოადგენდა და მათი უბრალო დაჯამებითა და რამოდენიმე პროცენტისანი შემცირებით მიღებული შედეგი შეუძლებელია ყოფილიყო სამართლიანი. რეალურად საშემოსავლო გადასახადს იხდიდა დასაქმებული, ხოლო სოციალურს დამსაქმებელი, მიღებული გადანყვეტილების ფონზე კი მოხდა გადასახადის გადაკისრება მხოლოდ დაქირავებულზე და ნაცვლად 12% მას უკვე თითქმის ორჯერ მეტის გადახდა უწევდა, გამომდინარე აქედან სოციალური გადასახადის შემცირებას არანაირი რეალური შედეგი არ მოუტანია გადასახადის გადამხდელთა ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფისათვის.

აღსანიშნავია ასევე საკითხი, რომელიც თითქოსდა ყურადღების მიღმა იყო დარჩენილი, რეალურად კი ისიც ასევე საშიშროებას წარმოადგენდა. საქმე ეხება გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირების და ქონების გადასახადის ურთერთკავშირს, რომელიც 0,2% შეადგენდა იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის წლიური შემოსავლი იქნებოდა 40000 ლარს ზემოთ და ხასიათდებოდა მზარდი საგადასახადო განაკვეთით უძრავ ქონებაზე ოჯახის წლიური შემოსავლის ზრდასთან ერთად.

მიღებული ცვლილებების ფონზე, როდესაც მოხდა ხელფასების ზრდა, ამას რეალურად არ შეუცვლია გადამხდელის შემოსავალი, რადგან ნამეტმა მხოლოდ გაზრდილი გადასახადი დაფარა, მეორე მხრივ ხელფასის ზრდით ასევე გაიზარდა ხელოვნურად ოჯახის წლიური შემოსავალი და დადგა საშიშროება ქონების გადასახადის გადახდისა. თუმცა, ეს ყველაფერი მხოლოდ საჯარო სექტორში დასაქმებულთა შემოსავლის ზრდას ეხებოდა. კერძო სექტორში კი სხვა პრობლემამ იჩინა თავი. წესების თანაბარი პირობების მიუხედავად უკეთეს

მდგომარეობაში აღმოჩნდა კერძო სექტორი, რომელმაც იოლი გზა იპოვა გადასახადისაგან თავის არიდების მეშვეობით. დაქირავებული და დაქირავებული ხშირ შემთხვევაში თანხმდებოდნენ სიტყვიერად, რის საფუძველზეც გადახდილი ხელფასის ოდენობა ფიქსირდებოდა ან შემცირებული სახით, ან საერთოდ არ ფიქსირდებოდა. რეალურად ხშირ შემთხვევაში დაქირავებული დაქირავებულს უხდიდა ხელფასს, რომელიც არაფრით იბეგრებოდა.

მიუხედავად არსებული ნაკლოვანებებისა განხორციელებულმა ცვლილებებმა ქვეყანაში რადიკალურად განაახლა საგადასახადო დაბეგვრის კონცეფცია. საგადასახადო სისტემის მოქმედების არეალი მისი ადმინისტრაციული შესაძლებლობებით განისაზღვრება. ამ თვალსაზრისით პროგრესი ნამდვილად შესამჩნევი იყო:

- ჩამოყალიბდა საკანონმდებლო ბაზა;
- ადმინისტრაციული შესაძლებლობები, ისევე როგორც სახელმწიფოს ზოგადი შესაძლებლობები - გაძლიერდა;
- გადასახადებიდან ფულადი სახსრების შემოდინება აშკარად გაიზარდა, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა მეტ-ნაკლებად მყარი საგადასახადო ბაზა;
- იყო მცდელობები ფისკალური ინსტრუმენტების გამოყენებისა, როგორც პოლიტიკური პრიორიტეტების განხორციელების შესაძლებლობა;
- მოხდა კადრების გადამზადება, ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვა, გადასახადების ელექტრონულად გადახდის პრაქტიკის დამკვიდრება.

თუმცა, მოლოდინები უფრო ფართომასშტაბიანი და დამაიმედებელი იყო, ვიდრე მიღებული შედეგები. მიუხედავად განხორციელებული რეფორმების შედეგად მიღებული უდავო პროგრესისა, აღნიშნულმა საგადასახადო კოდექსმა დაბეგვრის სისტემაში გამოკვეთა გარკვეული ხარვეზები, რომლებიც უფრო ფუნდამენტური ხასიათის იყო, ვიდრე ზედაპირული. დაპირებები დაპირებებად დარჩა. მეორე საგადასახადო კოდექსში გამოვლენილი იქნა პირველი საგადასახადო კოდექსის მრავალი ძირეული პრინციპი და საკანონმდებლო დებულება. რაც შეეხება არასრულყოფილი კანონმდებლობის პრობლემას ის კვლავ აქტუალური იყო ამ ეტაპზეც და არც დამატებითი დებულებების შემოღება შეწყვეტილა დაპირებისამებრ.

პრიორიტეტად დასახულ ლიბერალიზაციას, რომელიც უმთავრესად საკანონმდებლო ბაზაში განხორციელებულ ცვლილებაში გამოიხატა, თან სდევდა საგადასახადო ადმინისტრირების უკიდურესი გამკაცრება.

2004 წლის სადასახადო კოდექსის ძირითადი ნაკლოვანებები გახლდათ შემდეგი:

- რეფორმა ნაკლებად შეეხო სახელმწიფოსა და გადასახადის გადამხდელის ურთიერთობას;
- საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლებელი იყო ბევრი მუხლის სასურველი ინტერპრეტაციით გამოყენება, რაც თანამედროვე ეკონომიკურ პროცესებში მიუღებელი ქმედებაა და კანონის ფუნდამენტურ უგულველყოფას ნიშნავს;

ლი იყო ბევრი მუხლის სასურველი ინტერპრეტაციით გამოყენება, რაც თანამედროვე ეკონომიკურ პროცესებში მიუღებელი ქმედებაა და კანონის ფუნდამენტურ უგულველყოფას ნიშნავს;

- კანონის ცალკეული ნაწილები ერთმანეთთან სინქრონულ კავშირში კვლავ არ მოდიოდა;
- განვითარების ამ ეტაპზე უარყოფილი იქნა ეკონომიკური საქმიანობის ხელშემწყობი, ნამახალისებელი ღონისძიებების გატარება, რადგან მსგავსი შეღავათები მიიჩნეოდა კორუფციის მამოძრავებელ ერთ-ერთ მთავარ იმპულსად;
- ყოველივე ზემოთქმულმა საბოლოო ჯამში მიგვიყვანა მწირი რესურსების არაგონივრული გამოყენებასთან.

ბარიერი გადასახადის გადამხდელსა და სახელმწიფოს შორის, ამ კანონმდებლობის საფუძველზე ნამდვილად არ შემცირდა. საგადასახადო ორგანოები, გაუმჯობესებული ფუნქციონირების მიუხედავად სრულყოფილად ვერ იყინებდნენ აუდიტორულ მექანიზმებს და რისკების შეფასების მეთოდებს. რისკის ანალიზი ეს არის - მაღალი რისკის, ანუ პოტენციურად ურჩი გადამხდელის გამოაშკარავების მეცნიერული, არაპოლიტიკური საშუალებაა, რომლის გამოყენებაც ქართულ რეალობაში არ ხდებოდა. წარსულის უსიამოვნო გამოცდილებას - ფინანსური პოლიციის მხრიდან უფლებამოსილების გადამეტებასთან დაკავშირებით, ვერც განვითარების ამ ეტაპზე ვერ ავარიდეთ თავი.

შექმნილი რთული ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, რაშიც იგულისხმება რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და საერთაშორისო ფინანსური კრიზისის შედეგად წარმოქმნილი საბიუჯეტო პრობლემები, ადგილი ქონდა სახელმწიფოს გადაჭარბებულ მანიპულაციებს საგადასახადო პოლიტიკის მართვის პროცესში.

მიმდინარე დავებმა შემოსავლების სამსახურთან მნიშვნელოვანი დატვირთვა შეიძინა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც შემოსავლების სამსახურს უფლება ეძლეოდა აპელაციის პროცესის დასრულებამდე ყადაღა დაედო ბიზნესის მიმდინარე ანგარიშებისთვის, შეეჩერებინა ფულის მიმოქცევა და ამ ფორმით გამოენვია კომპანიის საქმიანობის პარალიზება.

ასევე თავი იჩინა „უფლებამოსილებით აღჭურვის პრობლემამ“, რომლის საფუძველსაც წარმოადგენდა საგადასახადო ადმინისტრირების და აპელირების პროცესში იურიდიული პრაქტიკისა და გამოცდილების ნაკლებობა. საგადასახადო ორგანოების თანამშრომლებს არ შესწევდათ უნარი მიეღოთ გადაწყვეტილებები მყისიერად და სამართლებრივად ადეკვატურად ემართათ პროცესები. შედეგად აპელაციის პროცესში ჩართული ბიზნესისთვის ეს იმას ნიშნავდა, რომ საქმის განხილვისა და გადასახადის გადამხდელისთვის შეტყობინების ვადები ხშირად არ იყო დაცული. ქონებისთვის ყა-

დალის დადება ხშირად კანონმდებლობის უხეში დარღვევის საფუძველზე ხდებოდა. იყო შემთხვევები, როდესაც ყადაღადადებული თანხა ალემატებოდა საგადასახადო ორგანოს მიერ დაკისრებულ ვალდებულებას. საგადასახადო ორგანოს მხრიდან შეცდომის აღიარების შემთხვევაშიც კი კომპანიის ანგარიშზე თანხის დაბრუნების პერიოდი მეტად განელები იყო.

საგადასახადო დავებში ჩართული საქმეების მაგალითებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ რიც შემთხვევებში ხდებოდა გადასახადის ოდენობის განსაზღვრა არა განხორციელებული დასაბეგრი საქმიანობიდან, არამედ კომპანიის ფინანსურ შესაძლებლობებზე შექმნილი წარმოდგენების საფუძველზე. ეს პრაქტიკა განსახვავდებოდა თანამედროვე ქვეყნების საგადასახადო პრაქტიკისგან, რის გამოც აღნიშნული ქმედებები დაგმობილი იქნა განვითარებული ქვეყნების მხრიდან.

შედეგი მთელი ამ პროცესებისა გახლდათ აუდიტორული რესურსების არასწორი, არაეფექტიანი და უყაირათო ხარჯვა, შესაბამისი ორგანოების მხრიდან ადმინისტრაციული მოვალეობის არასათანადოდ შესრულება, რაც ერთი მხრივ საგადასახადო სისტემის მიუკერძოებლობის და სამართლიანობის პრინციპებს მნიშვნელოვნად ხრდილს აყენებდა, მეორე მხრივ პირდაპირ ხაზს უსვამდა რეფორმის მარცხზე გარკვეული თვალსაზრისით, რადგან საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესება და კორუფციის აღმოფხვრა გახლდათ სწორედ ამ რეფორმის განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი.

გამოიკვეთა საგადასახადო ადმინისტრირების განსაკუთრებულად სუსტი რგოლები, რომლებიც საჭიროებდნენ გარკვეულ რეკონსტრუქტურულ ციკლს, მაგალითად: საგადასახადო აუდიტი, გადაამხდელთა მართვის სისტემები, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ადამიანური რესურსების მართვა, სტრუქტურისა და ორგანიზების საკითხები.

აქვე უნდა ვაღიაროთ ის ფაქტიც, რომ საგადასახადო ორგანოები ფუნქციონირების სანყის ეტაპზე იყვნენ და მათ განვითარება უნევედათ ისეთ საზოგადოებაში, რომელიც ტრადიციულად დაჩვეული იყო გადასახადებისთვის თავის არიდებას.

ჩვენი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი იყო და არის გადასახადის გადახდის სუსტი კულტურული მემკიდრეობა, გარდა ამისა პროცესების განვითარება მიმდინარეობდა კვალიფიციური განათლების ნაკლებობის ფონზე, როგორც კანონის აღმასრულებლების, ასევე გადამხდელების მხრიდან. საქართველოში გადასახადების გადახდის კულტურა დღესაც არასაკმარისად არის განვითარებული სხვა ნამყვან ქვეყნებთან შედარებით, მაშინ როდესაც უცხოელი გადასახადის გადამხდელისთვის საგადასახადო კოდექსით დაკისრებული გადასახადის გადახდა გარდაუვალი აუცილებლობაა და ბუნებრივი მოვალეობას წარმოადგენს. ქართველი გადასახადის გადამხდელის რთული

ფსიქოლოგია აიხსნება კოლონიალიზმის მრავალწლიანი შთამომავლობით. ამის ამხსნელ ერთ-ერთ ფაქტორად ასევე შეგვიძლია მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ საზოგადოება ასოცირებას ვერ ახდენს ერთმანეთთან გადასახადების და მათ გადახდის საფუძველზე მიღებული პირადი სარგებელისა.

მრავალი შეცდომის „გამამართლებელ“ არგუმენტად შეგვიძლია მოვიყვანოთ საგადასახადო კოდექსის „შავი ხვრელები“ რომლებიც მისი „ორმაგად კითხვის“ საშუალებას იძლეოდა. შესაძლებელი იყო ბევრი მუხლის სასურველი ინტერპრეტაციით გამოყენება, რაც თანამედროვე ეკონომიკურ პროცესებში მიუღებელი ქმედებაა და კანონის ფუნდამენტურ უგულველყოფას ნიშნავს.

კორუფციის, როგორც თავიდან არიდების მიზნით განვითარების სხვადასხვა ეტაპზე უგულველოფილი იქნა ეკონომიკური საქმიანობის ხელშემწყობი, ნამახალისებელი ღონისძიებების გატარება, რადგან მსგავსი შეღავათები მიიჩნეოდა კორუფციის მამოძრავებელ ერთ-ერთ მთავარ იმპულსად. თუმცა ამგვარ კომპონენტებზე უარის თქმა, ისედაც მწირი რესურსების არაგონივრული გამოყენება, მათგან ოპტიმალური სარგებლის მიღების ნაცვლად რა თქმა უნდა ვერ შეფასდება დადებითად. დამტკიცებული ფაქტია, რომ საბაზრო ძალების ურთიერთქმედების საფუძველზე ეკონომიკური რესურსები უკეთ ნაწილდება, ვიდრე ეს სახელმწიფოს ჩარევის შემთხვევაში ხდება. ისიც სიმართლეა, რომ კორუფცია ყვავის იქ სადაც მეტია ბიუროკრატია, მაგრამ ეს წინააღმდეგობები წარმატებით გადალახეს განვითარებულმა ქვეყნებმა, გაიაზრეს რა ფაქტი, რომ ნამახალისებელი ფისკალური ღონისძიებებით მიღებული პოტენციური სარგებელი ალემატება მათი გამოყენებით გამოწვეულ პოტენციურ რისკებს. რის საფუძველზეც შეძლეს და გამოიხსნეს აღნიშნული სარგებლის გამოყენების ნაკლებ სარისკო გზები.

ყოველივე ამას თან ახლდა დადებითი ეფექტებიც - საქართველოში მიმდინარე რეფორმები შეუმჩნეველი არ დარჩენილა მსოფლიოსთვის:

- The Heritage Foundation-ის მიერ წარმოებულ „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის“ მოხსენებაში, რომელიც 2007 წელს გამოქვეყნდა და ეყრდნობოდა 2005 წლის მონაცემებს საქართველო მსოფლიო მასშტაბით 35-ე ადგილს იკავებდა;
 - პრაისვოტერჰაუსკუპერსის საგადასახადო სისტემების მსოფლიო რეიტინგის მიხედვით საქართველომ 183 ქვეყნიდან 64-ე ადგილი დაიკავა;
 - „Doing Business 2008“-ის მონაცემების მიხედვით, რაც ძირითადად გულისხმობდა ბიზნესის კეთების სიადვილეს საქართველომ მე-18 პოზიცია დაიკავა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს შორის;
 - IMF საქართველო 5 ქვეყანას შორის დაასახელა. იგულისხმებოდა ის ქვეყნები, რომლებმაც საუკეთესო საგადასახადო რეფორმა გაატარეს.
- ხშირად მსგავს რეიტინგებს სკეპტიციზმით უყუ-

რებენ, თუმცა საერთაშორისო დონეზე გარკვეული რეიტინგის ქონა და ავტორიტეტის დამკვიდრება თანამედროვე ეკონომიკური ურთიერთობების ფუნდამენტურ საფუძველს წარმოადგენს და პირდაპირ კავშირშია უცხოური ინვესტიციების მოზიდულობასთან.

საბოლოო ჯამში საქართველოს საგადასახადო ისტორიაში განხორციელებული რეფორმების მესამე ტალღამ მოიცვა პერიოდი 2004 წლიდან 2010 წლამდე. მთლიანობაში გადასახადების რაოდენობა 21-დან 6-მდე შემცირდა. მნიშვნელოვნად იკლო გადასახადების განაკვეთებმა. განვითარების ამ ეტაპზე შეგვიძლია თავისუფლად ვთქვათ, რომ საქართველოს საგადასახადო სისტემა მართალია განვითარებული ქვეყნების საგადასახადო სისტემასთან შედარებით სრულყოფილად ვერ ფუნქციონირებდა, თუმცა მეორე მხრივ წინა პერიოდთან

შედარებით წარმატება წამდვილად თვალშისაცემი იყო.

ძირითად ნაკლოვანებად ამ ეტაპზე დარჩა ის, რომ ჩვენს ქვეყანას მიღწეული პროგრესის მიუხედავ კვლავ არ გააჩნდა დიფერენცირებული, პროგრესული დაბეგვრის სტრუქტურა. სადაგადასახადო სისტემა ძირითადად ეყრდნობოდა მარტივ, უცვლელ საშემოსავლო გადასახადს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის განვითარების მიზნით რეფორმების განხორციელება ამით რა თქმა უნდა არ დასრულებულა. პროგრესირება წელი ტემპებით მიმდინარეობდა. მიუხედავად ახალი საგადასახადო კოდექსის მიღების და ძირეული ცვლილებების განხორციელებისა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების არსებობა აიძულებდათ ეკონომისტებს კვლავ ესაუბრათ კომპლექსური რეფორმების დანერგვის აუცილებლობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბახტაძე ლ., კაკულია რ., ჩიკვილაძე მ., „საგადასახადო საქმე“, თბილისი 2007;
2. მესხია ი., ბასარაია რ., საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფის საკითხები“, თბილისი 2001;
3. მიქელაშვილი მ., „გადასახადების არსი და საგადასახადო დაბეგვრის პრინციპები“ თბილისი 2017;
4. მიქელაშვილი მ., გადასახადები-თეორია და პრაქტიკა“ თბილისი 2017
5. მიქელაშვილი მ., „საგადასახადო პოლიტიკა თეორია და პრაქტიკა“ თბილისი 2013;
6. როგავა ზ., „გადასახადები,საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი“, თბილისი 2002;
7. როგავა ზ., ამილახვარი ზ., საგადასახადო სამართალი თბილისი 2017
8. „საქართველოს კონსტიტუცია“ თბილისი 2020;
9. „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“ თბილისი 2020;
10. ფუტყარაძე ს., „საქართველოს საგადასახადო სისტემა და მისი სრულყოფის პრობლემები თანამედროვე ეტაპზე“ ბათუმი 2012;
11. ჯობავა ბ., „თანამედროვე საქართველოს საგადასახადო საქმიანობის პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები“, თბილისი 2010;
12. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, „საქართველოს საგადასახადო სისტემის მიმოხილვა“ თბილისი, 2010;
13. The encyclopedia of taxation and tax policy Joseph Gordes, Robert Ebel,Jane Gravelle -the urban institute press, Washington 2007
14. <http://www.economy.ge>
15. <http://gov.ge>
16. https://mof.ge/shesrulebis_angarishi
17. <https://www.rs.ge>

სტრატეგიული წარმატების არსი და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები

*ზაირა ლუდუშაური
სტუ-ს პროფესორი*

*გუგული ყურაშვილი
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*

*საბა ბურჯალიანი
სტუ-ს დოქტორანტი*

რეზიუმე

სტატიაში - „სტრატეგიული წარმატების არსი და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები“ - განხილულია კომპანიებში სტრატეგიის, მ. შ. კონკურენტული სტრატეგიის შემუშავების პროცესი და დასაბუთებულია იმის აუცილებლობა, რომ იგი უნდა ჰქონდეს ყველა კომპანიას, და, შეიმუშავოს სპეციალისტთა გუნდმა, რომელიც შეძლებს კომპანიის შიგა და გარე გარემოს საფუძვლიან ანალიზს და კომპეტენტურ შეფასებას, შეძლებს წარმატების ფაქტორების გამოყოფას. კერძოდ, საკვანძო ფაქტორების და მინიმუმ ერთი უნიკალური ფაქტორის მიგნებას, რომელიც კომპანიის მყარი კონკურენტუნარიანობის საფუძველი გახდება. ავტორები აკეთებენ დასკვნას, რომ ნებისმიერ კომპანიაში სასურველია ასეთი უნიკალური ფაქტორი იყოს ადამიანისეული კაპიტალი, რადგან იგი ყველაზე უკეთ აკმაყოფილებს იმ ოთხ კრიტერიუმს, რომელიც წარმატების უნიკალურ ფაქტორს წაყენება. ესენია: კვლავარმოების სირთულე, გამოყენების დიდი ხანგრძლივობა, მნიშვნელოვანი უპირატესობა და ნეიტრალიზაციის შეუძლებლობა.

სტატია მთავრდება შემაჯამებელი დასკვნით.

საკვანძო სიტყვები: სტრატეგიული წარმატება; წარმატების ფაქტორები; საკვანძო ფაქტორები; უნიკალური ფაქტორები; კონკურენტუნარიანობა და მყარი კონკურენტუნარიანობა.

THE ESSENCE OF STRATEGIC SUCCESS AND ITS DETERMINANTS

Zaira Ghudushauri, Professor of GTU
Guguli Kurashvili, Professor of GTU
Saba Burjaliani, Doctoral of GTU

SUMMARY

In the article - “The Essence of Strategic Success and its Determinants” – it is discussed the strategy in companies, among them the process of developing a competitive strategy and justifying the necessity which should have every company to be developed by a team of specialists who will be able to analyze thoroughly and competently and assess the internal and external

environment of the company, being able to identify success factors. In particular, the identification of key factors and at least one unique factor that will form the basis of the company’s strong competitiveness. The authors conclude that in any company, it is desirable for such a unique factor to be a human capital, as it best meets the four criteria that will be the unique success factor. These are: difficulty of reproduction, long duration of use, significant advantage and inability to neutralize.

The article finishes with the summarizing conclusion.

Key words: Strategic success; Success factors; Key factors; Unique factors; Competitiveness and solid competitiveness.

შესავალი

მთელმა რიგმა ქართულმა კომპანიებმა, რომლებიც ყოფილ საბჭოთა ფაბრიკა-ქარხნების ბაზაზე დაფუძნდნენ (მაგალითად, „ბორჯომმინწყლები“, სს „ამალთეა“, სს „ბამბის ნართი“, სს „ელექტროძრავა“, სს „სარაჯიშვილი“, სს „ტრანსმშენი“, სს „თბილისის ჩაის საწარმო ფაბრიკა“, სს „უქსოვადი ქსოვილები“ და მრავალი სხვა) მემკვიდრეობით მიიღეს მიმდინარე გეგმების შემუშავების პრაქტიკული გამოცდილება, მაგრამ არ იციან სტრატეგიული პოლიტიკის შემუშავება, რადგან, საბჭოთა დროს სტრატეგიული გეგმები არა კომპანიების, არამედ, მხოლოდ დარგების და მთლიანად ქვეყნის მასშტაბით მუშავდებოდა. უჭირთ ეფექტური სტრატეგიების შემუშავება საბაზრო ეკონომიკაზე საქართველოს გადასვლის შემდეგ ახლად წარმოქმნილ კომპანიებსაც, განსაკუთრებით იმათ, რომელთა თავკაცებს (გენერალური მენეჯერები გვყავს მხედველობაში) სტრატეგიულ მენეჯმენტში არც საქართველოში და მით უფრო, არც საზღვარგარეთ, განათლება არ მიუღიათ. თუმცა, ხშირად ეს განათლებაც არ არის საკმარისი. კომპანიისთვის წარმატებული სტრატეგიული პოლიტიკის შემუშავება მისი თავკაცისგან უნიკალურ გონებას, მასშტაბურ აზროვნებას და მომავლის უტყუარ ალღოს მოითხოვს. ასეთი ადამიანები, რომელთაც იდეალური ადამიანები შეიძლება ვუნოდოთ, არათუ საქართველოში, არამედ, მთელს დედამიწაზეც ცოტაა. მაგრამ, არის, ნამდვი-

ლად არის სხვა რესურსი, რომელიც ყველა კომპანიამ უნდა გამოიყენოს. ამის შესახებ ნაშრომში ქვევით მოგახსენებთ.

ძირითადი ტიპსტი

იდეალური ადამიანების სიმცირის გამო, იდეალური კომპანიები ნაკლებად არსებობენ, მაგრამ „არსებობენ ეფექტური კომპანიები, რომლებიც იზრდებიან და ვითარდებიან... მათში ამას უზრუნველყოფს სტრატეგიული მართვის კულტურა [თანამედროვე ორგანიზაციების მართვა, სინერჯი ჯგუფის კრებული, 2012:56]. სტრატეგიული მართვის კულტურა ეს არის კომპანიის გრძელვადიანი საქმიანობის ხედვის, მიზნების დასახვის და ამოცანების დასახვის წესი. თუ ეს კულტურა ეფუძნება არა მხოლოდ საკუთრივ კომპანიის, არამედ, მისი კონკურენტ კომპანიების ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობების და მოსალოდნელი საფრთხეების ანალიზს და ობიექტურ შეფასებას, მაშინ, კომპანია სწორად დაინახავს ხვალისდელ დღეს და სწორ სტრატეგიასაც შეადგენს. ის კომპანიები, რომლებიც ყველაზე უკეთ შეძლებენ მომავლის დანახვას და ამ მომავალში სწორად აირჩევენ საკუთარი განვითარების გზას, მუდმივად კონკურენტებთან შედარებით წინ იქნებიან.

ასე რომ, იშვიათად, მაგრამ შეიძლება არსებობდეს კომპანია, რომელიც წარმატებულია გენიალურად ინტუიციური მენეჯერის წყალობით (მაგალითად, ვილ დიურანი - კომპანია „ჯენერალ მოტორსის“ ჩამომყალიბებელი), მაგრამ, უმრავლესობა ასე ილბლიანი არ არის. „ყველა დანარჩენმა უნდა იხეიროს ისეთი სტრატეგიული მენეჯმენტით, რომელიც ანალიზს და მის სწორ შეფასებას ეფუძნება“ [ფრედ დევიდი, ფორესტ დევიდი, 2017:44]. სტრატეგიული მართვის ეს კულტურა უნდა იყოს ყველა ორგანიზაციაში, ხოლო თუ არ არის, აუცილებლად უნდა შეიქმნას.

ტერმინი სტრატეგია ბერძნული წარმოშობისაა („Strategus“) და ხელმძღვანელობას ნიშნავს. თავდაპირველად იგი სამხედრო საქმეში გავრცელდა. კარგ სტრატეგებს უწოდებენ მათ, ვინც კარგად გეგმავდა ბრძოლას. ასეთები იყვნენ ალექსანდრე მაკედონელი, ჰანიბალი და სხვები. ბიზნესის მართვაში გადმოსული ეს ტერმინი კარგ სტრატეგ-მენეჯერს უწოდებს მას, ვინც „არსებული შესაძლებლობებიდან უნიკალურ და ღირებულ პოზიციას ირჩევს, რომელიც სრულად განსხვავდება კონკურენტების შესაძლებლობებიდან“ [Porter, 1996].

თანამედროვე გაზრდილ კონკურენციის პირობებში, რომელიც ქვეყნების საზღვრების გახსნამ და გლობალიზაციამ გამოიწვია, კომპანიების გადარჩენა, ხშირ შემთხვევაში, სწორედ სტრატეგიის შერჩევაზე დამოკიდებულია. სტრატეგია შეიძლება იყოს ბევრი, მაგრამ მათ შორის ერთი არის ყველაზე სწორი. კარგად გააზრებული სტრატეგიული ხედვა ამზადებს კომპანიას მომავლისთვის, უმოკლეს ვა-

დაში ადგენს განვითარების სწორ მიმართულებას და განსაზღვრავს კომპანიის განზრახვას - დაიკავოს ბაზარზე კონკურენტუნარიანი პოზიცია [ხარხელი, ქველაშვილი, 2017:301].

სტრატეგიის შემუშავება არის კომპანიის მენეჯმენტის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია. სტრატეგიის გარეშე მენეჯერს არ გააჩნია დეტალურად გათვლილი სამოქმედო გეგმა, გზამკვლევი ბიზნესის სამყაროში და ერთიანი პროგრამა სასურველი შედეგების მისაღწევად [ტომპსონი, სტრიკლენდი, 2010:26]. სტრატეგიის არმქონე კომპანიას მეცნიერები ადარებენ უკომპასო გემს, რომელიც მოძრაობს კონკრეტული მიმართულების გარეშე. ამ აზრის ვართ ჩვენც, და, მიგვაჩნია, რომ სტრატეგა აუცილებლად უნდა ჰქონდეთ ორგანიზაციებს, ქვედარგებს, დარგებს და, ცხადია, თვით სახელმწიფოსაც. დასანანია, მაგრამ პრაქტიკულად საქართველოს კომპანიების უდიდეს ნაწილს და აგრეთვე, ზოგიერთ დარგს და ქვედარგს განვითარების სტრატეგიები არა აქვთ შემუშავებული. კომპანიებს შორის ამ მდგომარეობაში უფრო მეტად მცირე და საშუალო საწარმოები არიან. მათ ამ საქმეში მეთოდური დახმარება სჭირდებათ. ეს სახელმწიფომ უნდა გააკეთოს სათანადო კვალიფიკაციის მქონე ადამიანებით დაკომპლექტებული სასწავლო-საკონსულტაციო ცენტრების გახსნით, რომლებიც თუ უფასო არაა, შეღავათიანი ფასებით მოემსახურებიან მათ ამ პრობლემის გადაჭრაში.

რადგან კომპანიებს შორის მსოფლიო კონკურენცია წარმოიშვა და, თანაც, თანდათან გამძაფრდა, მათთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა სტრატეგიის იმ კომპონენტს ეძლევა, რომელსაც კონკურენციის სტრატეგია ეწოდება. კონკურენციის სტრატეგია და ბიზნესსტრატეგია ერთი და იგივე არ არის. კონკურენციის სტრატეგია გულისხმობს მხოლოდ კონკურენციის მეთოდებს, გზებს და ხერხებს. ამ საშუალებების დახვეწა, ორიგინალური და არასტანდარტული წინადადებების მოფიქრება, რომელთაც ყველაზე მეტი ეფექტი შეიძლება ჰქონდეთ კონკურენციაში კომპანიის გამარჯვების საწინდარი [თანამედროვე ორგანიზაციების მართვა, სინერჯი ჯგუფის კრებული, 2012:6].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონკურენციის სტრატეგიის შემუშავებამდე გუნდი, რომელმაც თავის თავზე აიღო ამ სტრატეგიის შემუშავება, ჯერ იწყებს კომპანიის გარე გარემოს საფუძვლიან ანალიზს და შემდეგ, შიგა გარემოს ანალიზს. გარე გარემოს ანალიზისას კომპანია ძირითადად ფოკუსირებული უნდა იყოს კონკურენტების ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობების და საფრთხეების გამოვლენაზე (SWOT - ანალიზი). ამის შემდეგ მან იგივე უნდა გააკეთოს საკუთარი თავის მიმართ და საკუთარი მაჩვენებლები შეუდაროს კონკურენტების შესაბამის მაჩვენებლებს: არსებობს სუნ ძის წიგნი - „ომის ხელოვნება“, რომელშიც იგი წერს: „თუ იცნობ შენს მტერს და იცნობ საკუთარ თავს, ას ბრძო-

ლაშიც ვერ გაიმარჯვებენ შენზე. როცა შენ არაფრად აგდებ მტერს, მაგრამ იცნობ საკუთარ თავს, გამარჯვების და დამარცხების შანსები თანაბრად გაქვს. თუკი არცერთს იცნობ, არც მტერს და არც საკუთარ თავს, დარწმუნებული იყავი ყოველ ბრძოლას ნააგებ [Sun Tzu, 1961]. სუნ ძის მიერ შემოთავაზებული ეს სამხედრო რჩევა წარმატებით შეიძლება გამოყენებული იყოს ბიზნესთან დაკავშირებული კონკურენციული სტრატეგიების ჩამოყალიბებისას. კომპანიის შიგნით და აგრეთვე, კომპანიის კონკურენტებთან SWOT - ანალიზის ჩატარება, ფაქტიურად არის სუნ ძის ამ სამხედრო რჩევის მიღება და გამოყენება ბიზნესში. მისი მეშვეობით კომპანია შეძლებს უზრუნველყოს ბაზარზე მყარი, საიმედო პოზიცია, რომელიც იქნება კონკურენტულ ბრძოლაში წარმატების გარანტი.

SWOT - ანალიზის ეტაპზე კომპანია კონკურენტებთან მიმართებაში შეაფასებს ორივე მხარის კონკურენტულ ძალებს, განსაზღვრავს წარმატების ძირითად ფაქტორებს და ქულობრივად შეაფასებს მათ. შეფასება ხდება 10 ბალიანი შკალით (შეფასება 1 - ძალიან ცუდი, შეფასება 10 - ძალიან კარგი). მეცნიერები გვანოძებენ წარმატების იმ ფაქტორების ძირითად ჩამონათვალს, რომლებიც კონკურენტული ძალების შეფასებისას გამოიყენება. ესენია: საქონლის ხარისხი, რეპუტაცია (იმიჯი), სანარმოს შესაძლებლობები, ტექნოლოგიური სიახლე, გასაღების ქსელი, მარკეტინგი (რეკლამა), ფინანსური მდგომარეობა, დანახარჯების სიდიდე კონკურენტებთან მიმართებაში და კლიენტთა მომსახურება [ტომპსონი, სტრიკლენდი, 2010:208].

ჩვენდა გასაკვირად, ამ ჩამონათვალში არ არის მოხვედრილი პერსონალის პროფესიონალიზმი. ჩვენი აზრით, და ეს არა მხოლოდ ჩვენი აზრია, პერსონალის მაღალი პროფესიონალიზმი, რომელიც ცოდნითაა შექმნილი, ნებისმიერი კომპანიისთვის კონკურენციაში გამარჯვების არათუ რიგითი, არამედ, პირველი რიგის ფაქტორი უნდა იყოს. ქართველი მეცნიერი ნ. პაიჭაძე წერს: „ნამყვანი კომპანიების საქმიანობის ანალიზი ადასტურებს, რომ მათ წარმატებულ ეკონომიკურ საქმიანობას მნიშვნელოვანწილად სწორედ ადამიანური რესურსები გასწავლავს [პაიჭაძე, 2009:19]. დასახელებული მეცნიერი ადამიანურ რესურსებში, ცხადია, კომპანიებში დასაქმებული პერსონალის ადამიანურ პოტენციალს, ანუ მათ ცოდნას, პროფესიონალიზმს, ოსტატობას შრომაში, კრეატიულობას და შემოქმედებითობას გულისხმობს. მართლაც, მეცნიერების - ტომპსონის და სტრიკლენდის მიერ ჩამოთვლილ ზემოთდასახელებულ ფაქტორები, იქნება ის პროდუქციის ხარისხი, ახალი ტექნოლოგია, კლიენტთა მომსახურება თუ სხვა, კომპანიებში დასაქმებული პერსონალის შრომით იქმნება. და, რაც მაღალი ამ შრომის ინტელექტუალური მხარე, ანუ მისი კრეატიულობა, მით მაღალია კომპანიის ეს მახასიათებლები კონკურენტებთან შედარებით.

დღევანდელი მწვავე კონკურენციის პირობებში წარმატება განათლებული, მცოდნე ადამიანების გარეშე შეუძლებელია. დამსაქმებლისთვის ყველაზე ფასეული ის ადამიანია, - წერს მეცნიერი გ. ჯოლია, - რომელიც ერთმანეთთან კარგად ახამებს კრეატიულობას, მოქნილობას, კომუნიკაციას, ცოდნას და წარმოშობილ პრობლემებს ოპერატიულად წყვეტს“ [ჯოლია, 2016:19]. და იქვე: „ცოდნა ხდება წარმოების ძირითადი პირობა... მუშაკთა შემოქმედებითი პოტენციალი ეკონომიკური ეფექტიანობის მთავარი ფაქტორი ხდება“ [ჯოლია, 2016:164, 165].

მსგავსი შეხედულებები აქვთ მეცნიერთა უმრავლესობას. სხვადასხვა მეცნიერების ნაშრომებიდან მოტანილი ეს ამონარიდები გვიმტკიცებს იმის რწმენას, რომ კომპანიის წარმატების ფაქტორებში რიგითაც და წონადობითაც პირველი ადგილი ადამიანურ კაპიტალს, ანუ პერსონალის ცოდნასა და პროფესიონალიზმს უნდა ეკავოს.

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად და ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად არ არის აუცილებელი კომპანია 10-15 წარმატების ფაქტორით სჯობდეს კონკურენტებს. ამისთვის საკმარისია 3-4 ფაქტორიც კი, მაგრამ ეს ფაქტორები უნდა იყოს საკვანძო ფაქტორები, ანუ ღირებულო, არაორდინალური ფაქტორები.

წარმატების საკვანძო ფაქტორები ეს ის ფაქტორებია, რომლებსაც კომპანიებმა უნდა დაუთმონ განსაკუთრებული ყურადღება, რადგანაც, სწორედ ისინი განსაზღვრავენ კომპანიის წარმატებას ბაზარზე, მის კონკურენტულ შესაძლებლობებს [ტომპსონი, სტრიკლენდი, 2010:161]. წარმატების საკვანძო ფაქტორები სხვადასხვა დარგში სხვადასხვანაირია.

ზოგიერთი მეცნიერი, მაგალითად, ჩემავერი [Chemaver, 1991:11] ეჭვს ქვეშ აყენებს კომპანიის სტრატეგიის შემუშავებისთვის წარმატების საკვანძო ფაქტორების მნიშვნელობას, მაგრამ იმ მეცნიერთა რიცხვი, ვინც მხარს უჭერს ამ თეორიას, უფრო მეტია [სტრიკლენდი, ტომპსონი, დევიდი და სხვები]. ჩვენი აზრითაც, სტრატეგიის შემუშავებისას პასუხისმგებელი პირი არ უნდა გაიფანტოს მრავალრიცხოვან ფაქტორებში, მან უნდა გამოყოს 3-4 ყველაზე მნიშვნელოვანი და სტრატეგიის შემუშავების პროცესში მათ დაუთმოს ყურადღება. ეს არის ყველაზე მართებული მიდგომა, რომელსაც კომპანიები მიჰყავს წარმატებამდე.

წარმატების საკვანძო ფაქტორები ბაზარზე კომპანიის კონკურენტუნარიანობას უზრუნველყოფენ, მაგრამ კონკურენტუნარიანობა რომ რამდენადმე მნიშვნელოვანი ხნით მყარი იყოს, წარმატების ამ საკვანძო ფაქტორებიდან სულ მცირე ერთი მაინც უნდა იყოს უნიკალური. ეს უნიკალური ფაქტორი შეიძლება იყოს კონკურენტებთან შედარებით სრულიად განსხვავებული კომპეტენცია - საუკეთესო ხარისხის პროდუქცია, უახლესი ტექნოლოგია, ან გაყიდვების უკეთ ორგანიზება და ა. შ. სწორედ ეს

ფაქტორი, ეს კომპეტენცია უზრუნველყოფს კომპანიის კონკურენტუნარიანობას ხანგრძლივად და ამიტომ ეწოდება მას უნიკალურად მთავარი რესურსი [Burchall, Tovstiga, 1999:1-16]. ამ უნიკალურმა ფაქტორმა კონკურენტების სანიანალმდეგოდ დიდხანს რომ იმუშაოს, იგი უნდა აკმაყოფილებდეს 4 კრიტერიუმს: რთული იყოს საკვლავწარმოებლად, ჰქონდეს მოხმარების მეტი ხანგრძლივობა, იყოს მნიშვნელოვნად უპირატესი და მისი ნეიტრალიზება იყოს რთული [ტომპსონი, სტრიკლენდი, 2010:182].

წარმატების ეს საკვანძო ფაქტორები, მით უფრო უნიკალური ფაქტორები, რომელსაც მეცნიერები უნიკალურ კომპეტენციასაც უწოდებენ, უნდა ჩავთვალოთ კომპანიის პირველი კლასის კონკურენტულ რესურსებად და ვურჩიოთ საქართველოს კომპანიებს გამოავლინონ და ისინი გახადოს სტრატეგიის შემუშავების საფუძველი.

ჩვენ ვეთანხმებით მეცნიერ გ. ჯოლიას, რომ „ჩვენნაირი მცირე ფართობის და მოსახლეობის, ასევე, გლობალურ დონეზე შედარებით მწირი ბუნებრივი რესურსების მქონე ქვეყნისთვის ჰიპერკონკურენტულ ბრძოლაში გადარჩენისა და განვითარების რეალური შანსია მაღალინტელექტუალური ადამიანური კაპიტალის მოძიება, ხელშეწყობა და ეფექტური განვითარება“ [ჯოლია, 2016:19-20]. მეცნიერი ამ შეთავაზებას აძლევს მთლიანად საქართველოს და ასკვნის „გამოსავალი მხოლოდ ერთია - ქვეყნის განვითარების მთავარ ფაქტორად ეროვნული ადამიანური პოტენციალის გადაქცევა“ [ჯოლია, 2016:2].

ქართველი მეცნიერი გ. ჯოლიას ეს შეთავაზება ჩვენ იმავდროულად მიგვაჩნია შეთავაზებად საქართველოს კომპანიებისთვის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ყველა დარგის თუ ქვედარგის კომპანიებმა, თუ აქვთ წინ წამოსწიონ, ხოლო თუ არა აქვთ, შექმნან საკუთარ პერსონალის განვითარებით ისეთი ადამიანური კაპიტალი, რომელიც ბაზარზე მათი წარმატების არამხოლოდ საკვანძო, არამედ, უნიკალური ფაქტორი იქნება.

დასკვნა

ამრიგად, ზოგიერთი უცხოელი და ქართველი მეცნიერების შეხედულებების გაზიარებით და პირადად, ჩვენი ინდივიდუალური დაკვირვებით, ვაკეთებთ დასკვას იმისა შესახებ, რომ კომპანიაში კარგი სტრატეგიის დასაწერად მასზე იმუშაოს სპეციალისტთა ისეთმა გუნდმა, რომელიც შეძლებს შიგა და გარე გარემოს საფუძვლიან ანალიზს და

კომპეტენტურ შეფასებას, გამოყოფს წარმატების ფაქტორებს, მათ შორის, საკვანძო ფაქტორებს და რაც მთავარია, მიაგნებს იმ უნიკალურ ფაქტორს (კომპეტენციას), რომელმაც მოცემული კომპანია უნდა უზრუნველყოს მყარი კონკურენტუნარიანობით ბაზარზე. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ნებისმიერმა კომპანიამ სანარმოო სფეროში ფუნქციონირებს იგი თუ მომსახურების სფეროში, უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მისი წარმატების უნიკალური ფაქტორი იყოს ადამიანისეული კაპიტალი. ამას ვასაბუთებთ იმით, რომ ეს ფაქტორი, ანუ კომპანიის ეს კომპეტენცია, ყველა სხვა ფაქტორზე მეტად პასუხობს იმ ოთხ კრიტერიუმს, რომლებიც ჩვენ ზემოთ ჩამოვთვალეთ და რომლებიც უნიკალურ ფაქტორს უნდა ჰქონდეს. იგი ძნელად იკვლავწარმოება, აქვს მოხმარების დიდი ხანგრძლივობა (ცოდნა ადამიანში გროვდება და გამოყენებისას იგი არ იხარჯება), აქვს მნიშვნელოვანი უპირატესობა და მისი ნეიტრალიზება არის შეუძლებელი (ადამიანს ცოდნას ვერც წაართმევ და ვერც გაუნადგურებ).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თანამედროვე ორგანიზაციების მართვა, სინერჯი ჯგუფის კრებული, თბ., 2012.
2. ფრედ რ. დევიდი, ფორესტერ რ. დევიდი, სტრატეგიული მენეჯმენტი, ცნებები და ვითარებები, 2017.
3. Porter, Michael, What Is Strategy? Harvard Business Review 74, no. 6 (November-December, 1996).
4. მანანა ხარხელი, გიული ქეშელაშვილი, მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2013.
5. ტომპსონი, ა. სტრიკლენდი, სტრატეგიული მენეჯმენტი, კონცეფციები და ბიზნესსიტუაციები, თბ., 2010.
6. Sun Tzu, The Art of War, 1961.
7. პაიჭაძე ნ. ადამიანური რესურსების მართვა, თბ., 2009.
8. ჯოლია გ. კრეატული განვითარება: განათლება, ცოდნა, მოქმედება, მონოგრაფია, თბ., 2016.
9. Chemawar Pamkaj Comitment: The Dynamic of Strategy (New-York, Free Press, 1991).
10. David W. Burchar and George Tovstiga, The Strategic Potential of a firm's Knowledge Portfolio, Journal of General Management 25. no. 1 (August, 1999), pp. 1-16.

ეკონომიკის სექტორების განვითარების თანამედროვე პრობლემები

ქართული სათავადაზნაურო ბანკის მართვის სისტემა და თანამედროვე საბანკო პოლიტიკა

შალვა კუტუბიძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
სამინისტროს საფინანსო-საბიუჯეტო სამმართველოს
უფროსის მოადგილე

თანამედროვე ეტაპზე საბანკო სფერო ერთ-ერთი წარმატებული და განვითარებული ბიზნესია. მის ეფექტურ ფუნქციონირებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის ბიზნესის განვითარება და შესაბამისად მოსახლეობის კეთილდღეობა. საქართველოში, ბოლო წლებში, საბანკო სექტორი ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სფეროა. თუმცა არაა დაზღვეული ხარვეზებისაგან.

ქართული სათავადაზნაურო ბანკის ჩამოყალიბება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მისი დანიშნულება, მართვის სტილი და მიზნები დღესაც აქტუალურია საბანკო სისტემისათვის, რამდენადაც ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში საბანკო სექტორი მხარში უდგას ბიზნესს და არ იბრძვის მისი ხელში ჩასაგდებად. სამწუხაროდ, დღესდღეობით ეს პრობლემა ძალზე მწვავედ დგას საქართველოში, რაც გარკვეულწილად გვიკარნახებს ამ საკითხების კვლევას და წარსულისა და თანამედროვეს შეჯერების მიზანშეწონილობას.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ძალზე პრობლემური გახდა მიწების ყიდვა-გაყიდვა. ხშირ შემთხვევაში ამ დროს მყიდველებად გამოდიოდნენ არაქართველები. ამ კუთხით ქართული მიწების შენარჩუნებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა სათავადაზნაურო ბანკმა, რომელიც 1875 წელს დაარსდა დიდი ქართველი მამულიშვილის ილია ჭავჭავაძის თაოსნობით. საგლეხო რეფორმის შემდეგ მთელი აქტიულობით დადგა ისეთი საფინანსო ინსტიტუტის არსებობა, რომელიც იქნებოდა ეროვნული ინტერესების გამტარებელი. სწორედ ამ როლსა და დანიშნულებას ასრულებდა სათავადაზნაურო ბანკი.

ილია ჭავჭავაძემ, ბანკის დამფუძნებელ ქართველ თავადაზნაურობას მიაღებინა ისეთი წესდება, რომლის მიხედვითაც ბანკებს ენიჭებოდა სრულიად საზოგადოებრივი ხასიათი და ყოველწლიური მოგების 35-40 პროცენტი (ქუთაისის ბანკში 50 პროცენტიც კი) ხმარდებოდა მაშინდელი საქართველოს სამეურნეო ინფრასტრუქტურის, განათლებისა და კულტურის ძეგლების დაცვა-აღორძინებას. შეიძლება ითქვას, რომ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, არ დარჩენილა საზოგადოებრივი

ცხოვრების ისეთი სფერო, სადაც სათავადაზნაურო ბანკს პოზიტიური როლი არ შეესრულებინა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სათავადაზნაურო ბანკის მიზნებისა და დანიშნულების შესახებ თავიდანვე გამოიკვეთა ორი ურთიერთსაინანაღმდეგო მიმართულება, ივანე მაჩაბლისეული, რომელსაც აგრეთვე ემზრობოდნენ დ. ყიფიანი, ნ. ნიკოლაძე, გ. თაქთაქიშვილი და ილია ჭავჭავაძისეული. ამასთან დაკავშირებით გ. ლასხიშვილი წერდა: „მე კარგად ვიცნობდი ორივე მეზრძოლ მხარეს, როგორც ლიდერებს, ისე მთავარ წარმომადგენლებს. ორი წლის განმავლობაში ყურადღებით ვუსმენდი მხარეთა ორატორებს, ვკითხულობდი მათ მოხსენებებს, ვებაასებოდი ლიდერებს“¹.

აღსანიშნავია ის მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რასაც სათავადაზნაურო ბანკი ახორციელებდა, კერძოდ: საერთო საგანმანათლებლო სკოლისა და ტექნიკური სასწავლებლის დაარსება; კვლევითი სამუშაოების დაფინანსება და სოფლის მეურნეობისათვის კადრების მომზადება; თბილისის უნივერსიტეტისათვის შენობის აგება; წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის რეგულარული დახმარების განხორციელება; ნიჭიერი ახალგაზრდებისათვის სტიპენდიების დანიშვნა; კახეთის რკინიგზისა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობაში მონაწილეობა. სარწყავი სისტემების მოწყობა; ქოლერის საინანაღმდეგო ღონისძიებების გატარება და სხვ. გარდა ამისა სათავადაზნაურო ბანკის შეხვედრები მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართველი მოსახლეობის შეკავშირების საქმეში. ფაქტია, რომ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში არ არსებობდა რაიმე სახის წარმომადგენლობითი ორგანო სათათბიროს ან პარლამენტის სახით, სადაც შეიძლებოდა კაცს გამოეთქვა თავისი გულისტკივილი ქვეყნის პრობლემებზე და ემსჯელა ერის მომავალზე. ამ თვალსაზრისით სათავადაზნაურო ბანკი იქცა ერის შემაკავშირებელ ადგილად, სადაც იკრიბებოდნენ საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, თავისუფლად მსჯელობდნენ ქვეყნის ეკონომიკურ პრობლემებზე და ერთად ეძიებდნენ პრობლემების

1 ლასხიშვილი გ., მემუარები, 1934წ. გვ. 44

გადანყვეტის გზებსა და საშუალებებს. ბანკი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ახლადფეხადგმული საბაზრო ურთიერთობებისათვის მონინავე ინტელიგენციის მომზადებაში.

საინტერესოა ბანკის კაპიტალის სტრუქტურა და მისი წარმოშობის წყაროები, კერძოდ, იგი შედგებოდა: ძირითადი, სათადარიგო, საერთო სარგებლობის და ექსტრაორდინალური კაპიტალისაგან.

ძირითადი კაპიტალი თავადაზნაურობამ გაიღო იმ ფულისაგან, რომელიც მათ მიიღეს მთავრობისაგან ყმების გათავისუფლებისათვის, ნაბოძები 160000 მანეთისაგან, რომელსაც ყოველწლიურად ემატებოდა მოგების 10%. რაც შეეხება გრძელვადიან სესხს, იგი წარმოიქმნა თავადაზნაურობის შენატანებისაგან და ყოველწლიურად იზრდებოდა მოგების 10%-ის მიმატებით.

სათადარიგო კაპიტალი წარმოიქმნა თავადაზნაურობის იმ შენატანებისაგან, რომელთაც ყმებისთვის ფული არ მიუღიათ და მოგების ანარიცხებიდან. სათადარიგო კაპიტალში ყოველწლიურად ირიცხებოდა მოგების 10%. ბანკის წესდების თანახმად, სათადარიგო კაპიტალი, ინახებოდა სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილებაში ან ფასიანი ქალაქების სახით.

საერთო სარგებლობის კაპიტალი წარმოიქმნებოდა ბანკის ყოველწლიური მოგების 45%-ის, ხოლო 1881 წლიდან 35%-ის ოდენობით. ამ კაპიტალის მიზანი იყო თბილისის გუბერნიის მინათმფლობელთა და მინათმოქმედთა საერთო საჭიროებების დაკმაყოფილება. საერთო სარგებლობის კაპიტალის განაწილებაში მონაწილეობდა საზედამხედველი კომიტეტი, რასაც საერთო კრება ამტკიცებდა..

ექსტრაორდინალური კაპიტალი ბანკის ყოველწლიური მოგების 5%-იანი ანარიცხებიდან წარმოიქმნებოდა და განკუთვნილი იყო ბანკის დამაარსებელი გაჭირვებული წევრებისათვის დასახმარებლად, აგრეთვე ცალკეულ უბედურ შემთხვევებში ფულადი დახმარების აღმოსაჩენად. მასაც საზედამხედველო კომიტეტი განკარგავდა პოლიციის ან სამაზრო წინამძღოლების მიერ გაცემული მოწმობის საფუძველზე.

თავისებურებებით ხაქსიათდებოდა ბანკის მაშინდელი მმართველობა. საადგილმამულო ბანკის მენეჯმენტს საერთო კრებიდან კრებამდე ახორციელებდა გამგეობა, რომელშიც თავიდან შედიოდა თავმჯდომარე და ორი დირექტორი, ხოლო შემდგომ თავმჯდომარე და სამი დირექტორი. გამგეობის წევრები ურთიერთშორის ინაწილებდნენ მოვალეობებს, მაგალითად, გამგეობის ერთ-ერთი წევრი იმავე დროს ასრულებდა მოლარის მოვალეობას. ზოგადად გამგეობა ხელმძღვანელობდა სამმართველო ხარჯების ეკონომიურობის პრინციპით. გამგეობასთან არსებობდა კომისია ხუთი წევრის შემადგენლობით, რომლებსაც წევრი დამფუძნებლებიდან ირჩევდა საერთო კრება. მათი მოვალეობა იყო შეეფასებინათ დაგირავებული მამულები. რაც

მთავარია ეს შემფასებლები გამგეობისაგან დამოუკიდებელი იყვნენ, თუმცა ხშირად ისინი გადამეტებულად აფასებდნენ დასაგირავებელ მამულს, რაც ბანკის ზარალს იწვევდა.

80-იანი წლების დასაწყისში ბანკის საქმეთა მართვაში დადგა წარმომადგენლობითი საწყისების შეტანის საკითხი, როდესაც მასში გადამწყვეტი ხმის უფლებით 1200-ზე მეტი კაცი მონაწილეობდა და მართვა არაეფექტური ხდებოდა. ამის გამო გამგეობამ დროულად სცნო წარმომადგენლობითი კრებების მონონების საჭიროება და თავის მოვალეობად ჩათვალა ეზრუნა წესდების სათანადო პარაგრაფების შეცვლისათვის პროექტის შედგენაზე.

სათავადაზნაურო ბანკში მძაფრი კამათი მიმდინარეობდა საბანკო კრედიტის დაბრუნებადობასთან დაკავშირებით. კრედიტის დაბრუნება მაშინაც პრობლემური იყო სხვადასხვა მიზეზთა გამო. დ. ყიფიანი, ნ. ნიკოლაძე, გ. თაქთაქიშვილი, ი. მაჩაბელი მხარს უჭერდნენ მამულების გაუყიდაობას სესხის დაუბრუნებლობის შემთხვევაშიც კი, მიანდათ, რომ მამულები უნდა გადასულიყო ბანკის გამგებლობაში და როცა მსესხებელი დაბრუნებდა კრედიტს, ისევე გადასცემოდა მსესხებელს. ერთი შეხედვით, ეს პოზიცია კეთილშობილური იყო მსესხებელთა მხარდასაჭერად, მაგრამ მიუღებელი იყო საბანკო საქმიანობის ფინანსური მდგრადობის შენარჩუნების თვალსაზრისით.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ზოგადად იმაზეც იყო დავა, ბანკი მოკლევადიან სესხებს უნდა გასცემდეს თუ გრძელვადიანს ადგილ-მამულების შესანარჩუნებლად ანუ სავაჭრო-სამრეწველო მიმართულების უნდა ყოფილიყო თუ საადგილმამულო? მაგალითად, ნ. ნიკოლაძე წერილში „ქუთაისის ბანკის საქმე“, ბანკის დანიშნულებას და მიზანს შემდეგნაირად განმარტავს: „ბანკის დაარსების უმთავრესი მიზანი და საფუძველი, როგორც ყველა გონიერმა პირმა იცის ჩვენში ის იყო, რომ თუ ჩვენ არ გვექნება ჩვენი საკუთარი ბანკი, ჩვენთვის და ჩვენს მიერ დაარსებული, მთელი ჩვენი მამულები ხელიდან წაგვივა და სხვას დარჩება. ამ უმთავრეს მიზანს აბია მეორე, აგრეთვე მძიმე და საჭირო მიზანი: ბანკის შემოსავალი უნდა მოხმარდეს ჩვენი საზოგადოების საჭიროებას, მისი შვილების აღზრდას, განათლებას, მდგომარეობის გაუმჯობესებას და სხვა. მეორე წერილში „ბანკის საქმე ჩვენში“ აღნიშნავს, რომ ჩვენ გვესაჭიროება არა სამრეწველო და სავაჭრო ბანკი, არამედ ადგილ-მამულის კრედიტი“, „ადვილად მისახვდომია, რომ იმისთანა ქვეყანაში, სადაც დიდი ვაჭრობა, წარმოება, ალებ-მიცემა არის, ფულიც ძლიერ ხშირად და მალ-მალე გადადის ერთი ხელიდან მეორეში, და ბანკშიაც ხშირად შედის და გამოდის.

მაგრამ ყველა კაცი ვაჭარი და ალებ-მიცემი ხომ არ არის, ყველას იმისთანა საქმეები ხომ არ აქვს, რომელსაც დღეს ათასი თუმნებით შემოუ-

დის ფული და ხვალ ორი ამოდენა ეხარჯება და სჭირდება. არიან ისეთი პირები, რომელთაც ფული ბლომად აქვთ და ფული სულაც არ სჭირიათ, არიან იმისთანებიც, რომელთაც ფული ნიადაგ სჭირიათ და არასოდეს კი არ აქვთ, არიან ადგილ-მამულის მეპატრონეები, რომელთაც ფული სჭირიათ ქარხნის გასაშენებლად, ან სახლის დასადგამად. იმათ აქვთ გვარიანი ადგილ-მამული, რომელსაც გვარიანად შემოაქვს პური, ან ღვინო, ან სხვა მოსავალი, მაგრამ ფულათ ფული კი არა აქვთ; აი, ამისთანა პირების სასარგებლოდ მოგონილია სულ სხვანაირი დანესებულება, რომელიც თითქმის სრულიადაც არ ჩამოგავს ზემო აღწერილ ბანკს, და რომელსაც საზოგადოთ „ადგილ-მამულის კრედიტს“ ეძახიან. მაშასადამე ჩვენ გვჭირდება მხოლოდ ხანგრძლივი კრედიტი, რომელმაც გრძელვადიანი სესხით უნდა ჩაუდგას სული ჩვენი ადგილ-მამულის პატრონებს. იმათ სრულიად არ გამოადგება იმ ბანკების მაგალითი, რომელნიც მოკლევადიან სესხს არიგებენ და მცირე თანხით კმაყოფილდებიან. ახლა ჩვენ ის უნდა გამოვიკვლიოთ, თუ საიდან და როგორ უნდა იშოვოს „კლიერ ბევრი ფული“ ჩვენმა ბანკმა“. „... ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ის დანესებულება, რომელსაც ევროპაში და რუსეთში ბანკს ეძახიან, ჩვენ სრულიადაც არ გამოგვადგება. ჩვენ სჯაში ამ საქმის თაობაზე, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ბანკია ჩვენში მართო ის დანესებულება, რომელსაც ჰქვია სახელად „ადგილ-მამულის კრედიტი“.³

ნ. ნიკოლაძის მიერ შემოთავაზებული „საადგილმამულო კრედიტის“ ბანკის პრინციპები ემყარებოდა დაგირავებული მამულების გაუყიდავობას. ნ. ნიკოლაძე ფიქრობდა, ბანკის სახით აღმოჩინა გაბურჟუბულ თავადაზნაურთა მყარ საფუძველზე დგომის საშუალება, რომ მამულების მუდმივი გადაგირავებით ნაკლებად ეზრუნათ ვალის გადახდაზე და მამულებიც ხელუხლებელი დარჩენოდით. მაგრამ ასეთი ბანკის არსებობა შეუძლებელი იყო. ცხადია ეს ნ. ნიკოლაძის მცდარი შეხედულება იყო, რომელიც მოგვიანებით მან თვითონვე აღიარა. „... ორიოდ წლის შემდეგ ბანკების გამართვისა ჩვენი მამულების უმეტესი ნაწილი ბანკებს ექნება დაგირავებული. ფული ბანკის მოვალეებს დახარჯული ექნება, - ამას რალა ლაპარაკი უნდა“.⁴

ბანკის სალაროების დაცარიელების საშიშროებაში, აიძულა ნ. ნიკოლაძე ეღიარებინა ბანკსა და მსესხებელს შორის თავმდეები ყოფილიყო ბანკში დაგირავებული მამული. იგი საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თუ ფულის ამღებმა დროზე თავისი ვალი არ გადაიხადა, ან სარგებელი არ შემოიტანა, ბანკს შეეძლება მისი საწინდარი - მამულის გაყიდვა

ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებით ილია ჭავჭავაძეს გააჩნდა სრულიად განსხვავებული მიდგომები. იგი მიუთითებდა, რომ გადაუხდელი სესხის შემთხვევაში ბანკი ვალდებულია გაასხვისოს გირა-

ოში ჩადებული მამულები, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი დარჩებოდა უფულოდ, ვერ გადაწყვეტდა მის წინაშე მდგომ ამოცანებს და შეიძლება გაკოტრების საშიშროების წინაშეც აღორჩენილიყო.

ცნობილი მკვლევარი ს. ხუნდაძე მონოგრაფიაში „დიმიტრი ყიფიანი“ განიხილავს საბანკო შეხედულებებს და აღნიშნავს: „ი. ჭავჭავაძეც (ცდილობდა ბანკი თავადაზნაურობის სოფლის მეურნეობის და სანარმოო აღორძინების მთავარ ცენტრად გადაექცია. მისი გეგმით, სოფლის მეურნეობის ახალ რაციონალურ საფუძველზე მოწყობა და მისი სანარმოო იარაღების გაუმჯობესება ერთ-ერთი პირობა იყო თავადაზნაურთა გადასარჩენად“.⁵ ამის ნათელი მაგალითია ი. ჭავჭავაძის საპროგრამო სიტყვა 1875 წლის 3 თებერვლის სხდომაზე, რომელშიც ჩამოაყალიბა ბანკის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები. მან განაცხადა: „წინა დღეების გაცხარებულმა ბაასმა ცხადად გვიჩვენა ჩვენ, რომ მრავალ ჩვენგანს ბანკის დანესების საგანი არ უცვნიან, ან უცვნიან და შესაბამისი ყურადღება არ ამ თითოეულ პირთა სასარგებლოდ აშენებულა ტყუილი იმედი, რომ ვინც მშიერნი ვართ, ბანკმა უნდა გაგვადლოსო, ვინც მწყურვალნი ვართ, ბანკმა უნდა გვასვასო. და ვისაც მამულებზე კანონიერი საბუთები არ გვაქვსო, ბანკმა ისეც უნდა დაგვიჯეროსო, რომ მამულები გვაქვსო. არა ბატონებო, ჩვენი ბანკი მშიერს ვერ გააძღობს, მწყურვალს წყალს ვერ შეასმევს, და თუ არა მტკიცე საბუთი, ვერავის ვერ დაუჯერებს, რომ მამულის პატრონია. ჩვენ ბანკს რომ ეგენი ეკისროს, პირველი, რომ ქვეყანას სიგელად არ ვეყოლებოდით, მეორე, რომ მაგ კისრულს ბანკი თან გადააჰყვებოდა. ეს წუთისოფელი ისეთია, რომ ვინც თვითონ არ იბრძვის დღიურის ლუკმისათვის, იმის ბედი გადაწყვეტილია. იმას შეიძლება ერთ დღეს კაცმა კაცთმოყვარეობით უშველოს, მაგრამ მას მერმედ მაინც ისევ მშიერია, ისევ გასაძლომია და ერთი გვითხარით, როდემდის უნდა ვაძლოთ“.

მეცხრამეტე საუკუნის 90-იან წლებში საბაზრო ურთიერთობათა განვითარებამ მძლავრი ბიძგი მისცა ეკონომიკურ აღმავლობას. ფართოდ განვითარდა სავაჭრო-სასაქონლო ურთიერთობები, თავადაზნაურთა ნაწილი გადაიქცა მრეწველად. ბანკის წესდებით მსესხებლებს ბანკის წევრის უფლება ჰქონდათ და მათ გადაწყვიტეს ბანკი მთლიანად ჩაეყენებინათ თავადაზნაურთა სამსახურში. თავადაზნაურობა ბანკის მმართველობით მაინც უკმაყოფილო რჩებოდა. მათგან გამოირჩეოდნენ: დ. მუსხელიშვილი, რ. ანდრონიკაშვილი, რ. ვაჩნაძე, ნიკ. ორბელიანი, გ. გაბაშვილი, დ. ვეზირიშვილი, მიხ. მაჩაბელი, ვასიკო მაჩაბელი და სხვები. მოგვიანებით ამ ჯგუფს შეუერთდა ბანკის გამგეობის წევრი და ერთ-ერთი დირექტორი ივანე მაჩაბელი, რომელიც ამ ჯგუფის ბელადი გახდა.

მაშინდელი საბანკო პოლიტიკის მიმართ არანაკლები საყვედურები ისმოდა, რადგან იგი გარ-

3 ნ. ნიკოლაძე, თხზ, ტ. 3, გვ. 30-35

4 ნ. ნიკოლაძე, თხზ, ტ.3, გვ. 26-27

5 ს. ხუნდაძე, ნარკვევები, 1941 წელი, გვ. 170

კვეულნილად ხელს, უწყობდა თავადაზნაურობას, შეენარჩუნებინა ადგილ-მამულები და გაძლიერებულიყო. თუმცა სანინალმდეგო მოსაზრებებიც არსებობდა. მაგალითად, ამ პრობლემასთან დაკავშირებით ს. ხუნდაძე მიუთითებს, რომ „ბანკმა ხელი შეუწყო თავადაზნაურობის არა გაძლიერებას, არამედ ეკონომიკურ გაღატაკებას“.⁶

მეტად საინტერესოა ამ პოლემიკაში დიმიტრი ყიფიანის პოზიცია, რომელიც გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე ილია ჭავჭავაძის წერილებს გამოეხმაურა, სადაც თბილისისა და ქუთაისის ბანკების დამფუძნებლები იყვნენ გაკრიტიკებული. იგი წერს - „ამის პასუხად ნუ გამიკადნიერდებით და ასე მოგახსენებთ: ბანკი ჩვენი დანესებულია, ჩვენის ფულითა და ჩვენის ხელით არის აშენებული. ნუთუ შესაძლებელი უნდა იყოს, რომ კაცი, ამხანაგობა, მთელი თავადაზნაურობა აშენებდეს რასმე და არ იცოდეს კი, რას აშენებს?“⁷ დ. ყიფიანმა პოლემიკური სტატიების მთელ სერიაში სადავო საკითხები შემდეგ სამ მუხლად ჩამოაყალიბა: 1. სესხის სარგებელი ჩვენ, ფულის პატრონებს, მოგვეთხოვებოდეს იმ ზომით, რა ზომითაც სახელმწიფო ბანკი სთხოვს აზნაურობას სახაზინო ფულზე; 2. ჩვენ ფულის პატრონებს, ზოგიერთს შემთხვევაში ისეთი შეღავათი გვეძლეოდეს, როგორსაც ის ბანკი აძლევს თავის მოვალეებს, ფულის არა-პატრონებს; 3. ჩვენი ვადაგადაცილებული მამულები, ჯერ თქვენს გამგებლობაში მიიღეთ და თუ ვალის განმენდა უიმედო აღმოჩნდა, მაშინ აიღეთ და გაყიდეთ.⁸

ზემოაღნიშნულიდან ორი დასკვნა შეიძლება გამოვიტანო, ერთი, რომ სახაზინო კრედიტი უფრო დაბალპროცენტუალური იყო და ცალკეულ შემთხვევებში შეღავათებსაც ითვალისწინებდა და მეორე დ. ყიფიანს კვლავ წინა პლანზე აქვს წამოწეული თავადაზნაურთა ინტერესების დაცვა და არა საბანკო საქმიანობის მოთხოვნები.

ამასთან ილია ჭავჭავაძე მრავალჯერ აღნიშნავდა, რომ ბანკი თავადაზნაურობამ დააარსა და ამისთვის მხოლოდ თავადაზნაურობას უნდა ემსახუროსო, ეს სრულიად მიუღებელი და შეუძლებელი იყო. ეს ბრძოლა და კამათი მიმდინარეობდა ბანკის არსებობის მთელი 30 წლის განმავლობაში და ილია მთელი ამ ხნის მანძილზე საკუთარი მხრებით ეზიდებოდა ამ ტვირთს ქვეყნის კეთილდღეობისათვის.

თუმცა, უნდა ითქვას იმ ფაქტზეც, რომ განსაკუთრებით ბევრი მამული დარჩა გირაოში ვალის გადაუხდელობის გამო. ისმის კითხვა, რამ გამოიწვია ასეთი ვითარება? ამის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო დაგირავებული მამულების გადამეტებული შეფასება და ასეთ შემთხვევებსაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ მთავარი იყო საყოველთაო ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც მოიცვა მთელი რუსეთის იმპერია და არა მარტო რუსეთი, არამედ მთელი ევრო-

პაც, რაც სულ უფრო ძლიერდებოდა და 1883-1884 წლებში კულმინაციას მიაღწია. ამ კრიზისს ვერ ასცდა საქართველო, იგი მოედო მთელ ამიერკავკასიას.

ბანკის საკრედიტო ოპერაციები განსაკუთრებით წარმატებული გახდა 80-იანი წლების დასასრულს, გაიზარდა ბირჟაზე გირავნობის ფურცლების კურსი. 1889 წელს გაიწა 675500 მანეთის სესხი ხოლო 1892 წელს 1807000 მანეთის, ანუ სამ წელიწადში 167,5 პროცენტით გაიზარდა.

სათავადაზნაურო ბანკის ღირსების, მოღვაწეობის, საზოგადოებრივი მნიშვნელობისა და ბანკის ხელმძღვანელ პირთა შეფასებას გულგრილად არ უყურებდნენ მაშინდელი საზოგადო მოღვაწენი. მაგალითად, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გაიოზ ლასხიშვილი თავის მემუარებში წერს: „1895 წელს მე პირველად ვიხილე ბანკის კრება და გავხდი მოწმე იმ „უმაგალითო“ ბრძოლისა, რომელსაც მაშინ „ბანკოვიადას“ ეძახოდნენ. პოზიციის მხრით, თვით ჭავჭავაძე - ზედამხედველი კომიტეტის თავმჯდომარე, თავადი პეტრე გრუზინსკი, ალ. ჩოლოყაშვილი, დავით ავალიშვილი, ვლადიმერ მელქაძე და სხვები. ოპოზიციის მხრით თვით ივ. მანაბელი, ნიკოლოზ ორბელიანი, მიხეილ მანაბელი, ექ. გაბაშვილი და სხვანი. მიდიოდა კამათი. კამათი გადადიოდა პრესაში, ქუჩაში, ოჯახში. ქართული საზოგადოება დაყოფილი იყო ორ ბანაკად და რამდენიმე წელი მიმდინარეობდა დაუნდობელი ბრძოლა ინტრიგებით, ლანძღვა-გინებით. ახლა კარგად ჩანს, რომ ეს იყო ბრძოლა ბანკის საქმიანობის განვითარებისათვის და სხვა არაფერი.“⁹

ამ მხრივ საინტერესოა ა. ჯორჯაძის შეხედულება სათავადაზნაურო ბანკზე. ილია არ იყო ერთი რომელიმე კლასის მოსარჩელე, მით უმეტეს თავადაზნაურობისა. იგი იბრძოდა მთელი ქართველი ერის კეთილდღეობისათვის. განურჩევლად წევრებისა და ბანკის შემოსავალს ქართული საქმისათვის იყენებდა.

საქართველოს ორი დიდი მოღვაწე, ილია და აკაკი შეთანხმებულად ხელმძღვანელობდნენ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, არსებითად დაშორდნენ ერთმანეთს ბანკის როლსა და მნიშვნელობაში, რადგან აკაკი თვლიდა, რომ სათავადაზნაურო ბანკებისათვის ჯერ კიდევ მოუშზადებელი ვიყავით. ეს პოზიცია საფუძვლიანად გააკრიტიკა ილია ჭავჭავაძემ და ამით მორჩა კიდევ ეს ბრძოლა.

სათავადაზნაურო ბანკის საქმიანობის შეფასებისას გვერდს ვერ ავუვლით კრედიტის გაიაფებისათვის ზრუნვას. ამის ნათელი მაგალითია ფინანსთა სამინისტროსათვის თხოვნა გირავნობის ფურცლების 6%-დან 5%-მდე შემცირების თაობაზე, რაშიც მათ თანხმობა მიიღეს.

საქართველოს საბანკო საკრედიტო ინსტიტუ-

6 ს. ხუნდაძე; „დიმიტრი ყიფიანი“, 1936. გვ. 52

7 გაზ. „ივერია“, 1886, N136

8 ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 7, 1968, N369

9 გ. ლასხიშვილი, მემუარები, თბ, 1934, გვ. 93-94

ტების განვითარებაში ბოლო პერიოდის განმავლობაში შეინიშნება ბანკების რაოდენობის შემცირება. მთი რაოდენობა 2000 წლის 32 ერთეულიდან 2015 წელს 19 ერთეულამდე შემცირდა. სამაგიეროდ, გაიზარდა არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციების რაოდენობა.

2003–2015 წლებში საბანკო საქმიანობის განვითარების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საბანკო ბიზნესის შემოსავლები აღნიშნულ პერიოდში 21,9-ჯერ გაიზარდა, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა მხოლოდ 3,8-ჯერ. მოცულობით გამოსახულებაში მაჩვენებლები ასე გამოიყურება - საბანკო შემოსავლებმა 6 მლნ. ლარს გადააჭარბა, მაშინ როცა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 1 მილრდ ლარი შეადგინა. თუ ამ მაჩვენებლებს სათავადაზნაურო ბანკისას შვადარებთ მაშინ საბანკო შემოსავლები გაიზარდა 7,2-ჯერ, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 5,9-ჯერ. ეს იმის მაჩვენებელია, რომ თანამედროვე ბანკებს საკმაოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთები აქვთ დანესებული, რის გამოც ბიზნეს სექტორი ეფექტიანად ვერ იყენებს ალბუტულ კრედიტს.

მიგვაჩნია, რომ თანამედროვე საბანკო სისტემამ უნდა გაითვალისწინოს სათავადაზნაურო ბანკის აღნიშნული გამოცდილება, რომელიც ერთი მხრივ საშუალებას მისცემს მას წარმატებით იფუნქციონიროს, ხოლო მეორე მხრივ ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას საქართველოში.

ხაზი უნდა გაესვას სათავადაზნაურო ბანკის საქველმოქმედო საქმიანობას, რომელიც თანამედროვე ბანკებისათვის იშვიათობას წარმოადგენს ან საერთოდ უგულვებელყოფილია. ასე მაგალითად, 1875-1909 წლებში ბანკის მიერ ამ მიმართულებით განხორციელებულმა ღონისძიებებმა 1944136 ლარი შეადგინა, რაც იმ პერიოდისათვის დიდი თანხა იყო.¹⁰

თითქმის ყველა ქვეყანაში საბანკო სექტორი მხარში უდგას ბიზნესს და არ იბრძვის მის ხელში ჩასაგდებად, სამწუხაროდ დღესდღეობით ეს პრობლემა ძალზე მწვავედ დგას საქართველოში, რაც დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს მთავრობისა და ეროვნული ბანკის ძალისხმევით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლასხიშვილი გ., მემუარები, თბ, 1934
2. ნიკოლაძე ნ., თხზ, ტ. 4
3. გაზეთი „ზაკავკაზი“, 1910
4. ხუნდაძე ს., ნარკვევები, 1941
5. ხუნდაძე ს., „დიმიტრი ყიფიანი“, 1936
6. გაზ. „ივერია“, 1886, N136
7. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 7, 1968, N369

¹⁰ გაზეთი „ზაკავკაზი“ 1910, გვ. 230

ფინანსური ინოვაციების განვითარების ტენდენციები ბანკებსა და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებში

ალეკო ქუთათელაძე
სტუ-ის პროფესორი

რუს უდან ნიკურაძე
სტუ-ის დოქტორანტი

რეზიუმე

ამჟამად ფინანსური ინოვაციების აქტიური და-ნერგვის აუცილებლობა ნაკარნახევია რიგი ობი-ექტური ფაქტორებით:

- საბანკო სისტემის განვითარების ექსტენსიური მოდელიდან ინტენსიური განვითარების მოდელზე გადასვლა, რომელიც გამოიხატება როგორც თავად ბანკების ხარისხობრივი დონის (საბანკო კაპიტა-ლის კონცენტრაციის გაძლიერება), ასევე შეთავა-ზებული პროდუქტების ხარისხის დონის ამაღლე-ბაც;

- საბანკო კონკურენციის განმტკიცება დ ამი-სი მეთოდების პრიორიტეტების შეცვლა, ფასების მეთოდიდან არასაფასო მეთოდზე გადასვლა. ამ-ჟამად, ბანკების უმრავლესობისათვის წარმატების გასაღებს წარმოადგენს პროდუქტის დიფერენცი-აცია, რომლის ერთერთი საშუალებაა ინოვაციების დანერგვა;

- ფინანსური გლობალიზაცია, რომელიც გამოი-ხატება უცხოური საბანკო კაპიტალის შემოღწევით, რაც მოითხოვს ცალკეული ბანკების, მთლიანობაში საბანკო სისტემის კონკურენტუნარიანობის ამა-ღლებას და აღნიშნული ზრდის ურთიერთდამოკი-დებულებას გლობალურ ფინანსურ ბაზარზე. უცხო-ური კაპიტალის მონაწილეობით საფინანსო-საკრე-დიტო ორგანიზაციების წილი საქართველოს ბანკის მონაცემების მიხედვით 2008 წლის პირველი კვარტ-ლისათვის 4.5% -ით გაიზარდა და 2014 წლის 1 ნოე-მბრის მდგომარეობით შეადგინა საკრედიტო ორგა-ნიზაციების საერთო რაოდენობის 22%;

- საზოგადოების ფინანსური კულტურის ზრდა, რაც გამოხატულია ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურებისადმი საზოგადოებრივი ინტერესის გაზრდით და ფინანსური ინოვაციების აუცილებ-ლობის შესახებ ცნობიერების ამაღლებით. ინტერ-ნეტის მეშვეობით ფიზიკური პირების საბანკო ონ-ლაინ ოპერაციების მოცულობა 35.3%-ით, ხოლო მობილური აპლიკაციები- 60% -ით გაიზარდა;

- მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფი-ლების მიზნების გადანაცვლება, კომერციული ბა-ნკისა და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების მიზნების პირამიდის სათავეში, მოითხოვს ახალი საბანკო პროდუქტების და ახალი სერვისების ტექ-ნოლოგიების დანერგვას.

თუმცა ამჟამად ფინანსური ინოვაციების დანე-რგვის ინიციატორები არა მხოლოდ ბანკები არიან.

განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის დამახა-სიათებელია არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაცი-ების როლის მნიშვნელოვანი ზრდა (მათი წილი 2018 წელს 2008 წელთან შედარებით, 4.2% -ით გაიზარდა და 2018 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით, შეადგი-ნა 91 ორგანიზაცია), რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი ფინანსური ინოვაციების დანერგვაში.

არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების მზა-რდი ექსპანსია, რომლებიც საბანკო სექტორის სრულფასოვანი მონაწილეები არიან, იდენტური პროდუქტისა და მომსახურების შეთავაზებით აიძულებენ კომერციულ ბანკებს, არა მარტო გაა-უმჯობესონ მომსახურების ხარისხი და შეთავაზე-ბული პროდუქტები, არამედ განავითრონ ახალი სერვისები.

არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების მნიშ-ვნელოვანი როლის შესახებ საზოგადოების ცნო-ბიერების ამაღლება გამოიხატება იმაში, რომ 2013 წლის სექტემბრიდან ისინი ჩართულნი არიან საქა-რთველოს ცენტრალური ბანკის, როგორც მეგარე-გულატორის იურისდიქციაში. ამრიგად, არასაბა-ნკო საკრედიტო ორგანიზაციები გახდნენ საბანკო სისტემის ნაწილი არა მხოლოდ დეფაქტო, არამედ დეიურე.

ეს ყველაფერი იწვევს ფინანსური ინოვაციების ღრმა და ყოვლისმომცველ შესწავლის აუცილებ-ლობას, რომელიც მოიცავს თეორიული, მეთოდო-ლოგიური და გამოყენებითი საკითხების დამუშა-ვებას, განვითარების საკითხების შესწავლასა და ღრმა ანალიზს როგორც საბანკო, ასევე არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების სფეროში.

TRENDS IN THE DEVELOPMENT OF FINANCIAL INNOVATION IN BANKS AND NON-BANK ORGANIZATIONS

Kutateladze Aleko
Professor of GTU
Nikuradze Rusudan
PHD student of GTU

RESUME

Currently, the need for active introduction of finan- cial innovations is dictated by a number of objective factors:

- The transition from an extensive model of banking

system development to an intensive development model, which is reflected in both the quality of the banks themselves and the quality of the products offered.

- Strengthening banking competition and changing the priorities of its methods. Currently, the key to success for most banks is product differentiation, one of the means of which is to introduce innovation.

- Financial globalization, which is reflected in the inflow of foreign banking capital, which requires the competitiveness of individual banks, the banking system as a whole and this increases interdependence in the global financial market. According to the Bank of Georgia, the share of financial credit organizations with the participation of foreign capital increases by 4.5 % in the first quarter of 2008 and as of November 1, 2014 amounted to 22% of the total number of credit organizations.

- The growth of the financial culture of the society, which is reflected in the increase of public interest in financial products and services and raising awareness of the need for financial innovation. The volume of online banking transactions of individuals through the internet increased by 35.3%, while mobile applications increased by 60%;

- The shift in meeting the need of the population, led by the commercial bank and the pyramid of goals of non-bank credit organizations, requires the introduction of new banking products and new service technologies.

However, not only banks are currently the initiators of the introduction of financial innovations. The modern stage of development is characterized by a significant increase in the role of non-bank credit organizations (Their share in 2018 increased by 4.2% compared to 2008 and as of November 1, 2018 – 91 organizations.) that are actively involved in the introduction of financial innovation.

The growing expansion of non-bank credit organizations, which are full-fledged participants in the banking sector, is offering identical products and services to commercial banks, not only to improve the quality of services and products offered, but also to develop new services.

Raising public awareness about the important role of non-bank credit organizations is reflected in the fact that since September 2013, they have been involved in the jurisdiction of the Central Bank of Georgia as a regulator. Thus, non-bank credit organizations have become part of the banking system not only de facto but also de jure.

All of this leads to the need for in-depth and comprehensive study of financial innovation, which includes the development of theoretical, methodological and applied issues, the study of development issues and in-depth analysis of both banking and non-banking credit organizations.

ძირითადი ტექსტი

ქართული ეკონომიკის ტრანსფორმაციისა და გლობალიზაციის პირობებში იზრდება ინოვაციების როლი და მნიშვნელობა. დღეს ეკონომიკის ინოვაციური განვითარება ბევრ ქვეყანაში განიხილება, როგორც ეკონომიკური ზრდის ერთერთი მთავარი გზა და კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა. ბოლო წლების გამოცდილება გვიჩვენებს საბანკო სექტორზე სამეცნიერო-ტექნიკური სფეროს განვითარების გავლენის ობიექტური და კრიტიკული შეფასების აუცილებლობას, რომლის დროსაც გათვალისწინებული და ყოველმხრივ შესწავლილი იქნება ის უმნიშვნელოვანესი ტრანსფორმაციული და სტრუქტურული პრობლემები, რომლებიც აუცილებლად თან სდევს ნებისმიერი ინოვაციების ჩასახვასა და განვითარებას. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ტენდენციების შესწავლა, რომელთა საფუძველზეც ხდებოდა საქართველში ბანკებისა და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების ინოვაციური აქტივობების განვითარება და მიმდინარე მომენტისათვის განისაზღვრავს საბანკო სექტორში ინოვაციური პროცესის სპეციფიკას.

ისტორიული მონაცემები იმის შესახებ მოწმობენ, რომ საქართველში ფინანსური ინოვაციების, ისევე, როგორც საბანკო საქმის განვითარება, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ევროპული მოდელისგან. ჯერ კიდევ ჩვენს წელთ აღრიცხვამდე VI საუკუნეში ბაბილონსა და უძველეს საბერძნეთში იყო ტაძრები, სადაც ტაძრის ქურუმები და ტრაპეციტები ან არგენტარელები გასცემდნენ კრედიტებს და იღებდნენ ფულად სახსრებს დეპოზიტებზე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველში კრედიტი ჩაისახა მხოლოდ მე-12 საუკუნეში სამეფახშეო კრედიტის სახით, ხოლო დეპოზიტები მხოლოდ მე-19 საუკუნეში. ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ მოყვანილი მონაცემების მიხედვით კრედიტი ძალზე გავრცელებული იყო საქართველში.

დავით აღმაშენებელმა, 1113 წელს, იმისათვის რომ შეეზღუდა „პარაზიტული“ მეფახშეობა, იძულებული გახდა, აეკრძალა მეფახშეებს წლიური საპროცენტო განაკვეთის 50% -ზე მეტი ოდენობით დადგენას.

გარდა ამისა, საკრედიტო დანესებულებებში ფინანსური ინოვაციების განვითარება ფაქტიურად დაიწყო მათი შექმნის მომენტიდან. იმის მიხედვით, თუ როგორც იცვლებოდნენ საბანკო დანესებულებები, ბანკების შესახებ საზოგადოების შეხედულებები და საჭიროებები, იცვლებოდა მათი ფუნქციები და შესაბამისად საბანკო პროდუქტები და მომსახურების სპექტრი.

საქართველში საბანკო პროდუქტისა და ტექნოლოგიური ფინანსური ინოვაციების განვითარება შედარებულია დანართში (იხ. დანართი 5 და დანართი 6). ისტორიული მონაცემები მოწმობენ, რომ საბანკო ფინანსური ინოვაციები საქართველ-

ცხრილი 1. ფინანსური ინოვაციები ბანკებსა და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებში

კომერციული ბანკები		არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები	
საფინანსო ინოვაციის სახეობა	წარმოშობის პერიოდი	საფინანსო ინოვაციის სახეობა	წარმოშობის პერიოდი
კლასიკური კრედიტები, სესხები	XII საუკუნე	სესხის აღაბა ქონებით საგარანტიო უზრუნველყოფით	XVIII საუკუნე
დეპოზიტები	XVIII საუკუნე	შენატანები მათ შორის სადაზრვევო, პენსიის დაგროვებითი ნაწილი	XVIII-XX საუკუნე
ექსპრეს კრედიტები	XXI საუკუნე	მიკროდაფინანსება	XXI საუკუნე
ინტერნეტ ბანკინგი	XXI საუკუნე	ინტერნეტ -ბანკინგი	XXI საუკუნე
სავაჭრო მომსახურება	საუკუნის მეორე ნახევარი	სატრასტო მომსახურება	XVIII საუკუნე
იპოტეკა	XVIII საუკუნე	იპოტეკა	XIX საუკუნე.
ლიზინგი	90-იანი წლები. XX საუკუნე	ლიზინგი	90-იანი წლები. XX საუკუნე

ში ბევრად უფრო ადრეა ჩასახული, ვიდრე ტექნოლოგიური. იპოტეკა წარმოიშვა ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში, მაშინ როცა პირველი ტექნოლოგიური ფინანსური ინოვაცია - ანუ საბანკო ბარათი, მხოლოდ XX საუკუნის ბოლოს. ჩვენი აზრით, მთავარი სტოპ-ფაქტორი იყო ტექნოლოგიური. ტექნოლოგიური ინოვაციების განვითარებისთვის საჭირო იყო სამეცნიერო-ტექნიკური გადატრიალება, რომელიც მხოლოდ XIX საუკუნეში მოხდა. გარდა ამისა, მე-20 საუკუნემდე საბანკო პროდუქტის ინოვაციები პრაქტიკულად არ განვითარდა. პირველ რიგში ეს დაკავშირებული იყო, ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებულ ბოტონ-ყმურ წყობილებასთან, 1917 წლის რევოლუციასთან, 1918-1920 წლების სამოქალაქო ომთან და 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომთან, 1921-1991 საბჭოურ წყობასთან და სხვა. ამავე დროს, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ეგრეთ წოდებული „რკინის ფარდა“, რომლის უკან საბჭოთა კავშირმა რამდენიმე ათეული წელი გაატარა. მოსახლეობა იმდენად იყო მოქანცული, რომ რაიმე ცვლილებისთვის მზად არ იყო. ამასთანავე, ნდობა სახელმწიფოსა და მთლიანად საკრედიტო ორგანიზაციების მიმართ დაბალ დონეზე რჩებოდა. აღნიშნულ დროს შეიძლება ეწოდოს სტაგნაციის პერიოდი. საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებელი საქართველოს შექმნით, თანდათანობით ჩვენთანაც გამოჩნდნენ განსხვავებული ინოვაციები. ესენია საბანკო რისკების ჰეჯირების ინსტრუმენტები, საკრედიტო დერივატივები, ინტერნეტი და სმარტ-ბარათები.

გარდა ამისა, ბანკებსა და არასაბანკო საკრე-

დიტო ორგანიზაციებში ფინანსური ინოვაციების განვითარებაში ჩანს თვალსაჩინო მსგავსება და განსხვავებები (ცხრილი 1.).

ვეროპის ბანკებში კრედიტები წარმოიშვა XII საუკუნეში, ხოლო არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებში - მხოლოდ XVIII- ში; მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ სამომხმარებლო საკრედიტო კოოპერატივები და ლომბარდები განიცდიან კლიენტების ნაკადის ერთგვარ ვარდნას, კრედიტებზე გარკვეული მოთხოვნილება მაინც იგრძნობა. პირველ რიგში, ეს იმიტომ ხდება, რომ ზოგჯერ ბანკებში კრედიტის აღება საკმაოდ პრობლემურია, მეორეც, იმიტომ, რომ არსებობს რთულ ვითარებაში მყოფი მოსახლეობის კატეგორიები და მათ უბრალოდ სხვა არჩევანი არ აქვთ.

ცხრილი1-ის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ მრავალი ფინანსური ინოვაციები არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებში უმეტესწილად იმეორებენ საბანკო ინოვაციებს. ამიტომ, კლასიკური საბანკო კრედიტები, რომლებიც ბოლო დროს გაიცემა გირაოს ან გარანტიორების არსებობის შემთხვევაში, იდენტურია საკუთრების უზრუნველყოფით სესხებისა, მაგალითად ისევე, როგორც ლომბარდებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსური ინოვაციების შემუშავების სამამულო პრაქტიკა ეფუძნება საერთაშორისო გამოცდილებას და საქართველის კანონმდებლობას. ეს ნიშნავს, რომ საქართველის საკრედიტო ორგანიზაციებმა შეიძლება მიიღონ დამატებითი შემოსავლები კანონით გათვალისწინებული გარიგებებისა და ოპერაციების განხორციელების გზით. მაგალითად, მსოფლიო პრაქტიკაში,

ჩვეულებრივად გამოყოფენ საბანკო სექტორში ფინანსური ინოვაციების შემდეგი სახეობებს:

– პროდუქტთა ახალ სეგმენტებში: ინვესტიციები უძრავ ქონებაში, სადაზღვევო ბიზნესი, ფინანსური ლიზინგი, სატრასტო ოპერაციები;

– ისეთი ინოვაციები, როგორცაა: ფასიანი ქაღალდების ბაზარი, ფინანსური ფიუჩერსები, ფინანსური ოპციონები, არაკოტირებული ფასიანი ქაღალდების ბაზრები;

– ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობით ნაღდი ფულადი სახსრების მართვის გამოყენება;

– ფინანსური შუამავლობის სერვისი, რომელიც მიზნად ისახავს საოპერაციო ხარჯების შემცირებას, აქტივების და ვალდებულებების უფრო ეფექტურ მართვას: სადეპოზიტო სერტიფიკატები, ფულის ბაზრის სადეპოზიტო ანგარიშები;

– ახალი პროდუქტი სასახო კაპიტალის ბაზრის ტრადიციულ სეგმენტებში: ფულის მცურავი საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტები, სვოპები, ღრმა დისკონტის მქონე ობლიგაციები, სერიული ობლიგაციები და ა.შ., აგრეთვე ფულის ბაზრის ინსტრუმენტები რომლებსაც გააჩნიათ როგორც კაპიტალის ასევე სასახო ფულადი საშუალებების მახასიათებლები (სესხები და მონაწილეობის ობლიგაციები, საინვესტიციო სერტიფიკატები)¹⁶.

დღეისათვის შეიძლება შევხვდეთ სხვადასხვა სახის ფინანსური ინოვაციებს. გამოყოფენ პროდუქტულ ინოვაციებს, რომლებსაც მიეკუთვნება ცვლილებები პროდუქტებში; ტექნოლოგიური - ცვლილებები წარმოების საშუალებებსა და მეთოდებში. მსგავსი კლასიფიკაცია შეგვიძლია იხილოთ სახელმძღვანელოში ლ.ქოქიაურის რედაქციით. განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ ტექნოლოგიურების ნაცვლად გამოყოფილია პროცესული ინოვაციები. ამავდროულად, შემოღებული ცვლილებების სიღრმეზე დამოკიდებულებით გამოყოფენ რადიკალურ ან საბაზო, გამაუმჯობესებელ და მოდიფიკაციურ ან კერძო ინოვაციებს. რადიკალური ინოვაციები - ეს არის პრინციპულად ახალი პროდუქტების, სერვისებისა და ტექნოლოგიების შექმნა და დანერგვა, რომლებიც წარმოადგენენ ორგანიზაციის საქმიანობის საფუძველს. გამაუმჯობესებელი ფინანსური ინოვაციები - ეს არის უკვე არსებული პროდუქციის, მომსახურების, ტექნოლოგიების გაუმჯობესება, ხოლო მოდიფიკაციური - არის უკვე არსებული პროდუქტის და ტექნოლოგიების გაუმჯობესება.

ინოვაცია შეიძლება კლასიფიცირებული იყოს წარმოშობის მიზეზების მიხედვით. ამ კლასიფიკაციით გამოიყოფა რეაქტიული და სტრატეგიული ინოვაციები¹. რეაქტიული ინოვაციები - წარმოადგენს ინოვაციებს, რომლებიც მიზნად ისახავს

ბაზარზე არსებული საკრედიტო ორგანიზაციის მდგომარეობის შენარჩუნებას. როგორც ვ.ს. ვიკულოვი, აღნიშნავს ისინი ძირითადად წარმოადგენენ რეაგირებას ინოვაციებზე, მაგალითად, კონკურენტ ბანკში. ეს არის ეგრეთ წოდებული. თავდაცვითი სტრატეგია. მოგების მნიშვნელოვანი წილის დანაკარგების გადალახვის მიზნით, სხვა ბანკები, რომლებმაც გაიღეს გარკვეული ხარჯები, ვალდებულებები არიან განახორციელონ გარკვეული სახის ტექნოლოგიური პროცესების ან შემოთავაზებული პროდუქტების სპექტრის განახლება იმისათვის, რომ მიღწეულიყნას დანახარჯების და ეფექტურობის ახალი თანაფარდობა. ბანკებსა და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებში ამის მაგალითად გამოდგება ინტერნეტ ბანკინგის შემოღება. აღნიშნული საფინანსო ინოვაციების დანერგვამ ერთი ბანკში იძულებული გახადა დანარჩენი საკრედიტო ორგანიზაციები, რომელთაც სურთ საკუთარი პოზიციები შეინარჩუნონ საბანკო მომსახურების ბაზარზე, საკუთარ საქმიანობაში ასევე დაენერგათ ინტერნეტ-ბანკინგი.

ჩვენი შეხედულებით, პრინციპული განსხვავება გამაუმჯობესებელ და მოდიფიკაციურ ინოვაციებს შორის არის ცვლილების ობიექტის მიმართ დამოკიდებულებაში. პირველ შემთხვევაში, შეიძლება იყოს რამდენიმე პროდუქტი ან ტექნოლოგია, ხოლო მეორე შემთხვევაში - მხოლოდ ერთი პროდუქტი, მომსახურება ან ტექნოლოგია.

საბანკო დეპოზიტები ბევრ რამეში მოგვაგონებენ ცხოვრების დაზღვევას, შენატანებს არასახელმწიფო საპენსიო ფონდებში. უნდა აღინიშნოს, რომ ბანკებში და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებში მოცემული ფინანსური ინოვაციების წარმოშობის ვადები დაახლოებით ემთხვევა.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ეს მომსახურება ერთნაირია, არსებობს განსხვავებებიც. ასე მაგალითად, ფულად მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში განაკვეთები გაცილებით მაღალია, ვიდრე ბანკებში, მაგრამ მათი რისკებიც ბევრად უფრო მაღალია საბანკოზე. კლიენტი, რომელმაც ბანკში შეიტანა დეპოზიტი, ამ უკანასკნელის გაკოტრების შემთხვევაში მიიღებს გარანტირებული ანაზღაურებას, მაშინ როდესაც მიკროსაფინანსოს გაკოტრების შემთხვევაში კლიენტის დანაკარგს არავინ აანაზღაურებს.

ბანკებში სატრასტო მომსახურება, პირიქით, უფრო მოგვიანებით გამოჩნდა, ვიდრე არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებში. არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების სატრასტო მომსახურებას მიეკუთვნება ქონების მართვის ნდობით მართვის მომსახურება. როგორ ხდება საკუთარი ფულადი სახსრების გადარიცხვა არასამთვრობო საპენსიო ფონდებში რომლებსაც კლიენტები საკუთარ ფულად სახსრების მართვას ფაქტიურად ანდობენ.

მიკროდაფინანსება წარმოადგენს ბანკის ექსპრეს-დაკრედიტების ანალოგს. აღნიშნული ფინან-

1 ვიკული, ვ. საბანკო ინოვაციების ტიპოლოგია [ტექსტი] / ვ.ვიკული // ფინანსური მენეჯმენტი. - 2014. - № 6. - გვ. 15

სური ინოვაცია წარმოიშვა ბანკებსა და არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებებში 21-ე საუკუნის დასაწყისში. მოცემული ფინანსური ინოვაციები ითვალისწინებენ მოკლე დროში სესხის გაცემას მინიმალური პაკეტის დოკუმენტაციის საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ ეს არის სესხის ამღებისათვის ყველაზე ძვირადღირებული კრედიტის სახეობა. საპროცენტო განაკვეთები ძალიან მაღალია. თუმცა, კლიენტები, რომელთაც რაიმე მიზეზით არ შეუძლიათ საბანკო კრედიტის მიღება, იძულებულნი არიან აიღონ სესხი არასასურველი პირობებით, თუ ფული ჭირდებათ მოკლე დროის განმავლობაში.

ასე რომ, ცხრილის (2) მონაცემები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ არსებობენ ფინანსური ინოვაციები, რომლებიც დამახასიათებელია მხოლოდ ბანკებისათვის - ესენია **საბანკო** ინოვაციები; არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებში - ესენია **არასაბანკო ან პარასაბანკო და უნივერსალური საფინანსო ინოვაციები**.

ამჟამად ბანკებსა და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებში ფინანსური ინოვაციების განვითარების სპეციფიკა ჩვენი შეხედულებით მდგომარეობს შემდეგში:

1. მიმდინარეობს ფინანსური ინოვაციების ტექნოლოგიზაციის პროცესი;
2. ადგილი აქვს ფინანსური ინოვაციების ვირტუალიზაციას;
3. ფინანსური ინოვაციები ხდება კონკურენციის ძირითადი ინსტრუმენტი საბანკო ბაზარზე, პროდუქტის დიფერენცირების ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალება;
4. ფინანსური ინოვაციების აქტიური დანერგვა იწვევს საბანკო ბაზარზე კონკურენციის ინტენსივობის ამალღებას და მისი ხასიათის შეცვლას;
5. ადგილი აქვს ახალი საბანკო კულტურის ფორმირებას, რომლის განუყოფელ ელემენტს წარმოადგენს ინოვაცია.

კომერციული ბანკებისა და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების მიერ დანერგილი ინოვაციების უმეტესობა დაფუძნებულია ტექნიკასა და ტექნოლოგიებში გამოყენებულ მონინავე მიღწევებზე. ასეთებს შეიძლება მივაკუთნოთ ტელედასწრების ინფორმაციები, უნივერსალური ელექტრონული ბარათები, SMS ბანკინგი, მობილური აპლიკაციები გადასახადების დასაფარად და ა.შ. ასე მაგალითად, მობილური აპლიკაციის გამოყენებით, საკუთრი სმარტფონით, შესაძლებელია გადავიხადოთ კომუნალური გადასახადები.

მობილური ბანკინგი - ეს არის მობილური ტელეფონის, პლანშეტის ან სმარტფონის გამოყენებით ანგარიშების მართვა. დღეს, მრავალი ბანკი საკუთარ საქმიანობაში იყენებს მოცემულ ფინანსურ ინოვაციას. 2014 წლის დასაწყისში, კომპანია დეილოტმა შეაფასა ყველაზე წარმატებული მობილური აპლიკაციების რეიტინგი, რომლებიც საკუ-

თარ კლიენტებს თავაზობენ კომერციული ბანკები (ცხრილი 2.).

ცხრილი 2. საქართველოს მობილური ბანკინგის ბაზრის ლიდერები

შეფასება	ბანკის დასახელება
4.90	TBC ბანკი
3.08	საქართველოს ბანკი
2.96	BB ბაზის ბანკი
2.6	VTB ბანკი
2.58	ProCrediT ბანკი

ტელედასწრების ინფორმაცი - არის სპეციალიზებული მონყობილობა, რომელიც ბანკის კლიენტს საშუალებას აძლევს დაუკავშირდეს ოპერატორს ვიდეო ზარით. ხსენებული ავტომატი დამონტაჟებულია განცალკევებულ მინის კაბინაში, რომელიც მოგვაცავს სალარო აპარატს და აღჭურვილია მულტი-სენსორული ეკრანით, კამერათ, მიკროფონით, დინამიკებით, აგრეთვე კლიენტის იდენტიფიკაციისთვის თითის ანაბეჭდის სკანერით. ტელედასწრების ინფორმაციები ერთის მხრივ იძლევა ხარჯების შემცირების საშუალებას და მეორეს მხრივ ოფისებში ამცირებს რიგებს. ამ აპარატის მეშვეობით შესაძლებელია არა მხოლოდ ბანკის თანამშრომლების რჩევების მიღება, არამედ სესხის გაფორმება, ანგარიშზე თანხის შეტანა და გადახდაც. გარდა ამისა, ეს ფინანსური ინოვაცია დაინერგულია ბანკებთანგათანაბრებულიარასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობაში.

ინტერნეტ ბანკინგი გამოიყენება როგორც კომერციული ბანკების, ისევე არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების მიერ. კომერციულ ბანკებში შორის, მას თითქმის ყველა ბანკი იყენებს. მას აგრეთვე იყენებენ არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები - პირველი შემნახველი ინტერნეტ-კოოპერატივი.

ზემოთ ჩამოთვლილი ფინანსური ინოვაციები იქმნება ტექნიკისა და ტექნოლოგიების სფეროში უახლესი გამოგონებების საფუძველზე, რაც საშუალებას იძლევა გავაკეთოთ დასკვნა **ფინანსური ინოვაციების ტექნოლოგიზაციის შესახებ**.

გარდა ამისა, საკრედიტო ორგანიზაციები სულ უფრო ხშირად ახდენენ ფინანსური ინოვაციების დანერგვას, რაც საშუალებას აძლევს მათ, კლიენტებს მოემსახურონ დისტანციურად. ისეთი ოპერაციების შესრულება, როგორცაა ანგარიშების მართვა, ფულადი სახსრების გადარიცხვა, გადახდები და რიგი სხვაც შესაძლებელია საკრედიტო დაწესებულებების ფილიალებში ვიზიტის გარეშე. ამისათვის საჭიროა მხოლოდ ინტერნეტთან მიერთება.

მათ რიცხვს მიეკუთვნება: ინტერნეტ ბანკინგი, ტელედასწრების ინფორმაციები და სხვა. **ფინანსური ინოვაციების ვირტუალიზაცია** იწვევს ცვლილებებს საკრედიტო დანესებულების კლასიკური წარმოდგენაში. ოპერაციული ოფისების მქონე კლასიკური ბანკების ნაცვლად, შემოდის ტელედასწრების ინფორმაციების ოფისები ან ვირტუალური დაკრედიტების ორგანიზაციები. თუ ქართული კომერციული ბანკები და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები კიდევ დიდ ხანს არ გადავლენ ფინანსური ინოვაციების ვირტუალიზაციაზე, ამ შემთხვევაში ვირტუალური საკრედიტო ორგანიზაციები უკვე არსებობენ. უნდა აღინიშნოს, რომ ვირტუალიზაცია გამოვლინდება ორი მიმართულებით: ა) სამუშაო ადგილების ვირტუალიზაცია; ბ) სერვერების კონსოლიდაცია.

სამუშაო ადგილების ვირტუალიზაცია ვარაუდობს, რომ თანამშრომლებს არ ჭირდებათ ოფისში გადაადგილება. გარდა ამისა, მნიშვნელოვან ღირსებას წარმოადგენს ინფორმაციის გაფორმების რისკის შემცირება. თუმცა, ამჟამად სერვერული რესურსების ღირებულება საკმაოდ მაღალია, ამიტომ, საქართველოს საკრედიტო ორგანიზაციებში სამუშაო ადგილების ვირტუალიზაცია შეიძლება ერთეულ შემთხვევებში.

ენერგომოხმარების და ადმინისტრირების ინფრასტრუქტურული ხარჯების შესამცირებლად, საკრედიტო ორგანიზაციები იყენებენ სერვერების კონსოლიდაციას. სერვერების ვირტუალიზაციის ერთერთი მთავარი ნაკლია: როდესაც მწყობრიდან გამოდის ერთერთი კომპიუტერი, წარმოიქმნება ყველა ინფორმაციის დაკარგვის რისკი, ამიტომ აუცილებელია ინტერნეტ ტექნოლოგიების ხარისხის გაუმჯობესება.

ამჟამად შეინიშნება საბანკო კონკურენციის გაძლიერება, არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების ექსპანსია, საქართველის ბაზარზე უცხოური საბანკო კაპიტალის შეღწევა. კომერციული ბანკები იძულებულნი არიან, სრულყოფილი საკუთრი საბანკო პროდუქტები, დანერგონ უფრო პროგრესული მართვის სტრუქტურები, ამიტომ ფინანსური ინოვაციები ხდება საბანკო ბაზარზე კონკურენციის ძირითადი ინსტრუმენტი და პროდუქტის დიფერენცირების ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალება.

საბანკო სექტორი ამჟამად გაჯერებულია სხვადასხვა ფინანსური პროდუქტებით და ამის შედეგად, საკრედიტო ორგანიზაციებს შორის წარმოიქმნება ინტენსიური კონკურენცია. ასეთ პირობებში მნიშვნელოვან უპირატესობას იძენენ ის საკრედიტო ორგანიზაციები, რომლებსაც უნარი აქვთ, შეიმუშაონ და დანერგონ ახალი ტექნოლოგიები, მოახდინონ რიგი საბანკო პროდუქტების მოდერნიზაცია, გამოძებნონ კლიენტების მომსახურების ალტერნატიული გზები, ანუ განახორციელონ ინოვაციური პროცესი.

ფინანსური ინოვაციების აქტიური დანერგვა იწვევს საბანკო ბაზარზე კონკურენციის ინტენსივობის ზრდას და მისი ხასიათის შეცვლას. ეს გამოიხატება იმაში, რომ ხდება კონკურენციის მეთოდებში პრიორიტეტების შეცვლა. კერძოდ, კომერციული ბანკები და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები კონკურენტულ ბრძოლაში იყენებენ არაფულადი მეთოდების სამ ჯგუფს:

1. საბანკო პროდუქტის დიფერენციაცია;
2. გაყიდვების სტიმულირების მეთოდები. კომერციული ბანკები და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები ატარებენ სხვადასხვა აქციებს, ლატარიებს და გათამაშებებს, ატარებს სხვადასხვა დაჯილდოებებსა და ფესტივალებს ბანკის სახელით, აწესებს პრემიებს ხელოვნების სხვადასხვა დარგებში და სხვა;
3. საზოგადოებასთან კავშირის და რეკლამის მეთოდები. საკუთრი ახალი საბანკო პროდუქტების რეკლამირებისათვის კომერციული ბანკები და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები იყენებენ რადიოს, ტელევიზიას და ბილბორდებს.

გარდა ამისა, ფინანსური ინოვაციების დანერგვა ცვლის კლასიკურ შეხედულებას საკრედიტო ორგანიზაციების შესახებ. მაგალითად, მონინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებით სხვადასხვა ინოვაციების დანერგვა იწვევს ვირტუალური ბანკების შექმნას, რომელსაც საოპერაციო დარბაზში არ ყავს თანამშრომლები ან შესაძლებელია საერთოდ არ ქონდეს თავად საოპერაციო დარბაზი. ამრიგად, იქმნება ახალი საბანკო კულტურა, რომლის განუყოფელ ელემენტს წარმოადგენს ინოვაცია.

ამგვარად, ფინანსური ინოვაციების განვითარებაში შეიძლება გამოვლინდეს შემდეგი ტენდენციები:

1. ფინანსური ინოვაციების ტექნოლოგიზაცია (ფინანსური ინოვაციების სულ უფრო მეტი რაოდენობა იქმნება ტექნიკის სფეროში ახალი გამოგონებების გამოყენებით);
2. ფინანსური ინოვაციების ვირტუალიზაცია (ყველაზე აქტიურად იწვევს ფინანსური ინოვაციები, რომლებიც კომერციულ ბანკებსა და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს უზრუნველყოფონ დისტანციური მომსახურება);
3. ფინანსური ინოვაციები ხდებიან საბანკო ბაზარზე კონკურენციის ძირითადი ინსტრუმენტი და საბანკო პროდუქტის დიფერენცირების ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალება;
4. ფინანსური ინოვაციების აქტიური დანერგვა იწვევს საბანკო ბაზარზე კონკურენციის ინტენსივობის ამაღლებას და მისი ხასიათის ცვლილებას;
5. ინოვაციურობა ხდება ახალი საბანკო კულტურის ელემენტი, რომელიც ცვლის საკრედიტო ორგანიზაციების შესახებ კლასიკურ შეხედულებას.

დასკვნა

ბანკებსა და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებში ფინანსური ინოვაციების განვითარების თეორიული საფუძვლების განხილვამ საშუალება მოგვცა გაგვეკეთებინა დასკვნა, რომ ფინანსური ინოვაციების არსი შეიძლება განვიხილოთ მათი ფინანსური ბუნების და გამოყენების სფეროს პოზიციიდან: ესენია ბანკები და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები.საკუთარი ფინანსური ხასიათის მიხედვით, ისინი წარმოადგენენ ინოვაციური საქმიანობის შედეგს, რომელიც ეფუძნება ფულს და მის მოძრაობას და ფულად ურთიერთობებს. ამ შემთხვევაში ობიექტი უნდა გვესმოდეს როგორც ფინანსური აქტივები, მეთოდიკები, ინსტრუმენტები, მეთოდები, ტექნოლოგიები და ა.შ.

გარდა ამისა, ნათელი გახდა, რომ ბანკებსა ან არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებში საკუთარი ფინანსურ ინოვაციების განვითარებისათვის აუცილებელია მათ თან ახლდეს დაკავშირებული ორგანიზაციული, ინფორმაციული, ტექნოლოგიური და სხვა ინოვაციების კომპლექსი. ამ თვალსაზრისით, ფინანსური ხასიათის ინოვაცია იქნეს მულტიკონპონენტურ ხასიათს, სადაც დომინირებს საბანკო (პარასაბანკო) მომსახურების ან პროდუქტის ფულადი ბუნება და კომპლემენტარული ხასიათის თანმდევი ინოვაციები, რომლებიც ხელს უწყობენ მომსახურების (პროდუქტის) მომხმარებლამდე მიტანას.

გამოვლინდა ინოვაციურ საქმიანობაში ჩართული ფინანსურ-საკრედიტო ორგანიზაციების სამი ჯგუფი:

- კომერციული ბანკები;
 - ბანკთან გათანაბრებული არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ ახორციელებენ საქმიანობას საქართველის ბანკის მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე (ანგარიშსწორების, სადეპოზიტო-კრედიტებისა და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები);
 - სხვა არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები, რომლებიც არ ექვემდებარებიან საბანკო ორგანიზაციების განსაზღვრებას (სადაზღვევო კომპანიები, ლომბარდები საკრედიტო კოოპერატივები ფაქტორინგული და სალიზინგო კომპანიები და ა.შ.).
- ამან საფუძველი მოგვცა შემოგვეთავაზებინა ფინანსური ინოვაციების კლასიფიკაცია საფინანსო-საკრედიტო საქმიანობის სპეციფიკის მიხედ-

ვით, რომელიც მოიცავს სამ სახეობას:

- საბანკო ფინანსური ინოვაციები (რომლებსაც ნერგავენ მხოლოდ კომერციული ბანკები და მათთან გათანაბრებული არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები);
 - არასაბანკო ან პარაბანკის ფინანსური ინოვაციები (რომლებსაც ნერგავენ მხოლოდ არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები, რომლებიც არ ექვემდებარებიან განმარტებას ბანკი);
 - უნივერსალური ფინანსური ინოვაციები (რომლებსაც ნერგავენ როგორც კომერციული ბანკები ასევე ყველა სახის არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები).
- ფინანსური ინოვაციების განვითარების შესწავლამ საშუალება მოგვცა ჩამოგვეყალიბებინა ფინანსური ინოვაციების განვითარების ძირითადი ტენდენციები საქართველოში:
1. ხდება ფინანსური ინოვაციების ტექნოლოგიზაცია და ვირტუალიზაცია;
 2. საბანკო ბაზარზე ინოვაციები გახდებიან კონკურენციის ძირითადი ინსტრუმენტი და საბანკო პროდუქტის დიფერენციაციის საშუალება და კონკურენციის ხასიათის და ინტენსივობის ამაღლების ცვლილების ფაქტორი;
 3. ინოვაციურობა ხდება ახალი საბანკო კულტურის ელემენტი; ფინანსური ინოვაციების დანერგვის აუცილებლობა ნაკარნახევია მოსახლეობის მოთხოვნილებებით.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. ვიკული, ვ. საბანკო ინოვაციების ტიპოლოგია [ტექსტი] / ვ.ვიკული // ფინანსური მენეჯმენტი. - 2014. - № 6. - გვ. 15-23.
<http://www.bis.org/publ/bppdf/bispap01a.pdf>
2. Хоминич, И. Инновационный менеджмент банковской деятельности[Текст] / И.П. Хоминич // Банковские услуги. - 2000. - № 3. - С.17.
http://www.syntelinc.com/uploadedFiles/Syntel/Digital_Lounge/White_Papers/Syntel_Gartner_Payments.pdf.
<http://www.banki.ru/blog/yantipov>
Найт, Ф.Х. Риск, неопределенность и прибыль/ русულად თარგმანი/ ეკონომიკის ევოლუციის ცენტრი, გამომცემლობა „Дело“, 2013. 360 გვ.

ბანკებსა და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებში ფინანსური ინოვაციების სახეები

ალეკო ქუთათელაძე
სტუ-ს პროფესორი

რუს უდან ნიკურაძე
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

2020 წლამდე საქართველოს გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციაში ერთერთ სტრატეგიულ, სახელმძღვანელო ორიენტირს წარმოადგენს ინოვაციურ, სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკური ტიპის განვითარებაზე გადასვლა. თანამედროვე პოსტ-ინდუსტრიულ ეკონომიკაში, მატერიალური წარმოების სფეროსთან ერთად, ინოვაციათა დანერგვის ერთერთი უმნიშვნელოვანესი სამიზნე ფინანსური სფეროცაა. ფინანსური ინოვაციები არა მხოლოდ დადებით გავლენას ახდენს საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებაზე, არამედ ხელს უწყობს მოსახლეობის სასიცოცხლო მოთხოვნილებების სრულად დაკმაყოფილებას და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

თუმცა ამჟამად ფინანსური ინოვაციების დანერგვის ინიციატორები არა მხოლოდ ბანკები არიან. განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელია არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების როლის მნიშვნელოვანი ზრდა.

არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების მზარდი ექსპანსია, რომლებიც საბანკო სექტორის სრულფასოვანი მონაწილეები არიან, იდენტური პროდუქციისა და მომსახურების შეთავაზებით აიძულებენ კომერციულ ბანკებს, არა მარტო გააუმჯობესონ მომსახურების ხარისხი და შეთავაზებული პროდუქტები, არამედ განავითრონ ახალი სერვისები.

არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების მნიშვნელოვანი როლის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გამოიხატება იმაში, რომ 2013 წლის სექტემბრიდან ისინი ჩართულები არიან საქართველოს ცენტრალური ბანკის, როგორც მეგარეგულატორის იურისდიქციაში. ამრიგად, არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები გახდნენ საბანკო სისტემის ნაწილი არა მხოლოდ დეფაქტო, არამედ დეიურე.

ეს ყველაფერი იწვევს ფინანსური ინოვაციების ღრმა და ყოვლისმომცველ შესწავლის აუცილებლობას, რომელიც მოიცავს თეორიულ, მეთოდოლოგიურ და გამოყენებითი საკითხების დამუშავებას, განვითარების საკითხების შესწავლასა და ღრმა ანალიზს როგორც საბანკო, ასევე არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების სფეროში.

ბანკებსა ან არასაბანკო საკრედიტო ორგანიზა-

ციებში საკუთრივ ფინანსურ ინოვაციების განვითარებისათვის აუცილებელია მათ თან ახლდეს დაკავშირებული ორგანიზაციული, ინფორმაციული, ტექნოლოგიური და სხვა ინოვაციების კომპლექსი. ამ თვალსაზრისით, ფინანსური ხასიათის ინოვაცია იქნეს მულტიკონპონენტურ ხასიათს, სადაც დომინირებს საბანკო (პარასაბანკო) მომსახურების ან პროდუქტის ფულადი ბუნება და კომპლემენტარული ხასიათის თანმდევი ინოვაციები, რომლებიც ხელს უწყობენ მომსახურების (პროდუქტის) მომხმარებელამდე მიტანას.

TYPES OF FINANCIAL INNOVATIONS IN BANKS AND NON-BANK ORGANIZATIONS

Kutateladze Aleko
Professor of GTU
Nikuradze Rusudan
PHD student of GTU

RESUME

One of the strategic guidelines for the concept of Georgia's long-term socioeconomic development until 2020 is to move towards innovative, socially oriented economic development. In the modern post-industrial economy, along with the field of material production, the introduction of innovation is also one of the most important targets in the financial field. It contributes to the economic development of the society, but also helps to fully meet the vital needs of the population and raise the living conditions of the population.

However, not only banks are the initiators of the introduction of financial innovations. The modern stage of development is characterized by a significant increase in the role of non-bank credit organizations.

The growing expansion of non-bank credit organizations, which are full-fledged participants in the banking sector, by offering identical products and services are forcing commercial banks not only to improve the quality of services and products offered, but also to develop new services. Raising awareness about the important role of non-bank credit organizations is reflected in the fact since September 2013, they have been involved in the jurisdiction of the Central Bank of Geor-

gia as a regulator. Thus, non-bank credit organizations have become part of the banking system not only defacto but also dejure.

All of leads to the need for in-depth and comprehensive study of financial innovation, which

includes the development of theoretical, methodological and applied issues, the study of development issues and in-depth analysis in the field of both banking and non-bank credit organizations.

In order to develop their own financial innovations in banks and non-bank organizations, it is necessary for them to be accompanied by a complex of organizational, informational, technological and other innovations. In this sense, the innovation of a financial nature acquires a multicomponent nature, dominated by the monetary nature of the banking (para-banking) service or product and the accompanying innovations of a complementary nature that facilitate the delivery of the service (product) to the customer.

ძირითადი ტექსტი

ქართული ეკონომიკის ტრანსფორმაციისა და გლობალიზაციის პირობებში იზრდება ინოვაციების როლი და მნიშვნელობა. ამჟამად ეკონომიკის ინოვაციური განვითარება ბევრ ქვეყანაში განიხილება, როგორც ეკონომიკური ზრდის ერთერთი მთავარი გზა და კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა. ახალი საბანკო მომსახურების ტექნოლოგიები ნარმოგვიდგებიან, როგორც ინოვაციები, რომლებიც უფრო მძლავრი პროცესის შემადგენელი ნაწილია, რომელიც მთელ მსოფლიო ეკონომიკას მოიცავს. აქედან გამომდინარე, ჩვენ თავდაპირველად უნდა მივმართოთ ზოგად თეორიულ საკითხებს.

ინოვაციისა და ინოვაციური საქმიანობის როლის თანამედროვე გაგებას დიდი ისტორია აქვს. ერთი ეპოქიდან მეორეში გადასვლისას გაიზარდა მეცნიერების როლი საკრედიტო ინსტიტუტების ფუნქციონირებაში.

ინოვაციების შესახებ ეკონომიკურ შეხედულებები ცნობილია ჯერ კიდევ ანტიკური დროიდან. ასე, ფილოსოფოსი პლატონი თავის ნაშრომში „სახელმწიფო“, აღნიშნავდა, რომუნდა აკრძალულიყო სესხები გარკვეული საპროცენტო გადასახადით, რადგან თვლიდა, რომ აღმოიფხვრებოდა კონკურენცია და დაპირისპირება, ხოლო სესხები აღარ იქნებოდნენ საჭირო, ისევე როგორც ოქრო და ვერცხლი, აიკრძალებოდა კრედიტები და შესაბამისი პროცენტები.¹

პირველად „ინოვაციის“ გაგება გამოჩნდა კულტუროლოგების კვლევებში და გულისხმობდა ერთი კულტურის ზოგიერთი ელემენტის დანერგვას მეორე კულტურაში. ტრადიციული ცხოვრების წესის სრულყოფის პროცესში შესწავლილ იქნა ტექნიკური,

ტიქნოლოგიური, ორგანიზაციული, ეკონომიკური და სხვა ინოვაციების კანონზომიერებები. ამჟამად, აქტუალურია ინოვაციების შესწავლა ეკონომიკური თვალსაზრისით.

საკუთარ ნაშრომში „ეკონომიკური განვითარების თეორია“ (1911 წ.),² ავსტრიელმა ეკონომისტმა იოზეფ შუმპეტერმა პირველად განიხილა განვითარების ცვლილებების ახალი კომბინაციების საკითხები (მაგალითად, ინოვაციური საკითხები), რაც ინოვაციური პროცესის სრულ აღწერას წარმოადგენს და ამგვარად შემოგვთავაზა ტერმინი „ინოვაცია“.

ი. შუმპეტერის განმარტება არ არის ერთადერთი. ეკონომიკურ ლიტერატურაში, როგორც ქართულ ასევე უცხო ქვეყნებში, არსებობს ინოვაციის შინაარსის მრავალი ინტერპრეტაცია, რაც მოწმობს ამ სფეროში ზოგადად მიღებული ტერმინოლოგიის არარსებობას.

გარდა ამისა ხშირად ინოვაციების მრავალი განსაზღვრება მოწმობს იმას, რომ კვლევის ობიექტსა და საგანზე დამოკიდებულებით ინოვაციები შეიძლება განვიხილოთ როგორც სისტემა, (ჯ. შუმპეტერი), შედეგი (ფ. ნაიტი), ცვლილება (ამერიკული განმარტებითი ლექსიკონი), ინსტრუმენტი (პ.ფ. დრუკერი), პროცესი (ბ. ტვისს, ბ. სანტო, დ. მესსი, პ. კვინტას, ი. უკუი და პ. მაიერსი), ახალი პროდუქტი (ლ. მინდელი), რაც ხელს უწყობს ხარჯების შემცირებას.

ისევე როგორც სხვა ავტორები, ს. ბორიო, ფურფნე და ლაუი³ აქცენტს აკეთებენ არა უბრალოდ ინოვაციური საქმიანობის შედეგზე, არამედ, პირველ რიგში, ინოვაციური იდეების განხორციელების შედეგზე, ხოლო მეორე რიგში, მის პრაქტიკაში გამოყენებაზე და, მესამე რიგში, მითითებული მიზანი- მომხმარებელთა კონკრეტული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ჩვენი შეხედულებით, ეს არის ინოვაციის, როგორც ინოვაციური საქმიანობის შედეგის, ყველაზე სრულყოფილი განსაზღვრა.

ჰაიმან ნ. დავიდი⁴ ინოვაციას განსაზღვრავს როგორც „სამეცნიერო- ტექნიკური პროგრესის გამოვლინების ფორმას, ადამიანის შემოქმედებითი და ინტელექტუალური მუშაობის შედეგს, რომელიც უკავშირდება მისი საქმიანობის ყველა სფეროს განახლებას“.

ამ განმარტებას ეხმაურება ქართველი მეცნიერის, ე. ბარათაშვილის⁵ მიერ გაკეთებული გა-

2 Шумпетер, Й. Теория экономического развития. Капитализм, социализм и демократия / предисл. В.С. Автономова. - М.: ЭКСМО, 2007. - 864 с. 77.

3 Borio C. Procyclicality of the Financial System and Financial Stability: Issues and Policy Options [ელექტრონული რესურსი] / C. Borio , C. Furfne, P. Lowe // ხელმისაწვდომია: <http://www.bis.org/publ/bppdf/bispap01a.pdf>.

4 David, N. Hyman. Economics. Second edition. - Irwin, 1995. - 135 p.

5 ბარათაშვილი ე, ჩეჩელაშვილი მ. და სხ. ინოვაციური მენეჯმენტი. თბილისი 2014.-342

1 Платон, «Государство», <https://www.twirpx.com/file/1973437/>

ნსაზღვრებაც. იგი ასევე აღნიშნავს ინოვაციურ საქმიანობაში ადამიანის შემოქმედებითი და ინტელექტუალური შრომის მონაწილეობას.

მიუხედავად იმისა, რომ დასავლელი ავტორები, ისევე როგორც ე. ბარათაშვილი, ა. აბრალავა, ლ. ქოქიაური და სხვები აქცენტს აკეთებენ ადამიანის ინტელექტუალური შრომის გამოყენებაზე ინოვაციების შექმნის პროცესში, სადაც პრინციპული განსხვავება იმაშია, რომ ინოვაცია - არ არის პროცესი ან შედეგი, არამედ არის თავად ცვლილება, რომელიც ხდება ინოვაციური საქმიანობის შედეგად, ა. კოერი, მათ საპირისპიროდ, განასხვავებს ინოვაციური საქმიანობის პროცესსა და შედეგს. მისი აზრით, ინოვაცია - არის „პროცესი, რომლის საშუალებითაც ახალი იდეა ან ტექნოლოგია დაიყვანება პრაქტიკული გამოყენების ეტაპზე და იწყება ეკონომიკური ეფექტის მოცემა“. მოცემულ თვალსაზრისს იზიარებენ პ. უაიტი და ვ.რაპპორტი.⁶ მსგავსი განმარტებას იძლევიან ი. კუკი და პ. მიერსი⁷. მათი შეხედულებით, „ინოვაცია - ეს არის სრული პროცესი იდეიდან მზა პროდუქტამდე, როლის რეალიზაცია (გაყიდვა) ხდება ბაზარზე“⁸.

დ. მესსი, პ. კვინტასი და დ. უილდი ინოვაციას ორი პოზიციიდან განიხილავენ: ახალი პროდუქტის სახით, როგორც შედეგს, პროცესს ან სისტემას, და მეორე მხრივ - თავად პროცესს. ამგვარად, უკანასკნელი განმარტების მიხედვით - „პროცესი, რომელიც მოიცავს ისეთ საქმიანობას, როგორებიცაა კვლევა, დაპროექტება, შემუშავება და პროდუქციის წარმოების პროცესის ან სისტემის ორგანიზება“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს განმარტება მოიცავს ინოვაციური პროცესის ყველა ეტაპს, გარდა თავად ინოვაციის რეალიზაციისა, ანუ პოტენციურ მომხმარებელამდე მიყვანა, რათა მოხდეს ამ უკანასკნელთა საჭიროებების დაკმაყოფილება, რაც, ჩვენი აზრით, არ არის სწორი.

აღსანიშნავია, რომ ინოვაციები წარმოდგენილია სხვადასხვა დარგებში, მათ შორის ფინანსურ სფეროშიც. ეს არის ეგრეთ წოდებული ფინანსური ინოვაციები.

შურენბერგი სტატიაში „საბანკო საქმიანობის ინოვაციური მენეჯმენტი“ წერს, რომ ინოვაციებთან მიმართებაში ცნების „ფინანსური“ გამოყენება გულისხმობს ფულადი ურთიერთობების სისტემისად მიკუთნილებას, რომელიც გამოხატავს ფულადი სახსრების ფორმირებას და მათ გამოყენებას ფულადი მიმოქცევის წრებში.⁹ სხვა სიტყვებ-

6 Раппорт, В.Ш. Диагностика управления: практический опыт и рекомендации [Текст] /В.Ш. Раппорт. - М.: Экономика, 1988. - С. 24.

7 Cooke, I., Mayers, P. Introduction to Innovation and Technology Transfer / I. Cooke, P. Mayers. - Boston: Artech House, 1996. P. 32.

8 Месси, Д., Квинтас, П., Уилд, Д. Линейная модель инноваций: за и против. Трансфер технологий и эффективная реализация инноваций [Текст] /Д. Месси, П. Квинтас, Д. Уилд. - М.: АНХ, 1999. - С. 141

ბით რომ ვთქვათ, ფინანსური ინოვაციები არის საზოგადოებრივი წარმოების განვითარების ინსტრუმენტი. ავტორი აღნიშნავს, რომ სხვა ინოვაციებისგან განსხვავებით, ფინანსური ინოვაციებისათვის პრინციპულს წარმოადგენს, ფულის როგორც რესურსების გამოყენება მათი შექმნისა და დაწერვისათვის.

ე. შურენბერგს⁹ ფინანსური ინოვაციების ქვეშ ესმის „სიახლეების შემოტანა, რომლებიც ხელს უწყობდნენ ფინანსური სისტემის მუშაობის სრულყოფას“. ამ განმარტების თანახმად, ავტორი მიიჩნევს, რომ ფინანსური ინოვაციებს მიეკუთვნება:

1. ბანკომატი (ATM). პირველი ბანკომატი გამოჩნდა 1939 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ მოწყობილობიდან ფულადი სახსრების გამოტანა შესაძლებელი იყო, მაგრამ ანგარიშიდან ჩამოწერა შეუძლებელი, რადგანაც აღნიშნული ფუნქცია არ არსებობდა. 1967 წელს დიდ ბრიტანეთში Barclays-ში დამონტაჟდა ბანკომატის შედარებით უფრო დახვეწილი, მოდერნიზებული მოდელი. უნდა აღვნიშნოთ, რომ ფულადი სახსრების გამოსატანად გამოიყენებოდა, არა პლასტიკური ბარათები, რამედ სპეციალური ვაუჩერები. თანამედროვე ბანკომატი (ATM) - არის ავტომატიზებული კომპლექსი, რომელიც საშუალებას იძლევა მოვახდინოთ არა მარტო ფულადი სახსრების მიღება, არამედ გადავიხადოთ მომსახურების საფასური, გადავიყვანოთ თანხები ერთი ანგარიშიდან მეორეზე და ა.შ. საქართველოში, პირველი ბანკომატი (ATM) გამოჩნდა 1999 წელს;

2. საკრედიტო / სადებეტო ბარათი (credit and debit cards). სამომხმარებლო სესხების ბაზრის განვითარებამ გამოიწვია ბარათების ბაზარზე საკრედიტო ბარათის გამოჩენა, რაც გულისხმობდა ოპერაციების განხორციელებას, რომლებიც აჭარბებდნენ ანგარიშზე არსებულ თანხების რაოდენობას, მაგრამ ბანკის მიერ დადგენილი ლიმიტის ფარგლებში, სასესხო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. სადებეტო ბარათი განსხვავებით საკრედიტოსაგან გულისხმობს, რომ ბარათის მფლობელი ოპერაციებს აწარმოებს მხოლოდ ანგარიშზე არსებული თანხის ფარგლებში;

3. ფულის ბაზრის ფონდი (money market fund) წარმოადგენს ღია სახის საინვესტიციო ფონდს, რომელიც ხელს უწყობს ფულის ბაზრის მოკლევადიანი ვალდებულებებში შენატანების დაბანდებას. მაგალითად, სადეპოზიტო სერტიფიკატები, ფასიანი ქაღალდები და ა.შ. იგი მოქმედებს, როგორც ფინანსური შუამავალი მთავრობის მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდების შექმნისა და გაყიდვის დროს, აგრეთვე მისი აქციონერებისათვის ჩეკების მომსახურების სფეროში;

4. ინდექსური ურთიერთ ფონდი (index mutual fund) არის ურთიერთ ფონდის სახესხვაობა და გუ-

9 Schurenberg, E. Eight financial innovations to believe in [ელექტრონული რესურსი] - წვდომის რეჟიმი: moneywatch.bnet.com. (მომართვის თარიღი 01/24/2015)

ლისხმობს ბაზრის ინდექსის მიხედვით მოქმედების გამოყენებას. ეს ნიშნავს იმას, რომ ფონდის პორტფელი შედგება იმავე აქტივებისაგან, რომლებიც შედიან მათ მიერ ინდექსის აღწარმოების შემადგენლობაში. ინდექსური ურთიერთ ფონდი წარმოადგენს ურთიერთობის ფონდის დახვეწილ სახესხვაობას. მის უმთავრეს უპირატესობას წარმოადგენს - ბაზრის დონეზე დაბალი საკომისიო გადასახადი და მომგებიანობა. გრძელვადიან პერსპექტივაში იგი პასიური ინვესტირების დაბალხარჯან ინსტრუმენტს წარმოადგენს;

5. აშშ-ში ალტერნატიული საპენსიო გეგმა - 401 (k). მოცემულმა პროგრამამ დასახელება მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების საგადასახადო კოდექსის მუხლის ნომრის მიხედვით, რომელიც თანამშრომლებს საშუალებას აძლევდა, საკუთარი ხელფასის ნაწილი შეეტანათ ბონუსის და საკომპენსაციო გადახდების სახით დაგროვებითი საპენსიო დაზღვევის ანგარიშებზე, საშემოსავლო გადასახადის გადახვამდე, სამუშაო ადგილზე დაფუძნებული საპენსიო გეგმების ფარგლებში განსაზღვრული შენატანებით. უნდა აღინიშნოს, რომ დამსაქმებლებს ასევე შეუძლიათ თავიანთი თანამშრომლების ანგარიშებიდან, ნებაყოფლობით საფუძველზე, განახორციელონ გადახდები 10 დან 100% -მდე. წლიური შენატანების მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს \$ 9,000. ყველა შეტანილი ფულადი სახსრები შეიძლება ინვესტირებული იქნეს აქციების განთავსების რამდენიმე ფონდებში, ობლიგაციებში, ფულადი ბაზრის ფონდებში და ა.შ. თანამშრომლებს შეუძლიათ აკონტროლონ ფულადი სახსრების განთავსება წელიწადში ერთხელ. 59.5 წლის ასაკის დადგომამდე თანხის განაღდება დროს, გადასახადელი პენია შეადგენს 10%. წინააღმდეგ შემთხვევაში - გადასახადი ჩვეულებრივია. გამონაკლისს წარმოადგენს გარდაცვალების შემთხვევა, ინვალიდობა, სამსახურიდან დათხოვნა და სხვა საგანგებო ვითარება. მოცემული პროგრამა მომუშავეებს შორის სარგებლობს მოთხოვნით, რადგან საშუალებას აძლევს, თნების განთავსების პასუხისმგებლობა გადაიტანონ თავად მუშაკებზე.

პირველი ორი პუნქტი მიეკუთვნება საბანკო ინოვაციებს, დანარჩენი პარაბანკის (არასაბანკო ორგანიზაციების) ინოვაციებს.

ი. ჰომინიჩი¹⁰ ფინანსური ინოვაციების შინაარსს განიხილავს როგორც "ახალ ფინანსურ ინსტრუმენტს, რომელიც ემსახურება ფულადი სახსრების გადანაწილების ფორმას, რომელიც ატარებს ლიკვიდურობისა და შემოსავლიანობის გარკვეული სახის რისკებს, რაც შეესაბამება კრედიტორების, ინვესტორების, მსესხებლებსა და ფინანსურ ბაზარზე სხვა მონაწილეების მოთხოვნილებებს"¹¹. ამ თვალსაზრისით ფინანსური ინოვაცია შეიძლება განხილული იქნეს როგორც:

- ახალი ფინანსური პროდუქტები;
- ახალი სერვისები;
- წარმოების ახალი პროცესები;
- ახალი ორგანიზაციული ფორმები.

ახალი ფინანსური პროდუქტის მაგალითს შეიძლება უწოდოთ ბირჟის ინდექსური ინსტრუმენტი და ნებისმიერი ახალი ტიპის კრედიტები, მაგალითად, ექსპრესს დაკრედიტება.

ახალი ფინანსური მომსახურება (სერვისი) - ეს არის ფასიანი ქალაქდებით ონლაინ ვაჭრობა, ინტერნეტ-ბანკინგი, მობილური ბანკინგი.

თანამედროვე საბანკო საქმეში სხვადასხვა ინოვაციებს ასახავს მათი კლასიფიკაცია. ინოვაციური საქმიანობის მიზნებისა და შედეგების დაკონკრეტების მიზნით, აგრეთვე მისი შესაძლო გამოვლინებების სისტემატიზაციის მიდგომები, საჭიროებს ინოვაციების სრულყოფილ კლასიფიკაციას. ასეთი კლასიფიკაციის შემუშავება უზრუნველყოფს კვლევის საგანის უფრო სრულყოფილ და მთლიან გაგებას და საშუალებას იძლევა, გამოვავლინოთ პრობლემური ურთიერთკავშირები, სხვადასხვა ჯგუფებს და ფინანსურ ინოვაციებს შორის თანაფარდობა. ინოვაციების სფეროში სხვადასხვა ავტორის კვლევის საფუძველზე შევეცდებით, მათი მთელი სპექტრი მივიყვანოთ გარკვეული სტრუქტურის ჩამოყალიბებამდე და გამოვავლინოთ მათ ქცევაზე გავლენის მქონე ძირითადი კანონზომიერებები. შემდგომში წარმოდგენილი კლასიფიკაციები მოიცავენ მათ მთლიან სიმრავლეს განსხვავებულ ქრილებში, რითაც უზრუნველყოფენ კლასიფიკაციის საგნის ყოველმხრივ გაგებას. აღნიშნული გარკვეულწილად განმარტავს კლასიფიკაციის ქვესიმრავლეების ერთგვარ ერთმანეთთან გადაკვეთას. განვიხილოთ ფინანსური ინოვაციების არსებული კლასიფიკაცია ეკონომიკურ ლიტერატურაში და შეთავაზოთ საკუთარი.

უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსური ინოვაციების შემუშავების სამამულო პრაქტიკა ეფუძნება საერთაშორისო გამოცდილებას და საქართველის კანონმდებლობას. ეს ნიშნავს, რომ საქართველის საკრედიტო ორგანიზაციებმა შეიძლება მიიღონ დამატებითი შემოსავლები კანონით გათვალისწინებული გარიგებებისა და ოპერაციების განხორციელების გზით. მაგალითად, მსოფლიო პრაქტიკაში, ჩვეულებრივად გამოყოფენ საბანკო სექტორში ფინანსური ინოვაციების შემდეგი სახეობებს:

- პროდუქცია ახალ სემენტებში: ინვესტიციები უძრავ ქონებაში, სადაზღვევო ბიზნესი, ფინანსური ლიზინგი, სატრასტო ოპერაციები;
- ისეთი ინოვაციები, როგორცაა: ფასიანი ქალაქდების ბაზარი, ფინანსური ფიუჩერსები, ფინანსური ოპციონები, არაკოტირებული ფასიანი ქალაქდების ბაზრები;
- ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობით ნაღდი ფულადი სახსრების მართვის გამოყენება;

10 Хоминич, И. Инновационный менеджмент банковской деятельности[Текст] / И.П. Хоминич // Банковские услуги. - 2000. - № 3. - С.17.

- ფინანსური შუამავლობის სერვისი, რომელიც მიზნად ისახავს საოპერაციო ხარჯების შემცირებას, აქტივების და ვალდებულებების უფრო ეფექტურ მართვას: სადეპოზიტო სერტიფიკატები, ფულის ბაზრის სადეპოზიტო ანგარიშები;

- ახალი პროდუქტი სასახო კაპიტალის ბაზრის ტრადიციულ სეგმენტებში: ფულის მცურავი საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტები, სვოპები, ღრმა დისკონტის მქონე ობლიგაციები, სერიული ობლიგაციები და ა.შ., აგრეთვე ფულის ბაზრის ინსტრუმენტები რომლებსაც გააჩნიათ როგორც კაპიტალის ასევე სასახო ფულადი საშუალებების მახასიათებლები (სესხები და მონაწილეობის ობლიგაციები, საინვესტიციო სერტიფიკატები)¹⁶.

დღეისათვის შეიძლება შევხვდეთ სხვადასხვა სახის ფინანსური ინოვაციებს. გამოყოფენ პროდუქტულ ინოვაციებს, რომლებსაც მიეკუთვნება ცვლილებები პროდუქტებში; ტექნოლოგიური - ცვლილებები წარმოების საშუალებებსა და მეთოდებში. მსგავსი კლასიფიკაცია შეგვიძლია ვიხილოთ სახელმძღვანელოში ლ.ქოქიაურის რედაქციით. განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ ტექნოლოგიურების ნაცვლად გამოყოფილია პროცესული ინოვაციები. ამავდროულად, შემოღებული ცვლილებების სიღრმეზე დამოკიდებულებით გამოყოფენ რადიკალურ ან საბაზო, გამაუმჯობესებელ და მოდიფიკაციურ ან კერძო ინოვაციებს. რადიკალური ინოვაციები - ეს არის პრინციპულად ახალი პროდუქტების, სერვისებისა და ტექნოლოგიების შექმნა და დანერგვა, რომლებიც წარმოადგენენ ორგანიზაციის საქმიანობის საფუძველს. გამაუმჯობესებელი ფინანსური ინოვაციები - ეს არის უკვე არსებული პროდუქტის, მომსახურების, ტექნოლოგიების გაუმჯობესება, ხოლო მოდიფიკაციური - არის უკვე არსებული პროდუქტის და ტექნოლოგიების გაუმჯობესება.

ჩვენი შეხედულებით, პრინციპული განსხვავება გამაუმჯობესებელ და მოდიფიკაციურ ინოვაციებს შორის არის ცვლილების ობიექტის მიმართ დამოკიდებულებაში. პირველ შემთხვევაში, შეიძლება იყოს რამდენიმე პროდუქტი ან ტექნოლოგია, ხოლო მეორე შემთხვევაში - მხოლოდ ერთი პროდუქტი, მომსახურება ან ტექნოლოგია.

ე. ბარათაშვილი და მ. ჩეჩელაშვილი გვთავაზობენ ინოვაციების კლასიფიკაციას გავრცელებულობის, უწყვეტობის, სავარაუდო საბაზრო წილის მუცულობის, ინოვაციური პოტენციალისა და სიახლის დონის მიხედვით. ამგვარად, ინოვაციების გავრცელების მიხედვით, ინოვაციები დაყოფილია ერთეულ ინოვაციად და დიფუზური სახის ინოვაციებად. უწყვეტობის მიხედვით:

- ჩამნაცვლებელი (საკრედიტო კავშირები, რომლებიც განახორციელებენ ცალკეულ ოპერაციებს და ამით ქმნიან ბანკებთან კონკურენციას)
- გამაუქმებელი (მაგალითად, უნაღდო ანგარიშსწორების მიმოქცევაში გადასვლა),

- დაბრუნებადი,
- გამსხნელი (მაგალითად, ახალ ბაზრებზე გასვლა)

- რეტრო სიახლეების შემოტანა.

ინოვაციების კლასიფიცირება სიახლეების დონის და სავარაუდო საბაზრო წილის მოცულობის ათვისების მიხედვით გვთავაზობენ ევროპელი ავტორებიც. დანვრილებით შევჩერდებით კლასიფიკაციაზე, რომელსაც ვ. ვიკული გვთავაზობს. იგი გამოყოფს ინოვაციების შემდეგ ჯგუფებს:

- რადიკალური (ძირითადი), - რომელიც გულისხმობს და ეფუძნება რადიკალურად ახალი ტიპის პროდუქტისა და მომსახურების დანერგვას, ხარისხობრივად ახალ ტექნოლოგიების გამოყენებას, მათ განხორციელებას და აბსოლუტურად ახალი მართვის მეთოდების გამოყენებას (მაგალითად, CRM- სისტემები (Customer Relationship Management), რომლებიც მიმართულია მომხმარებელთან თანამშრომლობაზე. ამისათვის ხდება მომხმარებელთა დაყოფა რიგი ნიშან-თვისების მიხედვით, აგროვებენ საჭირო ინფორმაციას იმისათვის, რომ უკეთესად გაიგონ როგორც რეალური, ასევე პოტენციური კლიენტები და მოახდინონ მათი „აღზრდა“ ყველაზე უფრო ლოიალურ კლიენტებად). ჩვენი შეხედულებით, არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებში, რადიკალური ფინანსური ინოვაციების მაგალითად, შეიძლება ჩაითვალოს მიკროსაფინანსო კომპანიების შექმნა. ისინი გვთავაზობენ მოკლე დროში გაცვით ფულადი საშუალებები დოკუმენტების მინიმალურ პაკეტის თანხლებით;

- კომბინატორული, ანუ რაც გულისხმობს არსებული მრავალი სხვადასხვა ელემენტების სხვადასხვა კომბინაციების გამოყენებას (სხვადასხვა ტექნოლოგიების კომბინირება რაც გულისხმობს მოგვიანებით, ერთიანი პროდუქტის სახით მომსახურების ერთიან პაკეტის მიწოდებას). კომბინატორული ინოვაციების მაგალითი იყო სალიზინგო სქემები, რომლებიც საკუთრ თავში მოიცავენ საკრედიტო, საარენდო და დაქირავებული ურთიერთობების ნიშნებს რომლებსაც გვთავაზობენ ბანკები და სალიზინგო კომპანიები დამოუკიდებელი პროდუქტის სახით;

- მამოდიფიცირებელი, რომელიც მოწოდებულია კომერციული ბანკების და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების უკვე არსებულ პროდუქტებში აუცილებელი ცვლილებების შესატანად მათი სასიცოცხლო ციკლის გასაგრძელების მიზნით (დამატებითი ფასდაკლების ბარათების გაცემა ან ბარათების გაცემისას დეპოზიტების შენარჩუნების უზრუნველყოფა).

გარდა ამისა, ეს შეიძლება იყოს სხვადასხვა ახალი საკრედიტო, სადეპოზიტო პროდუქტები. ასე რომ, ჩვენი აზრით, ბანკებში მამოდიფიცირებელ ფინანსურ ინოვაციად შეიძლება ჩაითვალოს ექსპრესს დაკრედიტება. სინამდვილეში, ეს არის გაუმჯობესებული კლასიკური კრედიტი. განსხვავება

ცხრილი 1. ფინანსური ინოვაციების კლასიფიკაცია (სავტორო)

კლასიფიკაციის საფუძველი	ფინანსური ინოვაციის სახეობა
ტექნოლოგიური პარამეტრები	პროდუქტიული: - საკუთრივ პროდუქტიული, - გაყიდვების; ტექნოლოგიური;
ცვლილებების ხასიათი	- ევოლუციური; - რევოლუციური
საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობის სპეციფიკა	- საბანკო საფინანსო ინოვაციები - არასაბანკო საფინანსო ინოვაციები - უნივერსალური.

მდგომარეობს განაცხადის განხილვის ვადაში, დოკუმენტაციის პაკეტში. კომერციულმა ბანკებმა ამგვარი სახით შექმნეს ისეთი პროდუქტი, რომელიც აკმაყოფილებს კლიენტების ახალ მოთხოვნებს, რომლებიც აფასებენ დროს. არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებში და სამომხმარებლო კოოპერატივის მიერ შემოთავაზებული სხვადასხვა სახის კრედიტები შეიძლება გახდეს მამოდიფიცირებელი ინოვაციების მაგალითი. მაგალითად, საკრედიტო სამომხმარებლო კოოპერატივი „ექსპრეს კრედიტი“ გვთავაზობს პროგრამას „ავტონ1“. სესხის ოდენობა შეადგენს 101 000-დან 600 000 ლარს 120 თვემდე ვადით 36% წელიწადი გადასახადით. სესხის უზრუნველყოფად შეიძლება გამოყენებულიქნას მანქანა, მოტოციკლი, წყლის მოტორიზებული ტექნიკა და სპეცტექნიკა.

მამოდიფიცირებლების ნაცვლად, გამოყოფენ სრულყოფის ინოვაციებს რომლებიც, ჩვენი აზრით, არ ცვლის კლასიფიკაციის არსს, რადგან მოდიფიკაცია, ისევე როგორც სრულყოფა, ნიშნავს რაღაცის გაუმჯობესებას, და ტრანსფორმაციას.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ინოვაცია შეიძლება კლასიფიცირებული იყოს წარმოშობის მიზეზების მიხედვით. ამ კლასიფიკაციით გამოიყოფა რეაქტიული და სტრატეგიული ინოვაციები¹¹. რეაქტიული ინოვაციები - წარმოადგენს ინოვაციებს, რომლებიც მიზნად ისახავს ბაზარზე არსებული საკრედიტო ორგანიზაციის მდგომარეობის შენარჩუნებას. როგორც ვ.ს. ვიკულოვი, აღნიშნავს ისინი ძირითადად წარმოადგენენ რეაგირებას ინოვაციებზე, მაგალითად, კონკურენტ ბანკში. ეს არის ეგრეთ წოდებული. თავდაცვითი სტრატეგია. მოგვების მნიშვნელოვანი წილის დანაკარგების გადალახვის მიზნით, სხვა ბანკები, რომლებმაც გაიღეს გარკვეული ხარჯები, ვალდებულები არიან განახორციელონ გარკვეული სახის ტექნოლოგიური პროცესების ან შემოთავაზებული პროდუქტების სპექტრის განახლება იმისათვის, რომ მიღწეულიქნას დანახარჯების და ეფექტურობის ახალი თანაფარდობა.

11 ვიკული, ვ. საბანკო ინოვაციების ტიპოლოგია [ტექსტი] / ვ.ვიკული // ფინანსური მენეჯმენტი. - 2014. - № 6. - გვ. 15

ბანკებსა და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებში ამის მაგალითად გამოდგება ინტერნეტ ბანკინგის შემოღება. აღნიშნული საფინანსო ინოვაციების დანერგვამ ერთი ბანკში იძულებული გახადა დანარჩენი საკრედიტო ორგანიზაციები, რომელთაც სურთ საკუთარი პოზიციები შეინარჩუნონ საბანკო მომსახურების ბაზარზე, საკუთარ საქმიანობაში ასევე დაენერგათ ინტერნეტ-ბანკინგი.

სტრატეგიული ინოვაციები წარმოადგენენ ინოვაციებს, რომლებსაც მომავალში მოაქვთ კონკურენტული უპირატესობის მოპოვების საშუალება. ამჟამად არსებული სახის ინოვაციის დანერგვის მაგალითად შეიძლება წარმოგვიდგეს დისტანციური ანგარიშების მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვა და ამ პროდუქტის შეთავაზება თავის მომხმარებლისათვის. მაგალითად, როდესაც ბანკმა A ან სამომხმარებლო კავშირმა დაენერგა მობილური ბანკინგი, მან მიიღო კონკრეტული უპირატესობები სხვა საკრედიტო ორგანიზაციებთან შედარებით. სტრატეგიული ინოვაციების გატარების შედეგად, ბანკი A ან სამომხმარებლო გაერთიანებამ ახალ კონკურენტულ პოზიციებზე გადაინაცვლა. ამგვარი სახის ინოვაციად თავის დროზე მოგვევლინა ბანკების შემოსვლა საერთაშორისო საგადასახადო სისტემებში Visa International, Master Card International და ა.შ., იმისათვის, რომ მოეხდინათ საკუთარი პლასტიკური ბარათების გამოშვება.

უნდა აღინიშნოს, რომ ფუნდამენტურ ინოვაციებს წარმოადგენენ რადიკალური ან საბაზისო ინოვაციები, რადგან მათ აქვთ ყველაზე მნიშვნელოვანი ეფექტი, რითაც საკრედიტო ორგანიზაციის ფუნქციონირებაში შემოაქვთ რაღაც პრინციპულად ახალი. ამავე დროს, ისინი პირველადები არიან კომბინატორული და მოდიფიცირების თვალსაზრისით, რადგან ამ უკანასკნელის ძირითადი დანიშნულება არის უკვე არსებული და დანერგილი, მაგრამ მოძველებული ინოვაციების კორექტირება.

ჩვენი აზრით, საბანკო სექტორში წარმოდგენილი ფინანსური ინოვაციების წარმოდგენილი კლასიფიკაციას შეიძლება დაემატოს ცხრილი 1-ში მოყვანილი მონაცემები.

დასკვნა

ბანკებსა და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებში ფინანსური ინოვაციების განვითარების თეორიული საფუძვლების განხილვამ საშუალება მოგვცა გაგვეკეთებინა დასკვნა, რომ ფინანსური ინოვაციების არსი შეიძლება განვიხილოთ მათი ფინანსური ბუნების და გამოყენების სფეროს პოზიციიდან: ესენია ბანკები და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები. საკუთრი ფინანსური ხასიათის მიხედვით, ისინი წარმოადგენენ ინოვაციური საქმიანობის შედეგს, რომელიც ეფუძნება ფულს და მის მოძრაობას და ფულად ურთიერთობებს. ამ შემთხვევაში ობიექტი უნდა გვესმოდეს როგორც ფინანსური აქტივები, მეთოდოლოგიები, ინსტრუმენტები, მეთოდები, ტექნოლოგიები და ა.შ.

ფინანსური ინოვაციების განვითარების შესწავლამ საშუალება მოგვცა ჩამოგვეყალიბებინა ფინანსური ინოვაციების განვითარების ძირითადი ტენდენციები საქართველოში:

1. ხდება ფინანსური ინოვაციების ტექნოლოგიზაცია და ვირტუალიზაცია;

2. საბანკო ბაზარზე ინოვაციები გახდებიან კონკურენციის ძირითადი ინსტრუმენტი და საბანკო პროდუქტის დიფერენციაციის საშუალება და კონკურენციის ხასიათის და ინტენსივობის ამაღლების ცვლილების ფაქტორი;

3. ინოვაციურობა ხდება ახალი საბანკო კულტურის ელემენტი; ფინანსური ინოვაციების დანერგვის აუცილებლობა ნაკარნახევია მოსახლეობის მოთხოვნილებებით).

ბამოყენებული ლიტერატურა

1. ბარათაშვილი ე., ჩეჩელაშვილი მ. და სხ. ინოვაციური მენეჯმენტი. თბილისი 2014.-342

2. Викулов, В.С. Типология банковских инноваций [Текст] / В.С. Викулов // Финансовый менеджмент. - 2014. - № 6. - С. 14

3. Банковский менеджмент [Текст] / под ред. О.И. Лаврушина. - М.: КНОРУС, 2010. - С.501

4. ვიკული, ვ. საბანკო ინოვაციების ტიპოლოგია [ტექსტი] / ვ.ვიკული // ფინანსური მენეჯმენტი. - 2014. - № 6. - გვ. 15-18

უძველესი მეტალურგიული წარმოება და პალეოეკონომიკა

გივი ინანიშვილი
სტუ-ს პროფესორი

თინათინ წერეთელი
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

წარმოდგენილია უძველესი ბრინჯაოს მეტალურგია-ლითონდამუშავების სანარმოთა სამუშაო-ორგანიზაციული სისტემის განვითარების სქემა, მისი ადგილი პალეოეკონომიკის სისტემაში. მოცემულია პალეომეტალურგიის კვლევის მეთოდთან დაკავშირებული მეტალურგიული კერისა და ცენტრის შესაბამისი დიფერენცირებული განმარტება.

ბრინჯაოს ხანის კოლხეთის ფერადლითონდამუშავების ისტორიული განვითარების ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით, განსაზღვრულია ადგილობრივი სამთო-მეტალურგიული კომპლექსებისა და მეორად სანარმო-სახელოსნოთა ადგილი კავკასია-ევრაზიის ბრინჯაოს კულტურის გავრცელების არეალში.

საკვანძო სიტყვები: მეტალურგია, პალეომეტალურგია, ბრინჯაო, ლითონდამუშავება.

ANCIENT METALLURGICAL PRODUCTION AND PALEOECONOMICS

Givi Inanishvili,
GTU Professor
Tinatin Tsereteli,
PhD student at GTU

RESUMES

The development scheme for the operational and organizational system of metallurgical and metalworking enterprises of the ancient Bronze Age is presented. Its place in the pale economic system is provided by the corresponding differentiated definition of the metallurgical hearth and the center associated with the method of pale metallurgical research.

The location of local mining and metallurgical complexes and the secondary enterprises and workshops has been determined in the area of outreach of Caucasus-Eurasian bronze culture, based on the results of analysis of the historical development of non-ferrous metalworking in the Colchis of the Bronze Age.

Keywords: Metallurgy, Paleometallurgy, Bronze, Metalworking.

* * * *

წინაისტორიული პერიოდის მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების ძირითადი საფეხურები მეტალურგიულ გადამამუშავებას და სხვადასხვა დანიშ-

ნულების არტეფაქტების შექმნის ტექნოლოგიური სქემის შემუშავებას უკავშირდება.

ძველი მეტალურგიული წარმოების სამუშაო-ორგანიზაციული სტრუქტურის განსაზღვრისა და ძირეული ტექნოლოგიური პროცესების კომპლექსური ანალიზისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისტორიულ-ეკონომიკურ მონაცემებს, რომლებიც უძველესი სპილენძ-ბრინჯაოს სანარმოთა ფუნქციონირების ისტორიული თავისებურებებიდან მომდინარეობს.

პრობლემასთან დაკავშირებით, არსებითია უძველესი მეტალურგიისა და ლითონწარმოების აღმნიშვნელი ზოგიერთი თვალსაზრისი, რომელთა განსაზღვრის პრინციპებიდან გამომდინარე, შესაბამისი დიფერენციაციას განიცდის. არსებულ შეხედულებათა შინაარსი დაკავშირებულია ამა თუ იმ მეტალურგიული რეგიონის ისტორიულ-მეტალურგიული კვლევის მეთოდთან და ხშირ შემთხვევაში, არ ასახავს იმ ისტორიულ პროცესს, რომელსაც საკვლევი ობიექტი განეკუთვნება. ამდენად საჭირო ხდება ტერმინთა დაზუსტება, მათი მნიშვნელობის დიფერენცირებული განმარტება [Черных, 2005: 57-59; ინანიშვილი და სხვა. 2010: 47-48].

წინაისტორიული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი კოლექტიური საკუთრების ფორმებით, იქმნება წინაპირობა შრომისა და შექმნილი პროდუქტის გადანაწილების მექანიზმის განვითარებისათვის. მეტალურგიული წარმოება გამოეყოფა ეკონომიკური მეურნეობის სხვა მიმართულებებს და ვითარდება წარმოების განსხვავებული ორგანიზაციით, ნაწარმზე ცენტრალიზებული მოთხოვნით, გარე ბაზრის კანონზომიერებათა გავლენისა და გავლენის გარეშე.

საქართველო-კავკასიის რეგიონში, მეტალურგიის განვითარების ადრეულ ეტაპზე (ძვ. წ. V-IV ათასწლეულები) მეტალურგი ტომების არსებობის ერთ-ერთი ძირითადი წყარო მადნის მოპოვების, ლითონის მიღებისა და მზა პროდუქციის შექმნის პროცესის ორგანიზაციაა. მიუხედავად მოსახლეობის დიდი ნაწილის მესაქონლეობასა და მინათმომქმედებაში დასაქმებისა, შეიმჩნევა მეტალურგიით დაკავებული ადამიანთა ჯგუფების სანარმოო დანიშნულებით გამოყოფის პროცესი. უძველესი მეტალურგიის ჩასახვის პერიოდისათვის დამახასიათებელი გარემოპირობების ათვისების ემპირიული გამოცდილება და წარმოების განვითარების შესაძლებლობები, სანარმოო სამუშაოებათა ერთ სისტემაში გაერთიანების აუცილებლობას

განაპირობებს. უძველესი პალეომეტალურგია აერთიანებს საძიებო გეოლოგიის, სამთო საქმისა და ლითონის მიღების პროცესებთან დაკავშირებულ შრომითი საქმიანობის სპეციალისტებს.

მეტალურგიის განვითარების შემდგომ ეტაპზე (ძვ. წ. IV-III ათასწლეულები), ადრებრინჯაოს კულტურათა მატარებელი ტომები ითვისებენ განსახლებისათვის საჭირო გაცილებით დიდ გეოგრაფიულ სივრცეს. მათი გადაადგილება მიმდინარეობს მთისწინა ზოლისა და მთიანი გარემოს სიღრმეში, ფართოვდება მეტალურგიული წარმოების განვითარებისათვის საჭირო მეტალოგენურ სისტემათა ბუნებრივი სივრცე. მეტალურგ ტომთა განსახლების არეალში შემოდის ლითონგამდნებათა სისტემების ახალი ნაწილი, რომელთა დამუშავება მოითხოვს მადანგამოსავალთა ძიებას, პრაქტიკულ გამოყენებას და მადნის საჭირო რაოდენობით მოპოვებას. ტომთაშორისი ეკონომიკური კავშირები არეგულირებს მოთხოვნილებას ლითონის ნაწარმზე. მადნის რესურსებისა და სანავის პირველადი წყაროს, ტყიანი ზოლის დიდი რაოდენობით ათვისება იწვევს მოსახლეობის ერთი ნაწილის გადაადგილებას. ჩნდება ცალკე საძიებო-სამთამადნო საქმესა და უშუალოდ ლითონის მიღების პროცესთან დაკავშირებულ ადამიანთა გაერთიანებები, მადნის გამდიდრების, ხის ნახშირის, დამზადებისა და სანარმოო ქურის მოქმედების პროცესთა რეგულირებით. მეტალურგიული ქურა, სანარმოო კერა იმართება იქ, სადაც ადვილად მოსახერხებელია მადნისა და სანავის ტრანსპორტირება.

სანარმოო მასშტაბების ზრდასთან ერთად ვითარდება მეტალურგიულ გაერთიანებათა სპეციალიზაციის პროცესი. მომდევნო ისტორიულ პერიოდში (ძვ. წ. II ათასწლეული) მეტალურგი ტომების მოსახლეობის ძირითადი ნაწილი დაკავებულია ლითონის მიღება-დამუშავებით. საერთო მეტალურგიული წარმოებიდან მეორადი ცენტრების შექმნის და სინქრონულად საჩამოსხმო და სამჭედლო საქმის გამოყოფის არსებითი ისტორიული პროცესი ორი ასპექტით განისაზღვრება: პირველი უშუალოდ უკავშირდება ჭარბი პროდუქტის შექმნას ნახევარფაბრიკატების, ნამზადების, სხმულების, ზოდების სახით, რაც იწვევს სამჭედლო საქმის გამიზნულ დაშორებას მადნიდან ლითონის მიღების პროცესისაგან. მეორე ასპექტი განსაზღვრულია გარე სამყაროსთან ტომთაშორისი საბაზრო ურთიერთობების განმტკიცება-გაფართოვებით, როდესაც ეკონომიკური განვითარების კანონზომიერი პრინციპები, სხმულისა და ნაჭედი პროდუქციის მაღალი ხარისხი და წარმოების მასშტაბების ზრდა, მოითხოვს მეორადი დამუშავების ცენტრების საჩამოსხმო და სამჭედლო სახელოსნოთა გაფართოება-გამოყოფის ორგანიზაციას.

მეტალურგიულ წარმოებაში ისტორიულად მიმდინარე ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური ცვლი-

ლებები მოითხოვს სანარმოო გაერთიანებათა ფუნქციური, გეოგრაფიულ-გავრცობითი, გარე სამყაროსთან სავაჭრო-კულტურული ურთიერთობითი და მოქმედებითი არეალის განსაზღვრისათვის საჭირო დიფერენცირებულ ტერმინოლოგიას.

ტექნიკის ისტორიის თვალსაზრისით, მეტალურგია და ლითონდამუშავება გარკვეულ რეგიონში იმ არსებული ბუნებრივი მონაცემების საფუძველზე ვითარდება, რომლებიც წარმოების ზონისთვისაა დამახასიათებელი. უძველესი მეტალურგიული ცენტრები ჩამოყალიბდა გეოგრაფიულ სარტყელში, სადაც განვითარებული იყო მდიდარი მეტალოგენური ზონები, ადგილობრივი სანავის, წყლისა და ცეცხლგამძლე თიხების რესურსის სახით და შეიქმნა წინაპირობა მეტალურგიის კერების არსებობისათვის. ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებით ჩამოყალიბებული მეტალურგი ტომები ავრცელებენ თავიანთ გავლენას მეზობელ თემებზე, უსწრებენ იქ მცხოვრებ მოსახლეობას მეურნეობრივ საქმიანობაში, აქტიურ გავლენას ახდენენ მათ ყოფა-ცხოვრებაზე. ეს გავლენა განსაკუთრებით გამოიხატება მათი პროდუქციის გავრცელებით მეტალოგენური რეგიონის გარეთ. მეტალურგიტომების პროდუქცია ვრცელდება მეზობელ რეგიონებში მზა ნაწარმისა თუ სხმული ზოდების სახით. მეტალურგიული წარმოების არამქონე საზოგადოება იძულებულია მიიღოს იმპორტი ან დაამზადოს პროდუქცია იმპორტულთან მიბაძვით.

გარკვეულ შემთხვევებში მეტალურგი ტომების მეზობელ გეოგრაფიულ გარემოზე ზემოქმედება წარმოშობს ადგილობრივი ლითონდამუშავების კერებს, რომლებიც იმპორტული მასალის გადადამუშავებით იწყებს არსებობას. აღნიშნულ რეგიონში საჭირო რაოდენობის მადნის რესურსების აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელი ხდება ადგილობრივი მეტალურგიული წარმოების კერების ჩამოყალიბებაც. ტომთაშორისი კონტაქტების არსებობა, შემდგომ ისტორიულ მონაკვეთში განაპირობებს მათ სანარმოო გამსხვილებას, მოქმედების სფეროს გაფართოებას და ცალკეული მეტალურგიული კერების გაერთიანებას. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს მეტალურგიული ცენტრის ან სამთო-მეტალურგიული გაერთიანების ჩამოყალიბებას. მათი მოქმედების გეოგრაფიული არეალის და სანარმოო მასშტაბების შემდგომში ზრდით იქმნება უფრო არსებითი კულტურულ-ეკონომიკური გაერთიანება-მეტალურგიული პროვინცია.

„მეტალურგიული კერა“ ქმნის საკუთარ მეტალურგიულ წარმოებას, პროდუქციის ქრონოლოგიური და გეოგრაფიული საზღვრებით შედის უფრო მსხვილ პალეომეტალურგიული გაერთიანების არეალში, მის საზღვრებში თავსდება ერთგვაროვანი კულტურის მატარებელი მოსახლეობა. წარმოების ნიმუშები ხასიათდება განსაკუთრებული (სხვისაგან განსხვავებული, გამოყოფილი) ტიპოლოგიური და ტექნოლოგიური თავისებურებებით, ნიშნებით.

მეტალურგიულ კერას აქვს თავისი ტექნოლოგიური სქემის გავლენის საკუთარი ზონა.

სამხრეთ კავკასიის რეგიონის მასშტაბით, ბრინჯაოს ხანის ეკონომიკის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე გამოიყოფა მეტალურგიულ კერათა გაერთიანების სისტემები: ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ კალთებზე აფხაზეთის, სვანეთის და რაჭის მეტალურგიული კერა; მცირე კავკასიონზე ქოროხის აუზის, აჭარა-გურიის და ბოლნის-დმანისის კერები.

„მეტალურგიული ცენტრი“ მოიცავს მდიდარ მეტალოგენურ რაიონებს, რომლებიც თავსდება ერთ მოზრდილ გეოლოგიურ-გეოგრაფიულ რეგიონში, სადაც მუშავდება არსებული მადანგამოსავლების ძირითადი ნაწილი, განვითარებულია სამთო საქმის სისტემა. მადანგამოსავლები ხასიათდება ერთგვაროვანი, ერთ სისტემაში მყოფი გეოქიმიური მონაცემებით. რეგიონი აერთიანებს სინქრონულად მომუშავე რამდენიმე მეტალურგიულ კერას, რომელთა პროდუქცია ქმნის წარმოების საერთო-ერთგვაროვან სახეს. მეტალურგია ადგილობრივი მოსახლე ტომთა ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობაა. არქეოლოგიურად რეგიონი მოიცავს კარგად დათარიღებულ მეტალურგიული წარმოების ობიექტებს, რომლებიც ისტორიულად მეტალურგიული წარმოების აქ არსებობის პირდაპირ არგუმენტაციას წარმოადგენს. ადგილობრივი მეტალურგიული წარმოების პროდუქციას გავრცელების გარკვეული ტერიტორიული არეალი გააჩნია, რომელიც შეიძლება იცვლებოდეს მეტალურგიული ცენტრის ფუნქციონირების მთელ პერიოდში. ასეთი რეგიონი, ისტორიულ-მეტალურგიული თვალსაზრისით, შეიძლება მუდმივმოქმედ ობიექტად ჩაითვალოს. ამდენად, მისთვის ერთკულტურული (ეთნიკური) ერთგვაროვნება ამ ეპოქისთვის შეიძლება არ იყოს დამახასიათებელი.

კავკასიის რეგიონი, ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით, ბრინჯაოს ხანაში სამ ძირითად მეტალურგიულ ცენტრად იყოფა: ჩრდილო კავკასიის, ცენტრალური და მცირე კავკასიონის მეტალურგიულ ცენტრებად.

„სამთო-მეტალურგიული გაერთიანებული ცენტრი“ გამოირჩევა ისეთივე ისტორიულ-მეტალურგიული და გეოლოგიურ-გეოგრაფიული მახასიათებლებით, როგორც „მეტალურგიული ცენტრი“. მათ შორის განსხვავება გამოიხატება წარმოების მასშტაბით. გეოგრაფიულად მეტალურგიული ცენტრი შედის სამთო-მეტალურგიულ გაერთიანებაში. რამდენიმე მეტალურგიული ცენტრის ერთობლიობა ქმნის მსხვილ წარმონაქმნს „სამთო-მეტალურგიულ გაერთიანებას“. ევრაზიის პალეომეტალურგიის სისტემაში კავკასიის რეგიონი განიხილება, როგორც ერთ-ერთი სამთო-მეტალურგიული გაერთიანებული ცენტრი.

„მეტალურგიული პროვინცია“ რამდენიმე მეტალოგენური გეოგრაფიული რეგიონის გაერთიანე-

ბაა, რომელთა შემადგენლობაში შედის სხვადასხვა ეთნოკულტურული წარმომავლობის მოსახლეობის მიერ შექმნილი სამთო-მეტალურგიული გაერთიანებები. მეტალურგიულ პროვინციაში არსებული მეტალურგიულ კომპლექსებს სანარმოო საშუალებათა განსხვავებული მონაცემები ახასიათებს. მიუხედავად ტერიტორიული სიმორისა, „მეტალურგიულ პროვინციაში“ შემავალი ელემენტები ხასიათდება პროდუქციის მონათესავე ტიპოლოგიურ-ტექნოლოგიური ერთიანობით, რომელიც მნიშვნელოვნად მოქმედებს პროვინციის საერთო სისტემის განვითარებაზე. კავკასია ითვლება ევრაზიის მეტალურგიის სისტემაში ცნობილი, შავი ზღვის ირგვლივ არსებული კულტურული წრის, მეტალურგიული პროვინციის ერთ-ერთ სამთო-მეტალურგიულ გაერთიანებად, რომელიც დიდ გავლენას ახდენს ძველი მსოფლიოს (ძვ.წ.IV-II ათასწლეულების) მეტალურგიული წარმოების განვითარების ძირითადი ეტაპების ფორმირების პროცესზე.

კოლხეთის ბრინჯაოს წარმოებასთან დაკავშირებული არქეოლოგიური ძეგლების კომპლექსური ანალიზით ირკვევა, რომ ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების პირველადი კერებიდან მეორადი დამუშავების სახელოსნოთა გაერთიანებებში სპილენძის მასალის (განძების, ნახევარფაბრიკატების) ტრანსპორტირების სამუშაოებზე მონაწილეობას ლებულობდნენ სპეციალურად გამოყოფილი სამთო-მეტალურგიულ წარმოებაში დასაქმებული ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც გაერთიანებული უნდა ყოფილიყვნენ მკაცრ შრომით ორგანიზაციაზე დაფუძნებულ მეტალურგიული პროფილის სანარმოოდასახლებებში. მთის რეგიონის ბართან დამაკავშირებელ საკომუნიკაციო გზებზე მყარდებოდა საშუამავლო ხასიათის სავაჭრო-გაცვლითი კავშირები, ადამიანთა რამდენიმე ჯგუფის მონაცვლილობით [პაპუაშვილი, ჯიბლაძე 2014:185].

კოლხეთის ბრინჯაოს წარმოებაში ისტორიულად მიმდინარე ორგანიზაციულ-ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა შესაბამისად მოითხოვეს სანარმოო კერების ფუნქციონალური, გეოგრაფიულ-გავრცობითი, გარე სამყაროსთან სავაჭრო-კულტურული ურთიერთობითი და მოქმედებითი არეალის განსაზღვრისათვის საჭირო დიფერენცირებული კავშირები. მთიანეთში განლაგებული სამთო-მეტალურგიული წარმოების პირველადი კერებიდან, ბარში არსებულ ბრინჯაოს ხელოსნური წარმოების მეორად ობიექტებთან სავაჭრო-გაცვლითი და სამეურნეო ხასიათის კავშირები ხორციელდება ხევისპირა, გვერდითი, შემოვლითი, უღელტეხილებზე გამავალი საკომუნიკაციო გზებით. მათ შორის ძირითადი დამაკავშირებელი მაგისტრალები გადის მდინარეთა ხეობებში [ჯიბლაძე 2006:9-15].

ბრინჯაოს ხანაში, პირველად და მეორად მეტალურგიული წარმოების კერებს შორის დამაკავშირებელ საკომუნიკაციო გზებს, როგორც სპილენძის ნედლეულით ექსპორტირების, ასევე იმპორტით

დაინტერესებულ რეგიონებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. კოლხეთის მთიანეთიდან მომდინარე სპილენძის ნედლეულზე დამოკიდებული იყო კოლხეთის მთისწინა ზოლისა და ზღვისპირა მოსახლეობის ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები: ბრინჯაოს საბრძოლო-სამეურნეო დანიშნულების იარაღის (შუბისპირი, სატევარი, თოხი, ცული, ნალდი), საკულტო დანიშნულების ინვენტარისა და სამკაულის წარმოება სახელმწიფოს სიძლიერისა და მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარების, მოსახლეობის სოციალური სისტემის სრულყოფის გარანტი იყო [ინანიშვილი, ჯიბლაძე, 2019: 101].

კოლხეთის სამთამადნო წარმოებისა და მეტალურგიული გადამუშავების შესაბამისი ძეგლების კრიტიკულმა ანალიზმა ცხადყო, პალეოეკონომიკის ამ დარგის გენეზისისა და ამასთან ერთად, ლითონური მასალის შინა და საგარეო ურთიერთობათა სისტემაში ჩართვის მნიშვნელოვანი პროცესების სრული შესაბამისობა ფაქტობრივ ისტორიულ ვითარებასთან.

ზემოაღნიშნული სამთო-მეტალურგიული წარმოების სამუშაო ტექნოლოგიური ორგანიზაციული მონაცემების ამსახველი საწარმოო კატეგორიები, სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალსა და სავაჭრო-ეკონომიკურ სივრცეში ფუნქციონირებად მეტალურგიულ გაერთიანებათა ისტორიული განვითარების ცალკეულ საფეხურებს განსაზღვრავს და განიხილება სინქრონული ექსპლუატაციის პირობებში. ცალკეული ტერმინები შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ როგორც საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი მეტალურგიული ცენტრების მიღწევათა წარმოსაჩენად, ისე კავკასია-წინა აზიის რეგიონის და შავი ზღვის გარშემო არსებული მეტალურგიული პროვინციის კულტურულ მიღწევათა შესაფასებლად [ინანიშვილი და სხვ. 2010: 53,103].

პალეომეტალურგიული წარმოების სისტემა

ძეგლების ისტორიულ-მეტალურგიული ფუნქციონირებით, მადნის მეორადი გამდიდრების, მეტალურგიული გადამუშავებისა და ნაწარმის მიღების პროცესთა ერთობლივი ანალიზით, საშუალებას გვაძლევს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი და შესწავლილი ძეგლები, შევავსოთ საწარმოო მასშტაბებისა და გეოგრაფიული გავრცელების მიხედვით, ერთ სისტემაში გავაერთიანოთ: მეტალურგიული კერა (აფხაზეთი, სვანეთი, რაჭა, აჭარა-გურია, ბოლნისი-დმანისი, ალაზნგალმა მთიანი კახეთი); მეტალურგიული ცენტრი (ცენტრალური კავკასიონი, მცირე კავკასიონი); სამთო-მეტალურგიული გაერთიანებული ცენტრი (კავკასია); მეტალურგიული პროვინცია (ცირკუმპონტიუმის ზონა); ძველი მსოფლიოს მეტალურგიული წარმოება (კავკასია, შუა აზია, ბალკანეთი, ხმელთაშუა ზღვის აუზი, ეგვიპტე და ა. შ.).

ბამოყენებული ლიტერატურა

1. ინანიშვილი გ; მაისურაძე ბ; გობეჯიშვილი გ, 2010. საქართველოს უძველესი სამთამადნო და მეტალურგიული წარმოება (ძვ. წ. III-IX საუკუნეები). თბილისი.
2. ინანიშვილი გ; ჯიბლაძე ლ. 2019. კოლხეთის ბრინჯაოს წარმოების ისტორიისათვის, თბილისი.
3. პაპუაშვილი რ; ჯიბლაძე ლ. 2014. ბრინჯაოს მეორადი მეტალურგიული წარმოების ცენტრი ყულევის ნამოსახლარიდან. ძიებანი, 22. თბილისი: 178-191.
4. ჯიბლაძე ლ. 2006. ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების მეორადი ცენტრები კოლხეთის დაბლობზე. „ამირანი“, XIII-XV, თბილისი-მონრეალი: 9-15.
5. Черных Е. 2005. Пути и модели развития Археометаллургии. РА. 4. Москва: 49-60.

ზომორფული ქანდაკებები ცენტრალური კოლხეთიდან (მუხურჩას სამაროვნის მასალაზე მიხედვით)

გიორგი ჩუბინიშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში საუბარია მუხურჩას სამაროვნის ლითონის მცირე პლასტიკის ნიმუშებზე. სამაროვნის მასალიდან წარმოდგენილია მხოლოდ ზომორფული ქანდაკებები, რომლებიც გაანალიზებულია ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაზრისით. ძეგლის ასაკი მთლიანობაში განისაზღვრა ძვ.წ VIII-VI სს-ით. გამოიყო ადრეული (ძვ.წ. VIII ს და ძვ.წ. VII ს პირველი ნახევარი) და მოგვიანო ძვ.წ VII ს მეორე ნახევარი ძვ.წ. VI ს) სამარხეული კომპლექსები.

კოლხური კულტურის ეტაპზე მნიშვნელოვან ევოლუციას განიცდის ხელოვნება მცირე პლასტიკის სახით. ის სინკრეტულია თავისი ბუნებით და დაკავშირებულია ადამიანის გარემომცველ სამყაროსთან. მხატვრული მელითონეობის ნაწარმი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად და მნიშვნელოვან წყაროს საქართველოს უძველესი ხელოვნებისა და რელიგიურ შეხედულებათა ანალიზისათვის.

წინაანტიკური ხანის კოლხეთის ბრინჯაოს მცირე პლასტიკის სტილის იდეოლოგიური საფუძვლების შესწავლის შედეგად გამოვლენილია ადგილობრივი საზოგადოების რელიგიურ-მითოლოგიური შეხედულებანი, რომელიც სცილდება სამხრეთ კავკასიის ფარგლებს და მსგავსებას იჩენს წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების რელიგიურ სამყაროსთან.

საკვანძო სიტყვები: კოლხეთი, მუხურჩა, სამაროვანი, ბრინჯაო, წინაანტიკა, ხელოვნება, მელითონეობა.

ZOOMORPHIC SCULPTURES FROM CENTRAL COLCHIS (ACCORDING TO THE MATERIALS OF MUKHURCHA BURIAL MOUND)

Giorgi Chubinishvili
PhD student of the GTU

RESUME

The paper deals with the small plastic metallic specimens from Mukhurcha burial mound. From the mound materials we pondered only on zoomorphic sculptures, analyzed with the view of art criticism. Monuments were attributed generally to the VIII-VI cc B.C. Mound complexes of early (VIII B.C. and late (first half of the VII century B.C.) were separated.

At the stage of Colchis culture the art suffers significant evolution in the form of small plastic. It is syncretistic by its nature and is connected with the world of human environment. Production of artistic metallists is one of the main and significant sources for the analysis of ancient art and religious views of Georgia.

As a result of study of ideological bases of small plastic style of early Colchis bronze age we determined religious-mythological views of local community, which leave the limites of the South Caucasus and show semblance to the religion world of Asia Minor and Mediterranean countries.

Key words: Colchis, Mukhurcha, burial mound, bronze, early antique, art, metallists.

* * * *

მუხურჩას სამაროვანი მდებარეობს მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურჩაში, მდ. აბაშის მარჯვენა ნაპირზე. პირველი შემთხვევითი აღმოჩენები დაკავშირებულია ადგილთან, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „პეტრეს ნაკარუს“ (პეტრეს ნაკარავს) უწოდებს. ეს ტერიტორია ემიჯნება გეგეთის ჩაის მეურნეობასა და ნოქალაქევის წყალსაცავს.

გასული საუკუნის 70-იან წლებში „პეტრეს ნაკარუს“ მიმდებარე ტერიტორიაზე ჭაობიანი ნიადაგის დასაწრეტი არხების გაყვანისას, მინის სიღრმეში დაფიქსირდა მინატყეპნილი ადგილები, სადაც გამართული აღმოჩნდა კოლხური მეორადი დაკრძალვის სამაროვანი. სადრენაჟო სამუშაოების ჩატარებისას, სამარხების ნაწილი დაინგრა ან დაზიანდა¹.

1974 წ. თებერვალში მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებმა გ. ელიავას ხელმძღვანელობით, სამაროვნის წინასწარი გამოკვლევის მიზნით, ჩატარეს აუცილებელი სამუშაოები, მოახდინეს ცალკეული სამარხების განმენდა და პრეპარაცია. ზედაპირულად შეკრებილ არტეფაქტებს კი თავი მოუყარეს მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებში [ელიავა 1980:38-43; ელიავა 1987]. ამ წინასწარული ღონისძიებების შემდეგ 1974 წ. „პეტრეს ნაკარუს“ სამაროვნის გათხრასა და შესწავლას შეუდგა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია ელ. გოგაძის ხელმძღვანე-

1 სადრენაჟო არხების გაყვანისას დაფიქსირებულია 8 ოვალური სამარხისეული შრე და 5 სამარხი [სულავა; ქორიძე 2017:38].

ლობით. 1974-1976 წწ გაითხარა ტერასულად განლაგებული ორი დასაკრძალავი მოედანი (ქვედა და ზედა, ანუ კოლექტიური სამარხები) [სულავა;ქორიძე 2017:38-39].ასევე დაფიქსირდა ცალკეული კოლექტიური სამარხებიც [სულავა; ქორიძე 2017:38]. ძეგლის ასაკი მთლიანობაში განისაზღვრა ძვ.წ VIII-VI სს-ით. გამოიყო უფრო ადრეული (ძვ.წ.VIII ს და ძვ.წ. VII ს პირველი ნახევარი) და უფრო მოგვიანო ძვ.წ VII ს მეორე ნახევარი ძვ.წ.VI ს) სამარხეული კომპლექსები [Foraძე, 1984:28-54]². ძეგლზე დაფიქსირდა 5 კოლექტიური სამარხი და ე. წ. ქვედა დასაკრძალავი მოედანი, სადაც გამოყენებული იყო დაკრძალვის როგორც მეორადი (4 სამარხი), ასევე კრემაციული (1 სამარხი) წესი. ჩვენთვის საინტერესო მასალა წარმოდგენილია ანთროპომორფული (12 ერთეული) და ზომორფული (14 ერთეული) ბრინჯაოს მცირე პლასტიკური ფორმების სახით, სულ 26 ერთეული.

განხილულია მუხურჩას სამაროვნის ადრეული კოლექტიური სამარხებიდან მომდინარე, ბრინჯაოს მცირე პლასტიკური ფორმების ჯგუფები (ხარი,ხარ-ჯიხვი,ცხვარი და ა.შ.).ვიდრე გადავიდოდეთ ძირითად საკითხზე, ვიძლევიტ სამაროვნისა და მომდინარე ზოგიერთი მცირე პლასტიკური ფორმის ბრინჯაოს არქეოლოგიურ დახასიათებას.

ხარ-ჯიხვის ბრინჯაოს ფიგურები, მაღალი რქებით, მსხვილი ფეხებითა და კუდით. აღმოჩნდა N 1 სამარხ ორმოში. ქანდაკება თანმხლები სამარხეული ინვენტარით თარიღდება ძვ. წ. VIII- VII სს-ით [ელაიავა 2017:54,ტაბ.28-575] (სურ.1.1).

ხარ-ჯიხვის ბრინჯაოს ფიგურა. დინამიკური, საბრძოლველად გამზადებული,მაღალი ყელით, გრძელი პირითა და რქებით. აღმოჩნდა N 2 სამარხ ორმოში. ქანდაკება სამარხეული ინვენტარის მიხედვით დათარიღებულია ძვ. წ. VIII და ძვ. წ. VII საუკუნის დასაწყისით [ელაიავა 2017:58,ტაბ.39-639](სურ, 1.2) დაზიანებულია.

ხარ-ჯიხვის მინიატურული ბრინჯაოს ფიგურა,მაღალი ყელით, რქებით. აღმოჩნდა N 5 სამარხ ორმოში. ფიგურა თანმხლები სამარხეული ინვენტარით ძვ. წ. VIII-VII საუკუნით თარიღდება[ელაიავა 2017:65,ტაბ.47-877] (სურ1.3)

ხარის ბრინჯაოს ფიგურა,მაღალი წამომართული ყელით, რომელზეც გამოსახულია რქები და ორტოტა წვერი. აღმოჩნდა N 3 სამარხ ორმოში. ფიგურა სამარხეული ინვენტარის მიხედვით და-

2 ე.ელაიავა მუხურჩას სამაროვანზე გამოყოფს ასაკობრივად განსხვავებულ კოლექტიური დაკრძალვის ორ სამარხეულ ჯგუფს: ძვ.წ. VIII-VII, ძვ.წ. VII-VI სს,რომლებიც ტერიტორიულად და ერთ შემთხვევაში სტრატოგრაფიულად ერთმანეთისაგან გამიჯნულია. განსხვავდებიან დაკრძალვის რიტუალით.ერთ შემთხვევაში დასტურდება მიცვალებულის ჩონჩხის დაკრძალვა(ძვ.წ. VIII-VII სს.),მეორე შემთხვევაში კი კრემაცია [ელაიავა 2017:42].

თარიღებულია ძვ. წ. VIII-VII საუკუნით [ელაიავა 2017:63,ტაბ.44-765](სურ,1.4).

ძუ ლომის (ვეფხვის, ავაზას) მინიატურული ბრინჯაოს ქანდაკება გრძელი ჩაკეცილი კუდით. ფიგურა დინამიკურია. მზადაა ნახტომისათვის აღმოჩნდა N 3 სამარხ ორმოში. ძვ. წ. VIII-VII სს-ები, [ელაიავა 2017:ტაბ.44-766]. (სურ, 2.1)

ბრინჯაოს ფანტასტიკური ცხოველის გამოსახულება, მაღალი ყელით,ნისკარტის მსგავსი პირით, მაღალი ფეხებით და ანეული გრძელი კისრით. აღმოჩნდა N 1 სამარხ ორმოში. ფიგურა სამარხეული ინვენტარით თარიღდება ძვ. წ. VIII-VII სს [ელაიავა 2017:54,ტაბ.29-576](სურ2.2).

ცხვრის ბრინჯაოს მინიატურული ქანდაკება, რქებმომტვრეული,დახრილი თვით. რქის ქვემოთ,შუბლზე თვალის ორი ღრმა ფოსოა გამოსახული. ტანზე აშლილი მატყლის ჯავარია დატანილი. წინა ფეხები საერთო სადგამზეა მოცემული. აღმოჩნდა სამაროვნის არხის ფსკერზე. ფიგურა სამარხეული ინვენტარის მიხედვით დათარიღებულია ძვ. წ. VIII-VII სს[ელაიავა 2017:43.ტაბ. II-202](სურ, 3.1).

ცხვრის ბრინჯაოს ფიგურა დაზიანებული. აღმოჩნდა სამაროვნის არხიდან ამოყრილ მინაში. ფიგურა დათარიღებულია ძვ. წ. VII საუკუნით [ელაიავა 2017:44,ტაბ.5-211](სურ, 3.2).

ტახის ბრინჯაოს მინიატურული ქანდაკება, ტანზე ირიბი ნაჭდევები. აღმოჩნდა N 2 სამარხ ორმოში. ფიგურა სამარხეული ინვენტარის მიხედვით თარიღდება ძვ. წ. VIII-VII სს-ით [ელაიავა 2017: გვ.71,ტაბ.40-641]. (სურ, 4.1-3)

თევზის ბრინჯაოს ფიგურა. აღმოჩნდა N 3 სამარხ ორმოში. ქანდაკება თანმხლები სამარხეული ინვენტარით ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით თარიღდება [ელაიავა 2017:58,71,ტაბ.39-640](სურ 4.4)

კოლხეთის ბრინჯაოს პლასტიკისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ზომორფული ქანდაკებები. ცხოველთა ქანდაკებებს შორის თავისი პლასტიკურობით და გამომსახველობითი სტილით გამოირჩევა ხარის გამოსახულება. ხარის მრგვალი სკულპტურები კოლხეთის არქეოლოგიურ მასალაში მრავლად მოგვეპოვება, რაც თვალნათლივ მიუთითებს ქანდაკების ავტორის მიზანზე, ეჩვენებინა მისი არაჩვეულებრიობა, ღვთაებრიობა. სრულიად აშკარაა, რომ ხარღვთაების ქანდაკებასთან გვაქვს საქმე, გუთნური მინათმოქმედების მამოძრავებელ, გაღმერთებულ გამწევ ძალასთან.

ხარის კულტის ფართო გავრცელება საქართველოში ასახულია არა მარტო მრავალრიცხოვან სკულპტურულ თუ გრავირებულ გამოსახულებებში, არამედ კოლხური კერამიკის სიმბოლურ შემკულობაშიც. (მხედველობაში გვაქვს ადრერკინის ხანის კოლხური კერამიკის რქისებრი შვერილები, რომლებიც ნივთის წინხედს ხარის იერს ანიჭებენ).

ხარი წარმოდგენილია მდგომარე პოზაში. იგი აღიქმება როგორც სიძლიერის განსახიერება. ფიგურა მთლიანი კომპაქტური ნიმუშია. რქები დაკავშირებულია არადიფერენცირებულ პირსახესთან, რომელიც თავის მხრივ კუთხით გადადის მოკლე მძლავრ კისერში. ზურგის ზომიერი ჩაზნექილი ფორმა, ისევე როგორც თეძოსა და გავის ფორმები, თვალშისაცემი არაა. კიდურები მთლიანია. ცხოველის ტანი მოდელირებულია: ხერხემლიდან ფორმარბილად გადაედინება ქვევით; ერთი მხრიდან შეიმჩნევა თეძოს ნაწილის, მეორედან - გავის ამოზნექილობა. კიდურებისა და მუცლის შეერთების ადგილზე შესამჩნევია კონტრფორმა, რომელიც ქმნის რკალისებურ გადასვლას ვერტიკალური ხაზებიდან (კიდურებიდან) ჰორიზონტალამდე (მუცლის ქვედა ფორმამდე). ფიგურის ერთიანობა მიიღწევა შუქჩრდილის მოდელირებით, რაც ხელოვანის ოსტატობაზე მეტყველებს.

ჯიხვი მუხურჩას სამაროვნიდან. ქანდაკება დამაგრებულია ოთკუთხა ფირფიტაზე, წარმოდგენილია მდგომარე, მშვიდ პოზაში. ცხოველის პირისახე გაიგება დიფერენცირებულად, აღნიშნულია ნესტოები და შუბლი. თვალების მრგვალი ხერხელები განლაგებულია გვერდებზე. პირი გადმოცემულია დაჭრილი ხაზით. რქები ფართოდ, განზე გადგმულ მთელ ფიგურასთან შედარებით მცირეა. ცხოველის მოკლე ტანის მოცულობით ფორმა ჩაძერწილია ერთი მხრივ კისრის მძლავრ ფორმაში, მეორე მხრივ - თეძოსა და გავის ამონეულ მოხაზულობაში. გავის მომრგვალებულ ფორმას უპირისპირდება მოკლე, ჩამოკიდებული კუდი. კიდურები გადმოცემულია სწორი, არადიფერენცირებული მხოლოდ გარეთა მხრიდან დამუშავებული მოცულობებით, რომლებზეც ოდნავ შეიმჩნევა ჩლიქების მონახაზები. განსაკუთრებით პლასტიკურია სხვადასხვა სიბრტყეების შეერთების ადგილები ე. ი. ერთი ფორმიდან მეორეში გადასვლები.

სხეულზე-ტანზე და ბეჭებზე დატანილი პირვანდელი ფორმადაკარგული სხვადასხვა ფორმის ჭრილები, ეჭვგარეშეა თავიდან იყვენენ სემანტიკური დანიშნულების და წარმოადგენდნენ ასტრალურ ნიშნებს-სიმბოლოებს. ფიგურების ფორმები დამუშავებულია, აღიქმება პროფილში ან სამ მეოთხედში (რაც ჩვენი აზრით, დამახასიათებელია მოცემული ეპოქისათვის).

ცხვრის ფიგურა წარმოადგენს ღრუ ქანდაკებას. მოცემულია თავისუფალ პოზაში: კიდურები, ფართოდაა განზე გადგმული, ტანი შესამჩნევია რბილი გადასვლებით. მასების გადანაწილებაზე ლაპარაკი შეუძლებელია, ვინაიდან ზედაპირი დაფარულია (ბენვის იმიტაცია), ცხოველის სამკუთხა ფორმის პირისახეზე აღნიშნულია შუბლის ძვალი, რომელიც ზემოთკენ, რქებთან შეერთების ადგილისაკენ ფართოვდება. რქები მოტეხილია. წინა და

უკანა კიდურებს შორის სივრცეს აქვს სწორკუთხა ფორმა. ამასთან, აღსანიშნავია, ყველა კიდურების სახსრების შეერთების ადგილზე დატანილი გრძივი გამჭოლი ჭრილები.

შემდეგი ცხვრის ფიგურა ასევე ღრუ ქანდაკებაა, დამაგრებულია ფირფიტაზე, რომლის ბოლოები მთავრდება ჩამოსაკიდი რგოლებით. მიუხედავად იმისა, რომ ფიგურამ ჩვენამდე მოაღწია ფრაგმენტული სახით (დაკარგულია რქები, ფირფიტის ნაწილი), მას შენარჩუნებული აქვს დინამიზმი, რომელსაც ქმნის ძირს დახრილი თავი და კისრის ტეხილი აბრისი. პირისახეც ასევე სწორკუთხა ფორმისაა, მაგრამ „თავდახრილი“ პოზის წყალობით აღიქმება, როგორც ბუნებრივი. პროფილში პირისახის აბრისის ტეხილი ჰყოფს მას შუბლის ძვალსა და რქების განშტოებაზე. შთაბეჭდილებას აღრმავებას ზედაპირის დაღარულობა. უკანა კიდურების გარეთა ხაზების ტეხილობა კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ფიგურის დინამიზმს.

ძუ ლომი წარმოდგენილია აქტიურ გამძვინვარებულ პოზაში: კბილებდაკრეჭილი ხახა, მაღლა აწეული თავი დაძაბულ კისერზე, მძლავრი, ბოლოდაგრეხილი კუდი. გამოსახულების აგების კომპოზიციური პრინციპი ემყარება ცნობილი ელიფსოიდური ფორმისა და რკალისებურად ჩაზნექილ ხერხემლის დაპირისპირებას. მასების (ბეჭები, კისერი, დაკრეჭილი პირი) ერთიანი გაგება საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ ემოციური სახე, სადაც ნამყვანია ფიგურის აბრისი, რომელსაც მთლიანობაში უპირისპირდება ფორმების განზოგადებულობა.

ფანტასტიკური ცხოველი ძუ ლომის გამოსახულებასთან შედარებით ტოვებს გაუნაფავი ხელთ შექმნილი ნაკეთობის შთაბეჭდილებას. თუმცა, როგორც ჩანს, მისი პროტოტიპი იყო პერსონაჟი, რომელიც გაიაზრებოდა როგორც ჩლიქოსანი ცხოველისა და ფრინველის ერთობლიობა: ნისკარტისებრი ნანახარდი და გაურკვეველი ცხოველის ტანით-წინა და უკანა კიდურებს შორის ელიფსოიდური ლიობითა და დაშვებული კუდით.

ამავე სტილის მეორე ჯგუფს ეკუთვნის ზომორფული ერთეულები, რომელთა წინა და უკანა კიდურებს შორის ოთკუთხა სივრცეა. შესრულების მანერით მათგან ყველაზე ადრეულია ტახის გამოსახულებები მუხურჩის სამაროვნიდან.

ტახი - ღრუ ქანდაკებაა, რომელიც ცილინდრული ფორმისაა, მუცლის ქვედა აბრისი ჰორიზონტალურია, მუცლის ქვემოთ, თეძოებს შორის აქცენტირებულია გრძივი ხერხედი, ხოლო წინა და უკანა კიდურების შიდა აბრისი ვერტიკალურია. სწორედ ასეთი გადანყვება გვაძლევს უფლებას ვისაუბროთ ილუზორულ ოთხკუთხედზე. ცილინდრული ტახი გადადის ცხოველის თავში, რომელსაც გვერდხედიდან აქვს ელიფსური ფორმა; ხახა მონიშნულია ჭრილით-ჩაქყლეტილ დინგზე აქცენტირებულია ნესტოები, ოდ-

ნავ ზემოთ-ნაჭრილი ნერტილოვანი თვალები. გავისკენ ტანი ბოლოვდება პატარა მინაზარდით - კუდიტ. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია კიდურები. უპირველეს ყოვლისა საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ისინი მოკლეა, ბოძისმაგვარი. პირისახეზე, ზემოთ იქმნება ცალკეული რელიეფურია არშია, რომელზედაც გამოსახულია ყურები - ისინი თითქოსდა თვალზეა ჩამოფარებული. ამ შემთხვევაში ფორმების დაუნაწევრებულობა ანიჭებს მას ცხოველის ამ სახეობისათვის დამახასიათებელ სიტლანქეს, და პერსონაჟი მთლიანად გამოსახულია აგრესიულობით.

თევზის გამოსახულებათა სიმრავლე არა მხოლოდ დეკორატიული მნიშვნელობის მატარებელია, არამედ ამ გამოსახულებებში ჩადებულია შინაარსი, რომელიც დაკავშირებულია ძველი კოლხეთის იდეოლოგიურ შეხედულებასთან. თევზების გამოსახულებებს საკულტო დანიშნულება ჰქონდათ, ანდა რაღაც ზოგადი იდეის ატრიბუციის მატარებელი იყო, რაზეც უნდა მიუთითებდეს კომპოზიციებში სხვადასხვა ცხოველის (ირმის, მგელ-ძაღლის) გამოსახულებებთან კავშირში თევზის გამოსახულების გრაფირებაც.

კოლხური კულტურის მატარებელი ქართველი ტომების წარმოდგენით ნაყოფიერების იდეის შემადგენელ ნაწილს წყლის სტიქიონიც წარმოადგენდა, რაც სხვა გამოსახულებაში ვლინდება. აღსანიშნავია, რომ მგელ-ძაღლები განასახიერებენ წყლის სტიქიონსაც, რაზეც აშკარად მიუთითებს როგორც კოლხური ცულების, ისე ბრინჯაოს სარტყლების მგელ-ძაღლების გამოსახვა, არა მგლის ან ძაღლის თათებით, არამედ თევზის კუდის ფარფლისებრად. ამავე გარემოებას ხაზს უსვამს აგრეთვე მათთან კავშირში თევზის გამოსახვაც.

ამრიგად, თევზები ნაყოფიერებისა და მინათმოქმედების იდეას ანსახიერებენ და წყლის სტიქიონის სიმბოლოებადაც გვევლინებიან. ამით ხაზს უსვამენ ნაყოფიერებისა და მინათმოქმედების კულტის არა მარტო მინიერ, არამედ წყლის ბუნებასაც.

ზოომორფული პლასტიკის თემების მრავალფეროვნება საშუალებას გვაძლევს, ვიმსჯელოთ კოლხეთის პლასტიკურ ხელოვნებაში ერთგვაროვანი სტილისტურ-ტექნოლოგიური სქემებისა და ხერხების არსებობაზე, რაც გარკვეულ ტერიტორიასა და დროის გარკვეულ პერიოდში ამ პროცესის ავტოქტონურობას (და შესაძლოა, მის მართვადობას) ადასტურებს.

თემატიკის თვალსაზრისით ერთფიგურიანი ზოომორფული პლასტიკური ფორმები შეიძლება დავეყოთ ბიოლოგიურ სახეობათა ორ ჯგუფად: „შინაური“ და „გარეული“ ცხოველები. პირველ ჯგუფს მიუკუთვნება ხარი, ცხვარი; მეორეს - ძუ ლომი, „ფანტასტიკური ცხოველი,“ ტახი, თევზი.


ზოომორფული პლასტიკის ნიმუშთა განსხვავ-

ებულობა ანიჭებს გამოსახულებას იმ რელიგიურ არსს, უფრო ზუსტად, წარმოდგენს იმ რელიგიურ ატრიბუტს - რელიგიური ფუნქციის ნიშანს, რომლის ხაზგასმით ან უტრირებით ოსტატი ქმნის თაყვანისცემის ობიექტს, რომელიც შეესაბამება კონკრეტულ ისტორიულ ეტაპზე დამკვიდრებულ რელიგიურ წარმოდგენებს.


ზოომორფული ქანდაკებები, მათი ფუნქციის მიხედვით დავაჯგუფებულობა დამოუკიდებელ და დამოკიდებულ პლასტიკურ ერთეულებად. დამოუკიდებელ ზოომორფულ პლასტიკურ ერთეულებში შესაძლებელია აგრეთვე განვითარების სამი სტადიის გამოყოფა:

პირველი სტადია- ადრეული, ამ ეტაპზე სახე იქმნება დიფერენცირებული მოცულობითი ფორმების საშუალებით (ე. ი. ქანდაკება იკრიფება ნაწილებისაგან), სადაც გამოსახულების აღქმაში წამყვანი როლი ეკუთვნის ე. წ. იკონოგრაფიულ ელემენტებს. მეორე სტადია-შუალედური მხატვრული-სადაც სახე არ იქმნება როგორც მთლიანი, „მხატვრული“ გამოსახულება. ტანის შესრულების მეთოდისა და კიდურების შემაერთებელი ფორმის მოხაზულობის მიხედვით მხატვრული სტადიის ნაკეთობებში შეიძლება გამოვყოთ ორი ჯგუფი: პირველ ჯგუფში გაერთიანებულია გამოსახულებები ელიფსოიდური, მეორეში კი ილუზორული მართკუთხედის შემაერთებელი ფორმებით. მესამე სტადია- გვიანი სტადია. მასში გაერთიანებულია ერთეულები, რომელთა სახეები გაიგება, როგორც კომპაქტური პლასტიკური სხეული აბსტრაგირებული ტანით. ამ ეტაპზე ქანდაკების სტატიკური არქიტექტონიკის დარღვევის საშუალებით სახე იძენს იმპულსურობას, რიგ შემთხვევებში კი - ექსპრესიურობასაც. ზოომორფული გამოსახულებების სტილის განვითარების სტადიების გამოყოფა მოხდა შესრულების ზოგადი მანერითა და შერჩეული ელემენტების პლასტიკური ფორმების თანაფარდობით.


ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ ზოომორფულ პლასტიკას გააჩნია უფრო ღრმა ტრადიციები და მიუხედავად მისი რელიგიური არსისა, მას დაქვემდებარებული მდგომარეობა უკავია ანთროპომორფული პერსონაჟის მიმართ, ან მის იკონოსტას წარმოდგენს. ამრიგად, გაღმერთება ხდება ცხოველის არა რომელიმე სახეობის, არამედ ანთროპომორფული არსებული კონკრეტული ფუნქციისა ცხოველის სახით. სწორედ ამ ისტორიულ პერიოდს უნდა მივაკუთვნოთ მითოლოგიის ჩასახვა-ჩამოყალიბება, სადაც წამყვანია ანთროპომორფული ღვთაება. კოლხეთის მეტალოპლასტიკისათვის ჩვენს მიერ დადგენილ „ეტაპობრიობას“ შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე ახსნა: პირველ რიგში-ქრონოლოგიური (განსხვავება დროში); მეორე-რელიგიური წარმოდგენების ტრანსფორმაცია.




სურ. 1 ხარ-ჯიხვის მინიატურული ბრინჯაოს ფიგურები სამარხეული ინვენტარიდან (1-3). ხარის ბრინჯაოს ფიგურა (4);



სურ. 2 ძუ ლომის მინიატურული ბრინჯაოს ქანდაკება (1), ფანტასტიკური ცხოველის გამოსახულება (2).



სურ. 3. ცხვრების ბრინჯაოს ქანდაკებები(1-2)



სურ.4. ტახის ბრინჯაოს მინიატურული ქანდაკება(1-3), თევზის ბრინჯაოს ფიგურა(4).

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ელიავა გ 1980: გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქეოლოგიური მასალა, ძეგლი მეგობარი, N 53, თბილისი, გვ. 38- 43;
2. ელიავა გ 1987: პეტრეს ნაკარუს არქეოლოგიური მასალა, თბილისი; 1987;
3. ელიავა გ 2017: პეტრეს ნაკარუს არქეოლოგიური მასალა, მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შრომები I ,თბილისი ,გვ.41-100;
4. სულავა ნ; ქორიძე ი.2017: მუხურჩას (პეტრეს ნაკარუს) სამაროვანი მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შრომები I თბილისი, გვ.38-40;
5. Гогадзе Э. 1984: К вопросу о хронологии и периодизации памятников Колхидской культуры (по материалам Носири-Мухурчи), ГМГ. ВЕСТНИК, XXVII-в Тбилиси, 28-54

საქართველოს სოფლის მეურნეობაში ინოვაციური მენეჯმენტის შესახებ

თეიმურაზ ალავეიძე
სტუდენტორანტი

ანოტაცია

საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, მძიმე სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა ჩამოყალიბდა, ეკონომიკა არნახული მასშტაბებით შემცირდა, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აგრარული სექტორი აღმოჩნდა, რომლის განსავითარებლად არ არსებობდა სახელმწიფო და უცხოური ინვესტიციები; მართალია 1990-იანი წლებიდან ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზება, მაგრამ დაქუცმაცებული მიწები ფერმერული მეურნეობის განვითარების დამაბრკოლებელია. გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე, დარგი აკმაყოფილებს პროდუქტებზე სამამულო მოთხოვნასაც კი, იპორტდამოკიდებულება და არასაკმარისი კონკურენტუნარიანობა ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. კვლევის შედეგად მიღებული დასკვნის მიხედვით, საქართველოს აგრარულ სექტორი როგორც ინვესტიციების, ასევე ინოვაციური მიდგომების გამოყენების დეფიციტს განიცდის და აუცილებელი ეფექტიანი ინოვაციური მენეჯმენტის მექანიზმების ამოქმედება, რომელიც წაახალისებს აგრარული ეროვნული პოტენციალის ამოქმედებას და დააჩქარებს იმპორტჩანაცვლების პროცესებს, რაც კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებას ნიშნავს, რის გარეშეც ვერ გავხდებით ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური მენეჯმენტი; ინოვაცია; ინვესტიციები; სოფლის მეურნეობა.

1990-იან წლებსი, ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, უმძიმესი სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა ჩამოყალიბდა, ეკონომიკა არნახული მასშტაბებით შემცირდა, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აგრარული სექტორი აღმოჩნდა; ტრადიციული ეკონომიკური ურთიერთობები მოიშალა, ახალი კი დროულად ვერ ჩამოყალიბდა. ამ სექტორის განსავითარებლად არ არსებობდა სახელმწიფო და უცხოური ინვესტიციები; მართალია 1990-იანი წლებიდან განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზება, მაგრამ დაქუცმაცებული მიწები ფერმერული მეურნეობის განვითარების დამაბრკოლებელი აღმოჩნდა. დღემდე დარგში შექმნილი მდგომარეობა მძიმეა, მთლიანი სამუშაო ძალის ნახევარზე მეტი აქ არის დასაქმებული და 2019 წელს მთლიან გამოშვებაში დარგის წილმა მხოლოდ 6.6% შეადგინა [10]; ვერ ვაკმაყოფილებთ სამამულო მოთხოვნის დიდ ნაწილს, გავხდით იპორტდამოკიდებულნი, კონკურენტუნარიანი პროდუქცია დარგში მინიმალურია განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა, სათანადოდ გამოყენებული არ არის ინოვაციური მენეჯმენტის შესაძლებლობები და სხვ. აქვე აღსანიშნავია პოზიტიური მოვლენებიც: ღვინო-მასალეების, თხილის და სხვ. პროდუქციის ექსპორტის ზრდა და დივერსიფიცირება. ამ პრობლემების ასპექტები გამოკვლეულია სხვადასხვა მკვლევარების ნაშრომებში [1-9]. მოცემული ნაშრომის მიზანია საკვლევი პრობლემის შესახებ საქართველოში არსებული მდგომარეობის გაანალიზება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

საქართველოს აგრარულ სექტორში აუცილებელია ინოვაციური მიდგომების გამოყენება და ეფექტიანი ინოვაციური მენეჯმენტის ამოქმედება, რომელიც ეროვნული პოტენციალის აქტიურად გამოყენებისა და იმპორტჩანაცვლების შესაძლებლობას მოგვცემს. ეს კი კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებას ნიშნავს, რის გარეშეც ვერ გავხდებით ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი. ცხადია, მიმდინარე გლობალიზაციის პირობებში ინოვაციური, ერთმანეთთან კონკურენტუნარიანი სანარმოთა ფუნქციონირება და განვითარება შეუძლებელია თანამედროვე ინოვაციური მენეჯმენტის მეთოდები გამოყენების გარეშე. [14, გვ.3]. როგორც ცნობილია, ინოვაციური მენეჯმენტი ინოვაციური მიზნების ფორმირებასა და რეალიზაციას - რესურსების რაციონალურ გამოყენებას უზრუნველყოფს. საქართველოს ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის სასურველ პირობებს ქმნის, სადაც შესაძლებელია მაღალი კონკურენტუნარიანი პროდუქტის (მათ შორის ეკოლოგიურად სუფთა) წარმოება. გასათვალისწინებელია ტრადიციები და კვლიფიკაცია, წარმოების დარგობრივი და ტერიტორიული სპეციალიზება, მონოკულტურების წარმოების მაღალი პოტენციალი. სამწუხაროდ, როგორც ზემოთ აღინიშნა, სისტემური ტრანსფორმაციის პირობებში აგროსამრეწველო კომპლექსი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. საქართველოში ეკონომიკის განვითარება დიდად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სრულყოფილი მართვის მექანიზმები დაინერგება აგრობიზნესში. ეს პრობლემა ზოგადად ახალი არ არის, მაგრამ აქტუალურია გარდამავალი ეკონომიკის მქონე საქართველოსთვის. ჩვენთან, სანარმოებმა უკვე დაიწყეს ინოვაციური მენეჯმენტის შემდეგი

მეთოდების დანერგვა: სიახლის შექმნა-შეთავაზება; ახალი ბაზრების ათვისება; ინოვაციური სანარმოების ჩამოყალიბება და ა.შ. ამასთან, ამ მიმართულებით საჭიროა შესაბამისი კონცეფციის შემუშავება, რომელიც დაეფუძნება ახალცოდნას, ახალ საინფორმაციო-კომუნიკაციურ ტექნოლოგიას, კონკურენტული ბრძოლის აქტიურ მეთოდებს, ნარმოების ინოვაციურ მენეჯმენტს. [15, გვ.19].

როგორც აღინიშნა, სოფლის მეურნეობა განიცდის მწვავე საინვესტიციო დეფიციტს, რაც განპირობებულია ფერმერთა უმრავლესობის მცირე შემოსავლიანობითა და დაბალკონკურენტუნარობით. ამ პრობლემის დასაძლევად საჭიროა ფერმერთა სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერის შემდგომი გაძლიერება სასოფლო-სამეურნეო ნარმოებაში ინოვაციების დანერგვით, ფართოდ უნდა დაიგეგმოს სოფლად ინოვაციური მენარმეობის ხელშეწყობი მექანიზმები, მათ შორის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს დაბალპროცენტუანი გრძელვადიანი კრედიტები და სხვ. [16, გვ.85-86].


ვინაიდან ეკონომიკური რესურსები ქვეყნის ეროვნული სიმდიდრეა, დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მათ გონივრულ გამოყენებას, რესურსებიდან მეტი ამონაგები მივიღოთ. სამწუხაროდ, საქართველოში ეკონომიკური რესურსები არარაციონალურად გამოიყენება, მაგრამ მისი გამოყენების კარგი პესპექტივები არსებობს. აგრობიზნესში ნარმატების მიღწევისათვის მთავარი ამოცანაა ინოვაციური გარდაქმნების განხორციელება, მინების კონსოლიდაცია, ფერმერული მეურნეობების განვითარება. ეს შესაძლებელია, თუ სწორად სწორად გავიანგაროებთ აგრობიზნესში ინვესტიციებიდან მოსალოდნელ მოგებიანობას, კომერციულ რისკს, ნარმოების სხვადასხვა ფაქტორების გავლენას, პარტნიორობის შესაძლებლობას. [17, გვ.22].

საქართველო ჯერჯერობით დაბალგანვითარებულია საინფორმაციო საინოვაციო ტექნოლოგიების თვალსაზრისით, რომლის გარეშე ქვეყანა პროგრესირებადი ვერ იქნება. ასეა სოფლის მეურნეობაშიც, სადაც აუცილებელია მინის ეროზიისაგან დაცვა-განვითარება და პროდუქტიულობის მატება. ეს კი ახალი მონინავე ტექნოლოგიების გარეშე ვერ მიიღწევა. ასე მაგალითად, მინის თავისდროული მორწყვით, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა, საქართველოს პირობებში, საშუალოდ 1.5-ჯერ, ხოლო დაჭაობებული ფართობებიდან ზედმეტი წყლის მოცილებით - 1.3-ჯერ შეიძლება გაიზარდოს. [18, გვ.139]. მინის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებაში ამ ეტაპზე მხოლოდ კერძო ინვესტიციები არასაკმარისია და განსაკუთრებული როლის შესრულება სახელმწიფოს შეუძლია, რომელმაც მინის დაცვა-შენარჩუნების მიზნობრივი პროგრამების დამუშავება და განხორციელება უნდა უზრუნველყოს. [17, გვ.22-24].

სოფლის მეურნეობის ეკონომიკური გარემო განპირობებულია მრავალმხრივი ბუნებრივ-ეკო-

ნომიკური ფაქტორისა ზემოქმედებით, რაც დიდად განსხვავდება რეგიონულ და მიკრორეგიონულ ქრისტილში, გასათვალისწინებელია რიგი: სეზონური, ეკონომიკურთან ერთად ბიოლოგიური, ინვესტიციების გრძელვადიანი უკუგების ფაქტორები და სხვ. ამასთან, სოფლის მეურნეობის ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემოს მართვა საკმაოდ სპეციფიკურ, კომპლექსურ-ინტეგრირებულ და მომავალზე ორიენტირებულ მიდგომას მოითხოვს - მხედველობაში გვაქვს: ეკონომიკურ-მატერიალური რესურსები, ნარმოების ინტენსიფიკაცია, მართვა (მათ შორის რისკების), ინფორმაციული უზრუნველყოფა, ინოვაციური ინვესტიციები. [17, გვ.25-26]. ამ უკანასკნელის განვითარება და პროდუქტიულობის ზრდა, შეუძლებელია მყარი საინვესტიციო-ნამახალისებელი ბაზის გარეშე. საჭიროა ინვესტიციების მკვეთრად ზრდა ადამიანურ კაპიტალში, ბიოლოგიური რესურსების შექმნა-განვითარებაში, ენერგო- და რესურსდამზოგი ტექნიკის და მეცნიერებატევადი ტექნოლოგიების შექმნასა და დანერგვაში. ამ თვალსაზრისით, ბოლო პერიოდში პოზიტიური მოვლენები შეინიშნება ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემოს გამოყენებისა და, საერთოდ სოფლის მეურნეობაში პროდუქტიულობის ზრდის თვალსაზრისით, მაგრამ ეს აშკარად არასაკმარისია სამამულო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლადაც კი, რასაც ადასტურებს მთლიან სამამულო პროდუქტში დარგის წილის შემცირება. (ნახაზი 1).

ნახაზი 1. საქართველოს სოფლის მეურნეობის წილი (%) მთლიან სამამულო პროდუქტში, 2012-2019 წწ.



შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდობით: <https://www.Geostat.Ge/ka/modules/categories/196/soflis-meurneoba> 23.11.2020.

როგორც ჩანს, სოფლის მეურნეობის სპეციალიზებაში არასტაბილურობა ჯერჯერობით შენარჩუნდება, ვიდრე სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაღების ყოფილი და ახალი ბაზრების დაბრუნებით არ იქნება მიღწეული მეხილეობის, მევენახეობის, მებოსტნეობის, მეჩაიეობის და მეციტრუსეობის და სხვ. დარგების განვითარების ოპტიმალურად რეალური და ამასთან, მისაღები პირობები და მასშტაბები. [17, გვ.27].

სოფლად ეროვნული ეკონომიკური რესურსების ეფექტიანად გამოყენების გარეშე, შეუძლებელია აგრარული წარმოების პოტენციალის ამაღლება-მართვა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. გარდამავალ პერიოდში სოფლის მეურნეობაში შემცირდა არა მარტო ძირითადი კაპიტალით აღჭურვის, არამედ მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის დონეც. ეს კი, მკვეთრად ამცირებს მიწის გამოყენების ეფექტიანობას. [17, გვ.127]. ქვეყანაში სათანადოდ ვერ ვიყენებთ საერთაშორისოდ აპრობირებულ მონინავე მართვის მეთოდებს, სრულყოფილად არ არის ჩამოყალიბებული ინოვაციური სახელმწიფო პოლიტიკა, არც აგრარული საწარმოების ხელშეწყობი ქმედითი მექანიზმია შექმნილი და მიუხედავად ამისა, რეზიდენტი კომპანიები, სათანადო ხელშეწყობის შემთხვევაში, მზად არიან განავითარონ პროდუქტის ხარისხი, მიიღონ საერთაშორისო ISO სერთიფიკატები და დამკვიდრდნენ

უცხოურ ბაზრებზე. თუმცა, როგორც აღინიშნა, ეს პროცესი ნელი ტემპით მიმდინარეობს.[14, გვ.163-164].

მთლიანობაში, საქართველოს აგრარულ სექტორი, როგორც ინვესტიციების, ასევე ინოვაციური მიდგომების გამოყენების დეფიციტს განიცდის და აუცილებელია ეფექტიანი ინოვაციური მენეჯმენტის მექანიზმების ამოქმედება, რომელიც ნაახალისებს აგრარული ეროვნული პოტენციალის ამოქმედებას და დააჩქარებს იმპორტჩანაცვლების პროცესებს, რაც კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებას ნიშნავს, რის გარეშეც ვერ გავზდებით ევროკავშირის სრულყოფილებიანი წევრი, მითუმეტეს, რომ გლობალიზაციის პირობებში ინოვაციური, ერთმანეთთან კონკურენტუნარიანი საწარმოთა ფუნქციონირება და განვითარება თანამედროვე ინოვაციური მენეჯმენტის მეთოდების გამოყენების გარეშე შეუძლებელია.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი, ე., ქუთათელაძე, რ., გვაჯაია, რ., ყურაშვილი, გ. (2011). საინვესტიციო მენეჯმენტი. (რედ-რი ანზორ აბრალავა). თბილისი, 310 გვ.
2. თვალჭრელიძე, ა., სილაგაძე ა., ქეშელაშვილი, გ., გეგია დ. (2011). საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა. თბილისი, 312 გვ.
3. კენჭაძე, დ. ინოვაციები-კომპანიის წარმატებული მომავლის გარანტი <https://davidkenchadze.Ge/ka/blog/243> 23.11.2020.
4. პაპავა, ვლ. (2015). საქართველოს ეკონომიკა: რეფორმები და ფსევდორეფორმები. თბილისი, ინტელექტი, 238 გვ.
5. სიჭინავა, ალ. (2010). ინვესტიციები. თბილისი, 350 გვ.
6. ხმალაძე, კ. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ეფექტიანად განხორციელებისათვის. «სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები», - შრომების კრებული. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 2012. გვ. 566-570.
7. Atanelishvili, t., Silagadze, a., Silagadze, l.(2020). Some economic problems of the post-soviet states after the global financial crisis. Bulletin of the Georgian National Academy of SCIENCES, 2020, 14(3), pp. 149-154.
8. Koguashvili, p., Chikhladze,n.(2020). Innovative Approach to the Rural Development in Georgia. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 2020, 14(1), pp. 160-164.
9. Trott, Paul (2008). Innovation Management and New Product Development. 581 p.
10. <https://www.Geostat.Ge> 21.11.2020.
11. <http://davidkenchadze.Ge/ka/blog/243> 19.11.2020.
12. <https://idfi.Ge/public/upload/idfi/2020/Qashibadze1.Pdf> 12.11.2020.
13. <http://dl.Sangu.Edu.Ge/pdf/dissertacia/gkutateladze.Pdf> 13.11.2020.
14. <http://eprints.Iliauni.Edu.Ge/7318/2/ნიგნი.Pdf> 11.11.2020.
15. <https://core.Ac.Uk/download/pdf/78235650.Pdf> 21.10.2020.
16. <http://dSPACE.Nplg.Gov.Ge/bitstream/1234/165512/1/Disertacia.Pdf> 20.11.2020.
17. https://www.Bsu.Edu.Ge/text_files/ge_file_9997_1.Pdf 19.11.2020.
18. <http://www.Nplg.Gov.Ge/dlibrary/collect/0002/000486/Mereklishvili%20M..Pdf> 17.11.2020.

რეცენზია

სახელმძღვანელოზე: «მონეტარული ეკონომიკა და პოლიტიკა»

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიებისა და საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტების თანამშრომლებმა: პროფესორებმა: გიორგი ცაავამ, ალექსანდრე სიჭინავამ, რატი ბურდიაშვილმა, ვალერი მოსიაშვილმა და აკადემიურმა დოქტორმა ნინო კუტიბაშვილმა ერთობლივად გამოუშვეს სახელმძღვანელო „მონეტარული ეკონომიკა და პოლიტიკა“. - თბილისი, გამომცემლობა შპს „საჩინო“, 2020. 250 გვ.

სახელმძღვანელოში განხილულია მეტად აქტუალური თეორიული და პრაქტიკული საკითხები, როგორცაა: ეკონომიკური თეორია როგორც მეცნიერება, ეროვნული ეკონომიკის ანალიზის ფუნდამენტური ხერხები და ფუნქციონირების კანონები, სახელმწიფოს ეკონომიკური როლი და ფუნდამენტური პრობლემები, ფული როგორც ცივილიზაციის მძლავრი ბერკეტი, მოთხოვნა-მიწოდების საფუძვლები ფულად ბაზარზე, ეკონომიკის ფულადი და რეალური სექტორების ურთიერთკავშირების მაჩვენებლები, საკრედიტო ეკონომიკა, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და ეკონომიკა, ალტერნატიული მონეტარული რეჟიმები, მონეტარული პოლიტიკის თეორიული საფუძვლები, სახელმწიფოს მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები, მონეტარული პოლიტიკის კლასიკური მოდელები, ტრანსმისიური მექანიზმები გლობალიზაციის პირობებში, საემისიო ინსტიტუტების ადგილი და როლი გლობალურ მსოფლიო ეკონომიკაში, ცენტრალური ბანკის მიერ ეკონომიკური ანალიზის პროგნოზირება, საემისიო ბანკების ფუნქციები გლობალურ ეკონომიკაში. აღნიშნული სახელმძღვანელო ერთიანი მონეტარული ეკონომიკისა და პოლიტიკის ჩამოყალიბების ერთ-ერთი პირველი მცდელობაა საქართველოში.

ბოლო ოცდახუთი წლის განმავლობაში ეკონომიკის მიმართ ადამიანების დამოკიდებულება კარდინალურად შეიცვალა. მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადეს თვით ეკონომიკურმა ინსტიტუტებმაც. მაგალითად, ქვეყნების უმეტესობამ უარი განაცხადა სოციალისტურ თუ კოლექტიურ მიდგომაზე და საბაზრო ეკონომიკის სისტემაზე გადავიდნენ.

თუ გლობალური პოზიციებიდან შევხედავთ, ჩვენი სამყარო სულ უფრო და უფრო ურთიერთდაკავშირებული ხდება და ამდენად, საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუტების საქმიანობის უფრო ღრმად შეცნობა მეტად საჭირო და აუცილებელი ხდება. მსოფლიო განსაკუთრებით დააფიქრა გარემოს ცვლილებების გლობალურმა პრობლემებმა. საზოგადოების ცნობიერება ამ საკითხებთან დაკავშირებით ამაღლდა და მეტად აუცილებელი გახდა, რომ ქვეყნებმა საკუთარი შეუფასებელი ბუნებრივი სიმდიდრის დაცვაზე იზრუნონ და ამასთან დაკავშირებულ შეთანხმებებს მიაღწიონ.

გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ ჩვენი ქვეყანა იმპორტდამოკიდებულია, სამომხმარებლო და სასურსათო კალათაში საქონელის 80 პროცენტი იმპორტულია, ეროვნული ვალუტის გაუფასურება უარყოფითად უშუალოდ აისახება ფასებზე და სოციალურ მდგომარეობაზეც. ისიც უნდა იქნას გათვითცნობიერებული, რომ ინფლაციის ოფიციალური მაჩვენებელი არაადეკვატურია, რადგანაც იგი ჩვენი ქვეყნისათვის შეუსაბამო მეთოდოლოგიით იანგარიშება. მასში ძალიან შემცირებულია კვების პროდუქტების ხვედრითი წილი, რაც 15-20 პროცენტული პუნქტით არარეალურ სურათს იძლევა. საქართველოს ეკონომიკის მსგავსი ქვეყნებისათვის სამომხმარებლო კალათაში, რომლითაც ინფლაცია იანგარიშება, როგორც წესი, კვების პროდუქტების წილი დაახლოებით 50 პროცენტს შეადგენს, ჩვენთან კი ეს მაჩვენებელი 30 პროცენტზე ნაკლებია. ამიტომ, ინფლაციის ის ინდიკატორი, რომელიც დღეს გვაქვს, არ იძლევა ვითარების სწორად შეფასების საშუალებას და სწორედ აღნიშნული და სხვა პრობლემების გათვითცნობიერებას ემსახურება წინამდებარე სახელმძღვანელო.

მონეტარულ ეკონომიკასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის მიზანია თანამედროვე ეკონომიკური თეორიის საფუძვლების უფრო სიღრმისეული შესწავლა. ეკონომიკური თეორია მეტად დინამიური მეცნიერებაა, რომელიც ეკონომიკურ ურთიერთობებში, გარემომცველ პირობებში, მსოფლიო ეკონომიკასა და მთლიანად საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებების ტენდენციებს ასახავს.

მონეტარულ პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას ყურადღება არის გამახვილებული თანამედროვე პირობებში მსოფლიო ფულის ბუნების, ცალკეულ სახელმწიფოთა ეროვნული ფულადი ერთეულის დამკვიდრების პროცესებზე და იმ გარემოებებზე, რომ საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების აქტიური მხარდაჭერით, საერთაშორისო გადახდის საშუალებების ფუნქცია, თანდათანობით, თავისუფლად გამოყენებადი ვალუტისაკენ ინაცვლებს.

ავტორთა ყურადღება, პოლიტიკონომიკური მოძღვრების იდეების საფუძველზე, ფულად-საკრედიტო რეგულირების საკითხების ხელახალი გააზრებისაკენ არის მიმართული. მოცემულია მსხვილი კაპიტალის წარმომადგენლების ეკონომიკური ინტერესების ანალიზი და ცენტრალური ბანკების მოგების წყაროებისა და მათი განაწილების ხერხების გამოკვლევა. კვლავ აქტუალური ხდება ისეთი ცნებები, როგორცაა „სახელმწიფოებრივ-მონოპოლიური კაპიტალიზმი“, „ფინანსური კაპიტალი“ და „ფინანსური ოლიგარქია“.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეკონომიკური და მონეტარული თეორიების უმნიშვნელოვანესი

და მრავალფეროვანი კონცეფციების გათვითცნობიერება და დაუფლება, ავტორთა მოსაზრებით, ეკონომიკური და ფინანსური პროფესიონალიზმის ფორმირებისა და გაღრმავების უალტერნატივო წინაპირობად არის წარმოდგენილი.

სახელმძღვანელო განკუთვნილია ეკონომიკური და ფინანსური სფეროს სპეციალისტებისათვის, პროფილური სახელმწიფო და კერძო უწყებების მოსამსახურეებისათვის, სამეცნიერო მუშაკების, პედაგოგებისათვის, აგრეთვე, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისათვის.

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელო „მონეტარული ეკონომიკა და პოლიტიკა“ თემატიკით, განხილული საკითხებით, არქიტექტონიკით მეტად მნიშვნელოვანი ნამუშევარია და ეკონომიკისა და ფინანსების სპეციალობის სტუდენტებისათვის უალრესად საჭირო, დროული და ძვირფასი შენაძენი იქნება.

დ. სეხნიაშვილი

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის
დეპარტამენტის პროფესორი

ქართულ ავტორთა წიგნი მსოფლიოს 9 ენაზე

გერმანიის გამომცემლობამ 2019 წელს ინგლისურ ენაზე გამოსცა საერთაშორისო საინჟინრო და საქართველოს საინჟინრო აკადემიების წამდვილი წევრის ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ დემურ ჩომახიძის და საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრის, ენერგეტიკის რეგულირების რეგიონული ასოციაციის თავმჯდომარის მაია მელიქიძის ნაშრომი „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების მეთოდოლოგიური და კონცეპტუალური საფუძვლები“ (Methodological and Conceptual Basis For The Energy Development in Georgia).

წიგნი ეხება თანამედროვეობის აქტუალურ თემას. მასში დაწვრილებითაა განხილული ენერგეტიკის არსებული გამოწვევები და ჩამოყალიბებულია მწყობრი მეთოდოლოგიურ-კონცეპტუალური საფუძვლები მისი განვითარებისათვის. წიგნმა ფართო ინტერესი გამოიწვია, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. მისი პრეზენტაცია გაიმართა ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში, სადაც გამომსვლელთა მონაწილეობა დაფიქსირდა.

ნაშრომის აქტუალობამ და სიღრმისეულმა გადამწყვეტამ საფუძველი მისცა გამომცემლობას, რომ ნაშრომი სხვა ენებზეც დაბეჭდილიყო. კერძოდ 2020 წელს წიგნი დამატებით გამოიცა: რუსულ, გერ-

მანულ, ფრანგულ, ესპანურ, ბრაზილიურ, თურქულ, უკრაინულ და იტალიურ ენებზე.

წიგნი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში ჩატარებულია სინთეზური ანალიზი საქართველოს ენერგეტიკაში არსებული გამოწვევებისა. კერძოდ ეს ეხება ისეთ აქტუალურ თემებს, როგორცაა ქვეყნის დეფიციტური ბალანსი, ენერგოდაზოგვის პრობლემები, ბუნებრივი ენერგეტიკული რესურსების გამოყენება, განახლებადი ენერგეტიკული რესურსების ათვისების გაფართოება, ეკოლოგიური პრობლემები და სხვა.

მეორე ნაწილში კი ჩამოყალიბებულია ენერგეტიკული პოლიტიკისა და სტრატეგიის მეთოდოლოგიურ-კონცეპტუალური საფუძვლები. მათ შორისაა: ენერგოუსაფრთხოების, ენერგოდაზოგვის, გარემოსდაცვის, საინვესტიციო, ადგილობრივი რესურსების გაფართოების პოლიტიკა და სხვა საკვანძო საკითხები.

მიგვაჩნია წიგნი კარგი შენაძენია საინჟინრო-ეკონომიკურ მეცნიერებაში და ამ მხრივ იგი საერთაშორისო მნიშვნელობას იძენს.

ა. ფრანგიშვილი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის აკადემიკოსი

სამქიპარი

გურამ ყუფუნია

გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერი, უმაღლესი განათლების ღვანლმოსილი პედაგოგი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი (ემერიტუსი) გურამ ყუფუნია .

გურამ ყუფუნია დაიბადა 1936 წლის 31 მაისს, მარტვილის რაიონის ს. ტალერში.

1954 წელს დაამთავრა დიდი ჭყონის საშუალო სკოლა. 1954-1959 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა. 1961-1964 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტი. 1974 წელს გაიარა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის

უმაღლესი ეკონომიკური კურსები.

1974 წელს მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, 1977 წელს - უფროსი მეცნიერ თანამშრომლის სამეცნიერო წოდება.

1959-1961 წ.წ. მუშაობდა თბილისის საფინანსო-ეკონომიკური ტექნიკუმში, პოლიტიკური ეკონომიის მასწავლებლად. 1964 - 2006 წწ. იყო ეკონომიკის, დაგეგმვისა და სოციალური პრობლემების ს. კ. ი. უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, განყოფილების გამგე და დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში. 2011-2015 წწ. - მონვეული იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესისა და ინჟინერინგის ფაკულტეტის პროფესორად. 2016 წლიდან მიენიჭა ამავე უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორის წოდება.

იგი შეთავსებით პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. 1966-1977 წ.წ. - თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში იყო პოლიტიკური ეკონომიის ლექტორი, 2000-2010 წ.წ. - თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი (თეუსი) - პროფესორი, 2002-2008 წ.წ. - თბილისის ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის იურიდიულ-ეკონომიკური ინსტიტუტის პროფესორი და რექტორი.

1976-1977 წ.წ. ასევე შეთავსებით მუშაობდა ჟურნალ "ეკონომისტის" განყოფილების გამგედ; 1995-2006 წ.წ. - ქართული ენციკლოპედიის ეკონომიკისა და სამართლის განყოფილების გამგედ; მთავარი სამეცნიერო რედაქციის წევრად.



სხვასდასხვა წლებში მინვეული იყო სახელმწიფო საგამოცდო კომისის თავმჯდომარედ რიგ უმაღლეს სასწავლებელში. იყო საკანდიდატო, სამაგისტრო და სადოქტორო ხარისხების 20-ზე მეტი მაძიებლის სამეცნიერო ხალმძღვანელი.

იყო 200-ზე მეტი მეცნიერული, მ. შ. 120-ზე მეტი გამოქვეყნებული ნაშრომის ავტორი.

გურამ ყუფუნია 1996 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით .

ბატონი გურამი იყო უაღრესად ერუდირებული, საქმისადმო უდიდესი პასუხიმგებლობით აჭურვილი, ახალგაზრდობისადმი თავდადებული, უაღრესად გულისხმიერი, მეგობრული, ამავე დროს, პრინციპული ადამიანი, მხურვალე პატრიოტი.

მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მეგობრების, ახლობლების, ახალგაზრდობის გულში.

რ. აბესაძე, ა. აბრალავა, თ. ბაბუნაშვილი, ე. ბარათაშვილი, რ. ბასარია, მ. გველესიანი, რ. გოგონია, დ. დავითულიანი, ვ. დათაშვილი, დ. იაკობიძე, რ. ქუთათაელაძე, რ. კაკულია, დ. კვარაცხელია, ი. კვესელავა, პ. კოლუაშვილი, პ. ლემონჯავა, გ. მალაშხია, ე. მექვაბიშვილი, ს. სანაძე, ა. სიჭინავა, რ. შენგელია, გ. შუბლაძე, კ. ღურწყაია, ნ. ჭითანავა, კ. ხმალაძე, დ. ჩომახიძე, რ. ჯავახიშვილი.